**UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312**
**ა-376**

# ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

# ათინათი

**2016 / 3 / (21)**

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2016

## უფლის საგალობელი



მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გვმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით ,,ათინათის"
გული ფეთქავს.
*გულნაზ ხარაიშვილი*



უწმინდესი და უნეტარესი ილია II

* * *

უწმინდესი მყავს
რაღად დავღონდე,
ერის მხსნელი და
ერის საჩინო.
სიკვდილი უკვე რწმენით
ჩავღობე,
სიცოცხლე უნდა
გადავარჩინო...



მამა მერაბი (დეკანოსიძე)

* * *
(მამა მერაბის)

მამაო ხარ, მადლმოსილი,
ჩემი სულის სიმშვიდე...
სიკეთით ხარ შემოსილი,
შენით ავალ ცის კიდეს.
დავნაყრდები... დავპურდები...
ლოცვით, ტკბილი ჰანგებით,
წავალ?.... ციდან დავბრუნდები,
შენს წინ ჩოქვით დავდგები.
*გულნაზ ხარაიშვილი*



**მიდგომილი ღვთისმშობელი**

**ხატმწერი ხატია ლარიაშვილი**



**დეისუსი**

ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები



**გულნაზ ხარაიშვილი**
**ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი**
**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა**
**მრავალპროფილიანი საერთაშორისო**
**აკადემიის პრეზიდენტი**

# ჩემო მოძლვარო

მე შევეცდები, ჩემს მკითხველებს გული გავუთბო,
სხვისი ტკივილი, ისევ ჩემად გავიზიარო.
თუ ლუკმა მქონდა, ხელგამოწვდილს უნდა დავუთმო,
ჩემო მოძლვარო, ასეთი მსურს, რომ მაზიარო.



ნელი ქველაძე

„. . . გარდამოგვივლინა სიცოცხლე ღმერთმა მაღლითა ზეცითა,
იესომ სისხლი ანთხია, ადამის მოდგმის ცოდვითა!
გადმოგვაფარა კალთაი, ღვთის დედამ ზეციერითა,
მოგვმადლა თვისი ხატება, გავრჩით მისი ლოცვითა!“

ნელი ქველაძე

## უფლის სახლი დიდ დიღომში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი

ზეციერმა მამა ღმერთმა ქვეყნიერებაზე 20 საუკუნის წინათ გამოაგზავნა თავისის მხოლოდშობილი ძე – იესო ქრისტე. ჩვენი მაცხოვარი სული წმიდისაგან ჩაისახა წმინდა მარიამ ღვთისმშობელში და იუდეის ბეთლემში, როგორც ღვთის სიტყვაში – ბიბლიაში არის ჩაწერილი, ღმერთი განკაცდა, ანუ მოგვევლინა ხორციელად.

იესო ქრისტემ გაგვიცხადა ზეციური მამის ნება – სურვილი, ადამიანის გადარჩენის ერთადერთი გზის შესახებ. ცოდვების მონანიებით ღმერთის წინაშე, ცოცხალი რწმენით და უფალი იესო ქრისტეს პირდად მხსნელად მიღებით, ადამიანებს გვეძლევა საშუალება ღვთისაგან მივიღოთ მარადიული სიცოცხლე. ამის შესახებ იესომ თქვა: „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“(იოანეს სახარება, თავი მე – 3).

იესო ქრისტე გახდა ცოცხალი მსხვერპლი, რომელმაც იტვირთა კაცობრიობის ცოდვები, ამიტომ გააკრეს ჯვარზე და დაიღვარა წმიდა, ძვირფასი სისხლი. იესო ქრისტე მოკვდა ჯვარზე, მაგრამ სამარხიდან მესამე დღეს აღსდგა და ორმოცი დღის შემდეგ ამაღლდა ზეცად. ღმერთს დიდება, იესო ქრისტე ცოცხალია და მამის მარჯვნით ზის. მან აღასრულა ზეციური მამის ნება – სურვილი და ამიტომ იესო ქრისტე არის ქვეყნიერების მხსნელი.

„ახალ აღთქმაში“ დაწერილია: „თუ შენს გულში მიიღებ ქრისტეს სიტყვებს – გადარჩები... თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ იგი აღდგა მკვდრეთით – გადარჩები, ყოველი ვინც უფლის სახელს მოუხმობს – გადარჩება!“ ამიტომ ადამიანები დროულად უნდა მივიდეთ უფალთან და სანამ მოვინანიებთ, გავიხსენოთ ჩვენს მიერ ჩადენილი ცოდვები და ვილოცოთ.

ამ ხუთიოდე წლის წინ სწორედ უფალთან მისვლას უფლისავე სახლში იყვნენ მოკლებულნი ზემოთ აღნიშნული უბნის მაცხოვრებელნი. ჩვენს მკითხველს წიგნის წინა თავებიდან ემახსოვრება, რაოდენ შეჭირვებულნი იყვნენ ისინი სულიერად იმის გამო, რომ ახლომახლო არავითარი სამლოცველო არ არსებობდა. მათდა საბედნიეროდ გამოჩნდა მოძღვარი მერაბ დეკანოსიძე, რომელმაც უფლის ნებით, არნახული ძალისხმევით შეძლო მათთვის უფლის სახლის აშენება.

მაშ ასე, ყველანი გავეშუროთ დიდი დიღმის წმინდა ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ტაძრისაკენ; 192-ე სკოლასთან რომ ამოვუხვევთ, შორიდანვე გამოჩნდება ულამაზესი, თეთრი ტაძარი, რომელიც დგას ტრიალ მინდორზე, ასევე თეთრი ჯვრიან-გუმბათიანი სამრეკლოთი.

„... ვუცქერ ჩემი სახლიდან დიდი დიღმის მე-3 და მე-4 მიკრორაიონებს შორის ტრიალ მინდორზე მამა მერაბისა და მის თანამოაზრეთა მიერ აღმართულ ტაძარს, მათ მიერ დაგებულ ტაძრისაკენ მიმავალ გრძელ და ლამაზ ბილიკს, რომელსაც სიყვარულით მივყავარ ეკლესიის ფართო კარებამდე“ – ამბობს ქველმოქმედი მრევლი მზია მოსიაშვილი და იგი ამ სიტყვებით ტაძრისაკენ მიმავალი ყველა ადამიანის გულს ეხმარება. ისინიც ხომ ასეთივე დიდი სიყვარულით მიეშურებიან ამ დასახელების ყველაზე წმინდა და სანუკვარი ადგილისაკენ.

კეთილმოწყობილი გზის დასაწყისში დიდი რკინის ჯვარია აღმართული და მლოცველიც მოწიწებით ისახავს პირჯვარს. ასეთივე გზა მოემართება მე-4 მიკრორაიონიდანაც. მიუყვები გზას და გრძნობ, რომ ტაძრის ადგილი დიდი გემოვნებითა და პროფესიონალიზმითაა შერჩეული, რომ

მისი ავტორი არა მარტო მოძღვარია (რომ არც იცოდე, გაიფიქრებ), არამედ კარგი მშენებელი და ხელოვანიცაა.

ტაძარი განსაკუთრებით მშვენიერია გაზახულზე, როდესაც მინდორი მწვანით იმოსება, ყვავილებით ირთვება და ტაძრის შინდისფერი სახურავით ერთვის ყვავილთა ფერებს.

მწვანე ბალახი შრიალებს და ლივლივებს, თითქოს ზღვის ტალღებიაო და ტაძარიც ნოეს კიდობანს განასახიერებს, მრავალი სიცოცხლის გადარჩენისათვის რომ ებრძვის წარღვნას, ტაძარიც ხომ მრავალი სულის გადამრჩენელია.

აი, ყვავილებით შემოჯარული ბილიკით და მათი სურნელით აღსავსე მივდივართ ტაძრის ჭიშკართან, ვეამბორებით, შევდივართ ეზოში და კვლავ ბეტონის ბილიკს მივუყვებით. ეზოში სამი თეთრი დიდი ჯვარია აღმართული, რომლებიც მამა მერაბის წინასწარმეტყველებითა და ლოცვა-კურთხევით თეთრი კლდისაგან გამოკვეთა და აღმართა მრევლმა ილია კეკენაძემ, ამჟამად ტაძრის სტიქაროსანმა (იმის შესახებ, თუ როგორ შეცვალა მისი ცხოვრება სიკეთისაკენ მისმა ასეთმა ქმედებამ, სასწაულების თავში გიამბობთ). ახლა კი გავუყვეთ ეზოს ბილიკს, რომლის ორივე მხარეს პატრიარქის ნაჩუქარი ლამაზი კვიპაროსებია ჩამწკრივებული, სურნელს აფრქვევენ ვარდები და იასამნები (სამასი ძირი რომ გამოუგზავნა წინამძღვარს ეზოს გასამშვენებლად უწმინდესმა ნანატრი სამი ძირის ნაცვლად).

ტაძრის ეზო  საკმაოდ დიდი და ფართოა (800კვ.მ. აღემატება), სამრეკლოს სიმაღლე 8 მეტრია, გუმბათში ორი ზარია დამაგრებული, რომელთა წკრიალა ხმით იუწყება მლოცველთათვის წირვა-ლოცვის დასაწყისი.



ტაძარი არქიტექტურული სტილით დიდ, ერთნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. იგი თეთრი ფერისაა, შინდისფერი სახურავით. სიმაღლე გარედან 15 მ-ია, შიგნიდან – 10 მ., ფართობი – 250კვ.მ. და 500 ადამიანი თავისუფლად ეტევა.

ტაძრის ინტერიერი განსაკუთრებით გამშვენდა სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ: დაიგო მარმარილოს იატაკი, გუმბათი თეთრად ანათებს, კედლები ხარისხიანად გაილესა და ეკლესიაც გამზადებულია მოსახატად.

აღსავლის კარის სამხრეთით დაბრძანებულია მაცხოვრის, წმინდა ნიკოლოზისა და მთავარანგელოზ გაბრიელის ხატები; ხოლო ჩრდილოეთით – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, წმინდა გიორგისა და მთავარანგელოზ გაბრიელის ხატები. მარცხენა მხარეს, მედავითნეების კუთხესთან ახლოს, დაბრძანებულია ხის ჩუქურთიან ჩარჩოში ჩასმული წმინდა ნიკოლოზის დიდი ხატი, რომელიც ტაძრის მგალობლის, ამალია შურღაიას ოჯახმა შემოსწირა.

სამლოცველო დარბაზი განათებულია დიდი, ლამაზი ჭაღით, მასთან ერთად საშანდლეები და კანდელები ვით სარკეში, ისე ირეკლება მარმარილოს იატაკზე. მამა მერაბისა და ქალბატონი მაიას მიერ დაწერილი უმშვენიერესი ხატები, რომლებითაც გამშვენებულია მთლიანად ტაძარი, ქმნის შვების მომგვრელ, მშვიდ და მეტად სასიამოვნო გარემოს...

უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ის, რომ ტაძრის გახსნის შემდეგ რამოდენიმე ხატს მირონი სდიოდა და ახლაც სდის საკურთხეველში დაბრძანებულ უფლის ხატს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ-ჯერობით ტაძარი ერთ ნავიანია. სამომავლოდ იგეგმება გვერდებიდან შედარებით მცირე ნავების მიშენება. გადაწყვეტილია, აგრეთვე, მართლმადიდებლური სკოლის აშენება, რომელშიაც ბავშვები შეისწავლიან ღვთისმეტყველებას, ფერწერას, ხატწერას, საეკლესიო ჰიმნებსა და საგალობლებს, წმინდანთა ცხოვრებას, საეკლესიო ისტორიას და სხვა.

ტაძრის ეზო, გაზაფხულის დადგომისთანავე იმოსება მწვანით. წინამძღვრის თაოსნობითა და მრევლის დახმარებით იგეგმება ვაზის გაშენებაც, რათა ტაძარს ჰქონდეს საკუთარი ღვინო ზიარებისათვის. ვინ იცის, კიდევ რამდენი სასიკეთო საქმე გაკეთდება ამ წმინდა ტაძარში...

# პოეზია



**მეუფე თადეოზი**
(მირიან იორამაშვილი)

## წმიდა იოანე ნათლისმცემლისადმი

შენმა მოსვლამ, საკვირველო,
გაახარა კაცთა გული,
ანგელოზად იყავ დიდად,
წმინდად გამოცხადებული.
წინამორბედს, მახარობელს,
მოგელოდა მთლად ქვეყანა...
უფლის მოსვლას ახარებდი
და რაღაა მეტი განა?!

## მაღლით ნაკურთხო მოძღვარო

ტკბილო მამაო გაბრიელ,
მადლი მოგმადლა ღმერთმა...
მაღლით ნაკურთხო მოძღვარო,
მოსულო რწმენის კვერთხად...
სიმტკიცის ჯაჭვი გაცვია,
სულით ძლიერო სულო...
სიკეთე შენი ღვაწლია
და სიყვარულით სრულობ...
გაკურთხოს ქვეყნის გამჩენმა,
ზეცის კურთხევით მძლავრით...
დაგვლოცე, შენი მარჯვენით,
სოფლის მწირნი და მგზავრნი.

## რად უყვარდათ საქართველო?!

უკვდავებით შემოსილა,
ვინც მამული ასახელა...
ბევრზე ბევრი გმირი გვყავდა
ჩვენი თვალის ასახელად.
შეწირულან ზვარაკებად,
სიყვარულის დასახსნელად.
რად უყვარდათ საქართველო -
არ ძნელია ასახსნელად.
...დღეს გმირული სული ჩაკლეს,
იპოვების ძალზე ძნელად,
სანთლის შუქით მზეში ავალთ
დიდთა სულთა საპოვნელად...

## შემოდგომა

რა კარგია შემოდგომა,
დახუნძლული ხეები,
როს მთვარიან ღამით ტკბილად
მღერენ მეურმეები.
მარგალიტის ნამი დილით,
ცა მჭვირვალი, საამო,
ვარსკვლავებით მოჭედილი
მთვარიანი საღამო.
ნაყოფსავსე ჟამი ტკბილი,
წელთა დროთა ზეობა...
ლხინი, ლხინი და ქორწილი,
ნათლობა და ძეობა.
ტკბილქართული საუბარი,
მეტად ენამზეობა,
რა კარგია, რა კარგია
ეს ნეტარი დღეები...
რას მღერიან, შემოდგომავ,
შენი მეურმეები?

## ჭრიჭინა

რა ციცაბო გზებია,
სული კბილით გვიჭირავს,
შენ კი კოსმონავტი ხარ,
მხიარულო ჭრიჭინავ.
ავტობუსი კეცავს გზებს,
თვალებს იფშვნეტს პირიმზე
და იცინის ზეცაზე
თვალბრიალა თბილი მზე.
უხილავი ფუნჯები
მთებს ათასფრად ხატავენ,
კლდეზე გადმოკიდული
ქუხს არაგვის სათავე.
ჰა, ზვიადი სურათი –
წყალგამყოფი ქედისა,
ნიავს მოაქვს ჩურჩული
აქ ადგილის დედისა.
შორს ქაჯეთის ციხე ჩანს
ცაში გამოკიდული,
აღტაცების ძახილი
და ფერები მდიდრული.
ზოგი ვმღერით, ზოგს კიდევ
სული კბილით გვიჭირავს,
შენ კი ისევ ქილიკობ,
მხიარულო ჭრიჭინავ.

* * *

იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე
მაცხოვრის დარიგებით,
იყავით მადლით მდიდრები
და ცოდვით ღარიბები.
როგორც ცხოვრობდნენ ქართველნი,
ნამდვილი ხალიბები...
დაუჯაბნიათ შაჰები
და მათთან ხალიფებიც...
საზარო იმპერიები
კაცთ მოდგმის სხვარიგები...
ჩვენ შეწირულთა მოდგმა ვართ,
მაცხოვრის ტარიგები...
არ უწერია ქართველ ერს
გაქრობა... გადაშენება...
ჩვენ ხომ ღვთისმშობლის
წილხვედრ ვართ,
მთელი სამყაროს მშვენება...

## სიზმარში დაწერილი

ყველა სალოცავს დიდება!
ყველა სალოცავს ქება!
მადლი – წყაროდ რომ დინდება
და არასოდეს შრება...
სულ მასთან ყოფნა გწყურია...
სულ მასთან ყოფნა გინდა...
სიცოცხლე საამურია –
თუ სინდისი გაქვს წმინდა.

## ბავშვი

ბავშვი სარკეა, უტყუარი, ლამაზი სარკე
და მოქმედება შენი მასში აირეკლება,
იგი უნაზეს, სურნელოვან, ტკბილ სიტყვებს აკმევს
საგაზაფხულო ფერად პეპლებად.
ბავშვი ექოა, უცნაურად თავისებური,
ის იმეორებს შენს მოძახილს, მაგრამ ანაზებს,
მასში სითბოა, დიდი სითბო მადლისებური,
ტკბილი, მშობლიურ იავნანისებრ.
ის ფრთაშესხმული არის ხალისი,
გხიბლავს ცელქობით ეზოს რომ იკლებს,
დიდხანს მოწყენა ბავშვმა არ იცის
და, როგორც წყარო, სულში ლიკლიკებს.

## იები

*დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო*
*გ. ლეონიძე*

ნუთუ იმგვარად უტირიათ აქ მართლა დედებს
რომ ამოსულა ია ამდენი?
ო, პატარებო, მოსაკრეფად ნუ გაიმეტებთ!
ეს უწმიდესი ცრემლებია წყაროდ ნადენი.

## დედა

ყველაფერს ლამაზს, ყველაფერს მაღალს,
ყველაფერს კეთილს, ყველაფერს დიადს,
შენი მადლი და სურნელი ახლავს,
შენი ძვირფასი სახელი ჰქვია.
ბუჩქის ძირს კრძალვით დაკრეფენ იას,
ლურჯი ყვავილით რომ გაგახარონ,
შენი ღიმილი სხივტკბილი მზეა,
რომელიც ასე ათბობს სამყაროს.

# ჯგუფი ზღვარი



გიორგი ზუხბაია.

## მიღწევა ფრენამდე

(შეშლილთა სახლი)

შეშლილთა სახლში ცხოვრობს სიჩუმე,
კედლის ჩრდილები რაღაცას დავობს.
გადაჭრილ ვენებს ენდობა თურმე
ის, ვინც გაექცა ცხოვრების ჭაობს.
სიჩუმის ხმაურში სამყარო გიჟდება,
მეც ვყვირი, – მაწამებთ ასე რად!..
არ ხარო ფრინველი, – ექიმის სიტყვებმა
ეს გული ათასგზის დასერა.
მეზობელ ოთახში, იქ, სევდის ღმერთია,
ის თავის ცხოვრების სიმღერას იმღერებს.
მეც ვგრძნობ, – თავს დავაღწევ
სიცოცხლეს "კეთრიანს",
სიკვდილით ავცდები მომავალ სიბერეს.
ერთხელ მე ვკითხე ღმერთს, მეზობელ
პალატას
ვინაც შეეხიზნა დარდიან მზერითა, –
რად არ შეეცდებით ფრინველად გარდაქმნას,
რომ მთელს დედამიწას დახედოთ ზევიდან?!
იმას გაეცინა, და მერე ეს მითხრა, –
აქო აზროვნება ჩამოხრჩობილია.
ჩუმად დამიმარცვლა, – იცოდე, დღეიდან,
რომ აქ ღმერთზე მაღლა, ძმაო, ექიმია...
შეშლილთა სახლში ცხოვრობს სიჩუმე,
ჩრდილები ისევ რაღაცას დავობს.
ექიმო, ხედავთ გადაჭრილ ვენებს?! -
მაინც გავცილდი ცხოვრების ჭაობს!..

## პიანისტი

ეს პიანისტი უხელებოა,
როდესაც ღამე დარჩება უკან...
და პიანისტი, პიანინოსთან,
ზის და ხელების გარეშე უკრავს.
მუსიკის ლანდი გადადის ლოცვად,
ცოცხლობს აქატად, ღვივის თითბერით...
კლავიშებს ნელა ეხება გრძნობა,
ანუ ჰაერი მისი თითების...
სივრცეა ირგვლივ, სივრცე გაგვიშვებს,
რადგან ოცნების, გზაა, მხლებელი...
და ეცოდებათ თითქოს, კლავიშებს,
უღვთოდ მოჭრილი მისი ხელები,
და გამოსცემენ ფერად მუსიკას,
არარსებული შეხებებისგან...
გასაოცარი, მხოლოდ გულისგან,
იშვა ეს ღამე და სულს ელირსა...
ეს პიანისტი უხელებოა,
ფიქრი ანათებს თვალების უკან,
მაგრამ მას ძალუძს... და კლავიშებთან
ზის და ხელების გარეშე უკრავს...
მუსიკა ცაში სულივით ადის...

## ხერენადა

და სევდას ძალუძს სულში შემოჭრა,
მე გფიქრობ შენ და გიგონებ დღესაც,
თვალები ცისფრად გეხუჭებოდა,
წამწამებიდან გცვიოდა ზეცა...
სიზმრის უთეთრეს ღრუბლებში შესულს,
გულს სევდისათვის უნდა ეძგერა...
მე შენ გფურცლავდი, როგორც ჩემს რვეულს,
შენზე ლექსები, სადაც მეწერა...
თვალები ცისფრად გეხუჭებოდა,
ქერუბიმივით იყავი წყნარი...
კი, სევდას ძალუძს სულში შემოჭრა,
რადგან ეს სევდა, შენს გამო არის...
მხოლოდ შენს გამო...

## სიზმარი

ღამეში, როცა სიტყვაა – ფიქრი,
როცა ცოცხლდება ნათება მთვარის,
მე შევხვდი ბილიკს, მიმავალს იქით,
სადაც ნამყოფი არავინ არის.
სიჩუმემ ზეცას ფრთები შეახო,
სადაც ვარსკვლავთა სულებს დავეძებთ;
მე მივდიოდი ლანდების ახლო,
ჩრდილების ფერად ოკეანეზე.
სულს იზიდავდა რაღაც სიახლე,
გზა დაიფარა ლანდების სუნთქვით,
მაშინ ღამეში დღე დავინახე, –
დღის საოცარი, უთქმელი შუქი.
როგორც წყვდიადის შავი ხავერდი
წყდება სანთლების ალით – ალმასით,
ისე ეს ღამეც შარავანდედით
გაწყვეტილიყო, – დღის თეთრი ხაზით.
თითქოს სამყაროს მე თვითონ ვქმნიდი,
სრულყოფილება მაშინ ვინატრე;
იქვე ტბაც იყო, კამკამით მშვიდი,
როგორც თხევადი, ლურჯი სინათლე.
იგი ტბა, ჩუმი, თითქოს ამხილა
დღემ, მოელვარემ სხივაქატებით.
ვიდექი იქვე, და მე, ამ ხილვას,
ვიცოდი, – სულში ვერ დავატევდი.
გაშლილი ფრთების გზნებად იფრქვევი
ოცნებავ, როცა არ მალავ სახეს...
იქ, ტბის გარშემო, იდგნენ ფიქრები,
და ჩასცქეროდნენ ტალღების სარკეს.
ისინი იყვნენ ახლოც და შორიც,
რაღაც აუხსნელ განცდას შერთული;
მე დავდიოდი ჩემს ფიქრებს შორის,
გაოცებული, ვით ღმერთით – გული.
ვეკითხებოდი იმათ, მარტოდენ, –
რას ეძებთ იქა, ტალღების ქვევით?
ჩემი ფიქრები არას ამბობდნენ,
არ მპასუხობდნენ ფიქრები ჩემი.
გმადლობთ ფიქრებო – არ გამიმეტეთ,
ამის შეგრძნებას გული ხომ შეძლებს...
და მაშინ თვითონ მე ჩავიხედე
ტალღების მიღმა, სილურჯის ფსკერზე.
დღე ანათებდა – ღამის ვარსკვლავი,
ტბა სიცოცხლეა სულის ცრემლისა,
მე დავინახე, იქ, ჩემი თავი,
სამარადისოდ მკვდარი სევდისგან...

## ბრმა კაცი

მე ვარ ბრმა კაცი, თვალები მტკივა,
შორეულ მთებში მზე ჩავა მალე,
და ჩემთვის ვამბობ, რომ ცა ლურჯია, –
ასე ვატყუებ საკუთარ თვალებს.
ისევ მზის ცეცხლი გულში ჩაიდნობს
უმზეო თვალთა მინას – მინანქარს,
მე ვარ ბრმა კაცი, მაგრამ ნუ დარდობ, –
როცა შენ მოხვალ, მე დაგინახავ.
შორეულ მთებში, დღეთა დუმილში,
ცას ეფინება ფრინველთა გზები,
და თვალებს ტკივილს გაუფანტავენ
ჩემი ოცნების მწუხარე ფრთები.
თვალებს ამ გრძნობამ მზე დაანახა,
ო, როგორ ჰგავდა ბედნიერებას!..
და როცა ვიგრძნობ, რომ შენ აქა ხარ,
დავიწყებ შენი თმების ფერებას.
და მოგატყუებ, რომ ვხედავ ისევ
შენს ოქროს თმებში დარჩენილ ყვავილს,
შენს მოკამკამე პატარა თითებს,
და გვირილების გვირგვინებს დაშლილს.
და როცა მთებში მზის წითელ სხივებს
საღამოს ბინდი მოაიავებს,
ასე იტყვიან, რომ ვიღაც კაცი
ეფერებოდა გამჭვირვალ ჰაერს...
ისევ მზის ცეცხლი გულში ჩაიდნობს
უმზეო თვალთა მინას – მინანქარს,
მე ვარ ბრმა კაცი, მაგრამ ნუ დარდობ, –
როცა შენ მოხვალ, მე დაგინახავ.



კახა ბაციკაძე

## სისხლისფერი გლადიატორები

რა შეაჩერებს ჩემი სულის გლადიატორებს,
სისხლით ირწყვება პოეზიის ვრცელი არენა,
სიმშვიდის ღმერთო, სთქვი,
პოეტი ვით გეამბოროს,
ვით აერიდოს შეშლილობის მძაფრ
ზეგავლენას;
ან რა ჩააქრობს ჩემს თვალებში ცეცხლის
დემონებს,
დაცხრილულია თავად ზეცაც მძიმე ფიქრებით,
როგორც ქარონი, გარდაცვლილთა
სულთა მებორნე,
მეც, საკუთარ სულს, ჯოჯოხეთის
ცეცხლში მივყვები...
გავიფანტები თვით უშავეს განცდის ყორნებად,
და ჩემივე გულს ვფლითავ ასე გაფაციცებით,
დგანან გრძნობები ჩაბნელებულ ლამპიონებად,
მეფერებიან სიძულვილის ცივი თითები...
ვიხსენებ ფაუსტს და ვალპურგის
ღამის აღრევას;
სისხლის წვეთების ძოწისფერი კარნავალია...
მე მოგიწოდებთ ყველა წესის ფარდის
დარღვევას,
ანარქია ხომ პოეზიის რთული ვალია.
და ვანადგურებ წინ აღმართულ
ქარის წისქვილებს, –
ბოლომდე მიმყავს დიდი საქმე, მე, ლამანჩელის;
და ვით შეჰფერის პოეზიის ნამდვილ აქილევსს, -
ბრძოლის შავ ველზე სამუდამო
ფიქრად დავრჩები...
ხშირად მიყვარდა სმენა თვითონ მდინარე ლეთის,
(არყოფნის განცდაც ღვთაებრივი და წარმტაცია);
დაიბზარება დედამიწის ფუჭი ხმელეთი, –
ის ველარ უძლებს პოეზიის გრავიტაციას!..
რა შეაჩერებს პოეზიის გლადიატორებს...

## პირამიდები

ცისფერ ღამეში დაიმსხვრევა პირამიდები,
სფინქსის თვალები ატირდება ჩვილი ბავშვივით,
როცა დაღლილი, უდაბნოში, თეთრი სამოსით,
პირამიდებთან ნაღვლიანი ქრისტე ჩაივლის.

და ბეთჰოვენის სიმფონია შეშლის უდაბნოს,
ქარის მუსიკა ბებერ ქვიშას ტალღებად გაშლის...
შენ პოეტი ხარ, და ოცნებას ქრისტეს უამბობ,
რადგან ამ ქვეყნად ქრისტეც იყო ოდესღაც ბავშვი.

თუკი კაცი ხარ, სიხარული ველარ მოგიცდის.
მკვლელის ხელებმა ყვავილების ბაღი გააგეს.
ამ ქვეყანაზე კაცობისთვის ის ხალხი იცლის,
რომელთაც უკვე ცხოვრებაში ძლიერ წააგეს!

ცისფერ ღამეში დაიმსხვრევა პირამიდები,
სფინქსის თვალები ატირდება ჩვილი ბავშვივით,
როცა დაღლილი, უდაბნოში, თეთრი სამოსით,
პირამიდებთან სევდიანი ქრისტე ჩაივლის...

## გენიალური შეშლილის ვნებანი

გრძნობის განცდაა არსი სულისა;
ვრჩები ცხოვრების უარმყოფელი;
ვიცი – არსებობს თეთრი სამყარო,
სადაც უსაზღვრო ტრფობით მომელი.
შენი თვალების ზეცას ატაძრებს
გრძნობის ფრინველთა ლამაზი ლოცვა;
მზერა-სიკვდილი სუნთქვას წარმტაცებს,
როგორც მუსიკა სულს – თავად მოცარტს.
თოვლის თვალები გულზე მათოვენ,
ფიფქები ჰგვანან ფერმკრთალ აჩრდილებს,
ფიფქებიც ჩემთან ერთად დარდობენ,
რომ შენზე ფიქრი გამიადვილდეს.
მაგრამ ძოწისფერ განცდის ბაგეა,
სულს რომ დააწვიმს წვეთებად სისხლის;
შენი თვალების მე მწვავს მაგია,
ვერ ავერიდე მზერათა მზის სხივს.
ასე მივყვები გრძნობის იალქნებს -
თუ დაღუპვაა, იყოს ლურჯ ზღვაში;
მე გავეცალე ადამიანებს,
და ვცოცხლობ შენი გულის ფეთქვაში!
გრძნობის განცდაა არსი სულისა;
ვრჩები ცხოვრების უარმყოფელი;
ვხვდები – თვითონ ხარ მთელი სამყარო,
მე კი – შენს სულზე ლექსით მლოცველი...

## თაჯ-მაჰალი

თეთრ გრძნობაში გადასული სიყვარული
იქცა თეთრ ტაძრად.
სევდით, ხსოვნითა და ფიქრით,
რომელსაც საფუძვლად ედო სიყვარული,
შეიქმნა შედევრი.
ადამიანთა გონება
ვერასოდეს დააღწევს თავს
მის მშვენიერებას...
უმეტესობა, ქართველებისა,
არა ვართ ისე
განებივრებულნი ფულით,
რომ სამოგზაუროდ ხშირად ვიაროთ;
განსაკუთრებით – პოეტები;
ამიტომ ხან სურათებს მივმართავთ,
ხანაც, ვთქვათ, ხილვებს, და
ასე ვმოგზაურობთ ხოლმე.
ჩემი ერთ–ერთი ხილვა
ასეთი იყო:
ვიდექი ველზე და ვუმზერდი თაჯ–მაჰალს.
დღე იყო მზიანი.
მზის შუქი ერწყმოდა
ტაძრის სითეთრეს და
იქმნებოდა სინათლის ზეიმი.
ვტკბებოდი ამ წუთებით.
ტაძარი თითქოს მელაპარაკებოდა,
თითქოს ისიც ერთ–ერთი
მგზავრი იყო
და რაღაცის სანახავად
მოსულიყო აქ.
ასეთი სიახლოვე, მასთან,
ბედნიერების აუხსნელ განცდას
ქმნიდა მთელს ჩემს არსებაში,
მაგრამ ყველაზე საოცარი მერე მოხდა,
აი, რა იყო ეს:
ტაძარმა უეცრად დაშლა დაიწყო,
ოღონდ, არა საშენ მასალებად, არამედ
თეთრ პეპლებად, უამრავ პეპლად,
და სულ მალე, ჩემს წინ,
მთლიანად დაიშალა ტაძარი
მილიონობით თეთრ პეპლად.
პეპლები ფრენდნენ, თეთრი პეპლები,
მათ შუაგულში კი
მოისამნისფრო–მოვარდისფრო
კაბით მოსილი
ქალი მოჩანდა...
სანახაობა იყო იმდენად გრანდიოზული,
ღვთაებრივი,
რომ ნამდვილად
აქ ღვთის ხელი ერია!..
ვერ გეტყვით, რამდენ ხანს
გასტანა ამ ამბავმა
(დროს ვერ ვითვლიდი).
ბოლოს, პეპლები, ნელ–ნელა
ისევ შეჯგუფდნენ,
ქალი დაფარეს და
კვლავ ტაძრის ფორმა მიიღეს...
თაჯ–მაჰალი თავის პირვანდელ
მდგომარეობას დაუბრუნდა,
თაჯ–მაჰალი – გაცოცხლებული პოეზია.

**მინაწერი:**
**იგი თეთრია, როგორც სინათლე. იგი, –**
**ტაძარი – მავზოლეუმი, გეგონება**
**სამყაროს ლოცვა...**

## ქარიშხლიანი უღელტეხილი

გული დაიწვა სიყვარულის სისხლისფერ ცეცხლში,
რადგან როდესაც ცას ვუმზერდი, ბევრი იდარდა,
და გულისაგან დარჩენილი ფერმკრთალი ფერფლი,
ძვირფასო, შენი სუნთქვისაგან მიმოიფანტა.

აღარ მახსოვდა, რომ არსებობს ბედნიერება,
ვიყავ სტუმარი, ყოველ ღამით, სევდიან მხარის,
და მე მესმოდა ქვეყნად ყველა ადამიანის,
ამ ცხოვრებაში ტრფობისათვის ვინც იყო მკვდარი...

არის წუთები, როცა სულში ცეცხლის უდაბნოს
ცრემლი სწყურია, უცრემლობის განცდა აწამებს,
გინდა დალეწო ყველაფერი, იტირო მწარედ,
და ცრემლებიც კი ივიწყებენ დატანჯულ თვალებს!

ღმერთო, ჩამოდი ამ დაწყევლილ დედამიწაზე!
ღმერთო, გეძახი!! (ქარი ლეწავს გიგანტურ ხეებს.)
ამდენ დაღუპულს და გათოშილს, ცივ სამარეში,
ნუთუ ციდანაც არ გაუწვდი შენს ძვირფას ხელებს?!!

ისევ სიგიჟე, ისევ ქარი, და ისევ წვიმა,
სასაფლაოდან ანათებენ ლურჯი ფერები.
მე ვინც მიყვარდა, სამარიდან ამოვთხრი იმას,
და მის მკვდარ სხეულს შეშლილივით მოვეფერები!..

ღამე მოვიდა, და ძველი დრო ბრუნდება თითქოს,
ზეცის ხავერდში მოციმციმე ვარსკვლავსაც ვხედავ...
ჩემი თავისგან ერთ კითხვაზე პასუხს მოვითხოვ:
მე ხომ მკვდარი ვარ, და ცოცხლებში რა მინდა ნეტავ...



სერგი ლომაძე

## პოეტურ გრძნობის სივრცე

ვარ მარტო, თითქოს
ირგვლივ არის უდაბნოეთი,
თუმც ისიც მყოფნის,
ჩემივ ფიქრის რომ ვარ მმართველი;
მე ქართველი ვარ,
ესე იგი – მე ვარ პოეტი;
მე პოეტი ვარ,
ესე იგი – მე ვარ ქართველი.
არ არის წამი –
რომ არ იყოს ჯვარცმად ქცეული,
ჩემი სამშობლო
ჩანს კავკასის თეთრი ლანდივით,
და ქართველობა
არასოდეს არის მარტივი,
და სისხლისფერად ილეწება
ლექსთა რვეული.
დრო გადის, ეს დრო
უფლის გულზე ითვლის ნაბიჯებს;
ითვლის ნაბიჯებს იქ, გელათში,
დავითის ლოდიც –
თითო ქართველი
მეფის გულზე რომ დააბიჯებს
და სასაფლაო ალივსება
ყვავილთა მოდგმით...
თუმც არ მოგვშორდა
მილიარდ წლის უდაბნოეთი,
გვახსოვსკი მაინც,
რომ გრძნობაა სიტყვა, ნათელი;
ჩვენ ქართველნი ვართ,
ესე იგი – ჩვენ ვართ პოეტნი;
ჩვენ პოეტნი ვართ,
ესე იგი – ჩვენ ვართ ქართველნი...

## გული

ვთრთი, ფეხაკრეფით მივდივარ სადღაც,
შენი დაღლილი ხმა მწვდება, მათოვს;
და მე არ ვიცი, რასა ვგრძნობ ახლა;
და შენ არ იცი, ვარ როგორ მარტო;
ფეხდაფეხ მომდევს შუქები ღამის,
შუქები ფიფქთა თაიგულს ანთებს;
იცი? – თქმა მინდა უთვალავ რამის,
მაგრამ თეთრ ღამეს სიტყვას ვერ ვკადრებ.
აი, შენი ხმა კი მკრთალად ისმის,
ისმის, ვით ფიფქთა შრიალის ექო,
ან ვით ცახცახი ნაძვის ხის წიწვის,
მე კი სულ ვფიქრობ, სულ ვფიქრობ მე ხომ!..
მივდივარ, სულში იღვრება სისხლი,
მარტო ვარ, ფიფქის სულს ვხედავ თითქოს,
და უთეთრესად წითელი ფიფქი
მკვდარი გულივით ეცემა მინდორს...

## სიცოცხლემისჯილი

აზრი არა აქვს ლექსებსო, – მითხრეს, -
ეგ პურს ვერ გაჭმევს, ეგ დაგღუპავსო;
მე რომ არ ვწერო, უფალო ქრისტე,
არ შემიძლია!.. მე ვწერ უფასოდ.
იქნებ არც ვიცი, როგორ ვწერ, რას ვწერ...
მაგრამ კალამი თავისით ხატავს
ქართული სიტყვის უამრავ ნაწერს,
ამისთვის ვმადლობ ღმერთსა და კალამს.
იესო, ჩემო ლამაზო ძმაო,
მე, სხვა რამ ქვეყნად, არ შემიძლია;
თუ ჩემი შრომა არის ამაო,
მე ლექსებს დავწერ ისე, ნისიად,
სულაც უფასოდ, აზრით, უაზროდ...
ბოლოს ცეცხლშიაც შეაგდონ იქნებ
ის ერთადერთნი, მართლა რომ ვგრძნობდი,
და რომ იტევდნენ ჩემს გულს და ფიქრებს...
მადლობელი ვარ შენი, რომ ვწერდი,
და მე ბოლომდე ასევე დავწერ,
და ეს ცხოვრება – ჩამქრალი გემი,
მიჰყვება ტალღებს, კალმისგან ნაწერს...

## თოვლის რექვიემი

რაინდი თოვლში მიდის და, ქრება;
ქრება რაინდიც, და მისი ცხენიც;
აღარასოდეს არ დაბრუნდება
კაცი, რომელსაც სიკვდილიც შვენის.
თეთრ სამყაროში, მკრთალ ჩრდილთა
თვლემა,
წყალში ჩაძირულ მუსიკას მოჰგავს;
თეთრი რაინდი მიდის და, ქრება...
ცას კი ფიფქების სამყარო მოჰყავს...
მას გადუხდია ბრძოლათა დელგმა
და არასოდეს დამარცხებულა,
მას ფრილობები ამშვენებს ეხლა,
არის ჩუმი და არის ვნებული,
ფიფქთა თვალები უყურებს რაინდს,
და მისდევს თოვლი გაკვირვებული;
იგი კი სადღაც მიდის და... ქრება...

## უმანძილობა

...მანძილი, რომელიც შენამდე ვერც აღწევს,
მაინც ხომ დაიტევს უდაბნოს და (ფიფქებს)...
მერე ჩემს ცხოვრებას ვიღაცა გადაწერს...
მთავარი სხვა არის, – გული არ ჩამიქრეს!
მე ახლაც ჩამესმის, კოსმოსის ხმაურში
როგორ იღუპება მძივები ვარსკვლავთა;
ვიცი, – გადავეშვი დიდ აურზაურში,
საუკუნენი კი არქივებს ჩაბარდა...
ალბათ დამივიწყებ. მე დამივიწყებენ.
ჩემი უკვდავება დავიწყებაშია.
ხომ ზოგი სიცოცხლე ტყვიათ წყებაშია...
და მე მიხარია, რომ დამივიწყებენ.
გავქრები, როგორაც ვარსკვლავნი ქრებიან,
მერე ლეგენდები შენს გულზე დაწერენ,
რომ უდიადესნი არ იკარგებიან,
რადგან უსიტყვოდაც სტოვებენ ნაწერებს.
ამ სიტყვებს მიღმა თუ ვერ ხედავ
სხვა სიტყვებს,
ვით უთქმელ თაჯ-მაჰალს ან მთვარის სონატას,
მაშინ, შეიძლება, ეს ხალხი გაგიგებს,
მაგრამ ის სამყარო შენ აღარ მოგმართავს,
სადაც ზღვის ტალღები ევერესტს ასკდება,
სადაც სიყვარული ღმერთობად ფასდება!..
მე კი სხვა რა გითხრა... მე ვუმზერ იმ ველებს,
სად სეტყვამ წაშალა ტალღები ყანათა;
მე ვუმზერ მონასტრებს, რომელთაც აზერებს
ის, რომ ადამის ძეს სიბნელე წარმართავს.
მე ვუმზერ დაცემას საკუთარ ბედისაც,
(ზეცის ფერფლს შეერთვის გემები ღრუბელთა),
მაგრამ ვგრძნობ, – მეფე ვარ, და
რადგან მეღირსა
ეს გრძნობა, ამიტომ ბედს შებმას ვუბედავ!
არა ღირს განსჯანი მოგება-წაგების...
გზა – ჩემი ჯვარია, ცამ ასე ინება...
ემაგ შენს მზერიდან ტაძართა თაღები
თუკი ინებებენ ცრემლების დინებას,
მაშინ არ ვინანებ, მაგრამ... ზღაპარია...
ყოველ შემთხვევაში, – ცდი ჩემს დავიწყებას...
თუმცა პოეზიას მაინც აზარია
მთვარისფრად ელვარე სულის გასივრცება.
იქ, ზეცის გუმბათში, განცდა მზისებრია,
და ანგელოზები გასწევენ ამქრობას...
გული ჯვარცმულია, სული ბისეია...
მე მაინც შევძელი მანძილთა გაქრობა!..



ალექსანდრე გოგინაშვილი

## „ლეკვნო ალგეთისანო"

გზას გინათებდეთ ნათელი
ჯავრი არ გქონდეთ მტრისაო,
მარჯვენა მუდამ გიჭრიდათ
მგლის ლეკვნო ალგეთისაო,

მარად იცოცხლებს სახელი
მებრძოლი ვაჟკაცისაო,
გამარჯვებულნი დაბრუნდით
გფარავდეთ დედა ღვთისაო.

2016 წელი

## "გული გამითბე ტიალი "

მინდა, რომ გაგიზიარო
ყველა ნათელი დღეები,
მსურს, რომ ფეხებთან დაგიგო
ფრინველთა ნაზი ბგერები,

ცივი ზამთარი, რომ მოვა
გული გამითბე ტიალი,
შენთან ვერაფერს დამაკლებს
დღეები ოხერტალი.

2016წ.

## "თუ სიყვარული ჯერ არ გწვევია"

თუ სიყვარული ჯერ არ გწვევია,
თუკი მზად არის ტანჯვისთვის გული?
თუ სიყვარულზე ამბად გსმენია,
რომ იგი არის თვით სიხარული?

თუ მის ნახვაზე გული თრთოლდება
და იბერება ძარღვები სისხლით?
თუ თვალთა ხედვას ბინდი აწვება
გონებას გირევს ქარი და ნისლი?

მაშინ აღზდექი! შენ ჯილდოდ გერგო
ცაში გასტყორცნე გულის ისარი,
ეს დიდი გრძნობა სიყავრულია!
რადგან მიზანი სწორედ ისარი.

2016 წელი

# „ლეგენდა საქართველოზე"

არის ასეთი ლეგენდა
მიწაზე გაქრა დარიო,
ხალისიც დაკარგულიყო
არ დარჩა გასახარიო,

ღმერთმა ამას, რომ უცქირა
მოხეტიალე ერებსა,
მიხვდა რაც აკლდა სამყაროს
აშლილს და დანაბერებსა.

მაშინ თქვა მიწას გიბოძებთ
იხაროს თქვენმა ერმაო!
იქნებ ხეტიალს შეეშვათ
ქვეყნად იმრავლოს ბერმაო.

ეს თქვა და მიწა დაიყო
ყველას ერგუნა ნაწილი,
ორ ზღვას შუაში თავისთვის
შემოინახა ადგილი.

ამ ადგილს ჩემთვის ვიტოვებ
წმინდანებს ვუთმობ სახლადა,
ქვეყნის ნიჭი და გონება
აქ იბუდებდეს მარადა.

სამოთხე ზეცას დარჩება
მიწაზედ იყოს ესაო,
ვინც მასზედ ხელი აწიოს
მარადჟამ ქონდეს კვნესაო!

ღმერთმა იფიქრა დამთავრდა
ქვეყანა დავასახლეო,
მასთან ქართველნი მივიდნენ
აჭრელებოდათ სახეო.

უფალო ჩვენლა დაგირჩით
ვიცით, რომ დაგვიბარეო,
მაგრამ ღვინითა დავლოცეთ
ქვეყანა არემარეო,

შენ სადიდებელს ვამბობდით
მადლით ვავსებდით ყანწსაო,
მიწა გაგვისკდეს, დავბრმავდეთ
ტყულის თუ ვამბობთ ავსაო.

ღმერთი დაფიქრდა, შეწუხდა,
როგორ გამომრჩა ერიო?!
ჩემსა მიწასა თუ მივცემ
არ მოაკლდება მტერიო.

ღმერთმა მისისვე რჩეული
მიწა ქართველებს დაუთმო,
წმინდა მიწაზე ასახლა
გული რწმენითა გაუთბო.

მას შემდეგ ქათულ მიწასა
არ მოკლებია მტერიო,
რა გინდ ურიცხვი ებრძოდეს
დალოცვილია ერიო.

2015 წელი



თამარ გავაშელაშვილი

## ვერ გავიგე ვინ მოგხიბლა

თუკი შენ წინ დაიჩოქონ
ნუ იფიქრებ ღმერთი ხარ,
შენ, უბრალოდ მიწიერი,
წუთისოფლის ერთი ხარ.
ნუ დაუნგრევ ვინმეს ტაძარს
ვინც რომ შენთვის აშენა,
ნუ გადევნი გულიდანო,
ვისაც უნდა დარჩენა.
ვერ გავიგე, ვინ მოგხიბლა,
ვინ რა კოშკებს გპირდება,
შენს გარეშე მე სიცოცხლე

## ვადიდოთ უფალი

სიცოცხლედ მიღირს შენი ღიმილი,
ჩემი ხატება შენ ხარ, იცოდე,
მინდა გულში რომ სულ ალი მენთოს
და შენი გრძნობით მუდამ ვიწვოდე.
გავუძლებ ქვეყნად ყველა ტკივილებს,
უშენოდ ოღონდ დღე არ გავლიო
და თუ სიკვდილი მე მიწერია
მიჯობს შენს ხელში სული დავლიო.
წუხელი ძილში გამომეცხადე,
მე უშენობის სურვილი მკლავდა,
ო, სიყვარულო, რა ძლიერი ხარ,
ქვეყნად ვერავინ ვერ გაგიმკლავდა.
მოდი, ერთხელაც მოიწი ახლოს,
თვალები შენი უსაზღვროდ ვკოცნო,
მოდით, სუყველამ სიყვარულისთვის
ვადიდოთა და უფალი ვლოცოთ....

## სიყვარული რომ ხილული იყოს

სიყვარული რომ ხილული იყოს
გაოცდებოდა მთელი სამყარო,
ეს სიყვარული ყველაზე დიდი
შენ გეკუთვნის და მინდა გახარო.
სიყვარულს განა რამეში გავცვლი?
უკვდავებაც რომ ვინმემ მაძალოს,
სიყვარულს ქვეყნად ვერ შეველევი
სასიკვდილოდაც ვინმემ მაწამოს,
სიყვარული რომ ხილული იყოს
დაინახო და ღმერთმა გახაროს,
ერთი სურვილი მეც შემისრულდეს
და შენთან ერთად მეც გამახაროს.
შემოვივლიდით ბედნიერებით
მე შენთან ერთად ლამაზ ბახმაროს,
მე შენი გრძნობით და სიყვარულით
გულში ჩავტიე მთელი სამყარო.

## სიყვარული გაზაფხული

ჩემი გზა და ჩემი ხიდი
სადღაც შორს გადებულა,
ჩემი წილი სალოცავი
მწვერვალებზე აღმართულა.
სიკეთის და სიყვარულის
გული გაქვავებულა,
იები და ენძელები
მარტში აყვავებულა.
წამოჩიტულ გოგოს ვხედავ,
როგორ გახარებულა.
ბიჭს ულიმის, ამ ღიმილში
როგორ დაქალებულა.
სიავისკენ მისი გული
სულ არ გაკარებულა,
სიყვარულის გაზაფხული
გულში აფეთქებულა.

## ბიჭოვ, რადა ხარ ეგრე უგულო

ვერ გამიგი ვის ემალები,
რატომ დადიხარ ღამე მალულად,
მოდი, მეც მოვალ და შენც წამოდი,
ერთმანეთს შევხვდეთ კარგო ფარულად.
ახლა იღიმის შენი თვალები
და ჩემზე იგი სულაც არ ფიქრობს,
და მაინც ერთი კითხვა მაწუხებს,
ნეტავ, მაგ გული მაინც რას ფიქრობს?
მოდო, ტუჩები შემახე ოდნავ,
რომ შეგახსენო ჩემი სურნელი,
მე გეფერები, შენ კი ჩუმად ხარ,
ბიჭო, რადა ხარ ეგრე სულელი?
ნუ გამაგიჟე, დაბრუნდი ჩემთან,
არ მინდა აჩრდილს მუდამ ვუყურო,
შენ შემოგევლოს ჩემი სიცოცხლე,
ბიჭოვ, რადა ხარ ეგრე უგულო?


თამარ (იამზე) ქელიძე

## ბოროტი სული მიქელ-გაბრიელს
## დღეს ან ხვალ მიყავს, ყველამ გამიგეთ

მშიერი ხედვა, მძიმე ძიებით
თითქოს სიბნელე ბორკავს ნაბიჯებს,
სანამ ვარსებობ, მე მსურს ძლიერი
ვიყო გახსნილი, შენ ვერ დამიჭერ.
ბოროტო სულო, სულ რომ დამჩხავი,
ჩემს შემოგარენს აღარ ცილდები,
გსურს დამიტოვო ყველგან ზამთარი,
გაღრმავებული მძიმე კირთებით.
ჰოი, რამხელა სიბნელე მოგდგამს,
იქ ცრემლიც, ვფიქრობ, რომ ზედმეტია,
მე კი გავძახი ამ წუთას მოყვასთ,
ისინი ყოველს ბრძნულად მეტყვიან.
და სისხლისფერი ისევ შენს ფიქრში
ჩაილექება ფართედ, მბურღავად,
თავისუფლების მიმდევრად ვიშვი
ჩემს გზას ვადგივარ მარად, ურყევად.
ცეცხლშიც ხომ ხშირად ვიყავ მშველელი
ავხორცთ, ავზნიანთ ვაცამტვერებდი.
ბოროტო სულო, შემრჩი შენ ერთი,
მახეს რომ მიგებ ფერებ-ფერებით,
მწარე ღიმილში ვაზავებ შენს ხმას,
მიქელ-გაბრიელს მოეწონები,
მადლობა ღმერთს, რომ სიკეთე შემრჩა,
ისევ გახსნილი მაღალ გონებით.
შენს სასაფლაოს კარიბჭე ისევ
გიხმობს და მისი მოსაწონი ხარ,
ბოროტო სულო, იქ იხალისე,
თავი არყოფნის თანასწორი ხარ.
მაინც ლოცვაში ჩავიძირები,
ბოროტიც ღმერთმა რატომღა შობა,
თუმც სიკეთისთვის გავიწირები,
შავბნელ ხიფათებს სინათლე ჯობდა.
თუმცა მე ვინ ვარ, მაგრამ ძახილი
სულის შემომრჩა და აღმაფრენა.
ცხოვრებისაგან ისევ დაღლილი,
მაგრამ ჩემთან არს იმედი, რწმენა
და გამარჯვება ხატის ფერებით,
სავსე და ლაღი გაზაფხულებით.
სიცოცხლეს დიადს მე ვეფერები
და ნუ ვიქნებით დაზაფრულები.

სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს დიდხანს,
ჩვენ არნახული კაშკაშა მზით ვართ
ხვალის ამინდი უფრო მშვენებით
შემოდის, ხედავთ, კარებიც ღია
დაუტოვია, აღმოცენებით
რომ მიეახლოს მზიანს და გზიანს.
მეც ხომ ჩართული ვარ ფერთა ზღვაში,
შენი განზრახვა ბოროტო სულო,
კვლავ არყოფნასთან ეძიებს კავშირს,
წა, სიბნელისკენ, შენ დაისრულო.
სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს დიდხანს,
ჩვენ არნახული კაშკაშა მზით ვართ,
ბედნიერება შემოდის სიბრძნით,
ლამაზ სიცოცხლეს გვიმზადებს, ვიცით.
ბოროტი სულნი მიქელ-გაბრიელს
დღეს და ხვალ მიყავს, ყველამ გამიგეთ.
ლამაზი ზეცა ელვარებს უფრო,
ღმერთო, მადლობა შენს ამაგს უქრობს.

20. 01. 2014. წ.



კლარა გელაშვილი

## ერთაწმინდაში

ეძღვნება პაატა სააკაძის ხსოვნას

... მეგონა, საუკუნეებს მოვერეოდი ფიქრით,
რადგან შემჭირდა, გავმიჯნო რეალობისგან მითი!..
უმანკოების აჩრდილმა პასუხი უხმოდ გამცა,
ზვარაკად შეწირულისად,სულს ყრუ ქვითინი დასცდა...
აჭედა გულის სარქველი შედედებულმა სისხლმა, –
სამაჩაბლოდან, რამდენმა, უსაფლავობა მითხრა!...
სოხუმში, სხეულგაყრილებს როს შეურაცყვდნენ ფეხით,
იდგა მამულის წიაღში და ქვითინებდა ღმერთი...
კვლავ მეორდება წარსული ელვა-ქუხილის ხმაზე,
ისევ ტრიალებს დოლაბი, ჩვენი ვაჟების ხარჯზე!...
ვერ შეაჩერეს ლეკური,ვერ ჩაალწიეს ფესვში,
ხმაგაბზარული ვინ მღერის მრავალჟამიერს ჩვენში?!
ყალყზე შემდგარა მერანი, მხედარს მჯილი აქვს მკერდთან,
სააკაძეთა მშობელო, მტერს რა ხელი აქვს შენთან?!

## XXI საუკუნის ზღრუბეზე

ოცდამეერთე, ოცდამეერთე,
ოცდამეერთე რეკვა ზარისა,
ოცდამეერთე სუსხი რიჟრაჟის
და დამწუხრება წინა ღამისა...
უკვე მობრძანდა, მოსჩანს ძლიერი,
ბუმბერაზივით ლაღი, ამაყი...
ოცდამეერთე კი არ წაგვლეკავს, –
კვლავ ულამაზეს ფურცელს გადაშლის!
ოცდამეერთე, ნუთუ შენ ის ხარ,
ვის მოთმინებით დიდხანს ველოდით,
იქნებ შენც ისე, როგორც ყოველი,
მწარე წარსულად განმეორდები?!
....და თუ შენც ფიქრობ, სისხლის მათრახით,
ფიქრადქცეული წლები გახედნო,
მაშინ სჯობია, ისევ მეოცეს,
რამოდენიმე წელი ასესხო! –
იქნებ გაირკვეს, იქნებ დაერქვას,
იქნებ ვიპოვნოთ იგი ტაძარი,
ოცდამეერთევ, არ გადიბარო,
ტვირთი მძიმე და, ტვირთი ამგვარი!
...და თუ არ იშლი, მაინც მოდიხარ,
მაინც მოარღვევ პირქუშ ტრამალებს,
გადამღერება თუ კვლავ მოგელის
გაიმეორე, გთხოვ და გავალებ, –
კვლავ გაგვიჩინე ერთი თამარი,
ერთი დავითი, ერთი თევდორე,
მე ქეთევანის კაბა ჩამაცვი
და მისი ტანჯვა გაიმეორე!
გული დასერე, შანთით დამივსე,
თვალი ისედაც უკვე დავსილი,
დაე, ურჯულოს ხელმა მომცელოს
ციხე არ მინდა შიგგან გახსნილი!
ოცდამეერთევ, ბნელა ძალიან,
მიწას მშობლიურს ჰფინე ნათელი,
ფრთხილად, მტკივან გულს ნუ დააბიჯებ,
სული ამივსე თეთრი ფანტელით...
...უკვე მესამე ათასწლეული
თავისუფლების რაშით ნავარდობს
და, ცოდვა-მადლით სავსე ქვეყანა,
თავისებურად, ბრუნვას განაგრძობს...
გმადლობ უფალო, რომ მე, მოკვდავი,
საუკუნეთა აღლუმს შემასწარ,
წარმავალია თითქმის ყოველი,
ნირშეუცვლელი მხოლოდ შენა ხარ!

• ერთაწმინდა 2016 წელი 29 ივლისი



კახა სამყურაშვილი

## იარაღი

უკვდავ სიყვარულს როდესაც ვჰპოვებთ
და ჩვენს ხელთ ვიპყრობთ სრულ გამარჯვებას,
ტანჯვას სამარედ ჩამოვიტოვებთ,
დასამარდება თვით დამარცხებაც,
როს გადავიხდით ომს საბოლოოს
და დაგვიდგება უწყვეტი ლხინი,
მიზანს მიაღწევ შენ, სამშობლოო
და გაგაბრწყინებს უკვდავი სხივი!..
როს აღსრულდება რწმენა, მისია
და დასრულდება ბრძოლაც და ღვაწლიც,
როცა ფარ-ხმალიც უმაქნისია,
როცა დრო მხოლოდ უწყვეტ ლხინს გვაცლის –
გასამძაფრებლად ლხენის და შვების
გაიხსენებენ განვლილ სატანჯველს,
სახსოვრად ძლევის და გამარჯვების
ამოსჩხრიკნიან ხმალს ჟანგიანს, ძველს;
ჩამოსცილდება მას ჟანგი, მტვერი,
საჩინო ალაგს დადებენ კრძალვით,
ერთგულ იარაღს თაყვანს სცემს ერი
და აღივსება მადლით და ძალით, –
მაშინ დადებენ ამ ნაღდ ლექსებსაც
მამა-პაპური ფარ-ხმალის გვერდით,
მათ ბრძოლა-გარჯა აღარ ექნებათ,
მოწოდება კი იქნება ერთი:
– რომ ერმა ლექსად ღმერთს აღუვლინოს
სადიდებელი, სამადლობელი,
შვებით ვილხენდეთ ნაკურთხ პურ-ღვინოს,
ჟღერდეს ქართული საგალობელი!



უშანგი მოსიაშვილი

## მე ის კაცი ვარ

მე ის კაცი ვარ – მთლად უპატრონო,
მაგრამ ამავდროს ბევრის პატრონი.
არ მიფიქრია ვისმე ვემონო,
ანდა მე ვიყო ვისმეს ბატონი.
ქვეყნად არავინ არა მძულს,
არვის სიმდიდრე არა მშურს,
პატივს ვცემ ყველა ჭკვიანსა,
კაცს ერთგულს, გამგებიანსა.
ყველაზე დიდი კაცობა
არის სიკეთის კეთება.
ათჯერ დიდია ის კაცი,
ვინც დაინახა და იგრძნო
სხვისგან სიკეთის ქმედება.

2005 წ.

## ვინ მოელოდა ახალ მაჰმად-ხანს?

ადრენალინი რომ აზვირთდება
და სისხლი იწყებს სხვაგვარად ჩქეფას,
სხეული სულ მთლად დაძაბულია,
ვერ ვეგუებით ჩვენ რუსის ჩექმას.
ჩემო ქვეყანა, რა ბედზე გაჩნდი,
რომ ვერ გიშველა სამების ძალამ?
საუკუნეთა ორომტრიალში
ბევრი დაგაკლო შენ მტრების გავლამ.
ოცდამეერთე საუკუნეში,
ვინ მოელოდა ახალ მაჰმად-ხანს?
რომ მაშინდელზე უფრო ძლიერად
ააოხრებდა მამულს და შენს ხალხს?
მე უფალს, გამჩენს შევევედრები,
რომ გაგვიცოცხლოს დიდი დავითი,
წამოიხედოს მან საფლავიდან
და მტრებს აჩვენოს ძალა თავისი.

2008 წ.

## სიზმრად ვნახე საქართველო

სიზმრად ვნახე საქართველო,
ცრემლის ზღვაში ბანაობდა,
მის ტალღებზე ურჩხულივით
დიდი გემი ქანაობდა.
მახლობლად კი იქვე გვერდით –
მტრების ჯარი ნებივრობდა.
ეს შენიშნა დიდმა მეფემ –
დავით აღმაშენებელმა,
ახლოვანმა, გონიერმა
ქართველთ დამამშვენებელმა.
ყველა კინწისკვრით ისროლა,
საზღვრებს იქით გადარეკა.
და შეშინდა მტრის ჯარი,
რომ შეიგრძნო ქართველთ ძალა,
არც არასდროს მოუნდებათ
დიდ მტრებს ისევ აქეთ გავლა.

2008 წ.

## თავისუფლება

არტახის შეკვრა ბავშვისთვის
ძნელია ასატანადა,
როცა შეკრავენ სულ ცდილობს
სურვილის გასატანადა.
მას უნდა თავისუფლება
გამოიყენოს ძალადა.
ხელი და ფეხი აქნიოს
მშობლების გასახარადა.
წამოიზრდება მას უნდა
არვის უხრიდეს ქედსაო,
როცა სურს რომ ის აკეთოს
არ ემდუროდეს ბედსაო.
თავისუფლება ყველასთვის
არის მუდმივი საგზალი,
მაგრამ უფალი ყოველთვის
ასეთ ყოფას არ აგზავნის.
თავისუფლება ყველასთვის
ყველაზე დიდი ხიდია,
ვინც ასეთ ყოფას შეუშლის
ბოროტია და ფლიდია.

2014 წ.

## ერთმანეთის იმედით

მოსისხლე მტერს წინაპრებმა,
შეალეწეს თავის გულის ფიცარი,
რადგან მათთვის ჩვენი მიწა,
იყო დასაფიცარი.
მაინც მთელი მოიტანეს,
მათ ეს ჩვენი ქვეყანა,
მტრის გვამები ჩვენს მიწაზე
მუდამ ბევრი ეყარა.
ახლა რა გვჭირს, რად დავსუსტდით,
სხვის კარს რატომ მივედით?
თუ გვაქვს ძალა, მტერს შევებათ
ერთმანეთის იმედით.

2005 წ.

## არაგველებს

ბიჭებო, არაგველებო,
მთიდან მოხვედით ბარადა,
მტერს დაულეწეთ ფარ-ხმალი,
დიდგორს, შამქორს და მარაბდას...
ასმა ათასი გაწყვიტეთ!
მინდა, თქვენზე ვთქვა ბალადა,
თქვენ შეაკალით მტერს თავი,
მტერი დაიბნა თავადა.
მხოლოდ სიმრავლით გაჯობათ
მომხდურმა ქართველ რაინდებს,
თორემ ვერ დაიკვეხნიდნენ,
რადგანაც აღარ დაინდეთ.
თქვენ ვაჟკაცობამ კრწანისში
ქართველთ გაუთქვა სახელი,
მაგრამ მშობლიურ არაგვში
ვერც ერთი ველარ ახვედით.
თქვენმა სულებმა სამშობლოს
მთლად მოაფინა ნათელი,
თქვენ სადიდებელს მარადჟამს
ყოველთვის შესვამს ქართველი.
ბიჭებო, არაგველებო,
დღესაც გვიხარებთ გულსაო
ჩვენ დანთებული სანთელით
თქვენ გაგინათებთ სულსაო.
ბევრ ცოცხლებს დიდად სჯობიხართ,
ბევრი გვაქვს თქვენზე სათქმელი,
არ დაგივიწყებთ სამშობლო
სანამ იქნება ქართველი.
ნეტავ რა დედამ დაგზარდათ,
ვინ დაგილოცათ გზა-კვალი,
ვინ გადაგავლოთ არტახი,
ვინ დაგირწიათ აკვანი.
ვაი, იმ დედების ყოფას
ვისი შვილიც რომ გმირია,
მაგრამ ის დიდი გმირები
სოფელში ველარ ივლიან.

2006 წ.

## ფარსმან მეფე

არ გასულა მთლად დიდი დრო
ქართლში გაჩნდა ფარსმან ქველი.
ააყვავა მან ქვეყანა,
დაამარცხა ყველა მტერი.
ფარსმან მეფემ ადრიანეს
არ დაუდო არსად ტოლი
და მის შემდეგ მის ქვეყანას
ვერვინ გაუბედა ომი.
ანტონიუს ნიუსმა კი
რომში დადგა ქანდაკება
და მის მერე ფარსმან ქველზე
მთლად ევროპა ქადაგებდა.
როს პართია გაძლიერდა
მოინდომა ქველთან ომი,
მაგრამ ქველთან ვერას გახდა
ის იბრძოდა როგორც ლომი.

2014 წ.

## სამშობლო მთელი

ნუ გამახსენებთ ძველ სინამდვილეს
თორემ დავიწვი მე სინანულით,
როცა ვიხსენებ ჩვენ ქვეყნის წარსულს
გული მევსება მე სიხარულით.
და რომ ვფიქრდები სოჭს, სოჩა ჰქვია
თავის სამშობლოდ კი სხვები სთვლიან.
უკიდურესად დაძაბული ვარ
წარსულზე ფიქრით მე გული მტკივა.
დღეს რაღა დადგვრჩა, რა აგვაქვს სათქმელი
როგორც ვმოქმედებთ, რა გვაქვს საქები.
დაპატარავდა ეს მიწა ძველი
და კიდევ უფრო უარესს ველი.
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე
მამულს უვლიდა ქართველი ერი,
ეს მიტომ იყო, რომ ერთად იდგა
მამულისათვის ერი და ბერი.
არავის ახსოვს ქართველი მხდალი
გამონაკლისი მხოლოდ დღეს არი.
ვერ შევინახეთ ჩვენ ჩვენი ერი.
დამისახელეთ ერთი ქვეყანა
ვინც დათმო თავის მიწა და წყალი.
ჩვენ რად დავსუსტდით, რა დაგვემართა
დიდ წინაპრების ჩვენა გვაქვს ვალი.
აბა დაფიქრდით თუ ვინ რას გვითმობს
ჩვენ მიწა-წყალზე სხვა ხელებს ითბობს.
დავპატარავდით აღარ გვაქვს ძალა
არას გვიშველის ჩვენ სხვაგან გავლა.
ყველა მეზობელს ჩვენი აქვს მიწა
როგორ მოვძებნოთ ვინ ვის რა მისცა?
ვისაც დავუთმეთ ყველა მტრად იქცა
და ყველა ახლა ჩვენ მიწას იცავს.
ჩვენ კაცი გვინდა დავითის დარი,
მაგრამ ვერ ვხედავ ჯერ არვინ არი,
რომ დავიბრუნოთ მამული ძველი
სამშობლო გვქონდეს ჩვენ ისევ მთელი.

15.06.2014 წ.

## არას გვიშველის მარტო ჩივილი

მინდა რომ ციდან ჩამოვიყვანო
მე ვარსკვლავების მთელი ამალა,
გავაცისკროვნო მთლად საქართველო
აღარ გმინავდეს იგი აღარა.
მინდა ათბობდეს ჩვენ წმინდა მამულს
ხალხის გულები და მზე თაკარა,
აღარ ისმოდეს ხალხის ჩივილი
და არ გვტანჯავდეს მტერი აღარა.
მინდა რომ ყველამ იგრძნოს ტკივილი
აღარ ისმოდეს გულქვა ყივილი,
რომ ერთად დავდგეთ და გავმთლიანდეთ
არას გვიშველის მარტო ჩივილი.
და ალბათ ღმერთიც წამოგვაშველებს
ღვთიურ ძალას და უდრეკ ზმანებას,
ჩვენ უფრო მეტად გავძლიერდებით
ყურს არ დავუგდებთ არვის ბრძანებას.
ალბათ ის არის ჩვენი საშველი
ჩვენში ვეძებოთ ხალხი მაშველი.
და დავიჯეროთ მარტო წუწუნით
რომ არ იქნება ჩვენი საშველი.

2014 წ.

## რწმენა

ჩვენ უფალმა დაგვანათლა
მოგვცა დიდი რწმენა
და დღემდე შევინარჩუნეთ
მამული და ენა.
ბევრი ერი გადაშენდა
აღარ დარჩათ აღარც ენა,
ეტყობა რომ მათ წინაპრებს
არა გქონდათ ჩვენებრ რწმენა.
წინაპრებმა მოგვიტანეს
ჩვენ ლამაზი მამული,
მაგრამ ჩვენ ვერ ვუპატრონეთ
დაგვრჩა გადახრამული.
ალბათ რწმენა თუ გვიშველის
დავიბრუნოთ ჩვენი მიწა,
შავი ზღვის სანაპირონი
აფხაზეთი და ტბა რიცა.
ურწმუნო ხალხს არასოდეს
არ ჰქონიათ დიდება,
არ უშველის მათ არასდროს
სხვებზე გამოკიდება.
ალბათ ღმერთიც გვიპატრონებს
მოგვცემს მკლავში ძალასა
და მომხდურ მტერს პასუხს გავცემთ
არ დავუთმობთ არასა.

2014 წ.



ნელი ქველაძე

## მამულს

გმირი წარსული წარუშლელია,
მუხლს არ მოვიყრით არვის წინაშე!
უფალმა ღმერთმა ნუ მოგვიშალოს,
შენი მადლი და შენი ზედაშე!
შენზე ვლოცულობთ ცისმარზე დილას
წინ მიგვიძღვება ვაზისა ჯვარი;
ღმერთო! უკურთხე მარჯვენა ყველას,
ვის არ ასვენებს მამულზე ჯავრი.
გამოგვივლია ჟამი ტყვეობის,
გული სიღრმემდე დაშანთულია;
ქარმა დაჰქროლა თავისუფლების,
ვინც არ მოგვყვება,
ღვთისგან კრულია!
წინ თამარისკენ, წინ დავითისკენ!
რუსთველი იწყებს ახალ პოემას,
ხოტბას შეასხამს ახალ რაინდებს,
და გაგვიმტკიცებს სულის მხნეობას!
მაშ, გავეშუროთ წმინდა ტაძრისკენ,
დე, საზრდოდ გვქონდეს სულ სათნოება,
მაღლა ავწიოთ დროშები მზისკენ.
და აღვიდგინოთ ძველი ერთობა!

1989წ. აპრილი

## სამაჩაბლო

ხარ ჩვენი სისხლით უხვად ნაჟღენთი,
მიწის კი არა, გულის ნაგლეჯი,
აღარ გვეთმობა გოჯი არცერთი,
დროა, აგევსოს ძარღვი ნაწრეტი!
ქართველ ოსტატთა ყალმით ნაძერწი,
მომხვდურთა მიერ ნაწვავ-ნაწეწი,
ცხინვალი, კეხვი, თამარაშენი...
მკვიდრი მიწაა, ქართველო, შენი!
ჩუქურთმა ჩაწნულ-გადახვეული,
წინაპართ ხელით დარგულ-ქარგული,
გონს მოდით! რად ხართ გადარეული?
აქ ყოველივე არის ქართული!

ბაღ-ვენახები, ცა და მთიები,
ხმალი, ხანჯალი და ორლესული,
თვალს რად იბრმავებს გადამთიელი,
აქ რაიმეა განა რუსული?!
ყურად არ ვიღეთ ილიას რჩევა,
დიდხანს გვეხუჭა ორივ თვალები,
გვეყო, უმიზნოდ გუნდრუკის კმევა!
კმარა, რაც ვკარგეთ ციხე-ტაძრები!
ხარ ჩვენი სისხლით უხვად ნაჟღენთი,
მიწის კი არა, გულის ნაგლეჯი,
არვის დავუთმოთ გოჯი არცერთი,
უნდა აგევსოს ძარღვი ნაწრეტი!

## ავი წინათგრძნობა

საით მოცურავთ ღრუბლებო,
რატომ აშლილხართ ჩქარადა?
არ შეეჯახოთ, ცრემლები
ჩამოგვაცვივა ჯარადა!
ხან წითელი ხართ, ხან შავი.
თქვენი გზა ცაზე ხსნილია,
რას მოასწავებს ნეტავი?
მართლაც, რომ სასწაულია....
მე თქვენს მაცქერალს მეცვლება,
კარგი გუნება ავადა,
წითელი სულ გაცრეცილა.
ცა დაიბურა შავადა!
რად იმუქრები, ლეგაო!
რატომ ქეულხარ ხელადა?
არ გიფრთხი, არც ვიბნიდები,
ჭირს მივეჩვიე თმენადა!
ღრუბლებო, რატომ დაგვცინით,
რად იმუქრებით ავადა?
არ შეეჯახოთ, ცრემლები...
გადმოგვაცვივა ჯარადა.

თბილისი. 1991წ.

## ეჰეი, ქართველნო!
### საქართველოს პირველ პრეზიდენტს

დასაბამიდან, ქართველნო,
გვიქებდნენ ვაჟკაცობასა,
ჟამი არს ძმა-ძმას ერწმუნოს;
სჯობს ქიშპს და  კინკლაობასა!
ვაგლახ, მერაბი აღარ გვყავს,
ზვიად  - ორ ცეცხლში მდგარია,
ერი იმედით შეჰყურებს,
მომავლის მაცქერალია!
შენზე ფიქრები მამულო!
გარს ერტყმის, ვითა ჯარია,
ძალა მიეცი უფალო,
ღმერთო, დასწერე ჯვარია!
დღეს ყველა ხედავს ბრძენკაცი
ხალხს მოევლინა მხსნელადა
სულმნათი მამის ანდერძი,
წინ მიუძღვება მედგრადა!
თუ დაიკარგა ერთობა,
ყველა კარგ საქმე მკვდარია,
რას გვარგებს გათიშულობა,
გაყრა ყოველთვის მცდარია!
გვერდით დავუდგეთ ქართველნო,
მტკიცედ ვიბრძოლოთ ერთადა,
ილიას შემდეგ რაინდნი,
კვლავ მოგვევლინენ ქვეყნადა!

1990წ.



**შალვა ილურიძე**

## საყვედური მტკვარს

მტკვარო, ცოდვებით დამძიმებულო,
რამდენს ითმენდი და მწარედ სდუმდი.
ასი ათასის, მოწამის სისხლი,
რომ შეგერია რად არ ასდუღდი?!.

## პაპის ჯაჭვის პერანგი

ბუხრის პირას რომ დამკიდეთ
ბალღავ! – მე პაპის პერანგი,
ნახმლევს, ნაისრალს, ნახანჯლარს,
ვერ მგლეჯდა მტერი ვერაგი...
შენს პაპას მებრძოლს ვიცავდი,
ოფლით და სისხლით ნაფერი.
მაინც ის პეწი შამამრჩა,
ვაჟკაცის მხრების საფერი...
– ახლა ბუხრის თავს დამკიდეთ,
კვამლი მიშავებს რგოლასა
ახლებს გგონიათ ბებერი
ველარ შავიძლებ ბრძოლასა...
მაგრამ შიში გჭამთ ახლებო,
ჩემის ფოლადის რგოლისა,
კოჭებში ვერ – რა გეტყობათ
სამშობლოსათვის ბრძოლისა...
– ნუ დამაჟანგებთ ბოკვრებო,
ფოლადის ჯაჭვის პერანგსა.
კრწანისის ველზე გამფინეთ,
მტერსა შავაკვდე ვერაგსა...
ან მარაბდაზე გამშალეთ,
ან დიდგორს მითხართ შენდობა,
ან ჯვარზე მაცვით მარტყოფში
ჩემი პატრონი მენდობა...
– ბუხრის პირას ნუ დამკიდებთ,
შავ სისხლად შავიმჭვარტლები.
პატრონის გვერდით ჩამმარხეთ,
მეც მჭამდეს, ჭია მატლები!!!

## აფორიზმული

ჩემი სულის სამყაროში
ვეძებ ჩემსა საკბილოს,
გველზე მწარედ შეიძლება,
ავ ძმაკაცმა დაგკბინოს!!!

## სულის სიწმინდე

სულის სიწმინდე, განძია ჩემი,
გულმკერდს მიმშვენებს, სისხლის ბარია,
მე კაცი ვარ და სულის სიწმინდე,
უზენაესი მეგობარია...
მე ჩემს მეგობრებს პატივს მივაგებ,
მათი სიცოცხლე გულს უხარია.
მაგრამ სულ სხვაა, სულის სიწმინდე,
ის ჩემი დიდი მეგობარია!!!

## ჩემს ანგელოზს

მე სისხლ-ხორცში ვგრძნობ,
ჩემს ანგელოზს როგორ ვუყვარვარ.
როგორ დამყვება, როგორ მფარველობს
დღითა და ღამით.
ეს ანგელოზი, ჩემი წინაპრის
წმინდა სულია!
და ამიტომაც ბედნიერი ვარ
უზომოდ ამით!!!
მე იმასაც ვგრძნობ,
რომ „უფალსაც" ძლიერ ვუყვარვარ.
წმინდა მამა ხომ მფარველია
დევნილებისა?!!
უფალს არ უყვარს, ოლიგარქი
მდიდარი კაცი,
ხარბი, უძღები, სახე არის
ბოროტებისა...
არც სურვილი მაქვს არ ვნატრულობ, დიდსა
ქონებას,
მინდა რომ ვიყო, წმინდა მამის
მლოცველი, მრევლი.
ჩემს დედულ-მამულს, გამოვადგე
როგორც ცის დვრიტა,
და ჩემს მომავალს დავუტოვო
სიკეთე!
ლექსი!
სიმღერა ბევრი!!!

## თქვენ გაქრებითო

თქვენ გაქრებითო, მალე რუკიდან,
უცხოელებმა გვითხრეს ქართველებს.
ეს ხალხი ამით გულს იოხებენ,
მე – კი! – ეს უფრო ძლიერ მახელებს!
ვისაც შოთა ჰყავს, ილია, ვაჟა,
ცოტნე, დავითი, თევდორე ბერი,
ვისაც ვაზი აქვს, ჯიშით მრავალი,
ბეღელ-მარნები, ჭიპჭიპა ქვევრი...
ვისაც ამდენი წმინდა მეფე ჰყავს,
წმინდა სულები და წმინდა ერი.
ამ ხალხს გაქრობით რომ ემუქრებით,
რა გაქვთ უფალთან, სათქმელი ბევრი?!.
მართლმადიდებლის სარწმუნოებას,
ვინ შემოაწნა ფოლადის წნელი?!
ამ ერის ალგვა, მიწიდან პირით
უფლის გარეშე ძნელია, ძნელი...
შვიდი სიმღერა მთვარეზე გალობს,
შიგ ჩაკრულო დევს, ქართველი ერის!
ვერ გაგვაქრობთ და გადაგვაშენებთ,
სანამ ქართველი მთვარეზე მღერის!!!
ჩვენ ვერ გაგვაქრობთ დედამიწიდან,
გვარი ძირძველი მოგვდგამს ქართველებს.
ბევრ ვძულვართ, ბევრსაც შური აწუხებთ,
მაგრამ! – მე უფრო ეს დიდი შური!
ძლიერ მახელებს!
ძლიერ მამხნევებს!
და სამშობლოზე შეყვარებულსა
ძლიერ მამღერებს!!!



ნაირა ნიჟარაძე

## სურვილი

1.
გუგულის კაბა მომართვი,
გამიხალისე გულიო,
ცხენზე შემსვი და მატარე,
თეთრ ნისლებს ჩოხა ვურლვიო.
გადავუქროლო მთა-გორებს,
მტერი ჩავქოლო მომხტარი,
მავთულხლართები ჩავლეწო,
სულ ახლოს, კარზე მომდგარი.

2.
მე უნდა მქონდეს წელზე ხანჯალი,
ამორძალივით მხარზე ისარი,
რიბირაბოზე დილა არც არის,
თავს დამედინოს ზეცის ცვარ-ნამი.
მე უნდა ვიყო მეტად თამამი
განვდევნო მტერი – ყოვლის ნათელის,
ვინაც დაიპყრო მიწა ნაწამი,
შემოგვახვია მავთულხლართები.
წაგვართვა ეზო, უცხოდ სანახი.
ტანკით გათელა ოქროს სოფელი,
გაანადგურა ბაღი, ვენახი,
გაანადგურა ჩემი სწორფერი.
არვინ გვენახოს ცრემლით ნამული,
მწამს, რომ დაგვიცავს მაღლა უფალი,
ეს მშვენიერი ჩემი მამული,
იყოს ლაღი და თავისუფალი!..

## მთამაღალზე

მთამაღალზე წყაროს პირას,
სახლი მიდგას ვარდისფერი,
ირგვლივ ნაძვი, სოჭი, რცხილა,
ატლასივით მწვანე ხევი.
ჟღურტულებენ ჩიტუნები,
მოშრიალე კლდეში, ღრეში,
მელაკუდა, ეშმაკუნა,
დასუნსულებს ბუჩქნარებში.
თუთები და ალუბლები,
მზიან ცის ქვეშ ნამყოფები,
დახუნძლულან ნაყოფებით,
ჩანს მთელი წლის სამყოფები.
მთვარე ხშირად იჭყიტება,
თეთრ ფარდიან ფანჯარაში,
აივანზე დიდი ვაზი,
არ შესულა ჯერაც ხანში.
გვირილები მოფენილან,
ჩემს მახლობლად მთა და ბარში,
მზით გამთბარი არსად წავალ.
გავიღვიძებ ნათელ სახლში!..

## ასეა

მთელი საქართველო მღერის,
ასეთია ქართველი ერი.
მთელი საქართველო პოეტია,
მის იგვლივ რა მიეთ-მოეთია?!
მთელი საქართველო ხატავს,
ჰგავს გულმოხატულ კაბას.
არც მავთულხლართები აშინებს,
ტკბილი იავნანა აფხიზლებს.
არც მგელთა ხროვა აძრწუნებს,
თუმც მტერი მუდამ აწუხებს.
რამდენი ურჩხული განდევნა,
მოსპო, დაადნო მადნებად.
მფარველობს დედა ღვთისმშობელი,
ვარდ-გვირილებშია მთის სოფელი.
მთელი საქართველო მღერის,
ასეთია ქართველი ერი!..

# პენსიონერი

*ვერ გაიგრძელებ წუთისოფელს,*
*სიკვდილი გველტვის.*
*გ.მაიაკოვსკი*

1.

მინდა გიამბოთ, როგორ ფიქრობს პენსიონერი
ტანჯვა უნახავს ბევრზე ბევრი, აუწონელი.
მას არ სწყინდება ზეცის ცქერა, გაუხუნარის,
არც დაუკარგავს სიხალისე, შრომის უნარი.
ნელი სიდინჯით, გულისყურით, ბაღ-ბოსტანს უვლის,
ირგვლივ იფრქვევა ყვავილოვან ლიმონის სუნი.
მეტი რა გზაა, დანებდება ჟამთა სვლას ხელად,
დედამიწაზე სიცოცხლე კი ანთია, ელავს.
ფოთოლგაცვენილ ბუჩქებს მოჰგავს ზოგი მათგანი,
ზოგსაც ვერ იცნობს, ბავშვობისას ადრე მნახავი.
ზოგი ლერწამს ჰგავს, მიირხევა ქარის ქროლვისას,
გაიბადრება სიხარულით ვაზის მოვლისას.
ზოგი თუ იყო მეტად ცელქი და დარდიმანდი,
ახლა კი ჯოხით დაბარბაცებს და ძლივსღა დადის.
თუთის ნაყოფი წამდაუწუმ ეცემა მიწას,
ადამიანიც ასევეა, ვერავინ იცავს.
პენსიონერი ქვეყნისათვის დიდი განძია,
მუხის სადარი, მისი მსგავსი თითქმის არც კია.
ცხოვრების სკოლა გაიარა, დღეს არის ბრძენი,
ნახა ბრძოლები, სატანჯველი, უთქმელი ენით.

2.

ხშირად გაისმის: – ბებო მშია, ბებო, მე მტკივა,
– თოვლი ჩამოდის, ჩამეხუტე, ძალიან მცივა.
ბაბუ კი ჯოხით დინჯად დადის, უღიმის ბავშვებს,
და სასეირნოდ, ახლოს გაშლილ, ბაღებსაც არჩევს.
ომის გრიგალ-ქარს ვინც გაუძლო, ის დადის ფიქრით,
ცეცხლს გადაურჩა და დარჩენილ დღეებსღა ითვლის.
ერთად დადიან, კითხულობენ გაზეთს კაცები,
სურთ სხვას უამბონ აწ განვლილი მძიმე განცდები.
სახლში ბრუნდება, ძალგამოცლილ ფეხებით წვება,
წყნარად ყურს აპყრობს ჩიტუნების მწვანეში სტვენას.
ბევრი ჰქონია მწუხარება, ცრემლი და ლხენა,
ჰქონდა ზრდილობა, სიყვარული და ჭირთა თმენა.
მას სურს უმზიროს მთებს და კორდებს დაუსრულებლივ,
უყვარს სამშობლო ტრფიალია დედა-ბუნების.
ზოგს დაეხოცა საყვარელი ცოლი და შვილი,
და მარტოდ-მარტო ცას შეჰყურებს და აღარ ტირის.

3.

სამწუხაროა, გეფიცებით, ძალზე, იცით რა?
ვინც გამოდევნეს სახლისა და მისი მიწისგან.
როგორ იქნება არ აღელდეს პენსიონერი,
წაართვეს მიწა, გადაბუგეს მთელი სოფელი.
სოხუმი რად ღირს, წაართვეს და მიისაკუთრეს,
წალკოტი ჰქონდათ, გამოგლიჯეს ძვირფასი კუთხე.
ქართლი, ცხინვალი, გაამწარეს და დევნილები,
გადაიფანტნენ აქეთ-იქით, როგორც ღილები.
ველარ ხედავენ მოგუგუნე ფაბრიკა-ქარხნებს,
და მიწას სხვისი ტანკ-მანქანა ღარავს და არყევს.

4.

– გამოვიფიტე, – ამბობს კაცი, არვინ მევლება.
გულმავიწყობა დამებედა, რა მეშველება...
– ჩვენ გადავურჩით შავბნელ დღეებს, მძიმე ქარ-წვიმებს,
ბედი არასდროს მოლოდინებს არ აგვაცილებს.
მაინც მთავარი არის პური, ხალხს არ მოაკლდეს,
აგერ ჭინჭველა იბრძვის როგორ და ტვირთს მიათრევს.
უცხოელები რად გაგვიხდნენ მიწის მოდავე,
გული ვერ ითმენს უსამართლოს, გული მბორგავი.
დარდი არ ჰქონდეს, ჯერ არავინ არ შემხვედრია,
ვინ იცის, მძიმე მწუხარება ვისი ხვედრია.
– მე ველოდები მოუთმენლად შინ დაბრუნებას,
მწამს არ გამწირავს მშობლიური დედა-ბუნება, –
ამბობს კაცი და უნებურად ცრემლი ჩამოსდის,
მის ლამაზ სახლში, ახლა სხვისთვის, ეს მზე ამოდის...

5.

აფხაზეთი და საქართველო ერთად იქნება,
როგორ გვიყვარდა ერთმანეთი, – ამბავს გვიყვება.
კეთდება გზები, ტაძრები და ცათამბრჯენები,
მას აშენებენ ქართველების თბილი ხელები,
მზე დიდ სიხარულს, ჩვენს ქვეყანას, მუდამ პირდება,
ეს საქართველო ერთანი ისევ იქნება!..

## ქალი – გემის კაპიტანი

კაპიტანო, არავის თხოვ შველას,
გედის მსგავსად დასეირნობ ზღვაზე,
არც მხარულით ცურვა შეგეშლება.
ებრძვი ზვირთებს ვარსკვლავამდე აშლილს.
უბრძანებ და გაგიშლიან ბადეს,
აივსები ვერცხლისფერი თევზით,
ყველას გულში დიდ იმედებს ბადებ,
დელფინების სიგნალები გესმის.
გესიზმრება აფრები და კანჯო,
მეზღვაური, ღონიერი კაცი,
ალვის ხეს ჰგავს, მის შეხედვას რა სჯობს,
თავზე თმები ჯეჯილივით აზის.
ეყვარები, რაღა გინდა მეტი,
გაგამხნევებს, თუ დაიწყებ ტირილს,
ის არასდროს, ის არასდროს გეტყვის:
„მე არ მინდა, მოიშორე შვილი".
კაპიტანო, გააძელე ბრძოლა,
არ დაკარგო სიყვარულის ლტოლვა,
მოიყვანე მეგობრების გროვა,
თუ არა გყავს, უსათუოდ მოვა!..

## ბუნებაში

თოვლი დამდნარა ნარნარი,
ყინული არსად არ არის,
შემომცქერიან სინაზით,
ვარდი და იასამანი.
აუ, რა ყვითლად მოირთო,
მთის კალთები და მინდვრები,
მზემ ცხრა მთას იქით განდევნა,
მუქი ნისლი და ბინდები.
აღარ იქნება სიკვდილი,
აღარც გლოვა და ტირილი,
ნუთუ დადგება იგი დრო,
როცა სუყველა იცინის?!
თრთვილის მაქმანებს შევცქერი
შემოსალტვიათ მიდამოს,
ბელურამ გაიფრთხიალა,
სულ თქვენთან ყოფნა მინდაო.
ამოჟიჟინდა ბალახი,
აივსო ტყე და კორდები,
ტიტა, ზამბახი აყვავდა,
ცაცხვები, ნუში, სოჭები.
მალაქიტისფრად ნაძვები,
დგანან ამ მიწის დარაჯად,
არ ეშინიათ ელვისა,
აცვიათ მწვანე ფარაჯა...
ამოღაღანდა ცისთვალა და საამურად იმღერა.
ყაყაჩომ ყელი მაღალი სინაზით შემოიღერა,
წვიმა თუ მოვა – კარგია,
დროზე ბუნებას არგია!

## ქუთაისი

ოფშკვითს იქით რიონია, დინჯად მიდის,
ძალზე ფართო, წყალუვი და მღვრიე, დიდი.
მასზე იდგა ბორანი და მგზავრნი მისნი,
ამის იქით, პოეტების სახლი ვიცი.
სწორედ ამ გზით მოდიოდა გემი „არგო“,
ბერძნები და უცხოელნი, ჩემო კარგო.
„ოქროს საწმისს“ უმიზნებდნენ მოსატაცად,
შავბნელ მიზანს უცხოელი კიდეც ასწვდა.
რიონის წყლით ამოდისო გემი „არგო“,
– შორს ნუ წახვალ, მითხრეს, არსად დაიკარგო.
მთამაღალი ზრდიდა პოეტ გალაკტიონს,
ტიციანიც აქ იზარდა, ჰგავდა რიონს.
მღელვარე და გადმოსული ვანის მთებით,
ო, რამდენი გაჯირითდა მძიმე წლები...
სულ ახლოა მარადმწვანე ქუთაისი,
მისი გზები, ყვავილნარი, მარადისი.
ლელვის ტოტზე მოქანავე ბევრჯერ ვიყავ,
და ბაგრატის ტაძრის ქვაზეც ვიჯექ დიდხანს.
ქუთაისმა ისე მძლავრი ქარი იცის,
გეგონება – დედამიწა უკვე იძვრის.
რად არ არის კეთილი და დიდად სანდო,
თეთრ ხიდიდან კინაღამ არ გადამაგდო?!
ზრდილობით და სიყვარულით, მწველი მზეთი.
სიხარულით შემოგხვდებათ იმერეთი.
სიმღერაა – სულ აკაკის სამფლობელო,
ვაზების და ქართველების სამყოფელო!
ნიჭიერთა მოდის ტალღა – სულ აივსო
ქუთაისი – სავარდო და სამაისო!



ნიკო ბაღაშვილი

## დედაო ღვთისავ

აქეთ მანანა მფარველობს,
იქით – გულნაზი, ქეთი...
უსმელ-უჭმელს და უფულოს,
მშიერს არ მტოვებს ღმერთი.
ჩემი ვიდეოკამერა
ლამაზ კადრებით მალხენს,
მომავლის იმედი?!
კი მაქვს,
არ ჩამომტირის სახე...
მარიამობას გილოცავთ:
მეგი, თემო და ლაშა,
მივესალმები, უკლებლივ,
კინო „თოჯინას“ ლაშქარს!!!
კანის ფესტივალს ვუმზერი,
როგორც არწივი მართვეს,
იმედს ნუ გადაუწურავ,
დედაო ღვთისავ, ქართველს!!!

## ჩემი სამყარო

ზიხარ და ლექსებს წერ,
დგეხარ და მიყვები,
ოჰ, როგორ გვჭორავენ,
ბრიყვები!
შენი გამოჩენა
სიხარულს მანიჭებს,
შენთვის გახსნილი მაქვს
პირთამდე კარიბჭე!
ჩემი აღტაცება
როგორღა დავფარო,
შენით ლამაზდება
ეს ჩემი სამყარო!!!

## მადლობა უფალს

მადლობა, უფალს ამ სიკეთისთვის,
არ მიმატოვა მთლად გასაჭირში,
ნისლში გამხვია,
ამაფერადა,
ნატვრის ხეთა კორიანტელში.
ამფერუმ პოეტო, შენს ნიჭს, სიკეთეს,
ზამთრის სიცივეს არაფრად აგდებ,
ამომიყვანე გასაჭირიდან, გადამაქციე
ზეიმის დიდ ბალ-მასკარადად.
იცოდე პრინცის,
კაცის ოცნება, არა მეტყველებს, ყალბი ლაყბობით.
შაშვი გალობს და ღმერთი მწყალობს,
ვფორიაქობდი სულთან ტკივილში.
იყავი ჩემთვის მხსნელი ქალღმერთი,
ლილისფერ ქალაქში რომ დაფრინავდი,
ირგვლივ ფანტავდი სიკეთეს, ღიმილს,
მადლობა, ამ ჩემი
სულის გახარებისთვის.
11.11.2011 წელი.

## ყველაფერი გამოვა

მზე ჩავიდა?!
მზე კვლავ ისევ ამოვა,
კარგად ვიცი,
ყველაფერი გამოვა!
მთავარია გული
არ გავიტეხო,
უფრო მეტად
ვიბრწყინო და
ვიჭექო!
გავუღიმო
ლამაზმანებს,
ასულებს,
უბრალოებს,
ზოგსაც ცამდე
ასულებს,
ადვილია გულის
მონადირება,
ეს ცხოვრება
არ გეგონოს
დილემა.
არავის არ შეაყარო
ნაცარი,
შეამჩნიე მასში კარგი
რაც არის!!!



## ლამაზები ვართ

აკაკის სხვიტორი,
შემომხვდა როგორა?
მოლზე თამაშობდა
პატარა გოგონა.
ცა იყო ლურჯი და
მზის სხივში ნალესი...
სტუმრებთან შეხვედრა,
დღე უბრწყინვალესი...

თვალებში – მზის სხივი,
გულში – ია, ვარდი,
თითქოს არვის ჰქონდა
ამ ცხოვრების დარდი...
სახლი – თავადური,
ფაცხა – ნაფერები,
სულ ლამაზები ვართ,
ჩემი ქართველები...

**მანანა ზაზიკაშვილი**

## დღეს თბილისში

ევროპული საქართველო
გულსაც უხსნის ყველა უცხოს,
ყველა სტუმარს ეფერება,
ყველას ქადას, ნაზუქს უცხობს.
აგივსტოა, მაგრად ცხელა,
ვეღარ ვუძლებთ მზესთან ჭიდილს,
ღამით სეტყვა, ქარბორბალა,
დღისით სიცხე დიდზე დიდი.

აფრიკული დარებია,
წყალსა ვწურავთ წარამარა,
ვიხრუკებით, სუნთქვა გვიჭირს,
ღმერთო, ჩვენი დასჯა კმარა!!!
აირია მონასტერი,
ზოგი დადის ბიკინებით...
მოერიდეთ ცხელ მზეს, თორემ,
ხედავთ ჩხუბობთ, იკბინებით?!

18.08.2013 წელი.

## დიდ მოურავს
**გიორგი სააკაძეს**

ხმალშემართული მოდიხარ, საუკუნეებს მოყვები,
ვარსკვლავებრ გაბრწყინებულხარ,
ბევრზე ბევრი გყავს მოყვრები.
ალესილი ხმლით დაიცავ
ტაშისკარი და მარტყოფი,
მრავალი ურდო გაჟუჟე,
საქებრად სიტყვა არ მყოფნის.
კარგი მებრძოლი იყავი,
მოურავი კი – ნაქები,
მტერიც გიტევდა, მოყვარეც,
ხმალს გიღერებდა ქართველიც.
მარაბდის ომშიც იბრძოდი,
მართლაც თავდაუზოგავად,
შენი სახელი იბრწყინებს,
რამდენიც მეტი დრო გავა.
მძევლად წაგართვეს ირანში
პაატა... შენი სიცოცხლე,
დიდ მოურავო, ბრძენკაცო,
მრავალჟამიერ... იცოცხლე!!!

## ფრთები მინდა არწივის

აი, ეს დღეც გავლიე
კარგი ლექსის ლოდინში,
ფიქრმა არ მომასვენა,
თან ჩამომყვა ლოგინში.
სიზმრად პაპის საფლავი
დამანახვა წამითა,
მერე ზევით, სულ ზევით,
თრიალეთში წავიდა.
ფრთები მინდა არწივის,
მზემდე მისვლაც მწადია,
კარგი ლექსიც მაწვალებს
მთელი წელიწადია.
წინაპართა სისხლისგან
მორწყეს ჩემი მარტყოფიც,
მსურს ლექსები დავწერო
მთელი ქვეყნის სამყოფი.

## გიორგი და პაატა სააკაძეებს

მარადისობის ომში ჩართული,
გრგვინავს გიორგი,
მღერის პაატა,
უკვდავი მამის
ლამაზი შვილი,
თავის გმირ მამას
დარდს არ გაატანს.
სიმღერით შეხვდა
შაჰის განაჩენს,
ზეცა მოგითხრობთ
მასზე დანარჩენს.
მათ ხომ ძალიან
უყვართ მამული,
მტრისგან ნაქელი,
სისხლით ნაპოხი,
ისტორიაში დარჩნენ
გმირებად,
სახელიც დარჩათ
უკვდავთსამყოფი.

14.08.2016წ.

## ატომურ ხანაში

ჩემო სიცოცხლე და
ჩემო სიხარულო,
ჩემი ოცნების ხატო,
უშენონდ, ხომ იცი,
მე რას ვივარგებ,
მე უნდა ვწერო,
შენ – მხატო!!!
ატომურ ხანაში,
მარტო რას გავხდები,
შენ ჩემი კარგად
გესმის,
ყველას მოვეფეროთ,
ყველას მივეხმაროთ,
შორს ჩვენგან
შური და გესლი
მე შენი ფილმები
მაცოცხლებს, მახარებს,
შენ – ჩემი ლექსების ხიბლი,
თავდაუზოგავად, ჩემო საფიცარო,
ვიშრომებ,
ვილვაწებ,
ვივლი!!!

03.08.2016წ.

## ბავშვობის გახსენება

დღეს, ეს ქარი შეშლილი,
აქეთ–იქით აწყდება,
გადაირბენს ველ-მინდვრებს,
მერე ტყე-ღრეს წაწვდება.
თვალს ვაყოლებ ამ ფოთლებს,
ქარისაგან მოფრენილს,
მახსენდება ხაშური...
დათოვლილი სოფელი...
ყინვა... ქარი... სკოლისკენ
მარტოდმარტო მივდივარ...
ქარხანაში შევედი...
არც თუ ისე დიდი ვარ...
ის აგურის ქარხანა,
ნეტავ თუა ისევე,
სითბოს, აგურთა წყობას,
„მარკ ბერნესსაც“ ვიხსენებ...
გავთბი, მერე სკოლისკენ
სულ ცუხცუხით წავედი,
ომის დროის ჰანგებზე
დღეს დავწერე ბწკარედი...

## ყველაზე ღარიბი მეგონა თავი

ყველაზე ღარიბი მეგონა თავი,
თურმე მდიდარი ვყოფილვარ მეცა,
რადგან შენ გხედავ, შენი ხმა მესმის
და შენთან ერთად შევყურებ ზეცას.
ვარ უყავარჯნო და უსათვალო,
თან ჭრიჭინების ჭრიჭინიც მესმის,
და შემიძლია საკრებულოში
პოეტურადაც წარმოვთქვა ლექსი.
ყველაზე ღარიბი მეგონა თავი,
თურმე მდიდარი ვყოფილვარ მეცა,
რადგან შენ გხედავ, შენი ხმა მესმის
და შენთან ერთად შევყურებ ზეცას!!!



ლეილა ვადაჭკორია

## ნაკვალევი

ქარმა აწეწა თივის ზვინები
თავზე დააცხრა თიბათვის კარავს,
და ქარი ასე ცივი და მრუში
ახლა ჩემს სულის ლაბირინთს ატანს.
მეც ისე მწეწავს უნდობი ქარი
მოლოდინს ჩემსას გაფანტავს ცაში,
არ დაბრუნების შემიპყრობს შიში
ვაი თუ ქარი ნაკვალევს წაშლის.

## გულს მოგეშვება

ჭალას რუ მოედინება
გაღმა ცისფერი მთებია,
მიმინოს ფრთების ტკაცანით
ტყისაკენ გადუფრენია,
მინდორში ჭრელ-ჭრელ ყვავილებს
თავს დაფარფატებს პეპლები,
მთა-ბარი გალაღებულა
ნაირ-ნაირი ფერებით.
შენ არ დაგღალა ამდენმა
ცეცხლის ფრქვევამ და ეშვებმა,
ჩიტებს რომ საკენკს დაუყრი
გულს ცოტა ხო მოგეშვება.

## დამსეტყვე

ბევრჯერ დამსეტყვე, სიტყვა არ მითქვას
ჩავთვალე ბედის განაჩენია,
იმ გზას დავეხსენ შენ რომ გერთვოდა
თუმცა არც ეს გზა ამირჩევია.
ვარ ახლა ასე, ბედს მინდობილი
და თვალს ვუსწორებ ცვლილებას ფერთა
ცა აირია, ღრუბლის ქულები
მით უფრო მეტად მაშორებს შენთან.
ახლა დრო არის ჩემი მკურნალი
მეც სანაპიროს მივყვები მარტო,
წვიმის წვეთები ისევ ანცობენ
და ზღვის ტალღებთან ცეკვავენ ტანგოს.

## მიყვარს

გულზვიადი მთები მიყვარს
დაფერილი მზითა
ყანა მიყვარს მობიბინე
დაგვითა და წვითა.
მიყვარს ჩემი ბალ-ვენახი
მინდორი და ჭალა
მიწა მიყვარს სადაც გმირი
წინაპრები წვანან.

## წვიმა

ფოთოლზე ფეხს
ვერ იკიდებს წვიმა,
ბრილიანტების წვეთებად ცვივა,
და მერე წვიმა
რომ გადაიღებს
წვიმის წვეთებსაც მიწა წაიღებს...



**ანასტასია (რუსუდან) კალანდაძე**

## ვერც ქვებით იფრენ...
### (ანუ შეხმიანება რაბინდრანათ თაგორს)

**„დაუმძიმე ფრინველს ფრთები ოქროთი**
**და ვერასოდეს იფრენს ზეცაში“**
***რაბინდრანათ თაგორი***

სიზიფეს ლოდი მკიდია ფრთებზე
ბედი ზეცაში ვერაფრით მსტყორცნის,
ბედნიერებას რად უნდა ოქრო,
უბედურებას კი ქვებიც ჰყოფნის!

## ლურჯი თოვლი

სულს სწყუროდა სიგიჟემდე ლურჯი თოვლი
და ლურჯ თოვლში გაბნეული ზამბახები.
გზააბნეულ კვირტებს ჰგავდა გაზაფხული
ისე, როგორც ია – თოვლში ნაზამთრები.

დაუბერა, ლურჯმა სიომ დაუბერა
და ზამბახთა სურნელებამ გამალვიძა.
მომენატრე... რა საშინლად მომენატრე,
მონატრებამ თვალზე ცრემლი დამადინა.

დავეკონე ლურჯ ზამბახებს მთელის გზნებით,
უცებ შმაგი სიყვარულით გამეღვიძა.
ხელში შემრჩა აჩეხილი გაზაფხული,
თოვლიანი, სველი ცრემლი დამედინა.

ვერ ვივიწყებ შენი სულის ლურჯ ზამბახებს,
გულს მარადის და სულ კვნესით ალმოხდები.
ლურჯ თვალებში თუ ჩაგხედავ ერთხელ მაინც
არ მოვკვდები, არასოდეს არ მოვკვდები.

მინდა ქარმა კვლავ დაჰბეროს რომ გიპოვნო,
ისევ ვიგრძნო გაზაფხული ნაჩქარევი.
მომენატრა, შენი სუნთქვა მომენატრა
და ლურჯ თოვლში გაბნეული ზამბახები.

***

*(ფშავურ მოტივებზე)*

მდინარეს ვეფხვი დამხრჩვალა,
გადაკიდულა ქვაზედა.
მკვდარიც კი რა ლამაზია,
ალონებს არე-მარესა.

როს მოვა ჟამი განსვლისა
არავის გაახარებსა.
ერთი კარგი აქვს სიკვდილსა –
სუყველას ათანაბრებსა.

მე სილამაზე მალონებს
სიკვდილს რო უცდის მხმობელსა.
რალა ფასი აქვს სიცოცხლეს
თუ მიწა შეშჭამს ყოველსა.

ნულა მივტირით მზის სხივებს
ჩასვლისა – დათხოვნისასა.
საფლავში ვერვინ გაარჩევს
მეფესა მათხოვრისაგან.

აუხსნელია საწუთრო,
პასუხს ვერაფრით ვიძლევი.
დაიბადება სხვა ვეფხვი
მაგრამ შენ აღარ იქნები.

ცამ იცის იქით რაც ხდება,
სოფელი სულ არ ინდობა!
რამდენი უნდა ჰქმნა კაცმა
რომ ჰპოვო მარადისობა?!!!



**თამარ ჯაჭვაძე**

## მრავალჟამიერ

*„რა დროს სამშობლოა“*
*რეპლიკა*

სამშობლო ჩემთვის დედაჩემის ჩუმი დარდია,
მამის ჭაღარა, სხვენში ჩემი ძველი აკვანი,
ის ეზო, სადაც ახლა უკვე სხვები დადიან,
ვინც მე, უმწეოს, მატარებდა ხელში აყვანილს.

ნუ მიმატოვებს ნურასოდეს ეს სიყვარული,
დედამიწაზე, ყველა დროით, მისი ჟამია...
ღვთისმშობლის ერთი ცრემლისტოლა
ჩემი მამული,
ღმერთო, ამყოფე მრავალჟამიერ!

## შენი საბედო ვიქნები

კუნაპეტღამეებიანს იმედად თუ არ მექმნები,
მიწაშიმც ჩაიშლებიან
შენთვის ნათქვამი ლექსები.
მოსისხლედ გამიხდებიან, ყორჩივარდა
და იები,
ღალატი მძულდა, საკუთარ გულსაც
არ ვაპატიებდი.
აროდეს ამიხდებიან თუ შენეულა ფიქრები,
ამ სულგაყინულ ქვეყნიდან
უსიყვარულოდ მივქრები...
თუ გაზაფხულის იმედი
აღარასოდეს მექნება,
ზამთრისპირული ცრემლები
იებად გაილექსება.
წყალს წაუღია წამებით
და წვით ნაწერი წიგნები,
მოდი, სიკვდილო, მაკოცე,
შენი საბედო ვიქნები.

## სული ხმაურობს

მონატრებისას დაგიდგამ კარავს...
და სიყვარულის დუელში გიწვევ...
ეგ გულგრილობა ვერ დაგიფარავს,
სჯობს დამარცხებას, ბუნაგში იწვე.
ავყარე თმათა ჩემთა ლაშქარი,
უკან დავიხევ შეურკინებლად...
ახარხარდება ქარი, აშარი,
და ბალახს ცრემლი დაედინება.
გნებდები, მარცხით განახელებო,
დაუდგრომელო და უცნაურო,
არ მომაკარო ცივი ხელები,
ხორცი დუმს, როცა სული ხმაურობს.

## ვინა თქვა წლები მკურნალიაო?

ცოცხალი ხარ და გესვრიან ტყვიას,
ირმის მუხლებმა გზები დაღალა...
მკურნალია-ო წლები, იტყვიან,
ჰკითხე ძაძიან დედის ჭაღარას...
ხე, გადამხმარი, ვერ იშრიალებს,
რა დააყუჩებს ძველ ნატყვიარებს?..
ვინა თქვა – წლები მკურნალია-ო,
წლებმა უბრალოდ ჩამოიარეს.

## პოეტის სისხლი

როგორ გავანდო საიდუმლო მტერსა და უცხოს,
დამიზრახავენ ამ უბრალო გულახდილობას...
პოეტის სისხლი წამალივით უნდა წაეცხოს,
ჟამიდან ჟამზე, მშობლიური მიწის ჭრილობას

## მერამდენედ სცადა

შემოდგომის მთის ფერივით თვალსაწიერს შვენი,
მერამდენედ სცადა გულმა დავიწყება შენი...
გამითეთრე საალერსო ლექსი, უდარდელო,
გამითელე პოეზიის მოყვავილე მდელო.
აზურთავეს სიმარტოვის წლები, ფიქრის ქართა,
ყველაფერი შემატოვეს, სილამაზის გარდა.
წამაფაროს ზეცამ თოვლი, მე ჭაღარაც მშვენის,
მერამდენედ უნდა ვცადო დავიწყება შენი?!

## როგორი ძნელია

როგორი ძნელია ჯერ უთქმელი
სიყვარულის გზაზე ჩამოაღამდეს...
ტკივილი სულში შემოსული
ქაღალდზე ლექსად გადმოღვრამდე.
ძნელია სიზმარივით თავთან გედოს
ის, რაც გენატრება მეტისმეტად.
შეუნდო, ღიმილი გაიმეტო
ვინც სიმარტოვისთვის გაგიმეტა.
ღიმილი მახვილია ზოგჯერ ზოგთა
და ცრემლი სალბუნზე უამესი...
როგორი ძნელია შენთან ყოფნა,
მაგრამ უშენობა – უარესი.

## იუზია

ვით მკვლელებს ციხე,
გარდამაცვეს ხორცი მშფოთვარე...
და სული, ჩემივ სხეულიდან,
ხელებს მიწვდიდა...
სიკვდილი არა, შვებასავით, მოვა იესო,
ცაში წაგიყვანს ამ ცოდვილი
დედამიწიდან.

## იფ, რა ქალია!

დაღვინდა უკვე ყველა მაჭარი,
ხარის სავალი მთვარემ გალია...
ისევ მესობა თვალთა სამსჭვალი,
მდევს შეძახილი: – იფ, რა ქალია!
ჯერ არ შეჭრილა გულში ჭალარა,
ამ გაზაფხულთან მორცხვად მივედი,
ქარმა ნიბლია ჯერ ვერ დამღალა
და ერთურთს ვეძებთ მე და იმედი.

წუთები წლებსაც წარიტაცებენ...
ქარმა დაიწყო ზამთრის არია...
კვლავ მაყოლებენ თვალებს კაცები,
და შეძახილებს: – იფ, რა ქალია!
შენ კი დაღლილი და მოქანცული
შემომხედავ და ჩაივლი უბრად...
პალიტრას შერჩა ფერადი სული,
თეთრი სიმშვიდე შენ დაგეუფლა...

## მხატვარი და პოეტი

ზეცა გვეძახის უსასრულო ფერებით სავსე
და ჩვენ, მხატვრები, ვედარებით უჩინ-მაჩინებს...
სული მომთხოვეს, მაგრამ სული ჩარჩოში ჩავსვი,
მე სული ჩემი სხვა სხეულში გადავარჩინე.
ოსტატო, ყველა გუთნისდედას და ღამის მეხრეს
წუთისოფელმა უძლეველი ძალა აჩვენა...
თუ საქართველოს მკლავებივით ჩამოგაჩეხეს,
დამიძახე და... მე ვიქნები შენი მარჯვენა!

***

თეთრი თებერვლის თეთრი ქარებით
თოთო ოცნება განაციები
დათბება, მალე გაიხარებენ
თოვლივით თეთრი აკაციები.

ვიდრე ამქვეყნად შენ მეგულები
ვინ დამიძახოს გაუხარები?..
თავს მევლებიან, თავდავიწყებით,
თეთრი თებერვლის თეთრი ქარები.

## მაპოვნინეთ!

შენი შავი წერტილებით
მტანჯავ ჭია-ჭია...
მე რომ ბიჭი დამეკარგა
სხვა ქალს უპოვია...
ოცნებაშიც ვერა ვთმობდი
ვისთვის დამითმია!
მე რომ გული ვერ გავათბე,
სხვა გულს გაუთბია.
სხვა მოვიდა, სიყვარული
როგორ გამიბედა!

მე რომ ლექსი ვერ ვიპოვე
ვინ იპოვა ნეტა?
სული სადღაც გამიფრინდა
დაფარფატებს მარტო...
უსაშველოდ დაგეძებ და
უსასრულოდ გნატრობ.
იად მოვალ, ფეხშიშველი
შემოვყვები ავდრებს...
მე რომ ბიჭი დამეკარგა
მაპოვნინეთ სადმე!



**ლეილა გაფრინდაშვილი**

## გენის აჩრდილი
(პანთეონის მკვიდრთ)

პანთეონიდან გადმოგვცქერის გენის აჩრდილი,
ვეთაყვანებით თქვენი სიტყვის ალალმართლობას,
დგას წარმატების ძეგლი, წიგნის ფურცლად გაშლილი
ტაძრისკენ სავალ გზას უთითებს ახალგაზრდობას.
გვესათუთება თქვენი სული ჩუმი ალერსით,
მოგვენატრებიხართ, დაგროვილა ბევრი სათქმელი,
უფლის მსახურნი ლოცვითა და მადლით გმოსავენ,
პატივისა და მოკრძალების იწვის სანთელი.
გარინდებული შემოგვცქერის ეს უკვდავება
კვარცხლბეკზე დგას და, ხელთ უპყრია ცოდნის მახვილი,
წითელ ხალიჩად გაფენილა ნიჭის ფარდაგი,
იმედის გვესმის საფლავიდან ამოძახილი.
დარაჯად დგანან მარადმწვანე ნაძვის ტოტები,
ბოროტი ხელი არ შეეხოს ნიჭიერებას,
ყვავილთა გუნდი აგუგუნებს ტკბილ საგალობელს,
ჩვენ კი, თავს ვუხრით ამ ზეციურ მიწიერებას.

## მუხა

ხარობდა მუხა, ფოთოლშრიალა,
ტანზე ემოსა სურო, ხვიარა,
მზიან ამინდში ჩრდილის მანდილს დაგვაფარებდა,
ავდარში ფოთლის ქოლგას შლიდა, გაგვახარებდა.
ვსტუმრობდი ხშირად ფარჩისკაბა მუხაშრიალას,
ჩვენი შეხვედრა დაემსგავსა მიჯნურთა ტრფიალს,
წამოვწვებოდი მუხის ძირას, ცას გავყურებდი,
დამეხვეოდნენ და იწყებდნენ რითმები ფრიალს.
-გავარდა მეხი, მუხას უმტრო, შუა გახლიჩა
და დაამსგავსა გადათელილ მინდორ-ველიანს,
ჩემი განცხრომა დაიმონა სევდამ, პირქუშმა
დაშრა მელანი.... და რითმებიც აღარ მღერიან.
-გამოიდარა, მერე ისევ გაჩნდა ღრუბელი,
წვიმა ხმაურით ჩამოეშვა ციურ სახლიდან,
მუხას დასტირა, გააყოლა ცხარე ცრემლები...
თანაგრძნობის და დარდის ნიშნად, წვიმაც ატირდა.

და შეურთდა წვიმის გლოვას ჩემი ცრემლები...

## ქობულეთს მივემგზავრები

წიფის გვირაბიც გავლიეთ,
მიგვიძლვის ტრასა, კლაკნილა,
მთების გუგუნა ჰანგები
ცის გუმბათამდე აწვდილა.
გლეხკაცის ხელით ნაკეთი
გამოფენილან ქვევრები,
ხარიხას დაკიდებულან
ყანწები, როგორც მტევნები.
თონე, როდინი, საცერი,
მუცელბუთქუნა დოქები,
კეცები, ორშიმოები,
ჭინჭილები და ქოთნები.
ჩუქურთმა ნივთებს მზის შუქი
კაშკაშა ფერად ეცემა,
იმერეთს ვეალერსები,
გული ხალისით მევსება.
წარმოვიდგინე სოფელი,
შეშის გუგუნა ღუმელი,
კეცზე შემწვარი „მიქლიო''
სოფლის ნობათი ულევი.
ფოთოლდაფენილ კეცებზე
ჩამწკრივებული მჭადები...
ბუხარზე მიფიცხებული
ხაჭაპური და მწვადები.
მშრომელი კაცის ნიჭს ვლოცავ
და შრომის მიწას, მადლიანს,
ოცნებით გეგმა მოვხაზე,
აქ შევეგებო განთიადს.
დამტოვეთ ამ სამოთხეში,
ღამეს გავათევ „გმირულად“!
მთები მოსაწვევს მიძლვნიან,
დარჩი – მპატიჟებს „ძირულა“.
ამღერებულა მაჟორზე
ეს ჩემი სულის გიტარა,
განმასხეულეთ მამულთან,
სხვა არაფერი მინდა რა...

## მოგზაურად მივდივარ

გადავკვეთე ყველა მერიდიანი,
ეკვატორზე მოგზაურად მივდივარ,
მსურს სამყაროს მოვაწონო სამშობლო...
ორ ზღვას შუა გადებული ხიდი ვარ !
მინდა ვიყო ფრთა გაშლილი არწივი,
მხრებით ცაში ავიტაცო მამული,
დედამიწა ქროლვით შემოვიარო,
ავაჟღერო ენატკბილი ქართული.
ვიყო ჯიხვი, ან ქორბუდა ირემი,
მონავარდე მინდვრად, მთად და ველებად,
მკერდს თილისმად დავიბნიო ქვეყანა,
მოელვარე-ცისარტყელას ფერებად.
გადავკვეთო ოკეანე, ხმელეთი,
ხელის გულზე დავიტიო სამშობლო,
მიმოვფინო ლექსი, ცეკვა ფოლკლორი,
ჩვენი ნიჭი დედამიწას ვაცნობო.
ჩემიც მიყვარს, სხვისი კარგიც მახარებს,
ვიწვი ტრფობით, არ გეგონოთ ფლიდი ვარ,
საქართველო არის ჩემი სახელი,
სამყაროში მოგზაურად მივდივარ!



შოთა ტოგონიძე

## ჰაიცა სააკაძის საფლავთან

შვილო, იქნებ მოინატრე მამაშენი,
კისერზე ხმალს გაზომებდა შაჰი როცა...
და „მარტყოფი"– საქართველოს გადამრჩენი...
ამ დროს იდგა გმირისა და უფლის ლოცვად...
არ მასვენებს შადიმანთა დრო უხეში
და მის შემდეგ ქართლის ზეცა თვალსველია...
ერთაწმინდის ეკლესიის ერთ კუთხეში,
საქართველოს სიყვარული ასვენია...



ანზორ ჯაფარიძე

## ალუუ! ალუუ!

ლამაზი ხარ შენ, პაწიავ
იისა და ვარდის ფერო,
გაგვახარე შენი მოსვლით
შევიგრძენით შენი გემო.
შენ ნანატრი ოცნება ხარ,
დიდი დროის, დიდი ხანის,
გაგვეზარდე კარგი გოგო,
ანგელოზი ლერწამ ტანის.
დღესაცა და გუშინაც თქვი,
სულ ახალი ალუუ, ალუუ!
ალბათ ალე ვისაუბრებთ
მოვლენილო მაღალ ცისო.
გუშინ მე თამადა ვიყავ,
ყველამ მოგიკითხა, ციცო,
შენი ნახვა ყველას უნდა,
სადა გყავთ ან სადა ზისო.
ვუპასუხე, თვის სახლშია
უზრუნველად ხელებს შლისო
თითზე კორწიალი იცის,
თავს იწონებს ჩვენი ციცო
ჭამს და ძილი თვალზე ადგას,
ეს უხდება, კარგად ზრდისო
ნანი-ნანას ბებო უმღერს
გულში მადლი, სითბო სდისო.

9.03.10

## ციცის

დღეს ორი თვე შეუსრულდა
ჩემს პატარა ციცის,
უკვე „ალუუ“, ისწავლა და
გაცინებაც იცის.
ყველას გვიცნობს, შემოგვყურებს,
დაკვირვებაც იცის,
ეს ბაბუა – ბებიები
გადაგვრია, იცით?
გაიზარდე, შენ პაწიავ,
ერთი ციცქნა ციცი,
რაღაც გულში გვილიტინებს,
გაგვაცოცხლე ციცი.
პირველ ნაწნავს რომ დაგიწნავთ
ბანტს შეგაბამთ ციცი,
ბაბუები, ბებიები
გადვირევით,იცი?!
ქალბატონო ნინო, ციცი,
დაგკანკალებს„ იცი,
თავს გევლება, შეუყვარდი,
ერთი ციცქნა ციცი,
გაიზრდები, დაუფასებ,
აღარ გვინდა ფიცი,
შენ ისეთი გენები გაქვს,
გაგვახარებ, ვიცი.

12.03.10

## თითები

პირველად დავინახე
პაწია თითები,
თეთრი, ქათქათები,
როგორც თოვლის ფიფქები.
ჯერ არ მინახავს
ფეხების თითები,
ნაბიჯს რომ გადადგამ,
როგორი იქნები.
ფიქრები, ფიქრები,
მოფრინავს ფიფქები,
ბანტებს, რომ შეიბამ,
როგორი იქნები.
ბაკი-ბუკით ირბენ,
პრანჭია იქნები,
ფიქრები, ფიქები,
მიქიან ფიქრები.

15.03.10

## უწმინდესს

დავიღალე, დავიღალე,
მოდი ჩემთან, უფალო,
ქართველო ხმა ამოიღე,
უსულგულო ნუ ხარო.
უწმინდესი რატომა სწუხს,
ერთი შვება უთხარო,
შენთვის თავი გაუწირავს –
მხნედა ვართქო, უთხარო!
შენზე დღედაღამ ლოცულობს,
შეისმინე, უფალო...
უწმინდესო, ჩვენ შეგფიცავთ,
დაგვეხმარე, უფალო!
უგნურები ვიყავით,
გონს მოვეგეთ, უფალო,
უწმინდესი დაგვილოცე,
გევედრებით, უფალო!
უწმინდესი მხნედ გვიმყოფე,
დაგვეხმარე, უფალო,
ღმერთთან წასვლა ჯერ ადრეა,
ერს სჭირდება, უფალო!
სიცოცხლე და ჯანმრთელობა,
შეარჩინე, უფალო!
ქართველ ხალხს ხომ ქოლგად ადგას,
ნუ წაიყვან, უფალო!..
**P.S. დღეს უწმინდესის დაბადების დღეა,**
**სიონის საკათედრო ტაძარში**
**დიდი წირვა-ლოცვა აღევლინება**

**01.01..10**

## დედას

რამდენი თქმულა შენზე სიმღერა,
შენს ნატვრით გული როგორ მაისობს,
თვით სიტყვა დედის ხსენებაზეც კი
გულს უხარია, გული ხალისობს.
რით ამოვწუროთ თემა დედაზე,
რამდენი თქმულა, რა არ გვითქვია,
ხელის გულზე ხომ გული დაგვიდო,
პატარძალისთვის რომ მიგვერთმია.
წამით შეტოკდა შვილის სხეული,
წაიბორძიკა, გული შეირხა,
ფრთხილად შვილოო!!! დედა გვეძახის,
მას მოეფერა, კი არ შერისხა.
პატარძალმა რომ მჭადები ჯვრებით
ძაღლებს მიუგდო, გულქვად, ამაყად,
განრისხებული ქმარი წამოდგა
და ცოლს განშორდა იმწამს, მარადჟამს...
გულში დედაზე წრფელი ფიქრების
ჯერ საწყაული არ აგვივსია,
ვერც აივსება გული ვერასდროს,
უდედოდ ყოფნა რა ხალისია!
დედა აღარ გყავს? უკვე დაბერდი,
კარს მოგდგომია ჰე!!! დაისია!
ამდენი დარდით, ამდენი ფიქრით
გულის პარკუჭი შხამს აუვსია.
ვინ ამოწურავს თემას დედაზე,
ანდა ამ ქვეყნად ვის აუვსია...
დედამ რამდენი ღამე გვითია,
რამდენი ფიქრი, დარდი გწვევია...
ვინ შეაფასოს შენი წვალება,
აკვანი ნაზად დაგირწევია,
გვედექი თავზე ოცნებით მწველით,
დაგვატარებდი რუდუნით ხელით.
შენი ფიქრები ჩვენ გვეხებოდა,
ჩვენი ტკივილი გულზე გვხვდებოდა!
დედი, არ ვიცი როგორ გეფერო,
რით გადვიხადო მე შენი ვალი,
არვინ მიყვარს მე შენზე მეტად,
შენ ამიხილე ამ ქვეყნად თვალი,
ვფიცავ მე, დედა, შენს ლამაზ სახელს,
ახლაღა ვამბობ, ახლაღა ვამხელ,
თუ ჩემს გულს ხვდება – შენზე ფიქრია.
შენს გარდა სხვაზე არ მიფიქრია,
თუ რამე მქონდა – შენთვის მინდოდა,
თუმცა პრობლემა მრავალი მქონდა,
მე თვით ვცხოვრობდი გასაჭირშია,
შენსკენ მოქროდა ჩემი ფიქრია,
მე აქ ვცხოვრობდი ქირით, მოწყენით,
შენ მანდ გიგებდი სახლ-კარს მოლხენით,
შენს ამოსუნთქვას წამსვე ვხვდებოდი,
თუ რამ გიჭირდა – ტყავში ვძვრებოდი.
მაინც ვერ შევძელ იმდენი, დედი,
შენ მე რომ მომეც, გულით გიძღვნია.
რამდენი ღამე თეთრად გვითიე,
რამდენი ფიქრი შენ მოგიძღვნია!

19.01.12

## წმინდა ნინო

მოდიოდა წმინდა ნინო, მოდიოდა
განა დიდი ლაშქრითა და ჯარით,
განა ხმლით და იარაღით, –
წინ მოჰქონდა თმით შეკრული ჯვარი.
ჯვარი ვაზის რქისგან ნაკეთები,
ასეთი ხომ ჯერ არსაით არის,
უფლის რწმენას წმინდა ნინომ გვაზიარა,
შეგვაყვარა ვაზის წმინდა ჯვარით.
მოვდიოდით იმ დროიდან ღვთის შვილები,
თვალწინ გვედგა მადლმოსილი ქალი,
ქართველთათვის ძვირფასი და სალოცავი
ვაზის რქსიგან თმით შეკრული ჯვარით.
ჩვენს სამშობლოს ესეოდა ყვავ-ყორანი,
უთვალავი ურდოთი და ჯარით,
ჩვენ ვიდექით შემართული სალკლდესავით,
თავს ვიცავდით მახვილით და ჯვარით.
გვეხვეოდნენ, არ გვზოგავდნენ, ვერა გვშლიდნენ,
სივდებოდნენ ბოღმითა და ჯავრით,
ღვთისმშობელი, წმინდა ნინო გვმფარველობდა,
გადავრჩით და არ ვემონეთ არვის!
დღეს კვლავ გვიჭირს, დაუდევრად მოვიქეცით,
შეგვიბილწეს ეკლესია, ჯვარი,
ღმერთო, ეს რა გვემართება, ეს რა მოგვდის,
ლამის მოვკვდეთ ბოღმითა და ჯავრით;
სექტანტები მოგვისიეს მრავლად, ურცხვად,
ათასგვარი რჯულისა და გვარის!
არ გვზოგავენ, სისხლსა გვწოვენ,
ლამის გასკდეს გული მწარე ჯავრით.
წმინდა ნინოს ჯვარსა ვფიცავ,
მტერს აღვუდგეთ, ქართველებო, ჯარით!
ღვთისმშობელს ვთხოვ, გული ისევ გაგვირკინოს,
უფალსა ვთხოვ, მტერი გაწყდეს ჯავრით!

15.04.09

## ღმერთო ამიხდინე ოცნება ჩემი

ცისანა ჯაფარიძე
თბილისში დადის.
ფეხებთან ეფინება
ფოთლები ვარდის,
ქალი ამაყი და
ბედნიერი დადის,
მისი სიმღერები
ლეგენდებად დადის,

ციასანა ჯაფარიძე
ცეკვავს და მღერის
ის სიამაყეა ქართველი ერის,
ღმერთო ამიხდინე
ოცნებები ჩემი,
დიდი გამიზარდე
გოგონა ჩვენი.

6.05.10

## ასე ბრძანა უფალმა

დედამ როცა ჩამიყვანა,
ჩვენს ეზოში ეტლით,
იცი, დედა მეუბნება,
ბევრი, ბევრი გეტრფის.
რა ლამაზი გოგოაო,
როგორ ნაბავს თვალებს,
ჯერ პატარა ციცქნა არის,
მაგას ვენაცვალეთ

ირგვლივ უმალ გამოგორდნენ,
პაწიები ეტლებით,
ვინაზებით, ვიპრანჭებით,
და ერთმანეთს ვედებით.
აბა, ვინ უფრო კარგი ვართ,
ლამაზი და კუდრაჭა,
სუყველა მშვენიერი ვართ
ასე ბრძანა უფალმა.

5.05.10

## კახეთს!

დღეს მივდივარ მე კახეთში,
რა ხანია ვაპირებდი,
მომენატრა ჩემი ზვრები,
ჩემი წმინდა ადგილები;
ალაზნის ველი გაშლილი,
მისი ლამაზი ჭალები;
უკიდეგანო ზვრები ჩანს,
დედის მკერდსა ჰგავს ყანები.
აქეთ გომბორი დაგვყურებს –
კავკასიონი – იქეთა,
ულამაზესი ხედები –
ირგვლივ რომ მიმოიხედავ.
გახედავ მინდორ-გარემოს
ეკლესიების ჯარია,
ალბათ ამდენი სხვა მხარეს
სიმრავლე არსად არია;

მარტო იყალთო გვეყოფა –
სამოცს ხომ ერთი აკლია,
წინაპრები გავიხსენოთ,
უკვდავვყოთ დიდი მადლია.
ბევრი შებილწა ურჯულომ
უფალი ღმერთის სახლია.
დღესაც კი ბევრი მკრეხელობს,
არ იცის მისი ყადრია.
კახური სიდარბაისლე,
სიტყვა პასუხი მადლია,
კახეთის ხვავი, ბარაქა,
მას ღმერთის მადლი ატყვია.
ირგვლივ გაოცებს ყოველი,
ალაზნის ველი ჩადრია...
დედოფალივით მორთული –
დედა ღვთისმშობლის მადლია!

24.10.10

## უმადურობა

გავყურებ ჩემსა ვენახებს,
ველარა ძღება თვალია,
ლუდი ღვინოზე ძვირია,
სად არის სამართალია!
აქეთ ბუნებამ გაგვწირა,
ჩვენს ნაშრომს ხელი დარია,
ველარ გავიგეთ, რაღა ვქნათ,
ვერსაით გაგვიხარია.
დასეტყვილ ვენახს რომ ვხედავ,
ცრემლი მადგება მწარია,
ნუგეშისმცემიც არვინ გვყავს,
კაცი არის თუ ქალია!
პარლამენტს ამაღლებულნი
გაბადრულები არიან;
კანონებს თავისთვის სწერენ,
ცხოვრება ხომ აქვთ მყარია!

ჩემო ვენახო, რაღა ვქნა,
პატრონი შენ გყავს მკვდარია,
ვინც მთავრობაში გავგზავნეთ –
ნაგავზე დასაყარია!
ვისაც უნახავს, ნასეტყვი
ვენახი როგორ მწარეა!
ომგადახდილსა წააგავს,
ცრემლი ჩამოგვდის ცხარეა!
რაღა ვქნა, ჩემო ვენახო,
როგორ მოვიკლა თავია,
ღვინის ჩაცეცხლვა კი უყვართ,
აგრემც არ გაუხარიათ!
ქართველთა ნაბუდარზედა
ვაზს ყველგან გაუხარია,
ჩვენ უმადურად ვექცევით,
მიტომ ვარ გულჩამკვდარია!

02.08.09



ილია ზაქარაშვილი

***

მე იქიდან ვარ, საიდანაც არ ბრუნდებიან,
იქიდან სადაც მარადისობას სიკვდილი ყოფნის,
აქ კი სულ მუდამ საუბრობენ, არ ჩუმდებიან,
აქ კუზიანებს ეძახიან სულ ოდნავ მოხრილს...
ხო ამ სამყაროს მეორედ აქვს ურთიერთობა,
შენი გონება ვიცი ამას ვერ გაიაზრებს,
უნდა გადადონ მეფეებმა თვისი მეფობა,
რადგან საუნჯე სასახლიდან კვლავ გაიტანეს.
ძველ ჰაერს დავცლი ჟანგბადივით უძრავ სინესტეს,
მერე რა თუკი წვიმებისგან სული დამძიმდა,
დღეს ახალგაზრდა მიეცემი ისევ სიბერეს,
უჩვეულობა უჩვეულო ფიქრზე დაფიქრდა.
განწყობისთვის კი მოვიტოვე ფინჯანი ყავა,
გადაციებულ ჟანგბადივით შევითბობ ფილტვებს,
მე კი მსმენია, ყველა წამსვლელი უსიტყვოდ წავა,
სიცარიელეს ლექსი ვერა, ჟანგბადი მივსებს.
აქ ქანდაკებად რომ გააშეშეს შენი ფიგურა,
მე მოქანდაკე არა, უფრო პოეტი გავხდი.
თვით ლუციფერმა ჩემს თვალებში დიდხანს იყურა,
წვრილი ძაფივით მოუხეშავი შუაზე გავწყდი.
მე იქიდან ვარ, საიდანაც არ ბრუნდებიან,
ღამეს გავათევ ლუციფერთან, ორ ჭიქას დავლევ,
ჯოჯოხეთიდან ძველი მიზნებით დაბრუნდებიან,
მე ჩემს ცხოვრებას ჭიქა წყალივით დავღვრი და დავლევ.
აქ მეორედ ვარ თუ მესამედ, ველარ ვიხსენებ,
ვიცი, წასვლამდე ყველაფერი დამავიწყდება
ცივ კედლებში ვარ და ამ ღამეს ფიქრში ვითენებ,
მე ვერა, მაგრამ ლუციფერი დამაკვირდება.
ტანში მაციებს, ძველი ჭრილობის გახახუნება,
ეშმაკი არ ვარ, არც ანგელოზად დავბადებულვარ,
დრომ თავისი ქნა, განვიცადე გადახუნება,
მონობას არა, უფრო ტყვეობას ჩავბარებულვარ...
თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება,
იმეორებენ ექოსავით ჩემი ფილტვები,
წამიერ განცდებს შევატოვე ჩემი უფლება,
რადგან ვერ გავთქვი, რაც დამაბარეს მე ის სიტყვები...
ბოლოჯერ ვკუმშავ გულის კუნთს და შანსს არ ვიტოვებ,
არტერიებად ამოხეთქვას სული ჭრილობებს,
სიმართლეს ვერა, უფრო ტკივილს თუ დაგიტოვებ,
მე არ ვაყენებ ულტიმატუმს ანდა პირობებს.
ახლა კი ნერვებს მივაბჯინე ნასროლი ტყვია
და ჩემს ყვირილზე ჯოჯოხეთში გაჩუმდებიან,
ადრე ვერა და შინ ვბრუნდები ისევე გვიან,
მე იქიდან ვარ, საიდანაც არ ბრუნდებიან...

***

პატიმარი ხარ, პატიმარი ვარ, პატიმრები ვართ,
ილუზიები მოიშორე, რომ გატყუებენ თავისუფლებას,
კეთილშობილი, ყურმოჭრილი ნაძირლები ვართ,
ჩვენ სისხლით ვიცავთ, სხვის შეძენილ ძალაუფლებას.
არ გიფიქრია, გისოსებს მიღმა რა ხდება, ნეტავ,
აქ სამუდამოს ჩემო ძმაო, ვერ მოგისჯიან.
შენ გეშინია და ამის იქით ფიქრსაც ვერ ბედავ,
ნუთუ გგონია, ჯალათები შენ მოგტირიან?
ხო, ეს ციხეა, რომ დაარქვი, ვითომ სამყარო.
შეშინებული გარეწრების დიდი ბუნაგი,
მინდა, კედლების, დიდი კედლების იქით გატარო,
უნდა იცოდე, დედამიწა დიდი ციხეა და თან ბრუნვადი...
ჩვენ ხომ მონები ვიბადებით, პირველი დღიდან
სულ რაღაცას ხარ მიჯაჭული მშიერი ძაღლი.
თავისუფლება შენი არ ვიცი, მე მართლა მინდა
და ამის გამო უნდა დავლეწო სულ ყველა კარი.
გემჩნევა შიში გაოგნებულ მღვრიე თვალებში.
არავინ ცდილობს ამ ციხიდან თავის დაღწევას.
თავისუფლება, ჩემო ძმაო, ქრება წამებში,
ვგრძნობ, ამ ციხიდან ვერ გაბედავ მარტო გაქცევას...
იცი, რა მომწონს ამ ციხის და ამ დედამიწის?
აქ სამუდამოს რომც უნდოდეთ, ვერ მოგისჯიან...
შენ მშვიდად გძინავს, სხვა საფლავს გითხრის,
ბადრაგები კი ფულს მისტირიან...
თავისუფლება ზეცაშია, მიწის სიღრმეში,
მე სატყუარად სხეულს დავტოვ და გავიქცევი.
ყველას ჰგონია, ჭკვიანია, ცხოვრობს სიბრძნეში,
ხორციელს დავტოვ და სულიერად არ წავიქცევი.
უნდა გაბედო, რომ გამოიქცე დიდი ციხიდან,
თავისუფლება არც იციან რა შეგრძნებაა,
შენი სამსჯავრო დაიწყება შენი ფიქრიდან,
აქ კი მიზანი თავისუფლების ვერ შეეხებააა.
და შენს მონობას რომ გაიხსენებ, გაგეღიმება,
ამ საპყრობილეს დავაწყვიტო მინდა ნერვები.
თავისუფლებას რო წარმოსთქვამენ, ჩამეცინება,
ამღვრეულ ტბაშიც დაცურავენ თურმე გედები...

***

რადიკალიზმით გულგრილი ვარ, მე ამორალი,
სუნთქვიდან სუნთქვას ვანუგეშებ ეპილოგამდე,
მიდი, ამ ერთხელ მაგ ჩახმახსაც შენ გამოკარი,
და სისხლოს წვეთი გამალოკე გულის ტკენამდე.

რომ ვანუგეშო აწ გარდაცვლილი ბედნიერება.
ფანატიზმით ვარ გაჟღენთილი, მაკრავენ ჯვარზე,
ვგრძნობ მაველურებს ამ სამყაროს მშვენიერება,
რომ მივაწერო მძიმე თარიღი საფლავის ქვაზე.

ხოდა გავწირე ყველაფერი, რაც გამაჩნია,
და ეს ეპოქა თვალებში მაქ ახლა გაჩრილი,
დრომ ტკივილები ვერ მოთოკა, სულს დაამჩნია,
სისხლად ვიცლები, ვენები მაქვს ისევ გაჭრილი.

ფარისევლები მაგიჟებენ ტანჯვას შემოვრჩი,
თვალებს დავითხრი, არ შევხედავ სარკეში ჩემს თავს,
დედამიწიდან ამ ისტორიას სისხლად შემოვჭრი,
გულს გავაჩერებ გეგაჰერცებში,  ძალით რომ ფეთქავს...

შიზოფრენიამ გამიტაცა, მკურნალობს ხალხი,
მათთვის ხომ ვრჩები პაციენტი ნომრით პირველი,
სულს მოაშორე დაუცხრომელი ცოდვილი გვამი,
ამ დედამიწას რამე მოაცვით, რომ დგას შიშველი.

გარს გეხვევიან მორალით და თავის დოგმებით,
ნუთუ ველარ გრძნობ, რომ სხეული გახდა საფლავი.
ახლოს მოვდივარ, მაგრამ მაინც ისე გშორდები,
რომ მეხვეწება დედამიწა ცოცხლად დამფალი.

მოვხეტიალობ ძველ ქუჩებში, მე ამორალი,
შიზოფრენიას ვერ ვერევი, მტანჯავს ეპოქა,
გთხოვ ამ ჩახმახსაც ამ ერთხელაც შენ გამოკარი,
რაც აქ ვიტანჯე მთელი ცხოვრება ცრემლად მეყოფა.

შემოახიე სულის აივანს ზეცა და მთვარე,
არაფერი ჩანს, ვარსკვლავები მტოვებენ მარტოს,
ამორალურად გავათენე მე მარტომ ღამე
და დახეული აივანი სიშვიდეს ნატრობს.

შემოაცალეს სახურავებს ტაძრების ეზო,
შორს განდეგილი მღვდელმთავარი ხატებთან დარჩა,
მთელი სამყარო, ადამიანო, ლუკმად არ გეყო
და ყველა გრძნობა რაც ვაგროვე ჩემშივე გაქრა...

***

ჩემი უჯრედებით დამაქვს სიმარტოვე,
რადგან არითმიად მექცა საფიქრალი,
ყველა სიმარტოვე ერთად მივატოვე,
ერთი ყველას რჩება ალბათ სატირალი.

ფურცლებს შევაყარე ჩემი აზრთა წყობა,
მაჯებს დაღლილობა ძვლებში შეეპარა,
მე კი გამიჭირდა ლექსში გადაწყობა,
ფურცლებს სტრიქონები ისევ შეებრალა.

დამაქვს სიმარტოვე როგორც ნაბიჯები,
უკან მოვიტოვო მინდა მომავალი,
ყელში ამოდიან უკვე ნაბიჭვრები,
ყველა მე შემცქერის როგორც მომაკვდავი.

სისხლად დაცლილი ვარ, არ მაქვს საფიქრალი,
ჩემი დასაკარგი უკვე დაიკარგა,
მხოლოდ რითმები მაქვს ახლა საფიცარი,
ისიც წავიდა და სხვასთან გაიფანტა.

ხოდა გადამწვარი ჩემი ძარღვებიდან,
მინდა ამოხეთქოს ისევ არითმიამ,
მინდა მოვიპარო ჩემი სიმარტოვე,
აქ ხომ ტირიან და ცრემლებს არ ითვლიან.

მთელია პოეზია მექცა სასაფლაოდ,
მე კი მესაფლავე მიწას ორად გავყობ,
ჩემი პოეზია არის სასაკლაო,
ვწევვარ მიწაში და მიწის მომყრელს ვნატრობ.

ისე გაწვიმდება ირგვლივ ღრუბლებიდან,
თითქოს ამ ჩემს თვალებს დარი სულ არ ახსოვს,
ზეცას შევცქერივარ, მერე ვჩუმდები და
ისევ მესაფლავე მიწის მომყრელს ვნატრობ.

ჩუმად გავერიე, ფიქრში აზრთაწყობას,
მაინც გაცრეცილი მომაქვს სიმარტოვე,
ველარ მოვახერხე აზრთა გადაწყობა,
ზეცა შემიყვარდა მიწა მივატოვე.

მაინც ძველებური მომდევს არითმია,
ისევ ჩამოთოვს და მერე გაწვიმდება.
აქ ხომ ტირიან და ცრემლებს არ ითვლიან,
ხოდა ეს ცრემლებიც მალე გაცივდება.

მომაქვს სიმარტოვე ჩემი მაჯებიდან,
მინდა, გადმოგისხა როგორც ჩემი სისხლი,
მე ჩემს პოეზიას ვაქცევ ძარღვებიდან,
მერე სისხლადდაცლილს ერთი მაინც მიტყვის...

ჩემი უჯრედებით დამაქვს სიმარტოვე,
რადგან არითმიათ მექცა საფიქრალი,
ყველა სიმარტოვე ერთად მივატოვე,
ერთი ყველას რჩება ალბათ სატირალი...

***

ძნელია, როცა უყურებ და არქმევ სახელებს
არარაობებს აღმერთებ და ნამდვილებს სწირავ,
ხედავ ათასჯერ შემონახულს, გულქვა სახეებს
და ფოტოსავით შენს მზერასაც დროდადრო ჰყინავ.

ფიქრობ, ხვალიდან ყველაფერი გამოსწორდება,
ყელთან მიაბჯენ ამ სამყაროს მწარე სიმართლეს,
ინვალიდივით გზაზე მორცხვად გამოხოხდება,
მაინც ბავშვივით დადგება და თავს გაიმართლებს.

ნერვულ უჯრედებს ყელს გამოჭრის შიზოფრენია,
რკინის საწოლზე მიჯაჭული ფოთლების ცვენა,
იმ სიგიჟეზე რომ ამბობდნენ. მეც კი მსმენია.
გამოიწვია სარკაზმი და ღრუბლებში ფრენა.

და ახლაც ისე მარტივად მაქვს ალეგორია,
როგორც ათასჯერ წარმოთქმული შენი სახელი.
დასაწყისია, მაგრამ მაინც ადრე მგონია,
რომ აქ დავწერო ორი სიტყვით ჩემი სათქმელი.

დროდადრო ვფიქრობ, რას მივცემდი, რა მემეტება,
მე იმ ხალხისთვის ვინც აქამდე მომაღწევინა,
მათი თვალები ქუჩაში რომ სულ მეფერება
და სიცოცხლეზე ხელი თვითონ მომაწერინა.

მაგრამ დროდადრო ყველაფერი ისე იცვლება,
საკუთარ თავში იკეტება ყველა მეორე
და მაინც ალბათ ვერაფერი ვერ შეიცვლება,
გთხოვ, ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გამიმეორე!

თითქოს წარღვნაა და კიდობანს ვერ მივაღწიე,
ამ სახეობის ბოლო დარდსაც გულით ვატარებ,
ჩემი სიმშვიდე ჩემს ნაბიჯებს ვერ მივაწიე,
ხელს ნუ შემიშლი, ჩემს გზაზე ვარ, გთხოვ, გამატარე!

და მოხდეს მერე ისე, როგორც უფლის ნებაა,
ყველა თავის წილს მიიღებს და თავის გზას ნახავს,
ვისთვის ცხოვრება ციხეა და ვისთვის ფრენაა,
ფაქტი ერთია, ყველა მეორე მესამეს მარხავს...



**ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)**

## მამაცი ბებო

(გულნაზ ხარაიშვილს)

ეს ამბავი ურეკს მოხდა,
არ გეგონოთ მოგონილი,
ხავერდის სეზონი იდგა,
იყო ზღვა ლიცლიცა, მშვიდი.

მოლივლივე ზღვის ტალღებში
ნებივრობდა ერთი ბებო,
ბებო უშიშარი, ტკბილი,
მოალერსე, სანაქებო.

გულნაზ ბებოს გარეშემო
ეხვეოდნენ ზღვის ბალღები,
მისგან ნასწავლ ცურვით ბევრმა
დაამარცხა ზღვის ტალღები.

პლაჟზე მისი გამოჩენით
იყო ერთი ჟრიამული,
მის დანახვით დიდ-პატარა
ყველა იყო მხიარული.

ბებო მოდის! აღტაცებას
ვერ მალავდა მარი, ლელა,
თამარი, დათო, ვახტანგი,
თეა, გიორგი, ნათელა...

ერთხელ, როცა შორს გაცურა,
განწირული ესმა ხმები,
ქალი შეკრთა... ახალგაზრდა
კაცს ახრჩობდა ზღვის ტალღები.

სწრაფად ძალა მოიკრიბა,
შეაშველა მადლის ხელი,
არც იფიქრა, იქნებ მასაც
დასდგომოდა განსაცდელი.

დედის გულმა უკარნახა,
ვაჟკაცისთვის რომ ეშველა,
მისმა ასეთ მამაცობამ
გააოცა იქ სუყველა.

ამით ბებომ ერთხელ კიდევ
დაამტკიცა სათნოება,
მოყვასისთვის თავგანწირვით
თავის კეთილშობილება.

იმ ვაჟკაცსაც ულოცავდნენ
სასწაულად გადარჩენას,
პირჯვრის წერით, სამადლობლით
ადიდებდნენ მამა ზენას.



გერონტი მესხი
(სამაჩაბლოს ბულბული)

## გამარჯობათ, დევნილებო!

გამარჯობათ, დევნილებო,
ჩემი კუთხის შვილებო!
ჩუმი სევდა აგყოლიათ
მშობლიური მიწიდან.
ფრონის პირას ჩარჩენილი
ფესვები, თუ ძირები,
ანდამატის ძალით გზოჭავთ
და თავისკენ გიზიდავთ.
მერამდენე შემოდგომა
ჩამოთავდა ლიახვთან,
უთქვენოდ მწიფს ხეჭეჭური,
ლარს ვაზი აქვს მიმხმარი.
ვინც თქვენს ფუძეს დაგაშორათ,
ძაღლი სულში მიაკვდა,
გადახდება ყველაფერი,
ვით კოშმარი სიზმარი.
მერამდენედ დაგიბერათ
ქარბორბალამ ირიბად,
მარცხიანი ბედისწერა
ცუდ განაჩენს მიაგავს.
განსაცდელი ხურდასავით
როგორ ჩამოგირიგდათ,
ან, რა ძალით უმკლავდებით
საზრუნავთა ნიაღვარს?
ლიახვიც ხომ ფრონესავით
გულით უხმობს თქვენს გულებს,
ფერს იცვლიან ოცნებები
დროის პირქუშ სრბოლაში.
ვერც რა ძალა ვეღარ გაგტეხთ
დრო და მიზნის ერთგულებს,
დაიჩოქებს ეს ზამთარიც
პრინციპებთან ბრძოლაში.
ღრუბელს ქარი გადადენის,
გადაწმენდავს კაბადონს,
ცამ დალახვროს დღე დაცემის,
ამაღლების დრო დგება.
ღმერთმა ქნას, რომ
თქვენმა თხებმა
სულ ტყუპები დაბადონ,
მატიანის ხსოვნად რჩება
წუხილი და გოდება.
ძმები – ძმისგან დევნილები...
ვერსად ნახავთ ამდაგვარს...
დამიჯერეთ,
ვიდრე კალამს
შეშრობია მელანი:
მე, დევნილიც რომ არ ვიყო,
თქვენი ალი დამდაგავს,
ვიდრე გვყავანან დევნილები,
დევნილნი ვართ ყველანი.
გამარჯობათ, დევნილებო!..
შავბნელ დარდებს ნუ ჰგუობთ,
ავდრის ნაცვლად მზე იბრწყინებს
ლიახვს ზემოთ, მშვიდ ცაზე...
ხიდი, განზრახ ჩატეხილი,
გამთელდება უთუოდ,
ისევ მტრედი იღუღუნებს
სამაჩაბლოს მიწაზე...

2012 წ.

## სამაჩაბლოში დრო გადის ნელა

სამაჩაბლოში დრო გადის ნელა,
თილვის ტაძართან აღარ ისვრიან.
გათენებულა
და, თითქოს, ბნელა,
ბინდი კი არა,
დილის ნისლია.
მე მოვალ,
განა მარტო ნადიმებს,
კარვებსაც გავშლი ირგვლივ სრულებით.
და მაგ ველ-მინდვრებს,
მოვინადირებ,
თოფით კი არა,
სიყვარულებით.
აურას ავსებს იმედი მდგრადი
და სულშიც ჯიქურ შემოპარულა.
სამაჩაბლოში
დრო ნელა გადის
და იპარება ნისლი მალულად...

2013 წ.



## ძალა ნულშიც* ყოფილა

(გენო პეტრიაშვილს, სახელოვან ფალავანს სამაჩაბლოდან)

გენებით ნულელს და ბუნებით ცხინვალელს
გზად გამარჯვებები დაგყვება ბრწყინვალე.
ფრონის წყლით ნაწრთობი ამაყი ბუნება
უამრავ მორკინალს წაუხდენს გუნებას.
ცად სწვდებათ ვარსკვლავებს ეგ მზარდი დიდება,
სიმართლის მარცვალი დღითი-დღე ღვივდება...
ფრონე და ლიახვი უშენოდ ნაღვლობენ...
შენ ბევრჯერ დალაშქრავ უამრავ მაღლობებს.
ეგ ძალა სურვილზე მრავალჯერ დიდია...
...ფრონე კი, შენსავით, აპრილშიც მშვიდია...

2015 წ.

## წინ ოქრო იცდის ოლიმპიური

*გენო პეტრიაშვილს – ევროპის ახალ ჩემპიონს*

ძალა აღმართს ხნავს!.. ცა ბრწყინავს მაღლა!..
ქედს შენს წინაშე ევროპა იხრის...
ლეოპარდივით ვერც შენ გრძნობ დაღლას,
ცას სწვდება შენი კაცობის ნიხრი.
ჯაბნი „არჩევანს“, უგებ „არადანს“...
გიფრთხიან, როგორც ჩიტი-მეთოფეს...
ციდან გეღვრება მკლავში ძალა და
ფარდაგს ასკდება ზურგით მეტოქე...

გრანდები ისე ცვივიან ფერხთით,
როგორც ჩიკორი, ბრმად რომ ტრიალებს..
მე, სამაჩაბლოს ბულბული ერთი,
მიგულე შენდა მემატიანედ.
შემოგინახავს პირებს დღიური
შენგან დამხობილთ, კვარცხლბეკიანებს...
აგვისტო გიცდის ოლიმპიური
და კვლავ ჰიმნს, ქართულს, აგვიხმიანებ...

2016 წ.

*ნული – სოფელია ყოფილ ზნაურის რაიონში, ამჟამად მთლიანად განადგურებული



ნანა ნოზაძე

## გლოცავ ჩემო საქართველოვ

გლოცავ ჩემო საქართველოვ,
ვუმღერ ქართვლის დედას.
ლოცვით უნდა გაგამთელო,
რწმენა აღზევდება.
ღვთისმშობელმა მარიამმა,
კალთა დაგაფაროს,
არა გავნოს მტრის ნიავმა,
ჩემო საფიცარო.
არსად არის სხვაგან მსგავსი
ცა ასეთი ფერის
შენ ხარ ჩემი გულის გარსი,
გრძნობით დავითვერი.

## საჩხერეში

მინდა მოვხვდე ძველ წარსულთა,
ნიჟიერთა ედემში...
გამდიდრდები... მწირი ლექსით,
თუ მეც გამოვადექი,
საჩხერეში დაიბადა, ჩვენი
დიდი მგოსანი,
მისი ლექსი უკვდავია,
ყვავის როგორც შროშანი!
არგვეთი კი ისევ სტირის,
დღეებია დარდიანი,
მათ უდროვოდ გაუფრინდათ,
მუხრან მაჭავარიანი.
მინდა მეც რომ ვისეირნო,
ნიჟიერთა ედემში.
გამდიდრდები... ჩემი ლექსით
თუ მეც გამოვადექი.

## ჩემი ზემო იმერეთი



ჭიათურის კლდეთა ქუჩებს,
ყვირილა რომ მიჰყვება,
სულ ბუტბუტებს და ბუტბუტით
ჩემს ბავშვობას მიყვება.
ოცნებები და წარსულიც იმ მხარეში
სეირნობს,
ჩემი კუთხის სადღეგრძელო,
მინდა დამალევინოთ.

## ღარიბია ჩემი მხარე

ღარიბია ჩემი მხარე,
სულით არის მდიდარი...
უბეში აქვს შენახული,
მუდამ ტკბილი ნუგბარი.
იმერეთში უნებლიეთ,
თუკი სახლში შეხვედით,
ხაჭაპური გამოცხვება,
ერთი ხელის შეხებით.
ჭურის თავზე მიგიწვევენ,
მოგიხდიან უხადსო,
წიწილებსაც შეგიწვავენ,
მოგართმევენ უხვადო.
სახლში წახვალთ? თან გაგყვებათ
მასპინძელის ლოცვები,
მანქანები აივსება, ღვინის სავსე
ბოცებით.
ჩემი კუთხის ხალხი არის
უმწიკვლო და წმინდა,
მაპატიეთ, თუკი ფიქრიც,
მათთან გამიფრინდა.

## ვუძღვნი ბებიას



ოლიჩკა ცუცქირიძე

ბებო, მახსოვხარ, მუხლმოყრილი და
მოამაგე,
უფაქიზესო, საყვარელო,
სანდომიანო,
შენი სიკეთით მახსენდება,
სხვებს ბევრჯერ არგე,
რამდენ ჭირვარამს გაუძელი,
ადამიანო,
მე მახსედები, გადაღლილი
შრომით და დარდით,
ახლაც ფიქრებით მოვირბინე
მთა და ველები.
ვგრძნობ, რომ დარდობენ შენს
საფლავზე ია და ვარდიც,
ეომებოდი ბედისწერას შენი ძალებით.
ჯანგალეული, წელმოხრილი სხეულით ბებო,
შენ ქედს გიხრიდნენ, სიყვარულით
სოფლის ქალები,
რადგან ცდილობდი სუყველასთვის
სიკეთე გერგო.
ვეძებ თბილ სიტყვებს
და მარაგი არ მყოფნის გჯერა?
ხარ ლურჯ ზეცაში,
ჩემი გული ისევე გჩემობს
ჭიათურაში ვაშლი უკვე შევარდისფერდა,
მაგრამ ტკბილ ლეღვსაც,
შენს გარეშე არა აქვს გემო.

## ჩემი ლიჩი



ჩემი ლიჩი მუზა არის,
მოსავს მწვანე ხავერდი.
ცა ბრწყინდება ღამის მთვარით.
გულით მით არ დავბერდი.
იქ როცა ვარ გულით ვხარობ,
ხვანის გზებზე გავლილი,
ნაკვერჩხლებზე ბრუნავს ტარო
ცხელ ბუხარში დაყრილი.
გამიმრავლდეს ლიჩელები,
გამიმრავლდეს კერია,
სიყვარულის სადღეგრძელოს,
ყველა ერთად მღერიან.

## დედას
**(ლექსი დაწერილია როცა დედა ცოცხალი მყავდა)**



დედა – ზინა (მარიამ) გაფრინდაშვილი და
მამა – შოთა კურტანიძე

ჩემს წონა სანთელს დაგინთებ დედა,
ოღონდაც ერთი ნატვრა ამიხდეს,
აღარ მქონოდეს მე შენზე სევდა,
ასი წლის მერეც არსად წახვიდე.
შენ ჯანმრთელობას ვავედრებ უფალს,
მინდა გახსოვდეს ძველი წარსული.
შენ იყავ ტკბილი, ძალიან სუფთა,
ტკბილ მოგონებებს ფიქრით გარს ვუვლი,
ქვრივის უღელი მარტო დაგქონდა.
შვილებმა ობლის ცრემლი დავღვარეთ.
შენს წინ სიავით ქარები ქროდა,
ამიტომ აღზრდით ძალზე დაგღალეთ.
ახლაც კი მინდა კალთაში ჩავჯდე,
ყურში მესმოდეს სიტყვები ტკბილი,
ძალიან მინდა, მარტო შენ გგავდე
და მინდა ვიყო შენსავით თბილი.

## შვილებს



მადონა ნოზაძე

თქვენთვის ვლოცულობ ტაძარში,
თქვენს თავს ვავედრებ უფალს.
დავდნე სანთლების ხანძარში,
გავშალო ფიქრთა სუფრა.
ცხოვრება რთული რამ არის,
აჩრდილად მიტომ დაგდევთ.
და დედის ტვირთი სხვა არის,
მე დიდი ვალი მადევს.
ალალი ლუკმით დაგზარდეთ,
ლოცვის სიტყვებით გათბობთ.
დარიგებით არ გაბრაზდეთ,
გჯეროდეთ ზედმეტს არ გთხოვთ.
არ თქვათ დედიკო არასდროს,
სხვებს ბევრი რატომ აქვსო...
ცრემლი არავის ადინოთ,
ბოროტს არ დაემსგავსოთ,
შეჭირვებულთა წყალობა,
მიზნად ჩაიდეთ გულში.
ამრავლეთ შთამომავლობა,
იხარეთ თქვენს მამულში.
თქვენზე რომ კარგი სხვვებმა თქვან,
მაშინ ვიცოცხლებ დიდხანს,
ჩრდილად დაგყვებით დედიკო
ცუდი რომ არვინ მითხრას.



მარინა და მამუკა
ნოზაძეები

## როგორ უცებ გაფრენილა

შუაღამე გადასულა,
ძილი არ მეკარება
ფიქრი ჩუმად გასუსულა,
მიხმო, გულის კარებმა.
გამახსენდა შვილები და...
ტკბილი შვილიშვილები.
გულმართალი თბილებია,
ჩემი მამის შვილები.
ვფიქრობ, ნეტავ ეს ცხოვრება,
ისე როგორ გავლიე.
სხვის ონკანში წვეთი წყალი
რომ არაფრით დავლიე.

სიხარულიც ბევრი იყო,
დაბრკოლებაც ოხერი.
ო, რა უცებ გამქრალიყო
ბავშვობა და სოფელი.
როგორ უცებ გაფრენილა
ჩემი ყმაწვილქალობა.
ეზო-ვაკეს მოფენილა,
დიდი უფლის წყალობა.
ახლა თუკი გარდვიცვლები,
სულაც არ მეშინია.
აქედან თუ გაგეცლებით...
ცას ვიხილავ ჩემიანს.

## თხოვნა

არ გადაჯიშდეთ, არ აჰყვეთ მოდას,
თორემ ღვთის რისხვას ვერ გადურჩებით.
ჩვენს სამშობლოში სხვა ჯიში მოდის
გეპატრონებათ ყველას  შერჩევით.
ბევრჭირნახული ეს ჩვენი მიწა,
ელის ისევე ძველ ტრადიციებს...
ჩვენ ღვთისმშობელი იმიტომ გვიცავს
რომ არ ავდევდით სხვის ამბიციებს
ნურც ეწევით და ნურც გადათვრებით,
დალიეთ ღვინო, მხოლოდ ზედაშე...
სხვის კერიებზე ხშირად ნუ თბებით
ძველ ტრადიციებს მივყვეთ მე და შენ.

## ჩემო თბილისო

საუკუნეებს გაუძელი კარგო,
სიხარულიც და სევდაც გიხდება...
მინდა, რომ გული ამოგიქარგო,
სანამ ჩანაფიქრს სხვა მიმიხვდება.
ჩემო თბილისო, ენა რომ გქონდეს,
რაც გიშველიდა ალბათ მეტყოდი...
მიკვირს ეს ქარი რად უნდა ქროდეს,
რადგან, თვით ქარსაც გულით ეტრფოდი.
ანდამატივით იზიდავ ყველას,
ღია გაქვს მუდამ გულის კარები...
ცას სააკაძის ხმალი კვლავ ელავს,
მტრის და მოყვრების განამწარები,
შენ ეროვნებით არავის არჩევ,
ყველას შენს უბე-კალთას აფარებ...
მტერს და მოყვარეს სიყვარულს აჩვევ
გულში კი სევდას ჩუმად ატარებ.



## ყველა მიყვარს

წინამურს რომ მივადგები
გადავხედავ მცხეთას.
ქარო, ნუღარ გაავდრდები,
ვერ ავიტან სევდას.
ამ ჩემს ლამაზს
მცხეთის გუმბათს
სისხლი ისევ წვეთავს.

ვდგავარ ჩუმად,
ვდგავარ უზრად,
დარდი შემეფეთა.
მოღალატეს მკვლელს და ორგულს
შეაჩვენებს ღმერთი,
ყველა მიყვარს, მაგრამ უფრო
მიყვარს იმერეთი.

## მამა არ მახსოვს


მამა – შოთა კურტანიძე

მამა არ მახსოვს, ვიყავი პატარა,
ფერისცვალებას გარდაიცვალა...
დედამ ობლები უბით გვატარა
ახალგაზრდობა ჩვენ გვანაცვალა.
ხუთი ობოლი, ტანჯვა-წამება,
წილხვედრი გახდა დედის.
ცრემლები გულმკერდზე უჩუმრად აიბა,
მის ტკივილს ახლა ვხვდები.

## მტრედები

ცხოვრებაში ფანტაზიას არ ჰქონია საზღვარი
შუადღისით დაინახავ მზეს გაუდის ღვარღვარი.
ვზივარ ბაღში, ორი მტრედი დაგოგმანებს ლაღად,
ისე ტკბილად ღუღუნებენ არ ეტყობათ დაღლა.
მათ ცქერაში, მეც გავლაღდი
დარდი გაუჩინარდა,
შევეხე და აფრთხიალდნენ,
მტრედი, მტრედთან ფრინავდა.
მერე მიხვდი, მყუდროება,
მტრედებს რატომ წავართვი,
თუმცა ცუდი არ მინდოდა,
მსურდა მათთან ბაასი.



# მალე მოვა გაზაფხული



თოვლის ფიფქმა გადაფარა,
არემარე, მთა და ველი.
თითქოს ხელით დაუხატავთ,
მხატვრის ხელით ყველაფერი.
ბუნებაა ცვალებადი,
ხან თბილი და ხან ზვიადი,
ხის ტოტებზე ბუზღუნობენ
რათ უსკდებათ ჩიტებს გული?
სარკმელს ჩუმად ავეკარი
და დაუგდე ჩიტებს ყური,
მათ ბუზღუნში ვერ შევნიშნე
იმედი და სიხარული.
რად არ სჯერათ ჩიტუნიებს
მოვა მალე გაზაფხული.

# ძირულა



მინდა რომ ლექსი დავწერო
და შენ მოგიძღვნა ძირულავ...
ხან კალაპოტი ვერ გიტევს
ხან კი მაგ ტალღებს მილულავ.
ზაფხულში ყველას უხარის
მაგ შენს ტალღებში ნარნარი,
სიკეთით სავსე გული გაქვს
მინდა რომ გითხრა მართალი.
შენ გაბრაზებაც კი იცი
მაშინ ახლოს ვერ მოვდივართ.
როცა წყნარდები მშვიდდები,
სუყველა შენკენ მოვრბივართ

ბადეს რომ ვესვრით შენს ტალღებს
თევზი მოყვება ულევი...
წვერა, ღორჯო და კალმახით
გაგვიხალისე გულები.
შენს ნაპირებთან ცეცხლს ვანთებთ,
მწვადს წამოვაგებთ შამფურზე.
ღამეს ლექსებით ვათენებთ
ლიჩში ჩვენ ყოველ ზაფხულზე.
დილამდე მიდის ქეიფი
შეძახილებზე დაკრული.
ღმერთო დალოცე ეს მხარე
ეს სილამაზე ზღაპრული.

# მოდი ნახე



საჩხერის თავზე დასცქერი,
ამაყად, როგორც მზვერავი
ის არის გრძნობის საცერი,
აუგს ვერ ამბობს ვერავინ.
მინდა მადლობით მოგმართო,
ასე ერთგულად რომ გვიცავ...
ამაყად რომ გადმოგვძახი
მოდით მნახეთ და გამიცან.
ციხეს ლეგენდად დაუდვეს
ამბავი სიყვარულისა.
თავად პაპუნა წერეთელს
ქალი სურს აბაშიძისა.
ქალის მამამ ფეოდალმა
უარყო სიძე თავადი.

რადგან არ ჰქონდა მას ციხე
გადაისროლა ნაბადი.
წამოიმართნენ მცველები,
უარი რად თქვეს ქალზეო...
შემოვესიოთ ლაშქრით
წამოვიყვანოთ ძალზეო.
თავადმა ის დაამშვიდა
შრომა აჯობებს სისხლის ღვრას.
ციხე ხომ ციხედ დაგვრჩება,
ქალსაც მომცემენ „თილისმას“.
მყისვე ააგო მან ციხე,
მსგავსი მზისა და მთვარისა...
მოდით ნახეთ და იცანით
არც თქვენ ინანებთ არც ისა.



## ყვირილა

მოდიხარ და მოქარაფობ,
გვერდს გიმშვენებს „ყაყაჩო და გვირილა“.
სულ ჩხუბის ხასიათზედ ხარ,
მიტომ გქვია ეს სახელი „ყვირილა“.
მოდიხარ და მუდამ ჩხუბობ,
ეხეთქები ნაპირებს.
საიდუმლო თუ არ არის, ნეტავი რა გაყვირებს?



## მადლი

როცა კაცი დადიხარ და თან დაგყვება უფლის მადლი,
მაშ რაღა გაქვს სადარდელი, ღრუბლებს ბევრჯერ თავს
რად ადრი?
ნუ დაეძებ ფულს და ოქროს, ნურც ქონებას, სიმდიდრეს.
სამსახური გქონდეს ნაღდი ჯანმრთელობით იდიდე.
კარგად გყავდეს ჯალაბობა შვილთა შვილიშვილები,
გვერდში გყავდეს ჯანმრთელები შენი მამიშვილები.
დანარჩენი ის იკმარე რასაც მოგცემს უფალი,
არ მოგაკლოს ლუკმა პური ღმერთს მადლობა უთხარი.

## დღესაც ბევრია

დღესაც ბევრია ჩვენს შორის
შურიანი და მცდარი.
უფალო გადამირჩინე,
სამშობლო საფიცარი.

## ოჯახს



**მარცხნიდან: მადონა, ნანა, მამუკა, ელგუჯა და მარინა ნოზაძეები**

მე რომ ლექსს ვწერ ამ გულიდან ამოხეთქილ სიტყვებით
ყველა გრძნობა მათ ეკუთვნით ოჯახისთვის ვიწვები.
მინდა ჩემო ოჯახო, ისე წარმოგაჩინოთ,
მადლი ქმენით, ღარიბნი, თუ გაქვთ, უნდა არჩინოთ.
ყველა მინდა გავახარო გავუქარვო დარდები,
მინდა ყველას შეუსრულდეს თავის გულის ნადები.

## ნუ გეწყინებათ

ნუ გეწყინებათ თქვენი ნანასგან,
ჩემი სიტყვები გამოგადგებათ...
გამიგონია ჩემი დედისგან,
წლები ხელშიო შემოგადნება.
არ განიკითხოთ... არ იზარმაცოთ...
ეცადეთ ბიჯგად სხვასაც შეუდგეთ,
უკულმა პური აღარ დაფარცხოთ,
ზოგჯერ შეცდომა
მტერსაც შეუნდეთ...

# ჩემს მეუღლეს
(ელგუჯა ნოზაძეს)

საკუთარი სახლის ნაცვლად
შენ ააგე უფლის სახლი.
შენ სიკეთის საქმეს მარცვლავ...
მიტომ გლოცავს გულით ხალხი.
სოფელ მუხრანს გასასვლელში
ააშენე ღვთის სამება,
გამვლელსა თუ გამომცვლელსა
დღე ლოცვებით უღამდებათ.

... გამორჩეულად უყვარხარ უფალს,
მან უხილავად დაგადო ხელი...
გული გაქვს წრფელი, ძალიან სუფთა,
განვლილი გზები არა გაქვს ბნელი.
შენი საქმეა ქველმოქმედება,
ვაზის დარგვა და შექმნა-შენება.
ერი ღვთის გზისკენ ამოქმედდება,
ქართველი აღარ გადაშენდება.


ელგუჯა ნოზაძე





ლამზირა შეყილაძე

## მამის ანდერძი

სულ პაწაწინა, ყვითელ ფურცელზე,
მამას, ანდერძი დაუწერია.
სიკეთე თესე დედამიწაზე,
ბოროტებისგან ჯვარი მწერია.
უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო,
შენი, მიწა და შენი, მამული.
სინდისი უნდა გქონდეს უმწიკვლო,
გულში მზესავით გენთოს წარსული.
სიმართლე უნდა ატარო გულით,,
სიმაღლესავით იყო მართალი.
თუნდაც იტანჯო ცხოვრების წყლულით,
უნდა ადიდო ღმერთი, მაღალი.
არ გაუარო მოხუცს გულგრილად,
გაჭირვების ჟამს არ მიატოვო.
აც დაგებედა დედის მუცლიდან,
სხვისას არაფერს დაეპატრონო.
სული ჩაჰბერო მომაკვდავს უნდა,
არ დაინანო რაც გაგაჩნია.
არ მოითხოვო მადლისთვის ხურდა,
უნდა გმოსავდეს წმინდა მანტია.
თუ დაგიშავებს უვიცი რამეს,
წყევლა და კრულვა არ მმიაყარო.
გიყვარდეს ყველა, მტერი მოყვარე,
გულს სიძულვილი არ მიაკარო.
შენ სიყვარულად მოხვედი ქვეყნად
ცრუთა სასმელით ნუ დაითვრები.
სიყვარულს რასაც მეტს გაიმეტებ,
უფრო და უფრო, მით აივსები.
ესაა ჩემი ცხოვრების გზაზე,
სულის საკვებად რაც შეგიგროვე.
რაც დაეტია მომცრო ფურცელზე,
მხოლოდ და მხოლოდ ის დაგიტოვე.
მივდივარ, გტოვებ ღმერთის იმედად,
არ მოგიშალოს ღმერთმა ნათელი.
ახლა შენ უნდა უთხრა სამშობლოს,
ბოლოს რაც დამრჩა მისთვის სათქმელი.

## თუ სატანჯველი უიაფესი

დრო... ასე ცოტა, დარდი რამდენი,
როდემდე ვზიდო მძიმე ჯვარივით
ასე მგონია, დავიკარგები
და ბოლთასა ვცემ ბედგამწყრალივით.
მე, ასე მცირე, დარდი რამხელა,
მოვიდა როგორც ცივი ზამთარი.
მრისხანე თვალით ამხედ-დამხედა,
ვერც მომერია, „ვერც მე დავძარი“.
ამდენი დარდი, ამდენი განცდა,
მე, მცირე თიხა, სული ნამცეცი.
სიცოცხლე ჰქვია ამ ყოფას ნეტა?
თუ, სატანჯველი უიაფესი.
რარიგ დამლალა ცრუ ხეტიალმა,
ბრიყვი სიცოცხლე მძიმეა ერთობ.
დარდებს კი არა, ან მე, კი არა,
ყველას შეგვინდე ცოტ-ცოტა ღმერთო.

## აპრილი

(გურამ ჭავჭანიძეს)

შენ, რა იცოდი... შენ, რა იცოდი...
რომ ძლიერ მიყვარს თეთრი აპრილი,
გულმღელვარებით, რომ დავდიოდი,
მეშორებოდა უცხო ნაპირი.
ვინ გაგიმხილა, ჩემი ტრფიალი,
რომ სუნთქვა მიყვარს გაზაფხულისა.
ვარდები მიყვარს ნამით ცვრიანი,
ასიმღერება მწველი გულისა.
არ შემიძლია... უცქირო აპრილს
და გული მქონდეს უსიხარულოდ.
არ შემიძლია, სიცოცხლე ისე,
ისე... უბრალოდ უსიყვარულოდ.
მზე კურთხეული, იცისკრებს როცა,
მაშინ საგულეც ქარვის ფერია.
ვისაც აპრილი უყვარს ჩემსავით,
მათ ალალ გრძნობას ჯვარი სწერია.
გულს ამღელვარებს თეთრი აპრილი,
გადმოთანთქარებს შუქი მთვარიდან.
როცა აპრილი გულ-მკერდს გადაშლის,
სიცოცხლეს ვიწყებ ისევ თავიდან.
როცა კვირტები აფეთქდებოდა,
რარიგ მწყუროდი, რარიგ მინდოდი.
მაინც ჯიუტად, მწამდა, მჯეროდა
გზაჯვარედინთან შემომხვდებოდი.
თეთრმა აპრილმა შეგვყარა ერთურთს,
და სიშორისთვის არ მემეტები,
თილისმასავით მიგიბნევ მკერდზე,
თუ სიყვარულად დამებედები.

2016 წელი.

## ხვარამზესეულ მზეს ვეფიცხები

ლეგენდასავით მოდის შორიდან,
წრფელ სიყვარულის მწველი ფიქრები.
ხვარამზესეულ სიყვარულს ვეტრფი,
ხვარამზესეულ მზეს ვეფიცხები.
ვიცი ჩემიდან ძლიერ შორსა ხარ,
თვალსაწიერზე მწველი ნისლლია.
ახლა იმითაც ბედნიერი ვარ,
შენზე ოცნება, რომ შემიძლია.
რადგან არ ძალმიძს გიგულვო ჩემად,
მყის, შემოვრაგვავ შენს ნატეფალებს.

იქ, ფეხის დადგმას ვერვინ გაბედავს,
იქ, გავახარებ თეთრ იასამნებს.
ხვარამზესეულ მზეს ვეფიცხები,
სიყვარულის მზე გულზე მედება.
მოხეტიალე ჩემი ფიქრები,
ახლაც შენს გზებზე დაეხეტება.
შენზე ოცნებას და წფელ სიყვარულს,
დასეტყვილ გულზე მალვით დაგიფენ,
და როცა სული დატოვებს ჭურჭელს,
გულწრფელ სიყვარულს საგზლად წავიღებ.

2016 წ.

## გიორგი სააკაძის ოჯახს

ერთაწმინდაში, ვიყავი როცა,
თვალი მოვავლე ქართლის მთა-ველებს.
თვალცრემლიანმა დავიწყე ლოცვა,
ღმერთო!.. დიდება ჩვენს გმირ ქართველებს.
პაატას, საფლავს შევეხე თრთოლვით,
ჩემი სათქმელი ჩუმად ვუთხარი.
გულმწუხრეული სამარხს დავემხე,
დავგმე, ღალატი, ბრმა და მუხთალი.
შორს ჰორიზონტი იყო მზიანი,
მოსჩანდა, ქალის ნაზი ხატება.
თვალები ჰქონდა ერთობ წყლიანი,
ყუთით მოჰქონდა ქართლის ნათება...
გიორგი მთაზე გადმომდგარიყო,
მისი თვალები რისხვას აფრქვევდა.
ვაგლახ... მოძმე, რომ არ წამხდარიყო,
მტერს სამუდამოდ დაამარცხებდა.
ფარისევლები კვლავ გასაყიდად,
თვალით ზვერავენ ქქართლის ლამაზებს

და ავთანდილი ცეცხლოვან გულით,
იცავს სამშობლოს ციხე დარბაზებს.
ერთაწმინდაში მზე, რომ ამოვა,
გადმოანათებს ქართლის სანახებს.
ციდან ოჯახის სული ჩამოვა,
დაემხობიან ძმათა სამარხებს.
დროთა, ჟამთასვლამ გადააფასა,
მტერი, მოყვარე, მიწის დამცველნი.
ჯოჯოხეთიდან ითხოვენ შველას,
მოღალატე და ქვეყნის დამქცევნი.
რამდენი ჩეხე, მტერი ურიცხვი,
რამდენი რისხვით გაატიალე.
უბის ჯიბეში კრძალვით ინახავს,
გმირთა სახელებს მემატიანე.
ფლიდ და ორგულებს ქვეყნად რა დალევს,
არ დანანებით, ღვარძლით გიმუხთლეს.
მშობლიურ მიწის დანატრულ ოჯახს,
დღეს საქართველო გულში გიხუტებს.

2016წ.

## სიგიჟე დაცხრა

იდუმალ სევდამ ჩამაფიქრა, ნუ ფიქრობ მასზე,
მე კი შენს მოსვლას ველოდები, წლებია ვიცდი.
ქვითინებს ღამე, მონატრება ჰკკიდია ხავსზე,
და ვეჭვიანობ, იქნებ სულაც გადავავიწყდი,
სასწაულური მოლოდინით გისიზმრებ ისევ,
ისევ, მიღვივებ გულში ცეცხლს და დამწვარ იარებს.
რა ვქნა, ამ წლების სიმხურვალეს ვერ შევეთვისე,
მკერდის ქვეშ ვმალავ, დაკოდილ გულს დანატყვიარებს.
ნაოცნებარი სიყვარულით ვიარე დღემდე,
დამშეულ წლების ფორიაქში სიგიჟე დაცხრა.
გულს ვეკითხები? რა იქნება სიგიჟის შემდეგ.
ცრუ იმედების, მოლოდინის დრო აღარ დამრჩა.
ნაცრისფერ სევდას დაუბინდავს გული ნისლებით,
აქ, ხეტიალი უსათუოდ გამიჭირდება.
თუ შენზე ფიქრი აღარ დამჭრის გულში ისრებით,
მაშინ ასეთი სიყვარული აღარ მჭირდება.

2016წ.



ზეინაბ ასისტიშვილი

## საქართველო

ზემოთ აზიდულ მთებს ვუცქერ
ქვემოთ რაკრაკა ხევს,
ველად გაშლილ ყვავილებს
ნაირნაირ ფერს.
ვუცქერ და თვალს ვერ ვაშორებ
მინდა მათი მზერა.
საქართველოს შესადარი,
ვერსად ვნახე ვერა.
საქართველო ლამაზია,
მთებითა და ველებით.
საქართველოვ, შენ მიყვარხარ
მუდამ მოგეფერები;
ლურჯად ლივლივა ზღვაცა გაქვს,
სხვა სილამაზეც, რა ვიცი?..
ყველა კუთხეში კურორტი,
ტაძრებსაც ხომ ვერ დავითვლი.
ამიტომაც შვილნი შენ გყავს,
შვილნი სხვა და სხვა ერის,
ვით ქალბატონს მძივი ყელზე
მძივი სხვა და სხვა ფერის;
ასე კარგად ვინ შეგამკო,
ნეტავ ვინ გაგანაზა?
ასე კარგი ყველაფერი
ნეტავ ვინ დაგანათლა?
იმედია ღვთისმშობელი,
მარიამი გიცავს,
ვერავინ ვერ დაიტაცებს,
საქართველოს მიწას.
საქართველოს ექნება,
მთაწმინდა და ვარძია.
საქართველო იდღეგრძელებს,
საქართველო განძია!

## ჩემი სიმდიდრე

პირველად დედა, სადაც ვთქვი,
სადაც ავიდგი ფეხი,
ისაა ჩემი სიმდიდრე,
იქაა ჩემი ფესვი.
მე იმავ მიწის სურნელი,
შევიგრძენ გავიხარე,
სადაც ილიას სხივია,
ნათელი მოელვარე.
სუფთა მთის ჰაერს ვსუნთქავ,
სუფთა კამკამა წყაროს,
მეც დავლიე და მინდა,
სიცოცხლე განაცვალო;
შევძლებ, ნეტავი როგორ?
რომ ჩემს ხალხს გენაცვალოთ,
მართალი სიტყვა გითხრათ
და ყველა გაგახაროთ.
ილია მზეა ჩვენი,
მე კი სხივი ვარ ერთი,
მინდა გაგითბოთ გული,
გლოცავდეთ მაღლა ღმერთი.
ილიას სახელს ახსენებ?
თუ კი ხარ მართლა ქართველი,
ცუდი საქმე არ აკეთო,
ამის არ ვიყო მნახველი.
ილიას ბილიკს მივდევ,
მიყვარს ის მთა და მდელო,
მიყვარხარ ჩემო კახეთო.
მიყვარხარ საქართველოვ!
დაღლილა შრომით წამები,
მსურს დაისვენო ახლა.
ერთად დავიცვათ ეს წმინდა მიწა,
ნურასდროს დავყრით ფარხმალს!
ილიას ფესვი იცოცხლებს,
ის არის ფირუზ-ლალი.
დაუშრობელი იქნება,
ილიას ცივი წყალი.

## დედაშვილობა

დღე და ღამ შვილზე რომ ფიქრობს,
დედის ხვედრია ესა,
სიცოცხლე თუნდაც, შვილს ანაცვალოს,
ბუნებამ დააწესა.
დედას, შვილი თუ ბედნიერი ჰყავს,
აღარ აქვს არა დარდი.
ზამთარიც იყოს, მის გულში,
მაინცა ჰყვავის ვარდი.
ამაზე კარგი არაფერია,
დედა რომ ხარობს შვილით,
თუნდაც მშიერმა ღამე ათიოს,
ოღონდ შვილს ჰქონდეს ძილი.
დედაშვილობას რა შეედრება?
არაფერია მსგავსი.
შვილო გახსოვდეს, დედა გიყვარდეს!
და არ გასცვალო სხვაში.
ჩემო ძვირფასო, შვილიკო.
იცოდე! დედის ფასი.
პირველი სადღეგრძელო თქვი,
შეავსე ღვინის თასი.

## უცხოეთში

შორს წასულო შვილებო!
თქვეთანა ვარ ფიქრებით,
ვიცი ღმერთი გადმოგხედავთ,
ვიცი კარგად იქნებით.
გვიან ღამით მუხლმოდრეკით,
ვევედრები მაღლა ღმერთსა,
ტკბილი სიბერე მოგვეცი,
სხვას არას გთხოვ, არაფერსა...
გაზაფხული მანდაც მოვა,
სურნელება ყვავილის.
მხოლოდ კარგზე იფიქრეთ,
დრო თავის გზას გაივლის;
მონატრება ძნელია,
მაგრამ არაფერია,
ყველაფერი დროს მივანდოთ,
მეტი რა დაგვრჩენია.
აწმყო არის სევდიანი,
წარსული კი ნეტარება,
ნუ გაფიქრებთ ეს ცხოვრება,
გულს დარდი ნუ გეპარებათ
ვინც მანდა ხართ,
ყველასა გაქვთ ერთი საფიქრალი.
ყველას გზები დაგელოცოთ,
გული თქვენთან არი!
დღეს თქვენა ხართ ერთმანეთის,
იმედი და ნეტარება,
ჩვენ ვერაფერს გეხმარებით,
მხოლოდ ღმერთი გეხმარებათ.
ბედმა თუკი მოგიმზადათ,
ერთნაირი საგზალი,
დღეს თქვენა ხართ ერთმანეთის,
საყვარელი და-ძმანი.
სამშობლოდან შორს წაიღეთ,
სიკეთე და სითბო,
უცხოეთში მოაბნიეთ
ქართველობა იცნონ.
ვინც მანდ ხელი მოგიმართონ,
იხარონ და იდღეგრძელონ,
ყველას ჰქონდეს, კარგი დღენი;
სიკეთის გზა გააგრძელონ.

## ცელქი თია

თიამ უკვე გაიღვიძა,
სად არისო გია?
გია მამას ეხმარება,
მეტად ყოჩაღია.
მე კი ჩემო დედიკო,
ძლიერ მომშივნია.
თოჯინასაც გავაღვიძებ,
ალბათ მასაც შია.
ჯერ ხელ-პირი დაიბანე.
ივარჯიშე მალე,
მერე მიირთვი საჭმელი.
აბა გამახარე.
ქათამმა კვერცხი დაგვიდო?
ყვირის ცელქი თია.
ჩქარა შემიწვი დედიკო,
ოხ, რა ძლიერ მშია.
ძროხა ხომ უკვე მოწველეთ,
რძე ამიდუღეთ მალე,
თორემ ყელი თუ ამტკივდა,
როგორ ვიმღერო ხვალე,
ბებო მომეცი ხილი,
მჟავე კი არა ტკბილი,
კანფეტს მომიტან ხვალე?
მე გავიზრდები მალე,
მე მინდა ვიყო ექიმი,
თავს, რომ გატკიებ ბებია,
მევე მოგარჩენ იცოდე,
თმებიც მთლად გაგთეთრებია,
გინდა გაგიცვლი თმასა,
თან დაგიკოცნი თავსა,
თმები ჩემს გამო გაგთეთრებია,
დიდხანს იცოცხლე, ჩემო ბებია.



გურამ ჭავჭანიძე
**Гурам Чавчанидзе**

## უშენოდ

ახლა ვის ვანდო შენთვის სათქმელი,
ან ვინ გამიგებს შენზე ძალიან,
ჩამოილვენთა ყველა სანთელი,
ყველა ოცნებამ სული დალია.

თითქოს დადუმდა მთელი სოფელი,
როგორც წყვდიადში, უმთვარო ღამით,
სადღაც ხარხარებს მეფისტოფელი
და ყველაფერი მთავრდება ამით.

## ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი

ბორანი რომ მტკვარზე იდგა,
ის თბილისი მიყვარდა,
თითქო ეხლაც თვალწინ მიდგა
აფსუს, დრო-ჟამს მიბარდა,
მტკვრის გაცურვა ჩემ უბნელთა
ნატვრა იყო მარადი,
როგორც ყველა თბილისელთა
სავიზიტო ბარათი,
ახლაც ფიქრით იმ დროს ვეტრფი,
მთლად არ გადამიწურავს,
თბილისელად იმას ვეტყვი,
მტკვარს ვინც გადამიცურავს,
ბორანი რომ მტკვარს აპობდა,
ის თბილისი მერჩია,
ვინც საბორნე მტკვრით ლაღობდა,
მსურდა, გამომერჩია.
ის თბილისი, მზის სადარი,
ისე გადაირია,
ვერ გაიგებ, ვინ სად არი,
ვინ სად გადაირია.
მოდი, ერთი, „მი ატ ელი
ახპერ“, კაცო კაცურო!
თუ ხარ ნაღდი თბილისელი,
მტკვარი უნდა გაცურო,
მომენატრა ბორანი და
მტკვრიდან მასზე აძრომა,
გადმოხტომა ბორანიდან
და ბორნის ქვეშ გაძრომა,
სად არიან ძმაბიჭები,
სადღა არი ბორანი?
„პლეხანოვის“ სხვა ბიჭები,
მტკვარით ნაამბორალი.
სად ხართ, ძმებო, „ცავატანემ“,
არ გამიქრა შუქური,
განა, ტალღებს გავატანე
ტრფობა სიჭაბუკური?
არ გამქრალა ის ფარული,
წლობით გულში ნადები
ჩვენი ძველი სიყვარული,
ჩვენი სერენადები.
ცირკის ქვემოთ სანუკვარი,
ძვირად შესახედავი
ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი,
რას ბუტბუტებს, ნეტავი?

## КАК ВЫ МОГЛИ?

*Я так старался вас уверить,*
*Что трудно мне без вас прожить,*
*Как вы могли мне не поверить,*
*И просто так заворожить.*

*„Любви все возрасты покорны",*
*Хотя не всем дано любить.*
*Но есть закон, для всех бесспорный,*
*Любовью надо дорожить!*

## ЛЮБОВЬ НЕ КОНЧАЕТСЯ!

*Желаю Вам всех благ, всего добра,*
*Побольше радости с годами,*
*Удачи вам _ «ни пуха, ни пера»,*
*Да и апрель не за горами...*

*Как хорошо, что вертится земля,*
*Вертится, но не качается,*
*Как хорошо, что можем жить любя,*
*И что любовь не кончается!*

15.09.16

## ЕСЛИ МОЖЕШЪ ПРОСТИ

*Каюсь я по ночам,когда ползают тени,*
*Сожалею о всем, хоть случилось любя,*
*Если можешь прости стану я на колени,*
*Умоляя тебя, умоляя тебя.*

*Пролетели года, близок вечер осенний,*
*Без любви никогда я б не смог уцелеть,*
*Я тебя так люблю, что стою на колени,*
*И за тот поцелуй вновь готов умереть.*

*И когда по ночам опускаются тени,*
*Надвигается боль, разгоняя мечты,*
*Всё равно я люблю этот вечер осенний,*
*Ведь и боль и мечты это ты, это ты.*

## ПЕСНЯ О ЛЮБВИ

***Я люблю, когда сердце, так любящее бьётся***
***И хотя не вернётся наша молодость вновь,***
***Но зато я уверен, если ты улыбнёшся,***
***Буду знать, что на свете не угаснет любовь.***

***Я люблю, когда песня задушевная лётся,***
***Когда птицы весною зачирикают вновь,***
***И покуда я верю, что ты мне улыбнёшся,***
***Буду знать, что на свете не угасла любовь!***

**15.09.15**

## Я ВАС ЛЮБИЛ

*На белом свете сколько я прожил*
*И жил я вроде не напрасно,*
*Я ж вас любил, о, как я вас любил,*
*И это было так прекрасно!*

15.09.16



მზეგული ტყეშელაშვილი

## დამესიზმრე...

ხან სიო ხარ, ნაზი,
ხან ყვავილთა ნამი.
შენ ხარ, რომ იცოდე ჩემი სალოცავი!
ტირიფების ჭალა,
ცაცხვი, თელა, ვერხვი,
ვერ იქნა და შენსკენ,
ვერ ავიღეთ გეზი!
სიზმრებში კი ხშირად,
შენსკენ მოვიჩქარი
მინდა მოგეფერო –
დავიტანჯე ქალი!..
ფრონის ჭალის ხიბლი,
სიმწვანე და ჩერო,
წუხელს გინატრე და
დამესიზმრე ჩემო!

***

## რა დავაშავეთ?!

გადაცურე? – მთვარეო,
ჩემი ფრონე, მდინარე,
წაგეყვანე, გახლავარ,
ცრემლებისა მდინარე!
შენს იმედად აღარ ვარ,
ქარს გავატან ხვაშიადს,
ჩემს მაგიერ შესცინოს,
მწუხრის ჟამს და განთიადს!
მოვიკითხავ...ატმის ტოტს,
რომ იფრქვევა სურნელად,
ფრონე დაბოლმილია,
იმის მერე სულ ღელავს!
ნეტავ რა დაგიშავეთ,
რად მოგვგლიჯეს სიწმინდეს...
სანამ უნდა დავასხათ
წყალი სხვების წისქვილზე?!

## ვნატრობ...

„თეთრი დათვია“ მიზეზი
ჩემი ასეთი ყოფისა,
გაგვითამამდა ავყია,
შიში არა აქვს თოფისა.
ვნატრობ დღე, ვნატრობ ღამითაც,
დღე გაგვითენდეს მზიანი,
გამოჩნდეს მასზე ძლიერი,
სახლში გააგდოს ღრიალით!
სხვა არაფერი არ მინდა,
თვითონ მივხედავ პრობლემებს,
შენ კი – მიცქირე, თუ როგორ,
შემოვირიგებ ამ ჩემს ძმებს!

## პეპელასავით ვიცხოვრო

დაბადებიდან სხვა მერქვა,
თუმც სულით ვიყავ პოეტი,
ეს ეპითეტი როდია –
ფიქრია, ტანჯვა, თავს რეტი!
ვარდის მოკრეფა მომინდა,
სულ ბლუჯად ვკრიფე... ეკლები,
გამკვირვებია, შემომრჩა –
სალი და მრთელი ნერვები!
და... ახლაც შემართული ვარ,
მზე პოეზიის – მგვრის ღიმილს,
პეპელასავით ვიცხოვრო...
ყვავისა – ჩირად არ მიღირს!

## ვერ შევძელი

კაკლის ტოტზე ჩიტი გალობს,
თვალით ეძებს რაღაცას
მიწას ოხშივარი ასდის –
მზე დაჰნათის ნაზამთრალს!
საამოა შენზე ფიქრი,
როგორც ხვატში ნიავი,
რომ იჯექი შენს ბუდეში,
ბედნიერიც იყავი...!
არ მასვენებს შენზე ფიქრი,
გულში უნდა ჩაგიკრა,
ეგ იცოდე, ჩიტუნიავ –
უშენობა არ მინდა!
მომეძალა ნოსტალგია...
...სიახლოვე ვერ მშველის,
რა ვქნა, თუ კი ვერ შევძელი
დავიწყება მე შენი!

***
## მოგვერია მტრები

კიბრავიდან გიმზერ...
ვუხმობ წმინდა გიორგს
მოგეყრდნობი გულზე,
როგორც ვაზი ჭიგოს!
გადმოგვხედე, გვიჭირს,
მოგვერია მტრები,
არ დაგვტოვო მარტო,
ამას გევედრები!!

***
## ვარდობისთვეს

რვა წლის წინათ ვარდი დავრგე, ტურფა,
არ დავაკელ სიყვარული, ზრუნვა...
იქეთ იმას ვენატრები თურმე –
აქეთ მე მკლავს ნაღველი და ურვა!
იქნებ მიხმე... ან მეძახი ახლაც,
როგორ მინდა გამოვექცე მსტოვრებს,
გულს მაკლიხარ, სანატრელო სამგზის,
მადლი უფალს, სიზმრად არა მტოვებ!
დრო მკურნალი არ აღმოჩნდა, რადგან,
არ იდარა, სულში ისევ მათოვს,
ვარდობისთვეს დამაბრუნა შენთან!
გული ოხვრით – სხვას არაფერს არ მთხოვს!

## ყვითელი ფოთოლი

ნეტავ რას გადამეკიდე
ქარო, შლეგო, აშარო...
გინდა გული გამიხეთქო
და ნერვებზე ამშალო!?
თავზეხელაღებული ხარ,
ჰოდა, რას არ იკადრებ,
იქნებ... გეზი მაცვლევინო –
გამაფრინო... მზისაკენ!
ძირს გდებას და ცახცახს მიჯობს –
ვიყო მისგან დამწვარი,
სხვა სამყაროს გადავბარგდე,
გადაღლილი, მაშვრალი!

## არ გამაგონოთ

შვილი ვარ შენი, ჩემო ქვეყანავ,
მიყვარს შენი მზე, ჰაერი, ყანა...
იკმარე ტანჯვა, ნაღველი, კუპრი...
გაიღიმილე – გახსენი შუბლი.
სხვას თუ ეშველა, შენ რას ზოზინებ,
მანუგეშე და...ნუ მალოდინებ!
შენი აწმყო მკლავს – სამოსი ბინდი,
გამოფხიზლდი და...რალაცას მიხვდი!
ენა გვაქვს კარგი, თანაც მდიდარი,
მაგრამ რად გინდა...სწუნობს სტუმარი!
ოთხივ კუთხიდან – მიწა წაგვართვეს,
ზურგში მახვილი ბევრჯერ ჩაგვარტყეს!
დროა ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი,
არ გავიკაროთ... მოყვრულად მტერი,
სანამდის საქმე უფრო წამხდარა,
არ გამაგონოთ შუღლი, აღარა!

2016 წ.

## თავს შევუძახე

ნუ ეთიშები სამყაროს,
დარდთან რა გინდა მარტო;
განსაზღვრე შენი მისია,
რაა, ამქვეყნად, კარგო!
ამასაც გეტყვი, იფიქრო,
და არ წახვიდე ისე –
ბევრი ხე დარგე, ახარე,
ყვავილი მორწყე, ისევ!
თუ კაცი ვერ დაგინახავს,
ღმერთი შენშია... აქვე,
ღრენით თუ შემოგიტიეს,
არ გირჩევ – ყველას აჰყვე!
გვაშორე ბილწი ენები,
უმადურობა – მოსპე...
ენით დაკოდილ გულებზე,
შვებად მალამო მოსცხე!

*2014 წ. მაისი*



ხათუნა ჩიტაძე

## ავტოპორტრეტი

თქვენ ხედავთ მხოლოდ დაქარგულის წინარე მხარეს...
უკან კი მთელი სამყაროა, ბორგავს, ტრიალებს,
წყდება, – იბმება,
წყდება, – იბმება,
...როგორ მაწამებს.......
თქვენ ხედავთ მხოლოდ დაქარგულის წინარე მხარეს!

## გვირილა

მე ვარ გვირილა!
ოქროსფერი გულის საკინძით.
გაზაფხულიდან შემოდგომამდე
მაქვს ცის საფრენი!
მე ვარ გვირილა...
თქვენი მზერა ფრთხილად ავკინძე,
რომ მოგიქარგოთ
გრძნობა მსგავსი
და შესაფერი.
მე ვარ გვირილა!
ოდითგანვე ვითვლი დროის სვლას...
რადგან მაწუხებს სულ ყველაზე
ძველი ამბავი!
დაბადებიდან კრძალვით ვმარცვლავ
ჩემეულ ან-ბანს,
რომ ვაზიარო უხუნარი ტრფობის ლამპარი!

მე ვარ გვირილა! –
გაზაფხულის და ზაფხულების,
შემოდგომის და უცნაური დროის ტრფიალის...
იქნებ, ერთელაც, მოგესურვოთ შემობრძანება,
და დედამიწის საქანელის გწამდეთ ტრიალი!
მე ვარ გვირილა...
ვიცდი,
ვიცდი,
როდის ისურვებ,
რომ აიხდინო სულ ყველაზე წრფელი ზღაპარი!
ჩამოითვალო......
ხელში შეგრჩეს ის ერთი სხივი!
– ვუყვარვარ!
ზეცას მიახარო წრფელი ამბავი!

.......მე ვარ გვირილა!

## სამიზნე

თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერენ,
ვიტყვი, – ოდესღაც გული მტკიოდა!
მე კი გადავრჩი იმ ტყვიის მერე,
რომელიც დიდხანს მკერდში წიოდა...

თუ ამაცილეს, – მაინც მესროლეს!
ესეც იგივე განსაცდელია!
გულში მყავს ჩემი სულის მესია!
ჩემი გზა ისევ ჩემი ლექსია!

თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერავთ,
აქა ვარ! ჩემი დაბადებიდან!
მოდით, მესროლეთ, როგორც გენებოთ,
მაინც გამოვალ განსაცდელიდან.

არ დაივიწყოთ, სიკეთით ვიბრძვი,
უფალი ჩემში სახლობს და მლოცავს!
თუ ტყვიას მესვრით, უკვე ხომ იცით,
მე არ მსვრით! – ფარად წინ მიდგას ლოცვა!

...თუ ჩემს გულს ტყვიის სამიზნედ ზვერავთ,
– სად არის მზერა?!....

## გატონია

(გალაკტიონს)

ვინ იცის, როგორ გტკიოდა სული,
კოცნიდი მზის სხივს, სხივზე დიადი!
წმინდა ოცნება აგართვეს, სრული,
დაგიდგა ასე მძიმე წყვდიადი...

ის ზნემაღალი სულის ციალი,
ნებით თუ ძალით დათმე, დაუთმე,
მაგრამ ტანჯვა და გულის წრიალი,
შენს იდეალებს უღვთოდ ჩაუთქვეს!

ცამეტი მეტრი!
– განა რა არის,
ფრთების გაშლადაც არ ეყოფოდა!
ცამეტი მეტრი!
– თვით მიიტანა
მარადისობის სამყოფელოსთან!

თქვი ეჭვით, წლების თავშესაფართან:
„ოღონდ სისულელე არ წამოგცდეს რამე!“
მერე შეერთო გზა-გასაყართან,
სულის უარყოფის და თვითგვემის ღამე!

შური გატონია!
ფრთხილად გატონია!
აქ ყველას ბოლმა და პირველობა დააქვს!
შური გაონია!
ვიცი, რა რთულია
როცა ვერ იშორებ შემოთითხნილ დამღას!

კიდეც გაგძარცვავენ, კი, ვიცი, ასეა!
ზოგს სამოსი შურს შენი და არა გონება...
ცამეტი მეტრი კი ისევ საზომია!
წამიერი ფრენა! –
დამთავრდა დამონება!

ფანქარი დუმს...
უკვე წლების რემაა...
ახლა ჩეულები არ ზომავენ საფრენ სივრცეს!
და მაინც, გულსაკლავი ბედის წერაა,
სარკმლის საწყისამდე კიდევ რომ ვერ გიცნეს!
ვინ იცის, როგორ გტკიოდა სული,
სად იყო მეუღლე, ან დედა, ან ლექსი...
შენ ხომ პოეზიით იყავი „სნეული“,
მე ვინ ვარ,
მე ვინ ვარ,
ვგრძნობ და მაინც მესმის!

მზის სხივი დაკოცნე,
მეფე ხარ პოეტთა!
კვლავ მღერის ჩანგი და
კვლავ მოსჩქეფს რიონი!
უფალი,
სამყარო,
სამშობლო ერთია!
და პოეზიაში მზე-გალაკტიონი!

***

(ქალბატონ ლიანა ტატიშვილს)

ალბათ ადვილი ჰგონიათ, როცა
ღიმილის უკან ქარებს აკავებ!
ალბათ რამდენჯერ მუსიკაც მორჩა!
მაგრამ მუსიკით ჰკრეფენ ვარსკვლავებს.

რჩეული ტვირთი ფასს ადებს ნათელს,
გარშემო ბზე და ნარ-ეკალია,
მელოდია კი თავიდან ჰბადებს,
რაც წამია და წარმავალია!

დილის აისზე ნოტები მოჩანს,
მზის ბილიკები ჩნდება და მღერის!
თქვენ, გაზაფხულის ჰანგებით მგოსანს,
ეს სიყვარული და სითბო გშვენით.

...ალბათ ადვილი არაა, როცა
მუსიკით ქარს და სევდას აკავებ.......



**Kamran Xıdıroğlu.**

**EYLƏDIN.**

Sən mənim mənalı keçən ömrümü
Mənasız ömürə calaq eylədin.
Otların içində heç edib gülü
Bir azca uzanmış alaq eylədin.

Bilinməz çəkilməz dərdimə bir bax
Bəxtim oynanılmış, nərdimə bir bax
Mərdi uzaq düşən yurduma bir bax
Bulanlıq suları bulaq eylədin.

Getmə! Dedimsə də mümkün olmadı
O da dərd yarıymış qalana yazıq.
Sənin urəyindən saf məhəbbəti
Pul verib, haqq ilə alana yazıq.

Qar yağıb yadıma nələr gəlmədi,
Vallah sənsiz keçən,ömür gülmədi
Kamranı yandı da kimsə bilmədi
Talan ürəyimi yalaq eylədin.

2006 cı il.

**SƏN OLDUN**

Gəlimli gedimli qoca dünyanın
Baharı mən oldum qışı sən oldun.
Qovuşmaq həsrətin yandırdı məni
Nəmli gözlərimin yaşı sən oldun.

Qisməti həyatda bilən də azdı
Səndənsə gördüyüm işvədi , nazdı
Dərdimi bilənim bir qara sazdı
Sazda da pərdəmin başı sən oldun.

Dolandım dünyanı bilmədin ey yar
Ağladım gözümü silmədin ey yar,
Nə də xoş günümə gəlmədin ey yar
Könlümün qonduğu quşu sən oldun.

Dərdə bax ki , ağır günə alışdım
Sənin üçün çox vuruşdum çalışdım
Yerli –yersiz hər işinə qarışdım
Bunları görməyən naşı sən oldun.

Xıdıroğlu yaman düşdüm bəndə mən
Oruzmanam bağlanmışam kəndə mən
Namus, qeyrət, ar da gördüm səndə mən
Küskün qələmimin işi sən oldun.

**AY GÖZƏL**

Bir baxışın həsrətinə düşmüşəm
Yaman oldu bu ayrılıq ay gözəl.
Gözləyirəm oğul-uşaq toyunu
Zaman oldu bu ayrılıq ay gözəl.

Çəmən yaşıl,çiçək yaşıl,ürək ağ
Sən çəkmisən ürəyimə bircə dağ
Ölməyib o günü görəcəmmi sağ
Güman oldu bu ayrılıq ay gözəl.

Yollarına çiçək düzüb gözlədim
Qızılgülüm əldə dözüb gözlədim
Yuxumu da sənə yozub gözlədim
Aman oldu bu ayrılıq ay gözəl.

Xıdıroğlunu öldürməyi istəsən
Gəlmə ellər yas tutmasın, xəstə sən
Eşitmişəm artıq yolun üstəsən
Tamam oldu bu ayrılıq ay gözəl.

**SARILDIM**

Buydumu qismətim bilə-bilmədim,
Qələmdən ayrılıb simə sarıldım.
Düşündüm bir dosta ehtiyacım var,
Gör kimdən ayrılıb , kimə sarıldım.

Vurğun oldum biləmmədim yaşı mən
Səhv saldım bahar ilə qışı mən
Haqq  yolunda ipək bildim daşı mən
Zillərdən ayrılıb bəmə sarıldım.

Ruhum ayrı qaldı eldən uzaqda
Dedilər bülbüləm güldən uzaqda
Özümü yox sandım eldən uzaqda
Qurular yox dedim  nəmə sarıldım

Xıdıroğlu  sən çəkilməz dərdə bax
Şeş qoşanı yeklə dəyişən nərdə bax
Ötən ömrə bir dön geri bir də bax
Keçib sevinclərdən , qəmə sarıldım.

**QARDAŞ.**

Indi hər tərəfdə söz deyən çıxıb
Neyləyim susmayan yalana qardaş!
Hər kəs köhnə deyir dünənki yaza
Neyləyim yalvarım qalana qardaş!

Bezlər ipək olub çıxıb bazara,
Gündə qarşı gəldik dərdə azara,
Yenə bu dövrdən olduq bezara
Umudmuz bircə can alana qardaş!

Yenə yaşıllaşıb dərə təpələr,
Sahili qucuyur coşan ləpələr,
Buludlar çəmənə yağış səpələr,
Dönüb bu dünyasa talana qardaş!

Xıdıroğlu dünya həmənki döymü?
And-aman əhd-vəfa gümankı döymü?
Son görüş dediyin dünənki döymü?
Çarə yox ölənə olana qardaş!



გულნაზ ხარაიშვილი

## იქნებ ამიხსნა

გაგამხელ ყველგან მდუღარე ცრემლო,
რომ დამიფუფქე ბევრჯერ ეს გული...
წადი! იმედიც არ გამიცელო,
ქარია ჩემთან შემოპარული.

სად გაქრა ძველი ადათი ნეტავ,
გაუცხოვების ქარი ბატონობს...
ან ვინ დაგვწყევლა, ვინ გაგვიმეტა,
იქნებ ამიხსნათ ჩემო ბატონო!

## მენატრებოდი

მენატრებოდი, საქართველოვ,
მენატრებოდი,
ჩემს შვილთან ერთად,
ორი კვირით საზღვრებს გავცილდი,
რას ვიფიქრებდი, სიყვარულით ავტირდბოდი,
ლამაზ აფხაზეთს... სამაჩაბლოს
გულში ვმარცვლიდი.
თუ მგზავრობის დროს,
უნებლიე ბედი მშთანთქავდა,
ჩემს მიწაწყალზე დაყრილიყო,
ძვლები ვნატრობდი...
ღმერთთან სიწრფელით ვადასტურებ
ჩემს ამ ნათქვამს და..
ცეცხლი მეკიდა, მონატრების
ველარ ვაქრობდი.

## * * *

სამშობლოს ცაზე,
ღრუბლებია გაფანტულები.
დარდის მძივები,
სევდის ძაფზე,
ცრემლით ავაგე.
რადგან ქართველებს
გულები აქვთ დაფატრულები,
მტრები მომრავლდნენ...
ველარაფრით ველარ გავაგდე.

## ყველა აქებს ლამაზია რაჭა

ჩემი ფიქრთა გზები უნდა გავჭრა,
მთათა სივრცეს გავუსწორო თვალი.
ყველა აქებს ლამაზია რაჭა,
დავტკბე ნახვით... წამოვიდე მთვრალი.
მოვილოცო, სალოცავში ხატთან,
ნიკორწმინდას შევავედრო ერი...
საოცრებას, ლექსის ენით ვხატავ,
სტროფს დაეტყო, ტყის სიმწვანის ფერი.
მრავალძალო, ვარ პოეტი ქალი,
არცთუ ისე დალხენილი ბედით...
ცრემლის ზღვა ვარ, დარდის ტყუპისცალი,
ბედისწერის ტალღებს შევაბერდი.
ნიკორწმინდავ, კრძალვით მოვალ შენთან,
მაგრძნობინე რაჭის მთების ეშხი,
ლექსსაც შენი მადლი შეენივთა,
აშრიალდა როგორც ნაზი ვერხვი.
ღამეს შვენის ჩრდილთა ყავარჯენი,
დღისით ყვავის რაჭის მთა და მდელო.
დამიწერე, მოსვლის განაჩენი,
შენი მთებით სუნთქავს საქართველო.

## ხილი ხომ გქონდა

ისევ მე ვდარდობ,
ხალხის თვალში დაპატარავდი.
სიცრუის ზღვაო,
უაზროთა ზღვათა ნაპირო.
ხილი ხომ გქონდა,
სხვის ბაღებში რას იპარავდი.
არამგონია, შენ მაგ გზებით
გაიაპრილო.

## ჩემი ვარსკვლავი

ჩემი ვარსკვლავი, სიზმრად ვნახე,
მზეს მცველად ახლდა.
სინამდვილეში?.. მნათობი არა,
ჭრიჭინა იყო.
ის სეირნობდა, ცხელ ზაფხულში
წავიდეს ახლაც...
კვლავ იჭრიჭინოს,
არასოდეს, ჩემთან არ იყოს.

## გმადლობთ

(ალი მუსაევს)

გმადლობთ, რომ იცით პოეტის ფასი,
თქვენ გესმით ლექსის სულის ჩივილი,
სიცოცხლის წლები გქონოდეთ ასი...
არასდროს შეგხვდეთ გულის ტკივილი...
იცით რასა გრძნობს პოეტი მაშინ...
როცა უაზროდ ტალახს ესვრიან,
პოეტი ცურავს ცრემლების ზღვაში,
მისი სიმდიდრე მხოლოდ ლექსია...

## არ დამიჯერე

მეხსიერებას თუ შემორჩი,
არ ნიშნავს იმას,
ავტირდები და ავწიოკდები.
არ დამიჯერე, აედევნე,
ფეხშიშველ წვიმას,
გთხოვ, არ მიჯავრო, შენს გარეშე,
მე არ  მოვკვდები.

## ქარიშხლების დროს

ცოტაც მაცალეთ,
სანამ ჯაჭვის პერანგს მოვქსოვდე.
მადლის ციხე-კოშკს ავაშენებ,
იქ შეგიფარებთ.
უნდა ვიბრძოლო, სანამ მტერი
ქართველს მოსპობდეს
ქარიშხლების დროს,
ჩემს გულს საბნად გადაგაფარებთ.

## იმედების კარი

იმედების თბილი კარი გამოვაღე,
შიგ დავიწყე, ხეტიალი აბდაუბდა.
გაყინული რწმენის ბალი გამოვალღვე,
რადგან დარდი თვალის ქვაბში დუღდა...
იქნებ სხივმა ეს ცრემლები ააორთქლოს,
ტკივილები გვერდზე უნდა გადავაწყო,
მოვეფერო, ციცქნა ნერგებს ნაზს და თოთქოს,
იმედებით, ცხოვრება მსურს, კვლავ დავიწყო.

## ძალას ვიკრებ

იმედები სად წასულა,
ჩუმად მიიპარება...
ცა ღრუბლებით დაორსულდა,
მთვარე ნისლს ეფარება.
ძალას ვიკრებ... ვეძებ სითბოს,
მივყევ ტალღის დინებას,
მივაღწიე ნაპირს თითქოს,
აღარ მომეწყინება.

## ია ექიმო

(ტატო ხარატიშვილის დედას)

ია, ექიმო გლოცავ შვილივით,
ჩემო ძვირფასო, სულის ნაწილო...
გულზე აგაბავ ბროლის მძივივით,
გულიც შენ უნდა გაგინაწილო.

## ჩემი ცხოვრება



ზამთარი მიყვარს თოვლის სითეთრით,
ის ზეცის სევდის თანამგზავრია...
გაზაფხულის კი ყვავილი ერთი...
მაგრამ რად მინდა, გულში ბზარია.
შემოდგომის თვე... ფოთოლცვენაა,
ტყე იძარცვება მწვანე სამოსით.
ჩემი ცხოვრება, დიდი სცენაა,
რომელსაც ცრემლი ბევრჯერ ჩამოსდის.



## მთვარევ

მთვარევ, ჩემი ლექსი გაგაოცებს,
გითხარ: არასოდეს შეგაწუხებ.
მკვდარი იმედები გააცოცხლე,
როცა დამესიზმრე ისევ წუხელ...
ერთად დავეძებდით, ცის ფირუზებს,
დილას ვნებდებოდით წმინდა სულით,
შენთვის „ათინათებს“ ვაგროვებდი,
რადგან გრძნობით ვიყავ შემოსილი.
სინამდვილეში კი ვაღიარებ
შენთან ფიქრებითაც არ მოვხვდები,
მძულხარ... არაფერს არ ვაღიავებ...
სიკვდილს უშენოდაც წინ დავხვდები.

## ჩემს კვალს მოჰყევი



ჩემს კვალს მოჰყევი, გზა არის სუფთა,
ვიწრო ბილიკსაც არა აქვს ხინჯი...
ჰაერს ისუნთქავ კამკამას, სუფთას,
თუმც ქარიშხალი მეც ბევრჯერ მჯიჯგნის...
ტკბილად დაგმოძღვრავ, გულს დაგიმშვიდებ
და არას გავნებს ჩემი სიტყვები...
სანამ აქ მოსვლას სხვა არ დაგიშლის,
ხედავ ზღვის ტალღებს მარტოდ მივყვები...

# საქმემან შენმა გამოგაჩინოს...





უშანგი მოსიაშვილი



გულნაზ ხარაიშვილი

## ფუნჯით და კალმით
**(უშანგი მოსიაშვილს)**

ქართველ პატრიოტს, რით მოგეფერო,
სულს რომ უბერავ, წარსულს და აწმყოს,
საქმენი შენი სჩანს, ნაირფეროვნს,
ვაზის ტოტს მწარე ტოტებზე ამყნობ.
ფუნჯით და კალმით, რაც არვის ოდეს,
შენში ჩაქარგე, სულის სამრეკლოდ...
შენ არ მოკვდები, რაც უნდა მოხდეს,
მე მინდა ქების ზარი დავრეკო.
რაც შეგიქმნია, იმით ვამაყობ,
შენ დიდ მთებზედაც უფრო დიდიხარ...
დაბადებულხარ ერის სამოყვროდ
და საქართველოს გზა და ხიდი ხარ.



ნაირა ნიჟარაძე

## უშანგი მოსიაშვილს

მეგობარო, სიხარულო სულისა,
მეგობარო, სიყვარულო გულისა.
მეგობარო, იმედი ხარ ხვალისა,
მეგობარო, ციმციმი ხარ თვალისა.
მეგობრის ხმას თუკი სადმე გაიგებ,
ფიანდაზად სულის გზებზე გაიფენ.
მომშველებელო ჭირსა და ლხინში,
შენ გამხნევება ნამდვილად იცი.
უფსკრულის პირას თუ შეფერხდები,
– შესდექ, – შეგვძახებ და შეჩერდები.
თუ სიხარულის მოვა ნიავი,
– გამოდი გარეთ, – გვეტყვი სიამით.
დაჭრილს შეგვიხვევ გულის იარებს,
შენ ჩვენთვის მთები გადაიარე.
თუ დავეცემით საბრძოლო მხარეს,
მოხვალ და დროშას გადაგვაფარებ.
თუ დავიდარდებთ გვეტყვი: – ნუ სწუხარ,
და მოწყენილი, მჭვუნვარე ნუ ხარ.
მეგობარი ხარ, კაცური კაცო,
მომშორებელო ნართა, ეკალთა.
გსურს შეგვიჩერო ცრემლთა დინება,
კეთილმა გულმა რადგან ინება.
ღმერთმა ნათელი შემოგაშუქოს,
და თქვენი მსგავსი ბევრი გვაჩუქოს!



მანანა ზაზიკაშვილი

## იცნობდეთ ასეთ ღმერთკაცს
**უშანგი მოსიაშვილს**

უნიჭიერესი,
უდიდებულესი,
კარგი მხატვარი და
პოეტი – უკეთესი.
ხალხის მოყვარული,
წყალობის გამცემი,
ჩვენთვის ბრწყინვალე და
მტრისთვის – ზარდამცემი...
დამშეულ პოეტებს
დაგვიდგა გვერდში,
გამორჩეულია
საკუთარ ერში.
არიგებს, თუკი რამ
იშოვა ოდეს,
ასეთი ღმერთკაცი,
ბევრს უხაროდეს!!!
03.08.2016წ.



ნელი ქველაძე

## სამშობლოზე ფიქრებით...

**ეძღვნება პოეტს, მხატვარს**
**ქველმოქმედს, პატრიოტს**
**ბატონ უშანგი მოსიაშვილს**

ნეტავ ვინ არის, ვის ბადიშია,
შუაგულ ქართლის გმირი გუშაგი?
ჩვენი მოდგმაა, ჩვენი ჯიშია,
დგას მეციხოვნედ დიდი უშანგი!
დღევანდელ ყოფით არს დაზაფრული,
საუკაძური წვავენ ფიქრები,
მისი გულის და მიწის ზიარი,
სამშობლოს ბედზე დაფიქრებული...
სიკეთეს თესავს მისი კალამი,
ყოველი სიტყვა არის მართალი;
ჯადოსნურია მისი ყალამი,
ქართლში არ არის მისი ბადალი!
დრო არ იცდისო, მიდის ტრიალით...
და გაგვიცოცხლა გმირი წარსული:
მოსჩანს კოშკებზე ცეცხლის ბრიალი,
ისმის ყიჟინა, ხმლების წკრიალი;
ყალყზე შემდგარან გმირი მხედრები,
„ჰკა მაგასაო"! – მხნე შეძახილი,
აჰა, მერანიც ბუმბერაზ მხედრის
ელავს გიორგის დიდი მახვილი!
სულ სიკეთის და მადლის მქმნელია
საოცარ ქვეყნის არისო შვილი,
კაცურ კაცობის მატარებელი,
კაცურად იბრძვის მოსიაშვილი!
ვით მოასვენებს მამულზე ფიქრი,
მხურვალედ უყვარს სამშობლო თვისი,
რომ არ მოედოს ქვეყანას ფითრი,
არ გაჩერდება მარჯვენა მისი!
ველარ ძლება მშობლიური,
მთა და ველთა ფერებით,
ხატავს, ამკობს ჩვენს სამშობლოს,
„ფიროსმანის ფერებით."
ივლისი, 2016. ერთაწმინდა.



გურამ ჭავჭანიძე

## უშანგ მოსიაშვილს

დიდებულია, ვფიცავარ გამჩენს,
თქვენი ტალანტი, თქვენი უნარი,
ჩვენს ერს ერთობა თუ გადაარჩენს
და ნიჭი, მარად გაუხუნარი.

ისევე როგორც ჩვენს მთას და მდელოს
ღმერთმა უმრავლა ზვრები, ყანები,
ასე უმრავლოს ჩემს საქართველოს
ერისკაცები, თქვენისთანები!

15.09.16



**ლეილა გაფრინდაშვილი**

## მხატვრის სახლია?
**(უშანგი მოსიაშვილს)**

გადაიშალა წიგნის ფურცელი
თვალწინ გაცოცხლდნენ „არაგველები“,
„მეფე ფარნავაზ“, „მღვდელი თევდორე“
გულგანგმირული მარაბდელები.
„მინდა რომ ციდან ჩამოვიყვანო
მე ვარსკვლავების მთელი ამალა,
გავაცისკროვნო მთლად საქართველო“
– კაცმა ოცნება ველარ დამალა.
მერე მამულში მომიპატიჟა
ფართოდ გააღო დარბაზის კარი,
მხატვრის სახლია? გალერეაა?
ნახატთა მზერას ვერ მოწყდა თვალი.
რა უხმაუროდ მოფერებიხარ
კაცური გულით მამულს დარდიანს,
მჯერა, სამშობლოს სათაყვანებლად
ლოცვა-ვედრებით ხვდები განთიადს.
გულცეცხლანთებულ გულად ქართველთა
იმ დღეს შეგროვდა მთელი ამალა,
წვიმაც წვეთ-წვეთად შემოგვიერთდა
გვიცქირა... გრძნობა ველარ დამალა.

28.07.2016.

ცხოვრება კვლავ დამამშვენი.
შენში ბობოქრობს ვაჟკაცი სახე,
და სხვანაირად თვალს ვერ გაახელ...
ლექსი მოგყვება ყველგან ხალისით
მასში გულწრფელი შენი ხმა ისმის.
შეყვარებულის სამშობლოს ბედზე,
საუკეთესოს ეძებ და ეძებ...
ღმერთი შენთან არს, ისევ და ისევ
და ნუ მოაკლებ, სულს სიხალისეს
ხარ ანთებული კეთილი სულით
ძლიერი ძარღვი მოსდევს
შენს სურვილს
დიდ ვაჟკაცური მიგნების სავსე
სიცარიელეს შენ ყველგან ავსებ.
მზიან სურვილებს ქადაგებ დროში
დე, დაილოცოს ნაბიჯი მოსვლის,
შენი ამ დროში რომ სიძლიერემ
მარად ხალისი დანერგოს ყველგან.
გულო მოეღოს ყველგან იარებს,
ურყევი სახე სიმშვიდით შექმნის
რომ შენს ლამაზ სულს ღირსებამ ისევ
უთხრას მომწონხარ, მზერა გაქვს ღვთისკენ
დაე იარე კეთილო ასე,
ხატება ხატე კვლავ სილამაზე
დე, პოეზიის შუქმა გაგნათლოს
დიდმა სიკეთემ მარად გაგათბოს.



**თამარ (იამზე) ჭელიძე**

* * *

გული შეგტკივა, რადგან დრო ძუნწობს
ფერი წაერთვა ხალისს და არეს...
ხანა გამოჩნდა, უჟმური, გულღრძო
შენ კი კეთილი, ჟამს მგლოვიარეს
ვერ ურიგდები, სათუთი სულით.
გინდა გაუხსნა, გზა მაღალ სურვილს
და გაახარო ადამის ძენი, იგრძნო



**ლამზირა შეყილძე**

## უშანგი მოსიაშვილს

ეს ლურჯი მთები, მთამწვერვალები
შენი, მზე გულის სანათელოა.
შენი სიცოცხლის მარგალიტები
ფიქრდარდიანი საქართველოა.
მამულის დარდში ათენ-აღამებ,
გარიჟრაჟს ხვდები მაინც ნათელი
შენც ღმერთებივით გიყვარს სიმართლე
ხარ უღალატო ნაღდი ქართველი.
ღრმა აზროვნებით ჭვრეტ წარსულს, აწმყოს,
მომავლის საქმეს ჩაეძიები.
შენ პოზიციას არასდროს არ თმობ
შენ სულში სახლობს მნათი მზეები.
მჭერმეტყველია შენი აზრები,
უხვ-კეთილ საქმის ფუძემდებელი
ტილოებს ანდე შენი განცდები
ხარ არაგვივით დაუცხრომელი.
გონების თვალით სწვდები სიღრმეებს,
და იდეებში არ გყავს ტოლია
ჩვენ ერმიტაჟს რომ სხვაგან ვისიზმრებთ,
თურმე აქ ახლოს კასპში გვყოლია.
შენ უამრავი საქმის ქმნელი ხარ
ჯერ კიდევა გაქვს ბევრი სათქმელი
სამშობლოს გულში ლეგენდად დადის
მზედ კურთხეული შენი სახელი.



# სიბრძნის სკივრი

**ბელა ალანია**



ქალობა მზეობისთვის მზაობაა. ვინ თქვა, რომ მხოლოდ ერთი მზეა. რამდენი ქალიცაა, იმდენი მზეა... მკრთალი, მშვიდი, მცხუნვარე, მოკაშკაშე, ალერსიანი... რამდენი ქალიცაა, იმდენი დედილოა, იმდენი დედიკუდაა, იმდენი დედიკონაა, იმდენი დედუჩია.... რამდენი ქალიცაა, იმდენი ლამაზი დღე და ლამაზი ღამეა, იმდენი ისტორიაა, იმდენი წარმატება, იმედი და სიცოცხლე კი ყოველთვის დასაწყისია....
ქალი კია მზე, მაგრამ მზეობა მაინც ძნელია.

მოქირქილეებიც გარკვეული პროფესიის ადამიანები არიან. ისინი არასოდეს მიდიან წინ. მუდამ ჩვენს ზურგს უკან დგანან. იშვიათად იცვლიან თავის „სპეციალობას," ყოველთვის პოულობენ თანამოაზრეებს. მათ ერთნაირი ზნე და ხასიათი აქვთ. მეტწილად, უგვანო, გაუბედავი, მშიშარა ბუნების არიან. კეთილბუნოვანი ადამიანი ხომ ასე არ იქცევა. მათი ცნობიერება მუდამ ბოროტი ფიქრის სათარეშოდაა გამზადებული. თავის სტიქიაში მხოლოდ მაშინ არიან, როცა ჭორაობენ. ბოროტებით ზაფრავენ საკუთარ თავს და გარემოცვას. ცბიერი განზრახვა ასულდგმულებს მათ სულს. მიზანი ამგვარია – კარგ ქცევაში, კარგ ადამიანში ცუდი ეძებონ, ცუდი კი-უფრო უარესი.
ეს სიძულვილი საცხადოდ არ გამოაქვთ. იმის გამბედაობაც არ გააჩნიათ, რომ ღიად, ხმამაღლა ისაუბრონ უსაფუძვლო ჭორებზე. უბრალოდ, მიედ-მოედინებიან ყველაფერზე და არაფერზე. მოქირქილეები მუდამ ქირქილობენ. ისინი ჩრჩილებს მაგონებენ.

რა ვქნა, ჩემი ახლო მეგობარი ბევრ სისხლით ნათესავს მირჩევნია. მასთან ურთიერთობისას არ მაქვს გენეტიკური ვალდებულებები და არც არანაირი ამასთან დაკავშირებული უხერხულობები, რაც ხშირად თავისუფლებას მიზღუდავს. სულიერი სიახლოვე, თანამოაზრეობა ყველაზე დიდი კომფორტია ორი ადამიანის ურთიერთობისა.

თუ მწვერვალის დაპყრობა არ შეგიძლია, პატარა გორაკი მაინც დაიპყარი. არ გინდა? მაშინ მუდმივად დაღმართისთვის ხარ განწირული. იქ კი სვლა ჩქარდება, მიდის, მიგაქანებს და ისე გაბურთავებს ცხოვრება, რომ არც არაფერს გეკითხება. ბოლოს კი უფსკრულს მიგაყენებს.

როცა რაღაც მოვლენის მიმართ ჩნდება გადაჭარბებული მოლოდინი, რეალობა მოუსვენრობაში გაგდებს. მოლოდინისა და რეალობის შეუსაბამობა თესავს ნიჰილიზმს, რომელიც დღითიდღე ღვივდება....

არაფერი ისე მომთაბარე არ არის, როგორც სიყვარული და არაფერი ისეთი მუდმივი არ არის, როგორც სიყვარული. სიყვარული წარმოშობს ურთიერთვალდებულებებს და ამ ვალდებულებების იმპერატიულობა იწირავს მას. სიყვარული თავისუფლების შვილია. ვერ იტანს დოგმებს. ის თავისით მოდის და თუ არ მოსწონს ნავსაყუდელი, ასევე მიდის. ვერანაირი ღუზა ვერ უშველის მას ნაპირთან დასარჩენად.
სიყვარული არ ნიშნავს მონურ მორჩილებას.
სიყვარული საკუთარ თავთან გამკლავების უნარს გაკარგვინებს და უმწეობაში გაგდებს. როცა ცოტა გამოიხედები და აზრზე მოხვალ, უკვე მის კლანჭებში ხარ მოქცეული.

ერთი ნახვით შეყვარებას ან შეძულებას, ვფიქრობ, ცოტა რამ აქვს საერთო სულიერებასთან.

სუსტებს სძულთ ისინი, რომლებიც თავის სიძლიერით მათ საკუთარ სისუსტეს მუდმივად ახსენებენ. სამაგიეროდ, კერპად აქცევენ მათ, რომლებიც მათ სუსტებად კი არა, არც არაფრად მიაჩნიათ და ბრმად მიჰყვებიან.

როცა ძალიან დაღლილი ხარ, მაშინ ხვდები, რამხელა განცხრომაა დროულად დასვენება.

▩ სასტიკი ადამიანი კომპლექსების ტყვეა და თავის აგრესიით თავს ძლიერად გვაჩვენებს. ამით ცილობს არასრულფასოვნების, სისუსტის დაფარვას.

▩ ფიზიკური ტკივილები მომქანცველია, სულიერი-აუტანელი, ტკივილის გარეშე ცხოვრება კი-წარმოუდგენელი, რადგან ყველაზე კეთილშობილ გრძნობებსაც კი-სიყვარულს, სიკეთეს, მონატრებას მუდმივად მაინც ტკივილი დაჰყვება.

▩ თუ სიყვარულს მისცემ გზას, არ დამალავ, ნებაზე გაუშვებ და არ შეაჩერებ-გათავისუფლდები. ამით უფრო წყალუხვს გახდი საკუთარ სულს, რომ ეს გრძნობა კვებოს და მარად აცოცხლოს. ხოლო, თუ ჩაიმწყვდევ გულში, ეს ყველაზე ლამაზი გრძნობაც კი აუცილებლად შიგნიდან დაგანგრევს.

▩ დაშვებულ შეცდომაზე მუდმივი ხაზგასმა მხოლოდ იმას კი არ ამცირებს, ვინც ნებით ან უნებლიეთ დაუშვა და არც აღიარებს, არამედ იმასაც, ვინც სარგებლობს ამ უპირატესობით და გაუთავებლად ისხენებს.

▩ არასოდეს დაეპატრონო იმას, რაც არ გეკუთვნის: ქონებას, რომლის დაგროვებაზე არ გიშრომია; თანამდებობას, რომლოს დაკავება არ შეგეფერება; ქალს, რომელიც არ გიყვარს, ან უკვე სხვისია.
ქონებას დაკარგავ, იმიტომ რომ არ გაუფრთხილდები და ვერ მოუვლი; თანამდებობას მალე დაგატოვებინებენ და გაქსუებულს და პატივმოყვარეობა შელახულს მოსვენება დაგეკარგება ; ქალს კი ისე შეზიზღდები, რომ აუცილებლად იგრძნობ ამ სიძულვილს და ამით ცხოვრება დისკომფორტს შეგიქმნის.

▩ ხშირად სამყაროს მაჯისცემას ვერ ვგრძნობთ და მისი მთლიანობიდან გამორეკილები მთელი ცხოვრების განმავლობაში განდეგილებად ვცხოვრობთ, თუმცა ამას მხოლოდ სიცოცხლის ბოლოს ვაცნობიერებთ....

▩ შეუცნობელი ვერ შევიცანი, შეცნობილმა კი ხიბლი დაკარგა, ძალუმად ფიქრებს შევჭიდებივარ და მღელვარებამ ხელი დამრია.

▩ ორი შეყვარებული ადამიანის შეხვედრა მხოლოდ ფაქტი როდია, რომელიც მათ ცხოვრებას ცვლის, არამედ მუდმივი პროცესია, რომელიც მთელი სააქაოს განმავლობაში გრძელდება და მაშინაც კი, როდესაც ამ პროცესის მონაწილეები პირისპირ რჩებიან, მათი ურთიერთობა ქორწინებით მთავრდება, ოჯახი შვილებით და შვილიშვილებით ივსება, ერთმანეთთან მისასვლელი გზა სულაც არ მოკლდება, ის სიკვდილამდე გასავლელი რჩება....
ო, რა გრძელია ეს გზა და რა საინტერესო...

▩ რა ბედნიერებაა, როცა აცნობიერებ, რომ მთელი ცხოვრება ელოდებოდი სწორედ იმას, რომლის გვერდითაც ცხოვრობ და გაქვს ბედნიერება, ყოველდღე უცქირო მას, გესმოდეს მისი სუნთქვა....
რა საშინელი გრძნობაა, ალბათ, როცა ადამიანები ხვდებიან, რაოდენ ფუჭი ყოფილა ოცნება მასზე, ვინც სრული არარაობაა და მასთან მისასვლელი გზა კი, არის გზა არსაით.

▩ რადგან მოკვდავია, ესე იგი საწყალია....

▩ სიცოცხლის ნატამალი ყველგან ამოხეთქავს, ბალახი ხეზე ამოვა, წყალი უმცირეს ღრიჭოში შეაღწევს, სინათლის სხივი ჭავლებად შემოიფრქვევა ბნელეთში....

▩ ყველაზე მძიმეა, როცა ცხოვრების ამაოებას აცნობიერებ. სწორედ ამ დროს არც მომავალი ჩანს და არც სიცოცხლით აღფრთოვანება, თუმცა არც სიკვდილი ჩანს გამოკვეთილად. ისიც ამ ამაოების ნაწილია.

# თარგმანები



მაყვალა გონაშვილი

## პოემა

### მარ ბაჯიევი

#### ნესკარას თავდასხმა

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის მე-3 ტომსა და
ჟურნალი „ათინათის“ მე-18, 19,20 ნომრებში

. . .
ერ-მანასის მეომრებმა
ერთხელ ლხინი გააჩაღეს
გაუზომეს ერთურთს ძალა,
სიმამაცე, სიყოჩაღე.
ისრით ხოცეს ფრინველები
არ დაუგეს კაკანათი,
გამოუდგნენ ველურ ტახებს
ძახილით და ყიჟინათი.
წინ გაიგდეს თხა, არხარი,
სადავე მიუშვეს ცხენებს,
ბასრნისკარტა შავარდნები
სანადიროდ გაახელეს.
ვაჟკაცებმა – ნადირობით
როცა გული მოიჯერეს,
აღმა-დაღმა ნავარდობით,
ქანცი გაუწყვიტეს ცხენებს,
შეისვენეს, იჭიდავეს,
ილხინეს და იხარხარეს,
კოცონი რომ აბურბურდეს,
ველზე ხარო ამოთხარეს.
სიტყვაუხვი კუტუბაი
არის ლხინის ტოლუმბაში,
მას ვერავინ შეედრება
ეშმაკობა-ხუმრობაში.
ბიჭებს თვალი ჩაუკრა და
ბრძანა: –„ყური მომაპყარით,
წესრიგი რომ დავამყაროთ,
ავირჩიოთ ჩვენი ხანი.
მამაცმა და ხელგაშლილმა
დაგვიმტკიცოს ყველას ძმობა,
მოგვიხარშოს ბეშბარმაკი
ვისაც უნდა აკიმობა.“
ყველა მანასს მიაშტერდა,
რად გაუხდა სახე კუშტი,
ყირგიზ ვაჟკაცს, უცხენობას
ურჩევნია იყოს კუტი.
არ ჩერდება კუტუბაი,
მანას, რატომ გაქვავდიო,
თუკი ჩვენი წინამძღოლი
შენ იყავი აქამდიო,
ენა რატომ ჩაგიყლაპავს,
რად წაგსვლია ფერ-ფურიო,
დაგვანახე, ერ-მანასო
გულუხვობა მეფურიო.
თქვა მანასმა: – „ჩემი რაში
თავზე მეტად მიყვარს, იცით,
მაგრამ რაკი ერთგულების
შეკრული ვარ თქვენთან ფიცით,
თითქოს იყოთ ორსულები
ვერ იოკებთ სურვილს რაკი,
მზად ვარ, ცხენი შემოგწიროთ,
მოგიმზადოთ ბეშბარმაკი.
წამოიჭრა კუტუბაი
მოეხვია ძმობილს ყელზე,
„მაპატიე, ერ-მანასო,
გამოგცადეთ სიხარბეზე.
მამაცო და გულმოწყალევ,
პირველობა შენ ერთს გშვენის,
თავად უფლის რჩეული ხარ,
მხედრიონი ჩვენ ვართ შენი!“
შეძახილი, „ვაშა, მანასს“,
აყრუებდა არე-მარეს.
როგორც ოქროს ტახტრევანზე,
ყვითელ ლოდზე დააბრძანეს.

### მანასის ხანად არჩევა

შეიკრიბნენ ყირგიზები
ყველამ გულით გაიხარა,
კოცონების ასანთებად
ორმოები გაითხარა.
აიმანბოზის რემიდან
შეარჩიეს ფაშატები,
ას კოცონზე ბრინჯით სავსე
ათუხთუხდა კაზანები.
ცხრა ფაშატი დაკლეს იმ დღეს,
აქნეს ხორცი ასო-ასოდ.

ჭამა უნდათ ყირგიზ სტუმრებს
შეკრებილებს საბაასოდ.
მოილხინეს ყირგიზებმა,
ხორცს ჭამდნენ და არაყს სვამდნენ
დაითვალა აკბალტ-ბრძენმა
ასე ასი ათასამდე.
აკბალტბაიმ უთხრა სტუმრებს: –
„მადლი უფალს, გხედავთ ერთად,
სხვის მიწაზე გამრავლება
რა ვქნათ, გვიწერია ბედად.
უსამშობლოდ ბედნიერი,
არის მხოლოდ სულელიო,
იცით, საბაბს ეძებს მტერი,
ჩვენი ავის მსურველიო.
გადაივლის ჩვენ ზეცაზე
მალე შავი ღრუბელიო.
ნეტავ ვისი იმედი გაქვთ,
არხეინად რატომ ხართო,
უნდა ერთურთს მივცეთ მხარი,
და ერთ მუშტად შევიკრათო.
ვერ უშველის თავმოკვეთილს
მკურნალი და აქიმიო,
სანამ დროა, ავირჩიოთ
წინამძღოლი, აკიმიო.
სხვა რა გითხრათ, მხედრიონი
უწინამძღვროდ არის ხროვა“.
ენამჭევრი კუტუბაი
ადგა, სიტყვა მოითხოვა.
აუწერა ყველას წვრილად
მან ამბავი ნადირობის,
როგორ აირჩიეს ხანი,
როგორ გაეხუმრნენ ძმობილს.
თქვა: – „აკიმად ავირჩიეთ,
ძმებო, ერ-მანასი მაშინ,
სინამდვილის მარცვალია
იცით, ყველა ხუმრობაში.
ერ-მანასის აკიმობა,
იცით, უფლის ნებაც არის,
ავირჩიოთ, გვიწინამძღვროს,
ერთად დავუჭიროთ მხარი.“
„რის აკიმი“, – თქვა მანასმა, –
„პატივია თქვენთან ძმობა,
ხანად ავირჩიოთ კოჩკე,
მას ეკუთვნის პირველობა.
კოჩკემ უთხრა:– „ნდობისათვის
მანას, უნდაგითხრა ქება,
მაგრამ ჩემი პირველობა,
არ ეგების, არ იქნება.
შუბის ტყორცნა, ჯირითობა,
არის ჩემი ხელობაო,
მაგრამ ვინ თქვა ჩემი სიბრძნე,
ჩემი ენამჭევრობაო.
სულ ტყუილი ფაფხურია,
თუ არ ატან ჭკუას ძალას“,
ფეხზე წამოდგა აკბალტა,
ბრძენთა-ბრძენმა ასე ბრძანა.

ჭაბუკია ერ-მანასი,
უხედნავი ჯერ კვიცია,
აკიმად ვერ გამოდგება,
ჟაკიპი თუმც მოხუცია,
თუმცა უკვე მოილია
თავის წუთისოფელიო,
მდიდარია ჟაკიპ-ბაი,
დიდი განძის მფლობელიო,
შვილიც იმის პატრონია,
რასაც ითვლის მშობელიო.
მოსწევია ჭაბუკ მანასს,
სანამ პირველობის ჯერი,
მამა იყოს ჩვენი ხანი
შვილი – მამის ყავარჯენი,
ყირგიზებმა აკბალტ-ბრძენის
არჩევანით გაიხარეს,
და ჟაკიპი შვილთან ერთად
ხალიჩაზე დააბრძანეს.
დობულბასს[1] შემოჰკრეს მარდად,
არე-მარე ახმიანდა.
ჟაკიპ-ბაიმ ყველა ერთად
ადღეგრძელა, ადიადა,
სტუმრებს უთხრა: –„ღმერთმა ყველა
გაგახაროთ, ჩემო ძმებო,
ყალმუხებო, მონღოლებო,
ყირგიზებო, ყაზახებო.
გულითა გთხოვთ, რომ აკიმად
აირჩიოთ მანასიო,
ან ვინ გაჰყო განძი ორად
შვილისა და მამასიო
მას ეკუთვნის ჩემი ოქრო,
ფირუზი და ალმასიო.
აალელვა მამის სიტყვამ,
არ უხსნიდა დანა პირსო
ყველამ ერთად დაიძახა,
ვაშა, მანასს, ვაშა, გმირსო.
სიასამურის ბეწვისა
მას დაადგეს თავსაბური,
წითლად ნახავერდები და
ოქროს ძაფით დასირმული.
აიტაცეს ხელში გმირი,
ვით ნოგოის ალამიო,
მანას, ვინც შენ გიორგულოს
ჩვენი ძმობა არამიო.
მეომრებმა სულ ყიჟინით
წრე დაარტყეს შვიდჯერ კარავს,
მოხუცებმა თქვეს ტენგირი
დაგვიცავს და დაგვიფარავს.
ავასრულეთ ღმერთის ნება,
ერ-მანასი გახდა ხანი,
ლხენით ავივსოთ გულები
დავივიწყოთ საწუხარი.

---

[1]დობულბასი — საბრძოლო დოლი.

## მანასის შეხვედრა კოშოისთან და ბაკაისთან

ღამეს მუდამ მოსდევს დილა,
დღესასწაულს დასასრული,
როცა სტუმრები წავიდნენ
აკბალტამ იხმო ძმისწული.
უთხრა, იცი, ყირგიზები
ვერ ვივიწყებთ მშობელ მხარეს,
სამშობლოდან ამოგვძირკვეს,
სხვის მიწაზე გაგვახარეს.
ალტაიში გამოქცევა
ყველამ როდი მოახერხა,
იქ დარჩენილ ჩვენს მოძმეებს
ალოოკე ექცა მეხად.
ჩვენი გვარის ერთ შტოს მაშინ
ხანი მართავდა ურბია,
მან კემინზე ყველა ხიდი
გადაწვა და დაანგრია.
და თავგასულ ალოოკეს
თავგზა ასე აურია.
გადაურჩა მტრების რისხვას
ათიოდე აულია.
ამასა გთხოვ, შვილო, მანას,
მიაშურე ალა-ტოოს
ჩვენი ჯიში, ჩვენი მოდგმა
გასაჭირში არ დატოვო.
სამშობლო გვაქვს თქმული ზღაპრად,
ჩვენ ხიზნებად როდი ვიშვით,
ძალა ძალას შევუერთოთ
ვაძლიეროთ ჯიში ჯიშით
კვლავ ვიხილავთ მშობელ მხარეს,
დღე და ღამე ამას ვფიქრობ
ეს იმედი, მასულდგმულებს,
მოხუცს რწმენას ნუ ჩამიქრობ.
ერ-მანასმა უხმო მხედრებს
საქმე უნდა აღასრულოს
და აკიმი თავის რაზმით
გზას დაადგა უსასრულოს.
თავს არ ზოგავს გმირთა-გმირი
ცხენს მიაფრენს გამალებით
გადიარა მხედრიონმა
ხეობები – ტრამალები.
ორმოცდახუთჯერ მზემ ციდან
ჩამოშალა დალალები.
ცხრა მთა გადაიარეს და
ტბები, ზღვები გადასერეს
და თოვლიან ალა-ტოოს
ხეობაში შეისვენეს.
თქვა მანასმა, ახლა სად ვარ
დაანახა მამას ნეტა,
ნუთუ ღმერთმა ყველა მადლი
ამ მიწაზე ჩამობერტყა.
როგორც ღმერთის ერთი ცრემლი
აციმციმდა ისიქ-ყული
თქვა მანასმა, შევიცანი
მე სამშობლოს სიყვარული.
ბედმა აქ არ გამაჩინა,
მხოლოდ ნახვა მამყოფინა,
ახლა ვხვდები მშობელ მიწით
სნეულება რა ყოფილა.
ვით შეამკოს კაცის ენამ,
ეს მშვენება როგორ აქოს,
ველი არის ყარაკირის
თუ წალკოტი საარაკო.
მთის მწვერვალზე დგას ხარ-ჯიხვი
რქები გაუშეშებია.
ჩეჩ-დობედან ჩანჩქერები
კისრისტეხით ეშვებიან.
თითქოს ოქროს წვიმა იყოს,
წყლის ჩქერები ბრწყინავს მზეზე,
გაუშლია ბანაკები
კატაგანის მოდგმას ველზე.
ერ-მანასმა იცის მათგან
რომ არ ელის ფათერაკი,
თავად მაინცარ ეახლა,
გაუგზავნა მაცნე აკიმს.
ერ-მანასის მობრძანებით
ხან-კოშოიმ გაიხარა,
შეეგება ვით ნანატრ შვილს,
სიხარულის ცრემლი ღვარა.
მომებჯინა გული ყელში,
ვერ ვერევი კაცი თავსო,
ცოცხალია მამაშენი?
აკბალტ-ბრძენი როგორ მყავსო.
არ ვკითხულობ, მე შენს ამბავს
გამიგია ბევრი კარგი,
შენს თავს მტერს რომ უმალავდნენ,
ვითომ იყავ აკარაკი.
მე ვით გაქო გმირთა-გმირი
ქებას ისეც ჩვეული ხარ,
ვიცი, მხსნელად დაიბადე,
ვიცი, ბედის რჩეული ხარ.
– მადლობთ, ბრძენო კოშოი-ხან,
ასე თბილად შეხვედრისთვის,
ცხრა მთა რატომ გადმოვლახე,
მოგახსენებ, მოველ რისთვის.
ცოცხალია მამაჩემი,
აკბალტ-ბაიც არის კარგად,
მშობელ მიწის მონატრება
გულზე მაინც აწევთ დარდად.
ჩიტი ეძებს თავის ბუდეს,
და ძმას გული უცემს ძმისთვის,
როგორ ცხოვრობთ, როგორა ხართ,
რომ გამეგო, მოველ მისთვის.
– თავს დაგვესხნენ მანჟუები,
გამოგვრეკეს, როგორც ფარა,
დევნილები მთის ხეობამ
მიგვიღო და შეგვიფარა.
მუდამ ომის მოლოდინით
როგორ უნდა ვიყოთ კარგად,
შიშით ვკრთით და ვფხიზლობთ ძილშიც,

მოსვენება დაგვეკარგა.
მაგრამ ახლა, ერ-მანასო,
მეიმედა შენი ნახვა,
დამიბრუნდა მოხუცს რწმენა
გულს იმედი ჩამესახა:
სულს ეწვია რა ნუგეში,
უსასრულო, უნაპირო,
ვიცი, შექმნი შენ ყაგანატს[2]
რჩეული და გმირთა-გმირო.
წინ გაგვიძეხ, შენს დროშასთან
შეგვკრიბე და გვიმსახურე,
ჩვენი ხალხი ალტაიდან
მშობელ მხარეს დააბრუნე.
რისხვა რომ არ დაატეხონ
უშენობით მოხუც მამას,
იცი, მტერი ვერაგია,
ახლა სახლში წადი, მანას.
კანონია თქვენი სიტყვა
ერ-მანასმა უპასუხა
და კოშოიმ მამაც მხედრებს
საბოძვარი მისცა უხვად.
თვალზე ცრემლი მოიწურა
გმირი ტკბილად გადაკოცნა,
დიდხანს უცქეროდა მხედრებს,
გულით დაადევნა ლოცვა.
მიიჩქარის რაზმი სახლში
მიჭენაობს მწყობრად, ერთად,
სად იყო და სად არ იყო
მხედრიონი შეეფეთათ.
– ვინ ხართ? – ჰკითხეს.
– ყირგიზები! – უპასუხეს მეომრებმა,
ვეძებთ მანასს, უნდა ჩვენი
დავუმტკიცოთ ერთგულება.
გაიცინა ერ-მანასმა,
გიპოვივართ, თუკი მეძებთ
და ბაკაი, ბაის ვაჟი
უცებ გამოეყო მხედრებს.
უთხრა, მანასს: – რადგან გნახე,
გამითენდა ლხენის დღეო,
ერთგულებას შემოგფიცავ,
მეც შენს ერთ ძმად მიმიღეო.
– „გიძღვნი სალამს ბაის ვაჟო,
შენთვის გული გამიღია“,
დაიძახა ერ-მანასმა,
ძმობილს ხელი გადახვია.
გაიხარა ერ-მანასმა,
რას დაგვაკლებს ნეტა მტერი,
ურიცხვია ჩვენი ჯარი,
ვარსკვლავივით დაუთვლელი.
ერ-მანასმა უთხრა მხედრებს,
თქვენ მოგმართავთ, ჩემო ძმებო,
ყაზახებო, ყირგიზებო,
გულმამაცო ყივჩაღებო.
გულს არ გვიხსნის უცხო მიწა,
ცივია და უკარება
გადაგვლალა ჩვენი მტრების
დღენიადაგ მუქარებმა.
მშობელ მიწას მოწყვეტილებს,
გულზე დარდი მოგვდებია
ხიზნობაში ოქრო-ვერცხლიც
მხოლოდ ცივი ლოდებია.
ნეტავ იმას, ვისაც მუდამ
მამულისთვის უცემს გული,
დავუბრუნდეთ მშობელ მხარეს,
არისუფლის სასწაული.
ვის გინახავთ ისიქ-ყული,
უფლის ცრემლი, ტბად ქცეული,
ხეზე ჩიტის ბუდეები
აკვნებივით დარწეული
ვის გინახავთ მთები ასე
ცასთან ახლოს, მზესთან ახლოს,
ჩვენი უხვი მიწა-წყალი
ჩვენი თბილი სამოსახლო.
ჩვენი დიდი წინაპრების
ხსოვნა რომ არ წაიშალოს,
უნდა მამულს ჩვენი თავი
და სიცოცხლე ვანაცვალოთ.
ვერ ვადიდებთ ჩვენს წინაპრებს
მხოლოდ ცრემლით, მხოლოდ ხსოვნით
სიკვდილი ან გამარჯვება,
სიცოცხლეზე დავდეთ ფსონი.
და ძახილზე, ვაშა, მანას!
აკვანივით გადაირწა
საფლავების შავი ხვრელით
დაკონკილი დედამიწა.

(გაგრძელება იქნება)

[2]ყაგანატი — ძლიერი, გაერთიანებული სახანო.

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



**WEG DES RUHMES**
**(Fortsetzung)**

Und einst, sagte ich Frau Gulnazi, dass mein Vorhaben sei, über sie, ihren Verdienst und ihre Tätigkeit ein Buch zu schreiben. Sie, als Mutter von zwei Kindern und Grossmutter von fünf Enkelkindern verhielt sich so, als vergäβe sie alles auf einen Augenblick. Sie fragte mich nur danach, ob ich in diesem Buch auch ihren Bruder, ihren Bedschjan erwähnt werde. Ihr war es so, als ob sie ihren eigenen Kopf vergessen hätte. Sie dachte nur an .die Unsterblichkeit ihres Bruders, der im Alter von kaum dreiiβig Jahren die Welt verlassen hatte.

-„Sie halten mich für einen grossen Menschen, aber _ im Vergleich zu ihm bin ich nichts. Mein Bruder war in der Tat gross als Dichter und er könnte auch am Gröβten werden, wenn man ihm vorzeitig das Leben nicht entnommen hätte~_ hatte einmal Gulnazi Charaischvili zu Kacha und mir erwidert.

Wahrhaftig, was bedeutet die Familie für einen Menschen: Die Familie ist doch die Eltern und Geschwister. Dann erscheinen die Frauen und Kinder (oder: Männer und Kinder). Diese (und wahre Freunde!) sind die Nähsten Geister der Menschen. Und dann kommt ein grosser Verwandschafts_ und Nähstenkreis.

Die Verwandschaftskultur wird in Georgien immer besonders unterschstrichen. Deswegen habe ich mich über ihre Liebe und Verhimmelung zu ihrem jungeren Bruder nicht gewundert. Ohnehin hielt man eben Bedschjan seit langer Zeit für den Haupt-Dichter in der Familie.



Dem Äuβeren nach war er ein gutgebauter und -aussehender junger Mann. Er sagte seine eigene Gedichte hervorragend. auf ( wie unser Kacha ab und zu anfing zu brennen! Derartig fing er Feuer auch!_ Gulnazi errinnert sich daran begeistert ).Bedschjan hatte die Mittelschule ausgezeichnet im Dorf Tschalwani, Bezirk Satschchere beendet und war an der Tbillisser Staatlichen Dschawachischwili Universität immatrikuliert worden.

Bedschjan schrieb die Gedichte von der Kindheit an. Man nannte ihn in Satschchere auch der kleine Akaki. Die Gedichte wurden nach und nach, im Allgemeinen, als Hauptbeschäftigung des Lebens geworden.

Man hatte ihn_ als patriotisch gestimmter junger Mann, im Alter von neunundzwanzig Jahren für die Treue zu Swiad Gamsachurdia (und Georgien!) getötet/ermordert.

Das ist eine kurze Geschichte eines grossartigen Menschen, der der grössten menschlichen Tugend, Mildtätigkeit, Barmherzigkeit zum Opfer gefallenn ist....

Nach senem Tod hatte der Freund von Bedschjan, Lewan Babuchardia, das Buch des Dichters „Sadgerdselo~(Trinkspruch) ausgegeben. Durch die Organisatoren des Schriftstellersbundes wurde er aber als Mitglied dieser Organisation anerkannt. Sein Name ist auch in die Anthologien eingetragen worden...

Eine der wichtigsten Persõnlichkeiten im Leben des Menschen ist selbstverständlich sein geistiger Lehrer und Pfahrer (hier wird aber nur keinen kirchlichen Beamter gemeint). Ein wahrer geistiger Vater, richtiger Freund und Bruder-es sind die bedeudensten Personen für die Männer. Die Institution des Lehrers

und der Bruderschaft war eine der Hauptbestimmungen in den alten Zeiten auch. Errinnern wir uns, sagen wir, an die Triade der alten griechischen Phiposophen, antischen :Klassikern Sokrate, Platon, Aristotele. Durch ihre Richtlinien entstand zuletzt Alexander Mazedonier und seine umfangreiche Imperie. Wenn wir uns über solche grőssten Persőnlichkeiten aller Zeiten unterhalten, wie _Jesus, Rustaweli, Goethe, Beethoven, Dante und auch Homeros und Platon waren, sollen wir auch nebenan oft auch Sokrate als Lehrer von Platon und Aristotele als Schüler von demselbem Platon erwähnen.

Der Lehrer -der Schüler_ das sind die Hauptgrundsteine des grossen Denkens.

Ich weiss nicht, wer der geistige Vater (oder die Lehrer?) von Bedschjan Charaischwili war(waren), aber das ist die Tatsache, dass sich die Literatur in der Familie von Charaischwili fest eingerichtet hatte. Beide Geschwister, Gulnazi und Bedschjan scheinen von der Kindheit her, in die Zauberwelt der georgischen klassischen Literatur zu geraten. Dann ist ihre literarishe Atmosphäre ringsumher noch mehr gewachsen. Es scheint, sowohl ihre Eltern als auch Erzieher(Pädagoge ) Freunde und Kammeraden interassente Menschen gewesen zu sein. Dann tauft er in Tbilliser Umgebung, in der Welt der Universität auf, wo seine Kunst und Meisterschaft entwickelt und verfeinert wurde.

Die Mittelschule eines einfachen georgischen Dorfes _Tschalwani hatte unserer Heimat solche grossartigen Menschen, Patrioten erzogen, wie die Geschwister Gulnazi und Bedschjan Charaischvili sind.

Dazu ist hinzuzufügen, wie ich schon gesagt habe, seine Ausbildung an der Universität und...

Seine Lyrik ist, na und kurz, ein ganzes mosaisches Eposs, erfüllt aber vom klaren lyrischen Geist, seicht, wie eine Bergquelle, wo das farbig blitzelte Sonnenauge gefallen ist, das ab und zu froh und torricht, manchmal auch trübe ist . Was soll das, -das ist doch das Leben der Menschen, das Gleiche kommt auch in der Poesie vor. .

Die Poesie von Gulnazi und Bedschjan hat beiläufig viel Gemeinsames. Zum Beispiel: unvergessliche poetische Gestalten, die Warhaftigkeit des poetischen Gefühls, ein starkes Erlebniss des Patriotismus, der Liebe, Freundschaft, Themenverschiedenheit und Anderes. Wenn ich eine der Tätigkeiten von ihnen behandle, ist es mir so, als ob ich gleichzeitig über die Tätigkeit auch des Zweitens spräche.

Es ist aber zu bemerken,_ Bedschjan scheint mehr beweglicher, im Prozess des Suchens zu sein, der wie das Meer am Ufer ständig wogt und braust, der noch selbst nicht weisst-was er will, für ihn

ist es noch nicht klar-welchen Weg und welche poetische Linie er anschliessend auswählt, vielleicht erschafft er selbst etwas völlig Neues. Seine Stimme erinnert uns bald an die Dichter Lado und Mirsa, bald an Schota Tschantladze und an den Dichter-Proseiker Guram Rtscheulischwili(als Autor der geniallen Erzählung „Alawerdoba~), manchmal ist er Erneuerer, manchmal -Keiner ausser seiner eigenen Person und dann ist er allein in der ganzen Welt.

Man hatte solch einen interessanten jungen Mann nicht begnadet, ihn durch die Verletzung am Kopf bis auf den Tod geführt, nachher er erst einige Monate gelebt hatte . Kurz nach diesem Fall, war es ihm so, als fühlte er sich besser, als versuchte er etwas zu machen, aber später ist er plötzlich gestorben. Jawohl, es war unmöglich ihn zu behandeln. Er hatte sich nicht genesen können.. Durch seinen frühzeitiger Tod wurde seine Familie, seine Frau und Kinder, sein Verwandschaftskreis und auch seine eigene Schöpfnung verwaist und unvollkommen. Die Tätigkeit-Schöpfnung von Gulnazi ist mehr vollendet und schon still, wie der zwischen den Bergen eingeschaltete grossartige See. Der See ist solch Etwas, der den Himmel wiederspiegelt und ringsherum dunkel-und hellblaue Gespenste hinterlässt. Bedschjan ist aber mehr wie ein dunkelblau-weiss aufbrausender Bergfluss, der die Klumpen anberührt.Beide sind doch einig und ähnlich, die ohne eineinder nicht aushalten könnten.

Um die Lyrik von Bedschjan Charaischwili einzuschätzen und zu spüren, möchte ich hier sein Meisterwerk anführen. Ein Gedicht könnte natürlich dem Leser, der sich mit der Lyrik von Bedschjan nicht gut vertraut ist, keine winzige Vorstellung über solchen vollen Raum machen/bilden, der die Welt des jungen Dichters gewesen war. Durch dieses Gedicht kann man doch Geist, Einfachheit, Bescheidenheit der Meisterhaftigkeit, Erlebniss von solchem rustavelischen Gefühl erkennen, was die von der Poetizität erfühlte Liebe heiβt. Das ist die Feirlichkeit des wahren lyrischen Geistes. In diesem Gedicht treibt wirklich die Bescheidenheit über, aber sehen sie mal , -was für eine spürbare Welt, was für eine Poetizität und eine solche Einfachheit es enthält:~Die Liebe begann **so**~:

„Erinnerst du dich an die Nacht am Rande des Dorfes?
als wir am Kodis Wasser/Ufer die Gefässe füllten,
Beeilst du dich?-fragte ich dich und du schwiegst,
– Die Liebe begann so.
Ich habe dich im Traum hinweg des Fensters gesehen
Die Engelmenge umarmte dich
Gespenst? nein, das war in der Wirklichkeit......
– Die Liebe begann so.
Ich einnere mich, in deinen Augen blinzelte
der grenzlose Himmel, voll von Hoffnungen;
Wolltest du schlafen? Nein, übernachten...
– Die Liebe begann so.
Zweig zu Zweig folgte dir der Mond,
als wir am Kodis Wasser die Gefässe füllten,
Beeilst du dich?-fragte ich dich und du schwiegst,
– Die Liebe begann so.~

Der Autor des Meisterwerkes dieser Liebeslyrik hat bis zum dreiβigen Lebensjahr nicht erreicht. Sein Lebensglück hat nicht lange gedauert. Für die Einigen ist das eine kurze Zeit, für die Anderen aber -das ganze Leben. Zu Lebenszeiten, ehe der Mensch am Leben ist, hat er auch einen krummen Weg zu gehen. So unbarmherzig ist doch das Leben. Es erwies sich, dass das Lebenschiff von Bedschjan das selbe.war.

Zu Gulnazi Charaischwili gehört, wie ich schon erwähnt habe, ein Buch unter dem Tittel-„ **Tiefste der Seele/ „In die Innerste Seele hinein~,** das hauptsächlich nach der Wiedmungspoesie aufgebaut ist. Die ersten Gedichte sind dem Patriarch Ilja der Zweite, auch dem Vater Thadeos und dem Prämierminister Bidsina Iwanischwili gewidmet. Zwei aus ihnen_der Patriarch und der Prämierminister sind als Wahrzeichen des heutigen Georgiens, aber Vater Thadeos als Symbol des poetisch-religiösen Lebens geworden.( und auch die Poesie ist doch als der höchste Fortschritt der Menschheit, eine eigenartige Religion anerkannt. Errinern wir uns an diese poetische. Aussage, _ das Erste sei das Wort. Hier ist unter dem Wort unser Esus Christus, Esua auch als Poesie zu verstehen. Ist doch die Gedichtskunst keine höchste Kunst der Wörter?!-Das ist keine übertriebene ritorische Frage, im Gegenteil-das ist die Wirklichkeit)

Auβer den ersten drei Gedichten enthält das Buch auch andere Gedichte und Poeme, die verschiedenen Menschen gewidmet sind. Wir sind stolz darauf, dass die letzte Widmung „Sgwaris Bichebi~heiβt, und sie eben Kacha und ich von der Autorin als Geschenk bekommen haben.

Einmal habe ich direkt gesagt:

„-In diesem Buch(„**In die Innerste Seele hinein~**)fangen die Widmungen mit dem Patriarch an und beenden sich mit uns. Was könnten wir noch mehr als solch eine Verehrung ist , erreichen

Im Buch gibt es noch ein Gedicht, das Frau Gulnazi nicht jemandem, sondern sich selbst gewidmet hat. Neben dem Tittel dieser Schöpfnung ist ein Foto einer jungen Frau gegeben.. Auf diesem Foto ist gut zu sehen,was für eine Anziehung und Charm Gulnazi in ihrer Jugendszeit gehabt hatte. Von den Anderen haben wir gehört, dass dieses Foto ihr damaliges Charm vollständig nicht hätte darstellen können .

Gulnazi hat im Buch ein Gedicht ihrem Bruder Bedschjan Charaischwili auch gewidmet. Diese Zeilen enthalten aber shrekliches, unerträgliches Schmerzen. Das Gedicht heiβt~Mein Schmerzen ist unheilbar.~ Nachdem ich dieses Gedicht bis zum Ende gelesen hatte, ahnte ich, dass es in diesem lyrischen, grauen Werk kein einziges falsches Wort gibt. Ähnliche tragische Schöpfnung habe ich in den anderen Büchern selten gesehen. Mir ist es so, als wäre gemeinsame Ikone der Gebrüder-Bedschjan und Lewan direkt im Blut des Herzens ausgeprägt..

Dieses Gedicht ist auch ebenso rythmisch und gereimt, wie die absolute Mehrheit der Gedichte aus hrer Poesie. Es ist auch durch längere, gebundene Rede geschrieben. Vielleicht deswegen hat ihre Poesie /die Poesie hat doch ihre eigene Musik/einen requemartigen Klang. Das soll das in der grenzlosen, grossen Welt der Geist ertönte schwarze Requem sein..

Die Reim ist kreuzförmig. Frau Gulnazi, wie es sich gezeigt hatte, bevorzugt eben die kreuzförmige Reim.

Die Erwähnung der kreuzförmigen Reim ruft hier aber konkreterweise im Verhalten zu diesem Gedicht die Assoziation des Kreuzes hervor.

Das Gedicht~Mein Schmerzen ist unheilbar~ist mit Verwendung des Akrostichus geschrieben./Der, wie das Kreuz schwere Tittel wird auch in Akrostichus gelesen/. Das ist auch für das gewaltige Teil ihres Geschöpfs charakteristisch. Könnte sein, dass sie erstklassige Meisterin des Akrostichus unter den Frauen sei./ Eben sie ist Erste Beste auch in den Fragen des gesellschaftlichen Schaffens/

Ich soll es, eines der tragischen Gedichte der letzteren Jahrzehnten hier von Anfang an bis zum Ende anführen.Hier sind es die Reihen der schwierigsten Zeilen:

„Ich weine leise und fühle mich,
Die Augen werden von den Trännen geblendet
Das Wind spricht leise mit dem Herzen und
Wischt die Hoffnungen aus.
Es tut mir weh und ich bitte Sie so sehr,
Mich zum Lachen nicht zu zwingen.
Nach dem Gotteswillen soll ich
Das Kummerskopftuch wieder tragen.
Schmerzlich tobt und langweilt sich Mein Dzirula /Fluβ im Westgeorgien/
Die Wand wird auch durch nachdenkliche
Trübe Tage zerstört werden.
Wissen Sie nicht, wie weit weg von mir die Hoffnung ist?
Der Schwermut erinnert mich an das unbarmherzige Ungeheuer
Vielleicht gelingt es mir
Mich fest auf die Beine wieder zu stellen.
Das Bett mache ich nicht auf
Kleines Geschenk der Geist ermuntert mich,
Ich bringe Ihnen zu jede Ostern Veilchen, meine Gebrüder.
Glauben Sie mir, ich teile mit Ihnen mein letztes Bissen.
Mit Stöhnen und Seufzer traff ich Morgengrauen.
In der Winternacht und
Ich knie vor Gott wieder nieder.
Um Sie im Paradies den Platz zu behaupten.
Die Glocken klingeln,
Der Mond macht am Himmel die Augen auf und
Ihr Gespenst bewegt sich leise in der Nähe.
Durch Donnern ist Ihre Decke zerstört
Bienenstachel wurde zum Gift geworden.
Ich werde Sie nicht nur ein-sondern tausendmal liebkosten.
Ich bin überzeugt, Lewi und Bedschan kammen dir
Mit dem Geweih des Gedichtes entgegen.
Der Himmel hatte Sie beweint,
Die Berge weinten auch.
Auch jetzt, in diesem Augenblick übernachte ich an Sie denkend.
Ich erinnere mich an Sie und mein Haar wurde vor Kummner weiβ.
Um betrübt nicht zu werden, sollen eben Sie mir etwas empfehlen.

Das ist doch das stärkste, aber das schwierigste lyrische Geschöpf. Das ist das feste und zugleich tragische Denkmal einer groβen Liebe, Vewandschaftsliebe einer georgischen Verwandschaft im Allgemeinen. Dieses Gefühl war in unseren Denkmäler, wie es gesagt wird, bei den Menschen der früheren Generation sehr eindrucksvoll. Heute weiβ ich es nicht, wie es dieser Angelegenheit in dieser Hinsicht geht.

Man sagt, dass die neue Zeit alles allmählich geblendet und geändert hat. Ich weiβ es nicht genau. So soll es, glaube ich, nicht. sein.

Im Altertum war aber alles schöner gewesen. Die Zeit unserer früheren Generation unterscheidete sich durch das andere Licht..Obgleich Frau Gulnazi Charaiscwili unsere Zeitgenosse und keine Vorfahre ist und sie doch schon einen langen Lebensweg gegangen ist, bringt sie deshalb zu uns einen Strahl jener groβen Menschen, die heute als echte Vorkomme genannt werden. Zwar sind sie nicht am Leben, aber sie haben uns ihre Herzlich-und Gütichkeit, Stolz-und Vornehmheit hinterlassen.. Wahrhaftige Sitte und Bräuche ihres Lebens lieβen sich fest einbürgern. Es lohnt sich, aber ihre Gastfreundlichkeit entsprechend hoch einzuschätzen. Wadschja hat ihr solch einen genialen Poem gewidmet. /Eine der Schöpfnungen der Trilogie von Wadscha ist:~Aluda Kethelauri~, -„Stumartmaspindzeli~-„Gwelismchameli~/.

Zu den Sitten und Bräuchen unserer Vortfahre werdeen mit vielen anderen Regeln und Gesetzen zusammen auch die Heiligkeit der Verwandschaft, die gegenseitige Verehrung und die Liebe zwischen den Gebrüdern zugezählt werden.

Bekanntlich, die Ausländer haben kein Gefühl der Familieneinheit in solcher Masse, wie es bei den Georgiern ist. Ungeachtet dessen gab es dort, sagen wir, auch gute Beispiele der Verwandschaftsliebe. Ich würde mich an einen genialen europäischen Maler, an den Selbstmörder _Winsent wan Gog erinnern. Mir ist es so, als ob in Farben geglänzte sowohl seine als auch die. Gemälde von unserer Pirosmani direkt ein Traum wäre, worüber ich. in einen von den Gedichten geschrieben habe:

„Ich soll auf den Nebel, wie auf einen weiβen Traum sehend
Einen höheren Traum, wie göttlichen Orchides der Sonne erreichen.~

Jawohl, die Tätigkeit von Wissent ist weiβ und verschiedenfarbig, zugleich so göttlich.

Dieser Mann hatte aber kein Verständnis vom Leben, wie die überwiegende Mehrheit der groβen Künstler. Er wollte einfach übers Leben nichts wissen. Wenn aber sein jüngerer Bruder-TheoWan Gog nicht gewesen wäre, der Winsent den lebenslang möglicherweise betreute/ungeachtet dessen, dass er jünger war/, hätte der Maler seine Tage /sein Leben/ früher beendet.Winssent schien Genie als Künstler und Mensch, aber Theo Genie als Mensch gewesen zu sein. Solche Beispiele der Verwanschaftsliebe gibt es doch in Eropa, aber in Georgien haben wir sie in Mehrzahl.

Das Gedicht-Gedächtnis/Personengedächtnis/ von Gulnazi Charaischwili ist, wie ich schon gesagt habe, das den verstorbenen Brüdern errichtete Denkmal-als Zeichen der festen Verwandschaftsliebe, als ob sie damit, ihre wertvolle verstorbene Menschen zu verewigen. versuchte.

Mit seinem Leben erfüllt der Mensch einen Plan , ein Programm entweder im Ganzen oder doch teilweise und dann er verlässt die Welt. Die Einigen verlassen aber die Welt leider damals, wenn sie die Hälfte dieses Planes, dieses Weges noch nicht erfülllt haben.. Hier möchte ich mich doch an den jüngsten Selbstmörder Genie, Dichter Thomas Tschaterton erinnern. Er war zu jung, als er den Selbstmord beging. Zwar hinterlieβ er der Welt seine Gedichte und Dichtungen/Poeme/, aber man kann es nich sagen, dass dieser britischer Dichter in seinem jüngerem Alter sein ganzes Leben umgefasst hatte. Nein, er. /ebenso, wie die jungen georgischen Dichter Ninua Rati und Arabuli Goga waren/war durch die allgemeine Gleichgültigkeit der Menschen bis zum tragischen Ende geführt worden. Das Verhalten von Tschaterton war ein Protest gegen unsere kalte, herzenlose, unverantwortliche Welt. Und, wenn unser Selbstmörder Dichter Genie Galaktion uns einen vollständigen Weg seines Lebens, seiner Tätigkeit hinterlässt, ist es im Falle von Tschaterton gans anders. Der Protest von Beiden gliechen sich nit einander. Åhnlicher Protest gegen die Menschenwelt hatte auch halbverrückter Winchent Wan Gog gehabt..

Die Manchen verlassen die Welt frühzeit aus verschiedenen Gründen. Zum Beispiel, wenn es einem Person wegen seiner schwachen Gesundheit nicht gelingt, sein Leben zu vervollständigen oder, wenn der Mensch seinen Tod aus anderem Grund findet, wenn es sich dabei die Hand eines anderen Menschen zeigt, wie es zum Beispiel, die Lebensgeschichte des groβartigen Dichters Bedschjan Charaischwili unterbrochen war.

Riesige geistige Erlebnisse gibt es, na und kurz, heutzutage im Theater des irdischen Lebens auch..Ich weiβ es nicht, wie es am Himmel ist, aber hier ist es so…Obwohl es die auf der Bühne aufgeführte Leidenschaften von Hamlet, Porazius, Laert, die Leidenschaften , sagen wir, von König Lir, oder Ritschard

uns aufregen, fühlen wir uns manchmal nicht, dass sich die Lebensbühne eben ringsherum entfaltet ist, die nicht weniger dramatisch als die von den Schauspielern empfohlene Lebensbühne ist.

Ich sage kurz, dass im Gedicht-„Mein unheilbares Schmerzen~ soll es auβer dem groβen und wahrhaftigen Gefühl, auch die poetische Technik hoch geschätzt. werden. Hier führe ich einige einzelne Ausschnitte aus der Gesichtssprache folgender Gedichte an: „Kummerskopftuch~, „Schwermut~, „Die Wand wird durch versonnene trübe Tage zerstört werden~,~Lewi und Bedschjan kamen dir wieder vorne mit dem Geweih des Gedichtes entgegen.~-Das ist schon eine Assoziation an den legendären „Zispherkanzelebi-~ Kanzelebi, die doch als Brüder getaufte Reiter-Dichter gewesen waren, die die blau und dunkelblau als poetische Farben und als eines der Wahrzeichen der Poesie anhimmelten.

Wollen wir hier auch die Reimen beachten. Einige davon scheinen mir interessant zu sein. Es sind die seltsamsten Reimen.

Im Allgemeinen ist Frau Gulnazi geistlich Lyrikerin. Als vielseitiger Mensch hatte sie ihr Geschick auch im Bereich der Epik versucht. Ihre Epik ist mehr lyrisch. Es bleibt als Tatsache, dass Frau Gulnazi Charaischwili auch Autorin einiger Dichtungen ist und das soll für die Lyrikerin ein groβer Erfolg sein. /es ist bekannt, dass es den Frauen schwerfällen, besonders eben die Poeme zu dichten/.

Wenn ich zum Gesagten auch etwas hinzufüge, dass auβer den Gedichten auch ihre Poeme erfolgreich sind, dann wird es nicht zum Staunen, wenn ich sie unbedingt als die Erste Beste unter den georgischen Künstlerinnen, Lyrikerinnen, Dichterinnen erwähne.

Es gibt im Allgemeinen vier Arten von Poemen-**grandiose**/mit mehr als tausend Strophe/.Couplet/, **mittlere**/in mittlerer Gröβe/, **kleine** Poeme, die mehr als lyrische Poeme benannt werden und einfach die **schlechtesten** Poeme. Das alles ähnelt sich ungefähr mit solcher Situation, die es auf dem professionellen Ringkampf herrscht-Champion, Halbchampion oder unvollständige Champion, -sie werden am meisten nach den wenigbekannten Versionen zu den anerkannten Siegern oder zu den inofiziellen Champion zugezählt werden, starke und die jene Ringkämpfer, diese Krieger, die in der Tat gar keine Krieger sind, die einfach gar nichts darüber wissen, was sie auf dem Ringplatz machen.

Die Poesie und der Ringkampf ähneln sich ab und zu mit einander. In den beiden Fällen _wird hier und da ein kriegerischer Geist gebraucht. Hier kämpftt man aber meistens gegen die Wörter und auch mit eigener Person, um die Meisterstücke von den Wörtern auszusondern.

Grand-Dichtungen sind im Allgemeinen die Spitze aller Künste, aber jedes wahre Poem ist doch ein groβes Werk. Ich habe vor kurzem gesagt, dass es den Frauen shwerfallen, die Poeme aufzuschreiben. Das ist für die Männer auch die komplizirteste Sache. Das Schaffen eines groβen Werkes ist im Allgemeinen mit den riesigen Problemen verbunden. Das ist eben am schwierigsten.

# საბავშვო განყოფილება

„მეზღაპრე“ ლალი კახიძე



## გულაბი მსხალი
**„ზღაპარი“**

იყო და არა იყო რა. იყო ერთ-ერთი ულამაზესი სოფელი რაჭაში, რომელსაც ერქვა ონის რაიონის სოფელი ღარი. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი ძალიან კარგი ბიჭუნა სახელად უჩა. სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა, საუკეთესო მოწაფეთა სიაში იყო. უჩას ეზოში უამრავი ხეხილი ხარობდა, მაგრამ განსაკუთრებული ხე იდგა შუაგულ ეზოში: მაღალი, გადაშლილი ტოტებით თითქოს ადამიანის ჩახუტებას ლამობსო. ეს ხე გულაბი მსხლის ხე იყო. უჩას განსაკუთრებულად უყვარდა უგემრიელესი, ყვითელი, თაფლივით ტკბილი გულაბი მსხალი.

ერთ დღეს ბიჭუნამ სიზმარი ნახა, გულაბი მსხალი მას მოუხმობდა: – უჩა ამოდი კენწეროზე მსხალი, რომელიც ყვითლად ლივლივებს მოწყვიტე, მიირთვი, რასაც აღიქვამ, დაინახავ ის შენი პროფესიაა. მართლაც ბიჭუნამ უხმოდ შეასრულა მსხლის ხის შემოძახილი. ავიდა ხეზე, ნახა მართლად უჩვეულო ნაყოფი მწიფე მსხლისა. შეჭამა, ფიქრებში და ოცნებებში ჩაიძირა, შემოეჭამა გემრიელი მსხალი და ხელში შერჩა ყუნწი, რომელიც მხატვრის ფუნჯად იქცა. ჩაიკრა გულში ფუნჯი და სახლში დაბრუნდა. ამასობაში გამოეღვიძა კიდეც და... ძალიან ლამაზი, ძვირფასი ფუნჯი ხელში ეჭირა.



ის წამსვე დაჯდა და ძვირფასი ფუნჯით დახატა „გულაბი მსხალი“ არაჩვეულებრივი გამოუვიდა. იმ დღიდან ხელიდან არ გაუშვია ეს სასწაულმოქმედი ფუნჯი.

ასე გახდა ჩვენი პატარა ბიჭი უჩა რაჭიდან დიდ ბუმბერაზ მხატვრად – დიდი უჩა ჯაფარიძე.

**თქვენი მოსიყვარულე მეზღაპრე**

## მეგობარი სპილო
**„ზღაპარი“**

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და არა იყო რა... სპილო და ჟირაფი დამეგობრდნენ, სულ ერთად იყვნენ, ერთმანეთს უამბობდნენ თავიანთ ისტორიებს, იცინოდნენ მხიარულობდნენ და ორივე კარგ ხასიათზე იყო. სპილო მშვიდად დინჯად მიაბიჯებს ტყისკენ. ჟირაფი – მაღალი, ტანწერწეტა ყელმოღერებული ამაყად არის სპილოს გვერდით, მისთვის დიდი პატივია სპილოსთან მეგობრობა. ტურამ საყვირი მოიმარჯვა, ყველას აცნობა სპილოს და ჟირაფის მობრძანება ტყეში. ფრინველ-ცხოველმა დიდი სიყვარულით მიიღო ეს ორი დიდებული არსება.

ვეფხვი და ლომიც გამოჩნდა. ლომმა უთხრა: – ძმებივით მიგიღებთ, თქვენ ჩვენი სტუმრები ხართ – საპატიო სტუმრები. სპილომ და ჟირაფმა ერთხმად დიდი მადლობა გადაუხადეს ასეთი კარგი მიღებისათვის.



ფრინველები მუსიკებს თავგამოდებით ასრულებდნენ, ზოგი სკრიპკაზე ასრულებდა, ზოგი სალამურზე. აგერ სასწაული სანახაობაა: მელიების მთელი ჯგუფი მოდის ცეკვით. ისინი ცეკვავდნენ, წითელი ფეხსაცმელები ჩაუცვამთ მაღალი ქუსლოჩკებით და ლამაზი გრძელი ფუმფულა კუდი მუსიკას ისე ჰყვებოდა, თითქოს მეორე ადამიანი ცეკვავდა. ძალიან კარგი სანახაობა იყო.

სტუმრები მაგიდასთან მიიპატიჟეს, ულამაზესი სუფრა გაშალა არწივმა. სულო და გულო რასაც ინატრებდი ყველაფერი იყო, სანოვაგე უხვად. ჟირაფმა ლექსები წარმოსთქვა, ყველა განაბული უსმენდა სამკაულებივით ასხმულ ლექსებს. სპილომ ცეკვა დაიწყო. მთელი ტყე ზანზარებდა. დიდი ზარ-ზეიმი იყო. უცებ სად იყო სად არა გაისმა თოფის ხმა, მონადირემ ირემს ესროლა, სპილო უცებ გადაეფარა და ტყვიამ გაკაწრა, ხოლო ირემი კი სასწაულად სიკვდილს გადაარჩინა. მომენტალურად გაჩერდა ყველაფერი, თითქოს დრო გაჩერდა, ამას არავინ ელოდა. ძალიან შეეშალა მონადირეს. დიდი შეცდომა დაუშვა. სპილომ კი შესძახა:

– მე ხომ თქვენი მეგობარი ვარ, ჩემი მოვალეობა იყო ასე მოვქცეულიყავი. მე არაფერი მიჭირს პატარა ნაკაწრია. ვიმხიარულოთ ჩემო ძვირფასებო. ისევ ამხიარულდა სუფრა. ისევ გაისმა სიმღერა, ლექსები, ცეკვა-თამაშები დილამდე მხიარულობდნენ. რა კარგია მეგობრობა, როგორი ამაყი ხარ როცა მეგობარს გადაარჩენ, დაეხმარები. ეს ყველამ უნდა ვისწავლოთ, შევძლოთ. ასე დასრულდა ეს ზღაპარი.

ტკბილ ძილს გისურვებთ.

## გვირილები
**„ზღაპარი“**

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და იყო ერთი მდელო. სადაც თითქმის ჰექტარ მიწაზე გადაჭიმულიყო ულამაზესი ყვავილები, გვირილები. საოცარი სილამაზე იფრქვეოდა. დილით ცვარით დანამულები თითქოს ერთ მხარეს იყვნენ გადაზნექილი, ხოლო როცა მზე მათ გადაეფიცხებოდა ჯარისკაცებივით გასწორდებოდნენ, წელში გამართულნი თითქოს ქვეყნის ჰიმნს მღეროდნენ.

მეფე და დედოფალს მრავალი წელია შვილის მოლოდინში იმედი თითქოს ამოეწურათ. ერთ დილას იღვიძებს დედოფალი და მეფეს ეუბნება:

– ძვირფასო მეფეო, წუხელის სიზმარი ვნახე:

დიდ მდელოზე გვირილების ბაღნარი. თეთრწვერა მოხუცი მომიახლოვდა და მითხრა:

– ამ მდელოს თუ მიაგნებს და გვირილებს დახმარებას სთხოვს შვილის ყოლის თაობაზე. აუცილებლად შეგისრულებს.

დაფიქრდა მეფე ბატონი – აბა დედოფალს უარს როგორ აკადრებს?

– ჩემო დედოფალო, დღესვე შევკრებ ლაშქარს გავემგზავრები, რაღა ვიპოვო ეს საოცარი გვირილების მდელო.

საღამოს შეისვენებს. მეფე ძალიან მოწყენილი იყო. სავახშმოდ შემოუსხდნენ სუფრას. ნელნელა სუფრაზე ისეთი ლხინი გაჩაღდა, რომ ჰარიჰარალოს ხმები ცხრა მთას იქით ისმოდა. მეფემ

გული გაიმხიარულა, მიმინომ ჩასჩურჩულა – დიდო მეფეო, ვიპოვეთ მივაგენით გვირილებს. ხმას აუწია სიხარულით მეფემ და სიმღერა შემოსძახა, მის სიმღერას ვიღაცამ ბანი მისცა, რომ გათამამდა, წელში გასწორდა, მრავალჟამიერი წამოიწყო.



დილა გათენდა... და მივიდნენ გვირილების უზარმაზარ მდელოში.

გვირილებმა მეფე გვესტუმრაო, თავი დახარეს, შემდეგ მზეს შეხედეს, უფალს შესთხოვეს, ოქროსთმიანი ვაჟი შესძენოდათ მეფე-დედოფალს.

აუხდათ მეფე-დედოფალს სანუკვარი ოცნება. დაიბადა ოქროსთმიანი ვაჟი, უფლისწული მირიანი. ხარობდა მთელი ქვეყანა.

გვიხარია ჩვენც როდესაც კარგი დასასრულია. მიყვარხართ – თქვენი „მეზღაპრე“.

## გურა ანგურა



# ნაცარქექია

/მითოსური ზღაპარი/



# მითოსური ზღაპარი ნაცარქექიაზე

ნაცარქექია, ერთერთი, მეტად ძლიერი და გავლენიანი ღვთაებაა, წარმართული პანთეონისა, რომლის შესახებაც არაერთი მოსაზრება გამოითქვა ქართული მითოსით დაინტერესებულ მკვლევართაგან. ამოსავალი ამ გამონათქვამებისა თვით მის სახელწოდებაშია-ნაცარქექია, რაც ნიშნავს ნაცრის ქექვას. საერთოდ, რა დატვირთვა აქვს თვით ნაცარს? ნაცარი ხომ ეს დანავლული (დამწვარი, დაფერფლილი) ცოცხალ არსებათა პროდუქტია, ხანძარში დანთქმული სოფლები და ქალაქებია. თვით ვულკანური ამონაფრქვევნი, ხომ განმარხებული ცოცხალ და არაცოცხალ ორგანიზმთა წვისა, დნობისა და დანაცრებისას წარმოქმნილი მასალაა, ამონთხეული და მიმობნეული უზარმაზარ ტერიტორიაზე, მრავალჯერადად, უხსოვარი დროიდან. ღვთაება ნაცარქექიას, ნაცრის ქექვისას ნაცარზე ბულაურები გამოჰყავს, ანუ შესატყვისი ნიშნები და სიმბოლოები სამყაროსეულ გონის კარნახით. იგი მედიუმია და ჩართულია იმ იერარქიაში, რომელთა საშუალებითაც უზენაესი მართავს სამყაროს ბედ-იღბალს. ნათელმხილველობის დამღით ალბეჭდილი (მითოსით ასეთები არიან: მხარკვერიანები, მხარგანათლებულები, ნაწილიანები), „მკვდარში გართული" ეძლევა მჩხრეკელობას-მისნობას (ტრანსულ მდგომარეობაში) და ღებულობს შეტყობინებას მორიგე-უზენაესი ღმერთის მოკარვისაგან, ნასისკარ კვირიასაგან (კვირია ცხოველისაგან) გარკვეული სახისა და ხასიათის შეტყობინებას. ამავე დროს იგი თავისებურ უსიტყვო კავშირშია ღვთისშვილებთან (მოცაურებთან და ლოცურებთან, ხატ-ჯვრებთან) და მათი წყალობით, ფლობს ინფორმაციული ხასიათის მასალას, სხვათაგან მიუწვდომელს და დაუნახავს; სამყაროს და კაცთა რაობის შესახებ; ვინ ვიყავით, რანი ვიყავით, საიდან მოვედით და საით მივდივართ, როგორი იყო ჩვენი ნამყო, რა არის აწმყო, ანუ დღევანდელობა და რა გველის მომავალში. უზენაესი ღმერთის-მორიგის გადაწყვეტილებითა და დავალების მიხედვით, იგი ებრძვის ბოროტ ძალებს, სიკეთის დამკვიდრებისთვის.

იგი გმირია, ხალხის სიყვარულით აღბეჭდილი, ბროლის გამოქვაბულში შობილი, თეთრი კლდისაგან, ანუ ქალღვთაება დალისაგან (ცისკრის ვარსკვლავი, იგივე დილა), უმანკო ჩასახვის წყალობით, დალისაგან კლდიდან გადმოხეთქილი წყლის შესმის შემდგომ. მისი ანალოგიები ქართულ მითოსში მრავლადაა ასახული: ამირანის, აბრსკილის, არამხუტუს და მხერის დაბადება. მას ნაცართან და ცეცხლთან აქვს საქმე. ცეცხლს, სამყაროს აგებულებაში (ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა) ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის როლი აკისრია. ამავე დროს იგი განმწმენდი და გამნათლავია სულიერი ძალებისა, დიადი ენერგიის მატარებელი. ზღაპარში „ნაცარქექია"-ღვთაებრივი ცეცხლი, წარმოჩენილია ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლით, ნაღვერდალითა და ნაცრით, რომლის წინ მეზღაპრე ნაცარქექია, ნაცარში ჩხიბვითა და მჩხრეკელობითაა გართული. მზეც ცეცხლოვანი ბურთია, უზენაესიც ცეცხლოვანი დიადი ენერგიის მატარებელია, მზის ცეცხლოვანი ენერგია ჩაღვრილია ვაზის მტევანში, ყურძენში, საიდანაც გამოიწურება ღვთაებრივი წვენი, ღვთაებრივი სისხლი, რომლის შესმის შედეგადაც ადამიანებს ენერგიათა მოზღვავება აღენიშნებათ, ხილვების სფეროში გადადიან ეზოთერულ, განდობილთა სამყაროში და განიცდიან მაგიურ ზემოქმედებას დაფარული საიდუმლოსი. გავიხსენოთ მისტერიები მიძღვნილი ოსირისისადმი, დიონისესადმი, ბახუსისადმი, ხოლო ჩვენში აგუნასადმი (ანგურასადმი), რომელიც ქართულ მითოსის ღვინისა და თრობის ღვთაებაა, მაშ იგი, აქედან გამომდინარე ნაცარქექია, იგივე აგუნა (ანგურა) უნდა იყოს. ჩვენ მას აგუნა ნაღვერდლიანი ვუწოდეთ. მითოსურ ზღაპარში ნაცარქექიაზე გაკეთდა ისეთი სახის ჩანართები, რომლებიც ტრადიციულ ზღაპარში, ამისშესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. კერძოდ, იგი ჩადის ხთონურ სამყაროში, ანუ სულეთში (შავეთში), რათა შეხვდეს ბუნების აღორძინების და განახლების ძალთა ღვთაებას, მელა-ტულეფას, ასევე იგი ხვდება ძილისა და სიზმრების ღმერთს თერითეს, ხმელთ-მოურავს ნასისკარ კვირიას და მათთან თანხმობით წყვეტს მრავალ საკითხებს (დაკავშირებული ქართულ კოსმოგონიასთან). დევები გალანდეს და ისინი იქცნენ გალანდულ მოარულ აჩრდილებად.

ქართული ზღაპრის გმირი ნაცარქექია, იგივე აგუნა ნაღვერდლიანი მარადიულად დარჩა ქართულ სინამდვილეში თანამდევ სახიერებად და სულის ნაწილად ქართველთა სიკეთის ღვთაებად, რომელიც კაცთა მოდგმას მარად მხარში უდგას, ამხნევებს, ამჟღავნებს უდრეკობას, უშიშარობას, მოხერხებულობას და აქვს მომავლის დიდი იმედი, რომელიც აწმყოში უნდა გამოიჭედოს.

დიდება მარად მოკვდავ და განახლებად ღვთაებას. დიდება მოყმეთ მხარში მდგომ ღვთისშვილს, დიდება აგუნა (ანგურა) ნაღვერდლიანს, დიდება ქართველთა მარადიულ საზღაპრო გმირს-ნაცარქექიას.

დიდება და არდავიწყება გმირისა, რომელსაც ნაცარქექია ჰქვია, დიდება აგუნა ნაღვერდლიანს.

დიდი პატივისცემით წამკითხველისადმი, გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი)....

მხატვარი ბესო გედევანიშვილი

გურა ანგურა, თბილისი, 2007

# ნაცარქექია

## (მითოსური ზღაპარი)

გურა-ანგურა



თბილისი
2016

# ნაცარქექია

**/მითოსური ზღაპარი/**

## პროლოგი

კერის დედია ნაცარქექია,
კვერის მცხობელი, გრძნების შემკვრელი,
მზის სახის მჭვრეტი, ჭერში ჭყეტია,
ბედის მწერლობით, გულში ენძელით.
მჩხიბაობს იგი დანავლულ ნამყოს,
მყოფადს ვარსკვლავთა ხომლში ეძიებს,
ეჰე, მისნობავ, დროვ სანავარდოვ,
სივრცის ბრუალით შენ შემეწიე.
ფიქრობს და ბედის მწერალს შესცქერის,
სულეთის დიად უსრულ ღვთაებას,
აქ სამზეოში რასაც ეწევი,
სულ გათვლილია მისხალ წამებად;
ბედობის მწერლის ღვთაებრივ თითით,
ჩამოთვლილია ბედი კაცისა,
არა უცხოობს „მიჭვრიტს და მიკვრიტს"
არც რა-რაისას და არაფრისას.
ხილვის მორევებს მიჰყვება მზერა,
ნაღვარმშვენიერს ჰხედავს ნისლებში,
ირაოს შეჰკრავს დრო-ჟამის ძერა,
და სხვა სამყარო გადაიშლების,
სამყარო, სადაც სუფევს მოლხენა,
სადაც ალერსის დაჰქრის ნიავი,
სად ყოვლის-ყოვლთა უზენაესად
სიყვარულია იქ მომდინარი;
ალმავსებელი, ალუვსებელის,
მიმტევებელი და გონიერი,
სამფლობელოა ცით მშვენიერის,
უდრო, უსივრცო, სალმობიერი.
დაფარულია საგნის რაობა,
ცეცხლმა შენივთა მარადისობას,
დროის და სივრცის არარაობა
ითხოვს აგუნას დიად მისნობას.
ის ღვთაებაა კაცის ხატებით,
ნაცარქექიად ხმობილი სოფლად
მზე და ვაზია, ცეცხლი ნაგზნები,
რაიც სიწმინდედ სულებში ბჟოლავს.

## ზეციური გადაწყვეტილება

ანგურას ბედ-იღბალი მაღლა ცაში გადაწყდა,
ბედის მწერალიც იქ არის, ზეგონიერი სადაც არს,
იქ არის ქვეყნიერების დვრიტა, ვით ფუძე ყოფისა,
წესრიგი გაუხუნარი, ცეცხლი ჟამთ არაფრობისა.
არ ისაზღვრება იქ სივრცე, არ იზომება დროები,
მეჯლისად ერთად სხდებიან ვარსკვლავნი შორი-შორები,
კოსმიურ-ქარიშხალები მათი საუბრის წესია,
ნისლები ირმისეული ყანასებრ დაუთესიათ.
იქ, იკვანძება ბორბალი ბედობის ლაბირინთისა;
ეს, მხარე ძელქორისაა, ესე მტრედის და გვრიტისა,
აქ, მგელმა უნდა იშფოთოს, შორს იკრუსუნოს მელიმა,
არწივმა ლაჟვარდს იმეფოს, ჯიხვმა დალახნოს კლდენია.
ვინ უნდა მოკლას ნადირი, ვინ უნდა სთესოს ხორბალი,
ვინ ატრიალოს საჭენი, ვინ სთალოს ურმის ბორბალი,
ვინა ააგოს ტაძარი, ვინ ჰხატოს, ვინ შჭრას ქვანია,
ვინ სწეროს ამაოების ამბავი საოცარია.
ვინ იმწუხაროს საწუთროს და სოფლის ორპირობაზე,
ვინ სთვალოს მათი სიმუხთლე, გორად დადგმული გორაზე,
ათასი გამოცანანი, ფიქრზე, განსჯაზე, ბრძნობაზე,
ბედთანა შეურიგებელ კაცთა ლექს-შაირობაზე.
აქ, თანაბრობა არ არის, ძლიერი სუსტის მძლევია,
ბრძოლაა გაუგონარი, კაცი, კაცისა მტერია,
საკირველია დანდობა და რაიც ლმობიერია,
ხორცი ვერ სთავსობს სულთანა, რადგან მარადის მტვერია.



ეს, სული ტოკავს და დრტვინავს, სული მეურჩი ყოფისა,
სწამსა და თანაც არცა სწამს ყოფნობის არაკობისა,
რად გავჩნდით, რადა, რისთვისა, აზრი გრიგალებ შფოთისა
თან დასდევს, ჰკვირობს, არც ჰკვირობს მიუწვდომელის გონისას.
რა არის მაინც სამყარო, რით ქმნილი, რისის წესითა,
უსრული უკიდეგანო, შეუცნობელის ფესვითა,
შთანთქმული, სხვათა შთანმთქმელი, უთქმლისა და მთქმელისა,
ჭინჭველთა მაოხრებელი, ვითა ჭინჭველი კვნესისა.

საოცარია სიდიდე და ზოგიერთის მცირობა,
ნაპირთა სიპატარავე, სხვაგან კი უნაპირობა,
მარადი ოინბაზობა, მასხრობა, არაპირობა,
ბევრი სიმწარე, ალერსი სულ ცოტა სიამტკბილობა.
არ დაგვენახვის უფალი, აროდეს, მარად, ცვლაშია,
მაქციაობა წესად აქვს, გამიწვრილების ცდაშია,
რაც მიწისაა, ქვესკნელით, იგივ ზესკნელით ცაშია,
ხან დამტეხია ზვავისა, ხანაც გზის დალოცვაშია.
არ გეტყვის ბოლო მიზანსა, შეფარულს თავის ნებისას,
მრავალი ამით ტანჯულა და სიცოცხლითა ვნებულა,
საუკუნენი შობილან, მომკვდარან, გადაგებულან,
ზოგნი თუ დაუწყევლიათ, ზოგნიც ხოტბითა ქებულან.
ზის და ამ ფიქრებს იფიქვრის ანგურა ნაწილიანი,
ჩუმად ჰლიღინებს უთქმელსა, თვალნი უელავს ღვთიანი,
ღმერთო რა ცეცხლში ჩამაგდე, თუმც ფრენი მომეც ციანი,
ცვლა ბედობისა კაცთაგან აროდეს არის გვიანი.
ჯერაც არ არის გვიანი, საყმოს დავუდგე მხარშია,
ვჩხრეკო და ვჩხიბო ნაცარი-წარსულის ნაღვერდალშია,
ვაუწყო საფრთხე-სამტერო, სასაგნო-საომარია
ტანზე მოვიცვა, დუშმანსა ვუმტვრიო კისერ-ყბანია.
ძმობა, თანძმობა, მხართდგომა და სიყვარული ვაწესო,
არა მოვდუნდე, თუ, ხშირად მაღმერთონ, ანდაც მაქესო,
რაც იცის კაცმა იგი ჰქმნას, კარგად ამრავლოს სამწყემსო.
ამას ფიქრობდა ანგურა, გულ-გრძნობა ნაღვერდლიანი,
კლდიდან ბროლები დაეშვა, ბროლები დალალიანი,
ჩამოუკოცნა თვალები, თვალები ტირილიანი,
ჩამოუყვანა მზე-დილა, სხივები ყვავილიანი.

## ზღაპარი ნაცარქექიაზე
**(დასაწყისი)**

იყო და არა იყო რა,
ღვთის უკეთესი ძამია,
ამ, უკიდეგანო სივრცეში
არა შობილა ძალია.
იყო პაწია სოფელი
გორაკებს შემოფენილი,
ჰგავდა ზენაით მოვლენილს,
მშვიდი, უცხო და კეთილი,
ერთს ოდუკელა-ფაცხაში
ლატაკნი-სოფლის შვილები;
რძალი, მაზლი და ძმისწულნი,
ობლობით გამოზრდილები,
ცხოვრობდნენ ცისკარ-მიმწუხრით,
ჰქონდათ სიმინდის ნალია,
არას ჩაჰყრიდნენ ხორაგს შით,
მარა, რა მათი ბრალია.
რძალი შრომობდა ეულად,
დაკიდულ ფერდის-ფერდაზე,
სულ იყვნენ მომშივებულად
მადლით შემყურე ღმერთაზე.
ბუხარი ენთოთ მუდამჟამს,
ფიჩხი ქე, ჰქონდათ ტყეშია,
ფიქრებს ატანდნენ ლურჯა კვამლს,
ვით იმედს სატანჯველშია.
მაზლი ნაცარსა ჰქექავდა
დამშეულს მუდამ სციოდა,
რძალი წყევლითა ჰპენტავდა,
მას კი ცერცვივით სცვიოდა.
ბოვშებს ღიმ-ძირისპირულებს
არაკობებით კვებავდა,
ბოროტებმაო გვიმუხთლეს,
გაგვიღატაკეს ქვეყანა,
მარა, ვერსაით წაგვივლენ,
ვერც ქვესკნელს დაგვემალვიან,
ის, აღებს ცისკრის კარიბჭეს,
ვინც მამაცი და მალია,
ვისაც სიკეთით უნთია
გული და გონით ბრძენია,
მას ეს სამყარო უბყრია
და ჟამიც ახლავს გრძელია.
რძალმა თლად ეითვალწუნა
შვილების გულის მალამო,



ზღაპარი ჟამით-ჟამს უნდა,
ჩიტს ზეცად წავალ-წავალოს.
კაი ძია და ბიძიას
მუქთამჭამელა უწოდა,
(ხორცი ჩვენ სული მისია),
რძალს ხორცის შვება უნდოდა.
ყური არ უგდო სოფელსა,
არცა შვილების წიოკსა,
ნაცარქექია, ოხერსა,
სულში რომ მარად შიოდა,
გააგდო კარში, სინდისის
ქენჯნამ სულაც არ დასძლია,
ვისის ამბავი, ვინ იცის....?
ცოდო, ვისი რა ბრალია?!
დამწუხრებულმა ბიძიკომ,
მოყვარულ გულის მექონემ
მოხიკა იწილ-ბიწილო,
დაემშვიდობა მეზობლებს,
გუდით ნაცარი აიღო
ყველ-ჭყინტი ერთი წველაი,
შემდეგ ჩეიდო იმათ შორ
სადგისი, წვრილ-წვრილ-წვერაი.
ძმისწულებს გადაუკოცნა
ლამაზი პირისახენი,
ერთი სიტყვის თქმა უნდოდა,
მაგრამ სევდისგან გახევდის,
სოფლის თემშარას დაადგა
გულ-გონით დამძიმებული,
ულმობელობა კაცსა ჰკლავს
და ჰრიყავს წუთისიფელით.
იარა, ბევრი იარა....,
ცხრა მთა, ცხრა ბარი, ცხრა წყარო,
სიტყვით ნაკოდმა იარამ,
ვერ გადუარა, ვერც სწამლობს;
რა ჰქმნას; სხეულში მოსულა
ღვთის შვილად-ცეცხლის გრძნეულად,
რაც ყოფით აწ გარდასულა,
ნაცარში მიმობნეულა,
ვით უთხრას მოძმეთ, ვით ამცნოს
რა გველის, დედამიწაზედ,
მიტომ ნაცრითა მჩხიბაობს
ღვთის ნებელობის მიზანზე;
ბუღაურები გამოჰყავს
დანავლულ ყოფის ძირებზე,
რაც ადრე ნიავ-ქარობდა,
ნაცარს ჰგავს ბუხრად მინანქრევს.
მიდის, მიდიან ვითარცა
დრონი და წყალნი მღვრიენი,
ორჯერ ვერ ნახო ერთი ცა,
ვერცა მზის მღვიმის-მღვიმენი,
ვერცა სამყაროს ბზრიალში
ათას ქვეყანათ ყოფები,
წელი ათას წელს მიახლის
ყიჟინას ფილთა-თოფებით
უკანასკნელი წარღვნიდან
საუკუნენი კეცილა,
კაცსა მცირედი რამ უნდა,
ცის თაღზე გამოკვეთილად;
სიოცე სიყვარულისა,
ვით ცისარტყელა შვიდფერი,
ღიმილი კეთილ გულისა
პურ-ღვინო, ცეკვა-სიმღერით.
ბილიკმა ბევრი ატარა,
ბევრი უცვალა აზრები,
ძლიერ მოჰღალა ტანტალმა,
უვალში ეკალ-ქაცვებით,
ყღრანი ტყენიც დალახნა,
გალაღდა, მარა ძნელია,
მარტომ იარო გრძელი გზა
უცხოდ, ხიფათის მქნელია.
წიფლის ვეება ფესვებთან
თვალს მოატყუა პაწია,
ლანდთა სამყარო ეფეთა
შეექმნათ გაწი-მაწია.

## შეხვედრა ძილისა და სიზმრების ღმერთ თერითესთან
## ზმანებანი ნაცარქექიასი
## გარდაცვლილი დის ხილვა და მისგან მონათხრობი ამბავი

დაისის შემდგომ მიმწუხრი
ყელზე ეხვევა სხივებსა,
მზე მდუმარს წყლებზედ გადადის,
თვალთ იშრობს ანატირებსა,
იქ, ბინადრობენ სულები,
იქ, იდუმალი ჰგიებსა,
ღვთაება სიზმარ-ხილვების
ღამე დაკრიფავს იებსა,
შავ ნავებს გადაატარებს,
შავ ანძა-აფრიანებსა,
მიღმით გადიყვანს უხილავთ
თერითე უძინარებსა.
იქ, მიიყვანა აგუნა,
აგუნა „მკვდარში გართული,"
გვამი სამზეოს დაუგდო,
ბნელს ხევით შემოთალხული,
ერთ წალკოუტს კარი შეუხსნა,
ჩუმად, მცინარა სულებთან,
წყაროსთან დაი ეულად
ძაფსა ართავდა ულევად,

ჰქსოვდა მოვისა პერანგსა,
მღერდა ნიავის გულებთან,
დრო-ჟამის ჰგავდა მღერასა,
უსრულს-უსაზღვროს-ულევსა.
და, ძმასა ჩაეკონება,
ძმასა, ღვთაების ნაკვესსა,
სიყვარულისა თოვება
ჰანგით გაჰნათლავს წამებსა.
სდუმან მეტყველი დუმილით,
ხილულთ, უძრავნი ჰგონიათ,
გრძნობები გამოხმობილნი,
დიად ქმედების ტოლია.
და ეტყვის, ეხლა მისმინე;
იდუმალს გეტყვი რასმესა,
სულ-გული გაახვირინე,
ყურ მიგდე მოქადაგესა,
მე რასაც გეტყვი, ყოველი
ყურთ მძივად დაიკიდოდი,
უკვე მომეგო ამისთვის,
სიკვდილის წიოკ-წიოკი,
თქმასა არ გათქმა მაკისრეს,
არა ვსთქვა არ მაქვს ძალია,
განწილვით იცის წიფლის ხემ,
სდუმსა, თუმც გულთმისანია.
შენ იცი აკლდამს ვესვენე,
გულის თქმა არც რას მალავდა,
თუ, გახსოვს სიტყვა მეშველი
შენს დაის მოიპარავდა,
მაინც ვსთქვი, თავი გავწირე,
არ, ვნანობ, სოფლის თმობასა
თუმცა ჩამიქრა თვალთა მზე,
უვალს შევუყვე გზობასა,
შევიცან ჩვენი საწყისი,
და ჟამთა ფერიცვალება,
ღირდა სიკვდილი ამისთვის დ
და ხორცით თავისდადება,
კვლავაც მისმინე, (სიზმარო
მამყოფე ჩემსა ძმასთანა);
წარმოდგენები გიზმანო,
დაგისვა კარის-კართანა,
გამცნო; ვინა ხარ, საიდან
მოხვედ და საით მიდიხარ,
სიზმრად რომ გესმის ჩემი ხმა,
ლელწამს მკვნესარი სტვირი ვარ.
კვლავ აღსდგა იგივ სურათი,
გულ-გონებისა ხსოვნებით,
სხივთა ვით ეთქმის უარი,
სივრცით შორი-შორებით,
ითქვა ამბავი დისაგან,
ცრემლი ალბობდა რბილოსა,
ყელსა ტირილი ახრჩობდა,
ჭოტიც სევდასა ჰკიოდა.
და აჰა ესე ამბავიც;

ძამიკოს დაბადებისა,
წამი-წამს მისდევს მდაღავი,
ღამის კურუმიც კრთებისა.
იმ დღეს მამა და ნანაი
და ჩვენი დიდი ძამია
ნიშნობად იყვნენ, (ქალაი
აწ, რძლად რომ მოგვიყვანია),
გაღმა სოფელში მის ოჯახს
ესტუმრნენ ბელგა-პირობით,
ვინ გაუშვებდა შინ მოყვრებს
დაათვრეს ღვინო-პურობით.
მიტომ ეულად დამტიეს ,
ღომთ-ღომის ასაჩალადა,
ყელ-ყელებს მზეში ნარწიებს
ნამგლის უსობდი დანასა,
ღომთ-ღომის ყანას ვჩალავდი,
და იწყებს თხრობას აქედან;
მესიტყვებოდა ქარაგმით
ქარი, ჩალას რომ არხევდა,
შრომამ მომღალა, მიტომაც
მეწვია გულის ძილები,
ვხედავ წინ ვიწრო გზა მიდევს
უფსკრულზე დანაკიდები.
თავს ძალას ვატან ვფხიზლობ და
არ ვთმობ სოფელთან გაყრასა,
რულმა ლეიბი გამიგო,
ღამეც მხურავდა საბანსა.
დამეძინება წიფლის ქვეშ,
გოგოს შოლტივით ანაგებს,
ოფლდაღარული შევა დღე
იქ, სადაც ბნელი განაგებს,
იქ, სადაც ბუდობს მიღმური
სამანს იქითა სამყარო,
ვერაგი, მთესი სიცრუის,
ყველა ეშმაკმა დალახვროს.
ძე ხორციელი არ სჩანდა
ყიამეთ-წკვარამ ღამეში,
მხოლოდ-ღა ჭინკა, როგორც თხა
დარბოდა სულზე ნაგეში,
ბუქნობდა, შრიალ-მისნობდა
წიფლის ხე, ნისლთა ბურანში,
მთიებს სამოყვროდ უხმობდა,
წინ ედო ხატის სურათი.
ხის ქვეშ გოგონას მეძინა,
მარგალიტისა ცალასა,
ლამაზი ჩითის მერდინა
ერთვოდა ნიავ-ქარასა,
ბრინჯაოს თმები მელვარა,
სახესა სვილისფერასა,
ზედ დამყურებდა ქვეყანა,
უძლები ნათლის ცქერასა.
ჟამს, როცა ღამე ეყრების,
თავის ყოფიერ სულებსა,




როცა ლანდური დევები
დაცვლიან „ყარაულებსა,"
გოგონას გადამეყრება
ძილი-ობობას ქსელია,
სხვა გულის ხმაში ვვარდები,

რაც ტანჯვით სა
ზეცის ხმა მეტყვ
იქეცი ნატისუსალად,
ძმა გაგიჩნდება ღიმის მზე,
ცეცხლის-ნალვერდლის უფალად,

წლის თავზე მოევლინება
ქვეყანას ბრდღვიალ-ბრდღვიალით,
ბედის მწერლები იმედად
იტყვიან, იგი ვინ არის?!
მოფრინდნენ ღამის ფრინველნი
სამნი და დასხდნენ ტოტზედა,
უზარმაზარი წიფლის ხე
ციურს შესთხოვდა ლოცვებსა,
ნიადაგ შიბით ეკიდა,
ესმოდა ხმა საცნაური,
კლდეთა მიმწუხრულ ექოდან,
ამბავი შემოფარული.
ეხლაც უგრძნობი მაცნენი,
ფრინველთა სახიერებით,
ერთი არსების სამწევრნი,
ვით ყანის ოდოჟღერები
იდუმალ სიტყვას იტყვიან,
ნათლობის საიდუმლოსა,
ვარსკვლავნი ცაში ნისლიან
გასცურვენ სანაპიროსა.
სამ რამეს დაანათლიან,
სამსა, სამების წესითა;
სამყაროს შობის შეცნობას,
მოცემულს სპილენძ-ვერცხლითა,
სიკვდილით გარდაცვალებას
და დაბადების ლხენასა,
შემდეგ შეიცნოს ოქროს ზღვა
თუ, ეძებს სულით ფრენასა.
იტყვიან; ყრმა რომ იშვების
მივცეთ ღვთაების ძალია
ნაწილი იყოს-ცეცხლი-მზის,
ვითარც ციური ალია,
მთვარის სხივები დალიოს,
დვრიტა-შეცნობის გზებისა,
თუ, არს, ის-იყოს ქარიო,
ზვავის ხმა-შეძახებითა,
სახელიც ღვთისა ებოძოს,
აგუნა ნალვერდლიანი,
ქვეყნად სატანას ებრძოლოს,
გასვას წყვდიადის პირამდის,
პატარა სოფლის ფაცხაში,
თვისთა და-ძმათა ამალით
მოძმეთ დაუდგეს ტანჯაში,
ვით მომყივარი მამალი.
ვინცა წამს ეძებს, ვინც დასდევს
ვრცელი სამყაროს სიოცეს,
ის მოერევა დევთა-დევს
და მარადისად იცოცხლებს.
ერთმა სთქვა: ერთი არსება
ეხლა ამ სიტყვებს ისმენსა
არ იქნებოდა, არ გათქმა,
დრო, ჟამით გადაგვირბენსა,
მეორემ გონში იაზრა;
იდუმალ ძალთა კავშირი,
მესამემა სთქვა-ზენამ ჰქმნას,
რაიც იქაა განსჯილი;
მოუსვლელეთის სპირალზე
ვინ საით წავა როდისა,
წლისთავს დადგება შობისდღე
და საოცრება ყოფისა.
ასე ამთავრეს ფრინველთა
სერობა-უცხო ხმობანით,
ცამ გარიჟრაჟი ირეკლა,
მთათა ამოჩნდნენ ქობანი.
ჩქარაო-უთხრეს ერთმანეთს,
დრო არის ჩვენი წასვლისა?
თან დააყოლეს კაცის ფერს
რაც ესმა ამა ამბისა,
დღე მოაკვდინებს ან ღამე,
გამცემთა საიდუმლოთა,
ფრთები შემოჰკრეს, ველ და ველ
გადაჰყვნენ ღამის სიოთა.
აბულერთაის ტბის ირგვლივ
ხშირი ლელწამი შრიალებს,
წყლის ზდაპირი ცისფრად კრთის
და ხარბად იწოვს მზიანეთს.
იქ შეუვალი არეა
გზები იმ ტბასთან წყდებიან,
მის ძირში მარად ღამეა,
დღენი იქ ვერა ხვდებიან.
ჭავლებში მზე იწურება,
ქართა მალულად ეხება,
ვარსკვლავთ ცა უკუ ბრუნდების,
თუმცა ხილული ვერ ხედავს.
იქ, დევთა-დევნი ბუდობენ,
დევნი-წარსულის მაცნენი,
ქვესკნელს წვდებიან უშორესს,
აუწერელის ტანჯვებით.
ბევრი რამ იცის ლელწამმა,
ბევრი ამბებით ხმიანებს,
ვერა ამოსთქვას ენამან,
გულში რა ცეცხლიც ტრიალებს.
ფიქრს ანდობს მხოლოდ ნიავ-ქარს,
როგორც კოსმიურ ძახილებს,
შავად ბრდღვიალებს დევთა ტბა,
ცივსა შემოჰკრავს მახვილებს,
ზღვასავით ამღელვარდება,
ზღვასავით იწყებს ძახებას,
პერანგს თუ დაშლი ჯაჭვებად,
ადვილი არის გახევა,
მაგრამ რხევადი ტანებით
ლელწი იკვრება ლელებად,
მტერსა, თუ, ერთხელ დანებდი,
ჭირსა ჭრილობათ მთელება.
თავისი ფიქრიც გაანდო,
ფიქრი იდუმალ სეროზის,
ჭირს იტყვი, თავსა კარგად გრძნობ,
ერთობის ბედნიერებით.

ის, წამი, საუკუნეთა
ტოლფასოვანი წამია,
იგი აროდეს არ ქრება,
ვითა ყვავილის ნამია,
თუ, იცი, მალე მოჰკვდები
და მით სხვათ მისცემ შვებასა,
სამყაროს, როდი შორდები,
ეძლევი უკვდავებასა.
ქალს რეტი ესხმის ღონდების,
ვერ უძლებს გულის ფრიალებს,
მზერენ საფლავის ლოდები,
ჟამნი რომ გაატიალეს.
სრულდება ბედის მწერლების
ქადილით დანაწერები,
ძლივს მიდის ღონე ელევის,
ვით ექოს მონამღერები.
აკლდამის ლოგინ-საბანი
სიპნი, ცივ-ცივი ქვანია
იქნება სიზმარ-ზღაპარით,
მისი შავეთის კარია.

## გმირის, აგუნა ნაღვერდღიანის-იგივე ნაცარქექიას დაბადება

აღსრულდა ბედისმწერლების,
გრძნეულ სიტყვათა ხმობანი,
აგვისტოს ხვატში მზე იშის,
წლისა გავიდა წლობანი,
ყრმა ანგელოზის სადარი,
თეთრი ფითქინა სხეულით,
ოქროს კულულით ნაყარი –
– ატამი და ბროწეული.
აბლავლდენ ბაგას მიბმულნი
პაწ-პაწა ბოჩოლიკები,
შეჰზმუვლეს ხართა ირმულით,
ვირთაც აჰყარეს ტლინკები,



მამალმა, ყიყლი-ყიყლიყო,
გადააფინა სამყაროს,
ცისკრით განათდა ბიბილო,
სხივნი დაეშვნენ სადარო,
ქათამთა მორთეს კრიახი,
გოჭებმა ჭყვიტი-ჭყვიტები,
ღნავებმა გულთა ფრიალით
თვალ-მძივთა ჭიტა-ჭიტები.
ტყესაც შეუდგა ბაბანი,
დილის ქარების ქროლვაზე,
შეწყდა ჭაობის ყაყანი,
ცხოველთ ბუნაგი მონახეს,
ქორებმა შეკრეს ირაო,
ძერებმა ძერის-ძერული,
ვინ დაიბადა, ვინაო?
დაფსა სცემს ჩიტთა კრებული.
მთისკენ კოჩები გარბიან,
ხევებში ოჩოპინტრები,
დევთაც ეუწყათ დრიან
ქაჯთ  ვიშვიშებენ ძიძები,
ვაი ჩვენს ყოფას უბედურს,
იშვა კეთილი მესია,
ალი აჭენებს ბედაურს,
მესეფნი ყანებს ესხმიან,
დღე მოდის აღსასრულისა,
ბოროტებს სამზღვრებს უნგრევენ,
ოცნებას კლდეთა გულისას
მართვე გაუჩნდა ბუდეზე.
ყრმა იზრდებოდა, ერთ თვეში
აკრიფა ერთი წელია,
ცისკარი გაჩნდა ბნელეთში,
ყრმამ გაისწორა წელია,
წლინახევრისა რომ გახდა,
ეშვა ბავშვივით თამაშებს,
გაუშტერებდა ბუხარს თვალს
და ცეცხლის გრძნეულ ქარაგმებს.
მასზედ იტყოდნენ; ღამი-ღამ
ტყე-ტყე რომ დაეხეტება,
ჩუმად ხვდებაო წყეულ ალს
და ატკბობს მისი ფერება.
უნახავთ ღელეს წყაროსთან,
ეულად ნაბუტბუტარი,
ეზიდებაო ნალოსა,
გაუწევია გუთანი.
ღონიერია ნამეტან,
ისვრის ფუთიან ლოდებსა,
დაჰყვა ზარივით დიდი ხმა,
ელლაბუცება გოგნებსა,
შვენის წკიპინა ულვაში,
პირტიტველ პირისსახეზე,
ცისფერნი თვალთა გუგებში
კოსმიურ სხივებს აბნევენ,
ხმელ-ხმელი არის, ტანადი,
ბრტყელბეჭა, კულულთმიანი,
აბჯარს არ იცვამს არაფრით,
გული აქვს აბჯარიანი,
მკლავები ვაზის გრეხილი,
მუხლები კლდეთა ჯიქისა,
მოქნილი არის გველივით,
მხარით ძლიერი, ძმისთვისა,
გონებაც უჭირს, გუმანიც,
სიტყვაც მოუდის ფრთიანი,
ასეთი უნდა, თუ არის
ყმა და ვაჟკაცი ღვთიანი.

## ნაცარქექიას შეხვედრა ყათღ დევთან

ფართე მდინარეს მიადგა,
მდინარეს, რიყე-ქვიანსა,
დავიძინებო იამ სთქვა,
მზეც გორის წვერებს მიადგა.
არა სჩანს ძე-ხორციელი,
მდინარე ამბობს ნანასა,
არსად არავინ მიელის,
უშლიდეს არიფანასა,
არცა ბორანი, არც ტივი,
ძირს ხიდი, ბონდის მაგვარი,
ცურვა რას გარგებს ტივ-ტივით,
ბორგვნენ მდინარის ტალღანი.
ფიქრშია, ფიქრის გორგალი
ახსენებს ბუხრის ბაბანსა,
სად არის ბედის მომტანი
ეტყოდეს ქვეყნის ამბავსა.
წამია, წამსა არა ჰგავს
დროის ულმობელ სრბოლაში
ჩაკეტილია ყველა გზა,
ხსნა და იმედი მომავლის.
უცებ, დრო-ჟამი გაჩერდა,
მდინარეც შესდგა ქვიანი,
ჭალა დაჰფარეს ლანდებმა,
ჩრდილებით გვიან-გვიანით.
ვერ მიხვდა, ვერცა იაზრა
თვალთ არ უჯერებს, შტერია,
„დაგებინდეო" – ბინდმა სთქვა –
– ეს, მთა კი არაა, დევია.
მდინარეს გრძნეულ მოადგა,
შეჰბოტა შეჰკრა ჭავლები,
ნაცარქექიას გულის ხმამ,
გაჰკრა შიშისა ბრჭყალები.
დევი წყალს დასწვდა შეჰხვრიპა
ნაკადნი ციურ ღმერთისა,

სრულ მორჩილებს ეფიცა,
მარადს, რაც მოიმღერისა.
წყალთა ღმერთს იგრიდ ხმობილსა
მესეფთა ზღვათა მფლობელთა
წყარიშმაფათა თანდგომას
უტყვად მომზირალ ლოდებსა.
ვით ცხოველს მუხლი ეკვეთის,
კუჭშიც გახსნილა ილაოდ,
შიშსა აქვს დიდი თვალები,
ლომად გაჩვენოს ციდაო.
მამაცი კაციც შედრკება,
ჰქმნასა არ იცის ყვინთები,
ძრწოლა აიტანს ნელ-ნელა,
სახეს დალურჯავს ფითრები.
ხსნა სიკვდილშია? დე, მოკვდეს,
თვალთ დაუბნელდეს მზენია,
ცდა ბედის მონახევრეა,
სად კვნესენ, იქავ მღერიან.
ეს, ხდება ელვის უსწრაფეს,
აზრს ვერა ჰბოჭავს დროები,
განწირულს ვერც რას გიზამენ
შავზე-შავეთის ქორებიც.
მკერდში ქვა გული ჩაიდგა,
სულს სალი მისცა მტკიცენი,
თუ, სიკვდილშია-იყოს ხსნა,
ბრძოლა შეჰბედოს ფიცხელი.
ვინ მოჰკლავს, ანდა რა ფერის,
დღეს დაუმოკლებს შარასა,
სახლში კვდებიან გლახებ,
ტანთ იმოსვიან კაბასა.
დევ შეუძახნა; შეჩერდი,
კარგად არჩევდე ფონებსა,
გაღმა გამიყვა ფეხები,
ნაჩვენი მორევთ-მორევსა,
არ მინდა რომ დამისველდეს,
შემცივნებული გახლავართ,
სითბო მიხდება, ვეფიცავ მზეს,
აქ, მოდი ჩემო ბახალავ.
დევმა ალმაცერ მოჰხედა,
მზერა იტევდა სივრცესა,
თვალები საცრისოდენა
უგავდა ხაროთ მღვიმესა,
ხელში ირემი ეჭირა,
ვით დამახრჩვალი ყვინჩილა,
თმა ეწყებოდა ბეჭიდან,
წვერიც ეკიდა ჯინჯილად,
მკერდი უგავდა კლდის გულებს,
ბარძაყნი მოწნულ გოდრებსა,
ნაბიჯი დათვის ძუნძულებს,
მკლავნი ღვედიან მორევსა,
ტუჩ-პირი ლოქო-ვეშაპის,
ჭაობის ლაშა-ლუშებით,
ხმა მეხის ჭექა-ჭექანით,
ყია, ბილწი და უშვერი,
ეშვები ადლიანები,
ენა, ვით შინდის ტყლაპია,
ტალღა და ტალღა ჭავლები
სულ ხვრეპა-ხვრეპით დალია.
ძლივს ამჩნევს; ქონდრის კაცივით
მოძრაობს რაცხა რიყეზე,
ცაზე ღრუბელიც არ იძვრის,
მის შიშით ქარს ვერ მისდევენ,
კანკალებს ჭიანჭველაცა,
თავად არწივნიც კრთებიან,
ასე თამამად უხმობს ვინ?
ღმერთი არის, თუ,... ხელია?
ხუმრობა საქმე არ არის,
უნდა იხმაროს გონია,
ასე ყოფილა მარადის,
ცხოვრება მარათონია,
ასჯერ გაზომე და ერთხელ,
გასჭერ, რაც გასაჭრელია,
თუმც ცხოველთ მეფე ლომია,
ზოგჯერ კი სჯობნის მელია.
ვნახოთ, მოვსინჯავ მის ღონეს,
ვეჯიბროთ, ვინ რა ბიჭია,
რა ძალისაა, რის მქონე,
გვამცნობს, რაც დოუჯინია...
რა შეგიძლია, ძმობილო,
დევი დაიტკბობს ენასა,
ტყუილად თუ, არ ფორხილობ,
თუ, უფრთოდ არ სცდი ფრენასა,
ჰა, ბურთი და მოედანი
ჰა, ჩოგანი და სამიზნე
აქ, გამოჩნდება მკვეხარი,
არჩევანი შენ, დეიწყე.
მე, მზად ვარ ჩემო დევუკი,
მოვსინჯოთ მუხლის ძალები,
ქვებს ოუყენოთ ბუქ-ბუქი,
გაქცევა-გამოქანებით.
კარგიო, დევი დასთანხმდა,
რიყეზე ბევრი ირბინა,
ამტვრია ლოდი, ფქვა და ფქვა,
სირბილი შერჩა სირბილად.
მის ნატერფალთა ნაფლობში
ჩადგა ჭანჭყობის გუბენი,
მტვერი რიყეზე არ მოდის
არცა გრიგალის მიზეზით.
ნაცარქექიამ იმარჯვა,
ახლა ამისი ჯერია,
სადგისის ჩხვლეტით გუდამ ცას
ნაცრით უბნელა ბჭენია,
ცოტა, ქე, შეფიქრიანდა
დევი ჩავარდა გონშია,
რავა ადინა ბუქი ქვას,
ნესტიან კალაპოტშია?



ნაცარქექია არ ცხრება,
დევს აჭყობს დაბნეულობას,
ეს, რაა...? ბიჭი მას ერქვას,
ქვას გამოსწურავს ვინცა წყალს.
დევმა ფუთიან მუჭითა
ლოდი დოლაბის ოდენა
ფშვნიტა-ამსხვრია უჭირა,
წყალი კი ვერ გამოდენა.
ნაცარქექიამ უჩუმრად,
უსწრაფეს თვალის უჩინად,
სასაგზლე ჭყინტი ყველუკა
ამოძვრინა გუდიდან,
დეიკუზა და რიყის ქვას
ვითომ, დასწვდა და ეილო,
კიდო გავსინჯოთ, ვინ-ვინ არს,
ვინ-ვის სჯობს, ჩემო დევიკო.
სთქვა და იჭინთა, ძალიან,
დევსა აჩვენებს რომ უჭირს,



ბოლო ძალ-ღონი დაჰრია,
ყველს გამოსწურა წუნწუხი,
დევი ჰხედავს, რომ აჯობა,
კაცმა ქვას წყალი ადინა,
დგას მოკვირინე, ჭანჭყობთან,
თრთის ვებერთელა ტანითა,
თვალდაჭყეტილი შეჰყურებს,
გრძნობსა ღვთაების ძალასა,
თუ, ადრე იყო მეურჩე
აწ, ემსგავსების ლალასა.
ფეხს წინ ველარ დგამს, ეკვეთის,
ზეძალთა გრძნობის ველშია,
სული ემჩვარვის შემტევი,
შიშსა ემონვის ვეშია.
ისევე, გამოარკვია
ნაცარქექიას ძახილმა,
დაფხრეწილმა და ქაცვიამ
დევს ჯიქურის ხმით დასჭყივლა;
რავა შტერივით მიყურებ,
ლამაზს და ასე მშვენიერს,
აგერ, მოდი და ისურვე,
ჩემს სიყრმეს, მხრებზე შემიჯენ!
დევიც მორჩილი ცხვარივით,
ვით, მონა ყურებ-მოჭრილი
ეახლა, სხვა გზა არ იცის,
თავად დეიდვა ბორკილი,
ჩამეიცუცქა კაცის წინ,
გოდოლნი მუხლში მოხარა,
ნაცარქექია წკიპ და წკიპ
ბალნიან ზურგზე მოაჯდა.
მხრებზე ისკუპა, ხელებით
დევს წასწვდა ორთავ რქაშია,
თუმც მოდის ელეთ-მელეთი,
მაგრამ ბედი ხომ ცდაშია.
დევმა მუხლ და მუხლ გაჩქვიფა
მდინარის მძიმე ტალღები,
სამყაროსმბრუნავ ტანიდან
ამჩატდნენ იალაღები.
ნაკადი გაჰყო შუაში,
შეჩერდა ფიქრთა შუადღეც,
ადრე თუ მოხვდა ბურანში,
ახლა, სიფხიზლით ბრუალებს.
ვინ შემოისვა კისერზე,
ღირდა კი უღელ-მონება,
ძებნა დაუწყო მიზეზებს,
რაც ხიფათს ააშორებდა.
ეჭვიც შეუჯდა ჭიასებრ,
დაუღრღნა გულის გონია,
ტყვილად მიენდო უცხო ხმებს,
კურდღელი მგელი ჰგონია.
ძმობილო, შენ რაც აკეთე,
მიმართავს ნაცარქექიას-
შეეფერება მხოლოდ ღმერთს
და იგი ერთად-ერთია,
თვისი სიბრძნით და ძლევებით,
ღონით უმძიმეს ზვავისა,

ათას ფუთებით შემხები,
უმძლავრეს ქარიშხალისა,
შენ, კი, ბუმბულის წონა ხარ,
მსუბუქი მცირე ნიავზეც,
მე, ნატერფალით მიწას ვხნავ,
სვლა მიჭირს დედამიწაზე.
ეს, მიტომ ჩემო, ყონყოლი,
რომ შიბით ცაში ვკიდივარ,
ნუ, მღალავ, ამბის მოყოლით,
გასწი, საითაც მიდიხარ.
შენ უხილავ შიბს ვერ ხედავ,
თვალში მეც გეცოტავები,
გსურს დავმძიმდები, როგორც მთა,
ზეციდან დანაქანები.
ეტყვის, ქექია ნაცრისა,
სიტყვათ უყენებს ბრიალსა,
– გოუშვან შიბი წამითა,
– უთხარი გამგებიანსა.
დევი სცდის ცდასა არ იშლის,
აზრი უბოჭავსა სხეულსა,
თუ ღვთაებაა მართლა ცის,
ემონვის გადარეულსა.
კარგიო-ეტყვის ქაცვია,
სადგისს კისერზე უმარჯვებს,
ცოტა სიმძიმე აგია,
ბოლომდე...? თუ, ხარ უარზე?
დევმა იბღავლა, ემწარა,
სოლი მიაპობს ძარღვებსა,
– კარგი შეჩერდნენ,-აწ, კმარა,
ცისას ასძახე ბანებსა,
ისევ აგწიონ ზეცაში,
ტანს მესვი როგორც ეშვია,
ზოგჯერ ცდუნება გვეძახის,
არ ვენდოთ ის რაც ბნელშია,
თავისთვის ფიქრობს დევუკი,
ჩამდგარი გულისხმაშია,
გასცდა მდინარეს, შუბლზე კრთის
ოფლის წვეთები არშიად.
დიდი ხანია დევებმა
რაც გრძნეულება დაკარგეს,
ღვთაებას ასე ენება,
დევთ სჭედდა თავის ქარგაზე,
რაღაც ახსოვდათ, რაღაცას
კაცთამოდგმისგან იტყობდნენ,
კისერზე შეუცანცალდა
იქნებ, მაუწყი სიკეთე,
იქნებ, კაცუნას ხელებით
უფალმა ღმერთმა ინება,
ვეფხვად აქციოს კატები,
ბტჭყალნი უბოძოს ირემთა,
მასაც და იმის მოდგმასაც
სადევო უხსნას გზებია,
ეძმობა ახალ მოყვარსა,
მთლად, არ გეგონოთ შტერია.
წამში გალია სავალი
ერთი დღის, კლდოვან ბილიკზე
და ვით შუადღით მამალი
ერდოზე გადაიყივლებს;
ძმანო, მომხედეთ, მოსდექით,
კარში გამოდით, მზეშია,
თვალ გაახილეთ, ბროლები
არ დაიმალვის ბზეშია.
უცხო სტუმარი გაახლეთ,
მოგეცეთ ღვთისა მადლები,
ცხრა ძმანი-ყველა მთა და კლდე
უზარმაზარი ტანებით
მოლაგდნენ კომბალ-ცულებით,
ისრებით (ჭოკის ხელებით)
მძლავრად უცემდათ გულები,
ვით მოგუგუნე ველები.
რომ ეძმო ნაცარქექიას;
სახელად ერქვა ყათლანი
მეორეს რკინაკვნეტიას
მოსიარულეს ტანტალით,
ბელელა ერქვა, რუმბისებრ
დიდ მუცელს მოაგორებდა
ტანთ ასტეხოდა ზმორება.
სახელად მუზას უხმობდნენ
მცონარობდა და ბზუოდა,
ყოველთვის დილა-უზმოზე
ღვინო-არაყი სწყუროდა.
მესეფედ იწოდებოდა,
ბალან-ბუწუნა იერით,
მეხუთეს ერქვა ყბა-ყბედა,
უძღები, მარად მშიერი,
ძრწოდა და სუნგალაობდა,
სულ, სასუსნაოს ეძებდა,
ჭამის დროს ენა-ყრუობდა
და აბრაზებდა ბერყენას.
თავის მომდევნო ძამოკოს,
დიდყურასა და ყელ-ყელას,
ღვარცოფა ერქვა მეშვიდეს,
ტანით მოჰგავდა ქედებსა.
მერვესა ერქვა ღვარძალი,
მღვრიე მდინარის სადარი,
მეცხრეს დევკაცა, ცეცხლივით
ღვიოდა, როგორც ლადარი.
ცხრა შვილის მშობელ დედასა
მელანი ერქვა სახელად,
ცხრა თავისხელა თავჰქონდა,
თავს გორგალივით დასდევდა.



# დევთა საუფლო და ნაცარქექიას საწაულები

ბრწყინავდა დევთა საუფლო,
მაუფლი გალაქტიკების,
კაცობრიობას აუნთო
ცოდნის ფერადი იები,
დასერა სივრცეთ მრუდენი,
ზღუდენი მიღმა სოფლისა,
ტეხეს ციხენი უტეხი
და ჟამი მეორმოსვლისა.
ააცახცახეს კოსმოსი,
მორცვობით როდი ზეობდნენ,
უფალს მცდელობით მოსწონდის,
რადგან ღამითაც დღეობდნენ.
კოშკები ედგათ ურიცხვი;
სახლი და სრა-სასახლენი,
ჰყვაოდა ნარინჯ-თურინჯი,
-ვაზის, ჭირის და დალხენის.
ითესებოდა მარცვალი,
ქერ-პურეულის ყანისა,
მზე დაჰყურებდა ცარგვალით,
-მთვარეც მაუწყი დარისა.
ჯერ ხარნი ებათ უღელში,
მერმედ გამწევი რკინები,
ცა იყო მათი ნუგეში,
ღრუბელთ უწყვეტი დინებით,
ბევრსა იდუმალს სწვდებოდნენ,
ცდებოდნენ, რადგან ჰპოვებდნენ,
ბედთან მარადის მებრძოლებს
ზღვა ლაღთ უშლიდა მორევებს.
შეიქმნენ გალაღებულნი,
ვით სვავნი მთაში მყივარნი,
არ ასცდათ გადაშენება,
აწ, მათ მომგონი ვინ არის?
მჭედლობას ხელი მოჰკიდეს,
სჭედეს რვალი და სინანი,
დევნი მჭედლობით ქებულნი
კლდეს გაკიდულის შინანით
რა მოხდა, რისი მიზეზით,
რა ქართა ქარიანობით,
თალხმა შესცვალა ცისფერი,
ავდართა-დარიანონით,
შემოსწყრა ყოვლთა გამრიგე,
დევთ განუწონა ფანდები.
რადგან უმტვრიეს კარიბჭე,
რადგან ედემის ვარდები
არ ცანობის, არცა დანახვის;
სურდათ შეხვედრა ნამყოსთან,
ამოხსნა დროთა ქარაგმის,
ტინი რა ამბავს ამბობდა,
სილაღემ გადაავიწყათ,
წარმავალობა ყოფისა,
იდუმალება ძალისა
და გრძნობა მეორმოსვლისა,
ცნობა დაჰკარგეს ერთურთის,
მაქციურ ლაბირინთებში,
სულს დაეწერათ, მე მსურის,
უარჰყვეს ნდობა მილეთის,
ამსხვრიეს ნახელაური,
დიად ბუნების ქმნილება,
უკულმად დასცეს დავლური,
რიკ-რიკით დამეხილებმა,
ზღვანი შეხვრიპეს, მდინარეთ
უცვალეს სავალ-გეზები,
ველარ იპოვნეს შემრიგე,
-ვერცა უძირო ფესვები.
მიადგნენ შეუღწეველის,
ხეობის მაღალ ზღუდესა,
გადაეწურათ მზე ველით,
ცა ტყვიით განამუქესა.
დელგმის ღვარცოფი დაეშვა,
მოირღვა მთათა თავები,
დაბმული ქარი აეშვა,
აასავსავა მკლავები,
შემოჰკრა, შემოარღვია,
ყიამეთური წყვდიადი,
გადიგრიალა წარღვნის ხმამ,
მდინარით ქვიან-ქვიანით,
აქეთ პეპლეთი აჩვენეს,
იქით ქვით-ქვითა კირეთი,
ვინლა მოსთვლიდა ხაროებს
სავსეს მომზირალს იმედით;
ას წლამდის გეყოთ ხორბალი,
ქერი, შვრია და ფეტვები,
წისქვილს ბრუნავდა ბორბალი,
დოლაბნიც ანაცეტები.
ურთიერთს მუცლით ეკვროდენ,
ხორკლიან მკერდთა ხახუნით,
სიმინდს ფქვავდნენ და ბეგვავდნენ
კრიჭის ისმოდა რაკუნი.
ცვარი-ნამში ბაღებს ეძინათ,
დახუნძლულთ ტოტებდადრეკილთ,
მოსვლას ამ ქვეყნად ხეხილად,
ნაყოფის სიელვარეთი.
ქე, ინატრებდა მოკვდავი,
ქე, ღირდა სივრცის ღიმილად,
მათ გემოს მეორმოსვლამდის
ნისლი იწოვდა ირმისა.
თაგვებს წისქვილში ეძინათ,
ჩუმჩუმ ავსებდნენ ხაროსა,
შიგ ფენა-ფენად ეფინათ
პური ნალეწი კალოსა.



ვერა ისწავლეს მოკვდავთა
ბრუნავ ქვათ დოლაბისაო,
მოდგმა სიხარბით მოღორდა,
წუნობდნენ ნიორ-წნილსაო.
ვით საშინელი მიწისძვრით
მიმოდიოდნენ ლოდები,
ღმერთო, რა მელის ნეტავ წინ,
ღმერთო, ეს ვისთან მოვედი,
ელვის ფიქრები დაჰქრიან,
მის გონის ნაოჭს სერავენ,
ცხოვრება ღრუბლის ქაფია,
გაიწეწება სერამდე.
წარბები ასდი-ჩამოდის,
შუბლიც ეჭმუხვნის კოპებით,
ნაცარქექიავ, რა მოგდის,
იმარჯვე ჰოპლის-ჰოპლებით
თორემ, თუ, წამით აცალე,
თვალ და ხელშუა, იცოდე,
წამწამსაც ამოგაცლიან,
მთას დაგიდგამენ მინდორზე.
იფიქრა და არ ახანა,
დევთ შეუბღვირა ჯიქურად,
მშიერ კაცს რას დამცქერიხართ,
აქ მწარედ ვინცხამ იხუმრა.
„არავის გაუწყვეტია,
მგლის შიშით ცხვარი მთაზედა,"
ჭირი ბევრია,
ამდენი თმაც არ გვაბია თავზედა.
გაძლება უნდა, წვრთნა გვმართებს,
კაჟობა ჩვენივ სულისა,
გზად რა გამოლევს ალმართებს,
ტანჯვებს წრფივ-გადაბმულისად
შიშით, ნუ, თრთიხარ, მორევში
თუ შეხვალ თევზის ჭერადა,
ხერხი იხმარე, მომრევი
ჭირნი შეიქმნენ მღერადა.
სტვირი იმარჯვა, დაუკრა,
ზეცამ დაძენძა სიმები,
დევებს აყარა ქარ-გუნდა,
თოვლი, ხორხოში ცივები.

მერე ძილქუში მოჰგვარა,
მოჰპარა აზრის გორგალი,
უკუღმა დაუტრიალა
მბრუნავ სამყაროს ბორბალი.
თქვენი ჩურჩული მომესმა-
ვინ არის ეს ოხერიო,
ლუკმად არ გვეყოს ჩიორა,
მოდი დავრიოთ ხელიო,
სიყრმე შემირცხვეს, ულვაშიც,
არ შემრჩეს, თუ მე ვსტყუოდე,
ვერ შეგიცვნივართ სტუმარი,
მძიმე ვარ გრდემლის უროზე.
მას გიზამთ, რაც თქვენ ძამიკოს
დღენი ვაყარე ღვთისანი,
მე მთელ სამყაროს ცეცხლით ვძოვ,
თუ ვერ გრძნობთ, აწი მიცანით;
სთქვა და ქადილით ის იყო,
უნდა მსკდარიყო ჭიჭაზე,
– არ ქნაო, ჩემო ძამიკო,
– დევი დაუდგა ყირაზე,
კისერი გამოუწია,
მუხლთ მოყრით ბედსა ევედრა,
არ დაგვღუპოო ბიძია,
ბრძანე, მარადის მე ტყვე ვარ.
ძმათ უბრიალა თვალები,
აქ ვინ ჰბედავსო ურჩობას,
ღვთაებას მიეკრძალენით,
არ გარგებთ ქარაფშუტობა.
ძლიერ შეშინდნენ დევები;
მოხვდნენ ურჩხულის ხახაში,
შეწყვიტეს ტევა-ტევები,
ცეცხლთან არ არგებთ თამაში,
მოდრიკეს მუხლნი მოდრიკეს,
აზრსა მოუხმეს გვიანსა,
გვაპატიეო თოლოგე,
შესთხოვდნენ ნაღვერდლიანსა.
სხვაობა ცის და მიწისა,
ბეცობა-უმეცარობასა,
ჩვენ ვცადეთ აღარ ვიცით რა,
ეფიცებოდნენ ძმობასა.

## ნადიმი დევებთან და ნაცარქექიას ოინები

ნადიმსა ბრძანებს ბელღლა,
თავკაცი დევებისაო,
ბუხარს ხის კეცებს უფიცხვენ,
ჭად მოუხდების ლხინსაო,
სუფრის თავს სვამენ აგუნას,
არ შეირცხვენენ პირსაო,
თავები მოაქვთ მასპინძლებს,
დევთ დედა ტაბლას შლისაო.

აგუნს დიდ კოკა მოართვეს,
ჭურს მოგვიხადე თავიო,
იქვე ორშიმო სახაპედ
დევს, დოუხანდა ხანიო,
წითელი ღვინო მიირთვი,
გინდ თეთრი, გინდაც შავიო,
დახვედრა ვიცით, სტუმრისთვის,
მუდამ, ღია გვაქვს კარიო.



სადა გაქვთ ბარი, ნიჩაფი,
წერაქვი ძალაყინიო,
ჭურს ვიმყოფინებ ამჯერად,
მსურს მოვუთხარო ძირიო,
ბუქ-ბუქობს ნაცარქექია,
ხმაში ჩაუდგა კრინიო,
დევები მეტად გაკვირდნენ,
ღიები დარჩათ პირიო.

ისევ ღვარცოფა წამოდგა,
ჭურს მოუხადა თავიო,
დევსისხლა ღვინო შემოდგა,
სულ ხელმწიფეთა დარიო,
კეცში წაბლისას უფენენ
ნეშოს, არ დასწვას ჭადიო,
სტუმარს პატივი მიაგეს;
კარგად დაბრაწე აგიო.

ჭადი რომ გადმოაბრუნა;
ვოი, და აგუნას ბრალიო,
კეცი მუცელზე დაბრუნდა,
რა, ეშველება აწიო.
ვითომც მუცელი ასტკივდა,
ასეთ იხმარა ფანდიო,
დასჭყივლა,-ჩქარა ამართვით,-
თქვენი ნათალი ბრანწიო.
აართვეს, მოუბოდიშეს,
ირმის მწვადს სთავაზობენა,
ნემსის ყუნწში კი ძვრებიან
ლიბრი რამ ეკვრით გონზედა,
ყანწებით სცლიან სასმისებს,
შიგ-შიგ სმურებსაც იტყვიან,
ღვინო კაცს ხალისს ანიჭებს,
ნადიმთ ქმნა საღვთო ნიჭია.
ხორხოცით არეს იკლებენ,
დროს აქარვებენ ლხინობით,
ლხინი კაცს ვარამს ავიწყებს,
სულთ მზე ეძლევათ ღვინოთი.

გაერთნენ;.... ჩვენი სტუმარი
გადაავიწყდათ კიდევაც,
ღვარცოფამ ცუდად იხუმრა,
მუზამ კი დააცხიკინა.
ჰაერის ჭავლმა აგუნა
ჭერის თავხეზე მიასო,
გმირმა ნირი არ იცვალა,
უღრენს, ვით ძაღლი ციცასო,
დატევით ეტყვის; – უზრდელნო, –
ვით, ბედავთ ცხვირის ცემასა,
ხელში რომ წკეპლა მიჭირავს
ამით დაგიწყებთ ბეგვასა.
რას ამბობ, შენი ჭირიმე,
თავხე რავაა წკეპლაო,
ცხრა ძმამ ძლივს შევდგით თავანზე,
კოპალაც მხარში გვედგაო,
ნუ გაგვიწყრები, გენუკვით,
ნადიმს ნუ გვიქცევ შხამადა,
შევირგოთ ღვთივ ბოძებული
ღვინო-პურობის ბარაქა.



# კიდევ ერთხელ დევთაგან ნაცარქექიას გამოცდა. ნაცარქექიასაგან დევთა შებრალება

სრული ქაოსით მოცულნი,
დევნი მალ გონ-გონს მოეგნენ,
შესცქერენ ნაცარქექიას,
შიშითა ბორი-ბორობენ.
უცებ, მჭედლობის მაგებსა
გონში შეუჯდათ ჭიები,
აგუნ თუ, ღვთისაშველია
მო, გამოვცადოთ ჭირვებით;
ცეცხლის ქურაში ჩავაგდოთ,
ვნახოთ, რავარი ბიჭია,
რასაც ქადილობს, გამოჩნდის,
კაცს გვაცნობს გასაჭირია.
ნაცარქექიას დევ-ქაჯნი
სამჭედლოს ქურას დებენო,
გმირი ქურაში იწრთობა,
არ უფრთხის ცეცხლის ენებსო,
ქურიდან ამოფრინდება,
ქორის მოისხამს ფრთებსაო,
დაჯდება თეთრსა ქვაზედა,
ნათლით ედარვის მზესაო,
შვიდ ქვასთან, შვიდ მაგიდასთან
დალი სჩანს გონის მქსოველი,
იგი ქსოვს ცეცხლსა მითიურს,
ვით ბროლი, გმირის მშობელი.
დევნი კვირობენ, სიოცით
სახე ელრიჯვით მრუდედა,
რა, საოცრება იხილეს –
– ჟამნ ცუდად დაურუნდებათ;
სცესა თაყვანი ღვთაებას,
გადიქცნენ კატის კნუტადა,
მიხვდნენ; შეიცნეს მესია
აწ, მათდა დასაბუგადა.
მუხლ მოიყარეს, ევედრნენ,
ჩოქვით დახარეს თავები,
ნუ, დაგვხოცავო ცოდვილებს,
შენს მუხლებს ვენაცვალებით.
აგუნას გული მოულბა,
რამ საფიქრალი ეწვია;
მორიგე ღმერთსა მახვეწრად
ეწვევა, გმირთა წესია;
დამარცხებულ მტრის დანდობა,
ცოდვანის მიტევებითა,
სიოცით დევნი დასტოვა,
მძებნარს შავეთას გზებისა.
სიმურს-ღვთაებას მიადგა
დროთ მორევებში მძირავსა,
უთხრა;-ტულეპას მახვედრე-
კვირას შამყაროს მგრგვინავსა;
მორიგე ღმერთის მოკარვეს,
ნაცისკრად ამომბრწყინავსა,
დიდსა ხმელეთის მოურავს,
ღვთისშვილთა დასაფიცარსა.
სიმურ მდინარე მოჰღმუის,
გასცქერს ტბორების დენასა,
უკიდეგანო რამა სჩანს;
უძიროს, უკარებასა.
იქავ, სჩანს უტყვი მენავე,
თვალთა შავბნელი ხვრელებით,
უსახო, ქვეშ-ქვეშ მხედვარე,
ქარს მოსისინე გველებით.
ქაჯავეთს მივალ ძმობილო!-
– აგუნ შესძახებს გონჯასა,
ის უჩუმარე ნავს მართავს,
მარჯვედ ფლობს ნიჩაფთ მოსმასა,
ესრევ, უჩუმარ გაიყვანს,
ხელს არ მოჰკიდებს ფარასა,
არც მოსვლის ამბავს მოჰკითხავს,
არც, დაულოცავს შარასა.
აგუნს აკვირვებს ყოველი...
და ნაპირთ უდაბურება,
სამყარო-ჩვენი მშობელი-
სხვა ამბით გვებუბუნება.
რას ნიშნავს, ნეტავ ყოველი,
რა ჰგიებს ხაროს ბნელასა,
თუ, არ სჩანს დამამხობელი,
მაშ, ენდოს ბედისწერასა,-
-იფიქრა, აზრნი იკრიბა,
მზად არს, გასწიროს თავია,
-ნუ, შფოთავ! ძმაო, ძმისთვინა
მეც შენსკენ მომიჩქარია,-
-ამ შეძახილმა შეაკრთო,
ხმისკენ იბრუნა პირია
რას ხედავს, როგორ შეაქოს,
ტულეფ დგას, გასაკვირიად,
მელა-ტულეფი, შავეთის
ღმერთი, შეკრული გრძნობითა,
აზრი, მის აზრთან შეერთდის,
აგუნ, თვის ზრახვანს ეტყვისა;
-მოვსულვარ, დიდო მეუფევ!-
გკადრო, რაც გულში მიდულსა,
შამრიგედ მექმენ უფალთან,
დევთ ნუ გასწყვიტავს, ულირსთა,
მხოლოდ გალანდოს, აქციოს
მოარულ ჩრდილთა სულებად,
სრულად არ ჩამოაქციოს
დევთა ნაგები ბუნება.
ტულეფა ისმენს აზრიან
ნაფიქრს-თანხმობის გრძნობისას,



თანხმობას აძლევს აგუნას,
ძმობა სჯობია მტრობასა.
მოკვდინებ-გაცოცხლებისა
ღვთაება უმზერს ხევებსა,
ღრმა აზრით ართავს ფიქრებსა,
მგზნებარეს, გამახელებსა
შუამავლობას გაუწევს
მორიგე ღმერთთან, უცილოდ,
დევნი ლანდობით დასაჯონ;
უწყლოდ, უცაოდ, უმიწოდ,
აქციონ, ღამის-ღამობით
ხევ-ხუვ მოარულ ჩრდილებად,
კაცთა აროდეს არ ავნონ,
აცალონ გამოცდილება.
დასთქვეს, ერთურთი შესწონეს;
შეხვდნენ მოკარვე კვირიას,
მორიგე ღმერთსა აუწყონ,
აგუნას დანაპირია.
ტულეფ შეხვდება დევთ ბელადს
მუზას, გადასცეს ნებანი
რასაც გადასწყვეტს მორიგე,
შამწყალეს უძლვნან ქებანი.
ისევე, მღვრიე მდინარე,
უდაბურ შემოგარენით,
გონჯი და უტყვი მენავე,
ბნელი-უთქმელის თვალებით,
გამოღმა გამოანავებს
აგუნს უბრად და განქრება,
სულღუმი დარანფრთიანი
თვის მეგობართან გაჩნდება,
ზეაიტაცებს ქვესკნელით,
დღე-მზიანეთის მხარესა,
შაჰყივლებს საზეიმოსა,
შორს გადადენის ქარებსა.
გამოფხიზლდება აგუნა
ხილვათგან „მკვდარში გართული,"
სული კვლავ სხეულს შეერწყმის,
ბუხრის წინ შემოკვართული.
მელიმა საქმე გაჩარხა;
შიბით ავიდნენ ცამდინა,
კვირა გაოცდის, გასწყრისა,
დევთ შეწყალების ამბითა.
აგუნა ენამზიანობს
ლაქარდიანის ენითა;
გავლანდოთაო დევები,
გამიწვრილების წესითა.
კვირია ნასისკრიანი
მოელის ცისკრის განხმასა,
მკვრივი ცა გადაიხსნება,
მორიგ მოდგება კართასა;
საბრძანისს გამობრძანდება,
სამყაროს ცეცხლით მჭედელი,
ბროლის თავები ენთება
და მთაგრეხილთა ბეჭები.
აგუნ მადლს სწირავს ღვთაებას,
მხურვალედ, ხელაბყრობილი,
სამ დღესა ცეცხლში ნაწრთობი
და ანგელოზად შობილი.
კვირია ჩოქვით წარსდგება,
ჰკადრებს მორიგეს სიტყვასა;
– ტულეპამ აგუნ გვაახლა,
ვუსმინოთ, რაიდ სტირისა?
ნალვერდლიანმაც ამოსთქვა;
დევთ მიტევ-შებრალებისა,
მათ ღვაწლი დედამიწაზედ
ღირსი არს ქებათ-ქებისა,
სრულ ნუ, გავსწყვიტავთ, დავინდოთ,
სასჯელ რამ დავუწესოთო,
მათაც ხომ ჰქონდათ კაი დრო,
აწ, წყეულ იქმნენ ბედითო,
ჭმუნავს მორიგე, ღელავენ
ზღვანი, ქარ-ბორბალ ქროლვებით,
სულღუმნი დაფრაფრაშობენ,
ცას გაჰყივიან ქორები,
დიად განსაცდელს უმზადებს
მნათი, აზრს შენაბრძოლები,
მის ნებას ვერვინ გადუვალს,
ბედსა სჭედს, ბედთა მდნობელი.
ბრძანა: – ეკრძალვით აწი დევთ
ხმელთ ზეპირ სიარულიო,
გალანდნენ, გამიწვრილებით
შეიქმნენ მოარულიო,
კაცთ არა ავნონ, მიდღემში,
კარგა ხნით იყვნენ კრულნიო,
ღამ-ღამით ბნელსა ხევებში
დასჩემდეთ სიარულიო.
წადით და დევებს აუწყეთ;
ესე, განზრახვა ღვთაების,
რაც სთესეს იმას იმკიან,
იარონ ტანჯვა-ვაებით,
არსი ტანჯვაში შეიცვნის,
თვითაც შეიცნონ თავები,
დრონ წავლენ, დრონი გვეტყვიან,
შენდობას, დაუმცდარები.
სთქვა და ნისლები იბურა,
იისფერს შეჰყვა მლვიმეში,
მზე მოსკდა ცისკარს იქიდან
და გადასხივდა მთიებში.
კვირას მადლი სძლვნეს ძმობილთა,
დასტოვეს ცისკრის კარავი,
უხილავ შიბით დაეშვნენ
ხმელზე, ვით ქარის-ქარანი.
ახალგორს შეკრებილიყვნენ;
მუზა, ბეღელა, ღვარცოფა,
ტულეფას ელოდებოდნენ,
(ღვთაებამ ვინ-სით გაგვწონა),



მელაიც მალე ეწვიათ,
სახე მიიღო დევისა,
-დაივიწყეთო მზეწვია,
ლანდურებს ემსგავსენითა.
დაგინდოთ დიდმა მორიგემ,
კვირამ ამტკიცა კვერითა,
აგუნ დაგიდგათ შემრიგედ,
ნაწილიანის ბეჭითა,
ხანი გამოვა, შეგინდობთ;
თქვენს უცხოდ მოღორებასა,
აწ გამიწვრილდით, შეგირდნო!

მადლს სძლვნიდეთ შემცოდებელსა.
ღამ-ღამ მოარულ იარეთ
ხევ-ხუვებს, ჯღრდეთ და მღვიმეთა,
იფიქრეთ, ბევრი იფიქრეთ,
მყობადს გიტოვებთ, იმედად.
ამოიხვნეშეს დევებმა,
სულთქმამ ამსხვრია ლოდები,
ამოსქდა ქარიშხალები,
კლდე-ტინთა გადაქროლებით;
იმსჯელეს, ბევრიც ილაყბეს
საფიხვნოს, მდუმრად მზირები,
თვალნით ცრემლი არ სდიოდათ,
გულს იყვნენ ანატირები,
სამუდმოდ უნდა გასცლოდნენ
სამკვიდროს სოფლის გზირები,
კლდეთ სისხლი ჩამოსდიოდათ,
იმდუღრებოდნენ ტინები.
გალანდნენ; იქცნენ ჩრდილებად,
არსობა მისცეს მითებსა,
სამყარომ თვალნი დახუჭა,
ზეცა დაუთმო მთიებსა,
მას მერე დრონი მოიქცნენ,
ვინ სთვალოს დროთა დინება,
ლანდად ქცეული დევების
დასრულდა არსთა კნინება,
ხევ-ხუვ ღრანტეებს მოედვნენ,
ბნელს დასხდნენ განადიმებად,
ღამის კურუმში ჩნდებიან,
დღეთ ჰრიყეს, განაპირებად.
თან ახლავთ ბუთა კრუსუნი,
ჭოტთა გაბმული კვნესანი,
ვარსკვლავთა შორი ციმციმი,
მგელთა მთვარესთან ყეფანი,
ქვათა მდუმარე ღაღადი,
წყალთა ლოდებთან რბენანი,
ცხოვრება დაგვცემს, დაგბეგვავს,
ვით კვიცი გაუხედნავი.
ლანდებრ მავალნი დევები,
მხოლოდღა ღამით ჩნდებიან,
კაცთ თუ, სადმ გადაეყარნენ,
გარბიან, ემალებიან,
მაქციანობენ შიგდაშიგ;
ტურა-მგლად გადიქცევიან,
ჭეჭეთობისას ტაბაკონს
როკაპთან იკრიბებიან...
თუ მოხდა მოუხდენელი;
დევთ კვლავ ეღირსათ ზეობა,
თუ, სულით ისევ ამაღლდნენ,
თუ, იგრძნეს მზეთა-მზეობა,
თუ, ისევ იქცნენ სინათლის
მაშუქად, მაუწყებელად,
კვლავ დაულოცავს უფალი,
ღამის გარდაცვლას-დღეობად!

# ეპილოგი

ვინ საით წავალთ, ვინ იცის,
ან აქეთ მოვალთ, როდისა?
მორცხვად მომზირალ იამზეს
არ ეშინიან ყოფისა,
მრავალი საუკუნენი
გადაკეტილან მდუმარედ,
ჩვენაც ვიყავით ამ სოფლად,
ცა-ხმელით მოვისტუმარეთ,
კიდევ მრავალი დრო მოვა,
მრავალ სივრცეთა დინება,
ზღაპრისა იდუმალება
სხვა კუთხით მოგვევლინება,
გმირები ოქროსთმიანნი,
გმირები რკინის მკვნეტელნი,
მზე-დილა ლაჟვარდ-ღვთიანი,
სკვნელი ზეცა და ქვესკნელი,
სულები გარდასულები
სხვა სახით წარმოსდგებიან,
სხვა მზეთა სასწაულებზე
სხვა ზღაპრებს მოგვიყვებიან,
ბავშვნი დიდრონი თვალებით
ბუხრის წინ ჩამოჯდებიან,
მოარულ დევებს გასძახებს
აგუნა-ნაცარქექია.
ის მარად ჩვენში მოვალის,
ვით სულიერი საწყისი,
ნაცრისა მარად მჩხრეკელი,
მძებნელი განამარხისის,
წამიდან-წამში მხტომარე,
ჟამიდან-ჟამში მავალი,
ყოვლიერისა მოყვარე,
ცის შიბით ჩამომავალი,
შემტყობი სივრცის რაობის,
ფიქრთ მდინარების წყობაზე,
რაის და არარაობის
დროთა მედინად შფოთვაზე,
მჩხიბავი ბულაურების,
განგების ყისმათ-ბედისა,
მრავალსახება ბუნების,
ვით ჰანგი შემოქმედია;
თუ, რა მოგველის ამ სოფლად,
რა ტანჯვა, რა სიხარული,
სიცოცხლეს როგორ გავუძლოთ...
რა ყოფით, რა სასწაულით...?
თავდება თხრობა ამბისა
და არა თავად ამბავი,
ჩვენში შემოდის ოცნება,
ფიქრთა და აზრთა მქარგავი,
ტრიალებს ბედის ბორბალი,
სოფელი კაცათა სწირავსა,
ყოვლთა დიადი მშობელი
კაცთ ჰშველის, კაცთა მღვიძართა;
შემწედ ღვთისშვილებს მოუვლენს,
მოყმეთა დასაფიცარსა,
ცას სილაჟვარდე უხდება,
ყვავილნი გამზრდელ მიწასა,
ფარ-ხმალი მხარკვერიანსა,
ვაჟას, ჭირთ-ჭირზე მშფოთვარსა,
რკინას ცეცხლითა გაჭედილს
ხშირად, უხმობენ ბრძოლადა,
არ დაილევის დუშმანი,
არ გადიქცევის ბროლადა,
ფოლადი პიროფლიანი,
სისხლის ნისლებით ბოლავსა,
გმირს გულში უძევს რკინება,
ხელთ გულადობის ფარია,
წინგადადგმულის ნაბიჯით
კვლავ, უგრძელდების ხმალია,
კვლავ, ჟლეტავს ბოროტ საწყისებს;
გულში მაინც აქვს ბრალია,
ღმერთავ, ამ განსაცდელისთვის
რად, მომეც ცოდო-ბრალია.
ნეტავის ამიყვავილდეს
გულზედ კენკეშას გუნდები,
დამიძახებდნენ საშველად,
ზღაპრით კვლავ დაგიბრუნდებით.
ასე ილოცდა აგუნა,
ხმობილი ნაცარქექიად,
ჭირი იქ, ლხინი აქანა,
ღვინო, პური და ქერია,
ჭიტა-ჭიტინა შვილები,
შინა და თბილი კერია,
სულ ალვად გამოზრდილები,
ქორი და შევარდენია,
ცა-მიწის მადლის მლოცველნი,
ცეცხლ-ჰაერისა მგელნია,
წინაპართ ანდერზთ მცოდნენი,
არ მმონნი, ბედით მცდელნია,
ყოველნას შენივთებულნი
და სიყვარულით შობილნი,
სამყაროს გადარჩენისთვის
ზღაპრიდან გამოხმობილნი,
გმირნი შობილნი ცეცხლისგან,
ძენი ბროლ-ქანდაკ დალისა,
დიდ ღვთაებათა გენისა
და იმედები ხვალისა.

# პროზა



**რევაზ მიშველაძე**

## ნამუსის ქუდი

ყვავილების მაღაზიის კუთხეში ობობასავით მიყუჩებულმა მესაათემ დარაბები რომ ჩამოუშ-ვა, ნოე კაკაბაძემაც აალაგა თავისი „დუქანი“ – სკამი დაკეცა და სპორტლოტოს ყუთი იღლიაში ამოიჩარა.

– რა ჰქენი? – უხალისოდ ჰკითხა მესაათემ, ყუთი ჩამოართვა და მიწისძვრაში მოხვედრილი-ვით დალეწილი კარადის ხახაში შეაგდო.

არ ყიდულობენ, აღარ უნდა ხალხს. აღარც შენი ლოტო უნდათ და აღარც ლატარია. უწინ გეგმას მაინც ასრულებდი. ახლა ესეც აღარაა. არ გეთამაშება ის კაცი. არ ლატარიობს შენთან და ძალაა?!

მესაათემ ხმა აღარ გაიღო. ამ ბოლო დროს სპორტლოტოს ბილეთების გამყიდველი ნოე კა-კაბაძე წუწუნს მიეჩვია.

– მთელი დღე ხომ აქ ვიყინები, სახლში მივალ და მერე იქ მელის ერთი პანაშვიდი.

– რავა?

– გამწარებული იქნება ჩემი დედაბარი. შინ თუ შემიშვა, ალარაფერს დავეძებ. ისე კი არ ვამტყუვნებ, რავარი დასაჯდომია ცივ ლუმეთლან დილიდან საღამომდე.

– რატომ?!

– არ მომიტანა. ეს მეშვიდედ მომატყუა პარმენია თავსივამ. ორი კვირაა შეშას ვეხვეწები, თუ არ მოგაქვს, რას მპირდები, შე კაი კაცო. ტყვილად ხომ არ მინდა, ფულს გაძლევ ეს ოხერი და მუდრეგი-მეთქი.

– შეშის იმედზე ხარ კიდევ, ნოე? – დაინტერესდა მესაათე, – ვინღა ხმარობს შეშას ახლა, შე მამაგანათლებულო?

– რა ვქნა, აბა. ქვანახშირს ვერ მივეჩვიე, სუნი აქვს, იმ ოხერს. რაღა სიცივეს მოვუკლივარ და რაღა გაზს გამოვუხუთივარ.

– ნავთის?

– ნავთის ღუმელზე ამბობენ, არა უშავსო, მარა, ჯერ ერთი, – არ იშოვება არსად და მეორეც, – მეშინია რაღაცა. კატუშას ამბავი არ იცი? ზეზეულად სძინავს ხანდახან ცხენივით, რომ ჩაკიდოს თავი და გამომეწვას ეს ბებერი ქალი თაგვივით სახლში, სირცხვილს სად წავუვალ, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებო.

ვერც ამ მუსაიფში იპოვა რამე ჭკუისთვის სახეირო მესაათემ, კარს ურდული დაადო და მესპორტლოტოე ქუჩას შეატოვა.

ცივი, უგემური ამინდი იყო.

ისე თეთრად და გრძლად ცრიდა, რომ ვერ გაიგებდი – თოვდა თუ წვიმდა.

ცა რუხ-შავი ღრუბლებით ისე იყო თავიდან ბოლომე ამოლესილი, რომ იფიქრებდით, მზე ამ წელიწადში გამომხედავი არ არისო.

ქუჩისპირა კედლები ცხენიანი კაცის სიმაღლეზე საიმედოდ იყო დამბალ-დანესტიანებული, ლეყეპი და ხავსი მოდებოდა ჭიშკრებს და ეზოებს.

სოკოებივით ჩანდნენ ქუჩაში თავზე ქოლგაჩამომხობილი, მობუზული მგზავრები.

კარგა ხანს იდგა ნოე გაჩერებასთან. ორჯერ ჩამოიარა ავტობუსმა და არც ერთხელ რომ არ გაჩერდა, დაასკვნა: სულ ერთია, აქ კაცი ვერ ჩაჯდება, სტალინის მოედანზე გავალ და იქ უფრო თავისუფლად ვიშოვი ადგილსო, ყურებზე ომიდან ჩამოყოლილი დაბამბული ქუდი ჩამოიფხატა და ოპერის თეატრის წინ გზა გადაჭრა.

ნოე კაკაბაძე წელში მოხრილი, კაფანდარა მოხუცი იყო. წვეტიანი გრძელი ცხვირი მზიან ამინდშიც სულ მოწითლებული და მოსველებული ჰქონდა. ბრტყელტერფასავით განგან დგამდა ფეხებს და შორიდან რომ შეგეხედათ, გეგონებოდათ, ამ კაცს ორზე მეტი ფეხი აქვსო.

განუყრელი მოლურჯო მოსასხამი ისე მორგებული და ჩამომდნარი ჰქონდა ბეჭებზე, იფიქრებდით, ამ ტანსაცმელს ლოგინშიც არ იცილებსო.

ნაფრონტალ ქუდს ვარსკვლავი კარგა ხნის წინ აძრო, მაგრამ გამოხუნებულ ქსოვილს ხუთქიმიანი ანაბეჭდი უფრო ეტყობოდა.

თეატრის გვერით, პარკის კოლონებთან შეჯგუფულ ხალხს მოჰკრა თვალი და იქით გადაუხვია.

ხარხარ-ღორღოცი რომ მოესმა, აპამპულავებენ ალბათ ვიღაცასო, გაიფიქრა და უკან დაბრუნება დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და მოზრიალე ბრბოს შეერია.

ამ ქალაქისათვის უჩვეულო და გაუგონარი რამ არც ახლა ხდებოდა. ლერი იოსებაშვილისთვის ქუდი წაერთმიათ და მეძველმანის თავნესვა ბიჭი სამ „მწვალებელს“ შორის ბუზღუნითა და ხვეწნით მიმოდიოდა.

უცნობები არც ისინი იყვნენ. ხარლამპია გოგავას, მურთაზ ცუცქირიძეს და კიჭია უზანეიშვილს მთელი ქალაქი იცნობდა. ნოეს შეტყობით, ლერის ქუდით მოთამაშენი შეზარხოშებულები უნდა ყოფილიყვნენ.

– მომეცი, კიჭია, ჩემი ქუდი! – ლერი იოსებაშვილი სიცივისგან აკანკალებული, გასავათებული იდგა ორმოცდახუთიოდე წლის კაცის წინ, რომელსაც შავი, ხელოვნური კრაველისაგან შეკერილი ბოხოხი ეჭირა და უაზროდ იცინოდა.

კიჭიას ყავისფერი ტყავის სერთუკი ეცვა. შავი, სქელი წარბები და ქვემოთ ჩამოვარცხნილი შეთხელებული ჭაღარა თმა ორ ადგილას გაჩეხილ შუბლს უფარავდა. საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანისა იყო. მსხვილი კისერი და ბზიკის ნაკბენივით დასიებული, წყალმანკიანივით მოყვითალო სახე ჰქონდა. უფერული, მსხვილი ტუჩებიდან დროდადრო საზარლად გამოაჩენდა ხალვათად ჩალაგებულ, თოხივით შავყვითელ კბილებს.

ბოხოხის პატრონიც არ იყო მთლად ბავშვი, მაგრამ ასაკი, ჭკუაზე რომ არაფერი ვთქვათ, საბერველივით დაბერილ თეთრყირმიზ ლოყებზეც არ ეტყობოდა. სიმსუქნე ისე მორეოდა, რომ ფეხსაცმლის თასმებს სხვის დაუხმარებლად კარგ ნიძლავზეც ვერ შეიკრავდა. იმოდენა ღაბაბი ედგა ნიკაპს ქვემოთ, რომ პერანგის მეოთხე ღილს თუ დახედავდა, თორემ პირველი სამი ღილის დანახვა მისთვის შეუძლეელი რამ იყო.

– მომეცი, კიჭია, ქუდი! – წაიწია ლერი, მაგრამ კიჭიამ ბოხოხი თავს ზემოდან აიქნია და შადრევნის კიბეზე შემდგარ მურთაზ ცუცქირიძეს ესროლა.

ლერი ახლა მურთაზისკენ წავიდა.

– გეყოფათ ახლა, მურთაზ ბიძია, მომეცი ქუდი!

– რომელი ბიძაშენი მე ვარ, ლერიკონა მუდუ, სამი წლით ხარ ჩემზე უფროსი. – დაიღრიჯა მურთაზი და ბოხოხი საჩვენებელ თითზე დაატრიალა.

– მომეცი ჩემი ქუდი! – ბუტბუტებდა ლერი.

– რად გინდა ქუდი? – ჰკითხა საცოდავ ბიჭს ვიღაცამ.

ნოემ ხმა ვერ იცნო. შეკითხვის მიმცემი უკანა რიგში იდგა.

– მცივა თავზე. – განმარტა ლერიმ.

– მიეცი, მურთაზია, ტვინი არ გოუცივდეს, თვარა დაიღუპა ქვეყანა. – სვეტს მიყრდნობილმა ხარლამპია გოგავამ დაიძახა.

– ჩემნაირი გამოგეზარდა შვილი, – დალოცა ხარლამპი ბოხოხის პატრონმა. – მომეცი, მურთაზია, ქუდი!

– უთხარი, ბიჭო სად შეაკერინე და მოგცემს. – ურჩია კიჭია უჩანეიშვილმა.

– არ მომიპარავს, ლიას გეფიცები, ბაბაიამ მიყიდა.

– ლია ვინაა, ბიჭო? – დაინტერესდა მურთაზი.

– არ იცი, ვითომ. – თავი გვერდზე შეაბრუნა და მორცხვად ჩაიცინე ლერიმ.

–კიდო გიყვარს ლია, ლერიკო? – ძალად დასერიოზულდა ხარლამპი.

– კიე, – ამოიხვნეშა ლერიმ.

– რომ გათხოვდა, მაინც გიყვარს?

– მიატოვებს ახლა მალე ქმარს და ჩემთან მოვა. – ღრმა რწმენით თქვა უბედურმა ბიჭმა.

ბრბო ახარხარდა.

– როდის მივატოვებო, რა თქვა? – სიცილისაგან ცრემლს ძლივს იკავებდა კიჭია.

– უშაფათო კვირეში. მომეცი, მურთაზია, ქუდი თვარა, წავალ ასე სახლში და ნახე მერე შენ! – დაემუქრა ქუდის წამრთმევს ლერი.

სელაპს რომ თავზე სქელი, უხეში თმა ჰქონდეს, მურთაზ ცუცქირიძის ტყუპისცალი გეგონებოდათ. სელაპის პირი ხომ გინახავთ, ზუსტად ისეთი პირი ჰქონდა და ხმაც სელაპს მიუგავდა. მაღალი იყო, უწარბო, წაქისფერი თვალები ისე ბოროტად უელავდა, მსახიობი რომ ყოფილიყო, განგსტერების და სამშობლოს გამყიდველების როლებს არ მოაცილებდნენ.

აბლავლებული ლერი იოსებაშვილი წრეს მიაწყდა, მაგრამ გააკავეს.

– ჰა, კარგი, წაიღე! – უთხრა მურთაზმა და ქუდი გაუწოდა.

– არ მომცემ შენ, მატყუებ. – მუშტით შეიმშრალა ცრემლი სისხლგამშრალმა.

– არ გატყუებ, ჰა, წაიღე, დამელალა ხელი, – სთხოვა ცუცქირიძემ.

გახარებული ბიჭი ხელებში ეცა, მაგრამ ველარ მოასწრო, ბოხოხი ხარლამპისკენ გაფრინდა.

– მომეცი ჩემი ქუდი! – სასოწარკვეთით იყვირა იმედდაკარგულმა ბიჭმა.

– გადაშენდი იქით. ნუ გააწყალე გული, თვარა გაგაყოფიებ იმ რკინებში თავს. – ღობე დაანახა მურთაზმა. – მე მაქვს შენი ქუდი? გაიგე, ვისა აქვს და იმას ელრიჯე.

ლერიმ ხარლამპს გახედა და თვალის დახამხახებაში მასთან მიბლაყუნებდა.

– მომეცი, ხარლამპია, ქუდი!

– რომელი ქუდი? – მზრუნველი კაცის იერით ჰკითხა ხარლამპმა.

– რომელიცხა გიკავია ხელში, – არ დაიბნა ლერი.

– შენია მერე ეს ქუდი?

– ჩემია, აბა, შენია?

– რაზე ატყობ?

– სიფართეზე, – წამოეშველა ლერის ვიღაც. – მაგხელა თავი სოფრომაძის ბულდოგსაც არა აქვს.

ისევ გაირბინა სიცილმა სვეტებს შორის.

– ცხელია ეს ბოხოხი ნამეტანი, შენ არ გამოგადგება, თავს გაგიხურებს. – ურჩია ხარლამპმა.

ხარლამპ გოგავას წითურ ტურას ეძახდნენ. მსუქანი და დაბალი იყო. ნაყვავილარი, ჩოფურა

სახე და წვრილი, თაფლისფერი, ერთმანეთს ზომაზე მეტად დაშორებული თვალები ჰქონდა. გატეხილი, ბრტყელი ცხვირი ძლივს აჩნდა სახეზე. ღიპზე შემოწკეპილი მეზღვაურის მაისურს ნეილონის ქურქი უფარავდა. ჯინსის უკანა ჯიბეში სანახევროდ ამოწეული „პრიმა" უჩანდა.

– მომეცი, ხარლამპია, ჩემი ქუდი, კაცი არა ხარ? – შეევედრა ლერი.

– სად გიყვარს ლია გვითხარი და მოგცემთ, – უთხრა ხარლამპა და ასეთი ულტიმატუმი წაუყენა.

– აქანა! – სახე გაებადრა ბოხოხის პატრონს და ყელზე მოიკიდა ხელი.

– იმას სად უყვარხარ?! – ჰკითხა კიჟიამ.

– გულში, – საერთოდ, როცა ლიაზე ლაპარაკობდა, ლერის გასაოცრად სერიოზული და ჭკვიანური გამომეტყველება ჰქონდა.

– თუ ნახულობ, რაც გათხოვდა მის შემდეგ? –ჩაერია მურთაზი.

– კიე.

– სად ნახულობ?

– სიზმარში.

– სიზმარში გითხრა, ქმარს ვშორდებიო?

– კიე.

სეირის მაყურებელთა ღრიანცელი მუზეუმის ფანჯრებს მიაწყდა და საფიჩხიის აღმართზე გაიშალა.

ლერიმ ქუდის დაბრუნების უფრო აქტიურ მეთოდს მიმართა, გადაწყვიტა, ქუდი წაერთმია ხარლამპისთვის, მარამ გოგავა ისე ოსტატურად უცვლიდა ბოხოხს ადგილს, ისე სწრაფად გადაჰქონდა ხელიდან ხელში, რომ იოსებაშვლის დათვური ბაჯბაჯი და უშედეგო კონწიალი სიცილის მეტს არაფერს იწვევდა.

უეცრად წრეში ვილაც შევარდა. ხარლამპს ბოხოხიანი ხელი დაუჭირა, ძირს დააწევინა და მკაცრად აუწყა:

– მიეცი ახლავე ქუდი, შენ გელაპარაკები!

ხარლამპა გადაწყვეტილების მიღება ვერც კი მოასწრო, ნებით თუ ძალით დაშვებულ ხელში ლერი ეცა, ქუდი გამოგლიჯა და გაუჩინარდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

გაოგნებული გოგავა შემოტრიალდა, რათა არამკითხე ჩამრევისთვის ჭკუა ესწავლებინა, მაგრამ მის წინ სიბრაზისგან აკანკალებული ჩია მოხუცი რომ დაინახა, გესლიანად ჩაიცინა და ჩაილაპარაკა:

– ნოე ბატონო, შენ ხარ? რა შეგვაშინე, შე კაცო!

და როდესაც ნოე წასასვლელად გატრიალდა, ხარლამპა თვალის დახამხამებაში ააძრო ქუდი თავიდან და კიჟიას ესროლა.

ამას კი აღარ ელოდა ნოე კაკაბაძე. თითქოს ვილაცამ ყელში წაუჭირაო, სული ველარ მოითქვა, ასი ფუთი ქვა დააწვა გულზე და წელში გაიდრიკა. ყურებმა შუილი დაუწყო და თვალებზე მრუმე, ნისლიანი სიბლანტე აეფარა.

უკანდახევა გვიან იყო.

იგი წრეში იდგა და თუ რამეს არ იღონებდა, სულ მალე ჩავარდებოდა ლერი იოსებაშვილის დღეში.

ცოტა ხანს გაჩერდა, იქნებ ამდენ ხალხში ერთი ქომაგი მაინც გამომიჩნდესო, მაგრამ „შესანიშნავ სამეულთან" ურთიერთობის გამწვავებას ვერავინ ბედავდა.

ნოემ შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა და კიჟიას მიუახლოვდა.

–კიჟია, პატარა ჭკუას ჩახედე, ნუ აყვები იმ ხვადაგს (ხარლამპისკენ გაიშვირა ხელი), არ ვარ თქვენი ტოლი მე.

– ჩემთან რა გინდა, ნოე ბიძია? – მეჩხერი კბილები გადმოეყარა და გულისამრევად ხითხითებდა კიჟია.

–მომეცი ჩემი ქუდი. ნუ აგლახავებ ჩემზე ამ ხალხს, არ ვარ მე შენგან მაგის ღირსი.

– მე წაგართვი ქუდი?ვინცხამ წაგართვა, იმას მოკითხე. შენ რომ რამე ჩაგაბაროს კაცმა, მი-

ცემ სხვას?

ამასობაში ნოე თანდათან უფრო უახლოვდებოდა კიჭიას და როცა გაიფიქრა, ახლა კი მივწვდები ქუდს და წავართმევო, კიჭიამ მშვიდად მოისროლა ქუდი მურთაზისკენ და ნახტომგაცუდებულ, ხელებგაშვერილ ნოეს ხმამაღლა ჰკითხა:

– რას შვრები, ნოე ბიძია, ლოცულობ?

– შენც ამგენის ჭკუის ხარ, მურთაზ?

ახლა ნოე მურთაზ ცუცქირიძესთან ეძებდა გზებს.

– არა, მე უფრო ჭკვიანი ვარ ამგენზე. – გაიცინა სელაპადაიანმა და ბრბოდან რამდენიმე სუსტი ნერვების პატრონიც აიყოლია.

– არ ისროლო, გელაპარაკები, მომეცი ჩემი ქუდი!

მურთაზმა ქუდი ხელში შეატრიალა.

– ვარსკვლავი გასარემონტებლად ხომ არ მიგიტანია?!

ნოემ იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, მაგრამ სეირის მოყვარულთა ყოველი ახარხარება ხანჯალივით ესობოდა გულმუცელში.

– მომეცი ქუდი, გირჩევნია!

– რეჰანით რომ გამოგიგზავნო დილას, არ მიიღებ? – ვითომ გაიხუმრა მურთაზ ცუცქირიძემ.

– ერთხელ მაინც იყავი კაცი, შე საწყალო! – ხმა აუკანკალდა მოხუცს. – რა გინდა ამ ძველ ბიჭებს რომ ეტორლიალები. ვინ ხარ, ვინ გამოგგზავნა, ვის ადგილზე ხარ, რას იბოხებ ხმას, ხომ ხედავ, არ გიხდება ძველბიჭობიას თამაში.

– მე დამანებე, ბატონო, თავი. მე წაგართვი ქუდი, ა?! ელაპარაკე. არ გინდა ჩემთან მასეთი ლაპარაკი, მე არავის არაფერს ვუშავებ. ჩემთვის ვარ, ნუ დამაჯექით ყველა თავზე. – მურთაზის ხმაში სასოწარკვეთის სიმი აჟღერდა.

ნოე ამასობაში ხარლამპია გოგავას დაუბრუნდა.

– გეყოფათ აწი... გევიცინეთ ხომ? მომეცი ახლა ქუდი.

– ქუდი რომ გდომოდა შენ, იქნებოდი წყნარად შენთვის. – ნიშნის მოგებით უთხრა გოგავამ.

– ვის რა დავუშავე, ხარლამპია, მე?

– აბა, რას ჩამიხტი ბუზანკალიან ძროხასავით შუაში, ვინ გკითხავდა ლერიკონა შტერის ამბავს შენ?

– რომელი ლერიკონა არ ჯობია შენნაირ პარაზიტს! – იყვირა ნოემ.

ხარლამპმა გაიცინა.

– როდიდან გახდი ასეთი მყრალი, ნოე ბიძია, შენ? ომი ხვარ დეიწყო? ვის ეშინია თვალების ქაჩვის აქანა?

– ახლა იმალება მილიცია მაინცდამაინც, ახლა არ ჩანს არც ერთი... – ატირებას ცოტა აკლდა ნოეს.

– მილიცია ჩვენთნ გამოწერითაა. დღეს თუ გამოიწერ, ხვალ მოვა, ისე, სადმე სამართალი რომ იყოს, ერთი მომცრო მილიციელი ქე გეკუთვნის შენ წამყოლ-წამომყოლად.

– მომეცი, შე პარაზიტო, ჩემი ქუდი!

ნოეს ადამიანის ფერი აღარ ედო.

– ჰა, კიჭია და, მიეცი ამ კაცს მისი ქუდი, მე სუსტი გული მაქვს და მეშინია, ქუდის დაბრუნების დროს გლახა არაფერი ვაკადრო, – ხარლამპმა კიჭიას ესროლა ქუდი და ნოეს ზურგი შეაქცია.

– კიჭია, არ მაძლევ ქუდს? – სანამ ახლოს მივიდოდა, კიდევ ერთხელ მოსინჯა ნოემ კიჭიას პოზიცია.

– მოდი ახლოს და ვილაპარაკოთ.

– რა უნდა გელაპარაკო, ბიჭო, შენ?

– რაც გაგეხარდება.

– გამაგებინე, სად გაიზარდე. ვინ აგიშვათ ასე. რამ გაგათამამათ.

– ხალხო, – მიუბრუნდა კიჭია ბრბოს მართალი კაცივით, – ჩვენ და ლერია იოსებაშვილი ვთა-

მაშობდით ჩვენთთვის. მევიდა ეს კაცი და კბენა დაგვიწყო. ვართ ახლა ჩვენ რამეში დამნაშავე?

„ხალხმა“ კიჭიას გულწრფელი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

– კიჭია! – ნოე ციებიანივით ცახცახებდა, – შე გამყიდველო, კიჭია. არ ხარ ახლა შენ ღორივით დასაკლავი?

–რაის გამყიდველი ვარ, რა გავყიდე? ეგება „სპორტლოტოს“ ვასუხარებ შენსავით და ხალხს ვატყუებ.

– სპორტლოტოს მე, ქე მაინც ჩემს დაბეჭდილს არ ვყიდი, მადლობა ღმერთს, და შენ შენი ძმაკაცების ცოდვა გადევს.

– რომლების? – ხმას აუწია კიჭიამ.

– რატომ სხედან, აბა, ახლა ხინგავა და მარღანია ციხეში და შენ რატომ ხარ გარეთ?

– არ ვიყავი იმ საქმეში და იმიტომ...

– ხომ ყველამ იცის, ამდენმა ხალხმა, მთელმა ქალაქმა, შენ რომ იქ იყავი, მარა გამოძვერი თუ გამოგაძვრინეს. ახლა კაცი ხარ ვითომ შენც და ჭკუა გეკითხება?

– კი მარა, ამდენი ბოღმა თუ გქონდა გულში, გამარჯობას მტერს არ დაუკავებენ.

– რატომ მეჭიდები, ხომ იცი, ვერ მომერევი, ნოე ბიძია შენ. – ამ უკანასკნელ სიტყვებს გამომწვევად ამბობდა კიჭია.

– მორეული არ ვარ? ჩაიხედე სარკეში. შეხედე შენს თავს. ხომ ხედავ, არც ღმერთი გაყრის კარგ დღეს მაინცდამაინც.

– იმედი გაქვს, ხომ? ამ ხნიის კაცს რომ ვერ ჩამოგკიდებთ სარზე, ხელს რომ არ გავისვრით, ამიტომ უნდა მოდგე და ანთხიო ბალღამი წინ და უკან, ხომ? ნუ გამოგვიყვან მოთმინებიდან, თვარა მოგიწევს ბანაობა ცივ რიონში, მამაჩემსა აქვს ცხონება! – წონასწორობას კარგავდა კიჭია.

...ნოე კაკაბაძემ წრე გაარღვია და ქუჩას მიაშურა. თამაში უადგილო ადგილას შეწყდა. ბრბოს აშკარად არ უნდოდა ეს დიდებულად დაწყებული ომი ასე უბრალოდ დამთავრებულიყო. ბევრი უძახეს ხარლამპმა და მურთაზმა მოხუცს, დაბრუნდი, წაიღე ქუდიო, მაგრამ ნოე კაკაბაძეს უკან აღარ მოუხედავს.

გაჩერებასთან მისულს ცუცქირიძე წამოეწია და ქუდი ძალით ჩამოამხო თავზე, მაგრამ ნოე კაკაბაძემ ცეცხლმოკიდებულივით იშვლიპა თავსაბური და ტალახში მოისროლა.

მზევინარ ჯუმუტია – სოხუმი

## აფხაზეთი ჩემი გულის ტკივილია, უსაზღვრო მონატრებაა



გამარჯობა, აფხაზეთის მთა და ბარო, სანატრელო მინდორ-ველო,
შენ არასდროს გაგიმეტებს შენი დედა საქართველო.
ისევ შენთან მინდა ვიყო, ისევ შემთან როგორც ადრე.
ისევ შენთან, თუნდაც მოვკვდე, რადგან შენთან დავიბადე.
"სი რექ ჩქიმი ოდაბადე"

სოხუმი ჩემი სულის სიამაყეა, ულამაზესი წალკოტი და ბაღნარი. სწორედ იქ გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. ვერ ვივიწყებ და ნოსტალგიად მრჩება ის მხარე სანუკვარი, სადაც დავიბადე და ფეხი ავიდგი. დღეს გული მტკივა უშენოდ. მსურს ძალიან მალე გიხილო, როგორიც იყავი. ესეც ჭანბასთეატრი.

დღეს ენგურის ხიდთან გადის "საქართველოს საზღვარი"
ამის იქით მიწა ჩვენთვის უკვე გახდა ნაკრძალი,
მდინარე კი მიჰქუხს ქვემოთ, სურს განკურნოს იარა,
ის ლტოლვილთა ცრემლი არის და ენგური კი არა!

ჩვენ სამშობლოდან აკაფული ვაზის ძირი ვართ, თუმცა ჩვენ კი, ფესვები საქართველოს მიწაში გვიდგას. 24 წელია მონატრებად გადაგვექცა ჩვენთვის ჩვენი სამშობლო. ნეტავ როდის იქნება ჩვენს მიწაზე ჩაკონება, უკვე მეორე თაობა მოდის მომავლიდან მომავალი.

ეს ჩემი შვილიშვილია საბა წითლიძე, მაშინ ჩემი შვილი თვალჩინა საბას ტოლი იყო, ეხლა უკვე 25 წლისაა. პატარებსაც აქვს სოხუმის სიყვარული და ნოსტალგია. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, ჩვენ დავბრუნდედბით აფხაზეთში.



წლები ვერ წაშლის ცხოვრების წარსულს,
ვერც დარდს ჩვენს გულში სულ რომ ანთია,
სითბო, სიკეთე, სიყვარული მუდამ ვაფრქვიოთ,
რადგან სიცოცხლე ხანმოკლე და ხან წარმართია.




ჟურნალ ათინათის რედაქტორს, ჯუმბერ ლეჟავას სახ. მეცნიერებათა მრავალ პროფილიან საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს.

ქალბატონო გულნაზი მინდა დიდი მადლობა გამოვხატო თქვენდამი, მე წილად მხვდა დამეწერა თქვენს ჟურნალში ჩემი გულის ტკივილი – ჩემს აფხაზეთზე, სოხუმზე.

ძალიან კარგ და კეთილ საქმეს აკეთებთ ჩემო დიდო და საყვარელო ქალბატონო გულნაზი.

ჩაგეხუტები სოხუმო ოდეს,
შენ შეგიძლია გამათბო ასე,
არ შეიძლება აქ გული გქონდეს
და სიყვარულით არ იყო სავსე.

**ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში!...**

სერგი ლომაძე



# ერთაწმინდა

ერთაწმინდა ქართლის სოფელია. სახელი მისი მიუთითებს იმაზე, რომ იგი სიწმინდეა ერისა, და ამას, ძირითადად, განაპირობებს მისი ძველი, საკმაოდ დიდი ტაძარი, სადაც, სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად, განისვენებს გიორგი სააკაძის ბადალი პიროვნება და მისი ძე – პაატა სააკაძე. (საერთოდ, ამბობენ, რომ გიორგის ყველა ვაჟი გმირი იყოო).

ერთაწმინდა ჩემთვისაც რჩეული ადგილია, რამეთუ ისაა სოფელი ჩემთვისვე დაუვიწყარი რამდენიმე ადამიანისა.

დიდი ავტობუსით (იკარუსით) გავემგზავრეთ ერთაწმინდისკენ. გავიარეთ თეთრი თბილისი (ჩვენი გამგზავრების პუნქტი), თეთრი მცხეთა და ქართლის სხვა მეტნაკლებად ცნობილი სანახები, მერე კი დაიწყო სიმაღლეები, მკვეთრნი, მთა-კლდეები და ხეობა-ხრამები, მთებზე შედგმული ჯვრები და პატარა სალოცავები, შემდეგ კი გამოჩნდა ერთაწმინდაც. გვითხრეს, რომ იქვე ახლოა ქვათახევი, თავისი სიმაღლეებითა თუ ტაძრით. ოდესღაც ეგეც მაქვს ნანახი, თუმცა კარგად აღარ მახსოვს, თუ როგორია. მინდოდა მენახა ისევ, მაგრამ არ გამოვიდა.

სამაგიეროდ ვნახეთ ერთაწმინდის დიდებული ტაძარი და მისსავე ეზოში გავმართეთ ღონისძიება.

მაინც რა ღონისძიება იყო ეს?

საქმე ისაა, რომ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილისა და ბატონ ნიკო ხერკელაძის თაოსნობით შეიკრიბა და გამოიცა ის პოეტური ქმნილებები; რომელნიც დიდ მოურავს მიეძღვნა. ამ წიგნის რედაქტორები მე და კახა ბაციკაძე ვართ. ვიცით, რომ კიდევ ბევრი ქმნილებაა, და ისინი წიგნს გარეთ დარჩა, – დიახ, ხალხი წერდა მასზე, ძალიან უყვარდა საზოგადოებას გენიოსი სარდალი საქართველოსი... თუმცა პირველ ჯერზე მაინც საკმარია ეს წიგნი, მეტიც – მიღწევად უნდა ჩაითვალოს...

სწორედ ქალბატონი გულნაზი და ბატონი ნიკო თაოსნობდა ღონისძიებას. საქმეში იყვნენ ჩართულნი, ასევე, პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მეთაურები – დავით თარხან-მოურავი, ვაჟა ოთარაშვილი, ერეკლე საღლიანი, სხვებიც. საქმე იმაშია, რომ ბატონი დავითი გიორგი სააკაძის შთამომავლად და მეფეთა შთამომავლადაც მიიჩნევა. როგორც ჩანს, სააკაძეთა, ასევე – ბაგრატოვანთა მონათესავენი დღესაც ბევრნი არიან.

მოკლედ, ღონისძიებაზე ორი ხაზი ლიდერობდა, – ლეჟავას აკადემიისა – ქალბატონი გულნაზის მეთაურობით, „პატრიოტთა ალიანსისა“ – ბატონი დავითის, ასევე – ერეკლეს, ვაჟას, ნიკოს მეთაურობით. (ქალბატონი ირმა ინაშვილი იმ დღეს იქ არა ყოფილა). იყვნენ სხვა ადამიანებიც – თბილისიდან, რუსთავიდან, ხაშურიდან თუ სხვა ადგილებიდან, მათ შორის – ადგილობრივნიც (ერთაწმინდელი მოსახლეობა). ნიკო როგორც აკადემიის, ასევე პარტიის წარმომადგენელია.

ჩვენი აკადემია (ლეჟავა-ხარაიშვილის აკადემია) არაპოლიტიკური ორგანიზაციაა, ხოლო რამოდენიმე არამკაფიო მცდელობის შემდეგ, მე და კახაც ჩამოვცილდით პოლიტიკას, დავტოვეთ პარტიები და სხვადასხვა ხაზები, მიმართულებები, მაგრამ „პატრიოტთა ალიანსი“, როგორც სააკაძისტები, მაინც მკვეთრ ძალად მიგვაჩნია (მითუმეტეს, თუ მართლა აღმაშენებლის, დიდი მოურავის, დიდებული პატარა კახის მონათესავე უდგას

სათავეში პარტიას) და სიამოვნებით დავთანხმდით ორგანიზატორებს ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე.

ეს იყო 2016 წლის ივლისი.

ღონისძიების წაყვანა ქალბატონმა გულნაზმა აიღო თავის თავზე და საქმეს ბოლომდე წარმატებით გაართვა თავი. ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ამ შეკრებაში, ამიტომაც მათი სახელ-გვარების ჩამოთვლას აქ აღარ დავიწყებ. ვიტყვი კი იმას, რომ ღონისძიებაზე ბევრი ვიმსჯელეთ ჩვენი ერის საკითხთა შესახებ. ვცდილობდით გვეპოვნა აღდგომა-აღმასვლის გზები. რაღა თქმა უნდა, ქართველ გმირთა თემა, მითუმეტეს – დიდი მოურავის თემა, იქ, ერთაწმინდაში, პაატას საფლავთან, წამყვანი იყო. განვიხილეთ ჩვენი ახალი წიგნიც (სადაც, სხვა ავტორებთან ერთად, ჩემი და კახას ქმნილებებიცაა მოთავსებული), და პოეზია-მუსიკაც ჩავრთეთ საქმეში. (პოეზიის, საერთოდ, ხელოვნების საღამოებიცა და სოლო-საღამოებიც ხომ ჩვენი საქმეა).

ამ ღონისძიებამდე, ცოტა ადრე, ოცდასამ ივლისს, მე და კახამ მონაწილეობა მივიღეთ „ზღვარის" კონცერტში, რომელიც ბაღდათში გაიმართა და იქ მას საუკუნის მოვლენა უწოდეს. იმ მოვლენის მთავარი გმირი კახა გახდა. იქამდე სადღაც შვიდი წლის განმავლობაში არა ჰქონია „ზღვარს" სოლო-კონცერტი, ანუ მხოლოდ ჩვენი კონცერტი, სხვათა გარეშე, და ასე ტრიუმფალურად დავბრუნდით დიდ როკ-მუსიკაში. პოეტური



როკი (რაიმ-როკი) ისევ აღზევდა. თან, ბაღდათ-საირმეში დავყავით სამი დაუვიწყარი დღე...

და თუმცა ისევ ბაღდათური შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავით, სოლო-კონცერტის შთაბეჭდილების ქვეშ, მაგრამ ერთაწმინდულმა შემოქმედებითმა საღამომ, ხელოვნება-მეცნიერება-პოლიტიკურმა შეკრებამ (აქვე ვიმეორებ, – მისი ორგანიზატორი არაპოლიტიკური აკადემია იყო) მაინც ასევე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი სტანდარტულ დროში ჩაეტია – დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა.

ხოლო შემდეგ...

შემდეგ იყო სტუმრობა იქვე მცხოვრებ ბატონ უშანგი მოსიაშვილთან – პოეტსა და ბიზნესმენთან. იგი მეცენატი, მოღვაწე კაცია, და დაგვათვალიერებინა თავისი აპარტამენტი გამოფენითურთ, მერე კი დარბაზში გაგვიშალა შესანიშნავი სუფრა უამრავ სტუმარს. როგორც იტყვიან, სუფრას ჩიტის რძეც კი არ აკლდა, იქ ყველაფერი იყო.

თბილისიდან დილით გასულები, დედაქალაქში (მთავარ ქალაქში) ღამით დავბრუნდით...

საერთოდ, ბევრმა იცის, რომ მე მიყვარს პოეტური, ფილოსოფიური, ავანგარდულმხატვრული თუ სხვა სახის შეჯიბრებანი (მიყვარს მრავალგვარი სპორტული შეჯიბრებანიც) და ცხოვრების დიდი ნაწილი სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად სერიოზულ პაექრობებში გამიტარებია. ამან გამიძლიერა, რატომღაც, ფილოსოფიური ხედვა მოვლენებისადმი, და ერთაწმინდული ამბავი ახლა დაუვიწყარ მისტერიად მახსენდება, ესაა ალუზია ანტიკის...

ხოლო დასკვნა ისაა, რომ ნიკო ხერკელაძემ ახალი ეპოქა დაიწყო დიდი მოურავის ცხოვრება-მოღვაწეობის კვლევის სფეროში, საერთოდ, გიორგიადას სივრცეში;

ასევე – გულნაზ ხარაიშვილმა ახლა უკვე ამ სფეროშიც თქვა თავისი მკვეთრი სიტყვა.

საერთოდ, ყოველთვის მიყვარდა და მიყვარს პოეტურად მრავალმხრივი პიროვნებები, ხოლო ეს ორნი სწორედ ასეთთა რიგს მიეკუთვნება...

მე არ დამავიწყდება საუკუნის მოვლენად ქცეული რამდენიმე პოეტური საღამო (და რამდენიმე კონცერტი), მიზიდავს იდეა დიდებულ ღონისძიებათა.

და ერთაწმინდაც სამუდამოდ დარჩება ჩემს მახსოვრობაში. რაღა თქმა უნდა, რომ არაერთი რამაა შესაცვლელი ჩემს ხელოვნებასა და ფილოსოფიაში, საერთოდ, მთელს ჩემს ცნობიერებაში, მაგრამ ასევე არაერთი რამ ხომ შეუცვლელიც არის (თუნდაც შეხედულებები უსასრულოდ იცვლებოდეს). მაგალითად, აი ასეთ შეუცვლელ შეხედულებად, ფენომენად, დარჩება ისეთი მითი და რეალობა, როგორიცაა ერთაწმინდა, და ჩემეული აღქმა ამ საოცრების...

თბილისი. 2016 წელი. აგვისტო.

## შესანიშნავი ხუთეული

როდესაც ჩვენი აკადემია დიდ ბიბლიოთეკაში აპირებს საღამოს ჩატარებას, უმეტესად ან საგამოფენო (დიდ) დარბაზს არჩევს, სულ ზევით რომაა შენობაში, მინით გადახურული, ანაც – საპრესკონფერენციო დარბაზს, რომელიც შენობის ქვემოთა ნაწილში მდებარეობს, მაგრამ ბიბლიოთეკას კიდევ არაერთი და არაორი ვრცელი ოთახი აქვს.

პატარა, თუმცა კოხტა, კომფორტული დარბაზი შეირჩა ხუთი პოეტის საღამოს ჩასატარებლად. ეს იყო ერთ-ერთი სულ ქვედა ოთახთაგანი, ლურჯი სკამებით გაწყობილი. „ანდერგრაუნდის“ კვალობაზე მეტად კარგ სიტუაციაში აღმოვჩნდით.

აი, ხუთი პოეტიც, ამ მშვენიერი დღის მთავარი გმირები – მანანა ზაზიკაშვილი, ცისნამი უტარაშვილი, აკადემიკოსი გურამ გედევანიშვილი, ლამზირა შეყილაძე და ნაირა ნიჟარაძე.





პოეტური საღამოს მთავარი ორგანიზატორი ისევ ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი გახლდათ; ხოლო წამყვანი ისევ მე ვიყავი; საღამოზე ისევ გაბრწყინდა პოეტი-მუსიკოსის – კახა ბაციკაძის გასაოცარი ნიჭი; საღამო გადაიღო რეჟისორმა ნიკო ბაღაშვილმა... პატარა დარბაზი სწრაფად გაივსო და საღამოც დაიწყო.

მანანა ზაზიკაშვილი რამდენიმე წიგნის ავტორია. მისი ლექსები სკოლის სახელმძღვანელოებშიც კია შეტანილი. იგი, ასე ვიტყოდი, იუმორისტული ბუნების ადამიანია, მძიმე არაა ურთიერთობებში, პირიქით, ლაღად უყურებს ცხოვრებას. კარგ ლექსებს წერს სხვადასხვა ჟანრში, და ამადაც იყო, რომ დარბაზს არაერთხელ მოსწყდა აპლოდისმენტები.

ცისნამი უტარაშვილის პოეზიას, იმ დღეს, განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად. ამ მოკრძალებული ადამიანის ყოველი ლექსი დიდი ინტერესით ისმინებოდა. პოეზია, მისი იყო დახვეწილი, სიტყვაფრთიანი. თემების გამრავალფეროვნების შემთხვევაში იგი კი-

დევ უფრო დიდ სიმაღლეს მიაღწევს. თემების მრავალფეროვნება, საერთოდ, დიდად საჭიროა თანამედროვეობაში, ისეთი კალეიდოსკოპურია დღეს ირგვლივეთი.

გურამ გედევანიშვილის ფილოსოფიური, მითოლოგიზებული პოეზია საუკეთესო იყო იმ დღეს. მიუხედავად იმისა, რომ მეტად ვრცელი ლექსების და პოემების წაკითხვა, პოეზიის საღამოზე, არამომგებიანია, ბატონი გურამი მაინც მთავარ გმირად მიმაჩნია იმ დღისა. თითქოს გენიალური ვაჟას აჩრდილი დაადგა თავს დარბაზს, როცა აკადემიკოსმა „თავს დაგვატეხა“ მითოსად ქცეულ სიტყვათა შტორმი. დიდი იყო მისეული ზღაპრული მითოსის ზეგავლენა დარბაზზე, ყველა მსმენელზე.

ლამზირა შეყილაძე ქალბატონი გულნაზის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენაა ქართული ლიტერატურისათვის. გულნაზ ხარაიშვილმა ბევრ ვინმეს გაუკვალა გზა, ხოლო მათში ერთი უპირველესთაგანი ჩვენი ლამზირაა.(სხვათა შორის, იგი, ჩემთან, კახასთან და ვთქვათ, ბრწყინვალე ლიტერატორ ლუარა სორდიასთანე ერთად, ალბათ ერთ-ერთ წამყვან პოზიციას იჭერს აკადემიაში, თვით პრეზიდენტის შემდეგ). ლამზირამ იმ დღესაც აჩვენა თავისი სიტყვიერ-ლიტერატურული ოსტატობა მთელს დარბაზს, განსაკუთრებით კი თავისი ბიძა გაახარა, რომელიც სიამაყით იყო სავსე, მისი უნიჭიერესი ნათესავის შემხედვარე, და დასამახსოვრებელი გამოსვლითაც შემოგვეწია.

ძნელია გამოსვლა გურამ გედევანიშვილისა და ლამზირა შეყილაძის შემდეგ, მაგრამ ნაირა ნიჟარაძემ მაინც შეძლო ეს და წარმატებასაც მიაღწია. ისაა საოცარი ისტორიის მქონე ქალბატონი, რომელიც კარგა ხანია, რაც სიტყვასაა შეჭიდებული, რომ ამაოდ არ ჩაუვლია მის გარჯა-შრომას, საღამოზე კანთიელად (მკვეთრად) გამოჩნდა. მოკლედ, ხუთივე პოეტი ბრწყინავდა იმ დღეს. და მაინც ისმის კითხვა – არიან თუ არა ისინი პროფესიონალი პოეტები, პროფესიონალი ხელოვანები? და საერთოდ, რაა პროფესიონალი პოეტი, ვინაა პროფესიონალი პოეტი?

ასეთია იგი, ვისთვისაც პოეზიაა ყველაფერი, ყველაფერი – ამაღლებული, ვისთვისაც სიტყვაა, სწორედ, ღმერთი პოეტური. ესაა მთავარი. უნდა შეეცადო სიტყვა-ღმერთის ბოლომდე შეცნობას, მთელი შენი არსება უნდა მიუძღვნა სიტყვას, როგორც იესოს. ქრისტეა სიტყვა-საფუძველი და პოეზიაა სიტყვათა ძმობა.

არის კიდევ სხვა, მეტ-ნაკლეად მნიშვნელოვანი პირობებიც, ერთ-ერთი ამათგანი ისაა, რომ პროფესიონალი პოეტი მხოლოდ პოეზიაში (ან – პოეტურ სივრცეში) უნდა მუშაობდეს. მე, მაგალითად, ათეულობით წლებია, მხოლოდ პოეტურობას ვემსახურები.

ისე კი, პოეტს ყველა კანონის დამსხვრევა შეუძლია, ასე რომ, რთულია გაგება იმისა, თუ ვინაა ჭეშმარიტი პროფესიონალი ხელოვნებისა.

ერთი კი ვიცი – ასეთი ნამდვილად არის უკვე რჩეული, სუპერპროფი – კახა ბაციკაძე, რომელიც იმ დღეს ორი მეტად პოეტური სიმღერით წარსდგა მსმენელთა წინაშე. ერთი იყო „ჩემი სიყვარული“ (ტექსტი მე დავწერე, მუსიკა – კახამ), ხოლო მეორე იყო ჩვენი ცნობილი ჰიტი – „ჩემი ლირიკა”, უთვალავჯერ რომაა შესრულებული კახას მიერ. დარბაზი კიდევ ერთხელ გააოგნა მისმა გამოსვლებმა, ზოგი ცრემლებს ვერ იკავებდა მეტისმეტი ემოციისაგან.

დამსწრეთა შორის შევნიშნე ჯუმბერ ხარაიშვილი და სულიკო სამხარაძე. ბატონ ჯუმბერს წელს ოთხმოცი წელი შეუსრულდა, მოგეხსენებათ, ესაა დიდი, მრგვალი თარიღი და ამიტომაც იუბილარს, იმ დღეს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. დარბაზში იყო ენრიკო ჯანელიძეც. მე ზუსტად არ ვიცი, ქართველთაგან თუ ვინ შემოუარა დედამიწას სულ პირველად, მაგრამ პორტუგალიელ-ესპანელის ფერნანდო მაგელანის გზა რომ ჯუმბერ ლეჯავამ და ენრიკო ჯანელიძემ დასძლია, ეს დანამდვილებით ვიცი. ბა-

ტონმა ენრიკომ მონაწილეობა მიიღო ჩვენს ღორნისძიებაშიც (მან წაიკითხა ნაილი ხეთერელის და სხვათა და სხვათა ქმნილებანი)...

მოკლედ, საბოლოო ჯამში, იმ დღეს ბატონმა გურამმა, და ქალბატონებმა – მანანამ, ცისნამიმ, ლამზირამ, ნაირამ, დიდი ზეიმი გვაჩუქეს. გამარჯვება იმდენად თვალსაჩინო, იმდენად უცილობელი იყო, რომ მე სურვილი დამებადა, კიდევ ერთხელ დავსწრებოდი მათ ლიტერატურულ ღონისძიებას, თუკი ასეთი კვლავ ჩატარდება.

საღამოს შემდეგ მე და კახა დიდხანს ვმსჯელობდით ყოველივე ნანახზე. ჩვენ, იმ დღეს, საკუთარი პრობლემები სულ მიგვავიწყდა, მაგალითად ის, რომ უკვე მთელი თვეებია ვმუშაობთ „ზღვარის" ბოლო როკ-ალბომზე, რომელიც ჯერაც სანახევროდ თუა ჩაწერილი, ხოლო სათაური დღემდე ვერ მოვიფიქრეთ (გვაქვს ასეთი ვერსიები: „მეშვიდე სივრცე", „მეფე და სხვები" და ასე შემდეგ). სამაგიეროდ, ჯგუფ „ზღვარის", ასე ვთქვათ, მეორე თაობა (ახალი წევრები შეგვემატნენ, და ეს ამბავი უკვე ბევრისთვისაა ცნობილი) წარმატებით მიიწევს წინ. ერთად ვშრომობთ და ვბრძოლობთ. ჯერ-ჯერობით შედეგები აშკარა არის.

ისევ პოეტურ საღამოს დავუბრუნდეთ.

მოკლედ, ქალბატონი გულნაზის ექსპერიმენტმა (მეცნიერულ-პოეტური „ხუთკუთხედის" შექმნამ) ისეთი შედეგი გამოიღო, რომ ჩვენ, ყველანი, ისევ ვფიქრობთ ან იგივე, ან სხვა ხუთეულების შემოქმედებით საღამოებზე.

მაშ, ვულოცავ ბატონ გურამს, ასევე – ლამზირას, ნაირას, მანანასა და ცისნამის (სხვათა შორის, გამაოცა ამ სახელის მეტისმეტმა პოეტურობამ, ზეცისა და ნამის ადამიანის საკუთარ სახელში ასე მოქსოვა-ჩაწვნამ... აი, აქ ჟღერს უძველესი რასა ქართულ-კავკასიურ-არიული, ევრაზიული, და იგრძნობა ამ სიტყვათნაერთში ოდინდელი ოსტატობა ჩვენივე რასისა, ჩვენივე ხალხისა – ლიტერატურულ, უფრო კი – პოეტურ განზომილებებში). ვუსურვებ მათ სულ ახალ და ახალ წარმატებებს, თუნდაც იმიტომ, რომ ვინც შესანიშნავად წერს, ის წილნაყარია იდეალების სამყაროსთან, ამიტომაც აზრი მისი სწვდება უმაღლეს სივრცეებს.

თბილისი.2016 წელი. ივლისი.

P.S. მე, როგორც შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარის" შემქმნელი, და, ვთქვათ, მისი საპატიო ლიდერი (თუმცა ნამდვილი ლიდერი, უკვე კარგა ხანია, მაინც კახა ბაციკაძეა), ვთვლი, რომ პოეზია არის სიცოცხლის, სიკვდილის, და საერთოდ, მთელი სამყაროს, ყოველივეს აზრი-საფუძველი, აზრი უმთავრესი. პოეტურობაა ის, რაზედაც აშენდა გასაოცარი შენობა (სამყარო) ღმერთისა.

ამიტომაც ლექსის მწერალი ადამიანები განსაკუთრებულნი არიან ჩემთვის. დიახ, პოეზია მოიცავს ყველაფერს, ხოლო პოეტი არის წარმომადგენელი, სახე-სიმბოლო უმაღლესი ხელოვნებისა...

ლექსში „უმანძილობა" ვწერდი: ახლაც რომ მეღირსა ეს გრძნობა, ამიტომ ბედს შებმას ვუბედავ-მეთქი. მეფურად პოეტურ გრძნობაზე იყო ლაპარაკი. დიახ, პოეზიაა ყველაფერი... ახლაც...

გულნაზი ხარაიშვილი



# შეხვედრა ორმოცდაცხრა წლის შემდეგ

2016 წლის ივლისის ბოლოს ჟურნალ „ათინათის" მეორე ნომერი გამოვუშვი. აგვისტოს ცხელი პაპანაქება დღეები იყო დაწყებული. ჟურნალის პრეზენტაცია გავაკეთე და ღონისძიების ჩატარების ბოლოს პოეზიის ცეცხლით ანთებული თვალები შემეფეთნენ. მანანა ზაზიკაშვილის საყვედურის ქარცეცხლში მოვხვდი. ეს ის პოეტია, დილიდან რომ დააწყებინო ლექსების მოყოლა, საღამომდე არ გაჩერდება, თუ არ გამოეცელე, ღამესაც გაგათევინებს. ჩამიტარეთ პოეზიის საღამო მთხოვა. თქვენ? გაკვირვებით შევხედე, დიახ! მე. არა გენაცვალე, რადგან ამ სიცხეში არ გინდა დამასვენოთ, მაშინ ხუთ პოეტს ერთად ჩაგიტარებთ პოეზიის საღამოს. დამთანხმდა. პოეტებიდან ავირჩიე: ცისნამი უტარაშვილი, ახალი შემოსულია ჩვენს აკადემიაში გურამ გედევანაშვილი, ეს პიროვნება, დიდი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, მითოსურ ზღაპრებში მუშაობს, სხვათაშორის ბატონ გურამის ვურჩიე, რომ საღამოზე მხოლოდ პატარა ლექსები წაეკითხა, მაგრამ თვითონ გადაწყვიტა პოემიის სტილის ლექსების წაკითხვა. ნაირა ნიჟარაძე, ეს ქალბატონიც ახალი მიღებულია აკადემიაში, არაჩვეულებრივი ქუთაისელი ქალბატონია, მეტად ერუდირებული და განათლებული პიროვნებაა. ლამზირა შეყილაძე გამოირჩევა, თავშეკავებულებით, სინაზით და ქალური სათნო პოეზიით. თუმცა მის ლექსებში ზოგჯერ პოეტური ჟინის ცეცხლიც ანთია.



**მარცხნიდან: დარიკო ხარაული, იზოლდა ტეფნაძე, მანანა მაისურაძე, გურამ ნადირაძე, იმერი ბეგიაშვილი, მზია, ლექსო დილებაშვილის მეუღლე. მეორე რიგში: როლანდი დეკანოზიშვილი, ნუგზარ ქელეხსაშვილი, გერონტი მესხი და ლექსო დილებაშვილი.**

ღონისძიების დამთავრების შემდეგ, ერთ-ერთმა პოეტმა გაზეთში დაბეჭდილი ლექსები მომაწოდა. იმ წუთში ლექსებისთვის არ მეცალა, საღამოთი სახლში მისვლის შემდეგ პირველ რიგში, უცნობის ლექსები წავიკითხე. ყველა ლექსი იყო პროფესიონალი პოეტის დაწერილი. ავტორით დავინტერესდი. მას სათაურთან ერთად ტელეფონიც ქონდა მითითებული, გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული) დავურეკე, გამოვკითხე, რომელი რაიონიდან იყო, აღმოჩნდა ზნაურის რაიონის სოფელ ახალშენიდან, გამახსენდა, რომ ზნაურის რაიონში ჩემმა მაზლისცოლმა დაამთავრა საშუალო სკოლა, იზოლდა ტეფნაძემ. ცოტა ხნით ჩავფიქრდი, თვალწინ დამიდგა გრძელნაწნავიანი, თეთრი ბაბთით ჩემი მაზლისცოლი ის იყო ძალიან ლამაზი, როცა თავისი ბედი ჩემს მაზლს დაუკავშირა. სინანულით მახსენდება ის დღე როცა სალონში წავიყვანე, გრძელი თმები შევაჭრევინე და დავახვევინე, არ მოუხდა, რაღა მექნა თმებს ხომ ველარ მივაბამდი, ახლაც ვნანობ... ღმერთმა ხომ იცის კარგი მინდოდა მისთვის. გამახსენდა მასთან გატარებული ყოველი წუთი. ეს იყო სიყვარულისა და ერთგულების დღეები, თვეები და წლები. ამ დიდმა პატივისცემამ უკვალოდ არ ჩაიარა, ლამაზი ჩანახატი გავაკეთე ჩვენი თბილი ურთიერთობიდან გამომდინარე და ჟურნალ „ათინათში“ და ანთოლოგიაში შევიტანე, დღესაც და ოდითგანვე მაზლისცოლები უარყოფით პერსონაჟად მოიხსენებიან, ზღაპრებში თუ რეალურ ცხოვრებაშიც. არადა ორი სხვადასხვა ოჯახიდან გათხოვილი შვილები ერთმანეთის სიყვარულში უნდა ატარებდნონ სიცოცხლის წლებს.

ანთოლოგიის მეოთხე ტომი გადმოვიღე და ის გვერდი გადავუშალე, ბატონ გერონტის, სადაც ჩემს მაზლისცოლზე ეწერა. სურათს დახედა, ჯერ სიხარული აღიბეჭდა მის სახეზე და მერე გაკვირვებაც თბილი სიტყვების წაკითხვის შემდეგ. კარგახანს ჩაფიქრებული ათვალიერებდა ექვსას გვერდიან წიგნს ხელში. ეტყობოდა თავის ფიქრის სკივრიდან ამოიშალენ დღეები წარსულისა. მამაკაცური სიძლიერესთან ერთად ტკივილის ფერიც დათამაშებდა ომ გადახდილ პოეტს, რომელსაც მშობლები სეპარატისტებმა დაუხოცეს. სახლი კი დაუწვეს.



**ნანი მაჭარაშვილი (გურამ ნადირაძის მეუღლე), გულნაზ ხარაიშვილი და მანანა მაისურაძე („ვის უნდა ოციათასში“ გამარჯვებული**

ბატონი გერონტი მესხის ლექსები დავბეჭდე ჟურნალ ათინათში. რამოდენიმე დღის შემდეგ დამიკავშირდა და მითხრა: ერთ-ერთი ჩვენი კლასელია ჩამოსული ესპანეთიდან და კლასელები ვიკრიბებით, გააგებინე იზოლდას და შემოგვიერთდესო. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია მივაწოდე იზოლდასაც. ეს დღეც დაიგეგმა, თბილისში რესტოანში „იმერული ეზო“. რა თბილი და მე-

გობრული იყო მათი შეხვედრა, სათითაოდ იხსენებდნენ თავიანთ თავგადასავალს აქ იყო ოსი ნუგზარ ქელეხსაევი და იყვნენ ქართველებიც თავიანთი მეუღლეებით, მათ არ ახსოვდათ ომში მომხდარი, ხოცვა-ჟლეტვა, სადაც ორი ერთმანეთის მირონშერეული ნათესავები სამტროდ განაწყო ბინძურმა პოლიტიკამ. აქ იყო კლასის მეგობარი ქალბატონი მანანა მაისურაძე, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს. მან პირვლემა მოიგო ბატონ დუტა სხირტლაძესთან ოციათასი, ასეთი ნიჭიერი პედაგოგის აღზრდლები იყვნენ ჩემი მაზლის ცოლის შვილი რამაზ სხირტლაძე და ჩემი შვილი გელა სხირტლაძე, რომელიც იმ ლამაზ დღეს, ცის სოფლიდან დაჰყურებდნენ ცრემლიან დედებს და თავის საყვარელ პედაგოგს, ქალბატონ მანანა მაისურაძეს.

ეს დაუვიწყარი დღე გაგრძელდება 2017 წელს, სადაც აღინიშნება სკოლის დამთავრების ორმოცდაათი წელი. მათ მეც თავის მეგობრად გამითავისეს, რადგან მათი ტოლი ვიყავი, 1950 წელში დაბადებული, იყო ძალიან თბილი და ტკბილი დღე, მეტ ყურადღებას იჩენდნენ ჩემი მაზლის ცოლის მიმართ, რადგან ის მათგან განსხავებით ცრემლიანი, შვილგარდაცვლილი დედა იყო.



**გერონტი მესხი, ციცო გრიგალაშვილი, იზოლდა ტეფნაძე და ლინერი ბედიაშვილი**

არ შემიძლია სითბოთი არ გამოვყო ოსი ეროვნების ნუგზარ ქელეხსაევი თავისი ლამაზი, განათლებული, სიმპატიური მეუღლით, დარიკო ხარაულით, ბატონი გურამ ნადირაძე, თავისი იმერელი მეუღლით, რომელიც ჩემი ნათესვი გამოდგა საჩხერიდან, ნანი მაჭარაშვილი.

და ბოლოს, ჟურნალმა „ათინათმა“, რომელიც წმინდა ნინოს ხატით სუნთქავს, ასეთ მეგობრობას კალთა გადააფაროს და ერთმანეთის სიყვარულით გულანთებულები, ოსი და ქართველი მეგობრები ერთად შეერწყმნონ, მათ არაფერი არ აქვთ გასაყოფი. დაე, მათი შეხვედრის შემდეგ აღსდგეს ჩატეხილი ხიდი. მოიშალოს მავთულხლართები, რადგან ესეც ბიზნესად გადააქციეს. დაიჭერენ ისევ აქეთ, თავიანთ ეზოებში, საძოვრებზე თუ ბაღებში და გარკვეული საფასურის სანაცვლოდ უშვებენ... აი, ლეკიანობა, აი, ბიზნესი ოცდამეერთე საუკუნისა და ჩემი აწ გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშვილის დაკარგული რომანის სათაურით დავამთავრებ ამ ჩანახატს მაინც „სად მარხია ძაღლის თავი“?

# შოთა რუსთაველი – 850

ამალია საზანდრიშვილი



ჭიათურა, ულამაზესი, კოპწია ქალაქი, – არაერთი შესანიშნავი პროექტის ინიციატორი!

სწორედ ჭიათურიდან დაიწყო და, თითქმის, საქართველოს ყველა კუთხეში გაშალა ფრთები გენიოსი შოთას საიუბილეოდ მიძღვნილმა პროექტმა: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!“ ეს მართლაც საერთო-სახალხო პროექტია, რომელშიც დიდი სიხარულით ჩაერთვნენ საერო და სასულიერო პირები, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები. ამ კეთილშობილური საქმის მიზანი ხელნაკეთი „ვეფხისტყაოსნის“ წიგნის შექმნაა და 1662 ადამიანი სიყვარულით ერთიანდება ეროვნული საუნჯის გარშემო.



პროექტი შეიმუშავა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა (ავტორი მაია ტყემალაძე, თანაავტორები: ნანა წერეთელი, მაკა სუთიძე, ნინო ჭანკვეტაძე).

უკვდავი სტროფები ჩაიწერა: ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ჩვენი სათაყვანებელი ანა კალანდაძის მაგიდასთან, საქართველოს მწერალთა კავშირში, აკაკის, გალაქტიონის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმებში და სრულიად საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. ყველა ადამიანი უდიდესი მოკრძალებით, სასოებით მიეახლა ხელიხელსაგოგმანებელ სტროფებს და მათ გულებში სიხარულმა დაივანა.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია დიდი სიხარულით შეუერთდა ამ პროექტს. ჩვენი არაერთი წევრი გულათრთოლებული ჩაერთო ეროვნულ საქმეში და ფურცლებზე თავიანთი ლამაზი ჩანაწერები დატოვეს. სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ, რამდენჯერმე, პროექტთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები, სწორედ ამ აკადემიაში გადაწყდა.

სულ წარმატებები და მზიანი გზა მომავლის ამ არაჩვეულებრივ წიგნს!



**რეზო მიშველაძე (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე), სოსო სიგუა (მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე), თამაზ ბიბილური (რედაქტორი), გულნაზ ხარაიშვილი (ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი)**


1425.


ტარიელისა და ავთანდილისაგან
წასვლა ფრიდონისასა
1382.
1383.
1384.
1385.


ტარიელისა და ავთანდილისაგან
წასვლა ფრიდონისასა


1202. არ ვარჩევარ თქვენად დედოფლად, ჩემი გზა კიდეგანია;
მაშორო(ს)ლმერთმან მამაკცი, პირად მზე, სარო-ტანია!
სხვასა რას მნუკევთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია,
თქვენთანა ჩემი სიკვდილი არ ჩემი შესაგვანია.


მიმოზა ცანავა (პოეტი)


თამაზ ბიბილური და სოსო სიგუა

**ხათუნა ჩიტაძე**



# ერთაწმინდა

არსებობს გამორჩეული, ღირსშესანიშნავი დღეები, რომელსაც უფალი გვჩუქნის. მერე ასეთი დრეებით დიდხანს იპურებ სულს... არასოდეს ვყოფილვარ ჩემი ქვეყნის ისეთ კუთხეში, როგორიცაა კასპი და მისი შემოგარენი, სოფლები და მასში ჩაძირულ-ამოტვიფრული ულამაზესი ტაძრები. მე კი ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას.

ბავშვობაში, ჩემი ქვეყნის ისტორიით ვიყავი გატაცებული, ისევე, როგორც ყველა ქართველი და არამარტო. განსაკუთრებით მხიბლავდა გიორგი სააკაძე და გულს მიკლავდა პაატას ხვედრი. დავწერე ლექსი მათზე, რომელიც აგერ ლამის 25 წელია მივიწყებას მიეცა და არც არასდროს არ გამახსენდებოდა, რომ არა ახალი წიგნის დაბადების შესახებ მოწვდილი ინფორმაცია. ქალბატონმა გულნაზ ხარაიშვილმა მკითხა, ხომ არ მქონდა ლექსი გიორგი სააკაძეზე, მეც გადავქექე ძველი, უკვე კარგა ხნის გაყვითლებული დღიურები და ხელი შევავლე ლექსს, რომელმაც ახალი სიცოცხლე ბატონ ნიკო ხერკელაძისა და ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის მიერ შედგენილ და გამოცემულ წიგნში„პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე“ (ანთოლოგია) ჰპოვა ადგილი. ძალზედ სასიხარულოა ახალი წიგნის დაბადება და მითუმეტეს ასეთი პატრიოტული სულისკვეთებით სავსე წიგნისა, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა, როდესაც გაიგებ, რომ ამ წიგნის წარდგინება თავად სოფელ ერთაწმინდაში არსებულ ერთაწმიდის ტაძარში უნდა გამართულიყო და შენც, როგორც წიგნის მონაწილე, მიგიწვიეს.



სიხარულით გავეშურეთ ხაშურიდან მე, ქალბატონი მაკა დიდებულიძე (ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი) და კლარა გელაშვილი (პოეტი, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი) ერთაწმინდაში. გამაოცა ტაძარმა, მისმა სიდიადემ, სილამაზემ, საუკუნეების ქარტეხილს რომ ვერა დაუკლია რა... ამ ტაძარში ასვენია პაატას თავი!

საღამო შედგა! წიგნის წარდგინებამ ბრწყინვალედ ჩაიარა, ულამაზეს ბუნებაში, ულამაზეს ტაძართან შესანიშნავ საზოგადოებას მოეყარა თავი და ქვეყნის წარსულს გიორგი სააკაძის.

# წერილები

ტიტე მოსია



## რუსთველმცოდნეობის ესკიზებიდან

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ერის სიამაყე და ქართული კულტურის განუმეორებელი ხელთუქმნელი ძეგლია. თავისი მარადგაუხუნარი საკაცობრიო იდეებით პოემამ დიდი ხანია ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდში.

ქართველი ხალში საუკუნეების მანძილზე ისე უვლიდა და ეფერებოდა „ვეფხისტყაოსანს“, როგორც მშობლიურ დედას, მამას, საკუთარ შვილებს. ძნელბედობის ჟამს პოემის ფიზიკური გადარჩენის ერთ–ერთი განმსაზღვრელი მიზეზი იყო ხალხის მიერ მისი ზეპირად ცოდნა. თუ ქართველი ერი იყო პოემის ფიზიკურად გადამრჩენი, თვითონ პოემაც გახლდათ საქართველოს გადამრჩენი. მარტივად, მაგრამ ბრძნულად ბრძანა ვაჟა-ფშაველამ: „საქართველო იგივე ვეფხისტყაოსანია და ვეფხისტყაოსანი საქართველო“.

ბუნებრივია, ქართველ ერს „ვეფხისტყაოსნისადმი“ თაყვანიცემის შეგნება დღემდე შემორჩა. აქ შეუძლებელია არ გაგახსენდეს პოლონელი მწერლის ვაცლავ კუბაცკის სიტყვები: „ბოლო ათეული წლის მანძილზე მრავალი ლიტერატურული იუბილე გვიზეიმია. მაგრამ არც დანტეს, არც შექსპირს, არც გოეთეს არ ღირსებია თავისი თანამემამულეთაგან ესოდენი თაყვანისცემა“.

შუა საუკუნეებში და შემდგომ პერიოდში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ან სტამბური წესით გამოქვეყნებული ტექსტის მეპატრონე ოჯახი კულტურულ ოჯახად ითვლებოდა. პოემას მზითვად ატანდნენ გასათხოვარ ქალიშვილს. დამხვედრი ოჯახიც ამაყობდა ასეთი რძლით. ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ ასეთი ლექსი შემოგვინახა:

„ქალი მყავდა მშვენიერი,
თავმორთული, კაოსანი,
გავათხოვე, გავატანე
ჩემი ვეფხისტყაოსანი.
წაეკითხათ, ვერ გაეგოთ,
თურმე იყვნენ ვიროსანი.
ისევ უკან დავიბრუნე
ჩემი ვეფხისტყაოსანი“.

მივაქციოთ ყურადღება: რუსთაველის პოემის მეპატრონემ ქალი ჩატოვა უმეცრების წუმპეში. „ვეფხისტყაოსანი“ კი უკანვე დაიბრუნა. რამხელა სიბრძნეა ჩაქსოვილი ამ მარტივად გამოთქმულ ლექსში.

რუსთაველით და მისი პოემით დაინტერესების კვალი მე-16 საუკუნემდელ ქართულ წყაროებში არ ჩანს. ხოლო XVI-XVIII საუკუნეების ქართულ სინამდვილეში რუსთაველის პიროვნებისადმი და ვეფხისტყაოსნისადმი ინტერესი ცხოველმყოფელ ხასიათს ატარებს (სერაპიონ საბაშვილი, თეიმურაზ პირველი, არჩილ ბაგრატიონი, ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეორე, ტიმოთე გაბაშვილი, დავით გურამიშვილი, ანტონ პირველი და ა.შ.).

რად ღირს შუა საუკუნეების მეორე დიდი პოეტის დავით გურამიშვილის სიტყვების გახსენება: „მე რუთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირსა“...

ან კიდევ:

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა ყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,

ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისკენაც მოირხეოდა,

ლექსი რუსთვლისებრ ნათქვამი მე სხვისი ვერ ვნახეო და“.

მართალია, „ვეფხისტყაოსანის“ მიწიერი სიყვარულით გამხჭვალვას ვერ ეგუებოდა დიდი ანტონ ბაგრატიონი (ანტონ პირველი, ანტონ კათალიკოსი), მაგრამ სიმართლისთვის თვალის გასწორებასაც ველარ გაურბოდა:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად!

ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის.

თუ სამ სწადოდა, ღმრთისმეტყველიცა მაღალ,

უცხო საკვირველ, პიიტიკოს – მესტიხე“...

XVII–XVIII საუკუნეები „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის ისტორიისთვის საგანგებო მნიშვნელობათა მატარებელია: XVII საუკუნის ქართულმა ლიტერატურულმა წყარომ დააფიქსირა პირველად, რომ პოემის შემქმნელს სახელად რქმევია შოთა: „ესენი (ვეფხისტყაოსნის გმირები) შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა“ (თეიმურაზ პირველი); XVII საუკუნიდან შემოგვენახა თხზულების უძველესი ხელნაწერი, რომელიც მამუკა თავაქალაშვილის მიერ გადაწერილია ზუგდიდში. ლევან დადიანის (II) სამთავრო კარზე 1646 წელს; 1712 წლიდან იწყება რუსთველოლოგიური მეცნიერების ისტორია, როდესაც დაიბეჭდა პირველად „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია, მას მეფე-კომენტატორმა დაურთო „თარგმანი“ ანუ ახსნა-განმარტებანი. იგი გამოკვლევის ხასიათს ატარებს. მასში ვახტანგ მეექვსე შეეხო პოემის ფაბულის წყაროს საკითხს და ეჭვმიუტანლად დაასაბუთა, რომ ფაბულა ორიგინალურია და არაა სპარსულიდან გადმოღებული; ასევე, „კომენტარებში“ რუსთაველი აღიარებულია ქრისტიან პოეტად; გარდა ამისა, პოემის მიჯნურობა გამოცხადებულია საღვთო სიყვარულად ანუ იგი გახვეულია ალეგორიულ-მისტიკური გააზრების სამოსელში.

ზემოთ პოემის უძველესი ხელნაწერი ვახსენეთ. ჩვენამდე მოღწეულია „ვეფხისტყაოსნის“ 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი. ყველა ეს ხელნაწერი და ფრაგმენტი აღწერილია სარგის ცაიშვილის მიერ. სამწუხაროდ, ავტოგრაფულ ხელნაწერზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი ჩანს. ეს ხელნაწერები საუკუნეებით არის დაშორებული პოემის შეთხზვის ხანას, რამაც განაპირობა მათი წარყვნა დროთა მანძილზე. ამიტომაც რუსთველოლოგიაში დღემდე პრობლემად რჩება მათი გაცხრილვა და დედანთან მიახლოებული ტექსტის დადგენა. ტექსტის კრიტიკული განჩხეკა და დადგენა პირველად ვახტანგ მეექვსემ სცადა. აქვე უნდა დასახელდეს XIX საუკუნის 70-80–იან წლებში შექმნილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიც შედიოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ი. მეუნარგია და სხვა. მათ მიერ დადგენილი ტექსტი დაიბეჭდა 1888 წელს. დიდი შრომა გასწია 1969 წელს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში შექმნილმა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (ა. შანიძე, ა. ბარამიძე, გ. წერეთელი, ს. ცაიშვილი და სხვ.) ცხადია, დასახელებული კომისიების მუშაობას უხარვეზოდ არ ჩაუვლია.

როგორც უკვე ითქვა, „ვეფხისტყაოსანი“ სტამბური წესით პირველად გამოქვეყნდა თბილისში 1712 წელს, ვახტანგ მეექვსის რედაქციით და კომენტარებით („თარგმანით“). ვახტანგისეულ გამოცემას უსწრებს მხოლოდ ოციოდე ხელნაწერი. ისტორიამ შემოინახა 1712 წლის გამოცემის მხოლოდ 20 ცალი. მათგან ერთი ცალი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება, ერთი ცალი კი – პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში. პეტერბურგშივე განხორციელდა 1841 წელს პოემის მეორე ბეჭდური გამოცემა, მარი ბროსეს, ზაქარია ფალავანდიშვილის და დავით ჩუბინაშვილის რედაქციით. ამ გამოცემის წინასიტყვის თანაავტორი, მთავარი კონსულტანტი და ტექსტის დადგენის საქმეში აქტიური მონაწილე ყოფილა თეიმურაზ ბაგრატიონი.

დღემდე ქართულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ 100-ზე მეტი გამოცემა არსებობს, რომელთა შორის უნდა დასახელდეს საიუბილეო და აკადემიური გამოცემები, ცალკეულ რუსთველოლოგთა მიერ საკუთარი რედაქციით შესრულებული პუბლიკაციები: დავით კარიჭაშვილის რედაქციით, იუსტინე აბულაძის რედაქციით, სარგის კაკაბაძის რედაქციით, კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, პავლე ინგოროყვას რედაქციით, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით და ა.შ. ყურადღებას იქცევს ნოდარ ნათაძის მიერ შესრულებული სასკოლო გამოცემა.

არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ორი რედაქცია: ვრცელი რედაქცია, მოკლე რედაქცია. პოემის ვრცელი რედაქციული ტექსტი დაუცავს ძველ ხელნაწერებს, მოკლე კი ვახტანგისეულ გამოცემას. აღორძინების პერიოდში რუსთაველის თხზულებას გამოუჩნდნენ ინტერპოლატორები (ყალბისმქნელები) თუ გამგრძელებელნი: ნანუჩა ციციშვილი, ვინმე მესხი მელექსე. იოსებ თბილელი (სააკაძე), გიორგი თუმანიშვილი. სხვათა ვინაობა უცნობია. არჩილ ბაგრატიონმა მოგვცა ერთ-ერთი მათგანის ამომწურავი დახასიათება, რაც შეგვიძლია გავავრცელოთ ყველა დანარჩენ ინტერპოლატორზე:

„ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია.
მასთან რას სწერდა მის ლექსსა, სარეგვნე მით მორევია.
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორევია“.

ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებანი: „ხვარაზმელთა ამბავი“, „გმირთა სიკვდილის ამბავი“, ასევე გაგრძელებათა გაგრძელება „ომანიანის“ სახით. პოემის გაგრძელებად იყო მიჩნეული „ინდო-ხატაელთა ამბავიც“. სათანადო კვლევებით დადასტურდა, რომ „ინდო–ხატაელთა ამბავი“ ბუნებრივი რგოლია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური მწკრივისა. ამ რგოლის ამოვარდნა უსათუოდ დაარღვევდა მწკრივის მთლიანობას და უწონასწორობას შეიტანდა ამბის განლაგებაში. შინაარსობრივად „ინდო-ხატაელთა ამბავი“ ვეფხისტყაოსნის ორგანული ნაწილია, ნაგულისხმევია წინა ეპიზოდებით და საერთო მწყობრიდან გამოურიცხავია“ (ალ. ბარამიძე). ეტყობა, ვახტანგ მეექვსეს „ინდო-ხატაელთა ამბავი“ რუსთაველის კუთვნილებად არ მიაჩნდა. ამიტომაც მან ვერ ჰპოვა ადგილი პოემის 1712 წლის გამოცემაში. ინდო-ხატაელთა ამბის სრული ტექსტი ხელნაწერებით ნაანდერძევი პირველად გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ. ამ ეპიზოდს ვეფხისტყაოსნის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა კ. ჭიჭინაძეც. ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (ალ. ბარამიძის ხელმძღვანელობით) „ინდო-ხატაელთა ამბავი“ დააბრუნა პოემის ტექსტში.

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის ისტორია 1802 წლიდან იწყება, როდესაც ევგენი ბოლხოვიტინოვმა გამოაქვეყნა თხზულების პირველი სტროფის რუსული სიტყვა–სიტყვითი თარგმანი. აქედან მოკიდებული დღემდე პოემა მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ებრაულ, სპარსულ, რუსულ, ესპანურ, იტალიურ, ბერძნულ, რუმინულ, ჩეხურ, უნგრულ, იაპონურ, ჩინურ, სომხურ, ლიტვურ, უკრაინულ, პოლონურ, აფხაზურ და სხვა ენებზე. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ რამდენიმეჯერ ითარგმნა. მაგალითად, ინგლისურ ენაზე ოთხჯერაა თარგმნილი (მარჯორი უორდროპი, რობერტ სტივენსონი, ვივიანი, ვენერა ურუშაძე), ფრანგულ ენაზე ნაწარმოები თარგმნეს მარი ბროსემ, იონა მეუნარგიამ, გიორგი გვაზავამ (ანი მარსელი პაონთან ერთად) სერგი წულაძემ და სხვ. გერმანულ ენაზე: არტურ ლაისტი, ჰუპერტი, ბუდენზიგი; რუსულ ენაზე არსებობს ი. ბარტდინსკის (გრიგოლ დადიანის დახმარებით და დავით ჩუბინიშვილის მონაწილეობით), ა. აბაშიძის, კ. ბალმონტის, ნ. ზაბოლოცკის, ა. პეტრენკოს, შ. ნუცუბიძის და სხვათა თარგმანები. ამ მხრივ უნდა დასახელდეს: აფხაზური, სომხური, ჩინური, უნგრული... ენები.

ათეულობით წლების მანძილზე რუსთველოლოგთა გარკვეულმა ნაწილმა დიდი ენერგია შეალია პოემის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების კვლევას („ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, დაწერის თარიღი, ფაბულის წყაროს საკითხი).

შოთა რუსთაველზე ბიოგრაფიული ცნობები არ შემოგვენახა. ამის უმთავრეს მიზეზად სახელდება: თამარის დროინდელი საქართველოს ძლიერება დაამხეს ჯერ ხვარაზმელების, შემდეგ მონღოლების გამანადგურებელმა შემოსევებმა, რასაც ემსხვერპლა რუსთაველის ბიოგრაფიული მასალები. მიუხედავად ამისა, არსებობს რიგი წყაროებისა, რომელთა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება ჩვენი დიდი პოეტის ბიოგრაფიული მომენტების აღდგენა-დაზუსტება. პოემის პროლოგსა და ეპილოგში ავტორი წოდებულია „რუსთველად“, ხოლო პოეტის სახელი შოთა დადასტურებულია XVII საუკუნის ლიტერატურული წყაროში. თეიმურაზ პირველის გამოთქმით: „ესენი შოთა რუსთაველმან შეამკო არსთა მკობითა“. დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ დიდი შემოქმედი წარმოშობით იყო არა თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავიდან, არამედ მესხეთის რუსთავიდან.

მრავალი მეცნიერი არკვევდა რუსთაველის დაბადების თარიღს, რომელთაგან სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს პ. ინგოროყვას, ს. კაკაბაძის, ს. ცაიშვილის თვალსაზრისები. ს. ცაიშვილის თანახმად, პოეტიდაბადებული უნდა იყოს 1163-1165 წლებში. თითქმის იგივე აზრისაა ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვას მტკიცებით, „ვეფხისტყაოსნის" ავტორის დაბადების თარიღია 1166 წელი. სწორედ ეს გაითვალისწინეს, როდესაც მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა 1966 წელს რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავი, მიმდინარე 2016 წელს აღინიშნება 850 წლის იუბილე.

შოთა რუსთაველზე უტყუარი ცნობები შემოგვინახა პალესტინის ქართველთა ჯვარის მონასტერმა. ერთ-ერთ სვეტზე მოცემულია პოეტის ფრესკული გამოხატულება მაქსიმე აღმსარებელთან და იოანე დამასკელთან ერთად. აქვეა წარწერაც: „ამის დამხატავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთან.ამინ. რუსთველი". ამავე მონასტერში დაცულია აღაპთა წიგნი, სადაც ვკითხულობთ: „ამასავე ორშაბათსა აღაპი შოთაჲსი მეჭურჭლეთ უხუცესისაჲ, ვინცა შესცვალოს შე-მცა-ცვალებულ არს რჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა". მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ წარწერაში და აღაპთა წიგნში მოხსენებული „შოთა რუსთველი" და „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი" ერთი და იგივე პიროვნებაა, რომელმაც შექმნა „ვეფხისტყაოსანი". სწორედ ჯვარის მონასტერში დაცული მასალები აღმოჩნდა მკვლევართათვის მაორიენტირებელი, სტიმულისა და ტონის მიმცემი დიდი შოთას – თორელობის, რუსთველობის და მეჭურჭლეთუხუცესობის გასარკვევად თუ შესასწავლად.

დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ პოემის ავტორი არის თამარის დროის დიდი პოლიტიკური მოღვაწე შოთა რუსთაველი. თამარის დროსვე მომხდარა მისი აღზევება მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობაზე. იგი წარმომადგენელი იყო თორელთა ფეოდალური სახლისა (ნ. შოშიაშვილი, ს. ცაიშვილი, რ. ფირცხალაიშვილი, მ. ჭანაშვილი, ს. კაკაბაძე): „იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალებმა უეჭვოდ დაადასტურა შოთა რუსთაველის მეჭურჭლეთუხუცესობა, ხოლო მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ორიენტირმა კი რუსთველოლოგია სწორედ თორელთა საგვარეულო სახლამდე მიიყვანა. გარკვეული იქნა, რომ მეჭურჭლეთუხუცესის სახელო თამარის დროს თორელთა საგვარეულოს წარმომადგენლებს სჭერიათ, ხოლო თამარის შემდეგ XIII საუკუნეში ამ სახელოს მქონებლად სხვადასხვა დროს გვევლინებოდნენ ორი დიდი ფეოდალური სახლის შვილნი – თორელნი ან ჯაყელნი" (რ. ფირცხალაიშვილი).

გაირკვა, რომ პოემის ავტორი ყოფილა ჭიაბერ თორელის ვაჟი. ჭიაბერი იყო გიორგი მესამის მეჯინიბეთუხუცესი და თამარ მეფის მანდატურთუხუცესი. მესხეთში თორი ერქვა დიდ ფეოდალთა სამამულო ადგილს. პოეტმა ზედწოდება რუსთველობა მიიღო თორშივე შემავალ სოფელ რუსთავისაგან, რომელიც მას, ალბათ, როგორც თორელთა საგვარეულო წევრს, სამამულედ ებოძა (ს. ცაიშვილი). ფიქრობენ, რომ ჭიაბერის ვაჟი შოთა თორელი მეჭურჭლეთუხუცესად დაუნიშნავთ 1205-1220 წლებში (ს. ცაიშვილი).

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნიდან წერილობით წყაროებში, რომელსაც მხარს უჭერს ზეპირი ხალხური გადმოცემებიც, „ვეფხისტყაოსნის" ავტორი იხსენიება თამარ მეფის მდივნად, კარის პოეტად, „მწერალთა უხუცესად", ისტორიკოსად, ღვთისმეტყველად, მოლარეთუხუცესად, მეჭურჭლეთუხუცესად, ზოგან-ვაზირად.

რუსთაველი თავადვე გვარკვევს იმაში, რომ მას სხვა ნაწარმოებებიც ექნებოდა დაწერილი: „მოშაირე არა ჰქვიან თუ სადმე თქვას ერთი, ორი, თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი". ამასთან დაკავშირებით გამოითქვა კიდეც მოსაზრებანი: ანტონ ბაგრატიონის მიხედვით, რუსთაველი იყო „გამომთქმელი მეფის თამარის ცხოვრებისა". ივ. ლოლაშვილს სჯერა ანტონ კათალიკოსის მოცემული გამონათქვამის ავთენტურობისა. მკვლევარი რუსთაველს მიაწერს ცნობილ საისტორიო ძეგლს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". მიხ. წერეთლის თანახმად, რუსთაველი ხომ არ უნდა მივიჩნიოთ „ისტორიათა და აზმათა" პირველი ნაწილის ავტორად. კ. გრიგოლიას ვარაუდით, არსებობდა ჩვენამდე მიუღწეველი რომელიღაც ისტორიული თხზულება, რომელიც უნდა შეექმნა ჩვენს დიდ პოეტს. ნიკო მარი რუსთაველს აიგივებდა ჩახრუხაძესთან და მას თვლიდა „თამარიანის" ავტორადაც. ამავე აზრისანი არიან მარი ბროსე, მ. ჯანაშვილი, ზ. გამსახურდია. დავით ჩუბინიშვილი რუსთაველს მიაწერდა ორ იამბიკოს: „ცასა ცათასა", „ქალწულებრივთა სისხლთა". პ. ინგოროყვა პოეტს მიაკუთვნებდა კიდევ ორ თხზულებას: „ქებანი", რო-

მანი იოსებ მშვენიერზე. სამეცნიერო ლიტერატურაში არც ერთი ეს მოსაზრებანი არ არის გაზიარებული.

აქვე შეუძლებელია ერთ გარემოებაზე ყურადღების გაუმახვილებლობა: 1942 წელს ქ. მარსელში გამოვიდა ფრანგულ ენაზე ორიენტალისტ ფრანც ტუსენის წიგნი „სიყვარულისა და ომის ისლამური სიმღერები". მასში თავმოყრილია სხვადასხვა ისლამური ქვეყნის პოეტთა ლექსების ფრანგული პროზაული თარგმანები. ტექსტები ნათარგმნია არაბულიდან. აქვეა განყოფილება – „საქართველოს სიმღერები", სადაც მოთავსებულია ოთხი ავტორის (თავადი ზუმელი – „ვარდი"; შავთელი – „დაბრკოლება", რუსთველი – „ვეფხის ტყავი" – ნაწყვეტის სახით; ანონიმი ავტორის – „ღამე") თითო ლექსი. ტუსენის წიგნის ქართული მასალები ფრანგულიდან გადმოაქართულა და საინტერესო ნარკვევის დართვით გამოაქვეყნა მიხ. მამულაშვილმა. გაირკვა, რომ „ვეფხის ტყავს" „საერთო არაფერი გააჩნია „ვეფხისტყაოსნის" შინაარსთან.

„ვეფხისტყაოსნის" დაწერის ზუსტი თარიღი უცნობია. გამოთქმულ ურთიერთგამომრიცხველ მოსაზრებათაგან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა 1189-1207 წლები. ამის გარკვევის საშუალება რუსთველოლოგებს მისცა პოემის პროლოგმა და ეპილოგმა, სადაც პოეტის ქების ობიექტად მოიხსენიებიან თამარ მეფე და დავით სოსლანი, როგორც ფიზიკურად ცოცხალნი. მათი დაქორწინების თარიღია 1189 წელი. დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს. ამდენად, პოემა იწერება თამარისა და დავითის შეუღლებიდან ანუ 1189 წლიდან, პირველი მათგანის ანუ დავით სოსლანის გარდაცვალებამდე – 1207 წლამდე.

„ვეფხისტყაოსნის" ფაბულის წყაროს საკითხმა რუსთველოლოგიაში წარმოშვა ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრებანი. ამის ამოსავალ პუნქტად გვევლინება პროლოგში მოცემული გამონათქვამი: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები". ამ ტაეპების შინაარსის პირდაპირი წაკითხვის შედეგად რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა ფაბულის ნასესხობას (ნიკო მარი, კ. ჭიჭინაძე, იუსტ. აბულაძე, მ. თოდუა, ი. მეუნარგია, იპ. ვართაგავა...), მეორე ნაწილი კი (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ს. ცაიშვილი, რ. სირაძე...) აღიარებენ ფაბულის ორიგინალობას. ამას სათავე ვახტანგ მეექვსემ დაუდო. პოემისათვის დართულ კომენტარებში ვახტანგმა აღნიშნა: „ეს ამბავი სპარსში არ არის... სპარსშიდა ეს ამბავი არსად იპოება... ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც თვითონ გააწყოო". ვაჟა–ფშაველაც მტკიცედ იცავდა ფაბულის ორიგინალობის საკითხს.

ა. ბარამიძე წერს: „სპარსული ამბის" მომიზეზებით რუსთაველმა გამოიყენა მსოფლიო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხერხი – სიუჟეტური შენიღბვის ხერხი, სიუჟეტის ხელოვნურად გაუცხოურების თუ გაუცნაურების ხერხი". საილუსტრაციოდ მეცნიერს მოაქვს სათანადო მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან (ფრანგ შარლ მონტესკიეს „სპარსული წერილები"; ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი").

პროლოგში ნათქვამს – „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები" ყველაზე სწორი ახსნა მოუძებნა რ. სირაძემ. მისი დაკვირვებით, „სპარსული ამბავი" არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ მასში მოიაზრება სპარსულ ლიტერატურულ სინამდვილეში გავრცელებული მხატვრული გამონაგონის ლიტერატურული ხერხი, ხოლო „ქართულად ნათარგმანები" ნიშნავსო მის გაგებას ქართულად, ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებას.

მარი ბროსემ პირველმა აღიარა „ვეფხისტყაოსნის" შინაარსის ალეგორიულობა, ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია. დავით ჩუბინაშვილი შეუდგა ისტორიული ანალოგიების დადგენას. მისი ინტერპრეტაციები გაიზიარეს დ. ბაქრაძემ, მ. ჯანაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ, დ. ბენაშვილმა. ზ. გამსახურდიამ. რაც შეეხება პ. ინგოროყვას, მან მოგვცა ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრის ამოხსნის ორიგინალური ცდა – ეს არის ტარიელის თავგადასავლის მიხედვით რუსთაველის ბიოგრაფიული საკითხების გადაწყვეტა. ა. ბარამიძემ არ გაიზიარა ვეფხისტყაოსნის ალეგორიული ინტერპრეტაციები.

პირველად ალ. ხახანაშვილმა მიიჩნია ვეფხისტყაოსნის წყაროდ ხალხური „ტარიელიანი". ამ თვალსაზრისმა მწარე კრიტიკა იწვნია ვაჟა–ფშაველას მხრიდან. ალ. ხახანაშვილის გზას მტკიცედ დაადგა მ. ჩიქოვანი. დღეისათვის მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ხალხური „ტარიელიანი" მკრთალი ანარეკლია ვეფხისტყაოსნისა, ის აგებულია რუსთაველის პოემის მასალაზე.

საერთოდ, რუთველოლოგიური მეცნიერების კვლევის თანამედროვე ეტაპზე შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულაც რუსთაველს ეკუთვნის, ორიგინალურია და არსაიდან ნასესხები არ არის, რითაც დაგვირგვინდა ჯერ კიდევ 1712 წელს ვახტანგ მეექვსის მსჯელობის სისწორე და სიმართლე.

„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ იგი შედგება პროლოგისაგან („დასაწყისი“), საკუთრივ პოემისაგან (თხრობა, ამბავი) და ეპილოგისაგან („დასასრული“). პროლოგსა და ეპილოგზე არაერთგვაროვანი შეხედულებანი არსებობდა. ზოგიერთი მკვლევარი მათ სრულ სიყალბედ თვლიდა (დ. კარიჭაშვილი, ალ. სვანიძე). ალ. სარაჯიშვილი პროლოგს უწოდებდა რუსთაველის პოეტურ აღსარებას, პოემის ახსნას და კლიტე–გასაღებს. განსაკუთრებულია პროლოგის მნიშვნელობა პოემის ლიტერატურულ–ისტორიული საკითხების გადასაწყვეტად და ავტორის ლიტერატურულ–ესთეტიკური კონცეფციების გამოსარკვევად.

რუსთაველმა პროლოგში ჩამოაყალიბა თავისი თეორია–შეხედულებანი პოეზიაზე და მიჯნურობაზე. შაირობა ანუ პოეზია გამოაცხადა სიბრძნის დარგად, აქცენტი გააკეთა მის შემეცნებით მნიშვნელობაზე, უტილიტარულ–აღმზრდელობით ღირებულებაზე, საღმრთო და საამქვეყნო დანიშნულებაზე, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელზე; განმარტავს პოეზიის სპეციფიკას („გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“...); გვიხასიათებს ეპიკოს და ლირიკოს პოეტებს, საუბრობს „მესამე ლექსის“ რაობაზე, მელექსეთა სამ კატეგორიაზე. ლექსის შესაქმნელად აუცილებელ კომპონენტებზე (ენა, გული ანუ გრძნობა, ხელოვნება ანუ ოსტატობა და გონება), აფიქსირებს ეპიკური ჟანრის უპირატესობას („მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“).

რუსთაველს მიჯნურობა პოეზიის საგნად და პოეტური შთაგონების ობიექტად მიაჩნია. პოეტი ერთმანეთისაგან განასხვავებს საღმრთო სიყვარულს („მიჯნურობა პირველი“) და საამქვეყნო, მიწიერ მიჯნურობას, ხორციელ სიყვარულში ერთმანეთს უპირისპირებს ზნეობრივ ანუ საღმრთოს მიმსგავსებულ მიჯნურობას და სიძვა–მრუშობას. პოეტი აყალიბებს მიჯნურთა „ზნეობის“ დამახასიათებელ ნიშნებს ანუ სამიჯნურო ზნეობა–თვისებათა მთელ კოდექსს, განსაზღვრავს სარაინდო მიჯნურობის წესებს (ა. ბარამიძე).

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეურ–თემატიკური მოტივებიდან უპირველეს ადგილს სწორედ სიყვარული იკავებს. პოემის მთავარ პერსონაჟთა წყვილი – ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი დამუხტულნი არის სიყვარულის ამამაღლებელი გრძნობით, რომლის თანამდევია თავგანწირულობის იდეა. სიყვარულთან ერთად პოემას მსჭვალავს ძმობა–მეგობრობის, ძმადნაფიცობის, პატრიოტიზმის წამყვანი მოტივები. პერსონაჟთა ძმობა–მეგობრობა ამაღლებული და გადაზრდილია ხალხთა მეგობრობის იდეამდე. მთავარი პერსონაჟები მშობლიური ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის იბრძვიან. პოემის გმირებს თანაბარი გრძნობით უყვართ როგორც თავიანთი სამშობლო, ისე ძმადნაფიცების ქვეყანა.

რუსთველოლოგიის ერთ–ერთ უმთავრეს პრობლემატიკას ჩვენი უდიდესი პოეტის მსოფლმხედველობის შესწავლა წარმოადგენს (სოციალურ–პოლიტიკური შეხედულებები, რელიგიურ–ფილოსოფიური შეხედულებები...). ავტორის სოციალური შეხედულებანი ნათლად წარმოჩნდა პატრონყმური სინამდვილის, პატრონყმობის ინსტიტუტის ასახვისას.

სწორადაა შენიშნული, რომ რუსთაველი გამოკვეთილად არ ავლენს რომელიმე რელიგიისადმი თავის მიდრეკილებას, იგი არც რელიგიის დოგმატურ–საწესო ფორმების გამომხატველია, თუმცა გულგრილადაც არ ეკიდება სარწმუნოებრივ – აღმსარებლობით საკითხებსაც.

მკვლევარნი არ იჩენდნენ ერთსახოვან მიდგომას პოეტის რელიგიური განწყობის მიმართ. რას არ სწამებდნენ მას: რუსთაველი იყოო წარმართი, მაჰმადიანი, მანიქეველი და ა.შ. პირველად ვახტანგ მეექვსემ სწორად განჭვრიტა თავის „თარგმანში“ ანუ კომენტარებში, რომ პოემის ავტორი უწინარესად იყო ქრისტიანი შემოქმედი. „ვეფხისტყაოსანის“ საფუძვლიან გაცნობას მიყვავართ დასკვნამდე, რომ მისი ავტორი ყოფილა ქართულ ბიბლიაზე აღზრდილი, ქართული სასულიერო მწერლობის მცოდნე. მართალია, ნაწარმოებში არ იხსენიება ქრისტე–მაცხოვარი, არც ღვთისმშობელი თუ ქრისტიანი წმინდანები. მაგრამ პოეტის მიერ მოხმობილი ქრისტიანული ცნებები („ერთ–არსება ერთი“, „უჟამო ჟამი“, „მზიანი ღამე“) აშკარად მეტყველებს მის ქრისტიანობაზე: „ერთ–არსება ერთი“ ხომ სამებას გულისხმობს, „უჟამო ჟამი“ და მზიანი ღამე“ ქრისტეს

ორბუნებოვნების გამომხატველია. პოემაში ფიგურირებს სააღდგომო დღესასწაული (მოედანს დავდგი კარვები წითლისა ატლასებისა, მოვიდა სიძე, გარდახდა, დღე ჰგვანდა, არს აღვსებისა: „აღვსება“ ძველი ქართულით აღდგომას ნიშნავს).

რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი „ვეფხისყაოსანში“ პოულობს არეოპაგიტული ქრისტოლოგიის ზემოქმედების ნაკვალევს. არეოპაგიტიკის ავტორს იმოწმებს კიდეც პოეტი: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს. ღმერთი კარგსა მოავლინებს, ავ–ბოროტსა არ დაბადებს“ „ბრძენი დივნოსი“ სწორედ ფსევდო–დიონისე არეოპაგელია. „ვეფხისტყაოსანში“ უდიდესი ფილოსოფოსი ანტიკური ხანისა პლატონიცაა ნახსენები: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა–თქმულსა“...

მ. გოგიბერიძის, პ. ინგოროყვას მიხედვით, შოთა რუსთაველს შესაძლებლად მიაჩნია შეათავსოს და შეათანხმოს ქრისტიანიზმის იდეები ფილოსოფიასთან, სხვა ფილოსოფიურ–რელიგიურ მოძღვრებათა იდეებთან. შ. ხიდაშელს პანთეიზმი მიაჩნია ვეფხისტყაოსანში ასახული ჰუმანიზმის ფილოსოფიურ თეორიად. ინგლისელი მორის ბაურაც მიიჩნევს, რომ რუსთაველი ახლოსაა პანთეიზმთან. შ. ნუცუბიძე თვლის, რომ პოეტი თანმიმდევრულად ავითარებს პანთეისტური მატერიალიზმის თვალსაზრისს, ზოგიერთი მკვლევარი რუსთაველს პლატონიკოსად მიიჩნევს, ზოგიერთი–ნეოპლატონიკოსად, ზოგიერთი კი – არისტოტელიკად.

სამართლიანად არის მიჩნეული რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძვლად ჰუმანიზმი. ა. ბარამიძე წერს: „ჰუმანისტურია რუსთველის მოძღვრება ზნეობაზე და მისი ეთიკური იდეალები. ჰუმანისტურია რუსთველის სოციალურ–პოლიტიკური შეხედულებანი; ჰუმანისტურად წყვეტს პოეტი ქალთა საკითხს; ჰუმანისტურად აისახა ვეფხისტყაოსანში ძმადნაფიცობა, სამშობლოს სიყვარული, ხალხთა მეგობრობა, მიწიერი სიყვვარული. პოეტის მხრიდან ენის ხალხურობისკენ მიდრეკილებაც განსაზღვრავს მის ჰუმანისტურობას“.

ნ. ზაბოლოცკის ენით რომ ვთქვათ, ევროპულ რენესანსამდე დიდი ხნით ადრე რუსთაველმა ადამიანებს აუწყა ახალი ჰუმანისტური მორალის საწყისები. აქედან გამომდინარე, რუსთაველი აღიარებულ იქნა ადრეული რენესანსის („ქართული რენესანსის“) წარმომადგენელ პოეტ–მოაზროვნედ. ფართოდ არის ცნობილი შ. ნუცუბიძის თეორია ალმოსავლური რენესანსის შესახებ, რომლის მწვერვალად დიდი მეცნიერი მიიჩნევდა ქართულ რენესანსს.

მიმზიდველია რუსთაველის ენა. აკ. შანიძეს მსოფლიო ლიტერატურული ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“ უპირველესად ქართული ენის დოკუმენტად ესახება, რომელიც მაჩვენებელია გარკვეული ეტაპისა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. პოემა შეიცავს 45000 –მდე სიტყვას. სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანად არის შესწავლილი რუსთაველის პოეტიკაც, ესთეტიკაც, მხატვრული ენის თავისებურებანი (მეტაფორა, ეპითეტი, პოეტური შედარება, განმეორება...).

რუსთაველმა დააკანონა შაირის ორი ძირითადი სახე – მაღალი და დაბალი შაირი, რომელიც თექვსმეტმარცვლიანი ლექსია. ორივე შაირის რიტმულ წყობას შესაფერისად ამკობს სათანადოდ განსხვავებული რითმები.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლად არის შესწავლილი შოთა რუსთაველის მიმართება ქართულ ბიბლიასთან, ქართულ სასულიერო მწერლობასთან, „ამირანდარეჯანიანთან“, „ვისრამიანთან“, სახოტბო პოეზიასთან („თამარიანი“, „აბდულმესიანი“). როგორც შენიშნულია, „რუსთაველმა სავსებით დაძლია და გადალახა საეკლესიო – სარწმუნოებრივი აზროვნება და შექმნა საერო–ჰუმანისტური პოეზიის უკვდავი ძეგლი, იგი სრულიადაც არ თაკილობდა ძველ–ქართულ სასულიერო მწერლობას და ერთგვარად დავალებულია კიდევაც ამ მწერლობის საუკეთესო ნიმუშებისაგან. განსაკუთრებით ეს ითქმის ძველ–ქართულ შესანიშნავ სასულიერო პოეზიაზე“ (ა. ბარამიძე).

ასევე საფუძლიანად არის დამუშავებული და შესწავლილი რუსთაველის მახლობელი წინამორბედნი და თანამედროვენი მსოფლიო ლიტერატურაში (ფირდოუსის „შაჰ–ნამე“, ნიზამი განჯელის „ლე%ილმაჯნუნიანი“, „ხოსროკშირინიანი“). ყურადღება გამახვილებულია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი მოტივის მსგავსებაზე შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში („სიმღერა როლანდზე“, „სიმღერა სიდზე“, სიმღერა ნიბელუნგებზე“, „პარციფალი“, კრეტიენ დე ტრუას „ლანსე-

ლოტი“, „ტრისტან და იზოლდა“). ლუი არაგონის თქმით, „ვეფხისტყაოსანი“ საშუალო საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალია ყოველგვარი მისტიკისაგან და, აღორძინების ეპოქის ქმნილებათა მსგავსად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას“.

რუსთაველი იყო არა მხოლოდ დიდი პოეტი და ჰუმანისტი, არამედ მეცნიერი–მოაზროვნეც. პოემის ავტორი არა მარტო თავისი დროის მეცნიერებათა დონეზე დგას, არამედ არაერთ საკითხში წინ უსწრებს და გენიალურ პროგნოზებს იძლევა. პოეტი ღრმად იცნობს ანტიკურ, ინდურ, არაბულ ფილოსოფიას და ლიტერატურას, დაკვირვებული ვარსკვლავთმრიცხველია (ჰელიოცენტრისტული გაგება ახასიათებს), იცის მედიცინა, მსოფლიო გეოგრაფია, ზღვაოსნობა, ეთნოგრაფია.. (გ. ჯიბლაძე).

გ. თევზაძემ თავის საინტერესო მონოგრაფიაში – „რუსთაველის კოსმოლოგია“ საყურადღებო დასკვნებში გაგვარკვია: შვედმა მეცნიერმა ტიხო დე–ბრაჰემ XVI საუკუნეში ჩამოაყალიბა სამყაროს აგებულების ზუსტად ისეთივე გეო–ჰელიოცენტრისტული მოდელი, როგორიც რუსთაველმა მასზე 400 წლით ადრე შექმნა. რუსთაველმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად დააყენა და არსებითად მეცნიერელად გადაწყვიტა საკითხი მნათობთა მოძრაობის მიზეზთა შესახებ. მას სწორად ჰქონდა გაგებული მსოფლიოს მიზიდულობის კანონის არსი და მზეში დაინახა ის ძალა, რომელიც მნათობებს აიძულებს თავიანთი ენერგიული მოძრაობის ხაზიდან გადაუხვიონ და მზის გარშემო იმოძრაონ. რუსთაველს არსებითად იმგვარადვე ჰქონდა წარმოდგენილი პლანეტების მრუდწრიული მოძრაობის მიზეზები, როგორაც ეს ნიუტონს და მისი მეოხებით თანამედროვე მეცნიერებას აქვს წარმოდგენილი.

რუსთაველი არა მხოლოდ თავისი ეპოქის შვილია, არამედ ჩვენი თანამედროვეც არის. „ვეფხისტყაოსანი“ ეროვნული ძეგლიც არის და ზოგადკაცობრიულიც. გ. ჯიბლაძის თქმით „შუა საუკუნეების მწუხრიდან რუსთაველი ღაღადებს მომავალი რენესანსული ეპოქის მოწინავე იდეებს და არსებითად მის სახელს უკავშირდება ევროპული მასშტაბით ახალი დროების მოახლოება. არც ერთ იმდროინდელ მსოფლიო მწერალს იმდენი არ უთქვამს რენესანსის, მოსაახლოებლად, რამდენიც რუსთაველს.

„ვეფხისტყაოსნის“ ეროვნული იდეები, სიყვარულის გრძნობა, ძმადნაფიცობა, ჰუმანიზმი, მორალური სისპეტაკე, სათნოება. ოპტიმისტური განწყობა, გმირობა, მოყვასისათვის თავდადება... შთამაგონებელი და ჭეშმარიტი ადამიანობისაკენ მომწოდებელია თანამედროვე ქართველი საზოგადოებისათვის. ამასთანავე, პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიოს ხალხებისათვის. სწორადაა შენიშნული თავის დროე, რომ რუსთაველი ლიტერატურული მეტყველებითაც ჩვენი თანამედროვეა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ არქაული გამოთქმების გარკვეულ ნაწილს, ასევე ბარბარიზმებს, მთელი პოემა თანამედროვე სალიტერატურო ენით დაწერილი გვევლინება.

## ნიშაცნი ხაჩანგლათენი

(გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში)

2015 წელს თბილისში დაისტამბა ლუარა სორდიას მორიგი წიგნი – „მადლშემოსილი“ (გულნაზ ხარაიშვილის სულის გალობა). ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლუარა სორდია ქართულ ლიტერატურისმცოდნეობით სივცეში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი, პროდუქტიული მეცნიერი. უწინარესად, სახელმოხვეჭილი აღმოჩნდა მისი მონოგრაფიები გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე. ეს წიგნები გალაკტიონმცოდნეობაში განუმეორებელ ადგილს იკავებენ და ამ ბუმბერაზი პოეტის სახელის თანამდევად დარჩებიან მუდამ. ასევე, ლუარა სორდიამ ღრმამეცნიერული წიგნები და ნაშრომები, წერილები და სტატიები მიუძღვნა შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ტერენტი გრანელის, კონსტანტინე გამსახურიას, გრიგოლ რობაქიძის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჭილაძის, ანა კალანდაძის, რევაზ მიშველაძის, გოდერძი ჩოხელის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას შემოქმედებათა სხვადასხვა რაკურსით შესწავლას.

ლუარა სორდია თავის გამოკვლევებში ავლენს მისაბაძ ეროდიციას და განსწავლულობას

ბიბლიაში, ღვთისმეტყველებაში, შუა საუკუნეების ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში, XIX-XX საუკუნეების ქართულ სიტყვიერ კულტურაში, აღმოსავლეთის ხალხების თუ ევროპულ მწერლობაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში, რენესანსულ კულტურაში და ა.შ. პირველი მონოგრაფიის გამოქვეყნებიდანვე მხიბლავდა და მაოცებდა ლუარა სორდიას მეცნიერული კვლევის სიღრმე და მასშაბურობა. იგი გახლავთ: ქალი – დედა, ქალი – ბებია, ქალი – მეუღლე, ქალი – დიასახლისი, ქალი – ლექტორი, ქალი – პროფესორი, ქალი – მეცნიერებათა დოქტორი, ქალი – რამდენიმე საერო-დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი... ყოველივე ამის წარმატებული თავსებადობა ბადებს სწორედ იმ ხიბლსა და გაოცებას, რაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

„მადლშემოსილის" ავტორზე ზოგადად საუბარს იმიტომ მივმართე, რომ მკითხველმა (ვინც ლ. სორდიას მეცნიერულ პროდუქციას არ იცნობს) ნათლად წარმოიდგინოს, თუ ვინ არის ქვემოთ საანალიზო წიგნის დამწერი, ვისი კალამი შეეხო გულნაზ ხარაიშვილის ნატიფი ლირიკისნაირ თემატიკას. ეს არ არის დასახელებული პოეტის შემოქმედებაზე შექმნილი პირველი წიგნი. განსაკუთრებით გამოვყოფდით სერგი ლომაძის მონოგრაფიას.

ერთი სიტყვით, ლუარა სორდიამ ქართველი კლასიკოსების ბუმბერაზი მთებიდან ჩამოიაკა და საგულისხმო სიტყვა თქვა, მართალია, არაკლასიკოს, მაგრამ მეტად საინტერესო შემოქმედზე. გულნაზ ხარაიშვილი ქართველი ინტელიგენციის ბაჯაღლო ბეჭედში ჩასმული ბადახშივით მოჩანს. მის თავზე, როგორც იტყვიან, წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ამ უკუღმართ წუთისოფელში რა სიდუხჭირე არ გამოუცდია: შვილის ნაადრევი წასვლა ამქვეყნიდან, ძმების დაღუპვა, მეუღლის გარდაცვალება.. თუმცა არც ფიზიკურად გატეხილა და არც სულიერად. „სოფლის უკუღმა ტრიალში" დაუშრეტელი ენერგიით წაღმა აბრუნებს ბედის ბორბალს. აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში, ფუტკარივით შრომობს და იღწვის. სანთელივით იწვის, ილვენთება და ანათებს.

გულნაზ ხარაიშვილი ჩინებული პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწეა. იგი გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ამავე აკადემიიის მხატვრული და სამეცნიერო ყოველკვარტალური ჟურნალ „ათინათის" დამფუძნებელი და რედაქტორი, რამდენიმე ტომად გამოცემული „ანთოლოგიის" შემდგენელი და რედაქტორი, რამდენიმე საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, მწერალთა კავშირის წევრი, დამსახურებულად აქვს მიღებული პრემიები, მათ შორის გალაქტიონის პრემია. ამასთანავე, რაც მთავარია, გულნაზ ხარაიშვილი არის სათნოებით გამორჩეული პიროვნება, კეთილშობილი, გულკეთილი, გულისხმიერი, ყურადღებიანი და ზნეკეთილი ქალბატონი. იგი განსაკუთრებით ზრუნავს ნორჩი შემოქმედთა თაობაზე, „ათინათის" ყოველ ნომერში ბეჭდავს დამწყებ შემოქმედთა ლექსებს, მოთხრობებს, მინიატურებს, ჩანახატებს, სახელოვანი ადამიანებისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუებს. ერთი სიტყვით, „ათინათის" მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე ინტენსიურად და აქტიურად წარმოაჩენს დამწყებ შემოქმედთა უმანკო სულსა და სახეებს. ამასთანავე, იგი არის ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ვინ მოთვლის, გულნაზ ხარაიშვილის თაოსნობით რამდენი კულტურული ღონისძიება ჩატარებულა: ახლა წიგნების წარდგენა-პრეზენტაცია, საიუბილეო საღამოები, ლიტერატურული საღამოები, სამეცნერო კონფერენციები და სხვა.

მრავალწახნაგოვანია საკითხთა წრე, რასაც ლუარა სორდიას განიხილავს და აანალიზებს თავის წიგნში. ამის დასადასტურებლად ნარკვევების დასათაურების ჩამონათვალი იკმარებდა; მადლით და რწმენით გადარჩენა; სული ვარ უკვე ცაში აჭრილი; მიაყურადეთ, გაიგონეთ სულის გალობა; სახისმეტყველების ზოგიერთი საკითხი; ზღვას შევებმები, უნდა გავცურო; აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები; ლოყას ცრემლით ჯვარი დამეხატა; ერიდე ქარბუქს, რადგან ირგვლივ დარბის სატანა; შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში; კვლავ გავუყევი ეკლიან გზას და თანაც უკვლევს; მოყვრად გექციოს სამშობლოს მტერი; რაა სიცოცხლე? მიღმიერსაც მივწვდი ფიქრით; პოეტის „სულის ძიებები"; შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთი ასპექტი.

ლუარა სორდია გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაზე მსჯელობის დასაწყისშივე მიგვანიშნებს მეფისტოფელის საუკუნეში მადლით და რწმენით გადარჩენის აქტუალობაზე. აპოლაკისფური განკითხვისგან ხსნაზე. ქრისტეს მებაღეობაზე, „ქვეყნად მოსული უფლის ბაღის მოსაშენებლად". მართლაც

გულნაზ ხარაიშვილის ლირიკაში შესავლელ კარს გარკვევით აწერია: „მამული, ენა სარწმუნოება“. სწორად შენიშნავს მკვლევარი: „გულნაზ ხარაიშვილის წიგნებიდან გეცნაურებათ ქართული სული, ქართული მორალი, ეროვნული მაღალზნეობრივი ადათ-ტრადიციები, ხოლო სამყარო დანახულია საკუთარი კერიიდან, ანუ მაკროკოსმოსი განჭვრეტილია მიკროკოსმოსის საშუალებით.“

ლუარა სორდიას დაკვირვებით, გულნაზ ხარაიშვილს სულიერი სიწმინდის, სიკეთის საზღაურად ევლინება დიდი წყალობა – სულიწმიდის ნიავის სახით („გულში დაჭრილებს ვამხნევებდი თბილი სიტყვებით, მათ შევუკერე იმედების, რწმენის ფუთები, ახლაც ლექსების, სულიწმიდის ნიავს მივყვები, რადგან სული მაქვს ფაქიზი და ნასათუთები“), რომლის მოლოდინით ივსება სული („სულიწმიდით უკვე ვიწამლე“). ამიტომაც არის პოეტის ცხოვრება და შემოქმედება ღვთის მადლით გაცისკროვნებული, „იმედის მადლი“, „იმედის ფიფქები“ ათოვს.

გულნაზ ხარაიშვილს გათავისებული აქვს პავლე მოციქულის შეგონება: გადარჩენის საწინდარია მადლი და რწმენა. მკვლევარი იმოწმებს ნესტორ ყუბანეიშვილის გამონათქვამს: „უმაღლესი ფასეულობა, უკანასკნელი მიზანი და ადამიანის ცხოვრების აზრი ქრისტიანისათვის ღმერთთან მიახლოებაა. რასაც რელიგიის ენაზე მადლი ეწოდება. მარადიული ფასეულობის თვალსაზრისით, სრულყოფილი მადლი – ეს არის მხოლოდ ღმერთი და ერთადერთი რეალური ბოროტება – ცოდვა, ღმერთიგან დაშორება.

ასე რომ მადლით და რწმენით გადარჩენის ქადაგება ჩვენს ავბედით დროში ღვთისმეტყველური ორიენტირია და მისი მადლის გადასვლა გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში კიდევ უფრო ამაღლებს და განასპეტაკებს მის სულს, მის ლექსებს. სულს, რომელიც იმედის, ზეციური მადლის ძალით ფრენს ცაში: „სული ვარ უკვე ცაში აჭრილი“; „კიბეს მივადგამ ლექსით ცათამბჯენს“; „სულზე ვარდად მოგიფენდი ცის ულურჯეს კიდეს“. პოეტი ამაღლებული სულით მოიხილავს „გონურ ცას“, ღმერთების სამკვიდროს, ფიზიკურ მზესა და ვარსკვლავებს, მთვარეს.

ზემოთ ვსაუბრობდით მადლით და რწმენით გადარჩენაზე, გულნაზ ხარაიშვილის ლირიკაში აქცენტირებულია სიყვარულის გადარჩენაც, სიყვარულის გამოხსნაც. პოეტს ზეციური სიყვარული ხალხის, სიკეთის მსახურებისკენ ეძახის.

ლუარა სორდია გულნაზ ხარაიშვილის პოეტური წიგნებიდან ჩვენს ყურადღებას გადაიტანს გრაალის, საწმისის თემაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული გონის სიდიადის, ჩვენი ისტორიის, კულტურის, მითოლოგიის, ეროვნული ფენომენის სრულყოფილად გაგებისათვის. აქვე საუბარია პოეტის გალობისა და ლოცვის ენაზე – ქართულ ენაზე, როგორც ჩვენი ერის გადამრჩენ ფენომენზე: „დედა ენავ“, გადამრჩენო ერის, ხმლით და სიტყვით გლოცავთ შემართული, ლექსებს ვამბობთ, თუ ქართულად ვმღერით, გალობაა ის შენს ლოცვად თქმული.“

ლუარა სორდია წერს: „ჭეშმარიტი სიტყვა უზენაესის გადასახედიდან იზომება, ის, უპირველესად, რელიგიურია, სიმართლის მსახური. ღმერთშემოსილ პოეტს „იმედის სანთელი“ უნთია, უშიშრად არქმევს მოვლენებს ადეკვატურ სახელებს... ლექსი პოეტისთვის „ხან ბაჯაღლოა, ხან მზე და ხან მთვარე. ის მტევნებივით სულში ასხია“; „ოქრო რად მინდა? ოქრო ლექსია“; ლექსია პოეტის პატრონი, შვილი, გულის ბატონი, სიყვარულის ქმნილება“.

„მადლშემოსილის“ ავტორი ფრაგმენტულად სახისმეტყველების ზოგიერთ საკითხსაც ეხება. კერძოდ, გულნაზ ხარაიშვილის მიერ ენიგმური სახეებით გამოხატულ კავშირს უზენაეს ძალებთან: „მზემ გამიშუქა სინორჩე გულის“. „მზემ ღრუბლებიდან გამოანათა, შემომეფეთა თასი სიკეთის“; „მზე პატრონობს თბილად სულის არეს“. პოეტის სახისმეტყველებაში, მზესთან ერთად, მთვარის, ცისარტყელის, საღვთო ნათლის ძალმოსილებაა წარმოსახული. მობილიზებულია ამ მიმართულებით საილუსტრაციო მასალები: „ღამის ფიქრები მთვარესთან მიმყვას;“ ცისარტყელით მოსილი ღმერთშემოსილია; ცათა ჭერიდან ჩამოკრეფილი მზის სხივები, მზის სხივების ხელები, მზის მკლავები და ა.შ. ნიშანდობლივია წიგნების დასათაურებაც: „მზის ათინათი“, „მზის მკლავეში“, „სულის არეში.“

საინტერესოდ არის წარმოდგენილი გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში ზღვის სიმბოლიკა, ბიბლიის, ღვთისმეტყველების, კლასიკური მხატვრული ლიტერატურის შთაგონებით, რასაც ლუარა სორდია სათანადო ყურადღებას მიაპყრობს: „ცურვა მასწავლა ლურჯი ზღვის ტალღამ, ზღვას შევებმები, უნდა გავცურო;“ „ზღვის ეკვატორის სილამაზემ თვალი წამართვა, ეკვატორი კი შენ

იყავი, გულზე გიბნევდი“, ზღვიის ფსკერი, ლამი, წუპე, წურბლების, ცოდვილთა, ეშმაკთა, წყლის ჯოჯოთა საბუდარიც არის.

გულნაზ ხარაიშვილის ლირიკის სევდა-ნაღველით და დარდით გათანგვა, უპირველესად, მშობელი ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობით არის განპირობებული, რასაც ლუარა სორდიას წიგნში საგანგებო ყურადღება დათმობია. „გრძნობის ჯვარზე გადალანდულია“, „სევდის დედოფლის“ სული „სევდის ქვაბშია“ მოხარშული. მკლევევარს ამოუწერია პოეტის წიგნებიდან დარდგარეული ნაწყვეტები: „დარდის თავქალია“, დარდის დევები ასდევნებია, დარდის ფუთებს მიათრევს, დარდის მარწუხები უჭერს, დარდის კოცონი უნთია, დარდის ყორანი დასჩხავის. გული დარდით სავსე დარბაზია და ა..შ. დარდი ცრემლების მშობელია, რამაც შთამბეჭდავი სახეც დაბადა: „ცრემლით ლოყას ჯვარი დამეხატა,“ ცრემლი სულიერი კათარზისის საშუალებაცაა, ასე ესმის იგი გულნაზ ხარაიშვილსაც და ასეც უნდა დავიგულოთ იგი მის ლექსებში. ლუარა სორდიას სწორი შენიშვნით, პოეტი არ არის დარდსა და ცრმელებს გადაყოლილი, არც მათი მონაა. დარდის მწვერვალებს ადევნებული იბრძვის მისი დაძლევისთვის, ვინაიდან სულით ძლიერი შემოქმედია. „დარდის გუდას“ ფერთხავს, რათა სიხარულის ნათელს ეზიაროს, დარდთა თბომავალს გააყოლებს ტკივილს და უიმედობას და იმედის გზით განაგრძობს სვლას („მოვიწიე იმედის ტოტი“, „იმედების, რწმენის ფუთები“ მისი ნუგეშია).

ლუარა სორდიას განგრძობს: „დარდის ვალიდან“ ამოსული პიროვნება არა ბოროტი სულის თარეშს უსმენს, არამედ ზეციურ ხმებს აყურადებს, ზენიტის მზეს შეჰხარის, მფარველი ღმერთის იმედი ასულდგმულებს“. ამას უკავშირდება ქარის სიმბოლიკის წარმოსახვა, ქარის პერსონიფიცირება: „ქარი გადადენის ღრუბლებს“, „ქარმა გადამიფერთხა ღრუბლები“.

გულნაზ ხარაიშვილი, – წერს ლუარა სორდია, – „სიკეთის ლამაზი ბილიკით“ დადის, „სიკეთის ნერგებს“ სამშობლოსთვის რგავს, „წვალებ-წვალებით წალდავს გზას“, ვინაიდან ეკლიან ტყეში გზის ძებნა დაჰბედებია და შემწედ ჰყავს ღვთისმშობელი: „შარაგზას ვეძებ ეკლიან ტყეში, მივკაფავ ბარდებს და წინ მივიწევ. მათოვს და მაწვიმს დარდების თქეში, დედა ღვთისა კი კვლავ არ მივიწებს“. შემოქმედი თავისი კეთილდღეობისათვის კი არ ზრუნავს მხოლოდ, არამედ სხვათა ბედნიერებისთვისაც: „გზას გაგიკვლავათ ეკლიან ტყეში.“

„მადლშემოსილის“ ავტორის დასკვნით: გულნაზ ხარაიშვილმა ეკალ-ძეძვებიც ზნეობრივი პრობლემების გასაშუქებლად გამოიყენა და ამ უკეთურობის სიმბოლოდ მიჩნეულ სახეებშიც მონანიების ნიშნები მოძებნა: „ძეძვ-ეკლებშიაც შევამჩნიე მე სინანული“.

ლუარა სორდიას დაკვირვების საგნად ქცეულა გულნაზ ხარაიშვილის მხატვრულ სახეთა სისტემაში განსაკუთრებით მოფიგურირე თოვლი, ყინვა, სეტყვა, ავდრის ნისლი, ჭირხლი, ღრუბელი, წვიმა, რაც მინიშნებაა უსულგულობაზე, სიკეთის იგნორირებაზე, ულმერთოებაზე, კოსმიურ სიცივეზე.

შედარებით ვრცალად ჩერდება მეცნიერი გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში მასშტაბურობით გამორჩეულ სამშობლოს თემატიკაზე. ბევრს წერს პოეტი დედა საქართველოზე, რომელიც დღემდე ფაქტიურად ჩრდილოელი ყინულოვანი მონსტრის მარწუხებშია მოქცეული, გადათელილია მისი ჩექმებით, ვისაც მიტაცებული აქვს აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ლუარა სორდიას მართებული შენიშვნით, პოეტს ყველგან უცხოელთა თარეში, უცხოს ცეცხლი ელანდება. უცხოს ხმა ჩაესმის... უცხოსთან დამოკიდეულებაში გამოჩენილი ჰუმანიზმი ხშირად ჩვენი უბედურების სათავე ხდება. ამიტომაც მოსავს ლექსების ავტორს „სევდის პერაგნი“. გმობს მშობლიური ვაზის გადაჯიშებას, მოგვიწოდებს ეროვნული ვენახის, ბაღის მოვლა-პატრონობისკენ. ის ქვეყნის გამთლიანებაში ხედავს მისივე მომავალს. გულნაზ ხარაიშვილი ევედრება ღვთისმშობელს მისივე წილხვედრი ქვეყნის მტრისგან სახსნელად და დასაცავად: „კალთა მომაფარე, ჩემო დედაღვთისავ, ეგებ დავიბრუნო, სხვამ რაც მიითვისა“. ღმერთმა გისმინოს, პატრიოტო პოეტო: „აფხაზეთი – საქართველოს თვალი, კვლავ ქართულად ამღერდება, ვიცი“.

გულნაზ ხარაიშვილი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს პოეზიას: „ლექსო, ისეთი სათქმელი გეთქვას, მოყვრად გექციოს სამშობლოს მტერიო“; „თუ გინდა სულშიც დაგტორონ, ბოროტი კეთილად აქციე.“ პოეტს ამხნევებს მესიანისტური იდეა საქართველოს მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და იმედს იტოვებს, რომ შეუძლებელია ასეთი რჩეული ერი არ გადარჩეს, –

წერს ლუარა სორდია. შემოქმედი იმედით გვაცოცხლებს: „ვიცი, რომ უფლით კვლავ ეწვევა სულს გადარჩენა და იმედებით გაბრწყინდება კვლავ საქართველო."

„მადლშემოსილის" ავტორი ვრცლად განიხილავს ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის მოტივებს გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედეაში. მწარედ განიცდის პოეტი ცხოვრების წარმავლობას. ადამიანთა ნაფეხურების გაქრობას (მე ასე მჯერა, ყოფნა წამია და ქარი წაშლის ჩემს ნაფეხურებს"); ნარეკლიან გზაზე თუ ბეწვის ხიდზე ადამიანმა გონების სიფხიზლით უნდა გაიაროს, ღვთის რწმენის თანხლებით. ადამიანს რწმენა, სიყვარული, სიმართლე, სიკეთე, სინდისი უშეცდომოდ ჩააბარებინებს ცხოვრების გამოცდას. პოეტს „სინდისის კრედო" ცხოვრების საზომად ესახება, სინდისის მიხედვით განისჯებიან ადამიანები უზენაეს მსაჯულთან.

ლუარა სორდიას თქმით, ქრისტიანული მრწამსით ნასაზრდოები მორალი იკითხება პოეტი ქალის მთელ შემოქმედებასა და ცხოვრებაში (შემიძლია მე მოყვასის სიყვარული, თუნდ ვიარო ეკალ-ბარდის გზებით"; „სიკეთის თასი უნდა დავცალო"; „ვთესო კარგი, დავისახე მიზნად").

გულნაზ ხარაიშვილი შთააგონებს მკითხველს: ბოროტი ზრახვებით, მრუდე სამართლით, სატანური ქმედებებით ადამიანი ვერ გადაურჩება უფლის განკითხვას, ჯოჯოხეთის ცეცხლს. საკუთარი თავის შეცნობის უნარს მოკლებულნი ძნელად თუ გაერკვევიან ცხოვრების არსში, სიცოცხლის ხიბლში. ხოლო „შეიცან თავი შენი"-ს პრობლემის მომგვარებელნი ადვილად ეზიარებიან საღვთო სიბრძნეს, საღვთო სიყვარულს. „შევიცნო ჩემი თავი, ჩემი მოყვასი, მე უფლის ჯილდო გამოვიცანი, გულმა გული ცნო. გენმა კი გენი, მიხარია, რომ რაც ხარ, გაგიცან...). მარტივად, მაგრამ შთამბეჭდავად გვმოძღვრავს პოეტი, რომ ცხოვრება არის სიკეთის, სიწმინდის. ერთგულების, გაძლების, რწმენის, სიყვარულის გამოცდა. მთავარია, გონების ძალას მოვუხმოთ, რომელიც აწონასწორებს „გულის ვულკანს", „გრძნობის ფიალას", „სიყვარულის ლადარს".

ლუარა სორდიას ენით რომ ვთქვათ, გულნაზ ხარაიშვილი თავის ვალად მიიჩნევს, ცხოვრების გამოცდა სხვებსაც უშეცდომოდ ჩააბარებინოს: „შეგეშველები მყარ, ძლიერ კიბედ, რადგან ცხოვრება არის გამოცდა". პოეტის იდეალია სარწმუნოების, სულიწმინდის მადლით განბრძნობილი ხელოვანი, რომელიც თავისი ნიჭით აპურებს ხალხს: „გინდა სითბოთი გამოალღო სულის ხმელეთი, გინდა სიკეთის მთად გადიქცე... გინდა განათდეს, ამზიანდეს სხივით ბნელეთი... სარწმუნოების, სულიწმიდის ვხედავ, მონა ხარ. ოქროს მონეტა გეჯავრება, არ გიყვარს ვერცხლი. დიდ გრძნობაში კი შენმა სულმა შვება მონახა."

მორიგ ნარკვევში – „მიღმიერსაც მივწვდი ფიქრით" – ლუარა სორდიას ყურადღება მიუქცევია გულნაზ ხარაიშვილის მიერ სიკვდილის თემაზე დაწერილ ორ პოემას და ერთ მოთხრობას. მხედველობაში გვაქვს პოემები: „მდუღარე ცრემლი", „მკვლელობა საკუთარ სახლში", რასაც აანალიზებს ცნობილი მეცნიერი.

„მდუღარე ცრემლი" ეძღვნება ჩვენი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნების ჯერმალ ხარებავას უდროოდ გარდაცვლილ შვილს მანუჩარ (ბათუ) ხარებავას. 1989 წლის 25 აპრილს მისმა წასვლამ ამ წუთისოფლიდან შეძრა მთელი აფხაზეთი. დღემდე ვერ მოგვიშუშებია გულის ეს ჭრილობა აფხაზეთიდან უსამართლოდ დევნილთ. მადლობა გულნაზ ხარაიშვილს, რომ მან პირველთაგანმა მიუძღვნა ვრცელი პოემა ამ ტრაგიკულ აქტს.

ლუარა სორდიას ამ პოემის ღირსად მიაჩნია, პიროვნული ტრაგედიის პარალელურად, ომის ცეცხლში გახვეული აფხაზეთის ჩვენება, სისხლის, ცრემლების ტბის დაფიქსირება. სულისშემძვრელია უცხოთა სიძულვილით სავსე ხმის მოსმენა, მტრის მიერ დანათებული გამანადგურებელი ცეცხლის აალება. სოხუმში პალმის ადგილზე ბაბუაწვერა ამოსულა, გაუჩინარებულან თოლიები, ჭოტების და ბუს კივილი ავის მომასწავებლად ეწვეთება სმენას, ყინავს სულში.

მკვლევარს მოვუსმინოთ: „აჩრდილისა და ტოროლას სახით ცხადდება ქართველი მიცვალებული და იმართება უცხო დიალოგი პოემის ავტორსა და ბათუ ხარებავას შორის... პოემის პერსონაჟის გამოცხადება მიღმური საუფლოდან პოეტის კალმის სასწაულთმოქმედებამ გამოიწვია. ავტორი მედიუმია ბათუსა და მის მშობლებს შორის". ან კიდევ: „სიწმინდემ და სიკეთემ ბათუ ანგელოზთა დასში დაამკვიდრა. მას ზეციური სულები ერის ტკივილსა და ისტორიას აწერინებენ. შემთხვევითი როდია ბათუს დანაბარები მშობლებთან, რომ ცრემლის, დარდის ნაცვლად, ილოცონ სამშობლოზე და მართალი ცხოვრებით თვითონაც სასუფეველს დაიმკვიდრებენ."

პოემაში „მკვლელობა საკუთარ სახლში" მოთხრობილია საკუთარ სახლში სადისტურად მოკლული მერაბის ტრაგედიაზე. ლუარა სორდია მისი ანალიზისას მიგვანიშნებს, რომ არც ეს პოემაა ერთთემიანი. მასში ჩვენი დროის სატკივარიც იჩენს თავს. ავტორს ნაადრევად გარდაცვლილი ძმის – პოეტ ბეჟან ხარაიშვილის ლანდი გამოეცხადება და ავალებს პოემის დაწერას, თანაც ამცნობს, რომ მერაბი სამოთხეშია, ბათუ ანგელოზთა დასს ხელმძღვანელობს. მერაბის სული შვილს ჩააგონებს სიკეთეს, სხვათა შებრალებას, შრომას, ეროვნული ტრადიციების დაცვას, სამშობლოს ერთგულებას, სიყვარულს. მერაბის სული ოჯახს ურჩევს – შურისძიებაზე არც იფიქრონ. ამ სიტყვებს სახარებისეული სიბრძნე ასაზრდოებდა, – დასძენს მკვლევარი.

ლუარა სორდია ყურადღებას ამახვილებს გულნაზ ხარაიშვილის კიდევ ერთ მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელშიც ვეცნობით მსახიობ ლარისა ხაჭაპურიძის შვილის ტრაგიკულ ამბავს, რომელიც სამაჩაბლოში დაიღუპა 2008 წლის აგვისტოში, გაჩაღებულ ომის ხანძრის კვლადაკვალ მომავალი. „არსებითი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი დეტალებით ცდილობს ავტორი ამ უნიჭიერესი ქართველი ჭაბუკის მაღალი ზნეობის წარმოჩენით... გვაკვალიანებს მეცნიერი.

საინტერესო ნარკვევია „პოეტის „სულის ძიძები", რომლის დასაწყისში ვკითხულობთ „გულნაზ ხარაიშვილის „სულის ძიძები" არიან ბიბლიური წინასწარმეტყველები, ქართული და უცხოური კლასიკური მწერლობის ვარკსვლავები. ცნობილი ღვთისმეტყველები, ხალხური შემოქმედების მოგვები. ხალხური ინტონაცია მკაფიოდ არის აღბეჭდილი პოეტის „სულის რელიეფზე". მკვლევარი სათანადო საილუსტრაციო ნიმუშებით წარმოაჩენს, თუ რამდენად აქვს გულნაზ ხარაიშვილს გათავისებული და შემოქმედებითად აღქმული ქართული პოეზიის. აზრთა საჭეთმპყრობელების სიბრძნე, სახეობრივი აზროვნების თავისებურებები. აქ არა მიბაძვა, არამედ ჯანსაღი გავლენა, დიდი წინაპრების სულიერი იმპულსები იგულისხმება, რადგან ყოველი სიახლე წინამორბელთა ჯანსაღი ტრადიციებიდან არის თავისებურად ამოზრდილი" (რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, ოთარ ჭილაძე, ვაჟა ეგრისელი... ქართული ხალხური შემოქმედება და ა.შ.).

წიგნის დასასრულს ლუარა სორდია წარმოაჩენს გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებითი თავისებურების ზოგიერთ ასპექტს (ისე კი, სჯობდა, ალბათ, ამ ნარკვევის და წინარე, რიგით მეოთხე წერილის „სახიმეტყველების ზოგიერთი საკითხი" – გაერთიანება). „მადლშემოსილის" ავტორის თანახმად, პოეტის შემოქმედება რელიგიურია, რაც მოითხოვს ენიგმური სახეების საჭიროებას, რაც გამომწვევია საღვთო სიმბოლოების არსებობისა მის პოეზიაში (მზე, მთვარე, ვაზი, კიპაროსი, სული, ნაძვი, წყარო...). ცხოვრების წინააღმდეგობრივი ხასიათის გაშუქებისას ხდება ქარის, წვიმის, თოვლის, ეკლის, ზღვის, აპოკალიფსური სახეების (მხეცი, მგელი, მელა, დათვი, ნიანგი, ვეშაპი, გიურზა) გაპიროვნება ანუ პრესონიფიკაცია, ალეგორიულ-სიმბოლური პარადიგმებით წარმოსახვა.

ლუარა სორდიას დაკვირვებით, გულნაზ ხარაიშვილის სახეების უმეტესობა ხალხური ელფერით, ხალხური ინტონაციით და სასაუბრო ლექსიკითაა შეფერილი. სანიმუშოდ მეცნიერი ბარაქიანად აფიქსირებს სათანადო მაგალითებს, რომელთა გამეორება შორს წაგვიყვანს. მთავარი ისაა, რომ შორს დგას ეპიგონობისაგან, ბრმა მიმბაძველობისაგან ხალხური სახეებისა. პირიქით, ახლებურად იაზრებს მათ. მეცნიერი საუბრობს ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებზე გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაში, ამასთანავე, ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს პოეტის ლექსებში მოცემულ შეგონებებს, ანდაზურ და აფორისტულ გამონათქვამებს, პოეტურ ბგერწერას, მეტრიკულ სტრუქტურას, რითმებს, აკროსტიხებს, სინესთეზიის ნიმუშებს, ნეოლოგიზმებს, ორიგინალური სიტყვათშეთანხმების მაგალითებს და ა.შ.

ლუარა სორდია თავის წიგნს ასე დაასრულებს: „გულნაზ ხარაიშვილის სულის ყვავილი ზრდის სტადიაშია, ზეცას, მიწას, მიღმიეთს თამამად უსწორებს თვალს, დროის ქარბორბალას, ეპოქის უამინდობას, აპოკალიფსური მხეცების ნაშიერებს მთელი ძალისხმევით ებრძვის, ღრუბლის კიბეს მიჰყვება მაღლა, უხილავ-ფარულის ხილვა-შეცნობას ესწრაფვის, საზღვრების იქით მოილტვის და საბოლოო გამარჯვების მოლოდინით ცხოვრობს, რადგან უზენაესის ძალით გაბრწყინებული, ნათელშემოსილი, მადლშემოსილი და სხივშემოსილია".

დასკვნის მაგიერ ვიტყვით, რომ პროფესორმა ლუარა სორდიამ შესაფერისი და საჭირო წიგნი შექმნა გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაზე. მისეული კალმის მოსმით, თავისებური რაკურსით წარმოაჩინა ამ შესანიშნავი პოეტის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტები. შეეხო მის იდეურ-თემატიკურ და სახისმეტყველებით სამყაროს. აქცენტი გააკეთა გულნაზ ხარაიშვილის პოეტური მეტყველების ორიგინალობაზე: საგნებისა და მოვლენების თავისებურ აღქმაზე. ბიბლიურ-ქრისტიანულ, ლიტერატურულ თუ ხალხურ წყაროებზე.

ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ გულნაზ ხარაიშვილის პოეტურ შემოქმედებაზე მაღალი შეხედულებისა გახლავართ. რაც მის პოეტურ წიგნებს ვიცნობ, მუდამ მიზიდავდა და მხიბლავდა ამ ძვირფასი ადამიანის სწრაფვა ორიგინალური სახეობრივი აზროვნებისკენ, რაფინირებული, დახვეწლი ლექსების შეთხზვისკენ, თემატური მრავალფეროვნებისკენ, პოეტური სათქმელის ინოვაციურობისკენ, „სიტყვა ფიქრის სხეულიას“ ღრმად გაცნობიერებისკენ. ამიტომაც ვისურვებდი: არასოდეს დამცხრალიყოს თუ განელებულიყოს მკითხველში გულნაზ ხარაიშვილის ლექსების ჩანგზე და დაფზე დაკვრით მონიჭებული მხიარულება, ანუ, რუსთაველისა არ იყოს, – ნიშატნი საჩანგდაფენი.

**მანანა კვატაია**

## პროვიდენციალური ვიზიონები XX საუკუნის ტექსტებიდან

სამყაროს აღსასრულის გარდუვალობის პარადიგმა, მოძღვრება უკანასკნელ მოვლენებზე მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიურ სისტემაში გვხვდება. ქრისტიანულ ესქატოლოგიაში ძველი აღთქმის გაგრძელება და კულმინაცია ახალი აღთქმის ბოლო წიგნი – იოანეს გამოცხადება (აპოკალიფსი) გახლავთ, სადაც სამყაროს უკანასკნელი დღეებია აღწერილი.

ესქატოლოგიური განწყობილებანი სხვადასხვა დროის ლიტერატურასა და ხელოვნებაშიც აისახა. ახალ, აპოკალიფსურ ეპოქაში გარემო და, მის კვალდაკვალ, ადამიანის ცნობიერება მკვეთრად შეიცვალა. "ჩვენ ვეღარ ვგრძნობთ სამყაროს ჰარმონიას.. ადამიანს აღარა აქვს ფეხქვეშ მყარი ნიადაგი, რომელიც მას სამყაროს წესრიგთან დააკავშირებს.. დანაშაულისა და ფანტასმების სამყაროში ვცხოვრობთ.. ადამიანს ყოველი მხრით საფრთხე ემუქრება. მან არ იცის, რა იქნება ხვალ", – წერდა 1912 წელს ნიკოლაი ბერდიაევი. ამ გლობალურ საფრთხეზე კულტურის ფილოსოფიის მრავალი წარმომადგენელი (შპენგლერი, კლაგესი, ვებერი, კაიზერლინგი, ჰაიზინგა და სხვ.) წერდა. კრიზისულ ცნობიერებას ხშირად "აპოკალიფსურ ცნობიერებას" უწოდებენ. ჰაიზინგა მის საწყისს პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან ითვლის, რაც შპენგლერის "ევროპის მზის ჩასვენებაშიც" აისახა.



ნიკოლაი ბერდიაევი ნაშრომში "ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში" მსოფლიოს წინააღმდეგობრივი მოვლენების ანალიზის შედეგად დაასკვნის: "ჩვენ აპოკალიფსურ ეპოქაში ვცხოვრობთ.. აპოკალიფსი არ არის მარტოოდენ სამყაროს დასასრულის გამოცხადება. აპოკალიფსი თვით ისტორიის შინაგანი მსჯავრდების გამოცხადებაც გახლავთ".

ამგვარ რთულ, წინააღმდეგობრივ დროში ლიტერატურასა და ხელოვნებას განსაკუთრებული მისია ენიჭება: მისია კაცობრიობის სულიერი (და, შესაძლოა, რეალური) აპოკალიფსისაგან ხსნისა, მისია წინასწარმეტყველისა.

პარიზის ლიტერატურულ-არტისტული ავანგარდის ლიდერი, ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი გიიომ აპოლინერი 1918 წელს თავის გამოუქვეყნებელ წერილში "ახალი ცნობიერება და პოეტები", რომელიც მის ანდერძადაც ითვლება, წერდა, რომ პოეტებმა მიზნად უნდა დაისახონ წინასწარმეტყველური ამოცანები. შესაბამისად, წინასწარგანჭვრეტის კვალს ის ხედავს იმ ნაწარმოებთა უმეტესობაში, რომლებიც ახალ ცნობიერებას შეესაბამება.

გრიგოლ რობაქიძე, რომლისთვისაც ხელოვნება ნიშანია, "სიმბოლო სხვა, მაგრამ ჭეშმარიტი სინამდვილისა", ფრანგული პოეზიის მეტრის მსგავსად, ახალ ეპოქაში ელის შემოქმედს, რომელიც მარტო ხელოვანი არ არის, ის წინასწარმეტყველიცაა. აქ რობაქიძე იხსენებს ოსკარ უაილდს, რომლისთვისაც "ყოველი ქმნილება ხელოვნებისა აღსრულებაა წინასწარმეტყველებისა".

სამყარო ინგრევა (ნგრევა უაღრესად კოსმიური და მარტო ოდენ სოციალური), – შენიშნავს გრიგოლ რობაქიძე ესეში "საქანელა და სახრჩობელა" (გაზ. "ბარრიკადი", 1920 წლის 18 ოქტომბერი). მისი შეფასებით, ეს პროცესი ყველაზე მძაფრად პოეზიაში (და, ზოგადად, ხელოვნებაში) აისახება. რობაქიძის აზრით, ბოდლერმა "ავ ყვავილებში" პირველმა მოგვცა სამყაროს დაშლის სურათი. "საფრანგეთის სიტყვის ხერხემალი ბოდლერის შემდგომ ამ ყვავილების სიავით არის დაზნექილი", რუსეთს კი, დოსტოევსკიდან დაწყებული, ანდრეი ბელამდე "აპოკალიფსური ეპილეფსია ეკიდება".

აპოკალიფსის გლობალური საფრთხის ზღურბლზე გრიგოლ რობაქიძე ცდილობს, თავისი ქვეყნის ბედისწერაც განჭვრიტოს: "საქართველო ქანაობს საქანელაზე: მაგრამ საქანელა უფსკრულებზეა გამართული და ადვილი შესაძლოა, საქანელა სახრჩობელად გადაიქცეს", – ვკითხულობთ ესეში. სამყაროს ნგრევის მასშტაბები საქართველოსაც გაცამტვერებით ემუქრება. "ხანდახან აქ სახრჩობელა სისხლიან ჯვარად იქცევა.. ჯვარცმაში კათარზისია ნათელი და ჩამოხრჩობაში კი უკანასკნელი დაღუპვა. ჯვარცმა უცდის საქართველოს და ჩვენც ლოცვით ველით მის მოახლოებას", – წინასწარმეტყველურად წერს რობაქიძე.

პროვიდენციალური ხედვის სიღრმით გამოირჩევა ანდრეი ბელისადმი მიძღვნილი ესე (ჟ. "ARS", 1918, №2-3), სადაც გრიგოლ რობაქიძე შესანიშნავად წარმოაჩენს რუსი მწერლის შინაგან ხატს, მის იდუმალებას. ავტორის აზრით, ანდრეი ბელი – რუსეთის ნამდვილი წინასწარმეტყველია, რომელმაც პეტერბურგის ხატში მიწის აპოკალიფსური (–და, ამასთან, დაფერფლვის) გზით უარყოფა მოგვცა.

"ანდრეი ბელი – აპოკალიფსისის ნამდვილი ეპილეპტიკია", – ამგვარი შთაბეჭდილება დარჩენია გრიგოლ რობაქიძეს რუსი მწერლის ხილვისას პარიზში, 1907 წელს, მერეჟკოვსკის ლექციაზე. "მისი დაფერფლილი სული არამიწიერი სევდით უფრთებოდ დაქრის საკუთარ მშობლიურ გამომწვარ სივრცეებზე", – ასე აღიქვამს ქართველი მწერალი ბელის, როგორც პოეტს, მის ფსევდონიმს კი ამგვარად ხსნის: "ანდრეი" – უნებლიედ ჩნდება აზრი "პირველწოდებულობაზე" (ანდრია პირველწოდებული); "ბელი" – აპოკალიფსური ხატი: "ახალი სახელი, რომელიც არავინ უწყის, იმის გარდა, ვინც მას იღებს; ის სულის "თეთრ ქვაზეა" ამოტვიფრული". ესეს ავტორი თვლის, რომ ანდრეი ბელი ამართლებს თავის ფსევდონიმს.

რუსი მწერლის თხზულებათაგან გრიგოლ რობაქიძე გამოარჩევს და აანალიზებს წინასწარმეტყველურ ეპოპეას "პეტერბურგი" (1911-1912). რობაქიძეს განსაკუთრებულად ეჩვენება ის ფაქტი, რომ "რომანის მთავარი გმირი თავად პეტერბურგია: პეტრეს მიერ ფინეთის ჭაობიან ნისლთაგან მაგიურად გამოხმობილი ქალაქი.. დედამიწის ზურგზე არსებულ ქალაქთაგან ყველაზე ფანტასტიკური". ანდრეი ბელის აშფოთებს ის ნიჰილიზმი,

რომელიც ამ ქალაქმა მსოფლიოს უნდა მისცეს. მისი აზრით, პეტერბურგი "ტვინის ფუჭი თამაშია": "ეს მხოლოდ ჩანს, რომ ის არსებობს"; მეტიც, ბელის თქმით, პეტერბურგი – აჩრდილია, ამგვარი ბუნებისანი არიან მისი რომანის გმირებიც.

რობაქიძის აზრით, რუსი მწერლის პროვიდენციალური ხედვა მძაფრად იკვეთება რომანის მონაკვეთში: "სპილენძის რაში ყალყზე შემდგარა, თვალებით ზომავს ჰაერს და აღარ დაუშვებს ფლოქვებს: იქნება – ნახტომი ისტორიის თავზე; დიდი იქნება მღელვარება; მიწა გაირღვევა.. იქნება – დიდი ბრძოლა, ბრძოლა, მსოფლიოში ჯერ არნახული.. ევროპის მინდვრებს სისხლის ოკეანეებით გადააწითლებენ: იქნება ცუსიმა, იქნება! იქნება – ახალი კალკა!.. კულიკოვოს ველო, გელოდები!" ანდრეი ბელის რომანის ეს ფრაგმენტი მრავალთა მიერაა ინტერპრეტირებული. ჯერ კიდევ 1917 წელს ტიციან ტაბიძე წერდა: "ეს არის წინათგრძნობა თანამედროვე ომის. რომანი დაწერილია ომამდე". მეოცე საუკუნის შემდგომმა ისტორიამ აჩვენა, რომ ანდრეი ბელის წინასწარმეტყველება მხოლოდ მისი დროს საზღვრებს არ გულისხმობდა.

ესეში გრიგოლ რობაქიძე სიღრმისეულად გაიაზრებს პეტრე დიდის მიერ დაარსებული ქალაქის სიმბოლიკას: "პეტერბურგი, როგორც რაღაც უფრო მნიშვნელოვანის, სამყაროსეულის გამოვლენის იდუმალი საგანი, უბრალოდ აჩრდილი არ არის: ის იმავე დროს ქმედითი სიმბოლოა: – ამაშია მისი მნიშვნელობა".

თანამედროვე რუსეთში ანდრეი ბელის რომანს ასე აფასებენ: "პეტერბურგი" არა მხოლოდ წინასწარმეტყველებაა საშინელ სამსჯავროზე. ის რომანის ფურცლებზე ხდება".

ესქატოლოგიური ვიზიონები ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალმა შედევრმა შემოინახა. მათი სახეობრივი თუ აზრობრივი კონოტაციების გაშიფრვა და წვდომა მომავალი გლობალური საფრთხეების ერთგვარ პრევენციად მოჩანს.

**ლიანა წურწუმია**



## რუსთაველის ესთეტიკა - აღმოსავლურ-დასავლური ესთეტიკის სინთეზი

შოთა რუსთაველის პოემა იმ ორი გეოგრაფიული სივრცის შემაერთებელ საზღვარზე შეიქმნა, რომელიც ისტორიულად აღმოსავლურ და დასავლურ-ევროპული კულტურების გავრცელების არეს წარმოადგენდა. მუსულმანურ სამყაროსთან საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა თუ კულტურულმა ურთიერთობამ ის დადებითი შედეგი გამოიღო, რომ X-XII სს. აღმოსავლური, კერძოდ, სპარსული პოეზიის დიდმა აღმავლობამ, რაც გამოიხატა სპარსულ პოეზიაში საერო მოტივების — მიჯნურობის, რაინდობის, მეგობრობის და ა.შ. დამკვიდრებით, საქართველოშიც პოვა გამოძახილი. XII-XIII სს. ქართული საერო პოეზიის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი სპარსული პოეზიის შედევრების გადმოთარგმნამ. სპარსი პოეტის ფახრედინ გურგანელის „ვისრამიანის" ქართული პროზაული თარგმანი პოეტური ორიგინალიდან უკვე ცნობილია შოთა რუსთაველისათვის. რუსთაველი არა მარტო ასახელებს ვის ო რამინს, არამედ პოემაში გმირთა დახასიათებისას სპარსელ მიჯნურებთან მათი მსგავსების ნიშნებიც კი მოჩანს. მაგ., ავთანდილთან შეხვედრის დროს თინათინს შიშველ ტანზე ყარყუმის წამოსასხამი აქვს მოხურული ვისოს მსგავსად. ავთანდილის სიმღერა რამინის მსგავსად ქვასაც

კი აატირებს. შეიძლება სხვა ნიუანსებიც დავიჭიროთ აღმოსავლურ სამიჯნურო რომანთან მსგავსებისათვის, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ სპარსული ძეგლი ავტორისათვის უცხოა ის ზნეობრივი სიმაღლე, რაც რუსთაველისათვის არის დამახასიათებელი. რუსთაველის გმირების სიყვარული წმინდა ინტელექტუალური როდია, იგი სავსეა მგრძნობელობით, მაგრამ არა აღმოსავლური ხორციელი ვნებებით, გაუტანლობით და ღალატის დაშვებითაც კი.

რუსთაველის გმირები, განსხვავებით მეორე სპარსელი პოეტის ნიზამ განჯელის (XII ს.) გმირებისაგან („ლეილმაჯნუნიანი", „ხოსროვ შირინიანი") სიყვარულის გამარჯვებას ამქვეყნად ესწრაფვიან და ზეიმობენ. ეს ზეიმი სულიერ-ხორციელი შეერთების შედეგია და ეს შეერთება მიჯნურებს სააქაოში სურთ და არა საიქიოში. გავიხსენოთ სცენა ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ – ნესტანისა და ტარიელის შეყრის, ქორწილისა. განჯელის გმირები: ლეილი და ყაისი (მეჯნუნი), ხოსროვ და შირინი სხვაგვარ სიყვარულს ავლენენ. ნიზამის მეჯნუნი („გიჟი", „ხელი") უდაბნოში გარბის ლეილის სიყვარულით გახელებული, მაგრამ არა საძებრად. მათის სიყვარულის ფინალი იმქვეყნად სულიერი შეერთებაა (ავტორის მისტიკური კონცეფციით, სიყვარულის აპოთეოზი სწორედ ეს არის). ეს უცხოა რუსთაველისათვის.

ნიზამ განჯელის პოემის მსგავსების შესახებ რუსთაველის პოემასთან სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი რამ დაწერილა (კ. კეკელიძე, ალ.ბარამიძე, დ. კობიძე, მ. თოდუა). მართლაც მსგავსება დიდია, ფაბულა, შესავლის თემა, გმირთა ხასიათები და სხვ. კ. კეკელიძე საგანგებოდ აღნიშნავს პარალელებს: 1. ყაისის მამა და ფარსადანი უშვილონი არიან. 2. გმირთა მშვენების დასახასიათებლად უხვადაა გამოყენებული ერთნაირი (აღმოსავლური) საღებავები, შედარებები, ეპითეტები. 3. ლეილსა და ყაისის (მეჯნუნი), ნესტან—ტარიელს, ავთანდილ—თინათინს სიყრმეშივე შეუყვარდებათ ერთმანეთი. 4. ლეილსაც და ნესტანსაც მოფარდაგებულში იცავენ მათი მშობლები. 5. მეჯნუნი და ტარიელი სიყვარულისგან კარგავენ ადამიანურ სახეს, იწყებენ უსაზღვრო ცრემლის ღვრას, სატრფოსთან შეხვედრას იმქვეყნად იმედოვნებენ. 6. ტყეში, ველად გაიჭრებიან, მხეცებთან მეგობრობენ. 7. ყაისის მოსაბრუნებლად მიდის მამა, რუსთაველთან ამ როლში ავთანდილი (მეგობარი) გამოდის. 8. ნესტანი და ლეილი ორივე ტყვედ იმყოფება. ნესტანი ქაჯებსა ჰყავთ, ლეილი ქმრის სახლშია. 9. მეჯნუნსა და ტარიელს მეგობარი ეხმარებათ – ნოფალი, ავთანდილი. კ. კეკელიძე შესაძლებლად თვლის, რომ რუსთაველი იცნობდა თავის უფროს თანამედროვეს ნიზამ განჯელს, მაგრამ მიუხედავად ასეთი პარალელებისა, რუსთაველის პოემის იდეური ხაზი, მისი სულისკვეთება ოპტიმისტურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით სრულიად თავისებურია და ორიგინალური გადაწყვეტის საშუალებას აძლევს ქართველ პოეტს ყოველი სიუჟეტის კვანძის გასახსნელად. გმირთა ურთიერთდამოკიდებულებაში სრულიად სხვა მიმართებაა ჩადებული, პოემა მზიანია, ლაღია, თავისუფალია, ოპტიმისტური, მიწიერია, ამქვეყნად ბედნიერების მოპოვების შესაძლებლობას ქადაგებს, ქმედებისაკენ, აქტიურობისაკენ მოუწოდებს ადამიანს, მაშინ როცა ნიზამის პოემა მისტიკურ იერს იღებს ქალ-ვაჟის სიყვარულის მისტიკური გააზრებით მეჯნუნი ლეილის სულიერ სიყვარულზე ოცნებობს. მას საიქიოში გადააქვს მასთან შეხვედრის ნატვრა. იგი გაურბის ლეილს, როგორც მიწიერ არსებას, ტყეში გარბის გაგიჟებული, მაგრამ არა ლეილის საძებრად. იგი პასიურია, უმოქმედოა, არც სურს სატრფოს მოძებნა, მთავარია, რომ მას შეხვდება სიკვდილის შემდეგ, ამიტომ სიკვდილს დაეძებს.

თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა ამქვეყნიური ბედნიერების დამკვიდრებისათვის, სიყვარულის მოპოვებისათვის, უმაღლესი სიკეთის განხორციელებისათვის ბრძოლის სულისკვეთებაში (ეს კი რენესანსული სულისკვეთებაა), რუსთაველისა და განჯელის გმირებს შორის, ამასთან დაკავშირებით უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, ავიღოთ თუნდაც ერთი: ლეილის ტრფობით გახელებულმა, ტყეში გაჭრილმა მეჯნუნმა მეგობარი შეიძინა — ნოფალი, იგი მარტოდმარტოდ შეებრძოლება მეჯნუნის მტერს, მეჯნუნი კი ამ დროს ნეტარი სიმშვიდით დასცქერის მაღლა მთიდან ამ სცენას: ნოფალი მოწინააღმდეგეს ებრძვის, მეჯნუნი კი ამ დროს ლოცულობს, ოხრავს, კვნესის, იტანჯება, მაგრამ არც კი იხედება ნოფალისკენ, რომ მხარში ამოუდგეს ბრძოლაში. „ნოფალი ლეილის გულისთვის მახვილს ანავარდებდა, მეჯნუნი კი სულით და გულით თავისი მტრების მხარეზე იყო" (გ.ქიქოძე).

მეჯნუნის ეს სუფისტური პასიურობა უცხოა რუსთაველის გმირებისათვის.

ტარიელი არსად, მეგობრის ამარა, არ ტოვებს თავისი მოქმედების მიზანს, იგი ყოველთვის პირველია თავისი მიზნის – სატრფოს დახსნის – განსახორციელებლად. გავიხსენოთ ქაჯეთის ციხის აღების სცენა.

ნიზამის პოემა სუფიზმითაა გაჟღენთილი, იგი მისტიციზმით მთავრდება. შეყვარებულები, რომლებსაც ამქვეყნად არ ეღირსათ შეერთება, იმქვეყნად, საიქიოში ერთიანდებიან სულით. ბედნიერების ეს მისტიკური ხედვა ნიზამის მსოფლმხედველობის სარკეა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ორი ერთმანეთის თანადროული პოეტის თვალთახედვა საპირისპიროა. აქ რეალიზმია, ოპტიმიზმია, აქტივობაა, მიწიერი ბედნიერების მოპოვებაა მიზანი. იქ კი მისტიციზმია, პასიურობაა, ბედს მორჩილობა. რუსთაველი კი, არა მარტო სიუჟეტური ქარგით, თავისი მსოფლმხედველობის მხატვრული ხორცშესხმით, არამედ ბრძნული აფორიზმებით გვმოძღვრავს:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია".

მაშასადამე, რუსთაველის ხედვა სამყაროსი ძირეულად განსხვავდება მუსლიმანი პოეტის – ნიზამის – მსოფლშეგრძნებისაგან, ეს იმიტომ, რომ მათ მსოფლხედვას სხვა სათავე აქვს, ფაბულაც სხვადასხვაა. ამაზე ქვემოთ.

რუსთაველის მსოფლგანცდა რენესანსულია, მისი ფილოსოფიური საფუძველი ნეოპლატონიზმი და არეოპაგიტიკაა, მაშინ, როცა ნიზამის მსოფლგანცდა სუფიზმითა და მუსლიმანური ორთოდოქსიით არის განსაზღვრული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ფაბულითა და სიუჟეტის დეტალებით აღმოსავლურ ძეგლებთან მსგავსებას ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს. მაგ.: ხ. იუსუფოვი, ს. იორდანიშვილი. „ვეფხისტყაოსნის" ინგლისურ ენაზე მთარგმნელებმაც არა ერთხელ მიუთითეს „ვეფხისტყაოსნის" და „რამაიანას" გმირების ერთგვარ სულიერ ნათესაობაზე. მ. თოდუა „ვეფხისტყაოსანს" ფაბულით ძლიერ ამსგავსებს სპარსულენოვანი ინდოელი მწერლის ამირ ხოსროვ დეჰლევის მიერ ჩაწერილ ამბავს, რომელსაც „ჩეჰარ დარვიში" („ოთხი დარვიში") ეწოდება.

მიუხედავად ფაბულურ-სიუჟეტური ნათესაობისა, „ვეფხისტყაოსანში" არის ისეთი უნიკალური პლასტი, რომელსაც ბადალი არ ჰყავს არა მარტო აღმოსავლურ, არამედ ევროპულ ლიტერატურაშიც. მხედველობაში გვაქვს ქალ-ვაჟის ამაღლებული მეგობრობის საოცარი ნიმუში. ვიდრე ამაზე შევჩერებოდეთ, განვიხილოთ საერთოდ ქალთა გალერეის მხატვრული სახეების რუსთველისეული ინტერპრეტაცია.

ნესტანის, თინათინის, ასმათის ხასიათების პარალელების აღმოჩენა იოლი არ არის არა თუ დასავლურ, არამედ აღმოსავლურ ეპიკაშიც. რუსთაველის ქალები არაჩვეულებრივ აქტივობასა და თაოსნობას იჩენენ, მძიმე წუთებში გონების კარნახით მოქმედებენ, ხასიათის ძალას, მოთმინებას ავლენენ და ხშირად სწორ გზას უჩვენებენ მოჭარბებული გულისთქმით გონდაკარგულ რაინდებს. არც ნიზამთან, არც შემდეგდროინდელ აღმოსავლურ ლიტერატურაში არ მოგვეპოვება ქალის დიდბუნებოვანი მხატვრული სახეები, როგორიცაა რუსთაველთან. ვისი და ლეილი, შირინი და სიტა პასიური ბუნებისანი არიან თავიანთი სიყვარულისათვის ბრძოლაში. მაშინ, როცა ნესტანი თვითონ კარნახობს ტარიელს გამოსავალს კრიტიკული სიტუაციიდან: მოჰკალ ხვარაზმშას ძე და ჩამოიშორე მეტოქეო! აღმოსავლეთში განსხვავებული ქალის კულტი ახასიათებს ეპიკურ პოეზიას. დასავლეთში ეს კულტი დამახასიათებელია პროვანსელ ტრუბადურთა შემოქმედებისათვის, კურტუაზიული რაინდული ლიტერატურისათვის. ტრუბადურთა პოეზიისათვის ქალის იდეალია გათხოვილი, კეთილშობილური წარმოშობის ქალები, რომელთაც „ჩემი უფალი" ეწოდებოდა. ანალოგიური ვითარებაა საქართველოში: თამარს დედოფალს კი არ ეძახდნენ, არამედ მეფეს, რითაც იგი ღმერთს, მფარველს მიუახლოვეს. საინტერესოა სხვა პარალელებიც: ტრუბადურთა პოეზიაში მიჯნურთა შორის დამოკიდებულება ვასალურ-სუზერენულია. ქალი სუზერენია, ბატონი, მიჯნური ვაჟი კი ვასალია, „ვეფხისტყაოსანში" ორივე ქალი – ნესტანი და თინათინიც – სუზერენებია თავიანთი მიჯნურებისათვის.

„ვეფხისტყაოსანსა" და აღმოსავლურ ეპოსს ბევრი აქვს საერთო მხატვრული სახეების ორნამენტირების თვალსაზრისით. აღმოსავლურ ფოლკლორულ პოეზიაში არ მოიძებნება ძვირფასი თვლების იმდენი დასახელება, რაც რუსთაველს მშვენიერების ეპითეტად აქვს გამოყენებული.

მის პოემაში აღმოსავლეთი ბრწყინავს, კაშკაშებს თავისი ფერებით, აქ წარბი – ყორნის ფრთაა, თვალი – გიშერი, ღაწვი – ბროლი, ტანი – ნა (ლერწამი), ალვა, ტუჩ-ბაგე – ძოწი, თმა ხან გიშერია, ხან ყორნის ბოლო, კბილნი – მარგალიტნი. აღმოსავლურ პოეტიკაში გაუცნობიერებელ მკითხველს თვალს მოჭრის მეტაფორათა ეს სიუხვე, მაგრამ ვინც ზიარებულია აღმოსავლურ პოეზიას, მისთვის ნათელი გახდება, რომ რუსთაველს ღრმად აქვს შეთვისებული აღმოსავლური პოეტური ლექსიკა და მხატვრულ-გამომსახველობითი ფერთა პალიტრა. გავიხსენოთ, ნიზამის „ლეილმაჯნუნიანში" მთელი გვერდები ეძღვნება ცისკრის ვარსკვლავის აღწერას, ასო ჯიმის „ლ" აღწერას, მზისა და მთვარის განშორების სცენას ცისკრისას, ეს ყველაფერი, სიმბოლოკითა და მეტაფორებით გაჟღენთილი ხელოვნებაა ქალის, კერძოდ, ლეილის სილამაზის გადმოსაცემად.

ტრუბადურებთან ძირითადია ოხვრა, მორჩილება, ქალისადმი მსახურება, ლაღი ერთგულება, შმაგობა, ურვა. ამ ნიშნებს გვთავაზობს შოთა რუსთაველიც:

„ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში"...
„შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა..."

აკად. ალ. ბარამიძე შენიშნავს ერთ არსებით განსხვავებას „ვეფხისტყაოსანსა" და დასავლეთის მხატვრული ლიტერატურის სამიჯნურო კონცეფციებს შორის. კურტუაზული, რომანტიკული რომანები გათხოვილი ქალებისადმი სიყვარულს გამოხატავენ, „ვეფხისტყაოსანი" კი უმანკო სიყვარულს უმღერის. ალ. ბარამიძის აზრით, რუსთაველთან არსებითია მეუღლეობრივი ერთგულების კულტი. კურტუაზული პოეზია კი არსებითად ამ ერთგულების რღვევის მომხრეა. ნ. მარი „ვეფხისტყაოსნის" მიჯნურობას „იდეალიზირებულ სიყვარულს" უწოდებს.

შოთა რუსთაველის პოემა ნიშანსვეტია ქართული ეროვნული სულიერების განვითარების გზაზე. იგი ბევრს მეტყველებს იმაზეც, რომ ქართველი ერის კულტურა თავისი მნიშვნელობით კაცობრიობის ისტორიის განვითარებადი ჯაჭვის ერთ—ერთი შემადგენელი რგოლია, რომლის შენარჩუნებაზე მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ უნდა იზრუნოს, რომ არ გაწყდეს ეს ჯაჭვი, არ დაირღვეს საკაცობრიო კულტურის ისტორიული მთლიანობა. რუსთაველის პოემამ აჩვენა მსოფლიოს, რომ ქართული კულტურა გენეტიკურად დასავლეთზეა ორიენტირებული, რომ საზოგადოებრივ-სოციალური ურთიერთობით, ფსიქიკით, კულტურული ტიპოლოგიით ქართველები აზიელები არ არიან, მაგრამ არც ევროპელები. „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელი ერის გონივრული სამყარო პოლიტიკურ-კულტურული ორიენტაციით არ ერწმოდა არც აღმოსავლურ-სპარსულ, არც დასავლურ-ბიზანტიურ სინამდვილეს. მან ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში თავი დააღწია როგორც აღმოსავლურ დესპოტიზმს, ასევე დასავლურ-ქრისტიანულ დოგმატიზმს, მისტიციზმსა და ასკეტიზმს, რომ იგი თვითმყოფადი ბუნებისაა, შექმნილი აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა განვითარების გზაჯვარედინზე, როგორც სინთეზი ამ ორი კულტურული სამყაროსი.

ლუარა სორდია

# თეატრის პრობლემები

(რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში)



თეატრს, როგორც ეროვნული იდეალების სამჭედლოს, განსაკუთრებული იმედით შეცქეროს რევაზ მიშველაძე და დღევანდელ პირობებში თითქმის დაკეტილ-გაუქმებული, ფუნქციადაკარგული თეატრის, მის ქურუმთა სავალალო ბედს გვიჩვენებს.

ნოველაში „სხვა რაღა დარჩა?“ ყველაფერი დოკუმენტური სიზუსტით არის გადმოცემული. მისი პერსონაჟი არის მარჯანიშვილის თეატრიდან დათხოვნილი, შემცირებაში მოყოლილი დოდო ჭიჭინაძე, მთელი თაობის გულისტკივილის გამომხატველი, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, „თავის მოკვლამდე დათვლილი დღეები დარჩენია“. ასეთ მდგომარეობაში არის სხვა 35 მსახიობიც. და ეს საბაზრო ეკონომიკით არის გამართლებული.

მსახიობთა სამსახურიდან დათხოვნის ფორმა ასეთია: დილით თეატრში მოსულებს კედელზე გაკრული დახვდებათ განცხადება, რომელშიც ნათქვამია, ამა და ამ მსახიობებს ხელშეკრულება აღარ გაუგრძელდებათ, ხელფასის ფონდი შეზღუდული გვაქვს, თეატრი ვერ არჩენს ამდენ მსახიობს და სხვა გზას ეწიეთო.

ეს ორგზის უბედურებას აღიქვეს თეატრიდან დათხოვნილება, რადგან მეგობრის ღალატით იყო განპირობებული და, როგორც ნოველის ავტორი ბრძანებს, ერდოზე შემომჯდარი ჩიტებისთვის ხელის აქნევას ჰგავდა.

რწმენის სიკვდილი განაპირობა „შავი სიის“ ჩაკითხვამ.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ინიციატივით ყველაფერი მოიმოქმედა ექვსმა კაცმა. ამ შედეგეს აწი შევარდნაძეც ვერ დაარღვევსო, გამოუცხადეს თეატრიდან „ნახირივით გამოდევნილებს“.

ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა იმ ექვსეულის გვარი.

„შეიძლება ერთ მსახიობს გადააწყვეტინო (და ისიც ფარული კენჭისყრით). მეორე მსახიობი იყოს თუ არა თეატრში? განა ეს სადიზმი არ არის?“

ხელის აუკანკალებლად მისცეს ხმა მარტოხელა მოხუცი ქალის ქუჩაში გაგდებას.

ლოზუნგი ასეთი იყო: ან თეატრს უნდა შევველიოთ, ან ამ მსახიობებსო.

„განა ჩვენ თეატრი არა ვართ? განა ათეული წლების განმავლობაში ჩვენი მხრებით არ ვატარეთ თეატრი? როდის შემდეგ ვიქეცით სვავ-ყორნებად თეატრის გადარჩენის გზაზე?“ სამართლიანად კითხულობს სულში ჩაფურთხებული მსახიობი. ამ გულქვაობის მიზეზად მოიაზრება თეატრის ხელმძღვანელთა პირადი სიმპათია ანტიპათია თანამშრომლებისადმი, მათი პოლიტიკური შეხედულებები, ყველა როდი იზიარებდა რუსეთის იმპერიაში შებრუნებით გამოწვეულ მათეულ აღტაცებას.

ხუთი წელი უხელფასოდ, შიმშილსა და სიცივეში გაატარეს. მათთვის თეატრი თავის რჩენის, ფულის შოვნის ადგილი კი არ იყო, სულის მოსათმქელი ტაძარი იყო. მსახიობი ერთ-ერთი ქურუმი იყო ამ ტაძრის.

ხელმძღვანელის ცინიზმი უფრო შორს ვერ წავიდოდა: „დოდო ჭიჭინაძე, სადაც არ უნდა იყოს, მაინც დოდო ჭიჭინაძე იქნებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ, მე თენგიზ არჩვაძეს, ჩემს ძმას, შიმილით მოვკლავ, ჩემს ლუკმა-პურს არ გავუყოფო?“

ეს „ამაზრზენი ფაქტი ქურდულად გარეთ გატყუებას და უტიფრად კარის ჩარაზვას ჰგავდა“.

კოლეგებისგან ხელნაკრავთ ვერიკო ანჯაფარიძის, ვასო გოძიაშვილის, გიორგი შავგულიძის, შალვა ღაზაშიძის უმწიკვლო აჩრდილები ელანდებათ...

განა ხელფასის დაკარგვას მისტირიან მსახიობები, „ქართველი ერის სამსახური ქართველი კაცისათვის წმინდათაწმინდა საქმეა და არად უჩანს ამ სამსახურში აღებული ფული. ამ მგლურ დროში მრავლად არიან გასამრჯელოს გარეშე მომუშავე ექიმები, ლექტორები.

„განა სამშობლოსთვის მებრძოლი კაცი ვერცხლიის უზალთუნებისათვის იცავს სამშობლოს?“

მსახიობებისათვის კოლექტივი, თეატრი იყო მთავარი, თორემ ისედაც პენსიაზე გაშვებულებივით იყვნენ.

„ქართველი რეჟისორები... თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ თეატრები ბედის ანაბარად დააგდეს“.

5 წელი როლი არ ქონიათ, რეპეტიცია, სცენა ენატრებოდათ.

ნოველის ავტორი საერთოდ ილაშქრებს მსახიოის პენსიაზე გაშვების წინააღმდეგ: „მსახიობის პენსიაზე გაშვება როგორ შეიძლება. ჰკადრებდა ვინმე სერგო ზაქარიაძეს, მოხუცდი და დროა, პენსიაზე გაგაცილოთ?“

„მსახიობი სცენაზე უნდა მოკვდეს, ვინ გაიგონა დამცხრალი, პენსიაზე გაშვებული, ხელკრიალოსანი მსახიობი“.

„...მწერალო... ხომ ძნელი წარმოსადგენია შენთვის პოეტობიდან გთავისუფლებული, შემცირებაში მოყოლილი, ან პენსიაზე გაშვებული გალაკტიონ ტაბიძე?“

კოლეგების უგულობამ მსახიობს გადააწყვეტინა, ანდერძი დატოვოს, რათა თეატრიდან არ გაასვენონ. არ სურს, თავისი დასაფლავების სპექტაკლში მონაწილეობა.

უიმედოდ საფლავისკენ მზირალს შექსპირის სიტყვები ახსენდება: „სხვა რაღა დარჩა? საუკუნე სიჩუმე მხოლოდ“.

ამ სულისშემძვრელ ნოველაში ადამიანობის გასაღვიძებლად ჩამოკრულმა ზარმა თავისი საქმე გააკეთა და თეატრიდან გაძევებული მსახიობები დააბრუნეს სამსახურში.

ნოველის ავტორი თავისი დაჩაგრული პერსონაჟების მხარეზეა, ამ ულვთო, ბულალტრულ ეპოქაში კიდევ ერთხელ ცდილობს, მიგვახედოს თეატრისკენ და ამით გადაარჩინოს ადამიანური ადამიანი: „თეატრი ხელოვნების მექაა... თეატრი მარტო სახელოვნო წისქვილი როდია, თეატრი ეროვნული ფიქრის სამჭედლოა... თეატრი უბრალო კაცს ინტელიგენტად, მოაზროვნედ აქცევს, სიკეთესა და სათნოებას უნერგავს გულში, სწორედ ლაპარაკს ასწავლის, მონას გამოდევნის მისი არსებიდან. ხელისფულება რომ თეატრზე უარს იტყვის, ის ხელისუფლება დაღუპულია, ან თავისი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში მონაწილეობს.

„რა სჭირს თეატრს სახელმწიფოს სარჩენი? პირიქით, თეატრმა უნდა არჩინოს და გაამაგროს სახელმწიფო“ („სხვა რაღა დარჩა?“).

ასე გაბედულად ეძებს მწერალი მთავარ დამნაშავეებს როგორც თეატრში, ისე ხელისუფლებაში და რისხვის მახვილს სწორედ მათკენ მიმართავს.

ნოველისტი ილაშქრებს ანტიქართული განწყობილების რეჟისორების წინააღმდეგ, „მსოფლიო დრამატურგების შემოქმედებას რომ გადმოაქართულებენ ხოლმე“, „მსოფლიო რეჟისორობაზე“ მეოცნებენი ერის შეჭირვებისას მერცხლებივით თბილ ქვეყნებში მიფრინავენ და თავიანთ თეატრზე მეტად ტელევიზიაში აფიშირება უყვართ. ბოლოს კი ძე შეცდომილივით სამშობლოს უბრუნდებიან იმაში დარწმუნებულნი, რომ „ხელოვანის მთავარი საქმე თავისი ხალხის სამსახური ყოფილა“ („ღამურა“).

რევაზ მიშველაძე მსახიობ ხარიტონ ცირამუას სიტყვებით ასე ცდილობს დამოძღვროს უცხოეთისკენ თვალგაქცეული კოსმოპოიტები: „რა პირობებს თხოვ დაქცეულ-დაპყრობილ, დაჩოქებულ-გალახულ ქვეყანას... რავა სტუმარივით ლაპარაკობ... პირობები თუ არაა, ჩვენ უნდა შევქმნათ, თუ ვერაფერს გავხდით, უნდა გავიჭირვოთ... ეს შენი ქვეყანაა, სამშობლოს ვერავინ ვერ გამოგიცვლის, რავარიცაა, ისეთი უნდა გიყვარდეს. ახლა სჭირდება ქვეყანას გამხნევება და თეატრი, ახლა გარბიხარ და გაჭირვებაში ტოვებ შენს ხალხს?“

ჩვენი დიდი წინაპრების ცხოვრების მაგალითებით ცდილობს ღამურების მოქცევას ნოველის ავტორი: „წარმოიდგინე, ილია ჭავავაძეს, აკაკი წერეთელს და ვაჟა-ფშაველას რომ გამოეცხადებინათ ერთ მშვენიერ დღეს: „პირობები არ მოგვწონს საქართველოში და უნდა გავიქცეთ აქედანო“. რას ჰქვია პირობები, რას უძახი შენ პირობებს. ფიროსმანი... კიბის ქვეშ ხატავდა“(„ღამურა“).

„დრამატურგ გაგაძის ჩვენებაში“ – რეჟისორს გაუიდეალებია ყველაფერი უცხოური, ეროვნულს კი არ სწყალობს, აბუჩად იგდებს ქართველ დრამატურგს და, ბოლოს, სამი წლის მოტყუებით თავმოყვარეობაშელახული მწერალი ქვას ესვრის რეჟისორის არაკაცობას, სიცრუეს, უსინდისობას.
იმპერიის მარიონეტად ქცეული რეჟისორი „ურდოში“ ცდილობს პირველობის მოპოვებას და სიმთვრალეში სიყვარულს რომ ეფიცება თავის ბოსებს, წამოსცდება „სამშობლოს სიყვარული პროვინციალიზმია, რაც შემეხება მე, ადამიანის სიყვარული პუშკინმა მასწავალო.

## საქართველოს ეროვნული ტრაგედიის განჭვრეტა ბეჟან ხარაიშვილის ერთ ლექსში

ბეჟან ხარაიშვილმა სოციალიზმის ეპოქაში იცხოვრა, როცა დამოუკიდებლობაწართმეული ჩვენი სამშობლო დიდი საბჭოთა იმპერიის კედლებში იყო ჩაშენებული.

XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო საქართველოს ეროვნული თვითშეგნების ამაღლების ახალი ეტაპი, თავისუფლებისკენ სწრაფვა, დისიდენტური მოძრაობა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მესვეურობით. ბეჟან ხარაიშვილი მათი თანამოაზრე იყო. სამწუხაროდ, სამივეს ტრაგიკული ბედი ხვდათ წილად.

ბეჟან ხარაიშვილს, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, ძილს უფრთხობდა სხვისი ტერიტორიებით გაუმაძღარი იმპერიული მონასტრის პოლიტიკა, მის მიერ ჩვენი ეროვნული სახის წაშლის მცდელობა.

ლექსში „შეციებიათ მთაში ღელეებს“ სწორედ მგლის მადით ცნობილი, დაუნდობელი ყინულოვანი მეზობელი ჩასაფრებია პატარა, მრავალსაუკუნოვანი წარსულის მქონე ქვეყანას, რომელიც მოაზრებულია ღვინიას სახელით: „კორტოხის მგლები ფატრავენ ღამეს და მოლანდებით ზმუის ღვინია, შეციებიათ მთაში ღელეეებს,—ბარად მირბიან“.

მგლის სახისადმი ინტერესი ვლინდება როგორც ხალხურ შემოქმედებაში, ისე ბიბლიაში, კლასიკურ მწერლობაში.

მგელი ორმაგი სიმბოლოა.

ბიბლიაში ამა ქვეყნის ძლიერნი ავლენენ მგლურ ინსტინქტებს, მგლურ სისასტიკეს: „შეთქმულნი... წინასწარმეტყველნი ლომებივით ბრდღვინავენ. მთავრები მგლებივით გლეჯენ ნედავლს, სისხლს ღვრიან, სიცოცხლის უმწარებენ ანგარებისთვის“ (ეზეკიელ წინასწარმეტყველი, 25,27).

„გაჯიუტებული, წაბილწული, მოძალადე ქალაქის... მთავრები მბრდღვინავი ლომებია მის შუაგულში, მისი მსაჯულები საღამოს მგლებია,დილისთვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“ (სოფონია წინასწარმეტყველი, 3, 1-3).

იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში წითელი გველეშაპისგან მოვლინებული, წინასწარმეტყველებთან მებრძოლი სამი მხეცია: უფსკრულის მხეცი, (11,7,13,14), ღვთისმგმობელი ზღვის მხეცი (13,1,5), მიწის მხეცი (13,11), რომლებიც თაყვანს სცემენ გველეშაპს და ქმნიან ულმერთო იმპერიას, რომელიც, კომენტატორთა მიხედვით, საბჭოთა კავშირია, ხოლო ზღვისა და მიწის მხეცებში მოიაზრებიან ხალხთა მასებიდან მოვლენილი ლენინი და იატაკქვეშელი სტალინი (აპოკალიფსი და დღევანდელობა) (იოანე—იოანა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ. 1994).

მითოლოგიაში მგელი ძალის, დაუმორჩილებლობის სიმბოლოა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ ჭამონ მტრისანი“.

ასევე, პოზიტიურ ჭრილში მოიხსენება მგლის მუხლი.

კ. გამსახურდიას თავის ტოტემად მგელი მიაჩნდა, რადგან თვითონაც მგელივით მოუთვინიერებელი იყო, მისი გადაბირება—გაწვრთნა ვერაფრით მოახერხეს კომუნისტებმა.

დიდი გერმანელი მწერლის ჰერმან ჰესეს პერსონაჟი ჰარი ჰალერი ტრამალის მგელია, შინაგანი გაორებისგან, კაც—მხეცის საწყისთა ურთიერთბრძოლისგან გატანჯული მარტოსული, ვიდრე არ მოათვინიერებს თავის არსებაში მხეცს და ჰარმონიას არ ეზიარება (ტრამალის მგელი).

მგლები ურთიერთდაუნდობლობითაც გამოირჩევიან.

ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში მგლები მგელი ტოტიას ცოცხლად შეჭამენ.

გოდერძი ჩოხელის რომან „მგელში“ მხეცური ინსტინქტების მომძლავრების ხელშემწყობია ტოტალიტარული საბჭოთა იმპერია, რომელსაც მამალი მგლის სადარი კომუნისტები მართავენ, ისინი მგლებად ნათლავენ თავიანთ თანამოაზრეებს, სიკეთისგან ცლიან მათ, გაცემა—დაუნდობლობაში წვრთნიან და ცხოვრება გაუსაძლისი ხდება. საბოლოოდ, ნამგლარი ადამიანი ოჯახის, ჯანსაღი გენეტიკური კოდების, რწმენის წყალობით ისევ ადამიანად გარდაისახება („მგელი“).

მსოფლიოს ისტორიის გააზრების შედეგად მიღებულ დასკვნებს გვაზიარებს შოთა ნიშნიანიძე: „ბაბილონიდან, რომიდან, სულაც არ ვამბობ ტყუილს და კიდევ უფრო შორიდან მგლური კანონი ყმუის. შენც დაგკბენს მგლური კანონი, ვერც შენ იდგები ცალკე, რომში ხარ დაბადებული თუ გაზრდილი ხარ ალგეთს“ (მგლური კანონის ბალადა).

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში ღვინიას ჩასაფრებული მგლები ნეგატიურ კონტექსშია ჩასმული.

ღვინია, ხარი მრავალგზის ჩაუფიქრებიათ ძალის, გამძლეობის, შრომისმოყვარეობის, შეუვალობა—ერთგულების ქვეყნის მსახურების სიმბოლოდ (შოთა ნიშნიანიძე, „ქართული სიტყვა“).

„ხარს ვგავარ ნაიალაღარს, რქებით მიწას ვჩხვერ, ვბუბუნებ, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც ამას ვდუდუნებ“—ასე იყო დიდი პოეტი ვაჟა—ფშაველა ასოცირებული ხართან.

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა, შენი დვრიტა ვარ, მამულ—დედულო, ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო“ — აცხადებდა შოთა ნიშნიანიძე და აქაც მამულ—დედულის მსახურება იყო „მისანი ხარის“ მისია“ მე ვარ მისანი ხარი წიქარა).

„ხარს ყოველთვის ჰყავდა ჩასაფრებული კბილებალესილი მგელი, ამიტომ ელანდება მამულის, სიმბოლოდ ჩაფიქრებულ ღვინიას მგელი. ბეჟან ხარაიშვილის ლექსში.

ალბათ, მთის ღელეების ბარისკენ სწრაფვაც არაა შემთხვევითი.

ნასახლარი, დათოვლილი, უსახურავო სახლის ჩამქრალი ბუხარი ყველაზე სასურველი, ავი ზრახვების ხელშემწყობი ადგილია სხვის მიწაზე დადარაჯებული ვერაგი, მგლის მადის მქონე მტაცებლისთვის: „თოვლით აევსო გული ნასახლარს, ბუხარი ცხვირში დუმილს იხრჩოლებს, მთვარე ზვინების თეთრი ბოხოხით—წყალში იხრჩობა“.

თოვლი, ყინვა, ქარი ეროვნულ—პოლიტიკურ ჭრილში, ყინულოვანი ქვეყნის ავი ზრახვების დასახასიათებლად აქვს გამოყენებული გალაკტიონ ტაბიძეს. იისფერი თოვლის, სპეტაკი თოვლის პარალელურად, მის პოეზიაში ფიგურირებს უამინდობა, შავი თოვლი, არაწმინდა თოვლი, საუკუნეთა თოვლი, მწუხარე თოვლი, მსახვრალი თოვლი, ფიფქით მტრობა, ყინვათა მფენი თვალები, ყინულოვანი გარემოცვა, „აუხდენელთა დღესასწაულით ლურჯი ყინული“, თეთრი ქარი, წითელი ქარი, თოვლიანი ალვა, თოვლიანი ნაძვი, გაზაფხულის თოვლი, გაზაფხულში გაყინული ნაკადული.

ყველა ეს სახე პოეტების მეფესთან მიმანიშნებელია მუხანათი მეზობლის, თოვლიან ყინულიანი იმპერიის სატანურ, მზაკვრულ პოლიტიკაზე, მის ავ ზრახვებზე. ლექსში „ოფორტი“ გალაკტიონი ენიგმებით მიგვახვედრებს, რომ ჩვენი სამშობლო ჩრდილოეთის ავდრიანი, ცივი იმპერიის მიერ დამონებულია და ეს მონსტრი გვაიძულებს, თავისი თოვლიან— ყინულიანი სახელმწიფო საკუთარ სამშობლოდ ვაღიაროთ: „... რა სიჩუმეა. როგორ აჩნია გზებს ნაკვალევი არსაამსოფლო, რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია... რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო“.

მართლაც, საკუთარის დავიწყებას და თავისი თოვლიან—ყინულიანი ტერიტორიის სამშობლოდ აღიარებას ითხოვდა ჩვენგან „გაიძვერა მოყვარე“.

რუსეთის ქარ-ყინვის, თოვლის, ყინულის, ყინულეთის ასოციაცია უჩნდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ პერსონაჟს — კონსტანტინე სავარსამიძეს რუსეთის ოფიცერ სლანსკისთან შეხვედრისას.

გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი “ შავი წვიმა, წითელი თოვლი, წითელი გველეშაპს მოვლინება მიგვანიშნებს ვერაგი მეზობლის ავ ზრახვებზე.

„ჩრდილოეთს წითელი ქარი“ ქრის გალაკტიონის პოემაში „მოგონებები“, „შავი გულისნაღებით სავსე“ ქარია მის ლექსში „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“.

„თოვლის თალხი“ ანუ იგივე შავი თოვლი მოასწავებს მოსალოდნელ უბედურებას კოლაუ ნადირაძის ლექსში „25 თებერვალი, 1921 წელი“.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსის „ქარიც“ და „თოვლის ბარათებიც“ სიმბოლური ხერხით აქცენტირებაა მტრის მზაკვრულ სულზე, ავბედით მიზნებზე.

ბეჟან ხარაიშვილის ლექსში ქარი „შეშლილი ფოსტალიონია“, „თოვლის ბარათებს“ მისამართს ურევს, სხვაგან (ჩვენსკენ) აგზავნის, ხოლო ხვანი (იმერეთის სოფელია) მდინარე ძირულას ხანჯალივით ეცემა გულში: „ქარი—შეშლილი ფოსტალიონი თოვლის ბარათებს მისამართს უშლის, ორმხრივ ჩამოსწვდა ხვანი ძირულას, იხანჯლა გულში“.

ე.ი. „თოვლის ბარათები“ სხვაგან, ანუ ჩვენთან ჩამოაქვს ქარს, როგორც ავის მაუწყებელი (შდრ. გალაკტიონის „ფიფქით მტრობა“). თოვლიც და ქარიც შეთანხმებულად რევენ სიტუაციას.

ლექსის ბოლო სტრიქონები უფრო ხსნის ქარაგმას: „შენ შეგყმუიან მგლები, სოფელო, შენი ხარების ცხელ სისხლს ნატრობენ, ეჭვი გძალავს და უყივი შვილებს: დაგეპატრონონ“ (შეციებით მთაში ღელეებს).

მგლის ყმუილი ავის მაცნეა, მგელი სისხლისღვრას, ხარების ხორცს დახარბებული მტაცებელია და ადამიანის მიერ მიგდებულ, უყურადღებოდ დარჩენილ სოფლებში საკბილოს მოხელთების მეტი შანსი აქვს.

ლექსის პირველ სტროფში გამოვლენილი შიში, ეჭვი ბოლოში უფრო კონკრეტდება: მგლები, მტარვალნი არა ერთ ნასახლარს, არა ერთ სოფელს, არამედ მთელ ქვეყანას შემოსჯარვიან და თუ პატრონობა არ გაუწიეს შვილებმა, თუ არ გამოფხიზლდნენ, ამ გარემოს სხვა ჩაიგდებს ხელში, მის ნაშიერთა სისხლისღვრაც გარდუვალია.

ლექსი დაწერილია საბჭოთა იმპერიის ზეობისას და რა დიდი თვალთახედვა გამოავლინა მისმა ავტორმა, როგორ უცდომლად განჭვრიტა მოსალოდნელი საფრთხეები, მტრის შავი გული, ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე სამაჩაბლოს და აფხაზეთს აგვაცლიდა სისხლით გაუმაძღარი გაიძვერა მოყვარე.

**Ratiani Lali**
*Professor Doctor Staatlicher Universität Suchumi*



## STRUKTURELL-SEMANTISCHE MODELLE IM SATZGEFÜGE MIT DEM KAUSALSATZ
### (Adverbialsatz des Crundes)

Die Besonderheiten der Satzgefüge die, die Realisierung der suntaktischen Funktionen des Grundes durch die Nebensätze bedingen, können als zahlreiche semantische Modelle dargestellt warden.

Ziel der vorliegenden Arbeit ist die charakteristische Züge der Kausalsätze sichtbar zu machen, ihre Spezifik festzustellen, durch die Beschreibung von eigentümlichen charakteristischen Merkmalen die Sätze dieser Art zu ergänzen, die Besonderheiten der Satzmodelle und –Strukturen , ihre bestimmte syntaktische Funktionen darzustellen, durch die den bekannten deutschen Schriftstellern entnommene Kausalsätze gefestigte Übungen kennenzulernen und die Notwendigkeit ihrer Erfüllung hervorzunehmen, beim Erlernen der deurschen Sprache die für das georgische Auditorium geeignete Fehler zu berücksichtigen, Ausnahmsfälle an den Tag zu legen

Der Kausalsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion der Adverbialbestimmung des Grundes, nennt die Ursache, den Grund des Geschehens im Hauptsatz und bezieht sich auf dessen Prädikat. Der Kausalsatz antwortet auf die Fragen: warum? weshalb? weswegen? wieso? aus welchem Grund? z.B.Der

Vater freute sich, weil es ihm zu Herzen gegangen war. (Brüder Grimm). (warum/weswegen freute sich der Vater?). Dr. Lucius empfing Bärlach nervös, **da** seiner Meinung nach nichts unternommen worden war. (Fr. Dürrenmatt). (aus welchem Grund empfang Dr. Lucius Bärlach nervös?).

Nach der Stellung im Satzgefügc sind die Kausalsätze Vorder-oder Nachsätze.**z.B.**

**Da** das Messer sich tief ins Holz eingegangen hatte, zog Tschanz es mühselig aus der Wand. (Fr. Dürrenmatt).Die Zuschauer bemerkten hiervor nichts, **da** alle Herrschaften sofort in der Küche verschwanden. (H. Mann).**Weil** es ein heller Tag war, blieben sie dort bis zum Abend. (Brüder Grimm).Sie wollte nicht darum bei ihm bleiben, **weil** seine Mutter sie einmal geschlagen hatte. (H. Fallada).

Wenig vorkommend sind die Kausalsätze, die im Satzgefügc die Zwischenstellung einnehmen.z.B.Thiel kroch, da er die folgende Woche Tagdienst hatte, bereits gegen neun Uhr abends ins Bett. (G. Hauptmann).

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz sind die Kausalsätze Konjunktionalsätze – sie werden durch die Konjunktionen: **weil, da, dass, nun ...(da), zumal ...(da), wo...(doch)** eingeleitet, von denen am häufigsten die Konjunktionen **weil** und **da** gebraucht werden. Seltener leiten die Kausalsätze die Konjunktionen **nun ...(da), zumal ...(da), wo ...(doch).**

Als die gebräuchlichste Konjunktion gelten **weil** und **da,** die oft synonymisch gebraucht werden. Es ist aber zu bemerkcn, dass sich einige Unterschiede in der Bedeutung und dem Gebrauch dieser Konjunktionen feststellen lassen.

Der Bedeutungsunterschied zwischen **weil–** und **da–** Kausalsätze besteht darin, dass die Begründung des Geschehens im Hauptsatz durch diese Sätze unterschiedlich ist – die Konjunktion **weil** leitet den Nebensatz ein, wenn vom Sprecher auf die Begründung von etwas Neues aufgefasst wird. Demgemäß wird dem **weil –** Nebensatz einen größeren Mitteilungswert zugeschrieben.z.B.Mein Sohn dankt Gott, weil seine künftige Frau gerettet werden soll. (H. Mann).

Die Konjunktion **da** dagegen leitet den Kausalsatz ein, der die Begründung eines anderen wiedergibt. Auf der Begründung liegt gar kein oder kein besonderer Nachdruck und wird als etwas Gegebenes, Bekanntes vorausgesetzt.z.B.Meine Cousine lässt uns wissen, sie komme bald zurück, **da** sie alle Angelegenheiten schon erledigt habe.Aber **da** sie sicher mit vielen Füllen sehr unterschiedlicher Beziehungen unterhält, musste sie weitergehende Fragen für Aufforderung zum Verrat halten. (Chr. Hirte).

Trotz der inhaltlichen Identität der Konjunktionen **da** und **weil** gibt es Fälle, wo nur eine von denen verwendbar ist. Nur die Konjunktion **weil** wird gebraucht:1.wenn auf die **warum-,weshalb-, weswegen-, wieso–** Fragen nur mit dem Kausalsatz geantwortet wird:Warum weint das Kind so bitter? **Weil es seinen Ball verloren hat? 2.**wenn die Konjunktionen durch ein vorangestelltes Adverb hervorgehoben
wird: **schon weil, eben weil, einfach weil, nur weil. z.B.**Sie schrie mit **nur weil** sein Gefühl mittlerweile ganz das ihre war. (H. Mann).Auch die Königsmutter lachte anfangs, **schon weil** es keine Mörder waren. (H. Mann).3.Wenn im Hauptsatz die Korrelate: **deshalb, deswegen, daher, darum, nur, bloß, ganz einfach** stehen. z.B.Allerdings entsann sie sich auch **deshalb,** weil die Tür nach dem Nebenzimmer leise cin wenig bewegte. (H. Mann).Sie fragte ihn oft etwas, **bloß,** weil er ihr Spaß machte. (H. Fallada).,Ihr Sohn ist der König", verbessert er unbedacht, **darum**, weil er sich der Erzählung seiner Mutter erinnerte. (H. Mann). Nur die Konjunktion **da** leitet den Kausalsatz ein:4.wenn die Begründung eines anderen wiedergegeben ist:z.B.Er sagte mir, er könne nicht mitkommen, **da** er keine Zeit habe. (R. Klappenbach).Mein Cousin teilt mir mit, er komme bald zurück, **da** er alle Angelegenheiten schon erledigt habe.5.wenn sich die Begründung auf einen Fragesatz bezieht, der inhaltlich einverneinender Aussagesatz ist.z.B.Wohin sollte ich mich wenden, **da** mir alle Wege verpasst waren.Was soil er antworten, **da** es darauf keine Antwort gibt. (R. Klappenbach).Durfte ich mich nicht beleidigt fühlen, **da** diese wichtige Nachricht bei meinen Kollegen keine Reaktion ausgelöst hatte.6.meistens, wenn der Hauptsatz durch das Korrelat **so** eingeleitet wird.z.B.So stand er in undurchdringlichen Schatten, zwar benachrichtigt, da er nicht ausweichen konnte. (Fr. Durrenmatt). Da sie süße Rede führten, so sagte er endlich, sie möchten über Nacht bleiben. (Brüder Grimm).

In den Sätzen von dieser Art ist der Gebrauch der Konjunktion **weil** auch nicht ausgeschlossen.z.B.Da/Weil er das erste Mai nachgegeben hatte, so musste er auch zum zweiten Mal. (Brüder Grimm).Da/Weil er ein mitleidiges Herz hatte, so stieg er vom Pferd ab und setzte die drei Gefangenen wieder ins Wasser. (Brüder Grimm).

Die **wcil**– und **da**– Sätze unterscheiden sich auch durch ihre Stellung im Satzgefüge – beim **da** – Nebensatz überwiegt die Anfangs-, beim **weil**– Nebensatz die Endstellung.

Noch ein Unterschied ist zwischen **da**– und **weil**– Nebensätzen zu betrachten – die **da**-Begründung gehört mehr der Schriftsprache an, die **weil**-Begründung – dem gesprochenen Deutsch.Trotz, der gcnannten Unterschiede sind die Konjunktionen **weil** und **da** völlig austauschbar.z,B.Da/weil ihm die Steine im Magen so großen Durst erregten, wollte er zu einem Brunnen gehen und trinken. (Brüder Grimm). Die zwei Polizisten stiegen aus und verhandelten, da/weil uns die Angestellten das große Tor nicht öffnen wollten. (Chr. Hirte).

Abgesondert werden die Sätze betrachtet, die einen kausalen Charakter haben und durch die Konjunktion **dass – e**ingeleitet werden. Die Bedingungen für Realisierung der kausalen Verhältnisse zwischen dem Haupt– und dem dass-Nebensatz sind semantisch beschränkt der dass-Kausalsatz bezieht sich im Hauptsatz auf das Prädikat, das durch das Verb der Bemütsbewegungen ausgedrückt wird, wie: **sich freuen, sich erfreuen, sich empören, jammern, jubeln, sich giften, sich aufzeigen, sich ärgern, triumphieren, sich beruhigen, sich erzürnen, bedauern** u.a. oder durch die Fügungen, wie: **froh sein, fröhlich sein, glücklich sein, betrübt sein, wehmütig sein, traurig sein, zornig sein, bezaubert sein, begeistert sein** u.a.z.B.Wir freuen uns/wir sind froh, dass du morgen zu uns kommst. (R. Klappenbach)

Er ärgert sich/er ist ärgerlich, dass ich einen so dummen Fehler gemacht habe. (R. Klappenbach)

Es ist zu bemerken, dass sich die **dass-Sätze** zweierlei erläutern lassen – einerseits können sie **Kausal-**, andererseits – **Objektsätze** sein, je nachdem, wie die Frage gestellt wird.z.B.Er erzürnt sich sehr, dass sein Freund wie gcdrückt lügt.Warum erzürnt er sich sehr? – Kausalsatz.Worüber erzürnt er sich sehr? – Objektsatz.Ich bedauere, dass ich nicht dabei sein konnte. (Duden).Warum bedauere ich? – Kausalsatz.Was bedauere ich? – Objektsatz.

Wenn aber im Hauptsatz ein Korrelal steht, so ist der Nebensatz meistens Objektsatz.z.B.

Wir sind **damit** zufrieden, dass wir alle Prüfungen zeitig abgelegt haben.Womit sind wir zufrieden? – Objektsatz.

Seltener werden die Kausalsätze durch die Konjunktionen: **nun...da, zumal...da, wo...doch** eingeleitet.Die Konjunktion **nun..(da)** ist schon veraltet und wird meistens in der gehobenen Sprache verwendet.Der **nun...da**-Nebensatz begründet das Geschehen im Hauptsatz, gibt dabei die temporale Bestimmung dieses Geschehens an und nimmt im Satzgefüge immer die Anfangsstellung ein.z.B.**Nun da** das Buch abgeschlossen ist, möchte ich allen danken. (Duden).Warum/wann möchte ich allen danken?

Der durch die Konjunktion **zumal...da** eingeleitete Kausalsatz misst der Begründung des Geschehens im Hauptsatz besondere Wichtigkeit bei, verstärkt sie und kann durch die konjunktionalen Fügungen: **besonders weil/da, vor allem da** ersetzt werden. Im Satzgefüge hat der **zumal...(da)** – Nebensatz die Endstellung.z.B.

Alle unterstützten ihn gerade dabei, zumal da besondcrs weil vor allem da er auch hilfsbereit war.

Die **zumal..(da)** Sätze gehören fast ausschließlich der Schriftsprache an. Als Synonym zu der Konjunktion **zumal...da** tritt in der Umgangssprache die Konjunktion **wo...doch** auf. Es ist zu beachten, dass in den durch **wo...doch** eingeleiteten Sätzen Personal-, Reflexiv– und Indefinitivpronomen zwischen **wo** und **doch** stehen.z.B.Ich will dich gern unterstützen, **wo** du mir **doch** auch so oft geholfen hast. (R. Klappenbach).

Was wollt ihr verreisen, wo ihr es doch zu Hause wie im Urlaub habt. (Duden).

Zum Ausdruck der kausalen Verhältnisse können zusätzlich einige Sprachstrukturen verwendet werden. Als gleichwertige Ersatzformen der kausalen Nebensätze werden folgende Einheiten genannt werden.**1.** Satzreihen mit den beiordnenden Konjunktionen: **denn**, **nämlich**. Dabei leitet die Konjunktion **denn** den Satz ein, der eine Begründung enthält, die Konjunktion **nämlich** steht in der Mitte des Satzes, der das Vorhergesagte begründet.z.B.Sie geriet vollends in Zorn, **weil** ihre Tochter auf den Füßen unsicher geworden war.Sie geriet vollends in Zorn, denn ihre Tochter war **nämlich** auf den Füßen

unsicher geworden.**2.** Präpositionalfügungen mit den Präpositionen: **wegen, vor, aus, durch, infolge** + Substantiv.z.B.Wir bleiben zu Hause, **weil** das Wetter regnerisch ist. **/Wegen** des regnerischen Wetters bleiben wir zu Hause.Unsere Hände sind klamm, **weil** es grimmig kalt ist./**Vor** grimmiger Kälte sind unsere Hände klamm.Sie empfangen ihn liebenswürdig, nur **weil** sie Angst vor ihm haben. /Nur **aus** Angst vor ihm empfangen sie ihn liebenswürdig.Er ist übermüdet, **weil** er beharrlich arbeitet. **/Durch** beharrliche Arbeit ist er übermüdet.Er konnte die Einzelheiten nicht erkennen, **weil** das Licht düster war. /**Infolge** des düsteren Lichtes konnte er die Einzelheiten nicht erkennen.**3.**Partizipialgruppen.z.B.Sie hat alles geschafft, weil sie rechtzeitig aufgestanden ist./Rechtzeitig **aufgestanden** hat sie alles geschafft.**Da** jeder für seine Nächsten eine große Verantwortung fühlt, leben sie miteinander in glücklicher Harmonie./Für seine Nächsten eine große Verantwortung **fühlend** leben sie miteinander in glücklicher Harmonie.**4.** Infinitivgruppen **mit um...zu.z.B.**Der Kranke nimmt stark wirkende Arzneien, **weil** er schnell genesen will./Der kranke nimmt stark wirkende Arzneien, um schnell zu genesen.

Die Umwandlung der Kausalsätze in die partizipialgruppen oder infinitivkonstruktion mit **um...zu** ist nur dann möglich, wenn die Subjekte des Haupt– und des Nebensatzes identisch sind.

Die strukturell-semantischen Besonderheiten der Satzgefüge, die die Realisierung der syntaktischen Funktion der Adverbialbestimmung des Grundes durch einen Nebensatz bedingen, können als strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

**I**

| HS-Subjekt | + Prädikat | + (Objekt) | + weil,da,nun(da), zumal (da) | + NS |
|---|---|---|---|---|
| [Subst. Pron. Person,Ding, Erscheinung] | [Verb-Vorgang, Zustand, Indikativ] | [Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung] | | [Grund des Geschehens] |

**z.B.**

Sie freuen sich, **weil** die Stunde des Gottes und seines Sieges schon nahe war. (H. Mann)

**II**

| HS-Subjekt | + Prädikat | + (Objekt) | + wo...doch | + NS |
|---|---|---|---|---|
| [Subst. Pron. Person,Ding, Erscheinung] | [Verb-Vorgang, Zustand, Indikativ] | [Subst. Pronomen] | | [Grund des Geschehens] |

z.B.

Ich will dich unterstützen, **wo** du mir doch auch so oft geholfen hast. (R. Klappenbach).

**III**

| Da, weil-NS | + HS –so Prädikat |
|---|---|
| [Grund des Geschehens] | [Verb-Vorgang, Zustand, Indikativ] |
| + Subjekt | + (Objekt) |
| [Subst. Pron.-Person, Ding, Erscheinung] | [Subst. Pron.-Person, Ding, Erscheinung] |

**z.B.**

**Da** sie sich kümmerte und fortbog, (so) trafen seine Fäuste ihre volle Schulter. (H. Mann).

**IV**

| HS-Subjekt | + Prädikat | + (Objekt) | + um so...mehr/ um so + Komparativ | + als-NS |
|---|---|---|---|---|
| Subst. Pron. Person,Ding, Erscheinung | Verb-Vorgang, Zustand, Indikativ | Subst. Pron. Person, Ding, Erscheinung | | Grund des Geschehens |

z.B.

Die Leistungen dieses Jungen sind ganz überraschend, **um so mehr**, als er sich durch seinen Fleiß nicht auszeichnet.

**V.**

| HS-Subjekt | + Prädikat | + dass-NS |
|---|---|---|
| Subst. Pron.-Person, Ding, Erscheinung | Verb-Gemütsbewegungen, Indikativ | |

z.B.

Ich bin so froh, **dass** alles geklappt hat. Ich war traurig, **dass** Hanni mir nicht Bescheid gesagt hatte. (R. Klappenbach).

**Kausalsatz**
**Fragen zur Selbstkontrolle**

1. Welche syntaktische Funktion erfüllt der Kausalsatz und was wird durch den Kausalsatz genannt? 2.Auf welche Fragen antwortet der Kausalsatz und welche Arten der Kausalsätze gibt es im Satzgefüge? 3. Durch welche Konjunktionen werden die Kausalsätze eingeleitet

und welche Konjunktionen sind am gebräuchlichsten?4.Worin besteht der Bedeutungsunterschied zwischen den Konjunktionen **weil** und **da und w**ann warden sie gebraucht? 5.Welcher stilistische Unterschied ist zwischen den Konjunktionen **weil** und **da** festzustellen? 6.Durch welche konjunktionalen Fügungcn können die Kausalsätze eingeleitet werden? 7.Welche Korrelate werden im Hauptsatz mit dem Kausalsatz gebraucht? 8.In welchem Fall werden im Hauptsatz mit einem Kausalsatz die Zeitformen des Konjunktivs gebraucht? 9.Durch welche syntaktischen Strukturen können die Kausalsätze ersetzt werden?

**Kausalsätze**
**Übungen**

**1. Stellen Sie die Fragen zu den folgenden Kausalsätzen. Beantworten Sie sie.**

1. Nur ihren Umriss erkannte er, da er vom Licht geblendet war. (H. Mann). 2. Er ist glücklich, zumal (da) seine Abhandlung so hoch geschätzt wird. 3. Dieser Roman ist heiß umstritten, wo er doch in einer ungewöhnlichen sprachlichen Form geschrieben ist. 4. Man hasst uns, weil man die Religion hasst. (H. Mann). 5. Du kannst aber froh sein, dass es noch mal so abgegangen ist. 6. Sie hatte es nicht nötig, da ihre kleine Hand so vorzüglich ein Getränk zu mischen verstand. (H. Mann). 7. Seine väterliche Fürsorge für das Kind ist um so geringer, als er ihm kein leiblicher Vater ist.

**2. Bestimmen Sie die Kausalsätze nach ihrer Stellung im Satzgefüge.**

1. Die Polizeiautos fuhren ziemlich schnell, weil die Straßen noch fast leer waren. (E. M. Remarque). 2. Da der Hass des ganzen Haufens in ihm selbst vereinigt war, konnte er sich nicht länger zurückhalten. (H. Mann). 3. Der Garten war von einer hohen Mauer umgeben und niemand wagte hineinzugehen, wo er doch einer Zauberin gehörte. (Brüder Grimm). 4. Er ist um so strenger, als er selbst streng erzogen ist. 5. Da er aus Schwäche wieder katholisch geworden war, musste er die katholische Kirche besuchen. 6. Auch mich wollte er zurückhalten, da er mich natürlich nicht kannte.

(Chr. Hirte). 7. Sie stand auf und öffnete zum Empfang ein wenig die Arme, zumal dieses Kind so lieblich war. (H. Mann).

**3. Verstärken Sie durch entsprechende Konjunktionen die Begründung des Geschehens im Hauptsatz.**

Muster: Mehrcre unserer Herren haben es mir gestanden, **weil** ich sie nötigte/**zumal da** ich sie nötigte/**wo ich doch** sie nötigte/**um so mehr,** als ich sie nötigte.

1. Aber dir ist es peinlich, weil die Polizei bis jetzt noch nichts herausgebracht hat. (Fr. Dürrenmatt). 2. Auf ihn blickte das Volk begeistert, weil es in ihm das Blut des Aeneas mit dem des Königs Latinus verband. (R. Carstensen). 3. Da Tränen in ihre Augen traten, unterschied sie sein Gesicht schon nicht mehr genau. (H. Mann). 4. Im schlimmsten Fall konnte sie ihn um Hilfe bitten, weil ihre reformierten Untertanen nicht anders zu bändigen waren. (H. Mann). 5. Wir empfinden die plötzliche Wärme so angenehm, da es gestern noch so kühl war. (R. Klappenbach). 6. Da der Alte schwer krank war, vererbte er seinen ganzen Besitz seiner Tochter. 7. Jahrelang bist du in seinem Schatten, will er bessere Schulen hat. (Fr. Dürrenmatt).

**4. Verbinden Sic die angegebenen Satzpaare zu einem Satzgefüge mit dem Kausalsatz. Leiten Sie die Nebensätze durch verschiedene Konjunktionen ein.**

1. Die Schüler verstehen den Lehrer nicht. Er spricht nicht deutlich. 2. Das 15-jährige Mädchen wohnt mit seinen Großeltern. Ihrer geschiedenen Mutter ist ihr Freund wichtiger als die Tochter. 3. Der junge Mann gerät aus dem Gleichgewicht. Niemand will ihm zuhören. 4. Sie weiß nicht, was sie tun muss. Ihr Zukunftsglaube wird durch niemanden verstärkt. 5. Sie war verzweifelt. Sie konnte in den Beziehungen zu Gleichaltrigen keinen Einsatz für fehlende Mutterliebe finden. 6. Alle nannten sie Oma. Sie bereitete täglich für alle das Mittagessen zu. 7. Jetzt sind sie zu viert. Zu drei Freunden kommt noch ein Junge hinzu..

**5. Formen Sie de folgenden Satzreihen in die Satzgefüge mit den Kausalsätzen um. Vermeiden Sie dabei den wiederholten Gebrauch der begründenden Konjunktionen.**

1. Sie hat große Angst, in die Schule zu gehen, denn sie hat dort keine Freunde. 2. Die Mutter kann ihr wenig Aufmerksamkeit schenken, sie ist nämlich überarbeitet. 3. Ihre Liebe schenkte sie einer Katze, denn sie war immer bei ihr. 4. Die Scheidung war unvermeidlich, denn die Eltern verstehen sich nicht mehr. 5. Der ältere Bruder hilft ihm beim Lernen, er kann nämlich das Lehrmaterial selbständig nicht bewältigen. 6. Das Kind bekommt viel Aufmerksamkeit von den Eltern, denn es ist körperbehindert. 7. Das Mädchen traut sich nicht nach Hause, denn es hat heute schlechte Noten bekommen.

**6. Begründen Sie das Geschehen im Hauptsatz. Gebrauchen Sie dabei sinngemäß die unten angeführten Nebensätze.**

1. ... ... ..., musste der kleine Junge ins Bett. 2. Der Unbekannte sah mich fragend an, ... ... .... 3. Wir weichen ängstlich einige Schritte zurück, ... ... .... 4. Er ist spät nach Hause gekommen, ... ... .... 5. ... ... ..., wollen wir ins Grüne fahren. 6. Die Alte geht früh am Morgen die Treppe leise hinunter, ... ... .... 7. Unser Betreuer empört sich, ... ... ....

da es ihn vor Fieber schüttelt, ... ... .... um so mehr, als ich vor ihm mit der Pistole in der Hand stehe.

da es draußen schön warm ist, ... ... .... weil nicht alle pünktlich an Ort und Stelle sind.

zumal da unser Land in diesem Konflikt nicht eingreift. da er den letzten Bus verpasst hat.

weil er mich nicht verstanden hat.weil sie ihre Nachbarn in ihrer Ruhe nicht stören will.

**7. Vervollständigen Sie den nachstehenden Kausalsätzen durch die nach ihrem gedanklichen Inhalt entsprechenden Hauptsätze.**

1. ... ... ..., wo wir doch eine Panne hatten. 2. ... ... ..., dass er vor einer Menschenmenge sprechen muss. 3. ... ... ..., zumal da er immer so gefällig ist. 4. ... ... ..., wo er doch nicht geantwortet hat. 5. ... ... ..., wo er doch nicht geantwortet hat. 6. ... ... ..., weil wir uns die für die bildende Kunst schwärmen. 7. Da die Brüder wie ein Ei dem anderen gleichen, ... ... ....

**8. Ergänzen Sie die Hauptsätze durch passende Verben bzw. Wortfügungen.**

1. Die Kursteilnehmer ... ... ..., dass sie das Sprachdiplom schon wie in der Tasche haben. 2. Die

Eltern ... ... ..., dass ihr Sohn eine außerordentliche Begabung zum Lernen zeigt. 3. Ich ... ... ..., dass du der Sache gegenüber gleichgültig bleibst. 4. Die Stadtbewohner ... ... ..., das von dem schönsten Gebäude der Stadt nur Ruinen geblieben sind. 5. Wir ... ... ..., dass es etwas dazwischenkommen kann. 6. Sie ..., dass sie ihr Clück verloren hat. 7. Das Volk ... ... ..., dass unser junge Sportler den Titel des Olympiasiegers errungen hat.

**9. Finden Sie die Kausalsätze in folgenden Sätzen.**

1. Der Versuch zeugt davon, dass wir auf dem richtigen Weg sind. 2. Die Schüler jubeln laut, dass die letzten Unterrichtsstunden ausfallen. 3. Dass er sicher Recht hat, ist uns allen klar. 4. Die Hoffnung, dass er zurückkommt, erlischt. 5. Das Kind ist übermäßig froh, dass er vom Vater einen Konstrukteur zum Geschenk bekommen hat. 6. Du musst die Jacke mitnehmen, dass du dich nicht erkältest. 7. Die Eltern empören sich, dass ihr Sohn die Verantwortung von sich auf die anderen abwälzen will.

**10.Formen Sie unterstrichenen Präpositionalfügungen in die Kausalsätze um. Gebrauchen Sie dabei Nach- und Vorderstellung.**

Muster: **Infolge von Krankheit** musste ich die letzten Vorlesungen versäumen. Da ich krank war, musste ich die letzten Vorlesungen versäumen.

Ich musste die letzten Vorlesungen versäumen, weil ich krank war.

1. **Wegen des schlechten Wetters** bleiben wir zu Hause. 2. **Infolge des Unfalls** sind viele Menschen verunglückt. 3. Er überzeugt die Abgeordneten **durch eine flammende Rede.** 4. **Vor Entsetzen** war er wie gelähmt. 5. Er hat seine gutbezahlte Stellung **aus Dummheit verloren.** 6. Ich ärgere mich **wegen meines Fehlers.** 7. **Infolge des starken Regens** war der Pegelstand der Flüsse sprunghaft angestiegen.

**11.Übersetzen Sie die Präpositionalfügungen ins Georgische. Transformieren Sie sie in Kausalsätze.**

Muster: vor Glück – bednierebisagan

Vor Glück begann sie zu weinen -Sie begann zu weinen, weil sie glücklich war.

**vor** Freude / Angst / Schreck / Furcht / Hunger / Überraschung / Aufregung / Scham / Ungeduld / Schmerz/ Kälte / Begeisterung / Aufregung.

**durch** Rauchen / Benehmen / Schaden / Schuld / Dummheit / Ungunst /

**12.Ersetzen Sie die Kausalsätze 1.3.5.7. durch entsprechende Partizipialgruppen, die Sätze 2.4.6. – durch den Infinitiv mit um ... zu.**

1. Die Wissenschaftler erreichen ihr Ziel, weil sie energisch nach dem Erreger der Krankheit forschen. 2. Der Reisende verließ den Wagen, weil er die märchenhafte Landschaft bewundern will. 3. Der Autofahrer fährt langsam, weil die Sonne ihn geblendet hat. 4. Alle redeten auf das Kind ein, weil sie es beruhigen wollen. 5. Die Frau begann zu zittern, weil der Einbrecher sie mit der Pistole bedrohte. 6. Sie beschloss das Geld zu sparen, weil sie sich cine Perlenkette kaufen will. 7. Der Junge verließ seinen Hund nie allein, weil er ihn über alles liebte.

**13.Ergänzen Sie die Lücken durch die Konjunktion weil oder da. Begründen Sie dabei Ihre Auswahl.**

1. Er äußerte sich zugunsten seiner Kollegen einfach, ... ... ... er völlig ihrer Meinung ist. 2. So blieb sie wie versteinert stehen, ... ... ... sie einige verdächtige Personen vor ihrem Haus stehen sah. 3. Warum zahlst du deine Schulden nicht zurück? ... ... ... ich erst gestern von meiner Dienstreise zurück bin. 4. Er traute mit an, er könne die Prüfung nicht bestehen, ... ... ... er kein Buch zur Hand genommen habe. 5. Ich beeile mich deshalb, ... ... ... ich weiß, dass du mich erwartest. 6. Was soil er machen, ... ... ... er so viele Hindernisse zu beseitigen hat. 7. Warum arbeiten sie so angestrengt? ... ... ... die Anlage vorfristig in Betrieb genommen werden muss.

**14. Übersetzen Sie ins Deutsche. Verwenden Sie möglichst verschiedene Konjunktionen.**

1. Cveni qveyana mWidrodaa dasaxlebuli, radgan aq zomieri havaa. 2. Cemi SviliSvili dRes skolaSi ar wava, radgan Zalian cudi amindia. 3. Cveni naTesavebi iSviaTad modian CvenTan, radgan qalaqis ganapiras cxovroben. 4. patarebi ver nayrdebian, radgan mxolod xils da namcxvars Wamen. 5. Cveni ojaxi arasdros araa wagebuli, radgan ojaxis ufrosi mudam fxizlad moqmedebs. 6. Cemi Zma ufro

xnierad gamoiyureba, vidre sinamdvileSia, radgan is Tavis energias mudam uqmad flangavda. 7. mTeli zafxuli man ojaxSi gaatara, radgan sicxis mimarT Zalze mgrZnobiarea.

**15.Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die Sätze.**

1. Du bist in jener Nacht mir schuldig geworden, well du die geboten hast und ich, weil ich sie angenommen habe. (Fr. Dürrenmatt). 2. Sie legten sich unter einen Baum und schliefen ein, wcil sie so müde waren. (Brüder Grimm). 3. Zufällig kannte ich die Melodie, weil meine Mutter sie manchmal am Küchenherd gesummt hatte, als wir noch Kinder waren. (Chr. Hirte). 4. Weil er es durchaus verlangte, so versprach ich ihm, er solle mein Geselle werden. (Brüder Grimm). 5. Conde widersprach, weil er nicht nur an die Ermordung des Herzogs von Guise dachte, sondern auch an seinen Vater. (H. Mann). 6. Sonst war alles dunkel, weil es erst Neumond gewesen war. (Fr. Dürrenmatt). 7. Er hat deshalb geleugnet, weil er Angst vor der Strafe hat. (R. Klappenbach).

**ლალი რატიანი**

**სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში**

**რეზიუმე**

ქვეწყობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებებით განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რთული ქვეწყობილი წინადადებების, კერძოდ მიზეზის დამოკიდებული წინადადებების დაწვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების თავისებურებებისა და მათი განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი მიზეზის დამოკიდებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სიძნელეების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა

ილუსტრირებული ენობრივი მასალა გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენის ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

**Lali Ratiani**

**Structural – semantic Models in the adverbial Clause of reason**

**Summary**

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural – semantic models.

The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a adverbial clause of reason, determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on subordinate clause taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

ისტორია

**Рамаз Шенгелиа** **Гиорги Алибепашвили** **Гиоргий Квеситадзе**







# КОРНИ ГРУЗИНСКОЙ НАУКИ

(Продолжение, Начало в «Атинати», № 20 (2016))

Крестовый монастырь (Джврис монастери) в Иерусалиме, основанный в 30-50-х годах XI века Георгием-Прохором Грузином, объединил рассеявшуюся грузинскую братию Святой Земли. По сведениям «Житий» Прохора и Георгия Атонели, а также согласно колофонам рукописей Крестового монастыря и Синодика Синайского монастыря, Прохору в строительстве помогал Георгий Атонели. В Крестовом монастыре было создано обширное книгохранилище, пополнявшееся созданными на месте рукописями и книгами, переписанными в других грузинских монастырях. У братства Крестового монастыря был свой монастырский устав, аналогичный типикону Сабацминдской Лавры. Материальную помощь монастырю оказывал царь Грузии Баграт IV (1027–1072 гг.) и его мать царица Мариам. В монастыре Креста развернулась полнокровная литературная деятельность, где интенсивно проходила переписка книг. Монастырь стал настоящим центром грузинской культуры и науки на Святой Земле [34].



**Гелатский монастырь и Академия, XII в.**

В XI столетии Крестовый монастырь был административно-организационным центром всех грузинских монастырей в Палестине. Международный авторитет Грузии в период царствования святого Давида IV Агмашенебели (Строителя) (1073–1125) упрочил положение грузинских монастырей за пределами Грузии. В период завоевания Иерусалима египетским султаном Салах-ад-Дином (1187 г.) Крестовому монастырю оказала помощь царица Тамар. В 1244 году Грузия потеряла Крестовый монастырь, который оказался в руках мусульман и в 1273 году был переделан в мечеть. В XIV веке культурная жизнь монастыря вновь ожила.

В Крестовом монастыре хранятся грузинские рукописи, среди которых была найдена

единственная рукопись «Жития Григола Хандзтели». В Крестовом монастыре вели научные исследования грузинские ученые XX века: Александр Цагарели, Нико Марр, Иванэ Джавахишвили. В монастыре хранится фреска с изображением Шота Руставели, которая в начале XX века была невидима для Марра и Джавахишвили из-за нанесенной сверху масляной краски. Посетившие в 1960 году монастырь Акакий Шанидзе, Георгий Церетели, Ираклий Абашидзе при помощи настоятеля Крестового монастыря освободили фреску от этого слоя. В Синодик монастыря для вечного поминовения усопших внесено имя Шота Мечурчлетухуцеси (Главный казначей). Иерусалимский Крестовый монастырь в XI-XIII веках по сути объединял все грузинские церкви и монастыри, расположенные на прилегающей к Иерусалиму территории: в Каппате, Гефсимании, на Голгофе.



**Икалтойская Академия, XI-XII в.**

В монастыре Палавра имени святого Харитона вели богословскую деятельность Иоанэ Сапарели, Павлэ, Стефанэ и Тевдорэ Палаврели. С монастырем Голгофы связана деятельность Иоанэ Голготели (Голгофского), Микаэла, Нистереона и Квирикэ Агдгомели, Иоанэ Вардзиели, Махаребел Агдгомели и других. Литературная деятельность велась и в других грузинских монастырях Палестины: в Гефсимании, в женских монастырях в Каппате, Дертаве, Дертпе и др. Большая часть духовных лиц в монастыре, кроме богослужения, создавали настоящие шедевры христианской культуры. Это были большие мастера – иконописцы, создатели настенной живописи, зодчие, чеканщики, искусные мастера перегородчатой эмали, миниатюр и вышивания, каллиграфы и верстальщики, а также целители и лекари, знатоки сельского хозяйства и химии, математики, инженерного дела, астрономы и т.д. – все это было органической составной частью монастырской жизни.





**Ванское Евангелие XII-XIII вв.**

Примечательно, что бремя новых свершений в страневзял на себя Давид Агмашенебели, который реально объединил всю Грузию («Царь абхазов, картвелов, ранов, кахов и армян, ширванша и шаханша») и считался большим покровителем Восточного Христианства («Меч Мессии»). Сам Давид Агмашенебели был всесторонне

образованным человеком. Летописец («Жизнь Царя Царей Давида») с удивлением рассказывает о его увлечении книгами. Он много читал в мирное время и не расставался с книгами даже в походах [38, 47, 67]. Давид Агмашенебели является автором произведения «Покаянные песнопения» – произведения выражающего до средневековое и средневековое грузинское духовное, культурно-идеологическое и эстетическое кредо [9, 67, 70].

Именно такая высоконравственная и всесторонне образованная личность могла думать о подъеме культуры и образования в стране. Армянский летописец Вардан Барбердец специально отмечает, что царь Давид «постоянно заботился об Иверском народе, как любителе знаний». Грузинский царь отобрал сорок юношей ипослал их учиться в Грецию, чтобы «они выучили языки, сделали переводы. Трое из них стали известными в результате их последующей деятельности». Само слово «Агмашенебели» в первую очередь подразумевает духовный и познавательный подъем, строительство истинной церкви, развития образования и науки.

Царь Давид Агмашенебели, мотивированный политическим, экономическим уровнем развития страны и собственным знанием «задумал построить монастырь». Это решение означало, что рядом с духовным центром обязательно должно было функционировать учебное заведение – высшая школа. Задача последней, как было выше отмечено, должна была быть «преподавание всего доброго от уст ученных отцов». Осуществление такого высокого замысла, несомненно, обещало быть непростым делом. Царь специально выбрал место для строительства монастырского комплекса близ Кутаиси и дал ему имя Гелати. Параллельно со строительством был создан очаг науки и высшего образования – Гелатская Академия, учреждение университетского типа [8, 38].

В грузинском научно-просветительском пространстве особое место занимает Гелатская богословская школа. Инициатором открытия в Грузии академий является Давид Агмашенебели, заложивший основу строительства Гелатского монастырского комплекса (1105-1106 гг.), который был призван стать мощным очагом образования и книжничества. Руководителем Гелатской академии в 1114 году Давид IV пригласил Арсена Икалтоели, который был учеником Иоанна Итала и Михаила Пселлав академии Мангана, в Константинополе. В академии преподавались такие дисциплины, как богословие, музыка, песнопение, математика, астрономия, геометрия, философия, светское и церковное право [79]. Благодаря Арсену Икалтоели и Иоанну Петрици, в Грузии, в недавно организованной Гелатской академии создается один из первых центров Ренессанса в Европейском пространстве, о котором речь пойдет ниже.



**Фреска Шота Руставели в монастыре святого Креста в Иерусалиме**

Выдающийся философ и теолог XII веков Иоанэ Петрици в деятельность Гелатской академии привнёс идеи и дух, которыми были пронизаны передовые культурные круги Византии, вчастности, обновленная Константином Мономахом Манганская академия. Иоанэ Петрици создал новый этап в развитии грузинского теологического и философского мышления. Он первым в истории христианской схоластики пришел к классическим истокам, применив для обоснования религиозных догм философское учение. Богословие для него есть высшая философия, целью которой является постижение высшей истины. Петрици был хорошо знаком как с сочинениями авторов античного, эллинистического периода, в частности Платона, Аристотеля и особенно Прокла Диадоха, которые перевел на грузинский язык и сопроводил обширными комментариями, так и с авторами христианской эпохи.

Гелатская богословско-переводческая школа представляет собой важнейшую ветвь грузинского эллинофильского направления; здесь сформировался грузинский философско-теологический язык и стиль, были заложены основы формально-семантической системы грузинской философской терминологии [74].

Историки времён Давида Агмашенебели подчеркивают цель, которую грузинский царь поставил перед новым учебным центром – он должен был стать «вторым Иерусалимом всего востока» и «другими Афинами». Задача была довольно важная: в Гелати по идее должны были объединить все христианское и глубоо научное, что было создано в Иерусалиме (центр и основа христианской веры) и Афинах (центр мудрости, общей философской науки, просвещения); здесь должно было произойти слияние двух мировоззрений: Иерусалимского христианства и греческой античной философии.

Именно для этой цели была основана Гелатская Академия (университет), которая должна была стать правопреемницей Афино-Иерусалимской высшей школы и подняться на более высокую ступень. Таким образом, цель Давида Агмашенебели была четкой – превратить Гелати в крупнейший культурно-просветительский и учебно-научный центр высочайшегоуровня. К 1110 году строительство просветительского центра было завершено.




**Карта грузинского государства, XII-XIII вв.**

Царь, искал ученых не только в Грузии, и не только среди грузин, а и за ее пределами. Давид Агмашенебели подходил к подбору ученых с высокими критериями. Необходимым условием являлась «святость, добропорядочность, честность и духовные качества». Усилия царя принесли результаты и в Гелати собрались лучшие ученые того времени, наделенные всякими добродетелями. Гелатская Академия (университет) объединяла выдающихся представителей науки и культуры, благодаря чему значение этой высшей школы как культурно-просветительского очага, выходящего далеко за рамки Грузии, крайне выросло и сделало ее высокоавторитетной.

Как известно, на востоке ренессанс начинается с основания высших учебных школ. Этот процесс распространяется на уровне слияния культур (Сирия-Палестина) к востоку – до Багдада и на западе – до Византии и даже Италии (Академия Флоренции) [30, 60, 61].

Гелатская Академия также была порождением эпохи и служила общественному прогрессутого времени. Структурно Академией управлял ректор – Глава Учителей (Модзгвартмодзгвари). Существование этого института, уважение и почтение к его руководителю, ясно указывают на большое значение образования вообще и, в частности, Гелатской академии как высшего центра образования и ее особенной роли в грузинском государстве.

Обучение в Гелатской академии было построено на основе принципа **trivium-quadrivium** – а, то

есть здесь изучались в две ступенисемь основных дисциплин: грамматика, логика, риторика (первая ступень), арифметика геометрия, музыка, астрономия (вторая ступень).

Научно-образовательный комплекс Гелати, как первое учреждение университетского типа в Грузии, имел огромное значение, для всей страны. Гелатская академия была детищем политически передовой, экономически сильной страны с высокоразвитой культурой, своим существованием подчеркивая, что в Грузии образование и культура соответствовали мощи единого феодального государства [34].

Одновременно с Гелатской академией в Восточной Грузии, в Кахети, Арсеном Икалтоели недалеко от Телави была основана Икалтойская академия, которая такжесчиталась крупным центром высшего образования. Эта высшая школа была построена по принципу зарубежной, в частности, Византийской академии. Во главе Академии стоял Арсен Икалтоели, который до этого работал в Гелати и после кончины Давида Агмашенебели переехал в Икалто [49].

Существуют народные сказания, что гениальный грузинский поэт и мыслитель второй половины XII в. Шота Руставели получил образование в Икалтойской Академии, затем – Манганской Академии. Вместе с поэтическим мышлением и искусством слова, поэма «Витязь в тигровой шкуре» – настоящий кладезь мудрости, циркулировала в грузинской мегакультуре того времени. Философия в своем многообразии, богословие, астрономия и астрология, естественные науки, медицина и многие другие сферы человеческой мысли, пропитанные высшим гуманизмом, являются сущностью этого бессмертного произведения. Следует отметить, что построенное по типу рыцарского романа повествование признанно народом как вторая Библия, на протяжении веков было источником формирования его ментального типа [34, 43].

Предполагается, что в Грузии в то время существовали и другие учебные центры. По преданию среди средневековых очагов высшего образования должна была действовать и Академия Греми (Восточная Грузия).

Несомненно, Гелати выполнил свою историческую миссию, ставши центром просвещения, мудрости и христианской веры в стране и в регионе. Спустя почти четыреста лет после прекращения функционирования Гелатской академии, когда встал вопрос открытия Грузинского университета, его основатели днем открытия нового храма науки решили объявить 26 января (по новому стилю 8 февраля), день памяти Давида Агмашенебели. Тем самым подчеркивается, что Тбилисский государственный университет – преемник старых традиций грузинского образования и культуры, Гелатской академии. Таким образом, история грузинского высшего образования и науки насчитывает более десятка веков.

Судьба Гелатской академии (соответственно грузинской науки и образования) была аналогична судьбе грузинского государства. Последующие тяжелые века обусловили экономический спад Грузии. Это, в свою очередь, значительно затормозило развитие науки и культуры, и даже обусловило закрытие знаменитого научно-просветительскогоцентра.

«Мощный богословский и литературный центр существовал в Шиомгвимском монастыре, признанный истоком грузинских царей и славящийся меценатством. Шио Мгвимели (VI в.) написал здесь свои песнопения и проповеди. Известен Типик Шиомгвимского монастыря. В середине XIII века с монастырем была связана деятельность Арсена Чкондидели.

Монастырский комплекс Давид-Гареджи зарождается в VI веке, но как богословско-литературный центр он сформировался в поздне феодальную эпоху. В истории грузинской духовной литературы XVIII века ни один культурно-просветительский центр не сыграл столь значительной роли, как давид-гареджийская литературная школа. С конца XVII – до второй половины XVIII века во всей Восточной Грузии Давид-Гареджи являлся единственным литературным центром, который развивал и сохранял «живучесть» культурных традиций грузинских просветительских очагов, действовавших как в самой Грузии, так и за рубежом. Здесь сформировался новый тип сборника, отражающий праздничный цикл (Праздничная Минея)»[74].

Период с XI по XIII век принято считать золотым веком грузинской государственности и расцвета культуры. Грузия – могущественноегосударство, хорошо известное на Востоке и Западе и оставалась страной, ориентированной на созидательную мирную жизнь, где высшей ценностью являлось служение гуманизму, доброте и справедливости. Доказательством этому являются большие успехи в богословии, отдельных областей науки, культуры, искусства и зодчества (великолепные памятники архитектуры и сегодня украшают разные уголки страны).

В XIV веке в Ксанском ущелье действовал Ларгвисский монастырский центр, в котором было

создано правоведческое сочинение «Памятник Эриставов». Очаги просвещения постепенно перемешались в царские резиденции и дома знатных феодалов, что в основном объясняется развитием светской литературы. Известны множество рукописей, созданных по заказу царей и вельмож. В Тбилиси, Мцхета, Гори, Телави, Греми, Кутаиси, при дворах правителей Мегрелии и Гурии также существовали учебные заведения.

Важно также отметить и тот факт, что часто руководителями и создателями этих «не-политических» направлений были грузинские цари. В 2003 году в свет вышло солидное издание "Научное и культурное наследие Багратионов". В работах, представленных в этом сборнике, отмечено, что представители Багратионов, одной из самых древних царских династий в Европе (с IX века), являются авторами весьма солидных трудов в более чем двадцати направлениях науки и культуры [67].

На протяжении последующих веков Грузии приходилось вести борьбу с агрессивными и могущественными соседями. Суровые испытания истории – нашествия монголов, Тамерлана, Персии и к тому времени сформировавшейся Османской империи, поставили Грузию в чрезвычайно тяжелое политическое и социальное положение. Бесконечные войны опустошили Грузию и нанесли стране огромный материальный ущерб. Особенно разрушительными и опустошительными были восемь вторжений Тамерлана (1386–1405) в течение семнадцати лет. Согласно историческим источникам, он вывез на верблюдах большое количество книг из Грузии, чем обогатил собственную библиотеку в Самарканде. Историко-культурологическая значимость этого факта до сих пор не потеряла своей актуальности и нуждается в дополнительном исследовании.



**Заза Панаскертели. XV в. Фреска монастыря Кинцвиси**

Несмотря на это, в Грузии творческая и научная мысль не затихала и развивалась по мере возможности. После падения Константинополя Грузия оказалась одна практически со всех сторон окруженная мусульманским миром. Падение Константинополя сыграло почти фатальную роль в грузинской истории. Грузинский народ пережил и это, и в эти труднейшие годы учёные мужи Грузии создали не один литературный шедевр и произведение глубоко научного характера, соорудилизамечательные архитектурные памятники. В эту же эпоху создаются церковные правила высокого уровня и памятники светского права ("Свод Законов"), развитие и периодическая обработка которых происходила в соответствии с требованиями эпохи (т.н. "Судебник Агбуга", "Дастурламали" и т.д.) [46]. Великий грузинский врач, мыслитель и военачальник Заза Панаскертели в XV веке, а Давид XI Багратиони в XVI веке создают блестящие медицинские труды [60, 62]. С середины того же века, началась попытка по созданию грузинской типографии и возрождению книгопечатания: был издан грузино-итальянский словарь, Евангелие, "Витязь в тигровой шкуре" и другие книги [69].

В XI–XV веках идеология ренессанса постепенно захватывает восточное христианство. Центром античного мышления, вновь оставалась многонациональная Византийская империя. Падение Константинополя вызвало миграцию многих ученых и целых школ в Рим, что, в свою очередь, положило начало новой цивилизации – Западному Европейскому Возрождению. Среди этих ученых был епископ Бессарион из Трабзона, лаз по происхождению, впоследствии кардинал Римско-католической церкви. Его заслуга в происходящих процессах была большой и неоспоримой (Католическая энциклопедия, 1913).

Культура Возрождения, которая зародилась на Апеннинском полуострове, охватила всю Европу и появилась видоизмененной, более совершенной и организованной на родном Востоке. Европейская цивилизация также проникла в Грузию, находящейся в мусульманском окружении, что четко видно в рукописях и инкунабулах светского и научного характера. За всем этим последовал целый поток католиков миссионеров (XVI–XVIII вв.), что оставило интересный след в грузинском обществе того времени и, в конечном счете оценивается как положительное явление для грузинской культуры и науки.

В 1629 году в Риме католические миссионеры напечатали первые грузинские книги. Здесь же следует отметить заслуги итальянского миссионера Бернардо Неаполитанского, собравшего

грузинские сказки (всего 12 сказок), – это первый фольклорный сборник на грузинском языке. В начале XVIII века (1705 г.) в Москве царь Арчил II открыл типографию, где печатались книги на грузинском языке. В 1709 году царь Вахтанг VI основал в Тбилиси первую типографию, где были отпечатаны Евангелие, Псалтирь, а в 1712 году вышло в свет первое печатное издание «Витязя в тигровой шкуре» с комментариями Вахтанга, тем самым заложившего основу нескольким литературоведческим научным направлениям: руствелологии, теории литературы, текстологии» [79].

XVII век и начало XVIII века, пожалуй, один из самых тяжелых в истории Грузии. Агрессивная политика Персии и Турции поставила христианскую страну в крайне тяжелую политическую обстановку.



**Мдиванбег королевского двора, рисунок Христофора де Кателя XVII век**

Грузия, будучи на перекрестке между Востоком и Западом, всегда испытывала влияние этих двух культур и во многих аспектах играла интеграционную роль. Переводились избранные образцы персидской и арабскойлитературы, создавались оригинальные сочинения носителей общей эстетики. Политические и военные деятели Грузии играли важную и часто решающую роль в политической жизни Ирана, Турции, Египта, стран Ближнего Востока. Династии грузинского происхождения временами управляли этими государствами полностью и часто их отдельными регионами. Фамилия Ундиладзе оставила большой след в политической и культурной жизни Ирана XVII века, в частности: строительстве, литературе и искусстве, социальном и экономическом возрождении, распространении западной научной мысли и т.д. [26].

На рубеже XVII-XVIII веков в России появляется первый грузинский литературно-просветительский и научный очаг, когда царь Арчил окончательно поселился в селе Всехсвятское близ Москвы. Александр Багратиони (1674–1711) был переводчиком и общественным деятелем, близким другом русского императора Петра I, получившим образование в Европе, первым артиллеристом, фельдцейхмайстером. Вслед за покинувшим Картли с многочисленной свитой Вахтангом VI, в которую входили Сулхан-Саба Орбелиани, Вахушти и Бакар Багратиони, Мамука Бараташвили и др., в 1724 г. в Россию отправился новый большой поток грузинских эмигрантов. Вахтанг получил во владение несколько дворцов, расположенных в Китай-городе, на Пресне и Арбате, а также в селе Всехсвятское. Сначала царь Арчил, а затем царевичи Бакар и Вахушти подготовили к изданию грузинский перевод Библии, который был напечатан в Москве в 1743 году. Кроме того, были напечатаны 12 его книг разных наименований, в том числе первая попытка осмысления истории страны – «Сакартвелос цховреба» («Житие Грузии»), «Географию Грузии» и «Атлас Грузии». Автор французского перевода атласа (1735 г), академик Иосиф Делиль (J.N. Del'Isle), считал, что благодаря географическим картам Вахушти, степень географической изученности Грузии сравнялась с изученностью Франции. Среди четырех основателей Московского университета наряду с императрицей Елизаветой, графом Иваном Шуваловым и Михаилом Ломоносовым числился также царевич Вахушти (Багратиони) (1696-1757гг) [74].



**Сулхан-Саба Орбелиани (1658-1725)**

Восшествие на престол Восточной Грузии Ираклия II в корне меняет ситуацию. Ему подчиняются около 40 ханств на Кавказе. Ираклий II начинает обустройство государства на европейский лад. Учреждает школы духовного, военного, медицинского профиля и просветительские центры, восстанавливает типографию, приглашает зарубежных специалистов, устанавливает дипломатические связи как с русским императорским двором, так и с европейскими монархами. Он ищет связей с сильными союзниками с целью устранения опасностей от внутренних и внешних врагов. После смерти Ираклия II эти попытки стали предлогом аннексии Грузии Российской империей [38].

Нельзя забывать, что грузины постоянно подготавливали почву для проникновения в европейское пространство. В этом отношении чрезвычайно интересным личностью был церковный, политический, общественный деятель и ученый Сулхан-Саба Орбелиани (1658–1725). Его перу принадлежит художественная литература и мемуары, первый грузинский толковый словарь, значение которого с течением времени только растет. Сулхан-Саба Орбелиани отправляется в путешествие по Европе, наносит визит французскому королю Людовику XIV, два раза получает аудиенцию у Папы Римского Климента; все его усилия были пронизаны желанием, чтобы Грузия непосредственно поддерживала связь с Европой, к органическому для нее миру [38, 62]. Сулхан-Саба Орбелиани был воспитателем и верным соратником грузинского царя Вахтанга VI, который внес большой вклад в грузинскую культуру и науку. Перу Вахтанга Багратиони принадлежат труды по химии, медицине, ветеринарии, физике и астрономии. Багратиони собрал совет грузинских ученых и поручил реставрацию, перепись и редактирование грузинских рукописей, поврежденных от времени, в особенности первейший источник грузинской истории «Картлис цховреба» [15].

Грузины успешно работали и за границей. Так, например, священномученик Антимоз Ивериели (Анфим Ивериану, около 1650–1716), который был митрополитом Унгро-Валахийский, стал основоположником современного румынского языка: он сыграл важную роль во введении румынского языка в церковную службу, перевел на румынский язык ставший для него родным христианскую литературу и совершил литургию, создал типографию (1691) в 1693 году издал Евангелие на румынском, боролся за освобождение румынского народа и т.д. Однако, не забывал он и родную Грузию и внес большой вклад в развитие типографского дела – отправив в Тбилиси своего ученика типографа [31].

Представители грузинской православной церкви, католикос-патриархи всегда выделялись глубоким богословским образованием и основательной светской эрудицией. Наглядный тому пример деятель XVIII века католикос Антон I (1720-1788). Он оставил глубокий след в грузинской богословско-философской литературе, языкознании, риторике, и т.д. [61, 64].



**Вахтанг VI**

Для развития грузинской богословской литературы особое значение имело строительство кафедры католикосата во Мцхета, возглавляемого Антоном I, который в период своего пребывания в должности католикоса Грузии основал несколько духовных училищ и семинарию. В 1758 году в Телави открылось духовное училище, позднее реорганизованное в философскую семинарию, которой руководил Гайоз Ректор. Антон-католикос лично создал для грузинских семинарий оригинальные учебники по грамматике грузинского языка, богословию, физике, химии, астрономии. Во всех этих учебных заведениях существовали библиотеки-скриптории. Самой богатой была библиотека Мцхетского католикосата, насчитывавшая более 7 тысяч томов книг. К сожалению, в 1795 году она была полностью уничтожена. Библиотеки функционировали в Кутаиси, Гелати, Мартвили, Зугдиди, Озургети, Шемокмеди.

Вхождение Грузии в состав России изменило многое в жизни страны. Была утрачена независимость, упразднена царская династия, автокефалия грузинской церкви, и т.д., введена русская форма правления [36]. Представители царской семьи, фактически оставшиеся без функций, стали заниматься научно-культурной деятельностью и результат был значительный. Они успешно переводили книги с иностранных языков, создавали оригинальную литературу, принимали активное участие в развитии науки и образования [29].



**Антимоз Ивериели (XVII-XVIII)**

В числе других примеров следует отметить, что непосредственный наследник царского престола Картли, Давид Багратиони (1767–1819) пишет труды по физике и медицине, его брат – Иоане Багратиони (1768–1830) по философии, медицине и истории [35, 61, 63, 71].

После аннексии Россией в 1801 году обучение на грузинском языке в Грузии прекратилось. В 1804 году в Тбилиси открылась русская школа, преобразованная в 1830 году в гимназию. В том же году была основана женская школа-пансион. В 1817 году была основана духовная семинария; в 1850 году открылась вторая гимназия в Тбилиси, гимназия в Кутаиси; светские школы открылись в Гори, Ахалцихе, Сигнахи; при Мартвильском монастыре в 1830 году было основано двуклассное училище. В 1819 году в Тбилиси начинает выходить «Картули газети» («Грузинская газета»), под редакцией Соломона Додашвили издаётся газета «Тифлисские ведомости», а с 1832 года – первая литературная газета «Литературные части Тифлисских ведомостей». В 1846 г. в Тбилиси была основана первая на Кавказе Государственная публичная библиотека, а в 1852 году – Кавказский музей. На месте существовавших на протяжении столетий царских садов, впервые упомянутых французским путешественником Жаном Шарденом еще в 1671 году и показаных на составленной в 1735 году царевичем Вахушти карте, был в 1845 году основан Ботанический сад – первое сельскохозяйственное научное учреждение страны.

В Грузии значительно возросло число частных пансионов, монастырских и семейных школ. Большую и нужную работу вело «Общество по распространению грамотности среди грузин». Сельскохозяйственная школа открылась в Цинамдзгврианткари. Во второй половине XIX века деятельность Якоба Гогебашвили, Ильи Чавчавадзе, Акакия Церетели, Ильи Цинамдзгвришвили, Петрэ Оцхели, Иванэ Ростомашвили, Константинэ Гварамадзе, Иванэ Нижарадзе в значительной мере способствовала прогрессу грузинской общественной мысли и просвещения [74].




**Грузия в конце XVIII в.**

У истоков петербургской грузинской школы стоял Теймураз Багратиони(1782–1846)- поэт, драматург, ученый и общественный деятель, который владел многими языками, был избран почетным членом Российской Академии наук, членом Парижского азиатского и Копенгагенского научного общества. Вместе с Мари Фелиситэ Броссе и Давидом Чубинашвили он заложил основу петербургской картвелологической школы, наметил направление ее дальнейшей научной

деятельности, интенсивно протекавшей на протяжении всего XIX века (Александр Цагарели) вплоть до 30-х годов XX века (Нико Марр) [64]. Начиная с 1830 года Мари Броссе вместе с Теймуразом Багратиони и под его руководством развернул широкую научную деятельность по изучению грузинского языка, литературы и истории Грузии. В 1847-1851 годах он предпринял путешествие по Грузии, описанное им в его «Дневниках» и «Раппортах». Броссе был первым зарубежным картвелологом, востоковедом, членом Российской Академии наук, универсальным исследователем, изучавшим памятники древнегрузинской литературы и внесшим значительный вклад в развитие научных отраслей картвелологии. В 1841 году Броссе вместе с Давидом Чубинашвили и Захария Палавандишвили издал поэму Руставели, написал несколько трудов по руствелологии.

Давид Чубинашвили приступил к активному собиранию грузинских рукописей, их обработке и описанию, с тем, чтобы подготовить почву для дальнейших картвелологических исследований. Особое значение имела его издательская деятельность. Чубинашвили состоял в Комиссии по установлению текста «Витязя в тигровой шкуре», членами которой являлись Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Вано Мачабели, Иона Меунаргия, Григол Орбелиани, Рафиэл Эристави и др. В 1854 году Чубинашвили опубликовал второй том «Картлис цховреба», составил грузинскую грамматику на грузинском и русском языках, грузинско-русский словарь, не утративший своего значения по сей день. Он входил в состав депутации, заботившейся о возвращении Афонского монастыря под юрисдикцию Грузии. Чубинашвили собирал и бережно хранил грузинские рукописи и исторические документы, описание которых позднее опубликовал Александр Цагарели [74].

Профессором Московского университета являлся Александр Хаханашвили (1864-1912 гг.), которому в сложнейших условиях доводилось преподавать грузинский язык и литературу. Он описал хранящиеся в зарубежных центрах грузинские древности, рукописи. Также, он исследовал древности Иверского монастыря (Ивирон/Иверон) на Афоне, выявил множество грузинских сочинений, опубликовав их преимущественно вместе с русским переводом.

Систематический характер картвелологических исследований в петербургской школе приняли в пору деятельности академика Нико Марра (1865-1934 гг.), являвшегося многопрофильным ученым, автором фундаментальных трудов во всех сферах картвелологии. Он публиковал древнегрузинские тексты, среди которых следует выделить изданный в 1902 году сборник «Древнегрузинские одописцы». Находясь в научной командировке в Иерусалиме и обнаружив агиографическое сочинение Георгия Мерчуле «Житие святого Григола» (изд. в 1911 г.), Марр специально посетил все те священные места, с которыми была связана деятельность персонажей этого сочинения, и написал дневники о своем путешествии, имеющие большую научную ценность [74].


**Илья Чавчавадзе (1840-1907)**

Трудно привести полный перечень тех грузинских деятелей, которые сыграли значительную роль в научной жизни России. Многие из них активно участвовали в учреждении Московского университета, были членами академий и научных центров. Губернатор Лапландии, генерал Петре Багратиони (двоюродный брат известного полководца, генерала Петра Багратиони) блестяще совмещал свою военную и гражданскую деятельность с научными опытами по химии, завоевавший тем самым имя известного ученого [37]. Проживающий в Москве грузинский князь Илья Намчевадзе известный под фамилией Грузинов [60], несмотря на крайне короткую жизнь, в то время был признан талантливым физиологом. Он стал жертвой наполеоновского вторжения в Москву. И современники, и будущие поколения вспоминали его под эпитетом «героя профессора».

Известный химик и композитор, один из основоположников русской оперы -Александр Бородин (1833–1887), грузин по происхождению, сын поселившегося в России Луки Гедеванишвили, руководил химической лабораторией в Военно-хирургической академии и является автором фундаментальных исследований. Александр Бородин оставил неизгладимый след в русской классической музыке: создав бессмертную оперу «Князь Игорь», а также фортепьянные пьесы, симфонии, романсы и т.д. Ученым мирового масштаба был Иванэ Тарханов (Тархнишвили, 1846-1908), который также жил в России и внес ценный вклад в развитие

физиологии [26]. Егор Челиев (Челидзе) признан отцом русского цемента, изобрёл тип цемента, пригодный для подводных работ.

Грузины способствовали и развитию военного искусства Российской империи. Мы уже отметили заслугу Алексадра Арчиловича Багратиони как основателя артиллерийского дела. Имя прославленного полководца, героя Бородино и многих других битв, Петре Багратиони внесено во всемирную военную историю; вместе с ним против Наполеона сражались еще 23 грузинских генерала. Это еще раз доказывает не только боеспособность грузинского народа, но и его высокий интеллект [26].

В XIX веке людям среднего и низкого социального сословия дается возможность получить образование в высших учебных заведениях России и Европы. Естественно, это было толчком для создания образованной национальной элиты. Выпускники этих университетов в большинстве случаев возвращались на родину. В результате, к этому времени отмечается определенный подъем грузинской науки. Несмотря на то, что Российская империя запрещала образование и тем более развитие науки на родном языке, что создавало определенные трудности, но она не препятствовала процессам, которые ничто не могло остановить. Сами руководители империи, как например, наместник на Кавказе граф Михаил Воронцов, а также известные общественные деятели признавали уникальность грузинского языка и культуры (Николай Дурново, Петр Услар и другие), их богатую историю и большой потенциал. В этот же период Тбилиси стал безальтернативным центром Кавказа, лидером конкретных направлений культуры и науки этого региона. Здесь впервые в Российской империи в 1857 году была выпущена почтовая марка, сделан эфирный наркоз и оборудован рентгеновский аппарат, устроен велотрек; вскоре после Москвы и Петербурга установлена телефонная связь, в 1865-1872 годах проведена соединяющая город с портом Поти железная дорога, построена геофизическая обсерватория, открыты опера и музыкальная школа. Тбилиси вырос и украсился архитектурой разного типа, включая уникальный модерн. Почти одновременно создаются различные научные общества – географическое, медицинское, историческое и т.д., альпийский клуб, исторический музей Кавказа и т.д.



**Иване Джавахишвили (1840-1907)**

Во второй половине XIX века во главе национально-освободительного движения встали Илья Чавчавадзе и его единомышленники, в результате чего в стране начался подъем национального самосознания и новый осмысленный этап борьбы [11]. Представители прогрессивно мыслящей грузинской молодежи 60-70-х годов XIX века во главе с Ильей Чавчавадзе, члены группы «Тергдалеулеби» мечтали об основании в Грузии собственного, грузинского университета.

Вслед за распадом Российской империи последовал короткий период свободы Грузии (1918–21). За эти неполные три года восстановленой независимости грузины сумели открыть университет, где собрались профессора-соотечественники, преподающие в России и Европе, в результате чего образовался довольно авторитетный профессорский состав. Были созданы научные учреждения, которые развернули интенсивную научную работу [8].

Университет был открыт 8 февраля 1918 года – в день памяти святого царя Давида Агмашенебели – благодаря стараниям и неимоверным усилиям прежде всего Иванэ Джавахишвили и его сподвижников. В состав первого академического персонала университета входили широко известные ученые: Иванэ Джавахишвили, Петрэ Меликишвили, Эквтиме Такаишвили, Шалва Нуцубидзе, Георгий Чубинашвили, Андриа Размадзе, Димитрий Узнадзе, Георгий Ахвледиани, Акаки Шанидзе, Корнелий Кекелидзе, имена которых, бесспорно, украсили бы любой университет мира. Открытому благодаря частной воле меценатов университету в том же 1918 году правительство независимой Грузии присвоило статус Государственного университета с сохранением права автономии. Основатели университета способствовали развитию многих направлений науки: математики, физиологии, геологии, психологии, истории, философии, грузинской литературы, грузинского языка, создали научные школы, получившие мировое признание.



**Тбилисский университет. 1918**

В феврале 1941 года, до начала второй мировой войны, была основана Академия наук Грузии, объединившая под своим началом разные научно-исследовательские институты. После восстановления государственной независимости, с 1 января 2008 года она стала именоваться Национальной Академией Наук Грузии**.** В 30-е годы XX века были основаны Академия художеств, Государственная консерватория. Из года в год в Грузии росло число школ и высших учебных заведений [82].

## ВМЕСТО ЭПИЛОГА

Для того, чтобы даже коротко описать и охарактеризовать истоки грузинской науки, требуется значительный труд. Целью вышеизложенного является донести до читателя те научно-культурные вехи, которые пережила Грузия с прошлых веков до Советского периода.

Суммируя изложенный материал, можно сделать заключение, что грузинская научная мысль берет начало из *глубин тысячелетий* и формируется в недрах христианской церкви, под покровительством которой стал возможен ее прогресс. Грузинская церковь вместе с царскими династиями, дворянством и народом обусловили правильное развитие страны и формирование уникальной грузинской науки. Начиная с XV века, когда Византийская христианская империя прекращает свое существование, Грузия берет на себя миссию спасения веры и нации. Универсальная идея защиты христианства/нации станет предлогом многих разрушительных войн. В этих войнах грузины духовно крепли, но их численность существенно уменьшалось.

В такие тяжелые времена грузинские учёные старались не отстать от процессов, не потерять научную мысль, сохранившуюся на протяжении тысячелетий. Темой отдельного обсуждения являются те большие достижения, которые грузинская наука имела на протяжении последнего столетия. Надеемся осуществить это в будущем. Этим кратким очерком мы лишь коснулись корней грузинской научной мысли и основ культуры, попытались охватить одним взором пройденный нацией долгий и трудный путь.

**Елена Диакова**

**СОВЕТСКИЕ НАЦИОНАЛЬНЫЕ ФОРМИРОВАНИЯ ВРЕМЕН ВТОРОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ**

Дьякова Е.В.
(Харьковский национальный педагогический университет имени Г.С. Сковороды)

70-летие Великой Победы заставляет в очередной раз обратится к разным аспектам Второй мировой войны, а особенно событиям 1941-1945 гг.

Последнее время в украинской историографии проблема дружбы народов и содействия жителей Советского Союза практически не исследуется. А ведь за освобождение Украины от немецко-фашистских захватчиков боролись представители более 200 национальностей, когда-то живших в СССР.

Целью данной работы является освещение борьбы национальных воинских подразделений за освобождение территорий Советского Союза от немецко-фашистских захватчиков в 1941-1943 годах.

Национальные воинские формирования существовали в Красной Армии с самого начала ее создания. Такие военные части создавались из представителей в основном одной национальности и, конечно же, имели соответствующие национальные особенности.

Как известно, поражение Красной Армии в первые месяцы войны сильно истощило человеческие ресурсы. И это вызвало необходимость отправлять на фронт людей из республик, откуда в 1930-е годы призыв в армию проводился редко. К таким республикам относились прибалтийские и среднеазиатские.

Первое национальное соединение _ 201-я Латышская стрелковая дивизия _ было образовано в августе 1941 года. А 13 ноября 1941 года Государственный Комитет Обороны (ГКО) принял Постановление о формировании воинских частей на национальной основе в 11 союзных республиках и 4 автономных республиках РСФСР [4].

Таким образом, были организованы азербайджанские, грузинские, туркменские, казахские, узбекские, башкирские дивизии, корпуса и бригады. А всего за годы войны было сформировано 66 национальных воинских частей.

В основном это были стрелковые и кавалерийские подразделения.

Кроме этого, очень важной причиной создания национальных формирований являлось слабое знание (а то и вовсе незнание) русского языка многими жителями Кавказа, Средней Азии, Поволжья и других национальных окраин Советского Союза.

В кавказских и среднеазиатских республиках к подбору кадров подошли довольно ответственно. Прежде всего, при комплектовании подразделений было решено использовать принцип добровольности. Так, Павлодарский обком КП(б)Казахской ССР принял постановление, в котором говорилось:

*«Для каждого коммуниста и комсомольца достойным ответом на постановление ГКО о разрешении формирования национальных войсковых соединений должна быть добровольность вступления в ряды национальных формирований»* [3].

Многие партийные, комсомольские, советские руководители разных рангов (от районных до республиканских) написали заявления об отправке их на фронт и вскоре первыми были мобилизованы в воинские части.

По мере комплектования воинских частей проводилось их обучение. Наряду с занятиями по военной тактике, владению оружием, большое внимание уделялось изучению русского языка.

Уже в конце 1941 года, а особенно весной 1942 года некоторые сформированные подразделения были передислоцированы непосредственно на театр боевых действий. Первыми боевое крещение получили

_ 47-я и 9-я Грузинские горно-стрелковые дивизии;
-63-я Грузинская стрелковая дивизия;
-306-й Кавказский (грузинский) стрелковый полк;
-77-я Азербайджанская и 76-я Армянская стрелковые дивизии;
-20-я Таджикская и 18-я Туркменская кавалерийские дивизии;
-1-я Туркменская горнострелковая и 72-я Туркменская стрелковая дивизии;

-19-я Узбекская кавалерийская дивизия» [2].

Позже на фронт отправилось еще несколько дивизий из Башкирской АССР, Кабардино-Балкарской АССР, Казахской ССР, Калмыкской АССР, Узбекской ССР, Таджикской ССР и Туркменской ССР.

Национальные формирования были направлены на разные участки советско-немецкой линии фронта. Бойцы разных национальностей брали участие в боях под Москвой, в Украине, Крыму, Сталинграде.

В мае _ июле 1942 года на харьковской земле отличились красноармейцы 106-й кавалерийской дивизии, созданной в Казахстане.

В связи с большими потерями личного состава эти формирования пополнялись за счет мобилизованных разных национальностей и по своей сути уже становились интернациональными.

Историк А.Ю. Безугольный считает, что в национальных соединениях возникали обособленные землячества, что снижало их боеспособность. Много воинов дезертировало или калечило себя, чтобы не принимать участие в боях [1].

Тем не менее, эти красноармейцы также отличались в боях мужеством и отвагой. Многие бойцы и офицеры были награждены орденами и медалями.

К высшему званию _ Герой Советского Союза _ были представлены:

96 казахов, 90 грузин, 89 армян, 67 узбеков, 43 азербайджанца, 38 башкир, 31 осетин, 16 туркмен, 15 таджиков, 12 киргизов, 8 калмыков, 6 кабардинцев и т.д. Многие дивизии были награждены орденами, получили звание «гвардейских» и наименование городов, при освобождении которых особо отличились.

Так, 112-я кавалерийская дивизия, образованная в Башкирии, в феврале 1943 года получила наименование_

-16-я гвардейская кавалерийская Черниговская ордена Ленина, Краснознаменная, орденов Суворова и Кутузова дивизия»,

_ 20-я горно-кавалерийская дивизия из Таджикистана в сентябре того же года получила наименование «17-я гвардейская кавалерийская Мозырьская ордена Ленина, Краснознаменная, орденов Суворова и Кутузова дивизия» [2].

Таким образом, национальные формирования внесли большой вклад в Победу над фашизмом.

### *Список использованной литературы*


1. Безугольный А. Ю. Национальные формирования в РККА в годы Великой Отечественной войны. [Электронный ресурс]: …, свободный (19.10.2015). — Название с экрана.
2. Градосельский В.В. Национальные воинские формирования в Великой Отечественной войне // Военно-исторический журнал. 2002. № 1.
3. Кирсанов Н.А. Национальные формирования Красной Армии в Великой Отечественной войне 1941—1945 годов. 106 к[авалерийская] д[ивизия]. [Электронный ресурс]: http://birlik.org.ua/page/nacionalnye-formirovanija-krasnoj-armii-v-velikoj-otechestvennoj-vojne-1941-1945-godov-106kd, свободный (19.10.2015). — Название с экрана.
4. Национальные воинские подразделения РККА. [Электронный ресурс]: https://ru.wikipedia.org/wiki/%CD%E0%F6%E8%EE%ED%E0%EB%FC%ED%FB%E5_%E2%EE%E8%ED%F1%EA%E8%E5_%EF%EE%E4%F0%E0%E7%E4%E5%EB%E5%ED%E8%FF_%D0%CA%CA%C0, свободный (19.10.2015). — Название с экрана.

**ნიკო ხერკელაძე**



# ტაშისკარის დიდი ომი

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ № 2(16), №3(17)-ში)

ამ ორი წერილის დამწერის მიზანი წყლის ამღვრევა და შიგ ანკესის ჩაგდება იყო, იქნებ ორიდან ერთ-ერთი, – ლუარსაბ მეფე ან მოჰამედ-ხან ყაზაყლარი წამოგებოდა, მოთმინებითა და ხელე-ბის ფშვნეტით ელოდა რომელიმეს თავის ფეხებთან გაგორებას.

დიდხანს არ გაუვლია, ყაზახის ხანის თავი გაუგორეს შაჰს.

ასეთ – „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“, – ქვეყნებთან ჭიდილ-ში უხდებოდა საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნება. გა-მუდმებით ორ ცეცხლს შუა კი არა, ცეცხლის რკალში იყო მოქცეული და სწორედ ამიტომ ით-ხოვდა ქვეყანა ღრმა განსჯა-დაფიქრებას, თუ ვისთან, როგორ მტერ-მოყვარესთან ჰქონდა საქ-მე. სად რა უკეთ გასჭრიდა – ხმალი თუ ტკბილი სიტყვა – გონიერება სჭირდებოდა უპირველე-სად მეფეს, ჯერ მას უნდა განეჭვრიტა, აეწონ-დაეწონა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა მოსაზღვრე ქვეყანაში მომხდარი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ტაშისკარი იყო დიდი გამარჯვება. ამავე დროს იყო მრავალმნიშვნელოვანი საკითხი საქარ-თველოს როგორც გარეული, ისევე შინა მტრებისათვის. დიდი დაფიქრება მართებდა ქვეყნის ხე-ლისუფალს, არ არეულიყო ერთმანეთში მედროვისა და მართლა დიდი ხარკის გამღების ღვაწლი.

მოგებულმა ბრძოლამ კიდევ უფრო რთული ამოცანა დააყენა ლუარსაბ მეფის, გიორგი სააა-კაძის და ყველა გულმხურვალე ამაგდარი ქართველის წინაშე, არ მომხდარიყო საბედისწერო შეცდომა, სიფრთხილე არ მოედუნებინათ, ურთიერთთანადგომა არ მოშლილიყო.

გამარჯვების ეიფორიაში ჩაძირვა და მარტო ამით დაკმაყოფილება დიდ ასპარეზზე ვერ გა-იყვანდა ქვეყანას იმის გამო, რომ მტრის საზღვარში ისევ ბარტყობდნენ საქართველოს წასალე-კად ახალფეხადგმული ოსმალოები და ყიზილბაშები.

1611 წელს შემოდგომის დამდეგს გიორგი სააკაძემ ნოსტეში, თავის ციხე-დარბაზში, მეფის საკადრისი სტუმრობა გამართა და ლუარსაბს მერიქიფედ თავისი და დაუყენა.

ახალგაზრდა მეფე მოიხიბლა სააკაძის დის სილამაზით, სასმელმაც თავისი ქნა და აუფო-ფინდა გული სამიჯნუროდ. ნოსტედან წამოსულმა ვეღარ დაივიწყა...მისი სიტურფე და კდემა-მოსილება.

სწორედაც რომ ამას ელოდნენ თავადები. კარგი დაუდგათ ამინდი. აგორდა ეკლიანი ენების გორგალი, – სააკაძემ განზრახ მოაწყო წვეულება, რომ ლუარსაბს ასეთი გზით კიდევ უფრო დაუახლოვდესო.

საქართველოში ისტორიულად სტუმარმასპინძლობა ერთ-ერთ ღირსებად ითვლება, რაღა სააკაძის გაუკვირდათ, განა იგივე თავადები არ მართავდნენ ერთმანეთის პატივსაცემად ნა-დიმებს? ზოგიერთი დიდბუნებოვანი თავადი გლეხობასაც სცემდა პატივს და მათ გარეშე სუფრას არ გააწყობდა. ასეთი მაგალითებიც ახსოვს ხალხის მეხსიერებას.

1609 წლის ტაშისკარის ბრძოლა ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის გულითადი დამე-გობრების მიზეზი გახდა. იმის შემდგომ ბევრმა წყალმა ჩაიარა. 1611 წლამდეც ბევრი მიზეზი ჰქონდა სააკაძეს წვეულების გასამართად, თუნდაც 1910 წელს ირანიდან დაბრუნების შემ-დეგ, როდესაც ლუარსაბ მეფისა და სააკაძის ჭკვიანური დიპლომატიის წყალობით თბილისის სპარსულმა ციხიონმა დატოვა საქართველო. ხომ ზეიმობდა ქვეყანა და მიზეზიც დიდი იყო ნოსტეში მეფის სანადიმო სუფრაზე მიწვევისა – სააკაძეს ეს არ გაუჭირდებოდა, – მაგრამ დიდი მოურავი არ იყო ის პიროვნება, მარტივად გადაედგა ასეთი ნაბიჯი. მით უმეტეს, ტა-შისკარის გამარჯვებამ თვალი აუხილა და დაანახა ზოგიერთი თავადის შურიანი დამოკიდე-ბულება იმის გამო, რომ მას მეფე უდიდეს ანგარიშს უწევდა, ენდობოდა და ეიმედებოდა, აკი

ცნობილია, რომ მეფე ლუარსაბმა შაჰ-აბასთან გამგზავრებამდე 1610 წელს „ქართლი საპატრონოდ სააკაძეს დაუტოვა“.

ახალგაზრდა ლუარსაბს სპეტაკი სული ჰქონდა, მისი გული აღფრთოვანებული იყო სააკაძის მხარში დგომით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სამეგობროდაც შემზადებული. მის ძარღვებში მეფური სისხლი დაედინებოდა, თავისი პაპის სიმონ I-ის მსგავსად სამშობლოსათვის ღირსეული სამსახურის გაწევა ეწადა. მისი თვალ-გული ხომ ყველას ხედავდა, დაწყებული დიდი თავადებიდან მცირე აზნაურებით დამთავრებული; იცნობდა ყველას ხასიათს, იცოდა, ვის რამდენად შესტკიოდა ქვეყანაზე გული.

თუ ბევრის ბუნება გაურკვეველი იყო რაღაც ეტაპამდე, ჰყავდა მეფეს ისეთი რჩეულებიც, რომლებიც ატყობინებდნენ და ახედებდნენ არსებულ მოვლენებში, გიორგი სააკაძის პიროვნება კი ლუარსაბმა აბსოლუტურად თვითონ, თავისი თვალით, გულის თვალით, დაინახა და შეაფასა ყველა შთაბეჭდილება მის მიმართ, რამაც ტაშისკარის ომის დასაწყისიდან აიღო სათავე. მემატიანეთა ცნობით, სააკაძე „შემდგომ მეფისა იყო“. გამორიცხული არ არის, რომ ნოსტეში ნადიმის სურვილი თვით მეფე ლუარსაბს გამოეთქვა, რაც გასაკვირიც არ არის ესოდენი ნდობისა და ურთიერთობის შემდეგ. მით უმეტეს, სილამაზით განთქმული სააკაძის დის ქებას შეიძლება ლუარსაბის ყურამდეც მიეღწია და ტაშისკარის ომის მოგების შემდეგ მეფემ დაინახა სააკაძის მრავალი ღირსება, საფიქრებელია, თვით ლუარსაბს მოენდომებინა ნოსტეში სტუმრობა (ნ.ხ).

1609-1611 წლამდე უფრო დუღაბად მტკიცდებოდა მათ შორის თვით საქმეცა და მეგობრობაც.

სააკაძის მახვილ თვალსა და გონებას არ გამოეპარებოდა მეფისა და მის გარშემო შექმნილი ვითარება. არც იმის მიხვედრა გაუჭირდებოდა, რომ ბევრი დიდებული უკვე შფოთავდა მისი აღზევების გამო და ასეთს, თავისი ბედის ავად განმსაზღვრელ ნაბიჯს არ გადადგამდა, ინიციატორი ვერ იქნებოდა. გიორგი სააკაძე ბედს მიენდო, უფრო სწორად, მეფეს უარი ვერ უთხრა. იმ სანადიმო სუფრიდან დაიწყო სააკაძისთვის ავბედითი დღეების ათვლა.

დაიშვა შეცდომა, რომლის გამოსწორებაც ვერაფრით მოხერხდებოდა, მწარე სინანულით ხვდებოდა სააკაძე, რა მიმართულებაც მიიღო სანადიმო სუფრამ.

ბევრჯერ სთხოვა მეფეს, მიუღებელია თქვენი დამოკიდებულება ჩემი დისადმი, ნუ ავყვებით მარტო გულისთქმას, მე უბრალო აზნაური და ყმა ვარ თქვენი და თქვენივე მეოხებით აღზევებული, ჩვენს შორის სამოყვრო ხიდის გადება შეუძლებელია, რომც მოხდეს ეს სასწაული, ჩემი დის გადედოფლებას ჯერ თავადები და შემდეგ მათი ცოლები არაფრით იგუებენ, იმასაც დაგაცილებენ და ჩემს თავსაც დაგაკარგვინებენო.

– მეფეო, გთხოვ, მიიღო ჩემი ვედრება და ხელი აიღო განზრახვაზე; სამშობლოს საშველად, ჩვენს სამეგობროდ დაკავშირებულ გულებს ტალახის სასროლად ნუ გავიხდით, თუ არა, ვერ დავითმენ ჩემი ოჯახის აბუჩად აგდებას და სხვა გზა აღარც დამრჩენია, თავს შემოგაკლავო!

მიუხედავად იმისა, რომ ესმოდა გიორგის სიმართლე, ლუარსაბ მეფე უტეხი სიჯიუტით იდგა თავის სიტყვაზე:

– მე შენი და გულწრფელი სიყვარულით ვირჩიე, იგი ჩემი ცოლი და ქართლის დედოფალი იქნებაო, – ნამდვილად არ ცდებოდა ჭაბუკი მეფის გული.

თვალთ დაუბნელდა გიორგის, მიხვდა, ლუარსაბთან ვეღარა თხოვნა და სიტყვა ვეღარ გასჭრიდა. გულდამდუღრულმა მიაშურა მარიამ დედოფალს.

სააკაძეს, მეფის უერთგულეს მსახურს, დედოფალი თანაგრძნობით შეხვდა:

– ჩემს შვილთან, ლუარსაბთან მე ვეღარაფერი გავაწყე. – ვერ გამოვძებნე ძალა, რომ შევეწინააღმდეგო მის გულისთქმასო, – უთხრა გულმტკივნეულად.

გიორგის წინაშე ამოიწურა ყველა გზა და შესაძლებლობა აზრი შეეცვლევინებინა მეფისათვის, ისღა სთხოვა, დაეფიცა, რომ ერთგული იქნებოდა თავისი არჩევანისა, არასოდეს განიშორებდა ცოლობიდან.

მხურვალე გულით დაიდო ფიცი.

იმავე 1611 წელს ქვათახევის მონასტერში ლუარსაბ მეფემ ჯვარი დაიწერა გიორგი სააკაძის დაზე.

ამოვარდა განცვიფრებით ნაზავი და ბოლმაში წარმოქმნილი ქარიშხალი, დიდგვაროვანთაგან მოდენილი ამღვრეული ტალღები შემოეჯარნენ სააკაძეს გარშემო.

მეფე ლუარსაბი ურყევად იდგა, არაფრით ეთმობოდა საყვარელი მეუღლე, რაც სააკაძის უარყოფასაც ნიშნავდა. ეს ბუნებით სათნო ადამიანი ისე აჰყვა თავისი გულის ძახილს, უარიც კი თქვა ერთ-ერთი თავადის ასულზე და არა მხოლოდ მთელი არსებით შეიყვარა წარმომავლობით მდაბიო სააკაძის და, საკუთარი, მეფური არსებობაც კი მიუძღვნა. აბსოლუტურად ჭეშმარიტი სიყვარულით თრთოდა მისი ჭაბუკური გული. დიდებულთათვის უკიდურესად აუტანელი იყო სააკაძის ფონზე მათი არსებობა, მოსვენება დაჰკარგოდათ და მისი განადგურებისათვის ბჭობათათბირებს მართავდნენ. სააკაძის მოსპობით, ცხადია, დიდ შვებას იგრძნობდნენ, მათ გიორგისადმი ხალხის სიყვარულიც ალიზიანებდათ, მხოლოდ მისი მოსპობა-ამოძირკვა იყო მათი ამოსუნთქვის საშუალება. არ უწევდნენ არავითარ ანგარიშს საქართველოს, მის ხალხს, ირგვლივ მოჯარულ ამდენ სამტროდ წამომართულ მუსულმანურ ქვეყნას, მხოლოდ სააკაძის მარჯვენას და ხალხის ერთსულოვნებას რომ უნდა გაეცა პასუხი.

სამშობლოს რომ სააკაძე სჭირდებოდა, ამას ზოგიერთ დიდებულთათვის არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ოღონდ მათი ცოლები დამშვიდებულიყვნენ, სააკაძისა და მისი გადედოფლებული დის აუგად სახსენებლად თავს არ იზოგავდნენ.

დიდი სხვაობა იყო მათ მრწამსსა და იმ მიწას შორის, სადაც დაიბადნენ: სამშობლო მხოლოდ იმდენად უყვარდათ, რამდენადაც სჭირდებოდათ. მათი გაანგარიშებით, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, მტერსაც იოლად დაუთმობდნენ თავიანთი დაბადების ადგილს. ეძნელებოდათ მთლიანი, ერთიანი საქართველოსათვის ხარკის გაღება, ბევრი თავადისათვის საქართველო მხოლოდ მის ადგილ-მამულებს ნიშნავდა.

ამ კუთხით ისტორიული მოვლენების განხილვისას ცხადია, რომ ყველა წარჩინებული ადამიანის დამოკიდებულება სამშობლოსთან ერთნაირი და მარტო ანგარებითი სულაც არ იყო. ისტორიამ ქვეყნის უანგარო სამსახურში დამშვრალი და თავშეწირული ბევრი დიდგვაროვანის საქმე და სახელიც შემოგვინახა.

მე სწორედ საგანგებოდ ვუსვამ ხაზს იმას, რომ სააკაძის მდგომარეობის განხილვისას გამოთქმით „თავადთა ნაწილი“, „დიდებულთა ნაწილი“, ჩვენ მხოლოდ შადიმან ბარათაშვილისა და მის მსგავსთა პოზიციას წარმოვაჩენთ გიორგი სააკაძესთან მიმართებაში. მათ ყველა ღონე იხმარეს, რომ სააკაძის და ჩამოეცილებინათ ლუარსაბისათვის, უგვარო დედოფლის თავზე დასმას ცოცხალი თავით ვერ შევურიგდებითო.

აღსანიშნავია, რომ ლუარსაბ II-ის დროს უფრო მძაფრი იყო ფეოდალური განკერძოებულობის ტენდენცია, უჩინარი საიდუმლოებებით იყო დახლართული ქვეყანა, თუნდაც, ვერაგი შაჰაბას I-ლის პოლიტიკის წყალობით; მეფემ ვერ იპოვა თავის თავში ძალა, რომ ძლიერი მეფეების მსგავსად მტკიცე რისხვით დაეთრგუნა თავიანთ ნაჭუჭში განდიდებულნი და სააკაძის ეროვნული მიმართულებისათვის დაემორჩილებინა მათი ვნებათა-ღელვა; ვერ დაძლია დიდ თავადთა უძლეველობის შიში, ვერ აირჩია სამშობლოს გადარჩენის ისტორიული გამოცდილების გზა.

სააკაძის საპირისპირო მხარემ ლუარსაბს პირდაპირ წაუყენა ულტიმატუმი, „ან ეგ ირჩიე ან ჩვენ“. და თუ მეფე არ გაიზიარებს ჩვენს აზრს, მაშინ ვაი მეფის ბრალი!“

დაიყაბულეს ლუარსაბი: იყოს ისე, როგორც თქვენ გნებავთ, განვიშორებ დედოფლობიდან და ცოლობიდანაცო.

– მარტო ეგ არ კმარა, უნდა მოიკლას კიდევაც გიორგი სააკაძე. დამცირებული და გაბოროტებულისაგან უსათუო სიკვდილს ვერცერთი ავცდებითო.

შადიმანის მითითებით შემოიყვანეს ფარსადან ციციშვილი და ბერუკა ჯავახიშვილი. ეს უკანასკნელი გიორგი სააკაძეს შვილივით აღზრდილი ჰყავდა, გადაუბირებიათ შადიმან ბარათაშვილს და მის მსგავსთ.

ცილისმწამებლური არშია მოუქსოვიათ: „გიორგი სააკაძეს ფარული კავშირები აქვს შაჰაბასთან; მათი მიზანია, შენი პაპის ძმისშვილი ხოსრო-მირზა დასვანო ქართლის ტახტზე“. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ამის მოსმენა, ლუარსაბს აზრი შეეცვალა. აღარ ეყო უნარი, დინ-

ჯად, ბეჯითად გამოეკვლია ყოველი ბრალდება, მოესმინა გიორგისათვის, ერთი სიტყვა მაინც ეთქმევინებინა და მერე მიეღო გადაწყვეტილება.

გაქრა ყველა დამსახურება სააკაძისა, თვით ტაშისკარიც კი.

მეფე აჰყვა დიდებულთა ამბიციებს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს კაცს, ვისაც ზეციური ძალებისაგან დაკისრებული ჰქონდა ქართლის გაძლიერება.

## გიორგი სააკაძის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობების განხილვა

1609 წლიდან, როდესაც ტაშისკარის ომმა საფუძველი ჩაუყარა მეფისა და მოურავის ღირსეულ ურთიერთობებს, და მათი დაახლოვება იმდენად საიმედო იყო, რომ 1610 წელს, შაჰ-აბასი, ტაშისკარის ომით ოსმალთა განადგურებით კმაყოფილი, ლუარსაბს იწვევს ირანში, მისდამი კეთილდამოკიდებულების გამოსახატავად, მეფე ქართლს სამეთვალყურეოდ სააკაძეს უტოვებს. ასეთი პოზიცია ხომ პირდაპირ გვეუბნება მათი თანამოაზრეობის ფაქტზე, ხომ შეეძლო სააკაძეს გამოეყენებინა ეს ვითარება და ნოსტეში სტუმრობა იმავე, 1610 წელს განესაზღვრა, და გაემართა ისე, რომ რახან ამდენი ნდობამოპოვებულია ლუარსაბთან, რაც სააკაძის მომხრეთა წარმატების შინაარსაც მოიცავდა, ბარემ თუ ჩანაფიქრი ჰქონდა ისეთი, როგორიც მის ოპონენტთა მხარეს მიაჩნია, უკვე არსებულ მათ საურთიერთობო სიკეთეს მოჰყოლოდა მეორე სიკეთეც და იმავე 1610 წელს გაემართა სანადიმო სუფრა.

როდესაც ლუარსაბის გონებისა და გულის თვალით დანახული იყო სააკაძის თავდაუზოგავი თვისებები, სარდლის ალღო, და ქვეყნისთვის მზრუნველი ქართველის განსახიერებას წარმოადგენდა, უნდა ითქვას იმ დროის მოვლენებში მასზე უკეთესად არავინ გამოიყურებოდა, მისი დაც სიტურფითა და ძმის მსგავსად, ეროვნული გულშემატკივრობითაც გამოირჩეოდა, იგი გადაწყვეტდა სააკაძესთან დამოყვრებას და ნოსტეში სტუმრობა მისი იდეაც იქნებოდა. მაშ როგორი შინაარსი უნდა მომდინარეობდეს სააკაძის სურვილისაგან. ე. ი. მან მოინდომა, მოიფიქრა და დაგეგმა მეფის წვეულება ნოსტეში, თავის ოჯახში, და აღარ იფიქრა ისიც, რომ მისი დის გადედოფლებას რარეაქცია მოჰყვებოდა, ისედაც ამრეზილ ქართველ დიდებულთა ფსიქოლოგიაში. ამდენი პოლიტიკური სირთულეების ფონზე, რაც ქართლში იმჟამად სუფევდა, სავარაუდოდ გადაწყვეტდა მეფის გამასპინძლებას?!

ბერი ეგნატაშვილი სააკაძისგან ნოსტეში სანადიმო სუფრის გამართვას ხერხად მიიჩნევს, შემდეგ წინააღმდეგობის გაწევას ლუარსაბის მიმართ, და საგარანტიო ფიცის დადებას კი, დიპლომატიურ ნაბიჯად.

რაღათქმაუნდა საჭირო ერთობ სასურველი და მომხიბ-ლავი იქნებოდა ლუარსაბის დამოყვრება სააკაძესთან, რაც მის თანამოაზრეთა გაძლიერებასაც მოასწავებდა. სააკაძე, როგორც მიზანმიმართული პიროვნება, უნდა აღინიშნოს მისი 1620 წელს დასავლეთ საქართველოში მეფე გიორგისთან ყოფნისას, მან გამოხატა სურვილი, მისი შვილი ხვარამზე თავის შვილზე ავთანდილზე დაენიშნა. რაც პირველ რიგში იმერეთის სამეფოს მოკავშირეობით, ირანის წინააღმდეგ თანადგომას ისახავდა მიზნად. სააკაძის ასეთი მოქმედებები საქართველოს გაერთიანების იდეით აიხსნებოდა. დამაფიქრებელი ის არის, რაღა სააკაძისგან ხდებოდა ასეთი ნაბიჯები ჯერ გასაკვირი, მერე აღმაშფოთებელი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი სიახლოვის კავშირი იყო ლუარსაბსა და სააკაძეს შორის იმ სამი წლის მანძილზე – 1609 წლიდან 1611 წლამდე, ერთხელ მაინც არ დაინტერესდებოდა მეფე თავისი უახლოესი კაცი, სააკაძე სად როგორ, რა სახლ-კარში ცხოვრობდა, რამდენი შვილი ჰყავდა, ან რა პირადი გარემო ჰქონდა. განა მარტო ის ერთი სტუმრობის მიზეზი იყო ყველაფრის განმსაზღვრელი? ჩვენ აქვე მოვიყვანთ ცხირეთის საზაფხულო სამეფო რეზიდენციას, რაც ნოსტედან ორი კილომეტრითაა დაშორებული და სააკაძის ადგილ-მამულებს ზემოდან გადმოჰყურებს. ეს ფაქტიც ხომ მათი ხშირი ურთიერთობის განმსაზღვრელია, და მიგვანიშნებს იმ მოვლენაზე, რომ ლუარსაბს ჰქონდა საშუალება 1611 წლამდის შეხვედროდა სააკაძის დას, საეკლესიო დღესასწაულებზე თუ სამეფო კარზე საზეიმო შეხვედრებისას. მაშ რა გამოდის, სააკაძემ გამიზნულად მოაწყო სანადიმო სუფრა, არ გაითვალისწინა შემდგომი სირთულეები, რაც ასეთ

მოვლენას მოჰყვებოდა. მერე დაფიქრდა, ეს რა ჩავიდინეო და მეფესთან სახვეწრად გაუხდა საქმე, ხელი აელო მისი დის ცოლად შერთვაზე. როდესაც იგი ლუარსაბს ეუბნება, მე უბრალო აზნაური ვარ, ჩვენს შორის მოყვრობის კავშირი ვერ გაამართლებს, ვინაიდან დიდებულთა აზრი ჩემი დის გადედოფლებას არასოდეს შეეგუებაო.

იოსებ თბილელის „დიდი მოურავიდან" მოყვანილი აზრი, რომელიც ანგარიშგასაწევია, გვეუბნება, რომ ლუარსაბი სააკაძის მიწვეულია:

„ხანი გარდახდეს ამაში, მე დავპატიჟე მეფესა"

ნოსტეში სტუმრად მიწვეულ ლუარსაბს, სააკაძის დისგან სწადია ღვინის დასხმა. შესაძლოა, ღვინომოჭარბებულმა ლუარსაბმა, სააკაძის დასთან მეტი სიახლოვის სურვილი გამოხატა. ესეც მისი ალალი ბუნებიდან მომდინარეობს, მაგრამ სააკაძისათვის მიუღებელი გახდა, როგორც მეფის პოზიციებიდან შემხედვარე, სისუსტედ აისახა. როგორც ჩანს ამან დააფიქრა, არ ელოდა, მეფე ყოველთვის და ყველგან მეფე უნდა იყოს. წარმოუდგენელია ლუარსაბს უპატივცემულო საქციელი გამოეხატა სტუმრად მიწვეულ სააკაძესთან. რამეთუ გიორგის დიდად აფასებდა და მისი და გულით უყვარდა. შესაძლოა, ღვინო და სიყვარულმორეულ ლუარსაბმა, სუფრაზე, თავადთა თანდასწრებით, გაამჟღავნა თავისი გულის წადილი, რომ სააკაძე ღირსეული ადამიანია, ქვეყნისთვის საიმედოა. მისი დაც, გარდა მომხიბვლელობისა, დიდი სათნოებით იქნებოდა სავსე, და განაცხადა მეფური პოზიციებიდან, ამაყად, გულ-გახსნილად, რომ ლუარსაბს იგი უყვარს. სმენაგამახვილებულ სააკაძეს არ გამოპარვია ის რეაქცია, რაც თავადებში ლუარსაბის სიტყვების გაგონებისას მოხდებოდა. ყურადღება მივაქციოთ, ლუარსაბი, მემატიანეს თქმით, სააკაძის დაპატიჟებულია, მასთან ერთად მიწვეულნი არიან სხვა დიდებულნიც. იმ სუფრის დამთავრების შემდეგ სააკაძის განწყობა რადიკალურად განსხვავებულია. როცა, მემატიანეს თქმით, ამბობს:

„გამარჯვება და ლხინით ნახვა – ყველა შემექმნა შხამადა"

აშკარაა, როცა სააკაძე ასეთი აზრისა გახდა თავისივე მოწყობილი სუფრის შემდეგ, მან თავისივე ოჯახში დაინახა ნაწილ თავადთა ქირქირი, ლურსაბის სასიყვარულო მოვლენისაგან წარმოშობილი. შესაძლოა, დიდებულებმა თავშეუკავებლადაც კი გამოხატეს თავიანთი პოზიცია ლუარსაბის წინაშე. შფოთავს გულ-დამდუღრებული სააკაძე, ამა საქმისგან ჩამოხსნას, მე წყალობადაც კი მივიღებო მეფისგან და იქამდისაც კია აღშფოთებული, ამბობს :

„რად დაგავიწყდა აღარ გახსოვს ომი შარშანწინდელი?"

აქ საყვედურია წინა პლანზე წამოწეული, რად აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში. მოლოდინი სულ სხვა იყო, ვითარებამ სხვა მიმართულება მიიღო, თვითონაც ცოლშვილის პატრონს, გუმანი გამახვილებული აქვს. უცხო ვინმე ხომ არ არის, საკუთარი დაა, სისხლი და ხორცი. რადგან სააკაძისგან საყვედური გამოკრთა, ლუარსაბის მიმართ, ეს ფაქტი იმის მიმანიშნებელია, რომ ლუარსაბის სურვილისგანაც უნდა მომდინარეობდეს ნოსტეში სანადიმო სუფრის გამართვის მიზეზი. გულმოკლული სააკაძე სანდო კაცს აგზავნის მეფესთან და დაუბარებს:

„მეფეს კაცი მიუგზავნე, ეს არ იყო თქვენგან ქნანი!
ნუ მიჰყვებით ბოროტ საქმენს, ნუ გაქვთ ცუდი გულის თქმანი."

რადგან მეფის წინაშე კაცის გაგზავნა დასჭირვებია სააკაძეს, უნდა გაიგოს, მართლა ცოლად შერთვა უნდა მისი დის თუ ხარჭად ყოფნას უპირებს. აქვე უნდა ვივარაუდოდ ის, რომ რადგანაც ლუარსაბმა სააკაძესთან სტუმრობისას თავისი გულის ნადები სუფრაზე აღიარა, რომ მას სააკაძის და უყვარს, არც მას გამოეპარებოდა თავადთა რეაქცია და მათი ეჭვების გასაფანტად და გულის მოსაგებადაც მოძებნიდა შესაფერის მომენტს. სააკაძის იმ შემთხვევაში არ ყოფნისას და დიპლომატიურ სიტყვად დაამატა, რომ სააკაძის და მისთვის იქნება მხოლოდ ხარჭა.

ლუარსაბის გადაწყვეტილება რომ სინამდვილეა და წყალი არ გაუვა, „დიდი მოურავიდან" მოყვანილი მოსაზრებაც გვიდასტურებს:

„მეფემ ფიცი შეუთვალა: მაგას შენ არ გაკადრებდი,
მაგრა ცოლად ის შევირთო, მხიარული ვიხარებდი.
ქართლს დაგიჯდეს და დედოფლად, გაიხარე მით იშვებდი."

შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ეჭვგარეშეა, რაც სააკაძეს ეწადა, მიღწეულია და დამამშვიდებელიც, რაც მემატიანეთა აზრსაც ემთხვევა.

სააკაძის და ქართლის დედოფალი ხდება!

არ უნდა გამოვრიცხოთ ლუარსაბის გარემო ვითარებებში შექმნილი მდგომარეობაც. ნაწილ დიდებულთა დამოკიდებულება სააკაძის მიმართ, რაც მასაც კარგად ეცოდინებოდა და ლუარსაბიც, თავისი დიპლომატიით, ცდილობდა დიდებულთა გულის მოგებას რომ მეფე მათი აზრის დამცველია და მეტი დამაჯერებლობა რომ შეეტანა მათ ფსიქოლოგიაში, ამბობდა, სააკაძის და მისთვის მხოლოდ ხარჭა იქნებოდა სინამდვილე კი სულ სხა იყო. რადგან ლუარსაბმა იცოდა შადიმანის მსგავსთა ამბიციები და თავისი ალალი გულიდან გამომდინარე ცდილობდა, თავისი გულის მრწამსის გამხელით, ისევ სააკაძეს არ გართულებოდა დიდებულებთან საქმე. ის თავს არიდებდა სააკაძესთან სტუმრობას, რაც1609 წლიდან 1611 წლამდის გასული დროის მონაკვეთიც ამას ადასტურებს. მისი განსაზღვრებით, დროის გაყვანის მცდელობით ამ საქმეში აღსანიშნავია, რომ მათ თავადთა გონებაში მომწიფებულიყო, მომზადებულიყო მდგომარეობა ლუარსაბის სააკაძესთან დამოყვრებისა. ამ საქმეს ნიადაგს უმაგრებდა ტაშისკარის დიდი გამარჯვებაც.

სტიქიურად მეფის მიწვევა სააკაძისგან არ მოხერხდებოდა, იგი დარწმუნდა მის გულწრფელობაში და ორივემ ერთად მიიღო გადაწყვეტილება.

დიპლომატიური მოქმედებები იმ ვითარებებში სააკაძისგან გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. აქ მთავარია რენდგენული სიცხადით დავინახოთ სააკაძისგან ლუარსაბთან შეწინაალმდეგების ფორმა, აქ საყვედურიც დასცდა მოურავს, სადაც მეფეს შეახსენებს: „ტაშისკარის ომს." რახან თავის ღვაწლი შესახსენებლად გახდა საჭირო, მარტო დიპლომატიასთან არ გვაქვს საქმე, მით უმეტეს, მოურავის დამამშვიდებელი პასუხი ლუარსაბისაგან შეთვლილია, მისი და ქართლის დედოფლის გვირგვინს იდგამს. მეფის პასუხი, მნიშვნელობა და შინაარსი იმედს იძლეოდა, მით უმეტეს, ბერი ეგნატაშვილის განმარტებით, დიდად დაუმძიმდაო ლიპარიტიანის ქალსო, ლუარსაბის ნაბიჯით, თავისი დედის ქართლის დედოფლისათვის მიუღებელი გამხდარა. ეს მაშინ, როდესაც მომავალი სადედოფლო, ლევან დადიანის და, შერჩეული ჰყავთ. ე.ი. ლუარსაბ II-ს თავის გულწრფელ გადაწყვეტილებაში ეწინაალმდგება დიდებულთა ნაწილი, საკუთარი დედა, დედოფალი მარიამი და ეწინაალმდეგება გიორგი სააკაძეც. არ არის გასაკვირი, რომ იქნებოდა მცდელობა ნაწილ დიდებულთა მხრიდან ლუარსაბისა და სააკაძის შორის განხეთქილება ჩამოეგდოთ. რადგან მიზეზიც შეექმნათ, ლუარსაბისგან სააკაძის დისადმი სატრფიალო ნაბიჯისა, მას თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ და მათ გონებას როგორც ეხერხებოდათ, ისეთ შინაარსს მისცემდნენ. როგორ იქნება მეფემ მცირედი აზნაურის და დედოფლად დაისვას. მას ხარჭად თუ გამოადგებაო. ეს ჭორები აიდგამდა ფეხს და სააკაძის ყურამდისაც მივიდოდა. მაშ რა უნდა ყოფილიყო მისი აღშფოთების მიზეზი, მეფეს ეუბნება, ჩამომეხსენითო, თუ არა სხვა გზა აღარ დამრჩენია, თავს შემოგაკლავო. თუ სააკაძისგან ნოსტეში სუფრის გამართვა არ არის სადაო და ხერხად ითვლება, დიპლომატია ნაკლებად იკითხება მისი აღშფოთების მიზეზებში, როცა იგი იმეორებს:

„იმავ სიტყვას მოგახსენებთ ხელმწიფესა ზესთა ზესა,
სიმონ მეფის შვილიშვილსა – ნუ მიჰყვებით ნდობით ზნესა!
თქვენც ის ქენით, მამა პაპად რომ მიპყრობა სითაც ქნესა?"

ჩვენ ლუარსაბ II-ს მეფობისთვის სუსტი მხარეებით ვიცნობთ? თურმე არ იყო იგი მარტო ასეთი მხარეების მქონე. როგორ სიმტკიცეს ავლენდა ცალკე დედა-დედოფალის დასამშვიდებლად, ცალკე სააკაძის დასამშვიდებლად და თავისი დიპლომატიის საშუალებით, დიდებულთა დასამშვიდებლად. რომ მათი მრწამსის გამზიარებელია და ნუ მოეჩვენებათ მისგან რაიმე შეუსაბამო ნაბიჯის გადადგმა.

(გაგრძელება იქნება)

ვაჟა შუბითიძე



# ისრაელის გაკვეთილები საქართველოსათვის

საქართველო და ისრაელი – ეს არის ორი უძველესი ბიბლიური ქვეყანა, რომელსაც, აგერ უკვე 26 საუკუნეა ერთმანეთთან მეგობრობის და პატივისცემის, თანასწორი ურთიერთობების უიშვიათესი ტრადიციები გააჩნიათ.

ამ ორი ერის ურთიერთობა სწორედ რომ სამაგალითოა დღევანდელი აშლილი და აწეწილი მსოფლიოსათვის, მათ შორის წამყვანი და დიდი ერებისთვისაც.

„საქართველო – ეს არის თანამედროვეობის უდიდესი სასწაული, რომლის შედარებაც შეიძლება მხოლოდ ისრაელთან. ის არის არა მხოლოდ ძველი ცივილიზაცია. ის არის ცოცხალი ცივილიზაცია. შეხედეთ ათენსა და რომს. მათ წარსულს არავითარი კავშირი არა აქვს მათ თანამედროვეობასთან, საქართველოში კი ყველაფერი ძველი აგრძელებს სიცოცხლეს დღევანდელობაში" – წერს თანამედროვე ცნობილი ებრაელი მეცნიერი და თეოლოგი ავიგდორ ესკინი.

ისრაელი ჩვენთვის სამაგალითოა იმითაც, რომ ამ უძველესმა ერმა თუ რა სწრაფად შეძლო მოდერნიზება და მოწინავეთა რიგებში ჩადგომა.

თანამედროვე ისრაელის სახელმწიფო იშვა 1948 წელს, როცა გაეროს დადგენილებით მათ გამოეყოთ 14 ათასი კვ. კმ. ფართობი ყოფილი პალესტინის ტერიტორიიდან (ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში ლომის წილი მიუძღვის იოსებ სტალინს, რომელმაც დასავლეთის წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლო თავისი გაეტანა და სოლივით ჩაუსვა არაბებს ეს პატარა ქვეყანა).

სულ რაღაც 68 წლის განმავლობაში ისრაელი პაწაწინა სახელმწიფოდან სიონისტური ეროვნული იდეოლოგიის სიძლიერის და ხალხის, ერის მონდომების წყალობით, გადაიქცა ქვეყნად, რომლის მოსახლეობა (6 მილიონზე მეტი) რვაჯერ აღემატება 1948 წელს არსებულ რაოდენობას, გადაიქცა უძლიერეს ქვეყნად, რომელიც დომინირებს არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ რომელსაც ძალზე დიდი გავლენა აქვს მთელს მსოფლიოში, რამეთუ მსოფლიო ფინანსების 75%–ს ებრაელები ფლობენ.

ამჟამად ისრაელს ახლო აღმოსავლეთში წამყვანი პოზიცია უკავია ეკონომიკურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროში. ისრაელი ფაქტობრივად უდაბნო, ხრიოკი ადგილი იყო, ქვიშიანი და მტვრიანი, მიწა გემებით ჩამოჰქონდათ, წყალს ყიდულობდნენ, მაგრამ შრომის შედეგად ეს ადგილი აყვავებულ ბაღნარად აქციეს.

მეტად საყურადღებოა ისრაელის გამოცდილება მრეწველობის განვითარების საქმეში. ისრაელს არც საკუთარი ბუნებრივი რესურსები გააჩნდა, არც მრეწველობის განვითარების საბაზო დარგები. გეოპოლიტიკური და სამხედრო სირთულეების გამო მას არ შეეძლო გაეტარებინა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ევროპის და ჩრდილო ამერიკის მოდელების მიხედვით. ისრაელის ყოფილი პრეზიდენტი ეიზერ ვაიცმანი მიუთუთებდა, რომ „ჩვენ, ისრაელმა ფული და კაპიტალი ჩავდეთ ადამიანთა ტვინებში (ანუ განათლების სფეროში) იმიტომ რომ სხვა არაფერი რესურსი არ გაგვაჩნდა"-ო.

ისრაელი გარშემორტყმულია მისდამი მტრულად განწყობილი 20–ზე მეტი ქვეყნით, რომლებმაც ამ 68 წლის განმავლობაში 7 ომი გააჩაღეს ისრაელის წინააღმდეგ, მაგრამ ყველა წააგეს. საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობა ისრაელს აიძულებს, როგორც ეროვნული პროდუქტის, ისე შრომისუნარიანი მოსახლეობის ყველაზე ახალგაზრდული და შემძლე ნაწილით მოახდინოს თავდაცვის უზრუნველყოფა. ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შემოსავლებიდან 10-15 % თავდაცვის ფონდს ხმარდება. ეს დასავლეთის უმრავლესი ქვეყნებისათვის 3-5 %-ია (სომხეთისათვის 9%-ია, საქართველოსთვის 6%).

68 წლის მანძილზე ისრაელმა მსოფლიოს 120 ქვეყნიდან ჩამოსული 5 მილიონამდე ადამიანი (მათ შორის სსრ კავშირიდან ჩასული 1,5 მილიონი ებრაელი) მიიღო.

საკუთარი ქვეყნის უზომოდ მოყვარულ და საქმიან ებრაელებს მცხუნვარე მზის ქვეშ გაჰყავდათ გზები, აგებდნენ ხიდებს, სანაპიროებს, პორტებს, ქარხნებს, საცხოვრებელ ბინებს, აშენებდნენ პლანტაციებს. სწორედ ამგვარმა თავჩაუხრელმა შრომამ აქცია ისრაელი აგრარული ქვეყნიდან სამრეწველო წარმოების და სამეცნიერო აზრის განვითარებულ სახელმწიფოდ, რომელსაც გააჩნია მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრია, აგრეთვე თანამედროვე კვების მრეწველობა და ალმასების დამუშავების ერთ-ერთი მსოფლიო ცენტრი. ისრაელის ხვედრით წილად მოდის მსოფლიო საიუველირო ალმასების წარმოების 40%. შედარებისთვის – რუსეთში ალმასების დამუშავების მრეწველობაში დასაქმებულია 2-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე ისრაელში, სასაქონლო პროდუქცია კი იწარმოება 6-8 ჯერ ნაკლები, ვიდრე ისრაელში.

ისრაელის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი ინტენსიურობით, მოწინავე აგრონომიით და მელიორაციით. პირდაპირ გამაოგნებელია: იერუსალიმი, მისი შემოგარენი და თითქმის ყველა მიმდებარე ადგილი კლდოვანია, ქვიშიანი და მაინც სოფლის მეურნეობის პროდუქტების საოცარი სიუხვეა მოსავალი 2-ჯერ მოჰყავთ და ხრიოკზე სიცოცხლეს ქმნიან მოწინავე ტექნოლოგიების („ჰაი-ტექი") წყალობით.

მაშინ როცა ისრაელში ფაქტიურად წყალი არ არის (ამასვე ადასტურებს ისრაელის 92 წლის პრეზიდენტი შიმონ პერესი, რომელმაც კიევში გამოსვლისას თქვა, რომ „წყალს ჩვეულებრივად პოულობენ, არ მოიპოვებენ ჩვენ კი მისი მოპოვება დავიწყეთ, მერე კი წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ") ცხელი წყალი ყველას აქვს. მზის ბატარეები ცვლის ჰიდროელექტროსადგურებს და ატომურ ელექტროსადგურებს. ზაფხულობთ 4 თვიანი გვალვაა და მაინც სარწყავი მილების წყალობით, ყველაფერი ჰყვავის. მთებში მიწის ქვეშ ტბებია, საიდანაც წყალი უდაბნოში მოჰყავთ. წვიმის წყალსაც კი არ ჰკარგავენ – რეზერვუარებში აგროვებენ. ყოველი ხის, ყოველი ყვავილის ახლოს სარწყავი მილია გაყვანილი. ეს არის წვეთოვანი რწყვის მეთოდი, რომელსაც ისრაელში დიდი ხანია იყენებენ. იგი მცენარეს, ხეს იმდენ წყალს აწვდის, რამდენიც ესაჭიროება, რათა წალკოტში არათუ გამხმარი, არამედ უწყლობისაგან შეყვითლებული ფოთოლიც არსად გაერიოს. ისრაელში სოფლის მეურნეობის ერთი მუშაკი ქვეყნის 82 მოქალაქეს უზრუნველყოფს პროდუქტებით. რუსეთში ერთი ძროხის წველადობა წელიწადში 3 ათას ლიტრს შეადგენს, ისრაელში კი 10 ათას ლიტრს.

მშენებლობა, ფართო საყოფაცხოვრებო ინდუსტრიაა, მსოფლიოში ერთ–ერთი საუკეთესო საოპერაციო მედიცინა, მრავალპროფილიანი უმაღლესი განათლება, კომპიუტერიზებული საბანკო და მოსახლეობის სერვისის სხვა სახეობანი ისრაელის ეკონომიკის ბირთვს შეადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ „ჰაი-ტექის" (მაღალი ტექნოლოგიების) სფერო, რომელშიც ისრაელი ასევე მსოფლიო ერთ-ერთი ლიდერია. „ჰაი-ტექ"-ის საწარმოთა ხვედრითი წილი ისრაელის ექსპორტში 80%-მდეა (30 მილიარდ დოლარამდე). არმიაში გაწვეული ახალგაზრდები ცდილობენ იმსახურონ სრულიად საარმიო კომპიუტერულ ცენტრ „მამრან"–ში, რომლის კურსდამთავრებულების თვიური ხელფასი 7 ათასი დოლარია და 4-ჯერ აღემატება საშუალო სასტარტო ხელფასს და მაინც ისრაელში არ ჰყოფნით 5 ათასზე მეტი სპეციალისტი „ჰაი-ტექ"-ის სფეროში.

ისრაელში თავდაცვა იდეოლოგიურად უმაღლეს დონეზეა აყვანილი ისრაელს აქვს ატომური და წყალბადის ბომბი, უმაღლესი სიზუსტის რაკეტები, რომლებიც მტრის რაკეტებს ჰაერში ანადგურებენ, ჰყავს უძლიერესი დაზვერვის სამსახური „მოსადი". ქვეყნის თავდაცვა არა მარტო კაცების, არამედ ქალების მოვალეობაცაა. არმიაში ყველა მსახურობს. არც ერთი თავმოყვარე გოგონა არ გაივლის იმ ბიჭის გვერდით, ვინც ჯარში ნამყოფი არაა.

„ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა, – ამბობს შიმონ პერესი, არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. რა უნდა გვექნა? – ორი რამ: პირველი – ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არა გვაქვს. „ ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დავმარცხდეთ, მორჩა. მეორე, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ იარაღი არ გვქონდა, მისი წარმოება დავიწყეთ, განვავითარეთ IT – სექტორი, რომელიც მუშაობდა არმიაზე, რადგან ვიყავით მარტო და თანაც

მტრულ გარემოში, სწორედ ამის წყალობით გაიმარჯვა ისრაელმა ყველა ომში არაბთა წინააღმდეგ და ტერიტორია 5-ჯერ გააფართოვა.

პერესის აზრით პოტენციალი ადამიანებს დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან. თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, უნდა ბევრი იმუშაოთ, ციდან არაფერი ცვივა. ჩვენ, ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით, რა არის ამაში ცუდი... უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას, რომელსაც არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და რეფლექსები. წარსული იცოდეთ, რათა წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ... იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე, რაც უფრო დიდ იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიაღწევთ... დაიანგარიშეთ თქვენს ტვინში მიღწევები და ოცნებები... თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია, ვიდრე თქვენი მიღწევები, ეს ნიშნავს რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ".

ცალკე აღნიშვნის ღირსია „ქართველი ებრაელის ფენომენი". ასეთი რამ სხვა ერმა არ იცის. ჯერაც არავის გაუგონია „ქართველი სომეხი", :ქართველი რუსი", „ქართველი აზერბაიჯანელი" და ა.შ.

ქართველ ებრაელთა ფენომენის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქართულ მიწაზე 26 საუკუნოვანი ცხოვრების მანძილზე „არსად არ თქმულა და არ გაგონილა, რომ ოდესმე ქართველ ურიას საქართველოსთვის ეღალატნოს და რაიმე ცნობები სხვა სახელმწიფო მტერთათვის გარდაეცათ, თუმცა ამის შემთხვევა მათ ხშირად მიეცემოდათ" (ზაქარია ჭიჭინაძე).

„ეს მოხდა რომში – წერს აბონ ციციაშვილი თავის 800 გვერდიან წიგნში „ებრაელები და საქართველო". ქართველებს მაღაზიაში შემთხვევით კაოლინის თიხის ძალზე ძვირადღირებული ნივთი გაუტყდათ. მაღაზიის კარი იმწამსვე დაიკეტა. მეპატრონემ ქართველებს ნივთის საფასურის ანაზღაურება მოსთხოვა. მათ საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდათ. იქვე შემთხვევით მყოფმა უცნობმა ყური მოჰკრა ქართულ საუბარს, იხმო მეპატრონე. „რამდენია გადასახადიო" – ჰკითხა. 3800 დოლარიო უპასუხა მეპატრონემ. უცნობმა ეს თანხა გადაუთვალა, შემდეგ მოუბრუნდა ქართველებს და ქართულად უთხრა: თქვენი ჭირიც წაუღიაო, ძმებო, თან აღნიშნა თბილისში დაბადებული ქართველი ებრაელი ვარო, არც გვარი უთხრა, არც სახელი და სიყვარულით გამოემშვიდობა".

ქართველმა ებრაელებმა ისრაელში დადგეს შოთა რუსთაველის ძეგლი და მისი ქუჩა (ასევე თბილისის მოედანი) გააკეთებინეს მთავრობას იერუსალიმში, ლაპარაკობენ, მღერიან და ტირიან ქართულად, ცეკვავენ ქართულად, ზრდიან ქართული ტრადიციებით.

„ერთადერთი ერი – სტუმარი, – წერს აბონ ციციაშვილი, რომელმაც საუკუნეები იცხოვრა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი უბედური ბედის გამო და რომელსაც არასოდეს არ უთქვამს, ეს მიწა ჩემია, ან განსაკუთრებული უფლებები (მაგ: ავტონომია) მომეცით, ებრაელი ერია, მის სამშობლოსაც გაუღიმა ბედმა, აიკრა გუდა-ნაბადი, მადლობა გადაუხადა ქართველ ხალხს გაწეული შრომისათვის, ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრებისათვის და წავიდა.

სხვები? ამაზე არც ფიქრობენ".

# ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი



## ფინანსური ურთიერთობები თანამედროვე გლობალურ მსოფლიო ეკონომიკური გარემოში

1940-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის "უდიდესი დეპრესიის" მტკივნეული გაკვეთილების შემდეგ აშშ-მა თავისთავზე ომის შემდეგ დანგრეული ეკონომიკის აღდგენის საქმეში დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის ლიდერის როლი აიღეს. ამერიკული მთავრობის აღნიშნულმა ძალისხმევამ ევროპაში მარშალის გეგმის და აზიაში განსაკუთრებით იაპონიაში და ჩინეთში დახმარების სხვადასხვა პროგრამების ფორმა მიიღეს. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები იქნა ჩამოყალიბებული, მათ შორის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) IMF1944 წელს, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი EBRD (რგსბ) 1945 წელს, გენერალური შეთანხმება ტარიფებთან და ვაჭრობასთან მიმართებაში 1945 წელს და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია UN (გაერო) 1949 წელს.

ომის შემდგომ წლებში 1950 წლიდან 1990 წლის პერიოდში, მსოფლიო გარემომ და ეკონომიკურმა სტრუქტურამ უდიდესი ცვლილებები განიცადეს. საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანმა ზრდამ და საერთაშორისო კაპიტალის სწრაფმა მოდინებამ, სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის მზარდმა ტემპმა და კომუნისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ აღმოსავლეთ ევროპაში რეგიონალური თანამშრომლობა და მსოფლიო ინტეგრაცია დააჩქარეს. აღნიშნული მიღწევების შედეგად ბანკების, კორპორაციებისა და ინვესტორების წინაშე მრავალი ამოცანა იქნა დასახული და სხვადასხვა პერსპექტივები წარმოჩნდა.

ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკური გარემოში: – ზემოთ აღნიშნულმა ომისშემდგომმა ცვლილებებმა მსოფლიო გარემოს ფორმირების ახალი ეტაპი განსაზღვრეს, რომელიც დღესაც გრძელდება. გარემოებებს შორის, რომლებმაც მსოფლიო ეკონომიკაში და ფინანსურ გარემოში სერიოზული ცვლილებები გამოიწვიეს, იყო შემდეგი:

1) 1800 წლებში მსოფლიო მიგრაცია და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ (იხ. რუკა ქვემოთ) დიდი ბიძგი მისცა უპრეცედენტო ზრდას საერთაშორისო ვაჭრობასა და ინვესტიციაში. პირველი მსფოფლიო ომის დაწყებისას მსოფლიოს სავალუტო ბაზარმა განიცადა პარალიზება, ფულადი ბაზრის არალიკვიდურობით. ქვეყნები იძულებულები გახდნენ დაეწყოთ ძებნა საშუალებების დაეცვათ თავი გარე შოკებიდან, დაიწყეს რა პროტექციონისტური და ვირტუალური ვაჭრობის პოლიტიკის დაფუძნება, რომელმაც ბიძგი მისცა 1933 წლის დიდ დპერესიის განვითარებას, მანამ სანამ რამოდენიმე მსხვილმა ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებებმა არ შეამცირეს მსოფლიოში ტარიფები, რაც დეტალურად აღწერილია ქვემოთ ფუნქტებში.

2) ევროდოლარების ბაზრის წარმოშობა 1957 წელს ლონდონში ბრიტანული მთავრობის მხრიდან ფუნტი სტერლინგზე კონტროლის განხორციელების საპასუხოდ;

3) ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის EEC (ეეთ) ჩამოყალიბება 1958 წელს, რომელიც დასაწყისში როგორც საერთო ბაზარი, იყო ცნობილი, დღეს კი მას ჩვეულებრივად ევროპულ კავშირს EU (ეკ) უწოდებენ;

4) ამერიკული კორპორაციების მხრიდან უცხოეთში საქმიანობის გაფართოების სურვილი (50-იანი წლების შუა პერიოდიდან). იაპონური და ევროპული კორპორაციების მიერ მსოფლიო ბაზარზე, აგრეთვე ამერიკულ და უცხოეთის მრავალეროვნულ კორპორაციებს შორის როგორც საერთაშორისო არენაზე, ასევე აშშ-ში მზარდი კონკურენციის შედეგად საქმიანობასთან მიმართებაში მზარდი მნიშვნელობის მინიჭება;

მაგალითისთვის: კომპანიები როგორებიცაა: ექსონ მობილი ExxonMobil, დაიმლერ კრაისლერი DaimlerChrysler, კოკა კოლა Coca Cola და მაკდონალდსი McDonalds ნახევრაზე მეტ საოპერაციო მოგებას საერთაშორისო ოპრეციებიდან გამოიმუშავებენ. ბიპი (BP), სონი (SONY) და გენერალ მოტორსი General Motors აწარმოებენ ბიზნეს 150 ზე მეტ ქვეყანაში. ნესტლეს Nestle, ფილიპს ელექტრონიკს (Philips Electronics), ფორდს (Ford) თანამშრომლების რა-ბა მშობლიურ ქვეყანაში ბევრად ნაკლები ყავთ, ვიდრე საზღვარგარეთ. მაგალითისთვის ნესტლეში (Nestle) 6700 თანამშრომელი მუშაობს მშობლიურ შვეიცარიაში და 203'100 სხვა ქვეყნებში.

5) შორეულ აღმოსავლეთში ბიზნესისათვის ახალი საქმიანი შესაძლებლობების გამოჩენა, რაც 60-იანი წლებიდან დაწყებული იაპონიის სწრაფი ეკონომიკური ზრდით იყო გამოწვეული;

6) მსოფლიო ფინანსური კრიზისი 1971 და 1973წ., რომელმაც ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრახი და ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემიდან მცურავ სავალუტო კურსებზე ფორმალური გადასვლა გამოიწვია.

7) მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე 1974 წლისა და 1979 წლის ნავთობის პირველმა და მეორე კრიზისებმა სერიოზული ზეწოლა მოახდინეს; ამ პერიოდში ნავთობის ქვეყანა-ექსპორტიორების ორგანიზაციამ (ოპეკ) მნიშვნელოვნად გაზარდა ფასები ნავთობზე;

8) მსოფლიო სავალო კრიზისის დასაწყისი 1982 წელს და ვალების მომსახურების პრობლემების გამო, რომლის წინაშე განვითარებადი ქვეყნები აღმოჩნდნენ.

9) იაპონიის წამყვან საერთაშორისო ფინანსური ძალად და მსოფლიო კაპიტალის წყაროდ გარდაქმნა 1980-იან წლებში;

10) 1987 წლის თებერვალში 7 ქვეყანამ ("დიდი შვიდეული") პარიზში ლუვრსკის შეთანხმებას მიაღწიეს. მათ მერყეობის ვიწრო ჩარჩოებში აშშ-ის შესუსტებული დოლარის მხარდაჭერა დაგეგმეს დოლართან მიმართებაში თავიანთი ვალუტების გაცვლითი კურსის ხელოვნურად მხარდაჭერის განხორციელების გზით. მათ ასევე საკუთარ ქვეყნებში შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასაც ჰქონდათ განზრახული;

11) 1987 წელს ევროპულმა ეკონომიკურმა თანამეგობრობამ (ეეთ) უნიფიცირებული ევროპული ბაზარი შექმნა, რომელიც დასავლეთ ევროპის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად შეცვლას ითვალისწინებდა;

12) 1989-1992 წლებში აღმოსავლეთევროპულმა კომუნისტურმა ქვეყნებმა, კომუნისტურიდან მრავალპარტიულ მთავრობებზე, ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით, საკუთარი პოლიტიკური სისტემა შეცვალეს. აღნიშნულმა ცვლილებებმა მსოფლიო პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და ფინანსებზე ღრმა ზემოქმედება მოახდინეს;

13) 1992 წლის შემდეგ უნიფიცირებული ევროპული ბაზრის წარმოქმნისა და 1993 წლის ნოემბერში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოამერიკული შეთანხმების ძალაში შესვლის შედეგად, აგრეთვე 1993 წელს აშშ-ში აზიურ-წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ კონფერენციამ 90-იან წლებში რეგიონალური განვითარება დააჩქარეს.

უკვე შესაძლებელია გადავიდეთ ბოლო 10 წელიწადში მომხდარი მნშვნელოვანი ბიძგები რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე, პრობლემა მეტწილად წარმოიშობა ქვეყნებს შორის არსებული დისბალანსზე ეკონომიკურ-ფინანსურ მდგრადობაში, კერძოდ ისეთი კავშირები როგორიცაა ევროკავშირი, სადაც შესაძლებელია გერმანია წამყვანი ეკონომიკით გამოირჩეოდეს და მისი სიძლიერე გარკვეულ წილად ევროკავშირის სხვა ქვეყნებზეც უნდა გადანაწილდეს, მაგალითისთვი საბერძნეთზე, პორტუგალიაზე, იტალიაზე და აშ.

2007-2008 წლის მსოფლიოს ფინანსური კრიზისი:

1990 წელს დაწყებული ბაზრის ტურბულენტობის შემდეგ და 2001 წელს 11 სექტემბრის აშშ-ს ტრაგედიის შემდეგ, ფინანსური ინტეგრაციის პროცესი განვითარებულ ქვეყნებსა და განვითარებად ბაზრებს შორის გააქტიურდა, ბანკებს შორის მნიშვნელოვანი კაპიტალის გაცვლისა და სტრუქტურირებული ფინანსური პროდუქტებით ვაჭრობის ხარჯზე. მსოფლიოს საერთაშორისო

კაპიტალი 3 ტრილიონი აშშ დოლარიდან 11 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2002-2007 წლებში, ძირითადად მოკლევადიან money-market-ის ინსტრუმენტის ფორმით.

აშშ-ს კომპანიები გააქტიურეს ფინასური სერვისების ექსპორტი სხვა ქვეყნებში, 1999 წლის გრემ-ლინჩ-ბეილის (Gramm–Leach–Bliley Act of 1999) აქტის შემდეგ, რომელმაც ჩაანაცვლა გლასს-სტეგალის (Glass–Stegall )1933 წლის აქტი, რომელმაც წერტილი დაუსვა კომერციული ბანკების მიმართ შეზღუდვას საინვესტიციო აქტივობების განხორციელებაში. ინდსუტრიის (წარმოებების) მქონე ქვეყნებმა დაიწყეს აქტიურად გარე ფინანსური რესურსებისადმი ნდობა, შიდა საინვესტიციო შესაძლებლობების განხორციელებისთვის, რომელმაც შედეგად გამოიწვია უპრეცედენტო კაპიტალის შემოდინება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ეკონომიკაში, რომელმაც გამოწვია მსოფლიო დისბალანსი და გაზარდა მსოფლიო პროდუქტის (Gross World Product) მაჩვენებლი 3%-დან 6%-მდე 2001-წლიდან 2007-მდე.

მსოფლიოს ფინანსური კრიზისი დაიწყო 2007 და 2008 წლებში, რომელიც ექპერტების აზრით 1990 წლის კრიზისის გამოძახილი იყო, მიზეზებად დასახელდა კერძოდ შემდეგი: დაჩქარებული, არა დაგეგმილი კაპიტალის შემოდინება, სუსტი მარეგულირებელი ჩარჩო-წესები,ზედმეტად თავისუფალი მონეტრალური პოლიტიკა, ე.წ. „ცხოველური ქცევა" როცა არაგეგმაზომიერად და შეუთანხმებლად იქცევიან ფინანსური ბაზრის მოთამაშეები საინვესტიციო „ბუშტუკების" პერიოდში, როცა გასაყიდი არარელური ფასები დომინირებს ბაზარზე, დამლუპველი არარეალური ფასები აქტივებზე და აქტივების მასიური გაყიდვა ვალდებულებების შესამცირებლად.

სისტემური პრობლემები გაჩნდა აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. 1997 წლის აზიის კრიზის მსგავსად, მსოფლიო კრიზისის დაწყების მიზეზი იყო ბანკების მიერ არაპროდუქტიული, არაეფექტინი ინევესტიციების განხორციელება უძრავ ქონებაში, პლიუს ძალიან სუსტი რისკები ანალიზი და მმართველობა ბანკები მიერ.

ძირითადად აშშ-ში, კრიზისი ხასიათდებოდა მძაფრი და სარისკო ტენდენციით, სადაც გაცემული სესხბი არალიკვიდური აქტივებით იყო გამყარებული, ფისკალური დეფიციტი და უაზროდ დიდი დოზა სახლების ყიდვის დაფინანსებაში. შესაბამისად უძრავი ქონების „ბუშტმა" გამოიწვია აშშ-ს ფინანსური კრიზისი, თავის მხრივ „ბუშტში" ფული უცხოელ ინვესტორებს ქონდათ ჩადებული. აღნიშნულმა „ინფექციამ" დაიწყო გავრცელება სხვა ქვეყნებში, იმ ქვეყნებში ვისაც ჩადებული ქონდა აშშ-ში თანხა, აღნიშნული იყო მსოფლიო ეკონომიკური დაღმავლობის დასაწყისი, როელსაც შემდგომ დიდი რეცცესია დაერქვა. კრიზისის დასაწისში მომსახურებისა და საქონლის წილი მსოფლიოს ვაჭრობაში შემცირდა 10%-ით 2008-2009 წლებში, რომელიც 2011 წლამდე ვერ აღსდგა, რაც განვითარებადი ქვეყნების ახალი ბაზრების წყალობით მოხდა. მოსფლიოს კრიზისმა თვანათლივ დაგვანახა მსოფლიოს ფინანსური ინტეგრაციის უარყფოფითი ეფექტი, რომლის შემდეგაც ბევრ ქვეყანას გაუჩნდა შეკითხვა და სურვილი ჩამოშორდნენ თუ არა საერთოდ გლობალურ სისტემას.

გლობალური საფინანსო სისტემის მომავალი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ცნობით გლობალური საფინანსო სისტემა გაუმჯობესებული ფინანსური სტაბილურობის გზაზეა, მაგრამ აწყდება მთელ რიგ გარდამავალ გამოწვევებს, რომლებიც განპირობებულია რეგიონალური დაცულობის დაბალი დონით და პოლიტიკის რეჟიმებით. ერთ გამოწვევას წარმოადგენს შეერთებული შტატების გაუცხოება/განცალკევება მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისგან. აღნიშნული ქმედების წარმატებით და ორგანიზებულად განხორციელება რთული იქნება, რადგან ბაზრები ადაპტირებულია ინვესტორების მოლოდინების ასახვაზე ახალი სავალუტო რეჟიმისაგან მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. საპროცენტო განაკვეთები შესაძლოა მკვეთრად გაიზარდოს, თუ ისინი გამწვავდება ბაზრის ლიკვიდურობის სტრუქტურული კლებით/შემცირებით მაღალი საპროცენტო განაკვეთებიდან და ცვალებადობიდან, ან სასესხო დატვირთვის/კაპიტალის სტრუქტურული შემცირებით მოკლევადიან ფასიან ქაღალდებში ან ჩრდილოვანი ბანკინგის სისტემაში (განსაკუთრებით იპოთეკური ბაზრისა და უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიების შემთხვევაში).

სხვა ცენტრალური ბანკები ეძებენ გზებს, რათა თავი დააღწიონ არასტანდარტულ სავალუ-

ტო პოლიტიკას, რომელიც გამოიყენება უკანასკნელ წლებში. თუმცა, ზოგიერთი ქვეყანა, როგორიცაა იაპონია, ცდილობს, განახორციელოს ფართომასშტაბიანი მასტიმულირებელი პროგრამები, რათა ებრძოლონ დეფლაციური ძალების ზეწოლას. ევროზონის ქვეყნებმა განახორციელეს უამრავი ეროვნული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა სავალუტო კავშირის გაძლიერებას და ბანკებზე და მთავრობებზე ზეწოლის შემსუბუქებას. თუმცა ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, როგორიცაა პორტუგალია, იტალია და ესპანეთი, აგრძელებს ბრძოლას მაღალი სასესხო ვალდებულებების მქონე კორპორატიულ სექტორებთან და ფრაგმენტირებულ/დანაწევრებულ ფინანსურ ბაზრებთან, რომლებშიც ინვესტორები აწყდებიან ფასთწარმოქმნის/ფასწარმოების არაეფექტურობის და აქტივების ხარისხის იდენტიფიცირების სირთულის პრობლემას. ასეთ გარემოში ფუნქციონირებადი ბანკები შესაძლოა საჭიროებდნენ უფრო ძლიერ უსაფრთხოების ზომებს, რათა გაუძლონ შესაბამის საბაზრო რეგულირებებს და დაიკონპენისორნ პოტენციური დანაკარგები. განვიტარებადი ქვეყნების საბაზრო ეკონომიკა დგას უფრო ძლიერი სტაბილურობის გამოწვევის წინაშე, რადგან ობლიგაციების ბაზრები მიუთითებენ მომატებულ მგრძნობელობაზე მონეტარული სტიმულირებისადმი გარე ინვესტორებისაგან, რომელთა შემოდინებაც ხდება შიდა ბაზრებზე, რაც იწვევს პოტენციური კაპიტალის გადინებას, რომელიც გამოიწვია მძიმე კორპორატიულმა ლევერიჯმა საკრედიტო ექსპანსიის გარემოში. ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი „მოთამაშეებს„ ევალებათ გადავიდნენ უფრო მდგრად და დაბალანსებულ ფინანსურ სექტორებზე, და არ შეწყვიტონ ბაზრის ზრდის ხელშეწყობა, და არ გამოიწვიონ ინვესტორების გასვლა.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და დიდმა ეკონომიკურმა რეცესიამ დღის წესრიგში დააყენა გლობალური საფინანსო სისტემის არქიტექტურის ცვლილებოს საჭიროება. აღნიშნულმა მოვლენებმა ყურადღების ქვეშ მოაქცია ფინანსური ინტეგრაცია, გლობალური მმართველობა, და ფინანსური გლობალიზაციის წარმოქმნილი სისტემური რისკები. 1945 წელს ფორმალური საერთაშორისო სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების შემდგომ, რომლის სამართალმემკვიდრე იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სამყარომ განიცადა ინტენსიური პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. აღნიშნულმა მოვლენებმა ფუნდამენტალურად შეცვალა პარადიგმა, რომლითაც მოქმედებენ საერთასორისო საფინანსო დაწესებულებები, რითიც გაიზარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის მანდატების მნიშვნელობა. სავალუტო სისტემის პრინციპების დაცვის ნაკლებობამ გამოიწვია ქვეყნების მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე და ფინანსური აქტივების წესებზე დამყარებული მართვის დეფიციტი. ფრანგმა ეკონომისტმა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ბრეტონ ვუდის განახლების კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა (World Economic Forum's Reinventing Bretton Woods Committee) მარკ უზანმა (Marc Uzan) აღნიშნა, რომ ზოგიერთი რადიკალური შემოთავაზება, როგორიცაა მაგალითად „გლობალური ცენტრალური ბანკი ან მსოფლიო ფინანსური ორგანო“ ჩაითვალა არაპრაქტიკულად, რასაც მივყავართ განვითარებადი ბაზრებიდან საფინანსო ინფორმაციის წარდგენისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების დეფიციტისკენ, ფინანსური კლიმატის გაძლიერების, მოწინავე ერებში სპრუდენციული მარეგულირებელი გარემოს ხელშეწყობის, განვითარებად ბაზარზე საბალანსო კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის ლიბერალიზაციის გაუმჯობესებისა და გაცვლითი კურსის რეჟიმის შერჩევის საშუალოვადიანი ძალისხმევების შემდგომ განხილვამდე. მან ასევე ყურადღება გაამახვილა კერძო სექტორის ფინანსური კრიზისის მართვაში ინტენსიური მონაწილეობის მისაღებად მოწოდებებზე და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში მათი რესურსების ჩართვაზე.

საგარეო ურთიერთობათა საბჭოს გლობალურ ფინანსურ შეფასებაში აღნიშნულია, რომ გადაჭარბებული ინსტიტუციები მკაცრი დირექტივებით და უფლებამოსილების შეზღუდული არეალებით, ეროვნული ინტერესების საერთაშორისო რეფორმებთან შეთანხმების სირთულესთან ერთობლიობაში, წარმოადგენს ორ ძირითად ნაკლოვანებას, რომლებიც აფერხებენ გლობალურ ფინანსურ რეფორმებს. დღესდღეობით ერები არ სარგებლობენ ყოვლისმომცველი სტრუქტურით მიკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისათვის და გლობალური დანაზოგების დისბალანსი იმდენად ბევრია, რომ პირველ მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე და მის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების სტატუსი, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტის მმართველისა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. პოსტკრიზისული ღონისძიებები მიკროეკონომიკური პოლიტიკის უზრუნველსაყოფად, რომელიც მიმართული იქნება სავალუტო ბაზრების სტაბილიზებისაკენ ჯერ არ ჩამოყალიბებულა/შემუშავებულა.

საერთაშორისო კონსენსუსის ნაკლებობა საბანკო და საინვესტიციო საქმიანობების საუკეთესოდ მონიტორინგისა და მართვის საკითხებზე, საფრთხეს უქმნის მსოფლიოს შესაძლებლობებს, თავიდან აიცილოს მომავალი გლობალური ფინანსური კრიზისები. საბანკო რეგულაციების შენელებული და ხშირად დაგვიანებული იმპლემენტაცია, რომელიცშეესაბამება Basel III-ის კრიტერიუმებს, ნიშნავს, რომ სტანდარტების უმეტესობა ვერ შევა ძალაში 2019 წლამდე, რის შედეგადაც გლობალური ფინანსები არარეგულირებადი სისტემური რისკების მუდმივი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდება. BaselIII-ისა და G20-ის სხვა ძალისხმევების მიუხედავად, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა უნდა გაძლიერდეს ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე.

რეფორმების ჩატარების მცდელობები

მსოფლიო ბანკის ყოფილი მთავარი ეკონომისტი და აშშ -ს ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ჯოზეფ ე. სტიგლიცი (Joseph E. Stiglitz) 1990-იანი წლების მიწურულს ახსენებდა საკითხს, რომ გამართულად ვერ ფუნქციონირებდა სისტემა, რომელსაც შეეძლო მაღალი ხარჯების დაკისრება ძალიან ბევრი ადამიანისთვის, რომლებიც არც კი მონაწილეობდნენ საერთაშორისო საფინანსო ბაზრებში, და არ ეწეოდნენ სპეკულაციას საერთაშორისო ინვესტიციებით, არც იღებდნენ სესხებს უცხოურ ვალუტაში. ის ამტკიცებდა, რომ უცხოურ კრიზისს გააჩნია ძლიერი საერთაშორისო შედეგები ნაწილობრივ მორალური რისკის ფენომენის გამო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბევრი ტრანსნაციონალური კომპანია მიზანმიმართულად აბანდებდა ფულს მაღალი რისკის მქონე სახელმწიფო ობლიგაციებში ეროვნული ან საერთაშორისო კრიზისის მოლოდინში.

მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის დაძლევა შესაძლებელია განსაკუთრებული შემთხვევებისათვის გათვალისწინებული დაფინანსების გზით, კატაპულტის გამოყენება დიდ ტვირთად აწვება გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც ცხოვრობენ დაზარალებულ ქვეყნებში, და მაღალი გადასახადები აუარესებს ცხოვრების სტანდარტებს. სტიგლიცი ცდილობდა, ეპოვნა მოკლევადიანი საერთაშორისო კაპიტალის შემოდინების სტაბილიზაციის საშუალებები გრძელვადიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაზარალების გარეშე, რომლებიც, როგორც წესი, ახალი ცოდნის გაზრდას და ტექნოლოგიურ პროგრესს უზრუნველყოფს ეკონომიკაში .

ამერიკელი ეკონომისტი და ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე, პოლ ვოლკერი [Paul Volcker] ამტკიცებდა, რომ გლობალური კონსენსუსის არარსებობა ძირითად საკითხებთან დაკავშირებით, საფრთხეს უქმნის გლობალური ფინანსური სისტემის რეფორმირების მცდელობას. ის აცხადებდა, რომ სრულიად შესაძლებელია, რომ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდეს სისტემურად მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტების წარუმატებლობის პრობლემის გადაჭრისადმი უნიფიცირებული მიდგომა.

ვოლკერმა წარმოადგინა უამრავი პოტენციური კოორდინირებული ქმედებები: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზედამხედველობის პოლიტიკის გაძლიერება და ქვეყნების მიერ საუკეთესო შეთანხმებული პრაქტიკის მიღების ვალდებულება, სავალდებულო კონსულტაციები მრავალმხრივი ორგანოებიდან, რომლებსაც მივყავართ ძირითად მმრთველობით რეკომენდაციებთან, კონტროლის გამკაცრება ეროვნულ კვალიფიკაციაზე, დაუგეგმავი ხარების ფინანსირებისგან თავშეკავება.

ინგლისის ბანკის მმართველმა და კანადის ბანკის ყოფილმა მმართველმა, მარკ კარნიმ (Mark Carney) დაასახელა ორი მიდგომა გლობალური ფინანსური რეფორმისადმი: ფინანსური ინსტიტუტების დაცვა ციკლური ეკონომიკური ზეგავლენისგან ბანკების ინდივიდუალური გაძლიერების გზით, და ეკონომიკური ციკლების დაცვა ბანკებისაგან სისტემის მდგრადობის გაუმჯობესების გზით. ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერება საჭიროებს უფრო მეტი კაპიტალის მოთხოვნებს და ლიკვიდობის უზრუნველყოფას, ისევე, როგორც რისკების უკეთესად მართვას. G-20-ები შეთანხმდნენ ახალ სტანდარტებზე, რომლებიც წარმოადგინა ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტმა 2009 წლის პიტსბურგის სამიტზე, (პენსილვანიის შტატი). სტანდარტები მოიცავდა ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლის გაზრდას კაპიტალის მოთხოვნებთან, რომლებიც დაადგინა ბაზელ II-მა. გლობალური საფინანსო სისტემის მდგრადობის გაუმჯობესება მოითხოვს დაცვას, რომელიც საშუალებას მისცემს სისტემას, გაუძლოს ერთეულ ინსტიტუციურ და საბაზრო ჩავარდნებს/მარცხებს. კარნის მტკიცებით, პოლიტიკოსები შეთანხმდნენ იმ აზრზე, რომ ინსტიტუცი-

ებმა უნდა იტვირთონ ფინანსური დანაკარგების ტვირთი მომდევნო ფინანსური კრიზისის დროს, და რომ ასეთი შემთხვევები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და წინასწარ დაგეგმილი. მან შესთავაზა სხვა ეროვნულ რეგულატორებს, მიებაძათ კანადისთვის ჩარევის პროცედურების შემუშავებაში და მოეთხოვათ ბანკებისათვის დაეცვათ პრინციპი, რომელსაც ის თავად მოიხსენიებდა როგორც „living wills", რომელშიც დეტალურად იქნებოდა დაგეგმილი ინსტიტუციური მარცხის შემთხვევაში გამოსაყენებელი გეგმა.

2010 წელს სამხრეთ კორეაში, სეულში გამართულ სამიტზე G-20-მა მთლიანობაში მოიწონა კაპიტალისა და ლიკვიდობის სტანდარტების ახალი სტანდარტი ბანკებისათვის, რომელიც შემოთავაზებული იყო Basel III-ის მიერ. გერმანიის ფედერალური ბანკის (Deutsche Bundesbank) აღმასრულებელი საბჭოს წარმომადგენელმა, ანდრეას დომბრემ(Andreas Dombret), აღნიშნა იმ ინსტიტუციების იდენტიფიცირების სირთულე, რომლებიც სისტემურად მნიშვნელოვანნი არიან თავიანთი ზომის, კომპლექსურობის, და გლობალური ფინანსური სისტემის ფარგლებში ურთიერთკავშირის ხარისხის გამო, და რომ აუცილებელია ძალისხმევის გატარება 25 დან 30 მდე უდავო სისტემური ინსტიტუციების მქონე ჯგუფის გამოსავლენად. მან შესთავაზა, რომ აღნიშნული ინსტიტუციებისთვის გამოეყენებინათ უფრო მაღალი სტანდარტები, ვიდრე ამას სთავაზობდათ Basel III, და რომ გარდაუვალი ინსტიტუციური მარცხის ან კრიზისის მიუხედავად, ასეთმა მარცხებმა არ უნდა ჩაითრიოს შერჩეული ფინანსური სისტემები. დომბრე მხარს უჭერდა რეგულირების რეფორმებს, მაგრამ სცდებოდა საბანკო რეგულირების ფარგლებს და საუბრობდა მეტი გამჭვირვალობის სასარგებლოდ საზოგადოებრივი გახსნილობის და ჩრდილოვანი ბანკინგის სისტემის რეგულირების გაძლიერების გზით.

ნიუ იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტი და ღია ბაზრის ფედერალური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე უილიამ ს. დადლი (William C. Dudley)ამტკიცებდა, რომ რეგულირების გლობალური ფინანსური სისტემა, რომელიც რეგულირდება უმთავრესად ეროვნული ნიშნით, გამოუსადეგარია მსოფლიო ეკონომიკის მხარდაჭერისათვის მსოფლიო ფინანსური ფირმებიდან. 2011 წელს ის მხარს უჭერდა გლობალური ფინანსური სისტემის უსაფრთხოებისა და დაცულობის გაუმჯობესების 5 გზას:

1. კაპიტალის სპეციალური მოთხოვნა ფინანსური ინსტიტუციებისთვის, რომლებიც სისტემურად მნიშვნელოვნად ითვლებიან;
2. სამოქმედო რუკის დადგენა, რომელიც ხელს შეუშლის მეზობელი ქვეყნებში ექსპანსიას და მეზობლური პოლიტიკის „მიხედე შენს ღარიბ მეზობელს" პოლიტიკის დანერგვას.
3. გაუმჯობესებული თანამშრომლობა რეგიონალურ და ნაციონალურ ნორმატიულ რეჟიმებს შორის ინფორმაციის გაცვლის გაფართოებული პროტოკოლით, როგორიცაა ჩანაწერები წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების არასაბირჟო ბაზარზე ვაჭრობის შესახებ;
4. „საშინაო მოვალეობების მასპინძელი ქვეყნის მოვალეობებისაგან გამიჯვნის გაუმჯობესება", როდესაც ბანკებს ექმნებათ პრობლემა;
5. კარგად განსაზღვრული პროცედურები საზღვრებს გარეთ ლიკვიდურობის განსაზღვრისა და მართვის შესახებ, მათ შორის პასუხიმგებლობების განსაზღვრა: ვინ იქნება რისკებზე პასუხისმგებელი, პირობებზე და აღნიშნული ზომების მიღებისთვის საჭირო თანხებს ვინ გაიღებს.

მედეა ჭელიძე                                                                                    თამარი ბერიძე



# რისკების მართვა საბანკო სფეროში

ბანკების შემოსავლიანობა და ლიკვიდურობა არ მიიღწევა ავტომატურად. იაფი რესურსების მოზიდვის და ძვირადღირებული რესურსების განთავსების პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელსაც შეუძლია ბანკის ხელმძღვანელობის აზრით მაქსიმალური მოგების მოტანა რისკის დასაშვები დონის პირობებში. ერთის მხრივ, ბანკის ხელმძღვანელობა, მისი აქციონერები დაინტერესებული არიან მაღალ შემოსავლებში, რომელიც მიიღწევა სახსრების დაბანდებით გრძელვადიან პროექტებში, საეჭვო ფასიან ქაღალდებში და სხვა. მაგრამ მსგავსი ქმედებები აუარესებენ ბანკის ლიკვიდურობას, რაც აუცილებელია კლიენტების საფუძვლიანი და კანონიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა კი გარდაუვლად გამოიწვევს ბანკის მიერ მომგებიანი კონტრაქტების დაკარგვას, მისი კონკურენტული პოზიციების შესუსტებას, იმიჯის გაუარესებას, და საბოლოო ჯამში, მის გაკოტრებას.

საკრედიტო ორგანიზაციებში საჭიროა გამკაცრდეს შიდა კონტროლის სისტემა და მოთხოვნები კორპორატიული მართვის ხარისხის მიმართ, რაც უნდა ეფუძნებოდეს ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის მიერ შემუშავებულ საერთაშორისო სტანდარტებს და რეკომენდაციებს. მათ საფუძვლად უდევს სამი შემადგენელი: კაპიტალის საკმარისობისადმი მოთხოვნების მინიმიზება; საბანკო ოპერაციების გამჭირვალობის ამაღლება; ბანკების მიერ რისკებზე შიდა კონტროლის სისტემის აქტიური გამოყენება. ამრიგად, საბანკო რისკების ეფექტური მართვა უნდა გახდეს ბანკების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება.

ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა უნდა მდგომარეობდეს წონასწორობის მიღწევაში რისკსა და შემოსავლებს შორის. მოკლევადიანი წონასწორობა წარმოადგენს ლიკვიდურობასა და მოგებას შორის თანაფარდობას. რაც უფრო მაღალია ბანკის ლიკვიდურობა, მით ნაკლებია მომგებიანობა, და პირიქით. გრძელვადიანი წონასწორობა გულისხმობს, რომ რაც უფრო მაღალია ლიკვიდურობა, მით უფრო მყარია ბანკის ფინანსური მდგომარეობა, მისი კაპიტალური ბაზა.

რისკების მინიმიზების ან აცილების უმნიშვნელოვანეს საშუალებას მათი რეგულირება, ანუ ბანკის აქტივების და პასივების მართვის პროცესში მისი ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის ოპტიმალური თანაფარდობის შენარჩუნება წარმოადგენს.

კაპიტალის მოძრაობის შედეგად ხდება რისკების ერთგვარი გადანაწილება სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებს შორის, რაც ტვირთად აწევს ბანკების ბალანსებს. ამ ტენდენციების შესასუსტებლად 90-ანი წლების მეორე ნახევრიდან ბანკებმა დაიწყეს ახალი ფინანსური ინსტრუმენტების, მათ შორის საკრედიტო დერივატივების გამოყენება. დერივატივების გაჩენა განპირობებულია იმით, რომ ნებისმიერი ფინანსური აქტივი შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სხვადასხვა მახასიათებლების – რენტაბელობის, მოქმედების ვადის, ნომინალური ღირებულების, ვალუტის, რომელშიც ნომინირებულია აქტივი – ერთობლიობა. ამასთან, ფინანსური აქტივის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში ეს მახასიათებლები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლება წარმოადგენდეს სავაჭრო გარიგებების ობიექტს, რაც იწვევს დერივატივების ბაზრის სწრაფ განვითარებას.

ბანკებში, როგორც წესი, ფუნქციონირებს რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული, რომლის ძირითადი ამოცანაა რისკებთან დაკავშირებული საქმიანობის საერთო ანალიზი, კონტროლი და რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული ერთეულის საქმიანობას უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბანკის ხელმძღვანელობა, ვინაიდან მის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრა ბანკის წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. მის ფუნქციებში შედის: საკრედიტო რისკთან დაკავშირებული აქტივებისა და ვალდებულებების

მდგომარეობის, დადგენილი ლიმიტების დაცვისა და გამოყენების ანალიზი; საკრედიტო ლიმიტების ექსპერტიზა და საკრედიტო ლიმიტების მოთხოვნებზე ვიზირება; ლიკვიდური პოზიციის მდგომარეობის ანალიზი; ბანკის ხელმძღვანელობისთვის ლიკვიდური სახსრების მართვის კუთხით არსებული რისკების შესახებ ინფორმაციის წარდგენა; კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული რისკების ანალიზი და წინადადებების მომზადება კაპიტალის ადეკვატურობის სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად; ოპერაციული რისკების წარმოქმნის და მასთან დაკავშირებული ოპერაციული საქმიანობის მახასიათებლების ანალიზი, რისკების იდენტიფიცირება, გაანგარიშება, შეფასება, მონიტორინგი; სავალუტო რისკებთან დაკავშირებული ლიმიტების განსაზღვრაში მონაწილეობა და კონტროლი; ბანკის კონტრაგენტების შიდასაბანკო რეიტინგული შეფასებების ჩამოყალიბებასა და საბანკო ოპერაციების მიხედვით ლიმიტების განსაზღვრაში მონაწილეობა, მათი დაცვის კონტროლი და კონტრაგენტების რეიტინგულ შეფასებათა ექსპერტიზა; ბანკის გარე ეკონომიკური და ფინანსური რისკების შეფასება, სტრატეგიული, ბიზნეს რისკებისა და სხვა რისკებთან დაკავშირებულ გარემოებათა ანალიზი, ბანკის მდგრადობის შესანარჩუნებლად სათანადო ღონისძიებების შემუშავება; ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ნორმატივებისა და ლიმიტების დაცვის მდგომარეობის ანალიზი, შიდა ნორმატივებისა და ლიმიტების შემუშავებაში მონაწილეობა, მათი შესრულების ანალიზი და სხვა.

რისკების მართვის ერთეულს მინიჭებული აქვს საკმაოდ ფართო უფლებები და მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე უფლება აქვს საჭიროებისამებრ მოითხოვოს ინფორმაცია ბანკის ნებისმიერი სტრუქტურული დანაყოფიდან მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბენიძე ნ., შონია ნ., ბიწაძე ჯ. რისკები და დაზღვევა. თბილისი. გამომცემლობა „ინოვაცია", 2010. 468 გვ.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა. თბილისი. თსუ გამომცემლობა, 2014. 548 გვ.
3. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი", 2013. 415 გვ.
4. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). II ტომი. თბილისი. გამომცემლობა „პოლიგრაფი", 2005. 1024 გვ.
5. Леонович Л.И., Петрушина В.М. Управление рисками в банковской деятельности. М.: Дикта, 2012. 136с.
6. https://www.nbg.gov.ge



**მედეა ჭელიძე** – ასოც. პროფესორი, საფინანსო
და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
**თამარი ბერიძე** – სრ. პროფესორი, ბიზნეს
ადმინისტრირების დეპარტამენტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი


## რისკების მართვა საბანკო სფეროში

### რეზიუმე


ნებისმიერ საქმიანობაში მოგების მაღალი დონე, როგორც წესი, დაკავშირებულია მაღალი რისკის შემცველი ოპერაციების განხორციელებასთან. საბანკო საქმიანობაში რისკიანებად ითვლება ძალიან მომგებიანი, ან ძალიან წამგებიანი ოპერაციები. ამასთან, მაქსიმალური მოგების მიღების პოტენციური შესაძლებლობა იზრდება რისკის ხარისხის ზრდასთან ერთად. სხვადასხვა

ოპერაციების განხორციელებისას რისკის ხარისხის ანალიზის დროს ბანკი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს, რათა მაქსიმალურად შეამციროს შესაძლო ზარალი.

**საკვანძო სიტყვები:** რისკები, რისკის მართვა, ბანკის ლიკვიდურობა, მომგებიანობა, რისკის ხარისხი.

**Medea Chelidze –** Assoc. Professor, Department of Finance and Bank Technologies, Georgian Technical University, Tbilisi

**Tamari Beridze** – Full Professor, Department of Business Administration, Georgian Technical University, Tbilisi

**Risk Management in the Banking**

**ABSTRACT**

In any field the high level of profit usually caused by operations with a high degree of risk. In the banking containing the risks are considered very profitable or very unprofitable operations. Moreover, the potential to maximize the profit increases with increases the level of risk. In carrying out various operations during the risk analysis Banks uses various means to limit the potential damage.

**Keywords:** Risks; Risk management; Bank liquidity; Profitability; Degree of risk.

**ჯუმბერ ხარაიშვილი**



## ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოშობის წინაპირობები საქართველოში

საქართველოში, ისევე როგორ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში არსებული ქვეყნების უმეტესობაში, პირველი ბირჟების შექმნა უკავშირდება XX საუკუნის დასაწყისს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ბირჟების დაფუძნებას არ მოჰყლოა შემდგომი განითარება. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც იმ პერიოდის საქართველოსა და მსგავს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისათვის ბირჟების შექმნა უკავშირდებოდა უფრო ეკონომიკურად წამყვანი ქვეყნების მიბაძვის სურვილს და არა სასაქონლო – ფულადი ურთიერთობების ისეთი განვითარების დონეს, როდესაც ბირჟის ფუნქციონირების დაწყება, არსებული რეალობიდან გამომდინარეობს და ობიეტური აუცილებლობა ხდება.

ფასიანი ქალალდების ჩამოყალიბების შემდეგი ეტაპი საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებზე მოდის და თავის მხრივ ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი ეტაპი (1991-1993წწ.) შეიძლება დახასიათდეს როგორც ნამდვილი „საბირჟო ბუმი“ და უკავშირდება საქართველოში და მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში კერძოდ მეწარმეობის გაჩენასა და განვითარებას. მეორე ეტაპი (1995-1996წწ.) დაკავშირებულია საქართველოში ვაუჩერული პრივატიზეციის პროცესის დაწყებასთან და ფასიანი ქალალდების ბაზრის პირველი ელემენტების გაჩენასთან. ეს ეტაპი ვერ დასრულდა ფასიანი ქალალდების ორგანიზებური ბაზრის ჩამოყალიბებებით და ამ თვალსაზრისით იგი ჯერჯერობით დასრულებული არ არის. ზემოთ აღნიშნულ თითოეულ ეტაპს გააჩნია წინაპი-

რობები და თავისებურებები, რომელთა ანალიზი ფაქტობრივად ახასიათებს მეწარმეობის განვითარებასა და ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.[3]

80-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა კავშირში დაწყებული პოლიტიკური ძვრები მოგვიანებით ეკონომიკასაც შეეხო. გაჩნდა კერძო მეწარმეობის პირველი ნიშნები და თანდათანობით განვითარდა სავაჭრო და საშუამავლო ბიზნესი. ათასობით მეწარმე სერიოზულ სიძნელეებს აწყდებოდა. ჯერ კიდევ მძლავრად მოქმედებდა ათეული წლების განმავლობაში მკაცრად დამკვიდრებული ეკონომიკური პროცესების წინასწარი დაგეგმისა და მატერიალური დოვლათის განაწილების პრინციპი. ასეთმა ვითარებამ სერიოზული ზეგავლენა მოახდინა პირველი ბირჟების ჩამოყალიბებაზე.

მატერიალური მომარაგების არსებული სისტემის პარალელურად საბირჟო ვაჭრობის მექანიზმის ამოქმედებამ ყველას თვალნათვლივ დაანახა ამ უკანასკნელის უპირატესობა. ამასთან კომერციული ბანკებისა და საივენსტიციო კაპიტალის გაჩენას კარგი პირობები შეუქმნა საბირჟო ოპერაციებში მათ აქტიურ ჩართვას. რუსეთის პირველი ბირჟების ("მოსკოვის სასაქონლო ბირჟა" და "რუსეთის სასაქონლო-სანედლეულო ბირჟა") წარმატებულმა მაგალითმა და მათი ლიდერების მაღალმა ავტორიტეტმა ბევრად განაპირობეს საბირჟო საქმიანობით მასობრივი დაინტერესება საქართველოშიც.

პირველი ბირჟების შექმნის ინიციატივა საქართველოში ხელში აიღეს საშუამავლო და საბანკო ბიზნესში დაწინაურებულმა სამეწარმეო ჯგუფებმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საბირჟო საქმიანობამ, როგორც სიახლემ ძალიან სწრაფად გაიკვლია გზა და, სწორედ ამიტომ, რუსეთის ორი ზემოთაღნიშნული ბირჟის დაფუძნების შემდეგ იმ დროისათვის ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის, ტერიტორიაზე მესამე ბირჟა სწორედ საქართველოში დაფუძნდა ("კავკასიის ბირჟა").

პირველმა მაგალითებმა 1991 წლის დასაწყისში თვალნათლივ დაანახეს ყველას ბირჟების სიცოცხლისუნარიანობა და მათი მარეგულირებელი როლის მნიშვნელობა, რამაც ცალკეულ სამეწარმეო ჯგუფებს სურვილი აღუძრა ბირჟების შექმნის გზით დაპატრონებოდნენ რეგიონალურ ბაზრებს ან მათ სასაქონლო სეგმენტებს. ეს ილუზია ისეთი ტემპით ისხამდა ხორცს, რომ 1991 წლის ბოლოსთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უკვე დარეგისტრირებული აღმოჩნდა 700-მდე ორგანიზაცია, რომლებიც თავიანთ თავს ბირჟას უწოდებდნენ. ანალოგიურად განვითარდა მოვლენები საქართველოშიც და ბირჟების რაოდენობამ 20-ს გადააჭარბა .

"კავკასიის ბირჟა", "თბილისის უნივერსალური ბირჟა", "საქართველოს ბირჟა", "საქართველოს უნივერსალური ბირჟა", აგრობირჟა", "უძრავი ქონების ბირჟა", "უტა", "თბილისის ღვინისა და ჩაის ბირჟა", ბირჟა "კომერსანტი", "თბილისის საქალაქო სასაქონლო-სანედლეულო ბირჟა", ავტობირჟა "მერკური", ქუთაისის ბირჟა "რიონი", "სოხუმის ბირჟა","ფოთის ბირჟა", "ბათუმის ბირჟა", "აჭარის ბირჟა", "გურჯაანის ბირჟა", ბირჟა "ციტროჩაი" ასეთია 1991-92 წლებში საქართველოში დაფუძნებული ბირჟების არასრული ჩამონათვალი[4].

შექმნილ ვითარებაში ცხადი გახდა, ასეთი რაოდენობით ბირჟების არსებობა და ფუნქციონირება არა მარტო გაუმართლებელი, არამედ პრაქტიკულად შეუძლებელიც იყო. ამას აღარ უარყოფდა თითქმის არცერთი ბირჟის ხელმძღვანელი, მაგრამ, უკვე შექმნილი ბირჟის საკუთარი ინიციატივით ლიკვიდაცია ან სხვა სახის ორგანიზაციად გარდაქმნა არავის არ სურდა ერთი ძირითადი შეცდომის გამო. ეს შეცდომა კი იყო – ბირჟების ჩამოყალიბება დივიდენდების გამცემი კორპორაციების სახით.

აღნიშნული შეცდომის მასობრივი ხასიათი აიხსნება 1991 წელს არათუ ბირჟის შესახებ კანონის, არანედ სამეწრამეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონების თითქმის უქონლობით. ამიტომ, უმეტესობა ბირჟების დაფუძნების ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1990 წლის დადგენილება სააქციო საზოგადოებებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ, რომლის საფუძველზეც დაფუძნე-

[3] ქოქიაური ლ., შონია ნ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თბ., 2008. ჩვ.: 386.
[4] ქოქიაური ლ., შონია ნ., ფასიანი ქაღალდების ბაზარი. თბ., 2008. ჩვ.: 387.

ბული ბირჟების უდიდესი უმრავლესობა იქმნებოდა როგორც კომერციული ორგანიზაციები. დაფუძნების პერიოდში ისინი საკმაოდ მაღალ დივიდენდებს პირდებოდნენ მომავალ დამფუძნებლებს და ცხადია, ასეთი შეპირების შემდეგ ბირჟების საქმიანობაში მთელი ყურადღება გადატანილი იქნა არა საბირჟო ვაჭრობების სრულყოფისა და რეგულარულობისაკენ, არამედ კომერციული მოგების მიღებისაკენ.

ამავე დროს ბირჟების რიცხოვნობის ზრდასთან ერთად, კონკურენციის ობიექტი ამ ბირჟაზე მომუშავე საბროკერო ფირმები და ბროკერები ხდებიან. კონკურენციის გაძლიერებამ ლოგიკურად უბიძგა ბირჟებს მინიმუმამდე შეემცირებინათ საბროკერო ფირმებისათვის დაწესებული საკომისიო გადასახადების ოდენობა და საბროკერო ადგილების ღირებულება. ამან საგრძნობლად შეამცირა მომავალი მოგებისა და შესაბამისად დივიდენდების გაცემის შესაძლებლობაც. ბირჟის დამფუძნებლებს შეეძლოთ მოგების იმედი ჰქონოდათ მხოლოდ ბირჟაზე საკუთარი საბროკერო ფირმების მიერ ჩატარებული ოპერაციების ხარჯზე, მაგრამ, ჯერ ერთი, უმეტესობა მათგანი ბირჟების დაფუძნებისას არ იყო ამაზე ორიენტირებული, მეორეც, გაძლიერდა კლიენტებისათვის საბროკერო ფირმებს შორის კონკურენცია, რამაც საგრძნობლად შეამცირა საბროკერო შემოსავლის დონე.

ზემოთაღნიშნულმა მდგომარეობამ ბირჟების წინაშე დააყენა არჩევანი: ან გარდაქმნილიყვნენ არამომგებიან, უდივიდენდო ორგანიზაციებად და მთელი შემოსავალი წარემართად საბირჟო ვაჭრობების მომსახურეობაზე, ან კომერციული მოგების მიღების მიზნით უარი ეთქვა საბირჟო საქმიანობაზე და გარდაქმნილიყვნენ სავაჭრო სახლებად და საინვესტიციო ინსტიტუტებად.

ბირჟების ორიენტაციის პროცესი 1993 წლამდე გაგრძელდა და მხოლოდ “კავკასიის ბირჟამ” შეძლო გარდაქმნილიყო არამომგებიან ორგანიზაციად. ზემოთ ჩამოთვლილი დანარჩენი ბირჟებიდან უმეტესობა გაუქმდა, ნაწილმა კი განაგრძო არსებობამ როგორც კომერციულმა საშუამავლო ფირმამ. ერთადერთი ბირჟა, რომელიც 1991-1993 წლებში რეგულარულად ატარებდა საბირჟო ვაჭრობებს და ზრდიდა მათ ინტესიურობას, იყო კავკასიის ბირჟა”, ამდენად საქართველოში საბირჟო საქმიანობის განვითარება პირველ ეტაპზე ფაქტობრივად შეიძლება შემოიფარგლოს ამ ბირჟის საქმიანობის დახასიათებით. “კავკასიის ბირჟის” წარმატება ამ ეტაპზე განპირობებული იყო მრავალი ფაქტორითა და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების არსებობით, რომელთაგან გამოვყოფთ მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესს.

**პირველ თავისებურებას წარმოადგენდა** “კავკასიის ბირჟის” შექმნამდე საქართველოში ოფიციალური საბროკერო ფირმების არარსებობა. როგორც წესი, საბროკერო ფირმების აქტიური საქმიანობა და ერთიმეორესთან ოპერაციები წინ უსწრებს და განაპირობებს ბირჟების ჩამოყალიბებას. საქართველოში ეს თანმიმდევრობა დაირღვა: ჯერ დაფუძნდა ბირჟა და შემდგომ “კავკასიის ბირჟის” აქციონერთაგან დაიწყო საბროკერო ფირმების ჩამოყალიბება. ბირჟის იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურეობის შედეგად შესაძლებელი გახდა 400-ზე მეტი საბროკერო ფირმის ორგანიზება, რომელთა აქტიურმა ოპერაციებმა “კავკასიის ბირჟაზე” განაპირობეს მისი ვაჭრობების ინტესიური ხასიათი.

**მეორე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა** “კავკასიის ბირჟასთან”საბროკერო ფირმების საქმიანობის ხელშემწყობი სტრუქტურების ჩამოყალიბება და ეფექტური ფუნქციონირება. უპირველეს ყოვლისა აღნიშვნის ღირსია საბირჟო ბანკი, რომელიც ასრულებდა საბირჟო ოპერაციების დროს საბროკერო ფირმებისათვის ერთიანი საანგარიშსწორებო ცენტრის მოვალეობას. აღსანიშნავია აგრეთვე, საბირჟო და საბროკერო კადრების მომზადების მიზნით სპეციალიზებული საბირჟო სკოლის ეფექტური საქმიანობა.

**მესამე თავისებურებას წარმოადგენდა** საბროკერო ფირმების აქტიური მონაწილეობა “კავკასიის ბირჟის” ვაჭრობის წესების შექმნასა და სრულყოფაში. ვაჭრობის წესებში მინიმუმამდე იქნა დაყვანილი შემზღუდავი და ამკრძალავი დებულებები. ამავე დროს ვაჭრობის წესების დაცვაზე კონტროლის მიზნით ბირჟის სტრუქტურაში შეიქმნა საარბიტრაჟო კომისია, ხოლო ბროკერებმა თავის მხრივ ჩამოაყალიბეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია”რეგისტრირებულ ბროკერთა გილდია”, რომელის ფუნქციონირებაშიც ბროკერთა უფლებების დაცვასთან ერთად შედიოდა მათი

და ბირჟის ადმინისტრაციის ინტერესთა დაბალანსება.

**მეოთხე და ალბათ, ერთ-ერთ** მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა უკვე 1992 წელს სასაქონლო სექციის პარალელურად "კავკასიის ბირჟაზე" საფონდო სექციის ამოქმედება .პრივეტიზაციის სფეროსი აბსოლიტურ უძრაობის პირობებში "კავკასიის ბირჟის" საფონდო ვაჭრობები გადაიქცა სააქციო საზოგადოების აქციების, სხვადასხვა ორგანიზაციათა ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების პირველ ორგანიზებულ ბაზრად საქართველოში.

"კავკასიის ბირჟის" საფონდო ვაჭრობებზე კოტირდებოდა: "კავკასიის ბანკის" "იბერიაბანკის" , "ივერთბანკის", ბანკი "ქართლის", კონცერნი "ჰერმესის", ს/ს"ნაშე-ვრემია"-ს, ს/ს"როსოსკიე სპლავი"-ს აქციები..

1992 წელს ფულის ნიშნების დეფიციტის პირობებში (ამ დროს საქართველოში მიმოქცევაში იყო საბჭოთა კავშირის მანეთის ბანკნოტები) მკვეთრად გაიზარდა სხვაობა "ნაღდ" და "უნაღდო" ფულს შორის. სამომხმარებლო ბაზარზე თითქმის შეუძლებელი გახდა რამის შეძენა უნაღდო ანგარისსწორებით .1992 წლის ზაფხულში სხვაობამ "ნაღდ" და "უნაღდო" ფულს შორის. 75-80%-ს მიაღწია. ცხადია, ასეთ პირობებში "უნაღდო" სახსრების ე.წ. "გაცოცხლება" კორუფციისა და მექრთამეობის ობიექტი გახდა.

1992 წლის შემოდგომაზე "კავკასიის ბირჟის" საფონდო სექციაში დაიწყო "ნაღდი" ფულით საბირჟო ვაჭრობა, რამაც მოკლე ხანში დაადგინა მასზე რეალური ფასი, და სხვაობა "ნაღდ" და "უნაღდო" ფულს შორის 25-30%0მდე შემცირდა. აღნიშნული ოპერაციები არ იყო თავისი ხასიათით საბირჟო ვაჭრობის საგანი, მაგრამ მათმა ლეგალიზებამ გამოაცოცხლა ანგარიშსწორების სისტემა და ფაქტიურად საფუძველი მოუშალა ამ სფეროში კორუფციას. "ნაღდ" ფულთან ოპერაციები "კავკასიის ბირჟაზე" შეწყდა 1992 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანის კატეგორიული მოთხოვნის საფუძველზე.

"კავკასიის ბირჟის" საფონდო სექციაზე 1992 წელს დაიწყო აგრეთვე საკრედიტო რესურსებითა და უცხოური ვალუტით საბირჟო ვაჭრობა. საკრედიტო რესურსებით ვაჭრობამ. მიუხედავად ვაჭრობის წესებში ჩამოყალიბებული მკაცრი მოთხოვნებისა, ვერ მოიკიდა ფეხი კრედიტის დაბრუნების დაბალი გარანტირებულობის პირობებში. რაც შეეხება უცხოური ვალუტით საბირჟო ვაჭრობას, მან 1992-1993 წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა "კავკასიის ბირჟის" საფონდო სექციაში, რამაც იგი ფაქტიურად აქცია საქართველოში უცხოური ვალუტის რეალური კოტირების ცენტრად. "კავკასიის ბირჟის" სახით საქართველოში 1993 წლისათვის შეიქმნა რეგულარული საბირჟო ვაჭრობის პრაქტიკა, რომელშიც ყოველდღიურად მონაწილეობას ღებულობდა საშუალოდ 1000-1500 ბროკერი. საბირჟო ვაჭრობების რეგულარულობამ და მონაწილეტა მასიურობამ განაპირობა მიწოდება-მოთხოვნის კონცენტრაციის ისეთი ხარისხი, რომელიც ვაჭრობის წესების მკაცრად დაცვის პირობებში ქმნიდა საქართველოში დროთა განმავლობაში ცივილიზებული ბირჟის ჩამოყალიბების კარგ შესაძლებლობას. "კავკასიის ბირჟის" კოტირებები წარმოადგენდა ყველაზე ზუსტ ინფორმაციას სამომხმარებლო და სავალუტო ბაზრის შესახებ. ამ ინფორმაციის გამოყენება საშუალებას მისცემდა მთავრობას დროულად დაესახა და განეხორციელებინა ეკონომიკის რეგულირების ღონისძიებებით ამავე დროს ათასობით საჯარო ოპერაციები საგრძნობლად მაღალ შემოსავალს აძლევდა ბიუჯეტს. მაგრამ,სამწუხაროდ 1994 წლის დამდეგისათვის საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შესაძლებელი არ გახადეს საბირჟო საქმიანობის შემდგომი განვითარება.

აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების და ქვეყანაში სოციალური და კრიმინოგენული მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შედეგად საქართველოში მეწარმეობის განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამას დაემატა არასწორად წარმართული საგადასახადო პოლიტიკა და საკონტროლო ორგანოების უსისტემო მოქმედება. მრეწველობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და სახალხო მეურნეობის სხვა უმნიშვნელოვანესი დარგები ფაქტიურად პარალიზებული აღმოჩნდნენ. მეწარმეებმა, მათ შორის ბროკერებმაც, მასიურად დაიწყეს საქმიანობის გადატანა საქართველოს ფარგლებს გარეთ ან ე.წ. "შავ ბაზრებზე", რომელთა რიცხვიც დღითიდღე იზრდება, ხოლო ცივილიზებული, ანუ "ბეგარის გადამხდელი" ბიზნესი თან-

დათანობით ჩაკვდა. შესაბამისად საგრძნობლად შემცირდა საბირჟო ვაჭრობის მოცულობაც. "კავკასიის ბირჟაზე" მუშაობას განაგრძობდა მხოლოდ სასაქონლო სექცია. სავალუტო სექციამ ფუნქციონირება შეწყვიტა ბირჟისათვის სავალუტო ლიცენზიის ჩამორთმევის შედეგად, ხოლო საფონდო სექცია ველარ ვითარდებოდა ფასიანი ქაღალდების ისედაც მწირი ბაზრის კიდევ უფრო შემცირების გამოც. მართალია ამ პერიოდში საქართველოს ეროვნულ ბანკთან ფუნქციონირება დაიწყო "თბილისის ბანკთაშორისმა სავალუტო ბირჟამ", მაგრამ მანაც ვერ შეძლო საბირჟო ვაჭრობის ფართოდ განვითარება ვინაიდან იგი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის ღონისძიებებით იყო დაკავებული. ამით ფაქტიურად დასრულდა ბირჟების ჩამოყალიბების პირველი ეტაპი.

საქართველოში საბირჟო საქმიანობის განვითერბის მეორე ეტაპი უკავშირდება ხელისუფლების მიერ ეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებებისა და პრივატიზაციის პროცესის დაწყებას. ამ ეტაპზე საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდა ინფლაციის შეჩერება, ახალი ქართული ვალუტის-ლარის შემოღება და სხვა ღონისძიებები, მათ შორის დამოკიდებული საქართველოს პირველი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის-საპრივატიზაციო ბარათის (ვაუჩერის) მიმოქცევაში გამოშვება. გამოჩნდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირველი პროფესიონალური მონაწილეები, პრივატიზაციის სპეციალიზირებული (საბარათო) საინვესტიციო ფონდები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული იქნა ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები. საპრივატიზაციო აუქციონების შედეგად განხორცილედა 1000-ზე მეტი სახელმწიფო საწარმო პრივატიზება.

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად საქართველოს კონსტიტუციის, მეწარმეობის განვითარებისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონის, უპირველეს ყოვლისა-მეწარმეთა შესახებ კანონის მიღებამ კვლავ შექმნა საქართველოში ორგანიზებული საფონდო ბაზრის ჩამოყალიბების პირობები. ამ პერიოდს ემთხვევა ისეთი ბირჟების შექმნა, როგორებიცაა: "სა-ქართველოს ფასიანი ქაღალდების ბირჟა". საქმიანობას განაგრძობს:" "კავკასიის ბირჟაც", სადაც მომზადდა და ამოქმედდა საპრივატიზაციო ბარათებით საბირჟო ვაჭრობის წესები.

აღსანიშნავია საქართველოს ბირჟებზე ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვის სამუშაობებიც. კერძოდ 1995 წლის განმავლობაში "კავკასიის ბირჟაზე" მომზადდა და ჩატარდა ფიუჩერსული კონტრაქტებით საბირჟო ვაჭრობები. ანალოგიური ვაჭრობები ამავე პერიოდში ტარდებოდა "საქართველოს მთავარ საფობდო ბირჟაზე".

საბირჟო საქმიანობის განვითარების პირველი ეტაპისაგან განსხვავებით საგრძნობლად შეიცვალა ხელისუფლების დამოკიდებულებაც ბირჟებისადმი, რაც გამოიხატა საბირჟო ვაჭრობის ორგანიზაციის ღონისძიებათა განმსაზღვრელ დადგენილებებში და კონკრეტული ბირჟების მხარდაჭერაში. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს წინადადებით "საქართველოს მთავარ საფობდო ბირჟაზე". მომზადდა ხორბლით ვაჭრობისა და აუქციონების პროექტი, რის შედეგადაც აღნიშნული ბირჟა გარადიქმნა "მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟად". ხელისუფლების ინტერესის ზრდას საბირჟო საქმიანობისადმი, საკანონმდებლო სფეროში აშკარა გამოცოცხლებაც ადასტურებს.

საბირჟო საქმიანობის მესამე ეტაპი იწყება 1999 წლიდან, როცა ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა", ინგლისურად – GSE.

**ნოდარ ხარაიშვილი**



# გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მარკეტინგული კომუნიკაციების ანალიზი მენეჯმენტში

როგორც ნებისმიერ საქმიანობაში, ასევე ბიზნესში წარმატებული საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანესია მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება და დამაკავშირებელი პროცესების სწორად წარმართვა, რაშიც მთავარია კომუნიკაციების დამყარება მომხმარებლებთან. მენეჯმენტის დამაკავშირებელი პროცესები უპირველესია მმართველობითი ფუნქციების განხორციელებაში, რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და შიდა ცვლადების ეფექტიანად მართვის საქმიანობაში. იგი უშუალო კავშირშია გადაწყვეტილების მიღებასთან და მარკეტინგული კომუნიკაციების განხორციელებასთან. დამაკავშირებელი პროცესები და მათი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ორგანიზაციის გამართულ მუშაობას. მმართველობითი იერარქიის ყველა საფეხურზე ორგანიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებულ, ურთიერთდაკავშირებულ და პრაქტიკული ღირებულების მქონე გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მათ რეალიზაციას.

მენეჯმენტში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:

- პრობლემისა თუ შესაძლებლობის არსებობის აღიარება;
- სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებით სასურველი გადაწყვეტილების გამოძებნა;
- იმ კრიტერიუმების დადგენა, რის მიხედვითაც უნდა იქნას მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება;
- საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;
- შედეგების გააზრება და თუ საჭიროა ცვლილებების განხორციელება.

მარკეტინგის მენეჯმენტში მარკეტინგული გადაწყვეტილებები მიიღება სამ უმთავრეს დონეზე. ესენია: კორპორაციული, ფუნქციური და ინსტრუმენტული დონეები. შეიცვალა მარკეტინგული აზროვნება, რაც გულისხმობს განახლებული ურთიერთობების აგებას მყიდველებთან, პარტნიორებთან და გარეშე მსოფლიოსთან.

თანამედროვე პროცესები მარკეტინგის განვითარებაში ნიშნავს მოძრაობას მასობრივიდან ინდივიდუალიზებულ მარკეტინგისაკენ, ორიენტაციას სამარკო კაპიტალის ზრდაზე, ახალ ინფორმაციულ გარემოსათან შეგუებას და ა.შ. ბევრს მარკეტინგი სარეკლამო კამპანიად მიაჩნია, რომელიც პროდუქტის გასაყიდად უნდა წარმართო. არადა, ფუნდამენტური შეხედულებები თანამედროვე მარკეტინგზე სრულიად სხვაგვარია.

თანამედროვე მარკეტინგი მოითხოვს არა მარტივად კარგი საქონლის დამუშავებას, მასზე ხელსაყრელი ფასის დაწესებასა და მიზნობრივი მყიდველისათვის მიწოდებას, რომელიც შემდეგი საფეხურებისაგან შედგება: იდეის გაჩენა, იდეების გაცხრილვა, ბიზნეს-ანალიზი, პროტოტიპის შექმნა, საცდელი მარკეტინგი და გასაღება. კომპანიებმა უნდა განახორციელონ მარკეტინგული კომუნიკაციების მთელი კომპლექსი (რეკლამა, გასაღების სტიმულირება, კავშირები საზოგადოებასთან, სპონსორობა, პირდაპირი პირდაპირი გაყიდვა) რომელთაგან შევეხებით ყველაზე მნიშვნელოვანს ჩვენი რეალობისათვის:

პირველი მათ შორის არის დამოკიდებულება მომხმარებლისადმი – ორგანიზაციები ყოველთვის ფიქრობდნენ, როგორ მიეღოთ მარკეტინგის საშუალებით მომხმარებლისგან მაქსიმუმი და რა ემოქმედათ. თანამედროვე შეხედულებით კი მარკეტოლოგები მუდმივად უნდა ფიქრობდნენ, რა ღირებულება შეუქმნან მომხმარებელს, როგორ გაუმარტივონ და კომფორტული გახადონ მათი ცხოვრება – საკუთარი მომსახურების ან პროდუქტის საშუალებით, როგორ დაეხმარონ მათ

მიზნების მიღწევაში. უმნიშვნელოვანესია მომხმარებლის შენარჩუნების სტრატეგია, რომელიც ეკონომიურია დროის, ფინანსური თუ საკადრო რესურსების თვალსაზრისით და უკეთესი საფუძველია ბიზნესის სტაბილურობისათვის.

დამოკიდებულება რეკლამისადმი – თანამედროვე მარკეტინგის მიხედვით არ არის ეფექტური რეკლამისათვის მხოლოდ ერთი არხის გამოყენება. მოვიდა სხვადასხვა და მრავალფეროვანი არხების გამოყენების დრო, სადაც ყველა მათგანს თავისი დანიშნულება აქვს. მაგალითად, შესაძლებელია ტელევიზიით განთავსდეს რეკლამა, რომლის მიზანია რაც შეიძლება მეტი მომხმარებლის შემოყვანა ინტერნეტგვერდზე. თავის მხრივ, ინტერნეტგვერდის დანიშნულება იქნება, მომხმარებელს მოანდომოს კომპანიის მაღაზიაში მოსვლა, სადაც პროდუქციის შეძენას გადაწყვეტს. თანამედროვე მარკეტოლოგები ამ მიმართულებას კომბინაციურ მარკეტინგსაც უწოდებენ.

იმისათვის, რომ რეკლამა პირად გემოვნებაზე არ იყოს აგებული საჭიროა სტილის, ჰარმონიის, წყობის, კონტრასტის, ბალანსის და ფერის ერთიანი სისტემის შექმნა და გამოყენება. მარკეტინგის მენეჯერები რეკლამის დიზაინის შექმნისა და მისი ეფექტურობის ამაღლებისათვის იყენებენ შემდეგ რჩევებს:

- გააკეთეთ მარტივი რეკლამა, თუნდაც ცოტა სულელურიც;
- გახსოვდეთ, რომ თქვენ ყიდით არა პროდუქტს, არამედ მისგან მოტანილ სარგებელს;
- რეკლამების წარმატებისათვის გამოიყენეთ ცნობილი ადამიანები, ბავშვები, ცხოველები;
- ბეჭდურ რეკლამაში დიდია ფერთა შესაძლებლობები;
- იცურეთ დინების მიმართულებით – მომხმარებელი თანმიმდევრულად უნდა აღიქვამდეს ყველა საჭირო კომპონენტს;

მარკეტინგულ კომუნიკაციებში უმნიშვნელოანესია დამოკიდებულება გაყიდვების მიმართ – სტანდარტული მიდგომით, გაყიდვისა და ბიზნესის გაზრდის საუკეთესო საშუალებად მიჩნეულია ბევრი ახალი მომხმარებლის სწრაფად შეძენა. დღეს ეს არარეალურია, რადგან თითქმის ყველა დარგში ძალიან მაღალია კონკურენციის დონე.

თანამედროვე მიდგომით მნიშვნელოვანია გაყიდვების გაზრდა არსებული მომხმარებლის კმაყოფილების ამაღლებისა და მათთან მუდმივი თანამშრომლობის საფუძველზე. ძველი მიდგომით, მარკეტინგის პროცესი მთავრდება, როგორც კი პროდუქტი გაიყიდება. თანამედროვე მიდგომის მიხედვით კი ბიზნესების დიდი ნაწილი წარუმატებელია იმიტომ, რომ არ მიმდინარეობს გაყიდვის შემდგომი თვალყურის დევნება, არ არის მხარდაჭერილი მომხმარებელთან მუდმივი ურთიერთობა და ინფორმაციის მიღება მათი კმაყოფილების დონის შესახებ.

მიზნობრივ ბაზართან დამოკიდებულებაზე მენეჯერები ფიქრობდნენ, რომ რაც უფრო დიდია მიზნობრივი ჯგუფი, მით უფრო შედეგიანი და ეფექტიანი იქნება მარკეტინგული აქტივობა. თანამედროვე შეხედულებით კი პირიქით, რაც უფრო პატარაა ნაპოვნი ჯგუფი და რაც უფრო კარგადაა იგი მისადაგებული პროდუქტსა და სარეკლამო სტიმულირებას, მით უკეთესი იქნება შედეგიც.

ისმის კითხვა: რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი მომხმარებლები არ წავიდნენ სხვასთან მაშინაც კი, როცა უკეთეს შემოთავაზებას მიიღებენ კონკურენტებისაგან. ასეთი კლიენტების დიდი ხნით შენარჩუნების საშუალებას იძლევა სამი მიმართულებით მუშაობა:

- გამოარჩიეთ ისინი სხვა კლიენტებისგან – ვინც ყველაზე მეტს ყიდულობს; ვინც დიდი ხანია თქვენგან ყიდულობს; ვინც ყველაზე აქტიურად გამოხატავს უკმაყოფილებას თქვენი საქმიანობის და თანამშრომლების მიმართ;
- მიაღწიეთ სწორედ მათ მაქსიმალურ კმაყოფილებას – უნდა აგრძნობინოთ, რამდენად აფასებთ მათ ერთგულებას და რამდენად ღირებულია ეს თქვენთვის;
- აქტიურად ჩართეთ ისინი თქვენი ორგანიზაციის მართვაში – ეს კლიენტთან კოოპერაციის ყველაზე მაღალი დონეა. ისინი აღარასოდეს წავლენ სხვასთან, თუ ექნებათ შესაძლებლობა თვითონ შეცვალონ კომპანიის საქმიანობა თქვენთვისაც და მათთვისაც სასარგებლოდ. შექმენით

მომხმარებელთან ურთიერთობის სპეციალური ჯგუფები, კლუბები, საბჭო ან რაიმე სათათბირო და სხვა.

რაც შეეხება საბოლოო შედეგებისადმი დამოკიდებულებას – ძველი მიდგომით, თავიანთი საქმიანობის შედეგებს მენეჯერები ფინანსური შედეგების მიხედვით აფასებენ. თანამედროვე, ახლებური მიდგომით – ისინი მომხმარებლების რაოდენობას ითვლიან. მენეჯერებმა იციან, რომ თითოეულ მომხმარებელთან განვითარებული და გამყარებული ურთიერთობები ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივია გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად.

მარკეტინგულ კომუნიკაციებში ცალკე განხილვის საგანია პირდაპირი გაყიდვების თემა. წარმატებული პირდაპირი გაყიდვებისათვის მთავარია, როგორ გარდატეხას შეიტანს ადამიანი საკუთარ აზროვნებაში. პირდაპირი გაყიდვების პროცესში მენეჯერები აწყდებიან ბევრ პრობლემასა და ბარიერს. გამოცდილ ადამიანებზე მოთხოვნა ამ სფეროში ძალიან დიდია.

დღეისათვის ქართულ ბიზნესში გაყიდვებით დაკავებულ პერსონალი ფიქრობს, რომ წარმატებისათვის აუცილებელია მეტი კლიენტის „შეკერვა" და სხვა. ეს საკმაოდ ცუდათ განგაწყობთ ზოგადად გამყიდველების მიმართ. ასეთი მიდგომა, შესაძლოა, მოკლევადიანად ეფექტიანი იყოს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ამგვარ დამოკიდებულებას მომხმარებელი აუცილებლად იგრძნობს და დროებითი წარმატებაც უკან დარჩება.

თემასთან დაკავშირებულ ლიტერატურაში ექსპერტები წარმატების მისაღწევად ძირითადად, ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას. ისინი თვლიან, რომ წარმატებული პირდაპირი გაყიდვებისათვის მთავარია როგორ გარდატეხას შეიტანს ადამიანი საკუთარ აზროვნებაში, როგორ შეცლის ეს შეხედულებებს გაყიდვების პროცესისა და მომხმარებლის მიმართ.

პირდაპირი გაყიდვები საინტერესოა თითქმის ყველა დონის მომუშავისათვის, კომპანიის დირექტორიდან, რომელიც გაყიდვების ყველაზე მსხვილ კონტრაქტებს მოიპოვებს, რიგით გამყიდველამდე, რომელსაც უწევს სხვადასხვა პირთან შეხვედრა და პროდუქტისა თუ მომსახურების პირადად შეთავაზება.

მაგალითისათვის გაგაცნობთ ზოგიერთ მიდგომას, რომელიც გაყიდვების პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის.

➢ შეუქმენით სარგებელი მომხმარებელს – როცა ემზადებით შეთავაზებისათვის, აუცილებელია იფიქროთ:

- რა სარგებელს უქმნით მომხმარებელს თქვენი მომსახურებით ან პროდუქტით;
- რა პრობლემა უნდა გადავუჭრათ მომხმარებელს;
- როგორ უნდა გავუადვილოთ მომხმარებელს ცხოვრება და საქმიანობა.

➢ პროცესს უნდა შეხედოთ მომხმარებლის თვალით – შეთავაზების შინაარსი ერთიორად გაუმჯობესდება, თუ მას შეხედავთ იმ ადამიანის თვალით, ვინც თქვენი პროდუქტი უნდა იყიდოს:

- რისი მოსმენა სურს მომხმარებელს;
- რის მოსასმენად გაიღებდა მომხმარებელი თავის დროს;
- როგორი ფასი იქნებოდა მომხმარებლისთვის მისაღები;
- ვისგან და რა ფორმით იქნებოდა მისაღები მომხმარებლისთვის შეთავაზება.

თუ შეეცდებით ამ კითხვებზე პასუხის გაცემას, თქვენი შეთავაზების ეფექტი ძალიან გაიზრდება. მომხმარებლები იგრძნობენ, რომ მათ ენაზე საუბრობთ, რომ მაქსიმალურად გააზრებული გაქვთ მათი ინტერესები.

➢ მიეხმარეთ მომხმარებელს – ვისაც გაყიდვის პროცესში მონაწილეობის პასუხისმგებლობა გამოუცდია მიხვდება, რომ ამას სითამამე და გაბედულება სჭირდება. წარუმატებლობის შიში კი, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობას ამცირებს და ასუსტებს.

შეთავაზებას უნდა შეხედოთ, როგორც მომხმარებლისათვის დახმარებას. ჩათვალეთ, რომ მომხმარებელმა არ იცის იმ სარგებლის შესახებ, რაც აღნიშნული პროდუქტის შეძენით შეუძლია მიიღოს. თქვენ ეხმარებით მას, რომ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვას. უბრალო მაგალი-

თი: დავუშვათ, ყიდით ბიზნესლიტერატურას პირდაპირი გაყიდვების გზით. ამით ეხმარებით ადამიანს გაეცნოს მას, გაიგოს მეტი და გამოიყენოს შემდგომ თავის საქმიანობაში. თუკი ასე შეხედავთ ნებისმიერ თქვენს პროდუქტს, ამით უფრო გაბედული იქნებით მომხმარებლებთან ურთიერთობებში.

წარმატებული გაყიდვების სხვაც ბევრი ფსიქოლოგიური მომენტი და მეთოდი არსებობს. თუ შეეცდებით ადამიანებმა თქვენი პროდუქტით რეალური სარგებელი მიიღონ, დააყენეთ მათ ადგილას საკუთარი თავი და იფიქრეთ იმაზე, რომ თქვენ ეხმარებით ამ ადამიანებს. ასეთი მიდგომით – კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამთ წარმატებული ბიზნესისაკენ.

მენეჯერებისათვის ცნობილია, რომ ბიზნეს გარემოს უაღრესად კონკურენტული ბუნება ნებისმიერი კომპანიისაგან მაქსიმალურ ეფექტურობას, საქონლისა თუ მომსახურების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფას მოითხოვს. სწრაფი წარმოება, დაბალი ფასები, მომხმარებლის პატივისცემა, ბაზრის წილის ზრდა, ნაკლები დანახარჯები და მოქნილობის მაღალი ხარისხი – ეს წინაპირობებია, რომელსაც ესწრაფვიან კომპანიები კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. ამით ისინი გრძელვადიან პერიოდში ინარჩუნებენ შესაძლებლობას – დააკმაყოფილონ როგორც მომხმარებლის მოთხოვნები, ასევე საკუთარი ინტერესები.

*ვანო შუშტაკაშვილი*



## სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი განვითარებულ ქვეყნებში

***ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი.*** ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მსოფლიოში ყველაზე დიდი მსესხებელია. განსაკუთრებით ბოლო 20 წელია აშშ-ს ფედერალური მთავრობის ხარჯი გასაოცარი სიდიდით აღემატება შემოსავალს. საკმაოდ შთამბეჭდავია ამ ვალის ზრდის დინამიკა და მასზე დარიცხული პროცენტიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ბაზარს სხვა ბაზრებთან შედარებით რიგი უპირატესობა აქვს, რადგან ის[5]:

– მაღალი ლიკვიდობით ხასიათდება;

– თუ გავითვალისწინებთ, რომ მას აშშ-ს სახაზინო გარანტია გააჩნია, ეს წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით უსაფრთხო ადგილს ნაღდი სახსრების დასაბანდებლად;

– ფართოდ გამოიყენება წარმოებული ინსტრუმენტების კუთხით, რაც აძლევს ინვესტორებს ჰეჯირებისა და საბაზრო რისკის შემცირების საშუალებას;

– ის იბეგრება მხოლოდ ფედერალური გადასახადით საპროცენტო შემოსავალზე და გათავისუფლებულია შტატების მიერ დაწესებული გადასახადებისგან;

– ინვესტორებს სთავაზობს ფასიანი ქაღალდების ფართო ასორტიმენტს.

საკმაოდ განვითარებულია აშშ-ს სამთავრობო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი, სადაც მოქმედებენ როგორც პირველადი (ბაზრის) დილერი, ასევე ასობით ტრეიდერი, რომლებიც გაერთიანებული არიან დიდ დილერთაშორის ორგანიზაციაში – Government Securities Pricing

[5] ასლანიშვილი დ., სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები. დისერტაცია. თბილისი 2015. გვ.: 40.

System Inc. (GOVPX). ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აგროვებს და შემდეგ ავრცელებს ინფორმაციას აშშ-ს ხაზინის ყველა ფასიანი ქაღალდის შესახებ, რომლებიც დილერთაშორის ბაზარზე მიმოიქცევა.

აშშ-ს სახელმწიფო ვალისა და ფასიანი ქაღალდების ემისიის ისტორია მისი დაარსებიდან მომდინარეობს, თუმცა მისი ოდენობა საწყისს ეტაპზე საკმაოდ მცირე იყო. სახელმწიფოს სავალო დოკუმენტაციის (ანუ ფასიანი ქაღალდის) ემისია როგორც წესი საომარ მოქმედებებს უკავშირდებოდა[6].

ფაქტობრივად და დოკუმენტურად არის ცნობილი სახელმწიფო ხაზინის ვალის ციფრობრივი მოცულობა დამოუკიდებლობისა და სამოქალაქო ომის დასრულების დროს. მისი მოცულობა 75, 463, 476.52 დოლარს შეადგენდა და ეს ციფრი გამოქვეყნებულ იქნა აშშ ხაზინის მიერ მის წლიურ ანგარიშში, რომელიც 1791 წლის 1 იანვრის თარიღით იქნა წარდგენილი ღია წესით კონტინენტალური კონგრესის წინაშე.

1788 – 1917 წწ სახელმწიფო ვალის აღება (რაც სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების გამოშვების გზით ხორციელდებოდა) მთავრობას მხოლოდ კონგრესის ნებართვით შეეძლო. ანუ კონგრესი ნებას რთავდა აშშ ხაზინას გამოეშვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და დაეფარა მიმდინარე დეფიციტი თუ ომის ხარჯი.

პირველი მსოფლიო ომის დროს – 1917 წელს – მთავრობას მიეცა უფლება კონგრესის ნებართვის გარეშე გამოეშვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ზედა ზღვრის დაწესებულ დონემდე. მისი ზედა ზღვრის ზრდა კი კვლავ საჭიროებს კონგრესის ნებართვას.

1941 წელს, ანუ მეორე მსოფლიო ომის დროს, აშშ მიიღო კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ. ამ კანონით მოხდა ყველა სახელმწიფო ვალის უნიფიკაცია ერთ კატეგორიის ქვეშ და ზედა ზღვარი დაწესდა 65 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით. ომის ხარჯებმა სახელმწიფო ვალი მკვეთრად გაზარდა:

1942 წელს ზედა ზღვარი 125 მილიარდი იყო;

1943 წელს – 210 მილიარდი;

1944 წელს – 260 მილიარდი;

1945 წელს – 300 მილიარდი აშშ დოლარი.

ომის დასრულებამ ვალის ზედა ზღვარი 275 მილიარდამდე დასწია, სანამ დაიწყო კონფლიქტი კორეაში მეოცე საუკუნის 50 იან წლებში. ფაქტობრივად აშშ-ს მთავრობამ პირველი და მეორე მსოფლიო ომის ხარჯის მნიშვნელოვანი ნაწილი დააფინანსა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით.

საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის საკითხი მომდევნო 20 წლის განმავლობაში. 1945 დან – 1970 წლამდე ჯამური ვალი გაიზარდა მხოლოდ 100 მილიარდით და ის 400 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია[7].

გასული საუკუნის 70 იანები წლების ენერგოკრიზის გამო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. ვალის ოდენობამ 1980 წლისათვის 1 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია. ფინანსურ რესურსებზე ბრძოლის ამ მწვავე პერიოდში აშშ ხაზინა იძულებული იყო ესესხა ფული წლიური 10 დან 15.75%-მდე. ამ პერიოდს დაემთხვა აშშ-ს პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ეკონომიკური სტიმულირებისა და ვალის მკვეთრი ზრდის პოლიტიკა, რის შედეგად 1989 წლისთვის სახელწმიფო ვალმა 3 ტრილიონ დოლარს გადააბიჯა. 1982 – 1991 წწ ვალის ოდენობა საშუალოდ 200-250 მლრდ აშშ დოლარით იზრდებოდა და 1991 წლის აშშ საფინანსო წლის ბოლოს (30 სექტემბერი) ის უკვე 3,662 ტრილიონ აშშ დოლარს აღწევდა[8].

აშშ-ს კომერციული ობლიგაციებისა და სამთავრობო სახაზინო ვალდებულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ როდესაც კომერციული ობლიგაციების ბაზარი მაღალი ცვალებადობით ხასიათ-

6 Historical Tables, Budget of the US Government Office of Management and Budget, 2011.132.
7 Historical Tables, Budget of the US Government Office of Management and Budget 2011, 5.
8 ასლანიშვილი დ., სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები. დისერტაცია. თბილისი 2015. გვ.: 42.

დება, ამავე დროს სახელმწიფო ობლიგაციების ბაზარი სტაბილურ და მზარდი მომგებიანობის ტრენდს ავლენს. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აშშ-ს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისადმი ინვესტორთა მზარდი ინტერესის კუთხით და ხელი შეუწყო ამ ბაზრის მკვეთრ განვითარებას. ამან კი აშშ-ს შიგა ვალი საოცარ მაჩვენებელზე აიყვანა. 2007 წლის მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე ინვესტორთა ინტერესი აშშ-ს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიმართ იმდენად მაღალი და სტაბილური იყო, რომ სხვაობა სარგებლიანობას შორის 1, 5, 10 და 30 წლიან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს შორის უმნიშვნელო იყო.

სახელმწიფო ვალის უკონტროლო ზრდის შესაფერხებლად აშშ კონგრესმა 1985 წელს მიიღო ჰრემ – რადმანის კანონი, რომლის მიხედვით ხორციელდება აშშ ბიუჯეტის ავტომატური შემცირება, თუ ვალის ოდენობა აჭარბებს დამტკიცებულ ფარგლებს. თუმცა ეს ნორმა 2007 წელს დაწყებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პერიოდამდე ფაქტიურად არ სრულდებოდა. 2002 წელს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიამ და სახელმწიფო ვალმა 6 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ყოველ მომდევნო წელს აშშ იმატებდა ასობით მილიარდ ახალ ვალს და 2007 წლის ბოლოს ვალის ოდენობამ 10 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 2007 – 2013 წწ გლობალური კრიზისისა და რაოდენობრივი შერბილების (ფაქტიურად ათობით მილიარდი აშშ დოლარის ყოველთვიურად ბეჭდვის პერიოდში) სახელმწიფო ვალის ოდენობამ 17.2 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია[9].

ნახ. 1.




თუ გავითვალისწინებთ რომ 2014 წლის მდგომარეობით აშშ მოსახლეობა 317.8 მლნ ადამიანს ითვლის[10], გამოდის, რომ თითოეულ ამერიკელს 52,549 აშშ დოლარის ვალი აქვს გადასახდელი.

აშშ-ს სახელმწიფო ვალის სტრუქტურა და მისი ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ რიგი დასკვნა გამოვიტანოთ: თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2007 წელს დაწყებულ გლობალურ ფინანსურ კრიზისს, ***ამერიკის ისტორიაში საგარეო ვალის მკვეთრი ზრდა განპირობებულ იქნა სამი გლობალური მოვლენით: პირველი მსოფლიო ომი, დიდი დეპრესია და მეორე მსოფლიო ომი.***

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს რიგი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემისიას[11]:

**სახაზინო ვალდებულებები (US Treasury Bills)** – ერთ წლამდე დაფარვის მქონე მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდი. როგორც წესი ხორციელდება 3 თვიანი, 6 თვიანი და 1 წლიანი სახაზინო ვალდებულებათა ემისია (გამოშვება). ეს ფასიანი ქაღალდი მისი გრძელვადიანი ანალოგისგან განსხვავდება იმით, რომ მასზე არ ხორციელდება კუპონის დარიცხვა. ეს არის დისკონტიანი ფა-

[9] http://www.treasury.gov/ticdata/Publish/debta.
[10] Estimated by extrapolation. According to The U.S. Census Bureau's Population Clock.
[11] Dictionary of Business Terms, second edition, 1994, Canada. page 55-65.

სიანი ქაღალდი, ანუ ის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლებ ფასში იყიდება. ეს ინსტრუმენტი განსაკუთრებით პოპულარული იყო გასული საუკუნის 70 – იანები წლების ენერგოკრიზისში, როდესაც ინვესტორი ინფლაციისა და არასტაბილურობის გამო მოკლევადიან ინსტრუმენტებში ახდენდა დაბანდებას. ამ ინსტრუმენტის გამოშვების დამკვიდრებული პერიოდულობა შემდეგია – ყოველ კვირას ხდება 91 დღიანი და 180 დღიანი სახაზინო ვალდებულებების ემისია, ხოლო თვეში ერთხელ ერთწლიანის ემისია. განთავსება ხორციელდება აუქციონის წესით. საინტერესოა, რომ მინიმალური ოდენობა ერთი განაცხადის 100 აშშ დოლარს შეადგენს და ის შემცირდა 1000 დოლარიდან, რათა კრიზისის პერიოდში გაზრდილ იქნას მოსახლეობისა და ინვესტორების ინტერესი ამ ინსტრუმენტისადმი.

აშშ-ს სახაზინო ვალდებულების სადისკონტო განაკვეთის ფორმულა შემდეგია:

$$\text{სადისკონტო განაკვეთი (\%)} = \frac{\text{ნომინალური ღირებულება - შესყიდვის ფასი}}{\text{ნომინალური ღირებულება}} \times \frac{360}{\text{დღეები დაფარვამდე}} \times 100\%$$

(სარგებლიანობა)

**საშუალოვადიანი სახაზინო ობლიგაციები ანუ Treasury Notes** – ეს საშუალო ვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდია, რომლის ვადიანობა მერყეობს 1 დან 5 წლამდე. მისი ერთი ცალის ნომინალური ღირებულებაა 1000 აშშ დოლარი, საკუპონო გადახდა წარმოებს წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში ერთხელ. 1986 წლიდან მოყოლებული მისი ფორმა დემატერიალიზირებულია, ანუ ელექტრონული ჩანაწერის სახით არსებობს. წვრილი ინვესტორებისთვის როგორც წესი მინიმალური განაცხადი 5000 დოლარს უდრის. 10 წლიანი ობლიგაციის განაკვეთი და მასზე მოთხოვნა მიწოდება მიჩნეულია აშშ ეკონომიკისა და მაკროეკონომიკური მოლოდინის ერთ ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად.

**გრძელვადიანი სახაზინო ობლიგაციები ანუ Treasury Bonds, Long Bonds** – აშშ-ს ხაზინის ყველაზე გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდია. მისი ვადა 5 წელს აღემატება, ხოლო კუპონის განაკვეთის გადახდა იწარმოებს ყოველ ექვს თვეში ერთხელ. საკმაოდ დიდია ამ ინსტრუმენტზე მეორადი ვაჭრობა, ხოლო დაფიქსირებული სარგებლიანობა გამოიყენება ეკონომიკაში გრძელვადიანი დაბანდების ინდიკატორად.

ამ სამ ინსტრუმენტს ემატება **ინფლაციაზე ინდექსირებული სახაზინო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ანუ Treasury Inflation Protected Securities, TIPS.** მათი გამოშვება ხორციელდება 5, 10 და 30 წლიანი კუპონიანი ფასიანი ქაღალდების სახით.

**მუნიციპალური ობლიგაციები** – აღნიშნული ობლიგაციების ემისიას შტატების მთავრობა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტი ახორციელებს. ამ სახის ობლიგაცია, კორპორაციული ობლიგაციის მსგავსად, გადაუხდელობის რისკს ექვემდებარება. ამასთან, უმეტესად მუნიციპალური ობლიგაციებზე მიღებული პროცენტი, როგორც ფედერალური გადასახადი, ასევე ობლიგაციების ემიტენტი შტატის გადასახადებისაგან თავისუფლდება, იმ შემთხვევაში თუკი ობლიგაციის მფლობელი მისი მოქალაქეა.

აშშ-ს კანონმდებლობით სახელმწიფო ხაზინას აქვს შემოღებული პირველადი დილერების ინსტიტუტი, ანუ იმ აქვეყნებს იმ კომპანიების სიას, ვისაც აქვთ უფლება პირველად ბაზარზე, ხაზინიდან შეიძინონ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები მათი შემდგომი გადაყიდვის თუ ფლობის მიზნით[12].

ბარონსის (Barron's) საერთაშორისო ბიზნესის ტერმინოლოგიის ლექსიკონის თანახმად „დილერი (ფასიანი ქაღალდების ბაზარზე) არის ვაჭარი, რომელიც რეგულარულად არის ჩართული ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის პროცესში. ამ პირისთვის აქციები, ობლიგაციები და სხვა სახის ფინანსური ინსტრუმენტები წარმოადგენს მარაგებს და არ განიხილება როგორც მო-

[12] http://www.ny.frb.org/markets/pridealers_current.html.

გებისა თუ ზარალის საზომი. ამასთანავე, ეს არის პირი, რომელიც ყიდის და ყიდულობს აქტივს საკუთარი ანგარიშიდან (საკუთარი სახსრებით) სხვადასხვა ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად"[13].

ეს სისტემა 1960 წლიდან მოქმედებს და საწყისს ეტაპზე პირველადი დილერების (ანუ მსხვილი საფინანსო – საბროკერო კომპანიების) რაოდენობა 18 უდრიდა, 1988 წელს ეს რაოდენობა 46 იზრდება, ხოლო 2007 – 2011 წწ კვლავ შემცირდა 22 კომპანიამდე.

ამ ეტაპზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვის უფლება პირველად ბაზარზე შემდეგ კომპანიებს შეუძლიათ:

1. BANK OF NOVA SCOTIA, NEW YORK AGENCY (ბენქ ოფ ნოვა სკოტია, ნიუ იორქ ეჯენსი, აშშ);

2. BMO CAPITAL MARKETS CORP. (ბიემო ქეპიტალ მარკეტს კორპ, კანადა);

3. BARCLAYS CAPITAL INC. (ბარკლაის ქეპიტალ, დიდი ბრიტანეთი);

4. BNP PARIBAS SECURITIES CORP. (ბი ენ პი პარიბას სექურიტის კორპ, საფრანგეთი);

5. CANTOR FITZGERALD & CO.(კანტორ ფიტცჯერალდ ენდ კო, აშშ);

6. CITIGROUP GLOBAL MARKETS INC.(სიტიგრუპ გლობალ მარკეტს ინკ, აშშ);

7. CREDIT SUISSE SECURITIES (USA) LLC (კრედიტ სვიშ სექურიტიზ, შვეიცარია);

8. DAIWA CAPITAL MARKETS AMERICA INC. (დაივა ქეპიტალ მარკეტს ამერიკა, იაპონია);

9. DEUTSCHE BANK SECURITIES INC. (დოიჩე ბანკ სექურიტიზ, გერმანია);

10. GOLDMAN, SACHS & CO. (გოლდმან საქს, აშშ);

11. HSBC SECURITIES INC. (ეიჩ ეს ბი სი სექურიტიზ, დიდი ბრიტანეთი);

12. J.P. MORGAN SECURITIES LLC ( ჯი პი მორგან სექურიტიზ, აშშ);

13. JEFFERIES LLC (ჯეფერის ელ ელ სი, აშშ);

14. MERRILL LYNCH, PIERCE, FENNER & SMITH INCORPORATED (მერილ ლინჩ, პირს, ფენერ ენდ სმიტ ინკორპორეტედ, აშშ);

15. MIZUHO SECURITIES USA INC. (მიზუჰო სექურიტიზ იუ ეს ეი ინკ, იაპონია);

16. MORGAN STANLEY & CO. LLC (მორგან სტენლი ენდ კო, აშშ);

17. NOMURA SECURITIES INTERNATIONAL,INC (ნომურა სექურიტიზ ინტერნაშიონალ, იაპონია);

18. RBC CAPITAL MARKETS, LLC (ერ ბი სი ქეპიტალ ინკ, კანადა);

19. RBS SECURITIES INC. (ერ ბი სი სექურიტიზ, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი);

20. SG AMERICAS SECURITIES, LLC (ეს ჯი ამერიკაზ სექურიტიზ, საფრანგეთი);

21. TD SECURITIES (USA) LLC (თი დი სექურიტიზ, კანადა);

22. UBS SECURITIES LLC. (იუ ბი ეს სექურიტიზ, შვეიცარია).

არსებული პირველადი დილერების დახარისხებამ კომპანიათა ადგილმდებარეობის მიხედვით მათ შორის შემდეგი სურათი წარმოაჩინა:

– უშუალოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსებული და მოქმედი კომპანიების რიცხვი 8 (რვას) შეადგენს;

– კანადური საინვესტიციო ბანკები წარმოდგენილია 3 (სამი) კომპანიით;

– დიდი ბრიტანეთიდან 3 (სამი) კომპანიაა წარმოდგენილი;

– ასევე 3 (სამი) კომპანიით არის წარმოდგენილი იაპონიის საინვესტიციო ბანკები;

– შვეიცარიის კონფედერაცია წარმოდგენილია 2 (ორი) კომპანიით;

– ფრანგული წარმოშობისაა 2 (ორი) კომპანია და

---

[13] Dictionary of Business Terms 1994:145.

– გერმანულია 1 (ერთი) საინვესტიციო ბანკი.

პირველადი დილერი წარმოადგენს ბანკს, ან საბროკერო – სადილინგო კომპანიას, რომელიც ფლობს ნებართვას აშშ ფედერალური სარეზერვო ბანკიდან მიიღოს მონაწილეობა აუქციონებში და არის ვალდებული გააკეთოს შეძენის განაცხადი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის დროს. ურთიერთობებს მხარეთა შორის აწესრიგებს 1988 წლის პირველადი დილერის შესახებ კანონი[14].

ზემოთჩამოთვლილ კომპანიებზე წილად მოდის აშშ – სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე ფინანსური გარიგებების აბსოლუტური უმრავლესობა, ხოლო მათი სხვადასხვა სახელმწიფოს კუთვნილება ხელს უწყობს აშშ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით.

***გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი.*** გერმანიის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების ოდენობით მართალია ჩამორჩება აშშ-ს სახელწმიფოს მიერ ემიტირებულ ფასიან ქაღალდებს, თუმცა სანდოობით, ლიკვიდობითა და მოთხოვნის კუთხით ეს ფასიანი ქაღალდი არ ჩამორჩება აშშ-ს ხაზინის ინსტრუმენტს.

გერმანიის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების მოცულობის შესაფასებლად გერმანიის ფინანსთა სამინისტროს ფინანსური სააგენტოს 2014 წლის ოფიციალური ინფორმაციის გამოყენების საფუძველზე, შემდეგი სურათი წარმოაჩინა[15]: 2014 წლის განმავლობაში გერმანიის მთავრობამ 205 მილიარდი ევროს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ემისია განახორციელა, თუმცა აშშ-ს გან განსხვავებით 2014 წელს ის ამცირებს თავის ემისიას 42 მილიარდი ევროს ოდენობით (აქედან 12 მლრდ გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდების ინსტრუმენტი და 30 მილირარდი ფულადი ბაზრის ინსტრუმენტი).

2015 საემისიო ცხრილში დაგეგმილი იყო სახელმწიფო ფასიანი ქარალდების დამატებითი შემცირება და მათი ემისიის 185,5 მილიარდ ევროს ოდენობამდე დაყვანა.[16]

ამის მთავარი მიზეზი არის ეკონომიკურ პოლიტიკას შორის სხვაობა – თუ აშშ-ს მთავრობა ახორციელებს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისას სტიმულირებისა და რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკას, რაც დიდი ოდენობით სახელმწიფო ვალის ზრდასა და ბიუჯეტის დეფიციტის ზრდაში გამოიხატება, გერმანიის მთავრობა მკვეთრად ამცირებს დეფიციტს და ექსპორტის სტიმულირების გზით ახორციელებს ეკონომიკის გაჯანსაღებას.

გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ამერიკულის მსგავსად იყოფა ვადიანობის მხრივ[17]:

1. ერთ წლამდე ვადის მქონე ფულადი ბაზრის ორი ინსტრუმენტია მიმოქცევაში – 6 თვიანი და 12 თვიანი „ბუბილსები“ (Bubills), რაც თარგმანში გერმანიის ბუნდესბანკის სახაზინო ვალდებულებას ნიშნავს;

2. 2 წლიანი „შატცები (Schaetze); 5 წლიანი“ ბობლები“( Bobls) (ანუ ობლიგაციები);

3. 10 და 30 წლიანი „ბუნდები“ (Bunds). აქედან 10 წლიანი ობლიგაცია, მისი ამერიკული ანალოგის მსგავსად, მიიჩნევა გერმანიის ეკონომიკისა და მაკროეკონომიკური მოლოდინის ინდიკატორად.

არის შემთხვევები, როდესაც გერმანიის მთავრობა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს კონკრეტული მიზნით უშვებს. მაგალითად 1990 წელს გერმანიის მთავრობამ გამოუშვა გრძელვადიანი „ბუნდები“, რომლის მიზანი იყო გერმანიის გაერთიანების დაფინანსება და აღმოსავლეთ გერმა-

[14] (FRB of NY, Primary Dealers http://www.ny.frb.org/markets/pridealers_current.html).

[15] http://www.deutsche-finanzagentur.de/fileadmin/Material_Deutsche_Finanzagentur/PDF/Aktuelle_Informationen/bund_fact_sheet.pdf.

[16] http://www.deutsche-finanzagentur.de/fileadmin/Material_Deutsche_Finanzagentur/PDF/Aktuelle_Informationen/bund_fact_sheet.pdf

[17] ასლანიშვილი დ., სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები. დისერტაცია. თბილისი 2015. გვ.: 55.

ნიის ფინანსური სტიმულირება. ამ ბონდებს Fond Deutsche Einheit” (German Unity Fund) ანუ გერმანიის გაერთიანების ფონდი ეწოდა.

თანამედროვე ეტაპზე გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზარი შემდეგი მახასიათებლებით გამოირჩევა:

2014 წლის განმავლობაში ექვსთვიანისა და თორმეტთვიანის ბუბილსების გამოშვების მოცულობა შემოფარგლული იყო თვეში 2 მილიარდი ევროს მოცულობით;

2013 წელთან შედარებით 2 წლიანი შატცების ოდენობა 2014 წლის განმავლობაში შემცირებული იყო 8 მილიარდი ევროს ოდენობით და 52 მილიარდი ევრო შეადგინა;

2014 წელს 5 წლიანი ბობლების ემისიაც შემცირდა, თუმცა მცირე ოდენობით – ის 3 მილიარდი ევროთი ნაკლებია 2013 წელთან შედარებით და ჯამურად 48 მილიარდი ევროს გაუტოლდა;

– ინფლაციაზე კორექტირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ოდენობა გაიზარდა – თუ 2013 წელს მათი ოდენობა 10 მილიარდი იყო, 2014 წელს ეს რიცხვი 14 მილიარდს გაუტოლდა;

– 10 წლიანი ბუნდების ოდენობა 2014 წელს უცვლელი დარჩა და ის 2013 წლის ემისიას უდრიდა – 54 მილიარდი ევრო;

– 30 წლიანი ბუნდების ოდენობა ჯამურად მცირეა და 7 მილიარდ ევრო იყო, რაც 1 მილიარდით ნაკლებია 2013 წლის ჯამური ემისიისა;

– მთლიანობაში, 2014 წლის ჯამური 205 მილიარდი ევროს ემისიის 21,5 პროცენტი ანუ 44 მილიარდი ევრო მოდის ფულად ბაზარზე (ანუ მათი ხანგრძლივობა 1 წელს არ აღემატება), ხოლო 78,5 პროცენტი კი ანუ 161 მილიარდი ევრო კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტია (ხანგრძლივობა 1 წელზე მეტი ვადისაა);

– აღსანიშნავია, რომ 2014 წელს კაპიტალის ბაზარზე გამოსაშვები 161 მილიარდიდან ახალი გამოშვების ოდენობა მხოლოდ 53 მილიარდი ევრო იყო, ხოლო 108 მილიარდი ევრო წინა წლებში გამოშვებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გადაფარვაა და ახალი ემისიით ძველის ჩანაცვლებას წარმოადგენს; –

– მსგავსი ვითარებაა ფულად ბაზარზე – 2014 წელს გამოსაშვები 44 მილიარდი ევროს გერმანული სახელმწიფო ქაღალდიდან 24 მილიარდი ახალ გამოშვებაზე მოდის, ხოლო 20 მილიარდი ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდის გადაფარვას წარმოადგენს.

გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ 2014 წლის განმავლობაში გამოსაშვები სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კალენდარი – ემისია შემდეგი სახის იყო[18], რომელიც მოცემულია ცხრილი 1.-ზე.

საკმაოდ ინტენსიურია გერმანიის სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდების მეორადი ვაჭრობა:

ლიკვიდურობის კუთხით გერმანულ სახელმწიფო ფასიან ქაღალდს ანალოგი არ გააჩნია ევროზონის ქვეყნებს შორის. სხვაობა ყიდვა/გაყიდვის ფასებს შორის 0,048 ნიშნულზეა;

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად გერმანიის სახელმწიფო ქაღალდების ოდენობა ღია მიმოქცევაში 1,155 მილიარდ ევროს უტოლდებოდა, ხოლო 2014 წლის მიწურულს ეს ციფრი 1,158 მილიარდ ევროს გაუტოლდა[19];

[18] http://www.deutsche-finanzagentur.de/fileadmin/Material_Deutsche_Finanzagentur/PDF/Aktuelle_ Informationen/bund_ fact_sheet.pdf

[19] http://www.deutsche-finanzagentur.de/fileadmin/Material_Deutsche_Finanzagentur/PDF/Aktuelle _Informationen/bund _fact_sheet.pdf

ცხრილი 1.

| სახეობა | % წილი 2014 წლის ემისიაში | ცვლილება 2013 წელთან შედარებით (მლრდ ევრო) | 2014 წლის მოცულობა | 2014 წლის 1 კვარტალი | 2014 წლის 2 კვარტალი | 2014 წლის 3 კვარტალი | 2014 წლის 4 კვარტალი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 თვიანი ბუბილები | 10,7% | -19 | 22 | 6 | 6 | 6 | 4 |
| 12 თვიანი ბუბილები | 10,7% | -11 | 22 | 6 | 6 | 6 | 4 |
| ჯამურად ფულადი ბაზარი | 21,5% | -30 | 44 | 12 | 12 | 12 | 8 |
| 2 წლიანი შატცები | 25,4% | -8 | 52 | 13 | 13 | 13 | 13 |
| 5 წლიანი ბობლები | 23,4% | -3 | 48 | 13 | 12 | 12 | 11 |
| 10 წლიანი ბუნდები | 26,3% | 0 | 54 | 14 | 14 | 13 | 13 |
| 30 წლიანი ბუნდები | 3,4% | -1 | 7 | 3 | 2 | 0 | 2 |
| ჯამურად კაპიტალის ბაზარი | 78,5% | -12 | 161 | 43 | 41 | 38 | 39 |

ყურადსაღებია გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ვაჭრობა. 2013 და 2014 წლის შედეგების მიხედვით ყოველდღიურად მეორადი ბაზრის ბრუნვა 20 – 21 მილიარდ ევროს აჭარბებს, რაც პირდაპირი მაჩვენებელია თუ რაოდენ მაღალია ინტერესი მსოფლიო ინვესტორთა მხრიდან ამ ინსტრუმენტის მიმართ;

2012 წლის მონაცემებით გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით წლიურმა ვაჭრობამ 5,372 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო საშუალო თვიური ბრუნვა 448 მილიარდი ევროს ტოლფასი იყო. 2013 წლის შედეგებით წლიურმა ვაჭრობამ 5,832 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო საშუალო თვიური ბრუნვა კვლავ 448 მილიარდი ევროს ტოლფასი იყო.

ყურადსაღებია, რომ გერმანიის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისია და მეორად ბაზარზე გადაყიდვა ხორციელდება მხოლოდ აუქციონის წევრი საკრედიტო ინსტიტუტების მიერ. საამისოდ დაარსებულია ობლიგაციათა აუქციონის ჯგუფი (BIAG). აღნიშნული აუქციონის ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ევროკავშირის საკრედიტო ინსტიტუტები. ჯგუფის წევრობა რეგულირდება გერმანიის კანონების მიხედვით.

ჯგუფის წევრობის შესანარჩუნებლად საკრედიტო ინსტიტუტმა უნდა გამოიწეროს მთლიანად გამოშვებული ობლიგაციების 0.05% (პროცენტი) ვადების გათვალისწინებით. წევრები, რომლებიც ვერ ასრულებენ შეთანხმების მინიმუმს, ირიცხებიან ჯგუფიდან. ყოველ წელს მთავრობა გამოსცემს ჯგუფის წევრთა სიას მათი შესყიდვების წილით გამოცემულ ობლიგაციებზე. 2014 წლის მდგომარეობით ჯგუფში გაწევრიანებულია 37 საკრედიტო ინსტიტუტი.

გასათვალისწინებელია, რომ ცნება აუქციონის წევრი გერმანული კანონმდებლობით არ მოიცავს მხოლოდ კომერციულ ბანკს და ამ სახელწოდების მქონე საინვესტიციო ბანკები (საბროკერო კომპანიები), იპოთეკური და სხვა დარგის მომსახურე ბანკებითაა (სოფლის მეურნეობა, ბინათმშენებლობა და სხვა) წარმოდგენილი.

საგულისხმოა, რომ მეორადი ვაჭრობა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე ხორციელდება საფონდო ბირჟების მეშვეობით.

გერმანიის ფედერალური მთავრობის სავალო პორტფელის მოკლე და გრძელვადიანი მართვა შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

– მთავარი ამოცანა: მიღწეულ იქნას პორთფელის ისეთი სტრუქტურა, რომელიც გრძელვადიან დაბანდებას და გადავადებულ ხარჯებს გულისხმობს. ამასთანავე, ეს სტრუქტურა გამომშვების (გერმანიის მთავრობის) სტაბილურობას და რისკების ამორჩევადობას (ანუ მართვადობას) გულისხმობს;

– სასურველი პორთფელის მიღწევის გზაზე რისკების მართვა და ხარჯების გაწევა საშუალოვადიან პერსპექტივაში;

– სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება, რათა მოხერხდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორთფელის დივერსიფიკაციის გაუმჯობესება და საპროცენტო ხარჯის შემცირება.

**სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარზე.** 2007 წლიდან მოყოლებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის მიმდინარობს საუბარი და მსჯელობა, რომ ევრო ზონა სისტემურმა კრიზისმა მოიცვა, რომელიც სულ უფრო და უფრო მძაფრდება. ამ სიტუაციის გამოსავალი ეკონომისტების ნაწილმა ერთიანი ევროპის სავალო ობლიგაცეიების – ევრობონდების ემისიაში გამონახა. კრიზისის პერიოდში ევროკომისიის ოფიციალურ პირებსა და ცნობილ ფინანსისტებს შორის ადგილი ჰქონდა დისკუსიას თუ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ამ იდეას[20]:

ევროკავშირის სტაბილურ განვითარებას ხელი შეუშალა და საგრძნობლად უკან დახია საბერძნეთის კრიზისმა. ევროპის ბაზრები ერთმანეთზე არიან დამოკიდებული ძლიერი საექსპორტო ბაზრის შესანარჩუნებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური კრიზისი ევროზონის რამდენიმე ქვეყანაში მტკივნეულად აისახება მთლიანად ევროზონაზე და შესაძლოა მის ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუშალოს.

ევროზონის პრობლემების გადაჭრის კარდინალური მეთოდი წევრებს ცნობილმა ფინანსისტებმა და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა შესთავაზა და მისი წინადადების არსი მდგომარეობს მთელი ევროს ზონისათვის საერთო სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვებას ითვალისწინებს[21].

თუმცა, მიუხედავად რთული ეკონომიკური მდგომარეობისა ევროკავშირის ოფიციალური პირები არ ეთანხმებიან ამ იდეას, რაც ფაქტიურად ნიშნავს ძლიერი ეკონომიკების ხარჯზე სუსტი ეკონომიკების გადარჩენას და ამით სიტუაციის შემსუბუქებას. ამასთანავე, ამგვარი ობლიგაციების შექმნა ცალკეულ ქვეყნებზე ზეწოლას შეასუსტებს და ისინი თავიანთი დავალიანებების შემცირებაზე იმდენად აღარ იზრუნებენ. არადა, ამგვარი სიახლე სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს ვალების რეფინანსირების, დროის მოგების და ბიუჯეტის მეტ-ნაკლებად წესრიგში მოყვანის საშუალებას მისცემდა[22].

იდეა, რომელიც ევროპის ცენტრალური ბანკის წინადადების თან ახლავს არის შემდეგი[23]:

20 http://www.debatingeurope.eu/focus/arguments-for-against-eurobonds/#.VJEpMtKUf_Y

21 http://www.theguardian.com/business/2013/apr/09/eurozone-crisis-germany-eurobonds

22 http://www.spinelligroup.eu/article/eurobonds-are-only-answer-europes-crisis

23 http://europeansting.com/2013/07/09/european-banking-union-like-the-issue-of-a-eurobond/

ერთიანი ობლიგაციებისთვის შეიქმნება ფართო ინტეგრირებული ბაზარი, რომელიც მოცულობით და ლიკვიდურობით ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო ობლიგაციების ბაზარს არ ჩამოუვარდება.

ამ გეგმის თანახმად, ერთიანი ვალდებულებების გამოშვება გამოიწვევს „ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მნიშვნელოვან გაღრმავებას“ სამთავრობო დაფინანსების ახალი საშუალებების გამოშვების ხარჯზე. მისივე აზრით, ეს ობლიგაციები მაღალი სანდოობისა და ლიკვიდურობის გამო ინვესტორებს შორის მოთხოვნადი გახდება. ამ ინიციატივის წინააღმდეგ გამოდის ერთ-ერთი წამყვანი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გერმანია.

გერმანიის ოფიციალური პოზიცია შემდეგია: ერთიანი ობლიგაციების შემოღებას გერმანიისა და მთელი ევროკავშირისთვის ნეგატიური შედეგები ექნება, რადგან დავალიანების მქონე ქვეყნების წინაშე აღარ იდგება მწვავე აუცილებლობა, სასწრაფოდ შეამცირონ საბიუჯეტო დეფიციტი. გერმანია ევრობონდების შემოღებით ვერ მოიგებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოგებას ვერც მთელი ევროკავშირი ნახავს, რადგან ცალკეული ქვეყნების სახელმწიფო ვალები საერთო ვალებად იქცევა. დავალიანების მქონე ქვეყნებს მიზნად აღარ ექნებათ, რაც შეიძლება სწრაფად გაამყარონ ბიუჯეტები – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს შეარყევს მთელი ბლოკის სტაბილურობას[24].

ევროკომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ ევროზონის რეფორმირების ეტაპობრივი გეგმა წარმოადგინა, რომელიც უახლოეს მომავალში ბლოკში ერთიანი ფინანსთა სამინისტროს შექმნას ითვალისწინებს. დროთა განმავლობაში აღნიშნულმა სამინისტრომ შესაძლოა საკუთარი გადასახადების დაწესება და ობლიგაციების გამოშვება დაიწყოს. თუმცა, ამ ეტაპზე ასეთი დაახლოებისთვის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა ჯერ მზად არ არის.

ევროკომისიის ეს გეგმა ითვალისწინებს ევროზონაში სპეციალური ფონდის შექმნას ევროკავშირის ბიუჯეტის სახსრებიდან, რომელიც დახმარებას გაუწევს ქვეყნებს, მათ შორის ფინანსურსაც, განახორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს სახელმწიფოებში, რომლებიც ამას დამოუკიდებლად ვერ აკეთებენ[25].

ფონდის სახელწოდება იქნება „დაახლოებისა და კონკურენტუნარიანობის ინსტრუმენტი“ და ის სტაბილიზაციის ფონდის EFSF/ESM–ის მიერ უკვე აპრობირებულ ფორმულას დაეფუძნება. კერძოდ, დახმარების მისაღებად ქვეყნებისთვის აუცილებელი იქნება შეთანხმების დადება ევროკომისიასთან.

განსხვავება კი იმაშია, რომ მსგავსი კონტრაქტები ყველა ქვეყანასთან დაიდება, რომლებიც ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მოცულობის ევროპულ პარამეტრებს არღვევენ (პირველ შემთხვევაში ეს მშპ–ს 3 პროცენტია, მეორეში კი 60 პროცენტი).

შედეგად ევროკომისია მიიჩნევს, რომ 2018 წლისთვის, ამ ინსტრუმენტის საფუძველზე შექმნას „ფინანსთა სამინისტრო ევროკომისიის ფარგლებში,“ რომელსაც ექნება ვეტოს დადების უფლება მის წინაშე ანგარიშვალდებულების მქონე ქვეყნების საბიუჯეტო ინიციატივებზე, ასევე მათ ეროვნულ ბიუჯეტებში ცვლილებების მოთხოვნის შესაძლებლობა.

ბოლო ეტაპზე, 2018 წლისთვის, დაგეგმილია ევროზონის სრულმასშტაბიანი ბიუჯეტის შექმნა, რომელიც სავალუტო კავშირის პრობლემური ქვეყნების ნაციონალურ ბიუჯეტებს დაუჭერდა მხარს.

ევროკომისიას იმედი აქვს, რომ მისი წინადადებები დააკმაყოფილებს როგორც მკაცრი საბიუჯეტო დისციპლინის მომხრეებს, ისე მათ, ვისაც მიმდინარე პრობლემების ერთიანი ძალისხმევით მოგვარება სურს.

[24] http://euobserver.com/news/120605

[25] European Financial Stability Facility: http://www.efsf.europa.eu/about/index.htm

# სოფლის მეურნეობა

**ონერ ძაძუა**



## საცავი ტყის ზოლების გამოყენების ისტორია

მიწათმოქმედების ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიდი რუსი მეცნიერი მ. ლომონოსოვი, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მოითხოვ-და შექმნილიყო განსაკუთრებული კომისია, რომლის განკარგულებაში იქნებოდა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ამ იდე-ის განხორციელება არ მოხერხდა მ. ლომონოსივის გარდაცვალების გამო.

გვალვების შესწავლის პირველი ღირსშესანიშნავი შრომები გამოქ-ვეყნდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. გვალვების საწინააღმდეგო ღო-ნისძიებების შემუშავების მიზნით განსაკუთრებით აქტიურად ამოქმედ-დნენ რუსეთის მოწინავე მეცნიერები, ამ პერიოდისათვის გამოქვეყნდა დოკუჩაევის, კოსტიჩევის, ტიმირიაზევის, იზმაილსკის, ვოლკოვისა და სხვათა შრომები, რომლებშიც მოცემული და დასაბუთებული იყო ნიადაგის დამუშავების მეთოდები და ტენის შენარჩუნების წესები.

1892 წელს სატყეო დეპარტამენტთან ჩამოყალიბდა „რუსეთის სტეპების სატყეო და წყალთა მეურნეობის წარმოების სხავადასხვა წესისა და ხერხის გამოცდისა და აღრიცხვის ექსპედიცია", რომლის ხელმძღვანელობა ვ. დოკუჩაევს დაევალა. ექსპედიციამ მუშაობა ტყის გაშენებით დაიწყო.

1895 წელს დოკუჩაევმა გამოაქვეყნა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ექსპედიციის მიერ გაშენებული ტყის ზოლების გავლენის წინასწარი შედეგები.

დოკუჩაევი აქ მიუთითებდა, რომ ტყის ზოლები მკვეთრად ამცირებენ ქარის სიჩქარესა და ნია-დაგიდან ტენის აორთქლებას, ხელს უწყობენ ფართობებზე თოვლის შენარჩუნებას და მის თანაბარ განაწილებას, აზომიერებენ ტემპერატურას, ადიდებენ ტენიანობასა და სხვა.

უფრო გვიანმა და თანამედროვე გამოკვლევებმა, დოკუჩაევის მიერ გაშენებულ ტყის ზოლებ-ში, დაადასტურეს დიდი მეცნიერის შეხედულებათა სისწორე.

საცავი ტყის ზოლების გაშენების საქმემ საქართველოში კარგა ხნის წინათ მიიპყრო სოფლის მეურნეობაში მომუშავე პროგრესულ მოღვაწეთა ყურადღება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ 1871 წელს ისაია ფურცელაძეს, სოფ მერეთში, სამრეწველო მნიშვნელობის საკუთარი ბაღ-ვენახის დასაცავად შეუქმნია ქარსაფარი ზოლები. მას მოხერხებულად გამოუყენებია ველური ჭალის ტყე, რომლის ნაწილი გაუკაფავს და ნაკვეთზე ბაღი გაუშენებია, ნაწილი კი ბაღის დასაცავად ზოლების სახით დაუტოვებია.

ამ ზოლების ძირითადი ჯიში ჭალის მუხაა, მასთან შერეულია აგრეთვე იფანი, ხვალო, ცაცხვი, და ნაცარა მურყანი, არხისა და წყლის პირებზე ხელოვნურად ჩაუმატებიათ კაკლისა და ალვის ხეე-ბი.

ზოლი მდიდარია ქვეტყის ჯიშებით, როგორიცაა: შინდი, თხილი, კენკრა, კიდობანა, ასკილი, ხეჭრელი, კუნელი, შვინდანწლა, ჩიტვაშლა, კავკასიის მაჯაღვერი, კვრინჩხლი, კავკასიის ცხრატყა-ვა, ძახველა, თეთრი კატაბარდა, ცოცხალ ღობედ გამოყენებული ყოფილა გლედიჩია.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში საცავი ტყის ზოლების გაშენება ფარ-თოდ გაიშალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა „სა-ქართველოს ჩაის ტრესტმა". ჩაის საბჭოთა მეურნეობებში ეს სამაგალითო თაოსნობა ზემოთ მოხსე-

ნიებულ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჩაის მეურნეობებში წარმატებით ხორციელდებოდა, ჩაის მეურნეობები სრულიად უზრუნველყოფილი იყვნენ საცავი ტყის ზოლებით.

ამ საქმეს დაუფასებელი ღვაწლი დასდო დოც. ვ. მირზაშვილმა, რომელიც ჩაის მეურნეობებში საცავი ტყის ზოლების გაშენების მთავარი ხელმძღვანელი იყო, მისი დამსახურებაა მდგომარეობს იმაშიც, რომ მან ამასთანევე ერთად მეცნიერულად შეისწავლა როგორც საკუთარი ხელმძღვანელობით გაშენებული, ისე ძველად და უფრო ახალო წარსულში შექმნილი საცავი ტყის ზოლები მთელ საქართველოში. ამის საფუძველზე მან მოგვცა უაღრესად საყურადღებო მონაცემები ტყის საცავი ზოლების მიკროკლიმატზე და მოსავალზე დადებითი გავლენის შესახებ.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ტყის საცავი ზოლების გაშენება 1933 წლამდე აჩქარებულ უგეგმო ხასიათს ატარებდა ზოლების სქემები და კონსტრუქციები საფუძვლიანად დამუშავებული არ იყო. გასაშენებლად გამოყენებული მერქნიანი ჯიშებიდან ზოგი შეუფერებელი აღმოჩნდა. ასეთებია: კატალპა, აბრეშუმა, ლეგა კაცია და სხვა.

საცავი ტყის ზოლების გეგმიანი მშენებლობა დასავლეთ საქართველოში 1934 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდისათვის საქართველოში შემოტანილი იყო 50.000.000 ძირი ევკალიპტის სხვადასხვა სახეობების ნერგები და დაირგო დასავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე (აჭარა, აფხაზეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო) როგორც ტყის კორომები ასევე საცავი ტყის ზოლები.

გვალვასთან აქტიური ბრძოლის გატარების პირობები ჩვენში ოქტომბრის დიდი რევოლუციის შემდეგ შეიქმნა.

1918 წელს სახალხო კომისართა საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო შუა აზიაში საირიგაციო სამუშაოებისათვის 50 მილიონი მანეთის გამყოფის შესახებ.

1931 წელს მიწათმოქმედების კომისარიატთან ჩატარდა გვალვასთან ბრძოლის საკავშირო კონფერენცია.

კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები, მათ შორის დადგენილება საცავი ტყის ზოლების გაშენების შესახებ.

კომუნისტური პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საცავი ტყეების გაშენებას. ტყის გასაშენებლად ყოველწლიურად დიდძალ ხარჯებს იღებს, 1951-1955 წლების განმავლობაში მარტო კოლმეურნეობებში გაშენდა 1,5 მილიონი ჰექტარი საცავი ტყის ზოლები. სსრ კავშირის სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონებში დაიწყო სახელმწიფო საცავი ტყის ზოლების გაშენება; ასეული ათასობით გაშენებული ჰექტარი ახალგაზრდა საცავი ზოლები უკვე დადებით ზეგავლენას ახდენს მოსავლიანობის ზრდაზე.

1954-1956 წლებში 50 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით კოლმეურნეობები ტყის ზოლების გავლენით ღებულობენ საშუალოდ 2,8 ცენტნერით მეტ მოსავალს 1 ჰექტარზე, ვიდრე დაცვის გარეშე არსებულ ფართობებზე. მთელ რიგ რაიონებში მოსავლიანობის ნამატმა ექვს და მეტ ცენტნერსაც კი მიაღწია.

## ტყის ზოლების გავლენა ჰავასა და ნიადაგზე

ტყისა და ქარის ურთიერთგავლენა მეცნიერულად შესწავლილია და დამტკიცებულია, რომ ტყე ანელებს ქარის სიჩქარეს.

ტყის ქარშეკავებითი უნარი საფუძვლად დაედო მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების საქმეს.

ტყის ზოლების ქარშეკავებით ფუნქცია თავისთავად განაპირობებს დანარჩენ დაცვით ფუნქციებსაც, კერძოდ, მტვრიანი ქარების ალკვეთას, თოვლის საფარის დაკავებასა საავტომობილო გზრზე და ავტომაგისტრალებზე მის თანაბარ განაწილებას სასოფლო დანიშნულების ფართობზე,

ტენის შენარჩუნებას ნიადაგსა და ჰაერში, ტემპერატურის გაზომიერებას, ტრანსპირაციის შემცირებას და სხვა.

მიკროკლიმატზე ტყის ზოლების გავლენის შესწავლისას პირველ რიგში ყოველთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ თუ როგორი უნდა იყოს საცავი ზოლი, რომ მისი გავლენა რაც შეიძლება სასარგებლო იყოს სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის.

კერძოდ, საჭიროა შემდეგი ძირითადი მომენტების დადგენა:

1. ზოლის განლაგება ქარის მიმართ;
2. მანძილი ზოლებს შორის;
3. ზოლის სიგანე;
4. ზოლის კონსტრუქცია.

ტყის ზოლი უკეთ იცავს ფართობს ქარისაგან იმ შემთხვევაში, როცა იგი გაბატონებული ქარის პერპენდიკულარულადაა განლაგებული.

დადგენილია აგრეთვე: რომ ზოლის გავლენა ქარზე მით უფრო შორ მანძილზე ვრცელდება, რაც მეტია ზოლის სიმაღლე.

არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, რაც ჩატარებულ მეცნიერულ გამოკვლევებს ემყარება, ეს მანძილი ზოლის სიმაღლის პირდაპირპროპორციულია. ზოლის მაქსიმალური გავლენა ქარზე ვრცელდება სიმაღლის ათმაგ მანძილზე, მაგრამ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ზოლი ქარზე თავისი სიმაღლის ოცმაგ მანძილზე, მაგალითად, თუ ზოლის სიმაღლე 10 მეტრია, იგი მაქსიმალურ ზეგავლენას მოახდენს ქარზე ამ სიმაღლის ათმაგ მანძილზე, ანუ 10მX10მ=100 მეტრი.

ტყის ზოლის სიგანე დამოკიდებულია ზოლში ხეების დარგვის სიხშირეზე, რაც მეტი რაოდენობითაა ზოლის გრძივ პროფილში გამჭვირვალე ადგილები, მით მეტი უნდა იყოს მისი სიგანე ქარზე ზემოქმედების გადიდებისათვის ზოლის სიგანის გაზრდას აზრი აქვს გარკვეულ ზღვარზე, უფრო ფართო ზოლის გაშენებით ქარს უფრო მეტ წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ, ამავე დროს იზრდება ზოლების გაშენების ხარჯები და აგრეთვე, სოფლის მეურნეობის კულტურისათვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი სიდიდის ფართობის დანაკარგებიც.

ტყის ზოლის კონსტრუქციაში იგულისხმება მისი ფორმა (სართულიანობა) და შინაგანი აღნაგობა, ზოლის ქარდაკავებითი უნარი დამოკიდებულია კონსტრუქციაზე. გამოკვლევების თანახმად, კლიმატზე მთავარ გავლენას ახდენს არა ქარის სიჩქარის შემცირება, არამედ ჰაერის არევ-დარევის შემცირება; უფრო სწორად, ჰაერის ჰორიზონტალური მიმართულებით მოძრაობის სიჩქარის შემცირება უფრო ნაკლებად ზემოქმედებს მეტეოროლოგიურ პროცესებზე, ვიდრე ჰაერის უწესრიგო, გრიგალისებრი, ვერტიკალური მოძრაობის (ტურბულენტური მოძრაობის) შესუსტება.

ჰაერის ნაკადის გზაზე ტყის ზოლის ცხავისებრგამტარი კედლის დაყენებით გრიგალისებრი ნაკადი იშლება სუსტ ნაკადებად; გრიგალისებრი ნაკადის ასეთი დაშლა კი იწვევს ნადაგიდან აორთქლების შემცირებას, მცენარის ტრანსპირაციის პროცესის შენელებას, ნკლებად აიხვეტება თოვლი ფართობიდან, სუსტდება მტვრიანი ქარების გავლენა. (საავტომობილო გზები, ავტომაგისტრალები).

მსხვილი გრიგალისებრი ნაკადის დაქუცმაცებისათვის, მან უნდა გაიაროს ტყის ზოლში, ისე როგორც ცხავში, ამიტომ ტყის ზოლი აუცილებლად ქარგამტარი უნდა იყოს მთელ სიმაღლეზე, ნიადაგის პირიდან ხეების წვეროებამდე.

ტყის ზოლთან შეხვედრისას ქარის ნაკადის სიჩქარე მცირდება, იგი იცვლის მიმართულებას ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურისკენ, ნაკადის მეტი ნაწილი ზევიდან გადაევლება ზოლს, კალთაზე გადაივლის, ზოლის შიგნით კი მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ნაწილი გაივლის.

თუ ამ შემთხვევაში ზოლი ნაკლებქარგამტარია მასში გამავალი ნაკადის სიჩქარე მკვეთრად ეცემა, ჰაერის მეტი ნაწილი კალთის თავზე გადაივლის და ზოლის მოწინააღმდეგე ნაპირთან ახლო დაეცემა. ამ შემთხვევაში სიმყუდროვის ზონაც მცირე მანძილზე ვრცელდება. ჰაერის ნაკადის ზო-

ლის მეორე ნაპირიდან ახლო მანძილზე დაცემა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: საქარე მხრიდან ზოლზე დაწოლის გამო ჰაერის შეკუმშული მასა წარმოიქმნება, მოწინააღმდეგე მხარეზე კი ვინაიდან ნაკადი ზოლის შიგნით მცირედ გადის, პირიქით ჰაერის გაიშვიათება წარმოიქმნება.

კალთაზე გადავლილი გრიგალისებრი ნაკადიც სწორედ ამ გაიშვიათებულ არეში ეცემა ნიადაგისაკენ.

თუ ზოლი თხელია და ვიწრო, ცხადია, მასში ჰაერის ნაკადის მეტი ნაწილი გაივლის, ამიტომ ქარის სიჩქარე და მიმართულება ნაკლებად შეიცვლება და ცხადია ასეთი ზოლი ეფექტს ვერ მოგვცემს. ქარის გატარების ხარისხის მიხედვით შეიძლება გვქონდეს სამი სახის (კონსტრუქციის) საცავი ტყის ზოლი: 1. ქარგამტარი, 2. ქარგაუმტარი ანუ ქარტეხადი და 3. აჟურული (ნახევრად ქარგამტარი).

ქარტეხადი კონსტრუქციის ტყის ზოლი წარმოადგენს მერქნიანი ჯიშის ისეთ შეთანწყობას, როცა ზოლში არაა ცარიელი, გამჭვირვალე სივრცეები, რის გამო ჰაერის ნაკადი მასში თითქმის ვერ გადის, საშუალო სიმძლავრის ქარის დროს მყუდროდაა მხოლოდ ზოლის შიგნით და ქარის მიმართულების მოწინააღმდეგე ნაპირთან. სრული შეფოთვლის შემდეგ ქარგაუმტარი ზოლი ნიადაგიდან ხის წვეროებამდე მთლიან მწვანე კედელს წარმოქმნის.

ქარგამტარი კონსტრუქციის ტყის ზოლი ხასიათდება მსხვილი გამჭვირვალე სივრცეებით. უმეტეს შემთხვევაში ასეთ ზოლში მარტო ერთი სუმაღლის ხეებია და ვარჯების ქვეშ არაა ბუჩქები ან მოზარდი. ამგვარი ზოლის კალთის ქვეშ ქარს მხოლოდ ხის ღეროები უწევს წინააღმდეგობას.

აჟურული კონსტრუქციის ტყის ზოლი ხასიათდება გრძივ პროფილზე თანაბრად განაწილებული გამჭვირვლე სივრცეებით, ასეთი ზოლი ჰაერის ნაკადის 50-6 %-ს ატარებს.

ამგვარად, ტყის ზოლის კონსტრუქცია გამოსახავს ქარის გატარების ხარისხს, კონსტრუქცია დამოკიდებულია ზოლის სიხშირეზე, სიგანეზე, სიმაღლეზე, ჯიშთა შემადგენლობაზე, სართულიანობაზე და სხვა.

ჩამოთვლილი სამი კონსტრუქციის ტყის ზოლის გავლენა ქარის სიჩქარეზე სხვადასხვა, ქარტეხადი ზოლის პირზე სრული მყუდროებაა, მაგრამ შემდეგ ქარის სიჩქარე მკვეთრად მატულობს.

აჟურული კონსტრუქციის ზოლის შემთხვევაში ნაპირთან მყუდროება ნაკლებადაა გამოსახული; დაახლოებით ზოლის სიმაღლის 3-ჯერად მანძილზე ქარის სიჩქარე ეცემ, შემდეგ ასეთივე ტემპით მატულობს დაახლოებით ზოლის სიმაღლის 6 ჯერად მანძილზე, საიდანაც სიჩქარის მატება შენელებულსა და თანაბარ ხასიათს ღებულობს.

ქარგამტარი ზოლის პირთან ქარის სიჩქარე უმნიშვნელოდაა შემცირებული, სიჩქარის ეს უმნიშვნელო შემცირება წარმოებს ზოლის სიმაღლის 6-7 ჯერად მანძილზე, რის შემდეგ სიჩქარე მატულობს.

ქარის სიჩქარეზე აჟურული ზოლის განხილული გავლენა ძალაში რჩება მაშინ, როცა ზოლი ქარის მიმართ $90^0$ კუთხითაა განლაგებული, მაგრამ თუ აჟურული ზოლი გაბატონებული ქარის მიმართ გარკვეული კუთხითაა დახრილი, ცხადია ქარს ამ შემთხვევაში ზოლში მანძილის გავლა უხდება, რის გამო გამჭვირვალე სივრცეები მცირდება.

ასე განლაგებული აჟურული ზოლი დაახლოებით ქარგაუმტარი ზოლის თვისებას ამჟღავნებს.

აჟურული ზოლის შემთხვევაში ქარის სიჩქარის შენელების მინიმუმი მართალია ისე მკვეთრად არაა გამოსახული, როგორც ქარგაუმტარ ზოლში, სამაგიეროდ ვინაიდან ჰაერგაიშვიათებასთან არა გვაქვს საქმე მყუდრო ზონა შორ მანძილზე ვრცელდება და ცხადია ასეთი ზოლი გაცილებით უფრო სასარგებლოა.

რაც შეეხება ქარგამტარ ზოლს, იგი როგორც აღინიშნა ჰაერის ნაკადის უმნიშვნელო ნაწილს აკავებს და ამიტომ სარგებლობით აჟურულ ზოლს ვერ შეედრება, თუმცა გრიგალისებრ ნაკადს არ

წარმოქმნის, მსგავსად ქარგაუმტარი ზოლისა და ამიტომ ამ უკანასკნელთან შედარებით შეიძლება უპირატესობა მას მიეცეს.

ვ. ბოდროვის მიხედვით მაქსიმალური სიმყუდროვის ზონას იძლევა ისეთი ზოლი, რომელიც ჰაერის ნაკადის ერთ მესამედს ატარებს.

ტყის ზოლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ აორთქლებაზეც , ზოლებს შორის არსებულ მინდვრებზე, სადაც ქარის სიჩქარე შემცირებულია და ჰაერის გრიგალისებრი მოძრაობა უფრო სუსტია, ნიადაგიდან უშუალო აორთქლებაც შემცირებულია, აქ ნიადაგში ტენი უკეთ ინახება, მისი არაპროდუქციული ხარჯვა 1/3-მდე მცირდება. დაუცველ ფართობზე კი ნიადაგის ტენის მეტი ნაწილი არაპროდუქციულად იხარჯება, ანუ იგი უშუალოდ ნიადაგიდან აორთქლდება.

დადგენილია, რომ ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქების დაუცველ ღია მინდვრებზე ნიადაგის ტენის ორი მესამედი არაპროდუქციულად იხარჯება და მხოლოდ მისი ერთი მესამედი გამოიყენება სოფლის მეურნეობის კულტურის მიერ (პროდუქციული ხარჯვა).

გ. ბასოვის გამოკვლევების თანახმად, ზოლებს შორის ფართობებზე ნიადაგიდან აორთქლება 34 წლის მანძილზე თანდათან კლებულობს და ზოლის ზრდასთან ერთად და საბოლოოდ 50%-ით შემცირდა, რაც ნათლად ჩანს ცხრილიდან.

**ტყის ზოლების გავლენა აორთქლებაზე (ბასოვის მონაცემებით)**

| დაკვირვების წლები | საშუალო აორთქლება ვილდით (%-ობით) | |
|---|---|---|
| | მაის-სექტემბრის განმავლობაში | წლის განმავლობაში |
| 1894-1899 წ.წ. | 726 | 872 |
| 1902-1903 წ.წ. | 574 | 738 |
| 1918-1928 წ.წ. | 390 | 497 |

ტყის ზოლები ამასთან ერთად ანელებენ ტრანსპირაციას, აზომიერებენ ტემპერატურის რეჟიმს, საგრძნობლად ამცირებენ ზაფხულის სიცხისა და შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულის ყინვების მავნე გავლენას.

ქარის სიჩქარის შემცირების შედეგად ტყის ზოლები ზოლთაშორისებში აკავებენ წყლის ორთქლს, რომელიც მცენარეების ტრანსპირაციისა და ნიადაგაიდან აორთქლებით წარმოიქმნება. ამის შედეგად ზოლთშორის ფართობებზე ჰაერის აბსოლუტური ტენიანობა 1 მმ-ია, ხოლო ზოლის ახლოს კი 5 მმ-ით მეტია, ვიდრე დაუცველ ფართობზე. ფარდობითი ტენიანობა კი ზოლთაშორის ფართობზე 3%-5%-ით, ხოლო ზოლის ახლოს 10-12% მეტია, ვიდრე ღია დაუცველ ფართობზე. ვ. ბოდროვის მონაცემებით საღამოს საათებში ჰაერის ფართობითი ტენიანობის სხვაობა ზოგჯერ 30%-მდეა.

ტყის ზოლების ზემოქმედებით ქარის სიჩქარისა და ჰაერის გრიგალისებრი ნაკადების შეზღუდვა დადებითად ვლინდება იმ მხრივაც, რომ ზოლებს შორის ფართობზე თოვლის ახვეტა არ წარმოებს, თოვლის საფარი გაზაფხულამდე ადგილზე რჩება და ნადნობი წყალი ნიადაგში ჩაიჟონება.

ვინაიდან ცალკეული კონსტრუქციის ზოლი ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე თავისებურ გავლენას ახდენს, ამასთან დაკავშირებით მათი გავლენა თოვლის საფარის განაწილებაზეც თავისებურია.

ქარგაუმტარ ზოლთან წარმოქმნილი გრიგალისებრი აღმავალი ნაკადი თოვლის მაღალ ფენას (ნამქერს) წარმოქმნის ზოლის წინ და თვით ზოლში. ზოლის მეორე მხარეზე თოვლის საფარი თქხელ

ფენად ძევს. (ამ კონსტრუქციის საცავი ზოლების გაშენება აუცილებელია მაგისტრალური გზების გასწვრივ ქარების მიმართულების პერპენდიკულარულად).

შედარებით თანაბრად ლაგდება თოვლი ქარგამტარი ზოლის შემთხვევაში, მაგრამ გაცილებით უფრო თანაბრად – აჟურულ ზოლთან.

რაც უფრო მცირეა ზოლთაშორისი ფართობი, მით მეტი გროვდება მასზე თოვლი, კერძოდ, 100-ჰექტარიან მინდორზე თოვლი 14%-ით მეტია, ვიდრე ზოლებით დაუცველ ღია ველზე, 20-ჰექტარიან მინდორზე კი 32%-ით მეტი, ვიდრე ღია ველზე.

თოვლის განაწილება ფართობზე გარდა ზოლის კონსტრუქციისა სიგანის, სიმაღლისა და ზოლებს შორის მანძილისა, დამოკიდებულია აგრეთვე ქარის ძალაზე, ქარბუქის სიხშირეზე, თოვლის თავისებურებასა (მშრალი, სველი) და რაოდენობაზე.

იქ, სადაც დიდი რაოდენობით მოდის თოვლი, რომელიც ამავე დროს მშრალია და ფხვიერი, ზოლის გავლენა მის განაწილებაზე უფრო თვალსაჩინოა.

ღრმა და ფხვიერი თოვლის საფარი, მინდვრებზე ზოლებს შორის ნიადაგს იცავს გაცივებისაგან და მასში წყალი არ იყინება იმდენად ღრმად, როგორც დაუცველ ფართობზე, ველზე არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ტყეების ზონაში იანვარ-თებერვალში თოვლით დაფარული ნიადაგი $6^{0}$-ით უფრო თბილია, ვიდრე თოვლისაგან გაშიშვლებული ნიადაგი. ტყის ზოლები ახანგრძლივებენ თოვლის დნობას, რაც ხელს უწყობს ნიადაგში ტენის დაგროვებას.

ზოლებს შორის ქარის სიძლიერის შენელება და აგრეთვე იმის გამო, რომ ზოლებს შორის ნიადაგი უფრო ტენიანია, მტვრიანი ქარიშხლების წარმოქმნის შემთხვევები საგრძნობლად მცირდება.

საცავი ტყის ზოლები დადებით გავლენას ახდენენ გრუნტის წყლების რეჟიმზეც. გ. ბასოვის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ გაზაფხულის პერიოდში „კამენაია სტეპში“ ტყის ზოლების ქვეშ გრუნტის წყლების დონე მაღალი იყო, ვიდრე მინდორში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ტყის ზოლების გავლენა ნიადაგთწარმოქმნის პროცესებზე. ა. ბოიკოს გამოკვლევებით ტყის ზოლებს შორის ფართობებზე მატულობს ნეშომპალაში აზოტისა და მისი მოძრავი ფორმების რაოდენობა.

## საცავი ტყის ზოლების როლი მოსავლის გადიდების საქმეში

სოფლის მეურნეობის – სრულყოფილად მეცნიერული დაგეგმვა მაშინაა შესაძლებელი, როცა დაწვრილებით შესწავლილია ყოველი რაიონის თავისებურებანი, მისი ეკონომიკა, კლიმატი, ნიადაგები და სხვა ბუნებრივ-ისტორიული პირობები.

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობებზე სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდის სერიოზულ ხელშემშლელ მოვლენად ითვლება გვალვები, ძლიერი ცხელი ქარები, უკიდურესი მაღალი და დაბალი ტემპერატურები, შემოდგომის ნაადრევი და გაზაფხულის წაყინვები.

ბუნების ეს მავნე მოვლენები საოჯახო მეურნეობები, ფერმერულ მეურნეობებსა კოოპერატივებშიც ამცირებს მოსავლიანობას. ამიტომ, სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებებში, მაღალი მოსავლის მიღებისათვის მუშაობის პირობებში გათვალიწინებული უნდა იყოს ამ მოვლენებთან ბრძოლაც.

გვალვა ატმოსფერული მოვლენაა. მცხუნვარე მზე და ხანგრძლივი უავდრობა – აი რა არის გვალვა, როცა ტენის უკმარისობის შედეგად მცენარე ილუპება.

ერთმანეთისაგან ასხვავებენ „ატმოსფერულსა“ და „ნიადაგის“ გვალვას. „ატმოსფერული“ გვალვა ჰაერის ფარდობითი ტენიანობის ძლიერი შემცირების შედეგია, ამ დროს მკვეთრად დიდდება ტრანსპირაციის პროცესი. თუ ნიადაგში საკმაო რაოდენობითაა ტენი, მცენარე ჰაერის სიმშრა-

ლეს იტანს, მაგრამ ხანგრძლივი „ატმოსფერული“ გვალვა საბოლოოდ ნიადაგს აშრობს და რიგ შემთხვევაში მცენარის დაღუპვასაც.

გვალვების ზემოქმედება მცენარეზე განსაკუთრებით საზიანოა ყვავილობიდან ნაყოფის გამონასკვამდე, როცა მოსავალი მკვეთრად ეცემა და ამვე დროს მნიშვნელოვნად უარესდება მისი ხარისხი.

გვალვები დამახასიათებელია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის მთელი ტერიტორიისათვის, უკიდურესი ჩრდილოეთის გარდა.

იშვიათად გვალვას ისეთი მხარეების ტერიტორიაც მოუცავს, როგორიცაა კარელია-ფინეთის, ფსკოვის, ლენინგრადის, ნოვგოროდისა და მოსკოვის ოლქები.

გვალვიანი წლების რიცხვი კანონზომიერად იზრდება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. შუა აზიის რესპუბლიკების ვაკეზე თითქმის ყოველწლიურად გვალვებია.

გვალვიანი რაიონებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მშრალი, ცხელი ქარები; თუმცა ასეთი ქარები გამორიცხული არ არის ზოგიერთი არაგვალვიანი რაიონებისათვისაც. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისისა და ზემო იმერეთის რაიონების ტერიტორიაზე ხშირად მეორდება ცხელი ქარები, ზამთარში და ადრე გაზაფხულზე აქ ფიონი, ანუ ადგილობრივი სახელწოდებით ზენა ქარი, სწრაფად ადნობს თოვს და აშრობს ნიადაგს იმდენად, რომ ხვნა-თესვის წარმოება ძნელდება.

ზაფხულში ქუთაისის რაიონში ზენა ქარის დროს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ხშირად ეცემა 10%-ზე ქვემოთაც კი და თუ ქარი არ შეწყდა, ერთი კვირის განმავლობაში, იმერეთის ტერიტორიაზე არსებულ მცენარეულობას საგრძნობ ზიანს აყენებს, აშრობს, შუშავს და უდროოდ აცვენს ძვირფასი კულტურების ფოთოლსა და ყვავილს, ნასკვსა და ნაყოფს, იწვევს ნაყოფიერების მექანიკურ დაზიანებას, რითაც მოსავლის ხარისხი ეცემა, ქუთაისის შემოგარენში ცხელი ქარიანი დღეების რიცხვი საშუალოდ 100 დღემდე აღწევს წელიწადში.

მზესუმზირას ან სიმინდის ერთი ძირი ზაფხულის განმავლობაში აორთქლებს 200-250 კილოგრამ წყალს, ზოგჯერ 500-მდე კილოგრამსაც.

ფოტოსინთეზის პროცესისათვის ორგანული ნივთიერების ყოველი 1 გრამის (მშრალი) შესაქმნელად საჭიროა მხოლოდ 0,5 გრამი წყალი ანუ 600-ჯერ ნაკლები, ვიდრე ის ნამდვილად აორთქლებს.

ტენი მცენარისათვის აუცილებელია მისი ქსოვილების დრეკადობისათვის (ტურგორი), რაც მას ქარისადმი გამძლეობის უნარს მატებს და წყალი აგრეტთვე აუცილებელია საკვები ნივთიერებების გადასამოძრავებლად მცენარის ორგანიზმში.

მცენარის სასიცოცხლო პროცესისათვის საჭიროა წყალი მის მიერ ნიადაგიდან მიღებული წყლის საერთო რაოდენობის მხოლოდ 1-0,2%-მდე შეადგენს.

მცენარის მიერ წყლის ასეთი არარაციონალური ხარჯვა აიხსნება არა ფიზიოლოგიური საჭიროებით, რამედ გარემოს გარემოს ფიზიკური თავისებურებებით.

მშრალ და ცხელ ამინდში მცენარეში ძლიერდება აორთქლების პროცესი, რაც მცენარეს გადახურებისა და დაღუპვისაგან იცავს.

ატმოსფეროს ჰაერის ფარდობითი ტენიანობა თითქმის არასოდეს არ აღწევს 100%-მდე (წყლის ორთქლით სრული გაჯერება) და ამიტომ ჰაერი მცენარეს ენერგიულად ართმევს ტენს, ამავე დროს ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით მეტი წყლის ორთქლია საჭირო ჰაერის გასაჯღენთად, ანუ ტემპერატურის მომატება ამცირებს ფარდობით ტენიანობას, ამის შედეგად ჰაერი მცენარეს კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით ართმევს ტენს.

თუ წყლის ასეთი დაკარგვის კომპენსაცია, ნიადაგში წყლის სიმცირის შედეგად ძნელდება, მცენარეს გაძლიერებული ტრანსპირაციის გამო დიდი სიძნელის გადალახვა უხდება, როცა გვალვა ხანმოკლეა მცენარე არ იღუპება, მაგრამ იგი სუსტდება, ნელა იზრდება და წვიმის მოსვლის შემდეგაც კი ძნელად უბრუნდება ნორმალურ ზრდას, მაგრამ როცა გვალვა ხანმოკლეა, მცენარე დაბეჩავებიდან თანდათან ჭკნობაში გადადის და ბოლოს იღუპება.

წლის დროის მიხედვით არჩევენ, გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის გვალვებს.

გაზაფხულის (აპრილი, მაისი) გვალვები ემთხვევა პურეული კულტურების დათვალიერების საწყისს. ამ დროს გვალვა მცენარის ზრდა-განვითარებას აჩერებს, მაგრამ წვიმების მოსვლის შემთხვევაში (მაისის ბოლოს) მას კიდევ შეუძლია გამოსწორება.

ზაფხულის გვალვები მნიშვნელოვნად ამცირებენ ნაადრევი კულტურების მოსავალს და აჩერებენ გვიანი კულტურების ზრდა-განვითარებას.

შემოდგომის გვალვების შედეგად შეიძლება დაზიანდეს ამ დროს ნათესი კულტურები.

ზოგჯერ ასეც ხდება: ამწვანებულია ნათესები, პურეული კულტურები დათავთავიანებულებია, მაგრამ ცხელი და მშრალი ქარის შედეგად ხმება ფოთლები, თავს ხრიან თავთავები, რაც ნიშნავს, რომ მარცვალი ფშუტე იქნება.

ტყის ზოლების დაცულ ფართობებზე მიკროკლიმატისა და ნიადაგობრივი პირობების გაუმჯობესება, თოვლის საფარის შენარჩუნება და ფართობზე თანაბარი განაწილება განაპირობებს სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის ზრდას, რაც უამრავი ფაქტიური მონაცემებით დასტურდება.

ს. მგალობლიშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით 1934 წელს მაისის პირველ დეკადაში წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ქარის სიჩქარე ზოგჯერ აღწევდა 25 მეტრს წამში, რასაც დაუცველ ფართობებზე ჩაის ნორჩი დუყები და ფოთლები საგრძნობლად დაუზიანებია.

ჩაის ფოთლის პირველი კრეფის პერიოდში მოსავლის 75% დაიღუპა, ხოლო რაც მოიკრიფა, მხოლოდ და მხოლოდ, მესამე ხარისხისა იყო.

მშრალი და ცხელი ქარები სწრაფად აუხეშებენ ჩაის ახალგაზრდა დუყებს.

ს. ამგალობლიშვილის მონაცემებით საცავი ტყის ზოლები ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ჩაის ბუჩქზე ახალგაზრდა ყლორტების განვითარებისათვის და ასკვნის, დაუცველი ბუჩქების მოსავალთან შედარებით ტყის ზოლებით დაცული ბუჩქების მოსავალი საგრძნობლად იზრდება.

საცავი ტყის ზოლების მოსავალზე დადებითი გავლენის ძვირფასი მონაცემები აქვს მიღებული ვ. მირზაშვილს. მის მიერ ჩატარებულო გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ ზოლით დაცულ ფართობზე დაუცველთან შედარებით სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის შექმნილია გაცილებით ხელსაყრელი პირობები, რის გამო მკვეთრად იზრდება მოსავლიანობა, კერძოდ, ჩაის ბუჩქის ყლორტის საშუალო სიგრძე მეტია 36%-ით; ერთიორად და მეტადაა აცილებული კვირტების გაყრუება, ფოთლის წვა და ფოთოლცვენა; ჩაის ფოთლის მოსავლის ზრდა 25% (ოჩხამური) – 45% (წულუკიძე) აღწევს, 8-15% იზრდება ფოთლის ხარისხი.

საინტერესოა ვ. მირზაშვილის მონაცემები ქართლის რაიონების საცავი ზოლების შესახებ. ამ მონაცემებით ზოლიდან ამ უკანასკნელის 10-12 ჯერად მანძილზე მოსავლის მაჩვენებლები მაღალია, შემდეგ კი მოსავლის მაჩვენებლები თანდათან მცირდება და ზოლის სიმაღლის 15-20 ჯერად მანძილზე საშუალო მაჩვენებლებს უახლოვდება ზოლიდან ამაზე უფრო შორ მანძილზე მოსავლის მაჩვენებლები დაბალი მოსავლიანობის დონემდე ჩამოდის (ხეხილის ბაღებში).

ასეთი სხვაობა დაცული და დაუცველი კულტურების მოსავლიანობებს შორის მიღებულია სარწყავ ფართობებზე, კიდევ უფრო მკვეთრია სხვაობა მოსალოდნელი ურწყავ ფართობებზე.

პ. ვადაჭკორიას მონაცემებით ზოლებით დაუცველ ფართობზე ჩრდილო-აღმოსავლეთის ძლიერი ქარის გავლენით მანდარირინის ხეს ქარის მხრიდან დაუკარგავს ფოთლების 90% და ზლიერ

დაზიანებია ტოტები და ყლორტები, ამავე მხარეზე ხეზე შერჩენილა ნაყოფის მხოლოდ 36%, ქარის საწინააღმდეგო მხარეზე კი 64%.

ამავე გამოკვლევებით ზოლებით დაცულ მანდარინის ხეებზე მოუკრეფიათ საშუალოდ 613 ნაყოფი, ხოლო დაუცველ ხეებზე – 383 ნაყოფი.

კ. თარგამაძისა და ლ. ფარჯნაძის ცნობით 1950 წელს ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში ტყის ზოლების ზეგავლენით ზამთრის დიდ ყინვებს გადაურჩა მანდარინის ნარგავების მნიშვნელოვანი ნაწილი, ამავე დროს ზოლების დადებითი ზეგავლენით საგრძნობლად გაიზრადა მოსავალი დაუცველ ფართობზე გახმობისაგან გადარჩენილს ნაყოფი სრულიად არ ესხა. დაცულ ფართობზე კი ერთ ძირ მანდარინზე საშუალოდ შენარჩუნებული იყო 400-500 ცალი ნაყოფი.

ტყის ზოლების გავლენა დიდია სათიბებზეც.

ვოლგოგრადის ოლქის ნაევარუდაბნოს ზონაში დაცვითი ტყის ზოლების გავლენით მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის ზრდა, იმის მიხედვით თუ რა ხნოვანებისაა ზოლი, 58-130%-ია (ეუიტინგენი).

ტყის ზოლების დადებით შედეგებზე მიგვითითებს საზღვრგარეთ ჩატარებული გამოკვლევებით მიღებული ცნობებიც.

ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების დეპარტამენტის 1949 წლის ანგარიშის მიხედვით ერთმწკრივიანი ზოლით დაცული მინდორი იძლევა მოსავლის იმდენ სუფთა ნამატს, რამდენიც მოდის ისეთ ფართობზე, რომლის სიგრძე ზოლის სიგრძის ტოლია, სიგანე კი ზოლის სიმაღლისა (ხორბალი).

ოკლახომსა და ტეხასში (ჩრ. ამერიკის შეერთებულიმშტატები) 8 უბანზე ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით ბამბის მოსავალი ზოლის 5 ჯერადი სიმაღლის მანძილზე (ზოლიდან) გაზრდილა 17,4%-ით, ხოლო სიმაღლის 5-დან 10 ჯერად მანძილზე კი 7,9%-ით, საკონტროლო (დაუცველი) ფართობის მოსავალთან შედარებით.

დაცვითი ტყის ზოლების დადებითი გავლენა მოსავლიანობის ზრდაზე უფრო ეფექტურად ვლინდება მაღალი მოწინავე აგროტექნიკის გამოყენების პირობებში.

## საცავი ტყის ზოლების გაშენება

საცავი ტყის ზოლების გაშენება ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: 1) მსხვილი სახელმწიფო ტყის ზოლების შექმნა, 2) საოჯახო ფერმერული და კოოპერატიული მეურნეობების საცავი ტყის ზოლების შექმნა და 3) ეროზიის საწინააღმდეგო ტყის ზოლების შექმნა.

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ქარისმიერი და წყლისმიერი) გარემოს დაცვის სამინისტროს სატყეო მეურნეობისა და სამონადირეო მეურნეობის, მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუსის მიერ შემუშავებული მთითებების მიხედვით[26] სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების გაშენებისათვის მიწის ფართობების გამოყოფას აწარმოებენ ბრიგადები, რომლებიც ორი მიწათმოწყობის, მეტყევის, ნიადაგმცოდნისა და კლიმატოლოგისაგან შედგება.

საველე სამუშაოებზე გასვლამდე ვბრიგადები ეცნობიან და აგროვებენ სათანადო საგეგმოკარტოგრაფიულ, ნიადაგიების, ჰიდრომელიორაციული გამოკვლევების მასალებს და დაიტანენ გეგმებზე (პლანშეტებზე) ზოლების საპროექტო მიმართულებას, აზუსტებენ მიწათმოსარგებლეებს, რომელთა ხარჯზე უნდა მოხდეს ამ დანიშნულებისათვის მიწების გამოყოფა.

[26] ძირითადი მითტებანი სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების და პროექტებისათვის და აგრომითითებანი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის დაცვითი ტყის ზოლების გაშენება-მოვლისათვის, თბილისი, 1960.

სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლების სიგანედ აღმოსავლეთ საქართველოსათვის დაწესებულია 40-50 და 60 მეტრი: დასავლეთ საქართველოსათვის კი 50, 100 და 200 მეტრი.

მოცემული სიგანის ტრასაზე მიწების გამოყოფა წარმოებს იმ ანგარიშით, რომ ზოლისათვის გამოსაყოფ ფართობში არ მოხვდეს სახლები, ბაღები და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. დასახლებული ადგილების და მრავალწლიანი ნარგავების შემოვლის მიზნით ტრასა გადააქვთ ერთ ან მეორე მხარეზე, ძირითადი მიმართულების პარალელურად ორი კილომეტრის ფარგლებში, ტრასის ძირითადი მიმართულების პარალელურად გადატანის შეუძლებლობის შემთხვევაში დასაშვებია გადახრა $30^0$ ფარგლებში.

ტრასის მიმართულებაზე მაღლობებისა და ქედების შეხვედრის შემთხვევაში ტრასამ წყალგამყოფის გამოყოლებით უნდა გაიაროს, ხოლო კლდოვანი ან გამორეცხილი ნიადაგების ადგილების შეხვედრის დროს კი ტრასა გააქვთ ერთ ან მეორე მხარეს.

მეტყევე, ნიადაგმცოდნესთან და მიწათმოწყმწყობთან ერთად ადგილზე აზუსტებს სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლის მიმართულებას ადგილობრივი პირობების გათვალისიწნებით (რელიფი, დასახლებული ადგილები, მრავალწლიანი ნარგავები და სხვა).

ნიადაგმცოდნე აწარმოებს ტრასაზე გამოყოფილ ფართობზე ნიადაგების დეტალურ გამოკვლევას იმ ანგარიშით, რომ ას ჰექტარ ფართობზე გააკეთოს 2-3 ჭრილი (ორმო), ხოლო 8-10 ჰექტარზე 1 მეტრი სიღრმის შურფი ნიადაგის გენეტიკური ფენების აღწერით.

მიწათმომწყობები ტრასაზე გავლის დროს აწარმოებენ გამოყოფილი ზოლის ფარგლებში საგეგმო მასალების კორექტირებას, ზუსტად დააქვთ გეგმაზე გამოსაყოფი ფართობების საზღვრები და მიწის სავარგულები.

სახელმწიფო საცავი ტყის ზოლების პროექტში მოცემული უნდა იყოს ზოლების მიზნობრივი დანიშნულება, თითოეული ზოლის ბუნებრივ ისტორიული პირობების (ოროგრაფია, კლიმატი, ჰიდროგრაფია, ნიადაგები, მცენარეულობა) და ეკონომიკური პირობების დახასიათება, ტყის დარგვის სამუშაოების მოცულოა,გასაშენებელი მერქნიანი ჯიშების ასორტიმენტი და ტყის კულტურების ტიპები, მათი გაშენებისა და მოვლის აგროტექნიკა, საჭირო სარგავი მასალის რაოდენობა წლების მიხედვით, სამელიორაციო-დასაშრობი და მორწყვის სამუშაოთა და საჭირო გზების მშენებლობის მოცულობა, მოთხოვნილება მანქანა-იარაღებზე და მუშახელზე, კაპიტალდაბანდებანი ზოლების გაშენებასთან დაკავშირებული სამუშაოებისათვის.



სახელმწიფო საცავი ტყის ზოლების კარტოგრაფიული მასალა დგება 1-10000 მასშტაბით. გეგმაზე რელიეფის დატანა წარმოებს ჰორიზონტალებში.

# ნორჩი ათინათელები

**ანი გურგენიძე**

## ინტერვიუ ირინე გელაშვილთან

ირინე გელაშვილი – ეს სახელი ბოლო ათეული წელია ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ პარტიასთან ასოცრდება. დღეს ხაშურში ნებისმიერ მოქალაქეს თუ კითხავთ, ვინ არის ირინე გელაშვილი, გიპასუხებენ, რომ იგი „რესპუბლიკელია“ და თუ პირიქით იკითხავთ ვინ წარმოადგენს რესპუბლიკურ პარტიას ხაშურში, პასუხი იქნება-ირინე გელაშვილი!



დაიბადა 1970 წელს ქ. ხაშურში. დაამთავრა ქ. ხაშურის მე-4 საშუალო სკოლა, შემდეგ კი წარჩინებით დაამთავრა 64-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. სასწავლებელის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქ. როსტოვის სარკინიგზო-საინჟინრო ინსტიტუტში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩაირიცხა და დაამთავრა თბილისის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტი.

2007 წლდან არის „რესპუბლიკური პარტიის“ ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯომარე ხოლო 2016 წლიდან ირჩევენ პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრად.

2012-2014 წლებში ქალბატონი ირინე იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე. 2014 წელს არჩეული იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად სურამის მაჟორიტარული ოლქიდან.

ირინე გელაშვილი პარალელურად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო უწყებებთან ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. მონაწილეობს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმებში. მისი თაოსნობით მუნიციპალიტეტში წამოიწყო კამპანია ძუძუს კიბოს პრევენციისთვის.

დღეს ძალაინ აქტუალურია ქალების მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკაში, და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, გაგაცნოთ რას ფიქრობენ ქალები დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, როგორ მიაღწიეს მათ წარმატებას და რა მიზნები მომავალში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის „ნორჩ ჟურნალისტთა“ კლუბის წევრი, ანი გურგენიძე ესაუბრა ქალბატონ ირინეს და გთავაზობთ ამ ბლიც-ინტერვიუს.

***– ქალბატონო ირინე, თქვენი დევიზი?***

– მეტი ქალი პოლიტიკაში.

***– რა გახდა თქვენი პოლიტიკაში მოსვლის მიზეზი?***

– ბავშვობიდან განსხვავებული აზრის მქონე ადამიანი ვიყავი, ამას დაემატა ისიც,რომ მომიწია წლების მანძილზე სამშობლოდან მოშორებულს, საზღვარგარეთ მეცხოვრა. საქართველოში დაბრუნების სურვილი ყოველთვის მქონდა და დავბრუნდი კიდეც; მინდოდა ჩემი სათაყვანებელი ქვეყანა უკეთესი მენახა, ევროპული ქვეყნების მსგავსად და გადავწყვიტე,ჩემი წვლილიც შემეტანა ამ საქმეში; უბრალო აქტიური მოქალაქიდან პოლიტიკოსობამდე ძალიან რთული გზა გამოვიარე; მიზეზი კი იყო სამშობლოს სიყვარული და მის კეთილდღეობაზე ფიქრი.... და ჩემი ქალაქის წინსვლისათვის ბრძოლა...

***– თქვენი უდიდესი გამარჯვება?***

– ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 2015 წელს, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის საკრებულოს წევრ ქალებს შევხვდით და გამოცდილებები გავუზიარეთ ერთმანეთს.

***– ვინ იყო თქვენთვის სამაგალითო ქალი, ვინც განსაზღვრა თქვენი სამომავლო გეგმები?***

– იცით, ჩემთვის სამაგალითო ქალია ქალბატონი ნინო გვენეტაძე...რომელიც არის ძლიერი ქალის სახე დღევანდელ რეალობაში...მან შეძლო და წარმოუდგენელი სიძლიერით დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ის ფაქტორი, რომ ხარ ქალი – არ არის ხელისშემშლელი, თუკი სწორ გზაზე ივლი.

***– თქვენი აზრით რით გავნსხავდებით ქალები მამაკაცებისაგან?***

– რითი?...იცინის........უფრო მეტი ნებისყოფა გვაქვს ქალებს, მოთმინების უნართან ერთან ერთად.. მშვიდობის მოყვარულები ვართ ქალები და ეს ბევრს ნიშნავს...

***– თქვენი ოცნება?***

– არა..ოცნება არ მაქვს, საკმაოდ რეალისტი ადამიანი ვარ!

***– ..... გენატრებათ?***

– დედა.... და ბავშვობის მეგობრები..

***– რა არის თქვენი წარმატებს საიდუმლო?***

– ყველთვის ვმუშაობ საკუთარ თავზე... მე გამოვცადე ჩემი თავი, თუ როგორ შემიძლია ერთგულება და სირთულეების დაძლევა.. ყოველთვის ვიბრძოდი და ვცდილობდი გამეკეთებინა უფრ მეტი და მეტი...



**ირინა გელაშვილი და დავით უსუფაშვილი**

***– სამომავლო გეგმები პოლიტიკასთან დაკავშირებით?***

– შესაძლოა ნაადრევიც იყოს, მაგრამ თქვენთან ვიტყვი პირველად.. ვფიქრობ რომ საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარად ვიყარო კენჭი!

***– სურვილები მომავალ თაობას?***

– ახალგაზრდებს ვუსურვებ ისწავლონ, იშრომონ, იპოვნონ საკუთარი თავი.. ჩამოყალიბდნენ რა უნდათ.. რა არის მათი მიზანი.. იბრძოლონ სიმართლისათვის, გამოიჩინონ ნებისყოფის უნარი და აუცილდებლად მიაღწევენ მიზანს.....ვუსურვებ ასევე, ბედნიერ და გამთლიანებულ საქართველოში იცხოვრონ.

– დიდი მადლობა, ქალბატონო ირინე..წარმატებებს გისურვებთ! ვფიქრობ, რომ წარმატებულ ქალბატონთან წარმატებული ინტერვიუ გამოვიდა...გმადლობთ!

**მარიამ გოგალაძე**

## ინტერვიუს ხაშურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსთან – ბატონ ზვიად გოგუაძესთან

ინტერვიუ ჩაიწერა ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის „ნორჩ ჟურნალისტთა“ კლუბის წევრმა მარიამ გოგალაძემ.

ბატონი ზვიად გოგუაძე, მიუხედავად იმისა რომ, იგი ასაკით 29 წლისაა, უკვე უმარავ წარმატებას მიაღწია დიდი და დაუღალავი შრომის ხარჯზე – წარჩინებით დაამთავრა სურამის მეორე საჯარო სკოლა; 2004-2010 წლებში კი ეკონომკურ ურთიერთობათა სახელმწფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი და მიენიჭა სამართალმცოდნის კვალიპიკაცია; 2012 წელს კი დაამ-

თავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და გახდა სამართლის მაგისტრი სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცეში.

2005 წლიდან მოყოლებული 2015 წლამდე ის მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობზე



. ამჟამად იგი ხაშურის საგანმანათლებლო რესურს– ცენტრის აუდიტია და ასრულებს რესურს ცენტრის უფროსის მოვალეობას; ბატონი ზვიადი გამოირჩევა იმ უნიკალური თვისებით, რომ არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს მოსწავლებთან. მეგობრობს მათთან და უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, ხოლო მოსწავლეები თავისუფლად ესაუბრებიან პრობლემებზე და ასევე სამომავლო გეგმებზე.

სწორედ ამ ნიშნით შევარჩიეთ იგი რესპოდენტად.

ზვიად გოგუაძე:

***თქვენი დევიზი?***

იყავი გულწრფელი!

***თქვენი უდიდესი გამარჯვება?***

გამარჯვება? როდესაც წითელ დიპლომზე წარჩინებით დავამთავრე უნივერსიტეტი!

***როდესაც გაქებენ?***

ვგრძნობ სირცხვილს...

***ნანობთ?***

ვნანობ?...რომ არ გავხდი მსახიობი-ც!

***საკუთარი თვისება, რომელიც არ მოგწონთ?***

ზედმეტად ემოციური და ფეთქებადი ვარ..

***რამ შეიძლება გაგაბრაზოთ?..***

ტყუილმა.

***თავისუფლება თქვენთვის არის..***

... ჩემი უფლებების პატივისცემა სხვა ადამიანის მხრიდან

***თქვენი ოცნება?***

ვიყო მოსამართლე!

***ჰობი?***

ჩემი ჰობი? მიყვარს კითხვა, ცურვა და ველოსიპედით სიარული...

***დამახასიათებელი უცნაურობა...***

ადვილად მწყინს და არ ვამბობ

***თავს ვგრძნობ ყველაზე მშვიდად...***

ტაძარში

***გენატრებათ?***

ძმა...

***ცხოვრება რომ თავიდან იწყებოდეს.....***

არ შევცვლიდი არაფერს....

***სურვილები მომავალ თაობას?***

ნაკლები კონტაქტი კომპიუტერთან! მეტი წიგნის კითხვა და გააზრებული სწავლა.

***დღე იწყება?***

ვარჯიშით

***დღე მთავრდება?***

„გრეის ანატომიით“...
***როდის აპირებთ დაოჯახებას***
„გაისად“ – იცინის, როცა შემიყვარდება...

ინტერვიუს ბოლოს ვთხოვეთ ბატონ ზვიადს, რაიმე სახალისო მოეყოლა...

ზვიადი წარმოშობით გურიიდანაა... თუმცა თავად იქ არასოდეს უცხოვრია.მიუხედავად ამი-



სა, ძალიან უყვარს სახალისო ისტორიების მოყოლა გურულებზე... ხშირად ადარებენ მწერალ გიორგი კეკელიძესაც, მან გაიხსენა ცნობილი ისტორია ნოდარ დუმბაძეზე და ჯანსუღ ჩარკვიანზე:

„ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი გურიაში მიდიან; საჭესთან ბატონი ნოდარი ზის... ჯანსული მტკიცედ დგას იმ აზრზე, რომ ყველა გურული სულაც არ არის „მაკვარანცხი“, ასეთი მხოლოდ შენ გამოდექიო... ბატონი ნოდარი კი უმტკიცებს, რომ „ყველა გურული დაბადზებიდანვე მაკვარანცხიაო „.. ამ ლაპარაკში არიან და გზაზე გურულ გლეხს გაუჩერეს მანქანა; კაცი ჩუმად ზის და ხმას არ იღებს... ჯანსულმა ნიშნის მოგებით გადახედა ნოდარს ანიშნებს, ხომ გეუბნებოდიო... ცოტა ხნის შემდეგ მგზავრს ბროშურა შესთავაზა ჯანსულმა და ეუბნება“ – ჩემო ბატონო, ჩემი ლექსების კრებული მინდა გაჩუქოთო.. გურულმა გადაშალა, გადაათვალიერა და თქვა „ბიძია, რა დაწერე ასეთი, ცარიელი რვეული ოცი კაპიკი ღირს და შენი ლექსები თხუთმეტი კაპიკიო“. ახლა კი ნოდარმა გადახედა ნიშნის მოგებით ნირწამხდარ ჯანსულ ჩარკვიანს...ა, ძამა, რას გეუბნებოდი!!!

მადლობა, ბატონო ზვიად! ძალიან საინტერესო რესპოდენტი ბრძანდებით!

**ნანა სხირტლაძე**



## ინტერვიუ ბატონ სულიკო სამხარაძესთან

***– მოგესალმებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნანა სხირტლაძე. ბატონო სულიკო, გთხოვთ მიამბეთ თქვენ შესახებ, რა სპეციალობის ბრძანდებით და რეალურად თქვენი სპეციალობის მიხედვით მუშაობდით?***



სოლომონ სამხარაძე

– დავამთავრე თბილისის მე-4 საჯარო სკოლა წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1960 წელს. მრავალი წელი დავუთმე ჩემს სპეციალობას და ასევე ბიზნესს.

***– ვინ იყვნენ თქვენი მშობლები ?***

– ჩემი მშობლები?.. ჯობია, რომ ჩემს ისტორიას ფარდა ავხადო და ვაღიარო ჭეშმარიტება, ჩემი მშობლების ვინაობა ბუნდოვნად მახსოვს, მამა ადრე გარდამეცვალა, ერთ დიდ სახლში ვცხოვრობდით, ოთხი დედმამიშვი-

ლი ვიყავით. დედა, ჩემი უფროსი და და ორი ტყუპი გოგო. მამა და დედა ვაჭრობდნენ, რომელი სოფელი იყო, რომელი რაიონი არ მახსოვს. მახსოვს შვიდი კიბე იყო ასასვლელი და სადღაც ბუხარი იყო კუნჭულში. ერთხელ, როდესაც დედ-მამა წავიდა სავაჭროდ ვიღაც ბანდიტები თავს დაგვესხნენ, ცხენებით იყვნენ მოსულები, თუ რამე გაგვაჩნდა წაგვართვეს. მამამ დედას უთხრა, ბიჭს მიმიხედეო, დედამ ნათესავებთან შეგვაფარებინა თავი, სადღაც ერთი ოთახი მოგვცეს. ეს ოჯახი მდიდარი იყო, საქონელი ჰყავდათ, ყველი და კარაქი არ აკლდათ. ერთხელ დედაჩემმა უთხრა ოჯახის უფროსს, გამატანეთ ეს პროდუქტები ბაზარში, ბევრს თქვენ მოგიტანთ, ცოტას ჩემს ობლებს მოვახმარო, ოჯახის უფროსი დათანხმდა, დედაჩემი წავიდა, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ორი პატარა ბავშვი შიმშილით მოკვდა. უფროსი და ვიღაცას მიაშვილეს. დავრჩი მარტოდ მე. ამბის მომტანებიდან მახსოვს რომ დედაჩემს ნახულობდნენ სხვადასხვა ადგილებზე, მაგრამ როგორც ჩანს მას უკვე შვილები აღარ აინტერესებდა. მე ღამით ჭრაქის ლამპით გამომიყვანეს სახლიდან და მატარებელში ჩამსვეს. იქ დავრჩი ღვთის ანაბარა. თხილი ვნახე, ნაშიმშილარი ვიყავი და გავტეხე, ცოტა სული მოვითქვი. ვაგონიდან გადმოვედი, აქეთ-იქით თვალებს ვაცეცებდი, საჭმელს ვეძებდი. დავინახე ახოვანი ვაჟკაცი ჩემკენ წამოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და თვალებში ჩამხედა. გინდა ჩემთან წაგიყვანოო? შემეკითხა. მე თავიი დავლუნე შიმშილით მილასლასებულმა რაღაცა ამოვილუღლუღე. ეს პიროვნება გახლდათ აბესალომ სამხარაძე. ბულკები მიყიდა მახსოვს ექვსი ცალი შევჭამე. სახლისკენ მიმავალმა კვლავ შიმშილი ვიგრძენი, აღმართი იყო ასავლელი, ვერ შევძელი და ჩავიკეცე. როგორც კი მიმიყვანეს სახლში ჩამსვეს „ვანაში“ და დამბანეს. ამ დროს ბებიაც იქ იყო. თურმე მამაჩემს უნდოდა, რომ სოფელში წავეყვანე, რათა მამამისს მივხმარებოდი. დედაჩემმა და ბებიაჩემმა ხელი ჩამავლეს, გულში ჩამიხუტეს და გვერდიდან არ მიცილებდნენ.



ლიალია ბალანჩივაძე



სოლომონის მშობლები: აბესალომ სამხარაძე და ნინა ხარაძე

მამამ სოლომონი დამარქვა, თავისი ბაბუის სახელი, სულიკო დამარქვა ზედმეტ სახელად, ჩემი სული და გული ხარო.

***– რას იტყვით დედათქვენზე, მკაცრი იყო?***

– როგორ გეკადრებათ დედაჩემი ჩემი გულის მალამო იყო. დედა 66 წელში გარდამეცვალა, არაფერი არ მაკლდა. მე თვითონ დედას ბევრ რამეში ვეხმარებოდი, მაგალითად: ჩემს ტანსაცმელს მე თვითონ ვაუთოვებდი. დედას გარდაცვალების შემდეგ, მამამ მეორე ცოლი შეირთო, დედინაცვალს, ჩემი მოშორება უნდოდა, სიხარულის შემდეგ ისევ ტკივილი წამოვიდა ჩემს ცხოვრებაში. დედინაცვალი მამაჩემს სთავაზობდა ერთოთახიანი ბინა ეყიდათ ჩემთვის და გავეშვი სახლიდან. დედინაცვლის ამ პოზიციამ ერთი მხრივ ჩემზე პოზიტიური ზეგავლენა მოახდინა, ვინაიდან რუსეთში წავედი, სადაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება მივიღე. იქ ნიკო შველიძე იყო მამაჩემის მკვიდრი ბიძაშვილი, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია, რუსეთში წასვლამდე, მისი რეკომენდაციით, მოვხვდი ატეკაში, სადაც რამოდენიმე გაერთიანებას ვხელმძღვანელობდი.

***– როგორი ბავშვი იყავით, ცელქი თუ დამჯერი?***

– დამჯერი რა თქმა უნდა, ჩვენი პერიოდი ამ მხრივ გამოირჩეოდა, ახლანდელებთან შედარებით.



აბესალომ სამხარაძე

***– სპორტის რომელი სახეობა გიტაცებდათ?***

– ფიზკულტურაზე ვიარე ცოტახნით, მაგრამ შევატყვე ჩემს შესაძლებლობებს, რომ წინ ვერ წავიდოდი და თავი დავანებე.

***– ბავშვობაში შეყვარებული იყავით?***



სოლომონ სამხარაძე და ლიალია ბალანჩივაძე

– ძალიან მიყვარდა ერთი გოგო, ვფიქრობდი, რომ ის უნდა გამხდარიყო ჩემი ცხოვრების თანამგზავრი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მახსოვს ტრამვაიში შემხვდა, სუნთქვა შემეკრა, გულმა სხვანაირად დაიწყო ბაგაბუგი. თმა შეეჭრა, უფრო სწორად ძალიან გაეკრიჭა და არ უხდებოდა, შენიშვნა მივეცი. რაიყო, როგორ გაკრეჭილხარ. რა შენი საქმეა, აგდებით მიპასუხა, მე შენ აღარ მახსოვხარ, აღარც მაინტერესებ! ოჰო... მართლა? ვუპასუხე ამაყად, მაგრამ შინაგანად დავითრგუნე, გულში ერთი ძაფი ჩამიწყდა.

***– ახლა როცა ასაკში ბრძანდებით, იხსენებთ თუ არა ბავშვურ სიყვარულს?***

– რა თქმა უნდა მახსენდება, ვიცი სადაც ცხოვრობს კუკიაზე. მას ჩემზე ცუდი უთხრეს, რადგან მე ხომ მათი სისხლის არ ვიყავი, ჩემი მტრები იყვნენ მამიდა და განსაკუთრებით ბიცოლა.

***– ძალიან ტკივილიანი და ტრაგიკული ისტორია გქონიათ. ამხანაგებთან თუ გიჩხუბიათ სკოლის პერიოდში?***



სოლომონ სამხარაძე მეუღლით, შვილით, აბესალომ სამხარაძესთან ერთად

– პარალელურ კლასში სწავლობდა ერთი ბიჭი, სახელად თემური ერქვა, მასთან ხშირად ვჩხუბობდი. მერე როცა გავიზარდე და ერთმანეთს შევხვდით, გავიხსენეთ ბავშვობა და ძალიან ბევრი ვიცინეთ. რა არის მართლაც ბავშვობა და სიცელქე. ან რა გვქონდა გასაყოფი.

***– თქვენი დედმამიშვილები თქვენზე უფროსები იყვნენ. რას იტყვით მათ შესახებ.***

– ჩემი უფროსი და როგორც აღვნიშნე, ვილაცამ წაიყვანა ხოლო ტყუპები შიმშილით გარდაიცვალნენ.

***– ყველაზე ლამაზი დღე თქვენს ცხოვრებაში.***

– ინსტიტუტში რომ მოვეწყვე ეს იყო დიდი სიხარული, მე საერთოდ ღმერთი მწყალობს, სიკეთეს ვთესავ მხოლოდ, არც უწმაწური სიტყვებს ვიყენებ. ამიტომაა რომ გადავურჩი ამ ტკივილიან ბედისწერას, რაც შეეხება ყველაზე ლამაზი დღე მაინც ინსტიტუტში მოწყობა იყო.

***– ბატონო სულიკო, ყველა ადამიანმა გოლგოთაზე თავისი ჯვარი უნდა აიტანოს, როგორ შეაფასებთ თქვენ წარსულს, სწორი გზით იარეთ?***

– სწორი გზით? რავიცი კაციშვილისთვის არაფერი დამიშავებია, ალბათ ჩემს განვლილ გზას და წარსულს თუ გავიხსენებ, თუ ვინმესთვის რამე მიმიცია, სხვისთვის არაფერი წამირთმევია. მე მგონი არავის პატივისცემა ვალად არ მადევს მხრებზე.



სულიკო სამხარაძე და ჯუმბერ ლეჟავა

***– თქვენ შეგიძლიათ დამნაშავეს აპატიოთ?***

– მე ძალიან ბევრი მიპატიებია სხვებისთვის. ერთ პიროვნებას ჩემი ორმოცი ათასი ვალი აქვს. ნაპატიები არ არის? არ მაძლევს. ღმერთმა განსაჯოს... მე ვაპატიე.

***– მეუღლე სიყვარულით შეირთეთ?***

– რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლე ბალანჩივაძის ქალბატონი გახლავთ, მისი სიყვარული სიცოცხლეს

მიხანგძლივებს, წლები ვიარე საკმაოდ ბევრი რომ შემერჩია ისეთი ქალბატონი, როგორიც ჩემი ლიაა. ის მუსიკოსი გახლავთ ამჟამადაც მუშაობს, პროფესორია. ერთი სიტყვით ამ მხრივ ბედნიერი ვარ.

*– რამდენი შვილი გყავთ?*

– ერთი ვაჟი მყავს, გვიან დავქორწინდი და ამან განაპირობა, რომ მეტი შვილი არ მყავს.

*– თქვენი ვაჟის გატაცება მუსიკაა თუ ბიზნესი?*

– ჩემი ვაჟი უფრო ბიზნესით არის გატაცებული, დედამისს უნდოდა მუსიკოსი გამოსულიყო. მაინც ნაძალადევად დაამთავრებინა მუსიკალური შვიდწლედი, მაგრამ მისი გატაცება, ნამდვილად არ არის მუსიკა.

*– როგორ წარმოგიდგენიათ, როგორი ბაბუა იქნებით?*

– ძალიან თბილი და მოსიყვარულე, მაგ ლამაზ დღეს სიხარულით ველოდები.


**სოლომონ სამხარაძე, ჯუმბერ ლეჟავა და ზურაბ გაბუნია**

*– იცნობდით ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?*

– ჯუმბერ ლეჟავა, ჩემი განუყრელი მეგობარი იყო, ის ჩემთვის იყო მისაბაძი და ძალიან ახლო პიროვნება, მაინც რა დამთხვევა იყო მისი სიცოცხლის წინა დღეს ჩემს რესტორანში გადაიხადა დაბადების 75 წლის იუბილე. როგორ უხაროდა, თითქმის იტყოდი, რომ ჯუმბერ ლეჟავა 15 წლის იყო და არა 75-ის. მაგრამ მოხდა მოულოდნელად მისი გარდაცვალება.

*– როგორ ფიქრობთ ჯუმბერის გარდაცვალება ეჭვს არ იწვევს?*

– ვფიქრობ და არ მინდა შევცოდო, მგონია, რომ მას ცუდი მრჩეველები ჰყავდა. სხვა რა ვიფიქრო ამ ლეგენდარულ პიროვნებაზე არ ვიცი. ის ისევ ცოცხალია ჩემთვის.

*– მეგობრებიდან ვის გამოყოფდით?*

– ჩემთვის ყველა ადამიანი მეგობარია და მაინც გამოვყოფ ჯუმბერ და ნოდარ ხარაიშვილებს

*– ბახვა სამხარაძე თქვენი მკვიდრი ბიძაშვილია თუ უბრალოდ მეგვარეა ბახვა?*

– ეს ჩემი ძმაა ასე ფიქრობს ჩემი გონება. მისი ბიძაშვილობა საამაყოა, ჩემი დასაყრდენია და საძირკველია მისი არსებობა, მისი საყვარელი მეუღლე, ჩემი რძალი კლავდია კი დის ადგილზე მყავს.

*– თქვენი გადასახედიდან რას შეცვლიდით? ანუ სად დაუშვით შეცდომა?*

– ჩემი შეცდომა ისაა, რომ გვიან მოვიყვანე ცოლი.

*– რას იტყვით თქვენ პირად მძღოლზე ბატონ გიაზე.*

– გია არაჩვეულებრივია, კარგად აღზრდილი ახალგაზრდაა, მას ვენდობი.

*– გიყვართ პოეზია?*

– პოეზია ძალიან მიყვარს, როცა ახალგაზრდა ვიყავი ძალიან ბევრს ვკითხულობდი.

*– თქვენი საყვარელი პოეტი რომელია?*

– გალაკტიონი, მისი ლექსები ჩემთვის დედის იავნანაა.

*– რას უსურვებთ ჟურნალ „ათინათს“?*

– დიდ წარმატებებს, წლების სიმრავლეს და ახალგაზრდობასთან მჭიდრო კავშირის გაღვივებას.

**ილია ძმანაშვილი**



# სიცოცხლე გრძელდება

**გვახსოვდეს წარსული**

**(ინტერვიუ ნაირა ნიჟარაძესთან**
გაგრძელება №20-დან)

***– ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები?***

– ჩემი ბაბუა ასლან ნიჟარაძე იყო სამხედრო პირი. იგი 88 წლის ასაკში დაიჭირეს და ქუთაისის ციხეში მოკლეს. ქუთაისის რაიონში, სოფელ ოფშკვითში იგი იყო მფლობელი უამრავი მიწისა და სავარგულებისა. ჰყავდა ცხენები დარახტული, ჰქონდა მსხმოიარე ვენახი და მარანი. მარანში იდგა წაბლისფერი საწნახელი, სადაც იწურებოდა ყურძენი. ეზოში იდგა დიდი ქვევრები, ღრმად ჩამარხული მიწაში. ქვევრებს ზემოთ მარადმწვანე ბზები და დაფნები ხარობდნენ. სახლის გვერდით მიწაში ჩაფლული იყო უზარმაზარი ქვევრი. გვერდით დიდი მაგნოლია ხარობდა, თავისი დიდი თეთრი ყვავილებით. ქვემოთ კი სისხლივით წითელი ვარდები ყვაოდა. ბებია ამბობდა, რომ ომის საშიშროების დროს ქვევრში შეიძლებოდა ბავშვების დამალვა. მტრისაგან თავდასაცავად. მარანში ინახებოდა მოსაწამლი აპარატი, რომელსაც ზურგზე იკიდებდნენ და შაბიამანს ასხამდნენ ვაზებს, რომ რაიმე დაავადება არ გასჩენოდათ.



ბაბუას ჰყავდა დარახტული ცხენები. უნაგირებიანი. ზოგი ქალებისათის იყო განკუთვნილი.

სახლში ინახებოდა მუსკალური ნივთები, გრამაფონები – მორთული თვლებით და მძივებით. შენახული იყო მომღერალი რკინის სკივრი. თუ გასაღებს გადაატრიალებდით იგი სასიამოვნო მელოდიას მღეროდა. სკივრში დიდხანს ინახებოდა ქაღალდის დიდრონი ფულები.

ასლან ნიჟარაძე იყო ახოვანი ვაჟკაცი, მაღალი, მხარბეჭიანი, მკაცრი შესახედავი, ატარებდა ჩოხა-ახალუხს. ძველ გარდერობში დიდხანს ინახებოდა მისი ნაცრისფერი ახალუხი. ზალის კედელზე ეკიდა დიდი მეწამულისფერი ნოხი, რომელსაც ამშვენებდა ბაბუს დიდი ხმალი და ხანჯალი. ზალაში იდგა დიდი გასაშლელი მაგიდა, რომელზედაც პურ-მარილს მიირთმევდნენ თავადიშვილები. ქვემოთ ინახებოდა არყის გამოსახდელი სპილენძის ქვაბი, მთელი თავისი მოწყობილობით.



მას ჰქონდა მშვენიერი ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახებოდა რუსი, უცხოელი და ქართველი კლასიკოსების წიგნები.

დაცლილი ტყვიის მასრებისაგან შექმნილი იყო მშვენიერი სამშვენისები, მაგიდის სამელნეები, ვაზები და სხვა. უცხო ქვეყნიდან ჩამოტანილი სარკე, რომელიც გასაღებით თუ მომართავდი, დიდებულ მელოდიებს უკრავდა.

სიმწვანეში იდგა ხის ცისფრად შეღებილი სახლი. მის წინ იდგა ასწლოვანი სურნელოვანი ცაცხვის ხე. იგი ყოველ გაზაფხულზე მომხიბლავად ჰყვაოდა და საამო სურნელების გამოსცემდა. ქვემოთ ფართო მწვანე მოლზე ეფინა სავსე თეთრი მარგალიტა ყვავილები. გვერდით ჭა იყო სავსე სუფთა წყლით. გვერდით იდგა მაღალი ჩინარის მრავალწლიანი ხე.

1937 წელს, თებრონე ნიშნიანიძე, როცა მოკლეს ბაბუა და ბებია კეთილშობილი ქალბატონი 4 შვილის დედა, ერთ ოთახში შეაგდეს, რეპრესირებული ვაჟის ორი ბავშვით.

იგი მომავლის იმედს არ კარგავდა. გაკაჟებული ჰქონდა გული და ისე შრომობდა თავის გაძარცულ სახლში, სადაც ჯერ სასოფლო საბჭო იყო, ხოლო შემდეგ სამშობიარო საავადმყოფო.

მას ორი შვილი გარდაეცვალა 17-18 წლის ასაკში. ერთი დახვრიტეს. ერთი ქალიღა დარჩა, რომელიც თავისი ქმარ-შვილით ცხოვრობდა ქუთაისში.

ამდენი უბედურების გადამტანმა 100 წლამდე იცოცხლა.

მე მას ვუვლიდი, ჩავდიოდი ყოველ არდადეგებზე და ვამხნევებდი... „ნუ გეშინია, ბებია, მე შენ დიდხანს გაცოცხლებ“...

ბებიამ მომცა ძვირფასი თვლებით მოოქროვილი ჩიხტიკოპი, თეთრი ვუალით. „როცა მოვკვდები ამ თავსაბურავით ჩამასვენეთ სამუდამო განსასვენებელშიო. მისი ანდერძი, რა თქმა უნდა, შევასრულეთ.

სიკვდილის წინ იგი წამომჯდარი იყო ლოგინზე, რადგანაც გული აწუხებდა. მოდიოდნენ, მეზობლები თავისი ბავშვებით. იგი ყველას ლოცავდა, უსურვებდა ჯანმრთელობას და შრომისუნარიანობას. მე არ მივსულვარ დასალოცად იქვე, რადგან, იგი ისედაც ყოველ დილით მლოცავდა.



**1977 წლის 12 ნოემბერს. ელ. უბილავას ოჯახი, მისი 60 წლის იუბილე.**
**მედეა მთვრალაშვილი** (რედაქტორი), **მაყვალა ომიაძე** (რედაქტორი), **იოსებ ნონეშვილი** (პოეტი)

***– მეგობრები თუ გყავდათ რეპრესირებულები?***

– რამდენიც გნებავთ. ჩემი ბავშვობის მეგობრები ზაირა სანებლიძე, რომელიც შემდეგ ისტორიკოსი გახდა, სოფელ ოფშკვითის ძირძველი მაცხოვრებლის შვილი იყო.

მისი მამა ევპოლოზ (პოლიო) სანებლიძე დაიბადა 1900 წელს. ქუთაისში მიიღო განათლება, ის იყო სახალხო მასწავლებლის სტეფანე მათეს ძის შვილი. მათე მღვდელი იყო. პოლიო მონაწი-

ლეობას იღებდა 24 წლების რევოლუციურ მოძრაობაში. ასწავლიდა რუსულ ენას და ლიტერატურას სოფ. ტყაჩირის სკოლაში. მას ჰყავდა საყვარელი ცხენი, რომელსაც ქვარაიას ეძახდა და ამ ცხენით დადიოდა ოფშკვითიდან ტყაჩირის სკოლაში. 1937 წელს დააპატიმრეს და მიუსაჯეს 10 წელი. მისმა მეუღლემ შუშანა მდივანმა მიატოვა ოჯახი და ქმარს გაჰყვა ციმბირში. სადაც გაუჩნდათ გოგონა ზაირა სანებლიძე.

მისი ბებია იყო ნინო დევიძე, ცნობილი სწავლული სამსონ აბესაძის და. სამსონი მღვდელი იყო, საუკეთესო ქართველი და იმ დროისთვის საკმაოდ განათლებული. მან სიტყვა „არე-მარე“ პირველმა მიაწოდა პოეტ აკაკი წერეთელს.

ნინოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნიჟარაძეების ოჯახებთან. კერძოდ თავად დათა ნიჟარაძესთან. ეს ოჯახი ხშირად აწყობდა ბალ-მასკარადებს. ცხენთა ჯირითს. დათა ნიჟარაძის ოჯახში ხშირად მუსიკის თანხლებით ხშირად ცეკვავდნენ „კადრილს“. შემდგომში ამ თავადის სახლში გაიხსნა სკოლა, სადაც ვსწავლობდით მე და ზაირა სანებლიძე.



**მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსანდრე (შურა) მთვრალაშვილი, გიორგი ჯიბლაძე და პარმენ შელეგია. გაზეთ „სტალინის“ რედაქციაში, ქუთაისი, 1937 წელი (ფოტო დავით ჩხეიძისა)**

ევპოლოზის მეუღლე იყო შუშანა დავითის ასული მდივანი. მან დაამთავრა ქალთა გიმნაზია. იგი ნაკითხი და განათლებული ქალი იყო, მის სახლთან მუდამ რიგი იდგა მოქალაქეთა, ზოგი ცნობას აწერინებდა და ზოგს რჩევა-დარიგებას აძლევდა. შუშანა მდიდარი თავადის ოჯახიდან იყო. მის მამას ძვირფასად აყვავებულ ეზოში დათვიც კი ჰყავდა მოშინაურებული და სხვა უცხო ცხოველები. შუშანა დიდი სითბოთი და სიყვარულით მექცეოდა. პატარა ვიყავი ტანით და „კურკას“ მეძახდა. სკოლაში მე და ზაირა სანებლიძეს უკანა მერხზე გვსვამდნენ. რეპრესირებულების შვილებს ახლოს არ გვიკარებდნენ – ესენი სამშობლოს მოღალატეთა შვილები არიანო.

ჩვენ, პირველ კლასელებს, არც გვესმოდა რას ნიშნავდა „სამშობლოს ღალატი“. სანებლიძეების ეზოში ათასგვარ ხეხილს იპოვიდით. უცხო სანახავი იყო აყვავებული მცენარეები და მოვლილი ბაღი. მე და ზაირა განუყრელი მეგობრები ვიყავით. ნინო ბებიამ ერთ დღეს გამოგვიცხადა: ანდერძად დამიბარებია, სიცოცხლეში ერთმანეთი არ დაკარგოთო.

ჩვენ შევასრულეთ ბებიას ანდერძი. ერთმანეთი არ დაგვიკარგავს. ცხოვრების ორომტრიალში მუდამ განვაგრძობდით მეგობრობას.

ზაირა ციმბირში დაიბადა, ჩამოსვლისთანავე ბებია ნინომ დაწვა მისი დაბადების მოწმობა. ამან რაიმე უბედურება არ მოიტანოსო.

იმ სკოლის კარებთან ახლაც ამაყად დგას თეთრი მაგნოლია, როგორც სიმბოლო სიცოცხლის გაგრძელებისა.

ევპოლოზ სანებლიძე გადასახლებიდან დაბრუნდა 1936 წელს. მეორეჯერ დაიჭირეს და 1937 წლის სექტემბერში, სამეულის ბრძანებით, დახვრიტეს. მას ქუთაისის ციხეში აკითხავდა ძმისშვილი სტეფანე სანებლიძე. ერთ შავბნელ დღეს ქუთაისის ციხიდან მას გამოატანეს სისხლში ამოსვრილი საცვლები. უთხრეს – აწი აღარ მოაკითხო ციხეშიო.

ბებია ნინო დარბაისელი განათლებული ქალი იყო. ევპოლოზი მას ჰყავდა პირველი ქორწინებიდან. მეორე ქორწინებისას მას შეეძინა 3 ვაჟი.



***– ლონდა ჯიქიას ვკითხე: თქვენც რეპრესირებულის შვილი ხართ?***

– დიახ. ჩემი მშობლები რეპრესირებულები იყვნენ. მამა ბორის ჯიქია წარმოშობით სამეგრელოდან იყო, სოფელ ჯუბიდან, გზებისა და ხიდების მშენებელი გახლდათ. დედა იყო ვერა გვანცელაძე. მშობლები 1927 წელს დაქორწინდნენ. ჩემი ბებია ბახვა ხვიტიას ქალიშვილი გახლდათ. ბახვა ხვიტია მოხსენიებულია შალვა დადიანის რომანში „გვირგვილიანების ოჯახი“ ჩვენ ვცხოვრობდით თბილისში. ერთ დღეს მამა ცუდ ხასიათზე დაბრუნდა სახლში. თქვა, რომ დივიზიის მეთაური სოსო ბუაჩიძე წაუყვანიათო. მოგვიანებით ჩვენთანაც მოვიდნენ პერკინი და ხუციშვილი. მათ მამა წაიყვანეს. შემდეგ ისინი დედას ციხეში პატიმრებად უნახავს. მამის წასაყვანად მოსულებმა სახლი გაჩხრიკეს, ჩემი ბალიშის ქვეშაც შეყვეს ხელი, დედას მაგიდაზე წიგნი „ომი და მშვიდობა“ ედო და ისიც წაიღეს. მამას წინა დღეს აღებული ხელფასი 1500 მანეთი ჰქონდა, მხოლოდ 50 მანეთი დაგვიტოვეს. შემდენ ისინი მოვიდნენ და დედაც წაიყვანეს. დავრჩით მე და ჩემი პატარა ძმა დეიდასთან. დედა ჯერ ორთაჭალის ციხეში იმყოფებოდა, იქ უამრავი ქალი იმყოფებოდა. ულამაზესი თინათინ მეფისაშვილი, ლიდა უგულავა, ლიზიკო აბზიანიძე და ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დირექტორის მეუღლე პარიკო რუხაძე.

ციხე 10 საათზე იღებოდა 10 წუთით. ურიგდებოდათ პური 500 გრამი, მდუღარე წყალი და შაქარი 300 გრამი. ერთ ქალს თურმე ცოცხის ღეროებისაგან საკერავი ნემსი გაუკეთებია და დაუწყია დახეული ტანსაცმლის დაკერვა. ამ ქალს თუთია ერქვა. იგი ორი დღე ჰყავდათ ფეხზე კარცერში და მესამე დღეს ცოცხალმკვდარი დაუბრუნებიათ საკანში. დედას თავის ჩამოხრჩობაც კი განუზრახავს, მაგრამ თინა მეფისაშვილს და უგულავა ლიდას გადაურჩენიათ. ციხეში ქალებსაც ხვრეტდნენ. ზოგი მიჰყავდათ ციმბირის ციხეებში, დედაც წაიყვანეს. აქ ქართველი ქალებიც იყვნენ: საშა ჩიქოვანი, თამარ-ბაგრატიონი, მიწიშვილი, ნაირა მიქაძე, ანიკო დუმბაძე და სხვანი.

ისინი იმყოფებოდნენ სარანსკში. 1939 წლამდე მიმოწერა არ იყო. პატიმართა ბანაკებს „პოტმის ბანაკები“ ეწოდებოდა. ბანაკს შემოვლებული ჰქონდა მავთულხლართი და მის იქით იყო თავისუფალი ზონა, დასახლება, სადაც ბანაკის ხელმძღვანელობა, მოსამსახურე პერსონალი და მათი ოჯახები ცხოვრობდა. „პოტმის ბანაკები“ გადაჭიმული იყო რამდენიმე ათეულ კილომეტრზე უკიდეგანო ტყის გაჩეხილი მასივის ტერიტორიაზე. ამ ბანაკებში მხოლოდ ქალები იყვნენ. თითოეულ ბანაკში 200-მდე ქალი იყო. პირველ ხანებში მოჭრილი ხეების ამოძირკვაზე მუშაობდნენ, შემდეგ დაურიგეს თეთრი ტილოს ნაჭრები და უკრაინული ხალათების ქარგვა დაიწყეს.

ქარგავდნენ მთელი დღე და დაღლილებს შავ ნაჭრებსურიგებდნენ თვალის დასასვენებლად. ქარგვის ნორმას ასრულებდნენ 125%-ით, რისთვისაც დამატებით ღებულობდნენ თვეში 2 ცალ ქაშაყს. პატიმარ ქალებს შორის იყვნენ დიდი განათლებისა და ერუდიციის მქონე მეცნიერი, ხელოვანი და სხვა პროფესიის მქონე ქალები, საინტერესო ყოფილა მათთან ჯდომა და საუბარი. „პოტმის ბანაკებში" ორი წელი იყვნენ, შემდეგ გადაიყვანეს შუა აზიაში, შემდეგ კი უკიდურეს ჩრდილოეთში. ისინი ჩაიყვანეს ნენენცთან კომის ავტონომიურ ოლქში. აქ მრავალი გასაჭირი გადაიტანეს.

1956 წელს რეაბილიტაციის შემდეგ ბ. ჯიქია დაბრუნდა შინ. გარდაიცვალა 1991 წელს 89 წლის ასაკში.

დიდი კომპოზიტორი და მუსიკოსი ევგენი მიქელაძე დაიჭირეს და წაიყვანეს, თვალები აუხვიეს. მას ხმით უცვნია მისი მოსაუბრე და უთქვამს: „ლავრენტი პავლოვიჩ, ეს თქვენ ხართ?"

მას უპასუხნია: ხმით როგორ მიცანიო.

მიქელაძეს თოფი ყურში გაუყარეს და მოკლეს. ათიათასობით ნიჭიერი ქართველი გაანადგურეს. დღეს შთამომავლობა განსჯით წინაპართა საშინელ ცოდვებს. დღეს ეს რეპრესირებული ადამიანები, როგორც უდანაშაულონი რეაბილიტირებულნი არიან.

გავიდა მრავალი წელი. მათ აქვთ თავიანთი საზოგადოება, რომელსაც „მემორიალი" ჰქვია. ამ ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა ვახტან შავგულიძემ. შემდეგ ხელმძღვანელობდა ვახტანგ ხელაძე, შოთა ნოსელიძე და სხვანი.

რეპრესირებულთა შვილები უმეტესობა ცოცხალნი აღარ არიან. ვინც დარჩა მწარედ იგონებენ უდანაშაულო წინაპართა ტანჯვა-წამებას.

***– თქვენთან, საბავშვო და ახალგაზრდობის გამომცემლობა „ნაკადულში" გყავდათ რეპრესირებულთა შვილები?***

– როგორ არა, ჩემი მეგობრები, მათ შორის უახლოესი მეგობარი იყო რედაქტორი და მთარგმნელი მედეა მთვრალაშვილი.


**ალექსანდრე მთვრალაშვილი (1909-1937)**

მისი მამა, შურა მთვრალაშვილი, იყო სტალინური რეპრესიების მსხვერპლი. სრულიად ახალგაზრდა 28 წლისა შეეწირა საბჭოთა ხელისუფლების უაზრო, სასტიკ პოლიტიკას. მას სჯეროდა საბჭოეთის იდეებისა. იგი ადრეული ასაკიდანვე, ყმაწვილობიდანვე, ჩაბმული იყო პოლიტიკაში. იყო წარმატებული პიონერი, კომკავშირელი, პარტიული მუშაკი. როგორც ამბობენ, პიონერული ორგანიზაცია თბილისში ლენინის რაიონში, ახლანდელი ნაძალადევის რაიონში შურა მთვრალაშვილს ჩამოუყალიბებია.

1925-27 წლებში შურა მთვრალაშვილი ითვლებოდა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომის წევრად.

1927-30 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ითვლებოდა აქტიურ კომკავშირელად.

1931-34 წლებში მუშაობდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში კულტ-პროპაგანდისტად. შემდეგ კი საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

1934-36 წლებში შურა მთვრალაშვილი გადაიყვანეს ქუთაისში, მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტში ჯერ მდივნის მოადგილედ, შემდეგ კი პოლიტსკოლების განყოფილების გამგედ. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში მუშაობის პერიოდში, სხვადასხვა დროს, იგი იყო გაზეთ „სტალინელის" რედაქტორი. აქ იგი დაუმეგობრდა მწერლებს: ნიკა აგიაშვილს, მამია ასათიანს და სხვებს.

შურა კარგად იცნობდა ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს ლადო ასათიანს, რადგან იგი გაზეთ „სტალინელში“ ბეჭდავდა ლექსებს.

1936 წელს შურა მთვრალაშვილი გადაიყვანეს თბილისის ცენტრალურ კომიტეტში მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, ხოლო 1937 წლის სექტემბრიდან გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად. იგი იყო საკავშირო გაზეთ „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტი. აი, ძირითადად, მოკლე ჩამონათვალი ახალგაზრდა შურა მთვრალაშვილის მოღვაწეობისა, რომელსაც უყვარდა სამშობლო და ჟურნალისტური საქმიანობა.

1937 წელს, ნოემბერში შურა მთვრალაშვილი დააპატიმრეს, როგორც „ხალხის მტერი“, პატიმრობიდან იგი აღარ დაბრუნებულა. თუმცა მას ეუბნებოდნენ, რომ იგი დაპატიმრებული იყო 10 წლით. არავინ იცის სად წაიყვანეს და სად დახვრიტეს ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ავადსახსენებელ 1937 წელს უდანაშაულოდ დააპატიმრეს აგრეთვე შურას ძმა ნიკოლოზ. მთვრალაშვილი, რომელიც მუშაობდა საგარეჯოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ და ცოლისძმა ილარიონ ფრუიძე, რომელიც მუშაობდა კავშირგაბმულობის სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. საგულისხმოა, რომ, როცა მისი ცოლისძმა დააპატიმრეს, ახლობლებთან საუბრისას შურა მთვრალაშვილს უთქვამს: ალბათ რაიმე დააშავა, ასე უმიზეზოდ რომ იჭერენ ხალხს, მაშინ მეც დამიჭერდნენო. სულ მალე შურაც დააპატიმრეს.

შურა მთვრალაშვილს დარჩა 4 წლის გოგონა მედეა და ვაჟი თამაზი, რომელიც მისი დაპატიმრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დაიბადა. მეუღლე ფეხმძიმედ იყო. თამაზის მამა არ უნახავს. 24 წლის მეუღლე მარიამ მთვრალაშვილი დარჩა ძუძუმწოვარა და პატარა ბავშვის ამარა.

მარიამ მთვრალაშვილი სპეციალობით იყო ეკონომისტი. ბოლო წლები იგი მუშაობდა საქართველოს მოდელების სახლში მთავარ ბუღალტრად. იგი შემთხვევით გადარჩა რეპრესიებს.

გავიდა წლები. შვილები დაიზარდნენ. მეუღლემ ვერ გაუძლო დუხჭირ ცხოვრებას, დიაბეტით დაავადდა და 78 წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვალა.

მედეა გაჰყვა მამის გზას. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულში“ რედაქტორად.

თამაზ მთვრალაშვილმა დაამთავრა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის ფაკულტეტი. მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, იყო სპორტსმენი, კალათბურთელი, თამაშობდა საქართველოს ნაკრებში.

ამჟამად შვილები პენსიონერები არიან.

საქართველოს მთავრობამ მათთვის გამოჰყო მცირე ფულადი, ერთდროული დახმარება.

მედეა მთვრალაშვილმა ხელი მიჰყო მთარგმნელობით მუშაობას, მან თარგმნა ცნობილი შვედი მწერლის ასტრიდ ლინდგრენის საბავშვო წიგნები: ეს წიგნები გამოსცა „ნაკადულმა“ და ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ:

1. კალებლუმკვისტის თავგადასავალი 3 წიგნად.
2. ლევ კასილის „კონდუიტი და შვამბრინია“.
3. ვერა სმირნოვას „ჯადოსნური ხე“.
4. მაწანწალა რასმუსი — 1 წიგნად.
5. რა გამოსცა ნაკადულმა 50 წლის მანძილზე.

ეს წიგნები დიდი მოწონებით სარგებლობენ ქართველ ბავშვთა ცხოვრებაში.

# გახსენება

**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია**
**თანაუგრძნობთ**

## მაინც რა ბედი ჰქონიათ ლონლაძეების დიდ ოჯახს

ჯერ იყო და ამ რამოდენიმე წლის გადასახედიდან, დოდო ლონლაძე-ავთანდილაშვილი შეუერთდა ცის სოფელს, ოქტომბერში სევდამ ჩამობარდნა ქარელში. მუსიკოსი, კარგი შვილების აღმზრდელი დედა ავარიის მსხვერპლი გახდა. დატოვა თბილი ოჯახი, საყვარელი მეუღლე კაკო ავთანდილაშვილი. შვილები: შალვა ავთანდილაშვილი, ეკა და მარი, შალვა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონია, მარი ექიმი და ეკა პედაგოგი. დოდოს გზა აირჩია ნუგზარიმ, განსხვავება ის არის, რომ ნუგზარი მუშაობის პერიოდში გახდა ცუდი ბედისწერის მსხვერპლი. ორი კვირის შემდეგ მისი სიძე გარდაიცვალა შვილის მეუღლე, ასე რომ ნათიამ ორ კვირაში მამაც დაკარგა და მეუღლეც. დედაშვილი ქალბატონი ნელი და შვილი ნათია ორი კვირის შუალედში დაქვრივდნენ.

დარდმა დარდი დაავიწყა ლონლაძეების, ნუგზარის ოჯახს. სევდის ცეცხლი აგიზგიზდა და აალდა... ცაში აიჭრა და წამოვიდა სევდის წვიმა. ქეთინო ლონლაძის ნუგზარისა და დოდოს დას, ნათიას მამიმადს, ერთი თვალიდან ტყუპი ცრემლი სწყდება და მეორე თვალიდან კი ძმიშვილის მეუღლის დათო ლომიძის ცრემლი. დადის ქეთინო ლონლაძე დარდიანი, გულძარღვჩაწყვეტილი და შეჩერებია ცას სადაც თავისი მამიშვილები, სიძე და ქმარ-მაზლი ეგულება.


დოდო ლონლაძე


ნუგზარ ლონლაძე


დათო ლომიძე


რომან ხეთაგური

კაცი უფრო ვერ უძლებს ტკივილს ვიდრე ქალიო ნათქვამია. იქნებდა მართალია, საქართველოში ომმა უამრავი ახალგაზრდა იმსხვერპლა, ძალიან ბევრი გასათხოვარი გოგონები არიან, რადგან მათი ასაკის მამაკაცები დარდისა და ტყვიის მსხვერპლი გახდა. დარდშეწირულია, რომან ხეთაგური, რადგან ის თავისი საცხოვრებელი სახლიდან იძულებით წამოსული იყო ცოლ-შვილით. ეს მოურჩენელი ტკივილია, იცხოვრო იქ, სადაც არ გინდა, არ ეტრფი შენი საკუთარი ეზოს მიწის სურნელებას. იქ გინდა, სადაც ფეხი აიდგი, სადაც შენი მამა-პაპის ძვლები მიწად ქცეულან, როცა ამ ტკივილს გამოივლი, უდროვოდ გარდაცვალება გასაკვირი აღარ არის.

რომან, შვილო, შენს გულშემატკივრებს იმით ვანუგეშებ, რომ შენი ცოლისძმა მამაოა, მამა ილარიონი. ის როცა დაიბადა იმედა დაარქვა თამაზ მიქელაძემ და ნარგიზა ლომსაძემ, ის ჩემი იმერეთის ძირულის პირას გაზრდილი ჭკვიანი ქალბატონია. მშობლებს ინტიუცია არასდროს ღალატობს. მამა ილარიონი ხალხის იმედია, მისი ლოცვებით ცის ბინადარს შვება ექნება. შენ კი რომან ია და ვარდი დაგეფინება ცის სავალ გზაზე. აბა, შენ იცი ილოცე საქართველოსთვის და შენი ცოლ-შვილისთვის.


სულხან (დუდი) ძმანაშვილი)

შენი დიდი პასუხისმგებლობა მშობლებს მიანდე, თუ ბედისწერამ გიმუხთლა. დედ-მამის ტკივილი ამ დროს იმხელაა, ენით რომ ვერ იტყვი და სიტყვით, რომ ვერ გამოხატავ, ჟურნალი „ათინათი“ უერთდება იმ დიდ ტკივილს, რასაც შვილის გარდაცვალება ჰქვია დედა ქალბატონი (თალიკო) შენი სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის ძალიან ბევრს აკეთებდა. ახლა?.. ახლა უფრო დიდი ტვირთი აქვს სატარებელი. შენი შვილების აღზრდა. შენი ილია უკვე ჟურნალისტობას ეუფლება, რამოდენიმე ინტერვიუ აქვს გაკეთებული ცნობილ სახეებთან. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა და ცათა სასუფეველში ღირსეული ადგილი დაგეკავებინოს დედის ლოცვებით.



2016 წლის 17 სექტემბერს ქარელში მომიწია ჩასვლა, პირადულ საქმესთან დაკავშირებით, ქარელში მცხოვრებ პედაგოგს ქალბატონ ამალია საზანდრიშვილს მივაკითხე, რადგან წინა დღეებში გავიგე, რომ მის დას, ქალბატონ ჯენეტის რაღაცა პრობლემები ჰქონდა ჯამრთელობასთთან დაკავშირებით. დილის ათის ნახევარი იყო, რომ ქარელში ვიყავი პედაგოგთა ოჯახში. სულიერებით გულანთებული ქალატონები სიყვარულით შემომეგებენ. ერთმანეთი მოვიკიხეთ. ქალბატონი ჯენეტი საზანდრიშვილი შედარებით კარგად დამიხვდა.

რამოდენიმე წუთის დუმილის შემდეგ ქალბატონებმა ერთმანეთს გადახედეს, ალბათ მიხვდნენ რომ ის ცუდი ამბავი, რაც მათ იცოდნენ მე არ ვიცოდი.

ქალბატონმა ამალიამ ლალი ოსიტაშვილი ისე სხვათაშორის ახსენა ალბათ იფიქრა, თვითონ შემეკითხება მათ ოჯახზე რამესო. მე სიხარულით ბავშვივით ავტიტინდი, როგორ ჰყავთ ბიჭები რას საქმიანობენ. იცით? დარდის ფერმა გადაიარა დების სახეზე. ბასურმან ქოჩიშვილი აღარ არის, ის გარდაიცვალა... ჩემნაირ დარდის პირამიდების მატარებელ ქალბატონს აღარაფერი უნდა უკვირდეს, მაგრამ არა, ეს ასე არ არის, თითოეულ ადამიანს გარკვეული ადგილი აქვს გულში და მაინც... ჩემთვის ვინ იყო ბასურმან ქოჩიშვილი? პასუხი: ის ჩემი ხელმძღვანელი იყო, თბილი, ავტორიტეტული, სამართლიანი, ვაჟკაცური... როდესაც ქალბატონ ლალის თავისი ბედი დაუკავშირა, ჩვენ მისი თანამშრომლები სახლში ვეწვიეთ, ბედნიერება მიულოცეთ და ეს იყო რაღაც განსხვავებული შეხვედრა.  წყვილი ერთმანეთის ულალატო თვალებით შეციცინებდნენ. ახლა?.. ახლა ბასურმანმა ულალატა ლალის და უდროვოდ წავიდა, ცათა სოფელში გარდაიცვალა.

ქალბატონ ამალიას ვთხოვე, აუცილებლად ლალი მანახე, მან იმ წუთში გადარეკა, რათა შეემოწმებინა ადგილზე იყო თუ არა ქალბატონი ლალი. სახლში დაგვხვდა, სევდიანი, მისი თვალების ანარეკლში მეუღლის მონატრების დღეები ტრიალებდნენ... არაჩვეულებრივი ოჯახი შეუქმნიათ, ვაჟიც დაუოჯახებიათ. არაფერი არ აკლდა მათ ოჯახს, მარტოდ ქართველი ვაჟკაცი ბასურმან ქოჩიშვილი. გიხსენებ ბატონო ბასურმან და გპირდები, შენი მეუღლე ქალბატონი ლალი, შენი შვილები და რძალი, ჩემთვის უფრო ახლობლები გახდებიან, გპირდები...

**გულნაზ ხარაშვილი.**

მირანდა ხოდელიძე

# გსურდა სიბნელე რომ გაგერღვია და კვლავ ქვეყნისთვის თვალი მოგევლო



ჩემო პატარა ანგელოზო, ჩემო მირანდა, ნამდვილად რომ სწორად შეგირჩიეს ეს სახელი, ნამდვილად ანგელოზად მოგვევლინე და ანგელოზებმა წაგვართვეს შენი თავი.

ვარდობის ერთ მშვენიერ დღეს, 28 მაისს, დიდმა ტკივილმა გააერთიანა ახალგაზრდა და ხანში შესული. ამ უდიდეს ტკივილს სახელად ქვია "მირანდა". ამ დღეს შენი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმში. იყო ბევრი ცრემლი, ბევრი სითბოსა და თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვა... აღუწერელი იყო შენი დედიკოსი და ჩემი ყრუ კვნესა, ჩუმი გოდება, ხოლო გაფითრებული სახის ღაწვები კი ცრემლს დაენამა. დიდ მონიტორზე გამოსახული შენი სევდიანი თვალები ეგებებოდა სტუმრებს და თითქოს ეუბნებოდა: "მსურდა სიბნელე, რომ გამერღვია და კვლავ ქვეყნისთვის თვალი მომევლო".

ჩემო სიცოცხლე, ვგრძნობ, რომ მეცლება ძალა და ენერგია, ყოველდღიურად სულ უფრო მეტად უძლურდება ჩემი გული, გამიჭირდა წერაც, ბებოს სიყვარულო, პირობას გაძლევ, რომ არ შევეპუები არავის და არაფერს, მე მაინც ვეცდები, რომ მოგიძღვნა ლამაზი ლექსები და შევძლო შენთან საუბარი.

დღეს, 6 აგვისტოა, ვიმყოფები შენს საყვარელ სოფელ ლიჩში, მაგრამ ის სიხარული და ხალისი აღარ იგრძნობა. თითქოს ძირულაც დამშრალა, სათიტაოდ დაითვლი წყალში კენჭებს და მათ შორის დამალულ ღორჯოებს, აღარც ჩიტები ჭიკჭიკებენ ისეთი სიხარულით, როგორც ადრე, როცა შენც აქ იყავი, ჩემს გვერდით და შენი სიმღერებით ატკბობდი ამ ლამაზ ხეობას. ათასში ერთხელ თუ შემოჯდება ანცი ჩხიკვი ხურმის ხეზე, ფუტკრებიც ადრინდელივით ფუსფუსით აღარ ფრენენ. მოკლედ, გრძელდება სიცოცხლე, ლიჩში, მაგრამ უხალისოდ. სენს გარეშე ყველა და ყველაფერი დუმს. წუხელ სიზმარში გნახე, ისევ ისეთი პატარა-პაწაწუნა მილალუკა, სულ ცოტა ხნით მოვეფერეთ ერთმანეთს, მერე კი შენმა მამიკომ გამომგლიჯა ხელიდან შენი თავი და თვითონ ჩაგიხუტა გულში, მე კი გაბრაზებულს გამომეღვიძა და აი ისევ მომეცა ძალა, რათა შენ გაგსაუბრებოდი. ჩემო სიცოცხლევ, უზომოდ დიდო სიყვარულო და ამავ დროს უსაზღვროდ დიდო ტკივილო. შენ ჩემი ყველაზე დიდი იმედი და საყრდენი იყავი. ამას ხომ შენც გრძნობდი? მერედა რატომ, რატომ... გამწირე ასე დაუნდობლად, მოულოდნელად, უეცრად და დაუფიქრებლად, რატომ მიმატოვე, დამტოვე მარტო ჩემს ფიქრებთან და დამიტოვე უშველებელი დარდი, რომელსაც ვგრძნობ, რომ ველარ ვერევი, ველარ ვუმკლავდები მარტო, ჯანმრთელობაც მღალატობს, ვუყურებ შენს სურათს, გესაუბრები, შენ კი მხოლოდ უხმოდ მიყურებ, ხმას არ მცემ, რატომ? რისთვის ან ვისი გულისათვის მემდურები, იქნებ მოახდინო სასწაული და ერთი სიტყვა მაინც მითხრა და გამამხნევო. შენი ნუგეში და დარიგება მჭირდება, შენ ეს ყოველთვის კარგად გამოგდიოდა. რა ვქნა, როგორ ვანუგეშო შენი გულჩაკლული დედიკო? რა ვუთხრა? როგორ მოვიქცე? შენც ხომ იცი, რომ ყოველთვის სულ მარტო ეჭიდება ყველა პრობლემას და თვითონვე მარტო მიათრევს თავის ბედის ბედკრულ უშველებელ ბორბალს. გთხოვ, ილოცე შენი დედიკოსთვის, დაულოცე ყოველი დღე და ახალი წამოწყებული საქმე, ილოცე მისი ჯანმრთელობისთვის, რათა ის არის შენი და ჩვენი, ყველას პატრონი. იცოცხლოს დიდხანს, რათა მისი გულის ნაწილმა შენი დაიკოს, მარიამის წარმატებებით და ბედნიერებით მაინც გაიხაროს. ჩემი მხრიდან კი შენ არ მოგაკლებ არც ხსოვნის საღამოებს, არც ათინათში წერილებს და ლექსებს.



17 ივლისს, საპატრიარქოს არხზე, "ერთსულოვნება", დილის 9:30 სთ-ზე იყო გადაცემა გახსენება, რომელიც მოგიძღვნა შენმა საყვარელმა ელდარი მასწავლებელმა, მან მთელი 10 წუთის განმავლობაში ისაუბრა შენს შესახებ, ფოტოკოლაჟის თანხლებით, გადაცემას კი უძღვებოდა წამყვანი ნინო ბარამიძე, ხოლო რედაქტორი იყო მართა კასრაძე. ჩემო მირანდა, გპირდები, რომ ასეთი გადაცემები შენ არ მოგაკლდება, სანამ მე ცოცხალი ვარ. დაე გაგიცნოს მთელმა საქართველომ. ერთი პატარა ლამაზი მომღერალი გოგონა, რომელმაც ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა და დიდი სიყვარული დაგვიტოვა ნუგეშად...

...ხეს მოწყვეტილი ჭადრის ფოთოლი, ქარს გაყოლილი ოცნებებით.

16 წელი... როგორ უხდება ამ ასაკს დიდი სიყვარულის განცდა... იმ ერთზე ფიქრებში თავს დათენებული ღამეების ტეხა...

გიყვარდა... უყვარდი... ბედნიერი უნდა ყოფილიყავი... უეცრად ფიქრებიდან გამოვფხიზლდებით და მივხვდებით, რომ ეს მხოლოდ ლამაზი ოცნება გამოდგა და სხვა არაფერი. ცხოვრება კი შენს გარეშე ლამაზი მოგონებებით, წარსულზე და მომავალზე ფიქრით გრძელდება, იმ იმედით, რომ მოვა დრო და ისევ ბედნიერი იქნები იქ., ზეციურ საუფლოში, სადაც ისეთივე ლამაზი უნდა იყოს შენი სიყვარული და ცხოვრება, მირანდა, როგორიც მხოლოდ ზღაპრებშია.

...მაგრამ, ხომ შეიძლება მარტოობამ შთანთქოს ზღაპარი... იქნებ, მარტოსულობა არ დაგებედოს და ზეცის საუფლომ შენი სახელი უკვდავებასთან დააქორწინოს...

## კლარა მალაზონიას



წახვედი... ბრძენი, სიყვარულის სავსე ხურჯინით,
უმანკო სული მიიტანე უფლის კარამდე.
მე უტყვი გავხდი და დავდივარ მართლაც მუნჯივით,
არ მინდა ქარი, ჩემს იმედებს რომ იპარავდეს.

**ჩემო საყვარელო კლარა, მიყვარხარ,
მახსოვხარ და მენატრები შენი გულნაზი!**

# წერილი საპატიმროდან

თამაზ ცაბუტაშვილი



**„ჯუმბერ ლეჟავას სახელობის
აკადემიის“ ხელმძღვანელსა და
ჟურნალ „ათინათის“ მთავარ რედაქტორს
ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს**

ქალბატონო გულნაზ! მოგმართავთ გლდანის №8 საპყრობილიდან, სადაც უკვე თითქმის ერთი წელია ვიმყოფები და რომ არა საკნის ფანჯრის გისოსები ალბათ ვერც კი მივხვდებოდი, რომ პატიმრობაში ვარ... ქალბატონო გულნაზ!!! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მე ცოტა სხვა მასალისაგან მოზელილი ჯიუტი ქიზიყელი გახლავართ და ჩემგან „კუდის ქიცინი“ და მლიქვნელობა ძალიან შორსაა, ამიტომ ამ წერილობით მომართვასთან ერთად, გიგზავნით ლექსების მცირე კოლაჟს, რომელიც სასჯელ-აღსრულების მინისტრს: ბატონ კახა კახაშვილს, №8 დაწესებულების დირექტორ ბატონ ნოდარ ქინქლაძისა და ამავე დაწესებულების „სოციალური განყოფილების უფროსს“ ბატონ ალეკო აჭარაძისადმია მიძღვნილი.

ნუ გაგიკვირდებათ ქალბატონო გულნაზ!!! დიახ! – მე „საქართველოს მწერალთა კავშირის“ წევრი, „ჯუმბერ ლეჟავას“ სახელობის აკადემიის აკადემიკოსი, და რაც ყველაზე მთავარია, ჯიუტი ქიზიყელი, – ამ ლექსებს ვუძღვნი იმ დიდებულ ადამიანებს, რომლებმაც ბატონი მინისტრის, კახი კახიშვილის გონივრული და ეფექტური ხელმძღვნალობით, ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის, მთლიანად დაამსხვრიეს და გააცამტვერეს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროინდელი, საშინელი და შემზარავი სტერეოტიპები და მთელი პენიტენციალური სისტემა, საგრძნობლად მიუახლოვეს, „ევროკავშირის“ სტანდარტებს. მე მინდა მთელმა საქართველომ გაიგოს, რომ ბატონი კახა კახიშვილის, ბატონი ნოდარ ქინქლაძის, ბატონ გიორგი ხელაძისა და ბატონი ალეკო აჭარაძის სახით, აქ მოღვაწეობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დღისით თუ ღამით ამ სპეციფიკურად რთულ ვითარებაში, მთელი თავიანთი შეგნებითა და პროფესიონალიზმით ცდილობენ პატიმართა მდგომარეობის შემსუბუქებასა და მათი პიროვნული ღირსებისა და კონსტიტუციური უფლებების დაცვას!

ქალბატონო გულნაზ! მე მთელს საქართველოს მივმართავ, რომ დაინახოს ამ ადამიანების ღვაწლი და სათანადო მადლიერება და დაფასება გამოხატონ ამ დიდებული პიროვნებების მიმართ.

ქალბატონო გულნაზ!!! უმორჩილესად გთხოვთ! გამოაქვეყნოთ ეს წერილი და ლექსების კოლაჟი ჟურნალ „ათინათში“ ხოლო ამის შემდგომ მიბრძანდეთ ჩემს მეუღლე – ნონა ბლიაძესთან ერთად „სასჯელ-აღსრულების სამინისტროს პრესცენტრში, რათა უფრო ახლოდან და კარგად გაეცნოთ, როგორც, ამ სამინისტროს ასევე ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების პროფესიონალურ საქმიანობას, რათა აკადემიის ანთოლოგიაში, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოდის, შეიტანოთ ამ სამინისტროსა და მათი ხელმძღვანელობის როგორც ფოტო, ასევე წერილობითი მასალა, რათა მომავალ თაობებს არ დავუკარგოთ, ამ რთული და სპეციპიკური სამინისტროს მიერ, ქვეყანაში გატარებული რეფორმებისა და ნოვაციების დოკუმენტური მასალები!

აქვე განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, რომ ჟურნალი „ათინათი“ აუცილებლად უნდა გახდეს პენიტენციალური სისტემის ბინადართა ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი და მოთხოვნადი ჟურნალი, რადგან ზემოაღნიშნული ჟურნალი მრავაპროფილიანობის გარდა, მეცნიერულ-შემეცნებით ჟანრსაც შეიცავს. ჩემი აზრით, აუცილებელია, რომ მისი ყველა ნომერი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა პატიმრისთვის, რადგან ჩემი სუბიექტური აზრით, ეს ჟურნალი ჩვენი ქვეყნის მაჯისცემის, მისი ტკივილისა და პრობლემატური საკითხების კალეიდოსკოპია...

2016წ. 11 აგვისტო.

**სასჯელ აღსრულების მინისტრს**
**კახა კახიშვილს**
**მადლიერებითა და ღრმა მოწიწებით...**

***

„ქიზიყს“ დღემდე ვერვინ გვიბატონა,
ჯიშში წესად არ გვაქვს მლიქვნელობა,
მაგრამ ვინც პატიმრებს გვიპატრონა,
მისთვის ალალია „პირველობა“.
გულმა პოეტურად წაიმღერა,
ალბათ არ მიწყენთ, რომ გავაჟღერო,
აკი თმები თეთრად შეგეღერათ,
„პატარ-კახის“ დარო კახაბერო!
ვისთვის პატივია მინისტრობა,
ვისთვის პორთფელი და სავარძელი,
მიკვირს – „ტურების და მგლების“ ხროვას,
ვეფხვის ღირსებით, რომ გაუძელით!
მე არ დავინდობდი გასალახად,
ვისთვის გუნდრუკები უკმევიათ,
ვისაც მხოლოდ „ხალხის დასანახათ“,
ხმლები, ბრძოლის შემდეგ უქნევიათ.
ისეთ „ცოტა-კაცებს“ ვინ გაუგოს?!
ვისთვის ქვეყნის ბედი სცენარია,
ჰოდა, ხალიჩებიც იმათ უგონ,
ვინც რომ მლიქვნელობით წინ არიან.

სითბომ გისოსები შემიმერცხლა,
ვუცქერ მონაცრისფრო გლდანის ხედებს,
თქვენ რომ საფრთქლებთან შეგევერცხლათ,
ჩვენ ეგ ვერცხლისფერი გვაიმედებს.
რომ დრო გავიდა „ვამპირების“
ციხის „ჯალათების“ შენახვისა
ისეც სვე-ბედკრული პატიმრების,
ტანჯვით ღირსებების შელახვისა.
„ზოგ-ზოგს“ ესიზმრება მინისტრობა,
და ბევრ კეთილ საქმეს აფერხებენ,
ჩვენ, ხომ ჯიშად მოგვდგამს მათი მტრობა,
ვინც რომ მართლა საქმეს აკეთებენ“
ვწერ და გულს მიხარებს, ყველა სიტყვა
მოწმე, ჩემი საკნის სარკმელია,
ის რაც „ვაჟკაცის წილ უნდა ითქვას“
ისევ ვაჟკაცისგან სათქმელია...
ჰოდა! ღირსების და ღირსო კაცო!
ჩვენო „შევერცხლილო კახაბერო“!
ღმერთმა გაცოცხლოს და გაასკაცოს!
და მაგ სისპეტაკით დაგაბეროს!

2016წ. 17 ივლისი.

**№8 საპყრობილის სოციალური განყოფილების უფროსს**
**ბატონ ალეკო აჭარაძეს!**
**უსაზღვრო მოწიწებითა და სიყვარულით!**

„მწიფეს ესვრიან და მკვახე ცვივა“
თავად გაერკვევი დანარჩენში,
გული, ჩემო ძმაო, იმას სტკივა,
ვისაც უწერია „განაჩენში“.
ვინც რომ სიკეთისთვის „გასწირეს“ და
ვინც რომ სათნოებით „ააალეს“
მერე ცხარე ცრემლით ატირეს და
ყველას სიყვარული „დაავალეს“
ვიცი, რომ სულაც არ გეჩვენება,
გული როგორ მიდის გასკდომამდე,
არ ღირს „სამართალის“ შეჩვენება,
„უფლის მოსვლამდე“ და „აღდგომამდე“

ვისაც ფართო მკერდში გული „უქეს“,
რადგან სამსჯავროში ვერ დასაჯეს,
სხვების ტკივილები „მიაჩუქეს“
მერე „გულდიდობა“ მიუსაჯეს.
ჰოდა არ მოგვაკლო ეგ „გულ-სახე“
ჩვენი სურვილია წრფელზე-წრფელი.
ერთი ასი წელი გაუძელი
მწიფეს ესვრიან და მკვახე ცვივა
აკი გაგარკვიე დანარჩენში,
გული ჩემო ძმაო! იმას სტკივა,
ვისაც უწერია განაჩენში...

2016წ. 17 ივლისი.

# მილოცვა



## ჯუმბერ (ჯუბა) ტყეშელაშვილს და ნუცა (ნინო) ორჯონიკიძეს

გადაგეფაროთ „ათინათის“ მადლის ფურცლები...
იბედნიერეთ... გაამრავლეთ ფუძის კერია.
ეგ სიყვარული იყოს მყარი... იყოს უცვლელი...
პატარძალი ხარ, მართლაც ნაზი, ზებოს ფერია.



## ვანო შუშტაკაშვილისა და ნინოს შვილიშვილს

ჩემო პაწაწავ, როგორ გამახარე.
გულში უნებლიეთ წამით დავიმღერე.
შენთან მოკითხვები მზის სხივს დავაბარე,
თავზეც იმედების შარფი დავიფარე.
დედის სიცოცხლევ და მამის ნატვრისთვალო,
ბებოს ამოსუნთქვავ, პაპის ფუძეჭერო...
ძმები ბევრი გყავდეს, რომ ვერ დავითვალო,
ყველა მათესა და ყველა ვანოს ჰგავდეს...

**გულნაზ ხარაიშვილი**

# სიცოცხლე გრძელდება...



ბახვა სამხარაძე

ბახვა სამხარაძე სულით და ხორცით პატრიოტია, ის ქართველ ჩოხოსანთა სახელს ღირსეულად ატარებს, ამაყად, სულიერებით გრძნობის გულანთებით... თავის მეუღლესთან, ქალბატონ კლავდია სამხარაძესთან ერთად.

ეს ქართული ოჯახი დიდი მოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას მეგობარი იყო. თბილისში მაცხოვრებელ ტკბილ ცოლ-ქმარს იმერეთში აქვს სოფელი, სადაც მართლაც ოვაზისია.

ბატონმა ბახვამ და ქალბატონმა კლავდიამ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ზესტაფონის რაიონის სოფელ განთიადში პატარა ხის ოდა ცალკე აუშენეს თავის საცხოვრებელ ეზოში. ის სიცოცხლის ბოლომდე ზაფხულის რამოდენიმე თვეს იქ ატარებდა, წერდა დღიურებს, ვარჯიშობდა.

მისი გარდაცვალების შემდეგ. ბატონ ბახვას ხელუხლებად აქვს ის ოთახი, სადაც მოგზაური ისვენებდა. ოთახში ერთი ლოგინი და მაგიდა დგას. ფანჯრებს კი ლეღვის ფართო ფოთლებია აფარებული. როდესაც ქარი ამოვარდება ლეღვის ტოტები ფანჯარაში შემოჭრას ცდილობს. თითქოსდა ჯუმბერის სულია, რავიცი იქნებ ასეცაა, და თუ ასეა, ჯუმბერ ლეჟავა ვიცი ასე ისურვებდა... ასე იტყოდა... ისეთი მშვიდობიანი შემოდგომა მინდა... ქართველები, ერთმანეთის სიხარულის გამზიარებლები, რომ გახდეს. ჟურნალმა „ათინათმა“ ბევრი სიკეთე გადმოგაფრქვიათ მე კი მადლი დაგიტოვეთ მინდად...



ბახვა და კლავდია სამხარაძეები



ჯუმბერ ლეჟავა სტუმრად ბახვა სამხარაძესთან

# სარჩევი

**ხატმწერი ხატია ლარიაშვილი**
მიდგომილი ღვთისმშობელი ........ 3
**ხატმწერები გიორგი და ხატია ლარიაშვილები**
დეისუსი ........ 4
**გულნაზ ხარაიშვილი**
ჩემო მოძღვარო ........ 5
**ნელი ქველაძე**
უფლის სახლი დიდ დიღომში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარი ........ 6

პოეზია

**მეუფე თადეოზი** (მირიან იორამაშვილი)
წმიდა იოანე ნათლისმცემლისადმი ........ 8
მაღლით ნაკურთხო მოძღვარო ........ 8
რად უყვარდათ საქართველო?! ........ 8
შემოდგომა ........ 8
ჭრიჭინა ........ 9
სიზმარში დაწერილი ........ 9
ბავშვი ........ 9
* * * იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე ........ 9
იები ........ 9
დედა ........ 9

ჯგუფი ზღვარი

**გიორგი ზუხბაია.**
პიანისტი ........ 10
მიღწევა ფრენამდე (შეშლილთა სახლი) ........ 10
სერენადა ........ 10
სიზმარი ........ 11
ბრმა კაცი ........ 11
**კახა ბაციკაძე**
პირამიდები ........ 12
სისხლისფერი გლადიატორები ........ 12
გენიალური შეშლილის ვნებანი ........ 12
თაჯ-მაჰალი ........ 13
ქარიშხლიანი უღელტეხილი ........ 13
**სერგი ლომაძე**
გული ........ 14
პოეტურ გრძნობის სივრცე ........ 14
სიცოცხლემისჯილი ........ 14
თოვლის რექვიემი ........ 15
უმანძილობა ........ 15
**ალექსანდრე გოგინაშვილი**
„ლეკვნო ალგეთისანო“ ........ 16
“გული გამითბე ტიალი ” ........ 16
“თუ სიყვარული ჯერ არ გწვევია“ ........ 16
„ლეგენდა საქართველოზე“ ........ 17
**თამარ გავაშელაშვილი**
ვერ გავიგე ვინ მოგხიბლა ........ 18
ვადიდოთ უფალი
სიყვარული გაზაფხული ........ 18
სიყვარული რომ ხილული იყოს ........ 18
ბიჭოვ, რადა ხარ ეგრე უგულო ........ 18
**თამარ (იამზე) ჭელიძე**
ბოროტი სული მიქელ-გაბრიელს ........ 19
დღეს ან ხვალ მიყავს, ყველამ გამიგეთ ........ 19

**კლარა გელაშვილი**
ერთაწმინდაში (ეძღვნება პაატა სააკაძის ხსოვნას)....20
XXI საუკუნის ზღრუბლზე....20
**კახა სამყურაშვილი**
იარაღი....21
**უშანგი მოსიაშვილი**
სიზმრად ვნახე საქართველო....22
მე ის კაცი ვარ....22
ვინ მოელოდა ახალ მაჰმად-ხანს?....22
თავისუფლება....22
ერთმანეთის იმედით....23
არაგველებს....23
ფარსმან მეფე....23
სამშობლო მთელი....24
არას გვიშველის მარტო ჩივლი....24
რწმენა....24
**ნელი ქველაძე**
მამულს....25
სამაჩაბლო....25
ავი წინათგრძნობა....26
ეჰეი, ქართველნო! (საქართველოს პირველ პრეზიდენტს)....26
**შალვა ილურიძე**
საყვედური მტკვარს....27
პაპის ჯაჭვის პერანგი....27
აფორიზმული....27
სულის სიწმინდე....27
ჩემს ანგელოზს....28
თქვენ გაქრებითო....28
**ნაირა ნიჟარაძე**
მთამაღალზე....29
სურვილი....29
ასეა....29
პენსიონერი....30
ქალი – გემის კაპიტანი....31
ბუნებაში....32
ქუთაისი....32
**ნიკო ბაღაშვილი**
მადლობა უფალს....33
დედაო ღვთისავ....33
ჩემი სამყარო....33
ყველაფერი გამოვა....33
**მანანა ზაზიკაშვილი**
ლამაზები ვართ....34
დღეს თბილისში....34
დიდ მოურავს (გიორგი სააკაძეს)....34
ფრთები მინდა არწივის....34
გიორგი და პაატა სააკაძეებს....35
ატომურ ხანაში....35
ბავშვობის გახსენება....35
ყველაზე ღარიბი მეგონა თავი....35
**ლეილა ვადაჭკორია**
ნაკვალევი....36
გულს მოგეშვება....36
დამსეტყვე....36
მიყვარს....36
წვიმა....36

**ანასტასია (რუსუდან) კალანდაძე**
ვერც ქვებით იფრენ (ანუ შეხმიანება რაბინდრანათ თაგორს)....37
ლურჯი თოვლი....37
*** *(ფშავურ მოტივებზე)*....37
თამარ ჯაჭვაძე
მრავალჟამიერ....38
შენი საბედო ვიქნები....
ვინა თქვა წლები მკურნალიაო?....38
პოეტის სისხლი....38
სული ხმაურობს....38
მერამდენედ სცადა....38
როგორი ძნელია....39
ილუზია....39
იფ, რა ქალია!....39
მხატვარი და პოეტი....39
* * *თეთრი თებერვლის თეთრი ქარებით....39
მაპოვნინეთ!....39
**ლეილა გაფრინდაშვილი**
ქობულეთს მივემგზავრები....40
გენის აჩრდილი (პანთეონის მკვიდრთ)....40
მუხა....40
მოგზაურად მივდივარ....41

**შოთა ტოგონიძე**
პაატა საակაძის საფლავთან....41
**ანზორ ჯაფარიძე**
ციცის....43
ალუუ! ალუუ!....42
თითები....42
უწმინდესს....43
დედას....43
წმინდა ნინო....44
ღმერთო ამიხდინე ოცნება ჩემი....44
ასე ბრძანა უფალმა....45
კახეთს!....45
უმადურობა....45
**ილია ზაქარაშვილი**
*** მე იქიდან ვარ, საიდანაც არ ბრუნდებიან....46
*** პატიმარი ხარ, პატიმარი ვარ, პატიმრები ვართ....47
*** რადიკალიზმით გულგრილი ვარ, მე ამორალი....48
*** ჩემი უჯრედებით დამაქვს სიმარტოვე....49
*** ძნელია, როცა უყურებ და არქმევ სახელებს....49
**ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)**
მამაცი ბებო....50
**გერონტი მესხი (სამაჩაბლოს ბულბული)**
სამაჩაბლოში დრო გადის ნელა....51
გამარჯობათ, დევნილებო!....51
ძალა ნულშიც* ყოფილა (გენო პეტრიაშვილს, სახელოვან ფალავანს სამაჩაბლოდან)....52
წინ ოქრო იცდის ოლიმპიური (*გენო პეტრიაშვილს – ევროპის ახალ ჩემპიონს)*....52
**ნანა ნოზაძე**
გლოცავ ჩემო საქართველოვ....53
საჩხერეში....53
ჩემი ზემო იმერეთი....53
ღარიბია ჩემი მხარე....53
ვუძღვნი ბებიას....54
ჩემი ლიჩი....54

დედას (ლექსი დაწერილია როცა დედა ცოცხალი მყავდა) ............ 55
შვილებს ............ 55
როგორ უცებ გაფრენილა ............ 56
თხოვნა ............ 56
ჩემო თბილისო ............ 56
ყველა მიყვარს ............ 57
მამა არ მახსოვს ............ 57
მტრედები ............ 57
მალე მოვა გაზაფხული ............ 58
ძირულა ............ 59
მოდი ნახე ............ 60
ყვირილა ............ 61
მადლი ............ 61
დღესაც ბევრია ............ 61
ოჯახს ............ 62
ნუ გეწყინებათ ............ 62
ჩემს მეუღლეს (ელგუჯა ნოზაძეს) ............ 63
**ლამზირა შეყილაძე**
თუ სატანჯველი უაფესი ............ 64
მამის ანდერძი ............ 64
აპრილი (გურამ ჭავჭანიძეს) ............ 64
ხვარამზესეულ მზეს ვეფიცხები ............ 65
გიორგი სააკაძის ოჯახს ............ 65
სიგიჟე დაცხრა ............ 65
**ზეინაბ ასისტიშვილი**
ჩემი სიმდიდრე ............ 66
საქართველო ............ 66
დედაშვილობა ............ 67
უცხოეთში ............ 67
ცელქი თია ............ 67
**გურამ ჭავჭანიძე (Гурам Чавчанидзе)**
უშენოდ ............ 68
ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი ............ 68
Как вы могли? ............ 69
Любовь не кончается! ............ 69
Если можешъ прости ............ 69
Песня о любви ............ 69
Я вас любил ............ 69
**მზეგული ტყეშელაშვილი**
ვნატრობ... ............ 70
დამესიზმრე... ............ 70
პეპელასავით ვიცხოვრო ............ 70
რა დავაშავეთ?! ............ 70
ვერ შევძელი ............ 70
მოგვერია მტრები ............ 71
არ გამაგონოთ ............ 71
ვარდობისთვეს ............ 71
ყვითელი ფოთოლი ............ 71
თავს შევუძახე ............ 71
**ხათუნა ჩიტაძე**
ავტოპორტრეტი ............ 72
გვირილა ............ 72
სამიზნე ............ 72
გატონია (გალაკტიონს) ............ 73
* * * (ქალბატონ ლიანა ტატიშვილს) ............ 73
**Kamran Xıdıroğlu.**

Eylədin ........ 74
SƏN OLDUN........ 74
Ay gözəl ........ 75
Sarıldım........ 75
Qardaş ........ 75
**გულნაზ ხარაიშვილი**
იქნებ ამიხსნა ........ 76
მენატრებოდი ........ 76
ყველა აქებს ლამაზია რაჭა........ 76
* * * სამშობლოს ცაზე… ........ 76
ხილი ხომ გქონდა ........ 76
ჩემი ვარსკვლავი ........ 77
გმადლობთ (ალი მუსაევს)........ 77
არ დამიჯერე ........ 77
ქარიშხლების დროს........ 77
იმედების კარი........ 77
ძალას ვიკრებ ........ 77
ია ექიმო ........ 77
ჩემი ცხოვრება........ 78
მთვარევ ........ 78
ჩემს კვალს მოჰყევი........ 78

<u>საქმემან შენმა გამოგაჩინოს...</u>

**უშანგი მოსიაშვილი**
**გულნაზ ხარაიშვილი**
ფუნჯით და კალმით (უშანგი მოსიაშვილს) ........ 79
**ნაირა ნიჟარაძე**
უშანგი მოსიაშვილს........ 80
**მანანა ზაზიკაშვილი**
იცნობდეთ ასეთ ღმერთკაცს (უშანგი მოსიაშვილს)........ 80
**ნელი ქველაძე**
სამშობლოზე ფიქრებით… ........ 81
**გურამ ჭავჭანიძე**
უშანგ მოსიაშვილს ........ 81
**ლეილა გაფრინდაშვილი**
მხატვრის სახლია? (უშანგი მოსიაშვილს)........ 82
**თამარ (იამზე) ჭელიძე**
* * *გული შეგტკივა, რადგან დრო ძუნწობს........ 82
**ლამზირა შეყილძე**
უშანგი მოსიაშვილს........ 83

<u>სიბრძნის სკივრი</u>

**ბელა ალანია**
*** * *........ 84**

<u>თარგმანები</u>

**მაყვალა გონაშვილი**
**პოემა მარ ბაჯიევი – ნესკარას თავდასხმა** (გაგრძელება) ........ 86
**Ratiani Lali**
Weg des Ruhmes (Fortsetzung)........ 90

<u>საბავშვო განყოფილება</u>

**„მეზღაპრე“ ლალი კახიძე**
გულაბი მსხალი ........ 96
მეგობარი სპილო ........ 96
გვირილები ........ 97

**გუნა ანგურა**
მითოსური ზღაპარი ნაცარქექიაზე ........ 99

## პროზა

**რევაზ მიშველაძე**
ნამუსის ქუდი ........ 127
**მზევინარ ჯუმუტია – სოხუმი**
აფხაზეთი ჩემი გულის ტკივილია, უსაზღვრო მონატრებაა ........ 133
**სერგი ლომაძე**
ერთაწმინდა ........ 134
შესანიშნავი ხუთეული ........ 136
**გულნაზი ხარაიშვილი**
შეხვედრა ორმოცდაცხრა წლის შემდეგ ........ 139
**ამალია საზანდრიშვილი**
შოთა რუსთაველი — 850........ 142
**ხათუნა ჩიტაძე**
ერთაწმინდა ........ 145

## წერილები

**ტიტე მოსია**
რუსთაველმცოდნეობის ესკიზებიდან ........ 146
ნიშატნი საჩანგდაფენი (გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაში) ........ 153
**მანანა კვატაია**
პროვიდენციალური ვიზიონები XX საუკუნის ტექსტებიდან ........ 159
**ლიანა წურწუმია**
რუსთაველის ესთეტიკა — აღმოსავლურ-დასავლური ესთეტიკის სინთეზი ........ 161
**ლუარა სორდია**
თეატრის პრობლემები (რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში) ........ 165
საქართველოს ეროვნული ტრაგედიის განჭვრეტა ბეჟან ხარაიშვილის ერთ ლექსში........ 167
**Ratiani Lali**
**Strukturell-semantische Modelle im Satzgefüge mit dem Kausalsatz (Adverbialsatz des Crundes)........ 169**

## ისტორია

**Рамаз Шенгелиа, Гиорги Алибепашвили, Гиоргий Квеситадзе**
Корни грузинской науки (Продолжение, Начало в «Атинати», № 20 (2016))........ 177
**ნიკო ხერკელაძე**
ტაშისკარის დიდი ომი (დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ № 2(16), №3(17)-ში)........ 191
გიორგი სააკაძის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობების განხილვა........ 194
**ვაჟა შუბითიძე**
ისრაელის გაკვეთილები საქართველოსათვის........ 197

## ეკონომიკა

**ვალერი მოსიაშვილი**
ფინანსური ურთიერთობები თანამედროვე გლობალურ მსოფლიო ეკონომიკური გარემოში . 200
**მედეა ჭელიძე, თამარი ბერიძე**
რისკების მართვა საბანკო სფეროში........ 206
**ჯუმბერ ხარაიშვილი**
ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოშობის წინაპირობები საქართველოში ........ 208
**ნოდარ ხარაიშვილი**
გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მარკეტინგული კომუნიკაციების ანალიზი მენეჯმენტში ........ 213
**ვანო შუშტაკაშვილი**
სახელწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი განვითარებულ ქვეყნებში ........ 216

## ხოფლის მეურნეობა

**ონერ ძაძუა**
საცავი ტყის ზოლების გამოყენების ისტორია..........226
ტყის ზოლების გავლენა ჰავასა და ნიადაგზე..........27
საცავი ტყის ზოლების როლი მოსავლის გადიდების საქმეში..........231
საცავი ტყის ზოლების გაშენება..........234

## ნორჩი ათინათელები

**ანი გურგენიძე** –ინტერვიუ ირინე გელაშვილთან..........236
**მარიამ გოგალაძე** – ინტერვიუს ხაშურის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსთან – ბატონ ზვიად გოგუაძესთან..........237
**ნანა სხირტლაძე** – ინტერვიუ ბატონ სულიკო სამხარაძესთან..........239
**ილია ძმანაშვილი** – სიცოცხლე გრძელდება (გვახსოვდეს წარსული) (ინტერვიუ ნაირა ნიჟარაძესთან გაგრძელება №20-დან)..........243

## გახსენება

**ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემია თანაუგრძნობთ..........249**
**მირანდა ხოდელიძე** – გსურდა სიბნელე რომ გაგერღვია და კვლავ ქვეყნისთვის თვალი მოგევლო..........252
**გულნაზ ხარაიშვილი** – კლარა მალაზონიას..........253

## წერილი საპატიმროდან

**თამაზ ცაბუტაშვილი** – წერილი საპატიმროდან..........254

## მილოცვა

**გულნაზ ხარაიშვილი**
ჯუმბერ (ჯუბა) ტყეშელაშვილსა და ნუცა (ნინო) ორჯონიკიძეს..........256
ვანო შუშტაკაშვილისა და ნინოს შვილიშვილს..........256
სიცოცხლე გრძელდება... ..........257

# ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი" არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია."

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;

0341227287.

790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო", რეზო ადამიას შექმნილი ხატი. გარეკანის მეორე გვერდზე ვანიკო კაზუას ფერწერა. გარეკანის ბოლო გვერდზე რეზო ადამიას შესანიშნავი ახალი ხატი „წმინდა ანთიმოზ ივერიელი", რომელიც შესრულდა მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით. აკადემიის დელეგაციამ ხატი საჩუქრად გადასცა უნგრეთის – ვლახეთის მუზეუმს, წმინდანის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

**ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი და ალადინ გარაბაგლი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: ელგუჯა მამუკელაშვილი – პროფესორი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
ლევან ბაბუხადია – ჟურნალ „ხატის“ რედაქტორი
ანა ბოდბელი – მეცნიერი
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.

საბავშვო განყოფილების რედაქტორები:
ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი(აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე



ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, პოლტავას აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით **gulnazi5@bk.ru**

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge